ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

Georgian Source-Studies

XXVII

2025

ქართული წყაროთმცოდნეობა

XXVII

2025

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ეკა კვაჭანტირაძე
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე
გიორგი ჭეიშვილი

Editors
Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze

Editorial Board
Goneli Arakhamia
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
Davit Merkviladze
Nato Songulashvili
George Tcheishvili

რედაქციის საკონტაქტო მონაცემები:
ელფოსტა: source-studies@tsu.ge
მობ.: 599 71 40 15; 577 62 21 34
Editorial office contact details:
email: source-studies@tsu.ge
Mob.: +995 599 71 40 15;+995 577 62 21 34

© ტექსტი – ავტორები, 2025
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, ზ. თარგამაძე, 2025
© Text – Authors, 2025
© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, Z. Targamadze, 2025

ISSN 1987 - 9563
e-ISSN 2346 - 7797

წიგნი დაიბეჭდა შპს „ეკო ივერიის" სტამბაში
თბილისი, რობაქიძის გამზ.7/4

შინაარსი
CONTENTS

რედაქტორებისაგან 10
EDITORIAL

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები 11
RESEARCH IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ენგურის ხეობის ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული წარსულიდან
(ჯვრის ანუ ენგურის წყალსაცავის გასწვრივ) 13
პაპუნა გაბისონია
On the Historical and Historical-Geographical Past of the Enguri Valley
(Along Jvari, that is, the Enguri Reservoir)
Papuna Gabisonia

ქალები მომთაბარულ საზოგადოებაში: წყაროთა ცნობები ყივჩაღი
ქალების შესახებ 27
ნინო კაკალაშვილი
Women in Nomadic Society: Information from Primary Sources about
Qipchaq Women
Nino Kakalashvili

მედეას მითი და ისტორიული რეალიები: ძველი საბერძნეთისა
და კოლხეთის მაგალითი 36
გოჩა კუჭუხიძე
Medea’s Myth and Historical Realities: The Case of Ancient Greece and Colchis
Gocha Kuchukhidze

დასახლების ფორმები და ლოკალური ჯგუფები ქართველი ხალხის
ტრადიციული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში 52
ნუგზარ მგელაძე
Settlement Forms and Local Groups in the Social Structure of
Traditional Georgian Society
Nugzar Mgeladze

რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკ ვლადიმერ სარჩიმელიას
ბიოგრაფია და მისი მოგონებები პირველი მსოფლიო ომის შესახებ 86
ლადო მირიანაშვილი
Biography of Colonel Vladimir Sarchimelia of the Russian Imperial Army
and His Memoir of World War I
Lado Mirianashvili

ლანდშაფტის არქეოლოგიის მეთოდოლოგია ფარავნის
არქეოლოგიური ძეგლების კვლევის კონტექსტში 97
ნინო პატარიძე
Methodology of Landscape Archaeology in the Context of Archaeological
Sites around Lake Paravan
Nino Pataridze

მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ არსებული
გადმოცემები და ქართული სინამდვილე 108
გიორგი სოსიაშვილი
Traditions Concerning the Life-Giving Cross of the Savior
and the Georgian Reality
Giorgi Sosiashvili

თრიალეთის უცნობი ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში
(საერისთავოს ტერიტორიაზე შექმნილი ლაპიდარული წარწერების
ინტერპრეტაციისთვის).....119
ირაკლი ფაღავა
თამაზ გოგოლაძე
Vache Baghvashi, the Unknown Duke of Dukes (Eristavt-Eristavi) of Trialeti:
Toward an Interpretation of the Lapidary Inscriptions from His Duchy
Irakli Paghava
Tamaz Gogoladze

„ოვსნი გორს მსხდომნი“ (საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში
ოსთა ჩამოსახლების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები).....139
ქეთევან ქუთათელაძე
“The Ossetians Settled in Gori” (Historical-Geographical Aspects of the Ossetian
Migration during the Mongol Rule in Georgia)
Ketevan Kutateladze

„ვარლაამის და იოასაფის რომანის“ (CPG 8120) ე.წ. „ლემა“, როგორც პარატექსტი.....169
გაგა შურღაია
The so-called “Lemma” in *The Barlaam and Ioasaph Romance* (CPG 8120): A Paratextual
Perspective
Gaga Shurghaia

ლეონტი მროველის *ქართველ მეფეთა ცხოვრების* წყაროთმცოდნეობითი
ანალიზი: მეფე მირიანის ლაშქრობა ირანში 181
მარიამ ჩხარტიშვილი
A Source-Critical Analysis of Leonti Mroveli’s *The Lives of Georgian Kings*: King Mirian’s
Campaign in Iran
Mariam Chkhartishvili

ისტორიოგრაფია 197
HISTORIOGRAPHY

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ისტორიული რეპრეზენტაცია 1980-იანი წლების მეორე ნახევრის საქართველოში 199
ნიკოლოზ სარაჯიშვილი
The Historical Representation of the Democratic Republic of Georgia (1918–1921) in Late 1980s Georgia
Nikoloz Sarajishvili

საარქივო მასალების პუბლიკაცია 209
PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS

ქსნის ხეობის ოკუპირებული სოფლების ისტორიიდან (კვერიათი – წარსული და დღევანდელობა) 211
დავით ახლოური
From the History of the Occupied Ksani Gorge Villages (Kveriati – the Past and the Present)
David Akhlouri

ორი საარქივო დოკუმენტი ქართულ ისტორიოგრაფიაში გეორგიევსკის ტრაქტატის შესწავლის ისტორიის შესახებ 222
მიხეილ ქართველიშვილი
Two Archival Documents on the History of the Study of the Treaty of Georgievsk in Georgian Scholarship
Mikheil Kartvelishvili

წყაროთა თარგმანი და წარდგინება 229
TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES

პეტრე ბუტკოვი 1779-1781 წლებში სამხრეთ კავკასიაში მომხდარი ზოგიერთი მოვლენის შესახებ 231
დავით მერკვილაძე
ერეკლე ხუციშვილი
Peter Butkov about some Events that Occurred in the South Caucasus in 1779-1781
Davit Merkviladze
Erekle Khutsishvili

ჟორჟ ბელის ცნობები თბილისი შესახებ *L'Illustration, Journal Universel*-ის (1868) ფურცლებზე 237
ირინე ნაჭყებია
George Bell's Reports on Tbilisi in the Pages of *L'Illustration, Journal Universel* (1868)
Irine Nachkebia

წიგნების მიმოხილვა 245
BOOK REVIEWS

სტუდენტური საისტორიო ძიებანი (III, 2023).....247
მიხეილ ქართველიშვილი
ლალი მექერიშვილი
STUDENT HISTORICAL RESEARCHES (III, 2023)
Mikheil Kartvelishvili
Lali Mekerishvili

საინტერესო გამოკვლევა შუა საუკუნეების საისტორიო აზროვნების შესახებ 250
მიხეილ ქართველიშვილი
An Interesting Study of Medieval Historical Thought
Mikheil Kartvelishvili

ქრონიკა 253
CHRONICLE

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის
განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2024) 255
სოფიო ქადაგიშვილი
Annual Conference of the Department of Medieval Georgian
History and Source-Studies (2024)
Sopio Kadagishvili

სანახებნი ქართლისანი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები
გიორგი ჭეიშვილის ახალი წიგნის პრეზენტაცია ევროპის უნივერსიტეტში.....260
სოფიო ქადაგიშვილი
The Georgian Marchlands. Studies in the Historical Geography.
Presentation of the New Book by Giorgi Tcheishvili at the University of Europe
Sopio Kadagishvili

ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* XXVI ნომრის პრეზენტაცია 265
სოფიო ქადაგიშვილი
Presentation of the 26th Issue of the Journal *Georgian–Source Studies*
Sopio Kadagishvili

ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენცია 2025
(ნიდერლანდები, 26-29 მარტი).....269
სოფიო ქადაგიშვილი
European Social Science History Conference (ESSHC 2025, Netherlands, March 26 - 29)
Sopio Kadagishvili

X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა* 274
ნინო გაბინაშვილი
X International Scientific Conference *Language and Culture*
Nino Gabinashvili

აღმოსავლეთ ქრისტიანული და არმენოლოგიური კვლევების
საზაფხულო სიმპოზიუმი (2025, 19-20 ივნისი) 278
მარიამ ჩხარტიშვილი
Summer Symposium Oriental Christian and Armenian Studies in Halle-Wittenberg
(2025, june 19-20)
Mariam Chkhartishvili

მოსაგონარი 283
IN MEMORIAM

მეგობრის ხსოვნას: თამაზ გოგოლაძე – ადამიანი და მეცნიერი.....285
ირაკლი ფაღავა
In Memory of a Friend: Tamaz Gogoladze – a Scholar and a Person
Irakli Paghava

უფალთან ყველა ცოცხალი: *ალექსეი ლიდოვის მოსაგონარი*.....298
მარიამ ჩხარტიშვილი
All Are Alive with the Lord: *In Memory of Alexei Lidov*
Mariam Chkhartishvili

გზამკვლევი ავტორთათვის.....305
GUIDELINES FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

მკითხველთა წინაშეა *ქართული წყაროთმცოდნეობის* 27-ე ნომერი. მასში წარმოდგენილია ორ ათეულზე მეტი სტატია. სტატიები განაწილებულია რამდენიმე განყოფილებაში: *ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები* მოიცავს თერთმეტ ნაშრომს, განყოფილება *ისტორიოგრაფია* ერთი სტატიით არის წარმოდგენილი, საარქივო მასალები მოიცავს ორ, წყაროთა თარგმანის განყოფილება ასევე ორ პუბლიკაციას. ახალი წიგნების შესახებ ჟურნალის წინამდებარე ნომერში ორი სტატია იბეჭდება, ხოლო სამეცნიერო ცხოვრების ამსახველ ქრონიკაში – ექვსი. სამწუხაროდ, ჟურნალის ამ ნომერსაც აქვს განყოფილება *მოსაგონარი*. ის წარმოდგენილია ორი სტატიით. ქართულ წყაროთმცოდნეობის რედკოლეგია დიდი სინანულით ეთხოვება ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასულ ძვირფას კოლეგებს.

როგორც კვლევითი სტატიების, ისე საინფორმაციო წერილების თემატიკა მრავალფეროვანია. ავტორებს შორის არიან საქართველოსა და საზღვარგარეთის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, ასევე დამოუკიდებელი მკვლევრები, როგორც გამოცდილი მეცნიერები, ისე ახალი თაობის მკვლევრები, რომლებიც სამეცნიერო ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს დგამენ. ჟურნალის რედკოლეგია ცდილობს შეინარჩუნოს ეს მრავალფეროვნება, რათა უზრუნველყოს პლათფორმა ფართო სამეცნიერო სპექტრის კომუნიკაციისათვის

დარწმუნებული ვართ, რომ ჟურნალის ეს ნომერი, როგორც ყველა ადრინდელი გამოცემა, მკითხველთა დაინტერესებას გამოიწვევს. იმასაც ვიმედოვნებთ, რომ ის სამეცნიერო საზოგადოების დადებით შეფასებას დაიმსახურებს.

გიული აღასანია
მაიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე
თბილისი, 2025 წელი, 11 ნოემბერი

EDITORIAL

The 27th issue of *Georgian Source-Studies* includes over twenty articles across several sections, including *Research in Field* Historical and Source-Studies, *Historiography, Archival Materials*, and *Source Translations*. It also presents new book reviews and notes on scientific life, while honoring colleagues who passed away prematurely. Contributions come from both established scholars and early-career researchers from Georgia and abroad, reflecting a wide range of topics and perspectives. This issue aims to engage readers and contribute positively to the scholarly community.

Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze
Tbilisi, November 11, 2025

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები

RESEARCH IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ენგურის ხეობის ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული წარსულიდან (ჯვრის ანუ ენგურის წყალსაცავის გასწვრივ)

პაპუნა გაბისონია
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
gabisoniapapuna@yahoo.com

საქართველოს ერთერთი დიდი და წყალუხვი მდინარე ენგური სათავეს ზემო სვანეთში, მყინვარებიდან, შხარა და უხვანიდან, იღებს. მას მრავალი შენაკადი უერთდება და სოფელი ტობართან (ხაიშის თემი, მესტიის მუნიციპალიტეტი) ეს ბობოქარი მდინარე ენგურის, იგივე ჯვრის, წყალსაცავის შევსებას იწყებს. ხოლო დაბა ჯვრის სიახლოვეს, დასახლება ფოცხო ეწერთან წყალსაცავი თაღოვანი კაშხლით არის გადაკეტილი, რომელიც კავკასიაში უმაღლესია.

სტატიაზე მუშაობა არსებითად დამთავრებული გვქონდა, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გამოქვეყნდა ავთანდილ თორდიას ნაშრომი *მასალები ენგუხის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის* (თორდია 2023: 36-69), რომელშიც გამოყენებულია 1984 წელს უშუალოდ ავტორის მიერ შესწავლილი და აღწერილი მასალა. ჩვენთვის ცნობილი იყო ბატონი ავთოს ჩატარებული კვლევა, მაგრამ კვლევის ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების თაობაზე ინფორმაცია არ გვქონდა. შესაბამისად უკვე ფაქტობრივად გამზადებულ სტატიაში მისი მონაცემების გათვალისწინებაც გადავწყვიტეთ, რომ ეს სტატია ა. თორდიას მრავალმხრივ საგულისხმო პუბლიკაციის თავისებური გაგრძელება ყოფილიყო.

დაბა ჯვარსა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) და სოფელ ხაიშს შორის ენგურის ხეობა ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო მეტ შესწავლას საჭიროებს. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი ამ მხრივ მცირეოდენ წვლილს შეიტანს. ეს ერთი მიკრო რეგიონია, ლანდშაფტურ-გეოლოგიური თვალსაზრისით და ეგრისის, იგივე სამეგრელოს ქედის ნაწილს წარმოადგენს (გილევი 1863: 63-84). ხეობა დღეისთვის ორ მუნიციპალიტეტს შორის არის გაყოფილი. ენგურის ხეობის ამ მონაკვეთის წარსულზე ნარატიული წყაროების ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. ხეობაში შემორჩენილია ისტორიული ძეგლების ნაშთები. ჰიდროელექტროსადგურის აშენებამდე ხეობის ამ ნაწილში არსებული სოფლების მცხოვრებლების დიდი ნაწილი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადაასახლეს. დასახლებების ნაწილი დაგუბებულმა წყალმა დაფარა.

ზემო სვანეთისკენ მიმავალი გზა დაბა ჯვართან იწყება, იქ სადაც ენგურს შენაკადი მაგანა უერთდება. თანამედროვე მაგისტრალი რთულ რელიეფს მიუყვება და მხოლოდ სოფელ ლახამულასთან (მესტიის მუნიციპალიტეტი) შედარებით დავაკებაზე გადადის. ძველად გზა, უფრო სწორედ ბილიკი ძირითადად ენგურის კალაპოტს მიუყვებოდა და რამდენჯერმე კვეთდა მდინარეს. სვანები ამ გზას ლენხერის გზას ეძახდნენ, XX საუკუნის პირველ ნახევარში აქ არსებული თემის სახელის მიხედვით.

ენგურს სოფელ ხაიშთან მარცხნიდან ერთვის შენაკადი ხაიშურა, რომელსაც XX საუკუნის შუა ხანამდე თხეიში ერქვა (რუკა 1931-1932). ხაიშურას შემდეგ მარცხენა მხარეს შენაკადებია: ლეხერა, ჯოღორნაშუმა, ბარჯაში, ხუბერი, კა (კაშღალი), ტყვიშიშღალი და მაგანა. ენგურს ხეობის ამ მონაკვეთში მარჯვენა მხარიდან ერთვის: რომისღელე, ლარაკვაკვა, ღანჯიშღალი, გველეთონა, ჩხინა (რჩხინა, ჩხიპა), ეცი (ეიცი), ხობანეღალი, ნაბორზალი, ლახუნძერა.

1842 წლის რუსულენოვან რუკაზე სამეგრელოს სამთავროს საზღვარი სადადეშქელიანო სვანეთთან მდინარე ბარჯაშის იქით, თანამედროვე სოფელ თოთანას სიახლოვეს გადიოდა. ამ რუკაზე ენგურის მარცხენა მხარეს დატანილია შემდეგი დასახლებები: ნაკა (ლექარდე), ხუდონი, წყავაში, კა, ხუბერი. მარჯვენა მხარეს აღნიშნულია დასახლება ფურაში (რუკა 1842). 1861 წლის სამეგრელოს რუსულენოვან რუკაზე ენგურის მარცხენა ნაპირას შემდეგი დასახლებებია აღნიშნული: ჯვარი, წყავაში, ხუდონი, კა, მამიშურა, ხუბერი. მდინარის მარჯვენა მხარეს: ეწერი, ფურაში (რუკა 1861). 1877 წლის რუკაზე: ჯვარი, ხუდონი, კა, ხუბერჯალი, (მარცხენა ნაპირი), ეწერი და ფურაში მარჯვენა ნაპირზე (რუკა 1877). ასეთივე მდგომარეობაა 1903 წლის რუკაზე. საქართველოს სსრ საზოგადო რუკაზე (1931-1932) ჯვარის შემდეგ ენგურის მარცხენა მხარეს არის შემდეგი სოფლები: ლექარდე (ნაკა), ხუდონი, ცეპეში (წფეში – პ.გ), ტყვიში, ბოგურჯელი, მუნწყვა, კვა, ჭველეთონა, ხუბერი. ხუბერის მერე, დასახლება თოთანას მახლობლად გადის ადმინისტრაციული საზღვრის ხაზი, სადაც ამ რუკის მიხედვით სვანეთი იწყებოდა. მარჯვენა მხარეს აღნიშნულია შემდეგ პუნქტები: ფოცხო, ფურაში, ტყაბედნიერი, ნაჯიქირი. XX საუკუნის დასაწყისში, ი. ყიფშიძის ცნობით სვანეთისაკენ მეგრელთა მჭიდრო დასახლებები აღწევდა მდინარე ეცის, ხოლო გაფანტული დასახლებები შემდგომაც გვხვდებოდა, ხუბერში და თოთანაში (ყიფშიძე 1994: XVII). უფრო ადრე, 1860 წლებში, ვ. გილევის თანახმად, სვანეთის სოფელ ლახამულას ქვემოთ ენგურის ვიწრო ხეობაში მოსახლეობა 50 ვერსტზე არ გვხდებოდა (გილევი 1863: 63-84). მხოლოდ 1890 წლიდან დაიწყო ჩუბეხევისა და ფარის გლეხობის გადასახლება ნენსკრას ხეობაში, ხოლო ლახამულას დასახლება ენგურის ხეობის სამხრეთ-დასავლეთით. სვანეთის წარსულის შესანიშნავი მცოდნის ეგნატე გაბლიანის ცნობით

> ძველ დროში ლახამულები ცხოვრობდნენ მარტო ს. ლახამულაში. ჩუბეხევლები სოფ. თავრარში, ცალერში, ლაშხრაშში და კიჩხულდაშში. ამ ცოტა ხნის წინეთ ორივემ იწყეს დასავლეთისაკენ წაწევა. ლახამულები გაჰყვნენ ენგურის ნაპირებს და მის ხეობაში დაარსეს შემდეგი სოფლები: ნოღაში, ლახამულიდგან ორი-სამი ვერსის მანძილზე; მის დასავლეთით ... მდ. ნაკრასა და ენგურის შესართავის ჩრდილოეთ ნაპირზეა ს. შდუხირი, აქედან ოთხი ვერსის მანძილზე სოფ. დუზი. სამხრეთ-აღმოსავლეთით აქ ენგურს ერთვის მდ. ხუმფრერი, რომლის დასაწყისთან არის სოფ. უსკვირი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე ს. ყვანა. დუზიდან შვიდ ვერსზე მდებარეობს სოფელი გუნწიში, ხოლო მის დასავლეთით... სოფ. იფარი. ამ სოფლის დასავლეთით არის სოფ. ჯორკვალი, მერე სოფელი ჭერი. მის დასავლეთით, იმ ადგილას, სადაც ენგურს ჩრდილოეთიდგან ერთვის მდ. ნენსკრა (ჭვიბრულდ), არის სოფელი ტობარი. აქედან სამი ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფ. ხაიში, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდგან ენგურს ერთვის მდ. ხაიშდურა ანუ ვედის „ჭალა“... ხაიშის დასავლეთით არიან სოფლები: ლალხორალ, ციცხვარი, ნარქოლვარ და ისთოთანა, სადაც თავდება სვანების მოსახლეობა და იწყება სამეგრელო (გაბლიანი 1925: 10).

თუმცა სხვა ადგილას ე. გაბლიანს სამეგრელო-სვანეთის მიჯნა ისთოთანას (თოთანას) სამხრეთით მთა ურულაფუსა და ტყაბედნიერამდე გადმოაქვს (გაბლიანი 1925: 6). თავის მეორე ნაშრომში, მას მიჯნა უფრო სამხრეთით გადმოაქვს: 1834 წელს რუსეთის იმპერიის წარმომადგენელმა სვანეთს დიდი ტერიტორია ჩამოაჭრა. . . ჯვართან ახლოს აღმოსავლეთით მდებარე ქედი „ცხვიმზაგელი“, რომელიც შეიცვალა მდ. ეცით, ტყაბედნიერით და ბოგურჯელით. მაშინ დასავლეთის მხრით სვანეთს ჩამოეჭრა 25 ვერსი (გაბლიანი 1927: 49). სვანეთის ადმინისტრაციულ – გეოგრაფიულ რუკაზე, რომელიც საქართველოს სსრ გამომცემლობამ ე. გაბლიანის რედაქტორობით გამოსცა (ტოპოგრაფი ე. ბარამიძე), სვანეთისა და სამეგრელოს ადმინისტრაციული საზღვარი ტყაბედნიერსა და კვას შორის გადის. არსებითად ემთხვევა თანამედროვე წალენჯიხისა და მესტიის მუნიციპალიტეტე-

ბის მიჯნას (რუკა 1925). ქართული საისტორიო წყაროს – სვანეთის კრების მატიანეს – მიხედვით, რომელიც დაახლოებით XIV საუკუნეს განეკუთვნება, ჩამონათვალში დასახელებულია სოფლები, რომლებიც სვანეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდნენ, ერთი ასეთია ლალავერი და კიჩხლდაში (ინგოროყვა 1941: 119), კიჩხილდაში დღევანდელი კიჩხულდაშია, რომელიც ნაკრას თემში შედის. მატიანეში სოფლების დასახელება სვანეთის დასავლეთიდან იწყება და აღმოსავლეთით გრძელდება. შესაბამისად, უკიდურეს დასავლეთი არსებული რომელიმე სოფლის გამოტოვება ნაკლებად სავარაუდოა. ასევე, XVII საუკუნეში სვანეთის სოფელ „ესკერუდან“ წამოსული რუსი დესპანები მეგრელებით დასახლებულ ხუდონამდე არცერთ დასახლებას არ ასახელებენ. თითქმის ასეთი მდგომარეობა გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანამდე. მაგრამ ენგურის ხეობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე აშკარად ჩანს ცხოვრების კვალი, რაც არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება. სოფელ ხაიშში შემორჩენილია ძველი ეკლესია. ენგურის ხეობის ამ მონაკვეთზე შემდგომი, უფრო ფართო კვლევა-ძიება მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის.

დღეისთვის მოსახლეობა საკუთრივ ჯვარში, ფოცხოეწერში და ლექარდეში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი სოფლები უკვე აღარ არსებობს: 1930 წლისთვის ჯვარის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ხუდონში 109 კომლი იყო აღრიცხული, 601 მაცხოვრებლით (ადმინისტრაციული დაყოფა 1930: 126). აქ ზემოთ ნახსენებ დასახლებების ნაწილში მაცხოვრებლებიც იგულისხმება, რომელიც ხუდონის შემადგენლობაში აღრიცხეს. XX საუკუნის შუა ხანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი აფხაზეთის ასსრ-ში გადაასახლეს, რასაც ხეობის გაუკაცრიელება მოჰყვა.

ენგურის ხეობის ამ მონაკვეთში არსებული ყველაზე დიდი სოფელი ხუდონი საისტორიო წყაროში XVII საუკუნეში იხსენიება. 1639 წელს სამეგრელოს სამთავროს მოსკოვის სახელმწიფოს ელჩი პ. ზახარიევი და მისი თარჯიმანი ფ. ელჩინი ესტუმრა. ისინი ყაბარდოდან სვანეთში უღელტეხილით გადმოვიდნენ, ხოლო შემდეგ ენგურის ხეობით 13 ნოემბერს ლევან II დადიანის კუთვნილ ლამაზ სოფელ ხუდონში მივიდნენ. აქ მათ აზნაური მანუჩარი და მღვდელი გაბრიელ გეგენავა დახვდნენ. 17 თუ 18 ნოემბერს ელჩი და მისი მასპინძლები უკვე ჯვარში ჩავიდნენ. ჯვარში დესპანს ბედიელმა მთავარეპისკოპოსმა ანდრიამ, წალენჯიხის მონასტრის არქიმანდიტრმა (წინამძღვარმა) ევდემონმა (ჯაიანი, – პ.გ.) უმასპინძლეს. საისტორიო წყაროში ნახსენებია მონასტრის მსახური მოგელი და ერთ-ერთი მოხელე გულიკაკო. ჯვარში რუსი ელჩი თავის თარჯიმანს სიმთვრალის გამო გაუწყრა (გამახარია 2005: 288-2291, 314-315).

შემდგომში საისტორიო წყაროებში ცნობები ამ ხეობის დასახლებების შესახებ მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევრიდან გვხდება. 1834 წელს ზემო სვანეთს რუსეთის იმპერიის კაპიტანი შახოვსკი ენგურის ხეობის გავლით ესტუმრა. მას კავკასიის მთავარმართებელ ბარონ როზენისაგან საგანგებო დავალებანი ჰქონდა და სვანეთის ნაწილის მფლობელ დადეშქელიანებს ესტუმრა. გზაზე მას მეგზურობას უწევდნენ: ჯვარელი თავადი: ვამეყ დადიანი, გიორგი აფაქიძე, თარჯიმანი გელოვანი და მღვდელი დავით ქობულოვი. შახოვსკი თავის რაპორტში განვლილ მარშრუტს მოკლედ აღწერს, მაგრამ მის სირთულეს მკაფიოდ აღნიშნავს. ისინი ჩუბეხევში (დღევანდელი ლახამულას თემი, რუკა – პ. გ.) ციოყ და დიგორხან დადეშქელიანებთან მივიდნენ (აქტები1881: 465-466).

დიგორხან დადეშქელიანმა მომდევნო წელს საჩივრის წერილით მიმართა ბარონ როზენს. ამ წერილში ჩუბეხევის ფაქტობრივი მმართველი დიგორხანი კაპიტან შახოვსკის ბრალდებას უყენებს, რომ დადიანების სასარგებლოდ ენგურის ხეობაში გარკვეული ტერიტორია ჩამოაჭრა. მისი წერილის მიხედვით: მთა „ცხვიმზაგალას“ ჩრდილოეთით ტერიტორია მის ოჯახს ეკუთვნოდა და მეგრელი მწყემსები საბალახოს საფასურს უხდიდნენ. ამ მთის იქით მდებარეობდა სოფელი ჯვარი, რომელიც ჯვარელ დადიანებს ეკუთვნოდათ.

დიგორხანის ცნობითვე, ადრე, მისი ქმრის მისოსტრის სიცოცხლეში გიორგი დადიანს დაუკავებია ეს ადგილი და კოშკიც აუშენებია. მისოსტრს და მის ძმა მურზაყანს გიორგი განუდევნიათ და ეს სიმაგრეც დაუნგრევიათ. შემდგომ, გიორგი დადიანის ძეებს – კაციასა და ვამეყს – უთხოვიათ ეს ადგილი და სარგებლობისათვის საფასურსაც იღებდნენ. დიგორხანი ასევე აღნიშნავდა, რომ მას ჯვარშიც ჰყავდა ყმები, რომელიც მამამთილისათვის თენგიზისთვის სამეგრელოს უწინდელ მთავარ გრიგოლს დახმარების სანაცვლოდ მიუცია (გაბლიანი1927: 49-53).

ო. სოსელიას გამოკვლევით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ჯვარი და მიმდებარე ტერიტორია სამთო საძოვრებით აფაქიძეებს ეკუთვნოდათ. მთავარ კაცია II დადიანმა (1757-1788) ორ ძმა აფაქიძეს ღალატი დააბრალა. მათ ეს ტერიტორია ჩამოერთვათ და მთავრის საკუთრებად გამოცხადდა. ჯვარი კაცია II-მ თავის ძმა ნიკოლოზს მისცა, ხოლო საძოვარი მთები და ტყეები საკუთრებაში დაიტოვა (სოსელია 1990: 164). ნიკოლოზ დადიანის მემკვიდრე იყო გიორგი, რომელიც ჩუბეხეველ ძმებ დადეშქელიანებს დაუპირისპირდა. გიორგის ჰყავდა შვილები: ნიკოლოზი, ვამეყი (ვამეხი), ეკატერინე, ელიზბარი, ანტონი და კაცია (დუმინი, ჩიქოვანი 1998: 62). ჯვარში ძმები დადიანების სახლები ენგურის შენაკად მდინარე მაგანას პირას მდგარა.

1858 წელს ენგურის ხეობის გავლით რუსეთის იმპერიის სამხედრო რაზმი პ. უსლარის მეთაურობით სვანეთში გაემართა. ამ პერიოდში ჩუბეხეველ და ეცერელ დადეშქელიანებს შორის მტრობა იყო ჩამოვარდნილი. დ. ბაქრაძის ცნობით, რუსთა რაზმებმა ვიწრო ხეობაში გზა ,,საპიორების“ (ამფეთქებლები, – პ. გ.) დახმარებით გაიყვანეს და ენგურზე ხის დროებითი ხიდებიც გააკეთეს (ბაქრაძე 1864: 19-128). მაგრამ ეს გზა შემდგომ მუდმივად ზიანდებოდა და განუწყვეტელ შეკეთებას მოითხოვდა.

1860 წლის შემოდგომაზე ჯვარს და ენგურის ხეობას ცნობილი ქართველი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე ესტუმრა, რომელიც სვანეთში მიემგზავრებოდა. მან შედარებით ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა, რომლის გაცნობა ინტერესმოკლებული არ იქნება:

> 1860 წლის 9 სექტემბერს უკვე ჯვარში ვიყავი. ეს მეგრული სოფელი თვალწარმტაც ადგილას არის გაშენებული, ზედ ენგურის ხეობის შესასვლელთან. ხეობა 75 ვერსზე გრძელდება, სანამ პირველი სვანური სოფელი შეგვხდება. მდინარის ხეობა ვიწრო გასასვლელს წარმოადგენს და სიმწვანეშია ჩაფლული. გვხდება ბზა, მუხა და სხვა ხეები, ბევრია ბუჩქნარი. არაფერია უფრო მრისხანე ვიდრე ენგური. მდინარის კალაპოტი ვიწროა, დინება ჩქარი და ქაფიანი. წყლის მასა დიდი ძალით ეჯახება შიგ ჩაცვენილ კლდის ლოდებს. წყალს მუდამ მღვრიე ფერი აქვს და მას უამრავი მდინარე უერთდება. სამეგრელო – სვანეთის საზღვარი გადის ენგურის მარჯვენა შენაკად ეცზე, რომელიც ჯვარიდან 15 ვერსით არის დაშორებული. მოსახლეობა ხეობაში 10 ვერსზე იქით არ არის. ამ სოფელს ხუდონი ჰქვია და ჯვარის გაგრძელებას წარმოადგენს. აქ მდინარი ორივე მხარეს მეგრელთა ქოხებია აგებული, ხოლო ირგვლივ ღომი და სიმინდია დათესილი. ცოტა მოშორებით განცალკავებული სამოსახლოები მოსჩანს. ამ შემდეგ მოსახლეობა სრულებით არ გვხდება. მხოლოდ ხუბერშია ძველი კოშკი და ხეიშში (ხაიში, – პ. გ.) დანგრეული ძველი ეკლესია. მის გარშემო ნამოსახლარების კვალია და ირგვლივ ხეხილი. ხეობაში ფრინველებიც არ არის, მხოლოდ გამთენიისას თუ შეიძლება ჯიხვების ჯოგის ნახვა. ამაოდ ეძებ ქართულ მატიანეებში ცნობებს ენგურის ხეობის შესახებ. ქართველმა მეფეებმა კავკასიის ხევხუვებში თავიანთი კვალი ყველგან დატოვეს, მაგრამ ენგურის ხეობაში არაფერია. ეს მხოლოდ ამ ადგილის მიუვალობით თუ შეიძლება აიხსნას. სვანეთისაკენ მიმავალი გზა ენგურის მარცხენა მხარეს მაღლობზე გადის. ხან ზემოთ ადის ხან ქვემოთ ჩამოდის. კლდიანი ვიწრო ადგილების გასასვლელად საიმედო, მახვილი თვალი გჭირდება. გასაოცარია როგორ გაიარა რუსულმა რაზმმა 1858 წელს ეს გზა. ახალი გზა ხეობაში ქვეითმა ჯარმა საპიორების დახმარებით გაიყვანა. ეს გზა ჯერ ენგურის მარჯვენა, შემდეგ მარცხენა მხარეს მიუყვება და სვანეთში შესვლამდე

ისევ მარჯვენა მხარეს გადადის. უნდა აღინიშნოს, რომ გზა კარგად გაუკეთებიათ, ენგურზე და მის შენაკადებზე ხის მტკიცე ხიდებია აგებული. გზის დამთავრებას კიდევ ორი წელი მოუნდება. მე ენგურის ხეობაში 5 დღე ვიყავი და მუშაობა მიმდინარეობდა. უკვე სვანეთის პირველ სოფლამდე მისულები იყვნენ. ღამე ენგურის გაუთავებელი ღმუილი მოსვენებას არ გვაძლევდა (ბაქრაძე 1864: 19-23)(თარგმანი რუსულიდან ჩვენია, – პ. გ.)

1864 წელს ენგურის ხეობის ეს მონაკვეთი სვანეთიდან სამეგრელომდე გაიარა გეოგრაფ-ნატურალისტმა გუსტავ რადემ, რომელმაც ხეობის აღწერილობა დაგვიტოვა. მისი ცბობები ძალიან მნიშვნელოვანია ამ ხეობის რელიეფის და ფლორის შესწავლის თვალსაზრისით. რადემ და მის თანხმლებმა პირებმა ქვემო ლახამულას მახლობლად გაათიეს ღამე, შემდეგ კვაგიას ტყესთან მოუხდათ დაბანაკება. 21 ივლისს ისინი დიდ და ანკარა მდინარე ხაიშს მიადგნენ. აქ დასვენების მერე, 22 რიცხვში რადეს ჯგუფი მეგრელებით დასახლებულ სოფელ ხუბერში ჩავიდა. მოსახლეობა უმეტესად ენგურის მარჯვენა ნაპირას ცხოვრობდა. მოჰყავდათ სიმინდი, მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ. ენგურს აქ ორივე მხრიდან უერთდება შენაკადი ხუბე (ხუბერი, – პ.გ). 24 ივლისს მოგზაური გეოგრაფ-ნატურალისტი თანხმლებ პირებთან ერთად ხუდონისკენ გაემართა. უფრო ადრე ამ სოფლისკენ მისი ჯგუფის წევრები ვალბერგი და კასტენგი წავიდნენ. რადე აღნიშნავს, რომ ენგურის ხეობა თავის პირქუშ იერს ენგურის მარჯვენა შენაკად ეცისწყალის შემდეგ ჰკარგავს, რომელიც სვანეთ-სამეგრელოს მიჯნას წარმოადგენს. სოფელ ხუდონში ენგურზე გადებული ხიდის შემდეგ უკვე მრავლად არის ბზის ხეები. მისი ცნობით, ხუდონი დიდი სოფელია და მეგრული დასახლებების ყაიდაზეა გაშენებული. უსაკვამურო ხის სახლები უხეშადაა აშენებული, რომლებსაც ირგვლივ ვაზი აკრავს. ირგვლივ კი სიმინდის ყანები და სათიბებია, აქვთ ბოსტნები, მოჰყავთ თამბაქო და მრავლადაა ყვითელი ტყემალი. ხუდონიდან ჯვარისკენ მიმავალი გზა ენგურს მარცხნიდან მიუყვება. აქედან მდინარის კალაპოტი უკვე ფართოვდებოდა და მასში მომცრო კუნძულებიც იყო. წყალგამყოფი წულიშის მთიდან სოფელი ჯვარი მოსჩანდა, სადაც ენგურს მაგანა უერთდებოდა. აქ იდგა სამი ძმა დადიანების სახლები, რომლებიც დასახლებაში ყველაზე უკეთესი იყო. აქ რადე და მისი თანამგზავრები 28 ივლისამდე დარჩნენ. მისი ცნობით, ჯვარი და მიმდებარე ადგილები მშვენიერი სანახავია. ირგვლივ ბევრია სიმინდის ყანები. სვანეთის მხრიდან ზაფხულში გრილი ნიავი უბერავდა, რომელიც ზამთარში ხშირად ქარბუქად იქცევა. ჯვარს ჩრდილო-დასავლეთიდან ოხაჩქუეს (სათოხნი, – პ. გ.) ქედი აკრავდა, რომლის განშტოება ხუდონამდე აღწევდა. ამ ქედზე მშვენიერი ალპური საძოვრები ძმებ დადიანებს ეკუთვნოდათ. ჯვარიდან სამხრეთ-დასავლეთით ორი დიდი ხე იდგა, რომელიც დადიანთა სამამულო მიჯნას წარმოადგენდა. რადეს ცნობითვე, ჯვარში წინათ მეაბრეშუმეობას მისდევდნენ, რომლსაც ზუგდიდში ჰყიდნენ. მაგრამ მისი წარმოება უკვე მკვეთრად შემცირებულა. მისი ჯვარში ყოფნისას უკვე რვა წელი სრულდებოდა, რაც ვაზის დავადება (ფილოქსერა, – პ. გ.) იყო მოდებული. დავადებული იყო კანაფიც. ადგილობრივებს სიმინდი და თამბაქო ძირითადად თავიანთი საჭიროებისთვის მოჰყავდათ. მხოლოდ თურქები ყიდულობდნენ დადიანებისაგან ბზის ხეებს, რომელიც ანაკლიიდან ზღვით კონსტანტინოპოლში მიჰქონდათ (რადე 1865: 155-165).

1875 წელს სვანეთში იმოგზაურა ალექსანდრე სტოიანოვმა, რომელიც ენგურის ხეობის გავლით დაბრუნდა ქუთაისში. მისი აღწერილობა ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სვანეთისა და საკუთრივ ჩვენთვის საინტერესო ხეობის შესახებ. სტოიანოვმა თანხმლებ პირებთან ერთად სოფელ ლახამულიდან წამოსვლის მერე მდინარე „კაიშში“-თან (ხაიშურა) დაისვენეს. სტოიანოვი ასახელებს შემდეგ ადგილებს: რაკარის კლდეებს, „შულდერის მაღლობს“, „ხოდაჯუკას“, მდინარე ნაწისქვილს, შმილიაშს, ღელე ლეხერა-ლახორს. შემდეგ არ მისული მდინარე ხუბერამდე, სადაც ამავე სახელწოდების მეგრული სოფელი

არსებობდა, გადადიან ენგურის მარჯვენა მხარეს, სადაც მას და მის მხლებლებს მეგრელი გლეხი ქუტია ღომით და თაფლით უმასპინძლდება. ა. სტოიანოვი აღნიშნავს, რომ მას უჩვენეს რამდენიმე ადგილი, სადაც ოქროს მოპოვება ხდებოდა. შესანიშნავი ტყით დაფარული ტყაბედნიერის ვაკეში ადრე ოქროს მოიპოვებდნენ, ხოლო ეხლა კი ვინმე უთურია ჭანტურია ცხოვრობდა და მეურნეობას ეწეოდა. ენგურის მარჯვენა შენაკად ეცის (მოგზაური სხვა ადგილას ეცის წყალს უწოდებს) გადალახვის შემდეგ ისინი უკვე სამეგრელოში გადავიდნენ. ეს მდინარე სვანეთს და სამეგრელოს ენგურის მარჯვენა მხრიდან მიჯნას წარმოადგენდა. საღამოს ისინი ხე-ტყის დამამზადებელ საამქროში – „წისქვილში“ იყვნენ, სადაც ტრაპიზონელი თურქები მუშაობდნენ. აქ მათ გაიგეს, რომ ენგურს სოფელ ჯვართან ხიდი წაუღია და უკან დაბრუნება მოუხდათ, რომ გადასულიყვნენ ვაზისგან (ველური ვაზი? – პ. გ.) გაკეთებული საქანელა ხიდით. ენგურს აქ 40 საჟენი (დაახლოებით 80 მეტრი, – პ. გ.) სიგანე ჰქონია, ხოლო სიმაღლე 10 საჟენი. ეს საქანელა ხიდი ვაზის რტოებისაგან იყო დაგრეხილი, რომლის ბოლოები ბოძებზე იყო მიბმული, მორებით და ქვებით გამაგრებული. სტოიანოვის თქმით, ეს ხიდი საშინლად ქანაობდა. ამ ხიდიდან წინათ გადავარდნილა ტოპოგრაფი შაბანოვი და მდინარეში დამხრჩვალა. გადასვლის დროს მოგზაურებს ენგურის ზვირთებმა თვალები აუჭრელა და იქაური მაცხოვრებლების დახმარებით გადავიდნენ მარცხენა მხარეს. სტოიანოვმა და მისმა მხლებლებმა შემდგომ გაიარეს ერთი ადგილი. სადაც ქვის კედელი იყო გაკეთებული და კლდეში გაჭრილი იყო ბილიკი. მერე კი გამოჩნდა ნახევრად დანგრეული კოშკი „ოისკიდე“. უფრო ქვემოთ უკვე მოჩანდა „ენიაშ-ჯიხა“. ისინი ომუნეს მინდვრიდან უკვე ენგურის ფართოდ გაშლილ ხეობას ხედავდნენ. აქედან მოსჩანდა ჯვარში, მდინარე მაგანას ნაპირას მდგარი დადიანების სახლები. სოფელ „ხუბანში“ (გუბანი – პ.გ) მათ „რანგით“ (თაფლის არაყი) ადგილობრი გლეხი ჯოტია ქარდავა გაუმასპინძლდა. სტოიანოვს აქ დახვდნენ ჯვარელი დადიანები, ძმები ლევანი და ალექსანდრე. მიუხედავად მიპატიჟებისა, სტოანოვი ვერ გაჩერდა , რადგან მოგზაურს ზუგდიდში ეჩქარებოდა და მას დადიანებმა საპალნე ცხენები მიაშველეს. უკვე საღამოს ის სოფელ ლიაში იყო, სადაც ცხენები გამოცვალეს და ზუგდიდში მხოლოდ გამთენიისას მივიდნენ (სტოიანოვი 1876: 444-459).

სტოიანოვი „ოისკიდეში“, როგორც ჩანს, ოისინდეს გულისხმობს, რომელიც ენგურ-მაგანას წყალგამყოფზე მდებარე ადგილია, სადაც გადმოცემით ძველად ცხენით შეჯიბრი ანუ „ისინდუა“ იმართებოდა (ცხადაია 2015: 194). ოისინდეს სახელწოდებით აქვს დატანილი ჯვარის რუკაზე ეს ადგილი სიძველეთა ცნობილ მოამაგეს აკაკი ჭანტურიას, რომელიც წარმოშობით ჯვარის ახლოს მდებარე სოფელ ჩქვალერიდან იყო (ჭანტურია 1989: 177). შეიძლება გვეფიქრა, რომ ნანგრევებად ქცეულ კოშკში ლაბერაშის ადრეფეოდალური ხანის სიმაგრე იგულისხმება, რომელიც ასევე ენგურ-მაგანას წყალგამყოფზეა, მთა წულიშის სამხრეთით. ლაბერაშის//ლაბარას საფორტიფიკაციო ნაგებობა გასული საუკუნის 60-იან წლებში თამაზ ბერაძემ შეისწავლა და მისი დასკვნით ის ადრეფეოდალური ხანაში უნდა აეგოთ. შემორჩენილი იყო ქვით აშენებული კედელი (სიმაღლე 3 მეტრი, სისქე 1,5 მეტრი), რომელიც მთელ ქედს კვეთდა. ამ კედლიდან სამხრეთით, 40 მეტრის დაშორებით კი კოშკის ნანგრევი იყო, სიგრძით 5 მეტრი, სიგანით – 4 მეტრი, ხოლო სიმაღლე უკვე 3 მეტრზე შემორჩენილი. ლაბერში ქედს გაყოლებაზე ბილიკი მიჰყვება, რომლის ბოლოს კლდეკარია გაჭრილი (ბერაძე 1967: 218-219). მაგრამ ოისინდე ლაბარას სამხრეთს საკმაოდ არის დაშორებული და შესაძლებელია იქაც მდგარიყო საყარაულო კოშკი, თუმცა ა. ჭანტურიას ჯვარის რუკაზე კოშკის ნიშანი დატანილი არ არის.

სტოიანოვის მიერ დასახელებული „ენიაშ ჯიხა“ დღესაც დგას ჯვარის მახლობლად, სვანეთისაკენ მიმავალ გზის პირას. ამ ციხეს დღეს „ომუნეს ჯიხას“ (ომუნეს ციხე, – პ. გ.) ეძახიან. ა. ჭანტურიას რუკაზე ეს ციხე „ყენიაში ჯიხას“ სახელწოდებით არის დატანილი (ჭან-

ტურია 1989: 177). ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა საყარაულო კოშკია, რაც კარგად ჩანს 1934 წელს ა. ჯაფარიძის მიერ გადაღებულ ფოტოზე. 1982 წელს ნახევრად ჩამოქცეული ისტორიული ძეგლი ჩვეულებრივ კალატოზებს ,,აღადგინინეს", რის შედეგადაც სასიგნალო-საყარაულო კოშკის მაგივრად, ტიპიური სვანური თავდაცვითი კოშკი გამოვიდა. კოშკი მრავალსართულიანია და მისი ქვედა ნაწილი 5-6 მეტრის სიმაღლეზე მთლიანად მასიურია. თ. ბერაძის აზრით, რადგან ომუნეს კოშკზე სათოფურები არ შეიმჩნევა, ის ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანამდე, XV-XVI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული (ბერაძე 1967: 218-219). „ყენიაშ ჯიხას"-თან დაკავშირებით შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს გვარ ყენიასთან არის დაკავშირებული და ამ საგვარეულოს სიმაგრეს წარმოადგენდა. მაგრამ ეს საეჭვოდ გვეჩვენება. უფრო მართებული იქნება ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის სახელი ,,ყენ"-სთვის დაგვეკავშირებინა, რაც განცალკევებას, განცალკევებით მდგარს ნიშნავს (ქობალია 2020: 171). მართლაც. ერთი შეხედვით, ეს კოშკი დასახლება ჯვარიდან თითქოს განცალკევებულია. ომუნე ბურუსთან არის დაკავშირებული და წყალსაცავის აშენებამდე, მ. ჭანტურიას ინფორმაციით, ამ ადგილას ბურუსი ხშირად სცოდნია.

სტოიანოვთან დასახელებული გუბანი, სადაც მას გაუმასპინძლდნენ, ენგურ-მაგანას შესართავთან მდებარეობს და ჯვარისგან მდინარე მაგანა ჰყოფს. აქ შემორჩენილია ორი ძველი ეკლესიის ნანგრევები, რომლებიც რიყის და დამუშავებული კლდის ქანებით არის აგებული. მცირე ეკლესიებს: გუმბათოვანს და დარბაზული ტიპისას, გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მშენებლობაში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა და ადრეული ფენა, სავარაუდოდ, ადრე შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ამას გვაფიქრებინებს კვადრებად დამუშავებული კლდის ქანის ბლოკები. გუბანში არსებული ამ ისტორიული ძეგლის შესახებ საისტორიო წყაროებში ინფორმაცია ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. აბესალომ ტუღუშის აზრით, გუბანის ეს ეკლესიაა მოხსენიებული აფხაზეთის საკათალიკოსის დიდ იადგარის მინაწერში „ჯვარი პატიოსანისა" და „წმინდა გიორგის" სახელით (ტუღუში 1974). თუმცა, ვფიქრობთ, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობელისადმი შეწირული ჯვარი პატიოსნის და წმინდა გიორგის ეკლესიები, რომლებიც სოფელ ჭალაში იდგა, თანამედროვე აფხაზეთში, სოფელ ჭლოუში იდგა, სადაც ჯაიანების ფეოდალური საგვარეულო ცხოვრობდა, რომლებიც ამ მინაწერში არიან მოხსენიებული. სტოიანოვის გამასპინძლების მსურველი ჯვარელი დადიანები: ლევანი და ალექსანდრე ზემოთ ნახსენები ვამეხ დადიანის ძეები იყვნენ. ალექსანდრე ამ ამბიდან რამდენიმე წელიწადში რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობისას დაიღუპა (დუმინი, ჩიქოვანი 1998: 62).

სამეგრელოდან სვანეთისკენ მიმავალი გზა უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა მთისა და ბარის დამაკავშირებლად. ენგურის ხეობის ურთულეს მონაკვეთს, რომელსაც ეს გზა მიუყვებოდა, სვანები ლენხერის გზას ეძახდნენ (გაბლიანი 1925: 11). ამავე სახელწოდებით იხსენიებს მას სტოიანოვი. ზუგდიდიდან გზა ჯვარამდე მოდიოდა, ხოლო შემდეგ მდინარე მაგანას მისდევდა და ომუნეს//ყენიას კოშკის გავლით ენგურის მარცხენა მხარეს, მიუყვებოდა. 1964 წელს ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ გზაზე, მახსანიას გამოქვაბული გამოიკვლია და აღმოჩნდა, რომ მას სვანეთისაკენ მიმავალნი დროებით სადგომად იყენებდნენ (ბერაძე 1967: 218). არსებითად ეს გზა ბილიკი იყო, რომელიც 1858 წელს გაუფართოვებიათ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ერისთავის განკარგულებით (სტოიანოვი 1876:443). ეს გზა 1860 წლებში ადიდებულმა ენგურმა დაანგრია. ამ გზაზე რამდენიმე ხიდიც იყო: ნაწილი რუსი სამხედროების, ხოლო ზოგიერთი ადგილობრივის მიერ გაკეთებული (ბაქრაძე 1864: 19-25). ენგურის ხეობის ამ მონაკვეთზე სავაჭრო ურთიერთობა ჯვარელების და ლახამულელების ხელში იყო მოქცეული. ასევე ხშირი ყოფილა საძოვრების გამო დავა და საქონლის გატაცება. რადე აღნიშნავს, რომ ხუდონელ მეგრელ მწყემსს ლენტეხელებმა 500 ცხვარი წაართვეს, იმ საბაბით, რომ მათ კუთვნილ საძოვარზე აძოვ-

ებდა. ჯვარელებიც ჩიოდნენ სვანების თავდასხმებზე (რადე 1866: 156-165). კ. ბოროზდინიც აღნიშნავს, რომ საძოვრების გამო გამუდმებული დავები იყო. ე. გაბლიანის ცნობით 1852-1854 წლებში სვანებმა 10 ათასი წვრილფეხა პირუტყვი წაართვეს მეგრელ მეჯოგეებს (გაბლიანი 1927: 54).

ენგურის ხეობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ტოპონიმიკა თავის დროზე შეისწავლა პაატა ცხადაიამ, რომელმაც მოიარა მთიანი სამეგრელო, მათ შორის, ჯვარის მომიჯნავე ტერიტორიები, საიდანაც თავად იყო წარმოშობით. ქართული კალისტრატე სამუშიას ამ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კვლევა აქვს ჩატარებული. მათზე და ქართულ-მეგრულ ლექსიკონზე დაყრდნობით შევეცადეთ ხეობის მდინარეების, მთების და დასახლებების სახელწოდებების განმარტება მოგვეხდინა. ამ მხრივ ფასდაუდებელია ალიო ქობალიას გაწეული ღვაწლი, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაშრომი დაგვიტოვა მეგრული ლექსიკონის სახით.

XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ენგურის ხეობაში, სვანეთსა და სამეგრელოს შორის მიჯნა მეჩხერად დასახლებულ სოფელ ხუბერთან გადიოდა. რადეს ცნობით, მეგრელმა გლეხებმა აქ დასახლება მხოლოდ ჩუბეხეველი მურზაყან (კონსტანტინე) დადეშქელიანის ქონების კონფისკაციის შემდეგ შეძლეს. თუმცა მისივე ცნობით ძველი ნანგრევები მიუთითებდა, რომ აქ ადრეც ცხოვრობდნენ (რადე 1866: 156-165). 1842 წლის რუსულ რუკაზე, სანამ მურზაყან დადეშქელიანს ჩამოართმევდნენ მამულს, ხუბერი დასახლების პირობითი ნიშნით არის დატანილი (რუკა 1842). მდინარე ხუბერი დასახლებას ორ ნაწილად: ჟინი (ზემო) და თუდონი (ქვემო) ხუბერად ყოფდა (ცხადაია 2015: 307); (ჭკადუა 2020: 643). ტოპონიმი ხუბერი კომპოზიტი უნდა იყოს. კ. სამუშიას მიხედვით ხუვი//ხუ ხევია (სამუშია 1990: 129), ხოლო ბერი დიდ ქვას, ლოდს ნიშნავს (ქობალია 2020: 75). ხუბერის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ხევში ჩავარდნილი დიდი, დამხობილ ლოდს, რადგან მეგრულში სიტყვა „ხუ“ დამხობილსაც აღნიშნავს. ხუბერი 1877 და 1903 წლის რუსულ რუკებზე ხუბერჯალის სახელწოდებითაც არის დატანილი (რუკა 1877); (რუკა 1903), რომელიც ხუბერის ტყეს, კორომს შეესაბამება. ხუბერის ჩრდილოეთი არის მდინარე ბარჯაში, რომელიც ენგურს ერთვის. ეს სახელწოდებაც, შესაძლებელია, მეგრულს უკავშირდებდეს, რადგან ბარჯა ბრგეს ნიშნავს (ქობალია 2020: 85). ანალოგიურად კომპოზიტური ხორონიმი უნდა იყოს ხეობაში არსეული ყველაზე დიდი სოფლის სახელწოდება ხუდონი. მეგრულში დონიარელი და დონიარუა ნიაღვრით წალეკვას, დიდ წყალგადავლილს ნიშნავს. ხუდონი შესაბამისად იქნება ნიაღვარგადავლილი, წყალგადავლილი ხევი. საინტერესოა, რომ ხუდონი თავდაპირველად ერქვა ენგურისპირა დავაკებას (ცხადაია 2015: 307-308). ადიდებული ენგურის შემთხვევაში ასეთი წყალმოვარდნა და დატბორვა ხშირად იქნებოდა. შესაბამისად, დასახლების სახელწოდების ამგვარი გააზრება მართებულად გვეჩვენება. ხუდონში მდგარა დიდი ლოდი, რომელიც ამოჭრილი იყო და მას ქუალაგვანს, ანუ ქვა-ქვევრს ეძახდნენ, სადაც ლოცვა აღევლინებოდა (სამუშია 1990: 126). ხუდონის ერთ ნაწილში, რომელსაც ხოკოს უწოდებენ, შემორჩენილია საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთი. დღეისთვის ერთი მეტრზე შესამჩნევია ორი კოშკისა და მათ შორის არსებული გალავნის ნაშთი. შიგნით სხვა ნაგებობის კვალიც არის, რომელიც შესაძლებელია მომცრო დარბაზული ეკლესია ყოფილიყო. ხოკოს კოშკის ენგურ-მაგანას წყალგამყოფი ქედის ყველაზე ვიწრო ადგილას არის აგებული. იგი გადაჰყურებს ლეფიფიეს კოშკს, ლეფიფიეს კოშკი კი ლაბარას ციხე-სიმაგრეს. ამ არეალში იდგა შრდენის საყარაულო კოშკი ენგურის პირას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯვარის წყალსაცავმა დაფარა (ინფორმაციის მოგვაწოდებისათვის მადლობას ვუხდი მწერალსა და ჟურნალისტს მურად ჭანტურიას და წალენჯიხის მერიის კულტურის სამსახურის უფროს სპეციალისტს, ზურაბ სამუშიას). შრდენის კოშკი აკაკი ჭანტურიას მისეულ ჯვარის რუ-

კაზეც უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში აქვს დატანილი „შრდენის ჯიხას“ სახელწოდებით (ჭანტურია 1989: 175-177). შრდენი იგივე შავარდენია (ქობალია 2020: 834). შესაბამისად ქართულად სიმაგრის სახელწოდება „შევარდენის ციხე“ იქნება.

ენგურის მარჯვენა მხარეს სოფელი ფურაში არსებობდა, ენგურის შენაკად ბარბალაშის ხეობაში (ცხადაია 2015: 260). ფურაში ჩახურებულ ადგილს ნიშნავს, ხოლო ბარბალაში კი ბრუნვას, მორევიან მდინარეს უნდა უკავშირდებოდეს. ეს მდინარე დღევანდელ რუკებზე შეცდომით ლახუნძერას სახელწოდებით არის დატანილი. ის სათავეს იღებს ლახუნწარას წყაროდან, მთა ოხაჩქუეს ჩრდილოთ კალთიდან. ენგურის წყალსაცავის შექმნამდე მდინარეზე რამდენიმე ათეულ მეტრიანი ჩანჩქერი არსებობდა (ცხადაია 2015; 123). ხუდონის ჩრდილო ნაწილში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობდა დასახლება წფეში, რომელიც ა. ჯავახიშვილის რუკაზე რუსული რუკების გავლენით „ცეპეშის” სახელით არის დატანილი. წფეში წვრილს, ვიწროს ნიშნავს. ასეთივე შემთხვევასთან უნდა გვქოდეს საქმე მთა წულიშის შემთხვევაშიც, რომელიც ჯვარს გადმოჰყურებს. ეს თავწვრილა მთა ენგურ-მაგანას წყალგამყოფია. აქ გადის მერიდიანი, რომლის აღსანიშნავად რკინის რგოლი იყო გაკეთებული (ცხადაია 2015: 294). წალენჯიხა-მესტიის დღევანდელ მუნიციპალურ მიჯნასთან არსებობდა სოფელი კა. აქ ენგურს მარცხენა მხრიდან ერთვის შენაკადი კაშღალი (კას ღელე, – პ. გ.). კა სვანური სახელწოდებაა და ფიქალს ნიშნავს. დასახლება ტყვიში ხუდონის ჩრდილოეთით 2,5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა, ენგურის მარცხენა შენაკად ტყვიშისღალთან (ცხადაია 2015: 252). ტყვიში გადაბარდულ ტყეს ეწოდება. მის ჩრდილოეთით მომცრო დასახლება – ბუღურჯელი მდებარეობდა, რომელიც საქართველოს საზოგადო რუკაზე ბოგურჯელის სახელით არის აღნიშნული (რუკა 1931-32). სახელწოდება ხიდს, გადახიდულს, ხიდგადებულს უნდა უკავშირდებოდეს.

ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა სოფელი ტყაბედნიერი. მისი სახელწოდება ბედნიერ ტყეს უკავშირდება. დასახლება მდინარე ეცის ენგურთან შეერთების ადგილიდან ოდნავ ჩრდილოეთით იყო. კ. სამუშიას საინტერესო ცნობა აქვს ამ სოფელთან დაკავშირებით:

> ენგურის ხეობაში მდებარეობს ლამაზი ადგილი, რომელსაც ტყაბედნიერი – ტყებედნიერი ჰქვია. მთელს ამ ტერიტორიაზე ხეთა ღრუებში ვხვდებით კოლხური ფუტკრის თაფლით სავსე ფიჭებს. მეგონა რუხაიას ნაამბობით, დიდ-დიდი ხეების ქვეშ გადმოღვრილ თაფლს ნახავთ, რასაც მეგრულად „გოსარარნჯელი“ – გაგლესილი ეწოდება. ტყაბედნიერელები ასეთი ხისქვეშ თაყვანს სცემდნენ ამ ტყის ფუტკრის ღვთაებას – ჯგირაგუნას (წმინდა აგუნას) თაყვანს. აქ მლოცველებს მოჰქონდათ თაფლში შეზავებული და ბლის შეშის ცეცხლზე მოხარშული კვერი და სანთლის არაყი... ტყაბედნიერელები ლოცულობდნენ ახალი წლის მეორე (ფერხობა) დღეს დილით ენგურის ნაპირას „ფაშტახირის“ დავაკებაზე. აქ მლოცველები მოიტანდნენ ძირფართო და დიდ გოგრამწარას (მწარეკვახი), მას ყელის არეზე გაუკეთებდნენ ნახვრეტებს, მათზე იმდენივე წვრილად ჩამოქნილ სანთლებს დაასობდნენ და აანთებდნენ. უხუცესი მამაკაცი აიღებდა მას და ლოცვით მიმართავდა მდინარე ენგურს. მიმართვაში გადმოცემული იყო აზრი, რომ მას ზიანი არ მოეტანა, მოსალოდნელი ყოველივე სიავე წყალს წაეღო... (სამუშია 1990:125).

ენგურისპირა დავაკება ფაშტახირი ფოთლოვანი ტყის ნაკაფს, ნატყევარს, ახოს ნიშნავს (ქობალია 2020: 561).

ხუდონის თემში შედიოდა მუნწყვა. სახელწოდება მომდინარეობს მუნწიდან. ეს არის უნიჟარო ლოკოკინა, იგივე ლალის ჭია (ქობალია 2020: 420), რომელიც სპეციფიკურ სუნს გამოსცემს და რამდენიმე ათეულ მეტრზე მძაფრად იგრძნობა. რუკებზე აღნიშნული ადგილი ქველეთონა ნორჩ თხმელნარს ნიშნავს. დიგორხან დადეშქელიანის წერილში ნახ-

სენები „ცხვიმზაგალა“, სადაც, მისი მტკიცებით, გადიოდა ჩუბეხეველ დადეშქელიანებისა და ჯვარელი დადიანების სამამულო მიჯნა, სვანური სახელწოდებაა და რცხილნარ ზეგანს ნიშნავს. ეს იგივე ცხიმურონია (რცხილნარი), ტყიანი გორა მდინარე წყარგიმალაფუსა (ენგურის მარცხენა შენაკადი, დღევანდელი ხუდონის სატყეო) და წფეს შუა, მთა თეკანაშის სამხრეთ კალთაზე (ცხადაია 2015: 288). ეს რცხილნარი ხუდონის სატყეო უბნის ჩრდილოეთ ნაწილშია მოქცეული.

მდინარე ენგურს ჯვარსა და სოფელ ხაიშს შორის ორივე მხრიდან მრავალი შენაკადი უერთდება. ამ მდინარეთა სახელების წარმომავლობის დადგენა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება. ჯვართან ენგურს მარჯვენა მხრიდან მაგანა უერთდება. მდინარის კალაპოტი ნამგალივით მოხრილია და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ნამგალს მეგრულად მაგანა ჰქვია. ჩრდილოეთით, ენგურს მარცხენა მხრიდან ერთვის შენაკადი, რომელიც საქართველოს საკადასტრო და სხვა რუკებზე შეცდომით ლახუნძერას სახელწოდებით არის დატანილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მდინარე ბარბალაშია და მისი სახელწოდება ბრუნვა//ტრიალს უნდა უკავშირდებოდეს. ბრუნავს ან ტრიალებს მეგრულად არის იბარბალ (ქობალია 2010). ლახუნძერა ლახუნწარათი უნდა გასწორდეს და ის რუკებზე დატანილი უნდა იყოს შესაბამის ადგილას ანუ სათავესთან. ხოლო შენაკადი რუკებზე უნდა აღინიშნოს ბარბალაშის სახელით. ლახუნწარას სახელწოდება კენკროვან მცენარეს, ამ შემთხვევაში, ხუნწს, იგივე მოცხარს უნდა უკავშირდებოდეს. ბარბალაშის ჩრდილოეთი არის ენგურის შენაკადი, რომელიც დღევანდელ რუკებზე ნაბორძალის სახელით გვხდება. ნაბორძალი ტყე და საძოვარია ენგურის მარჯვენა მხარეს. მისი სახელწოდება მეხს უკავშირდება და მეგრულში გამოთქმაც არსებობს: „ბორზალ ქიგენთხაფედას“ ანუ მეხი დასცემოდესო. აქედან იღებს სათავეს მდინარე ხობანეღალი. შესაბამისად, ნაბორძალი//ნაბორზალი, რუკებზე უნდა აღინიშნოს როგორც ხობანეღალი. პ. ცხადაია ხობა//ხობანეს რესპოდენტზე დაყრდნობით ციცაბო კლდეს, დამეწყრილ ფერდობს, ასევე ჩავარდნილ ადგილს უკავშირებს (ცხადაია 2015: 306). მეგრულში ხომაკირდე სიპ, უწყლო კლდეს ნიშნავს (ქობალია 2020: 408).

ენგურის მარჯვენა მხარეს წალენჯიხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებს მიჯნავს მდინარე ეცი. ეცი სათავეს იღებს აბქვაცის მთიდან და ენგურს მარჯვნიდან ერთვის. მისი შენაკადია ოკალმახე ანუ საკალმახე. ეცთან ერთად გამოიყენება სახელწოდება ეიცი. შესართავის ქვემოთ ძველად ენგურზე ხიდი იყო გადებული და მას „ეცის ხინჯს“ (ეცის ხიდს, – პ. გ.) უწოდებდნენ (ცხადაია 2015: 90). 1861 წლის სამეგრელოს რუსულ რუკაზე ეს მდინარე „ეიც კვარას-სახელწოდებით არის დატანილი (რუკა 1861). სამეგრელოში პირუტყვის გასარეკად, დასაძახებლად გამოიყენება შეძახილი „ეიც“ (უფრო თხასთან მიმართებით). ენგურის ხეობის ამ მონაკვეთის საძოვრებზე მეთხევეობაა მესაქონლეობის უმთავრესი დარგია, – პ. გ). შესაძლებელია, მდინარეს ასეთი უცნაური სახელი მწყემსებმა დაარქვეს. რაც შეეხება ჰიდრონიმის მეორე ნაწილი – „კვარა“, რომელიც მხოლოდ ერთ რუკაზეა დაფიქსირებული, ქობალიას ლექსიკონით გულმკერდის არეში სხეულის ნაწილს ნიშნავს. ძნელი სათქმელია, რა შუაშია ეს მდინარის სახელწოდებასთან. 1877 წლის კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიულ 5 ვერსიან რუკაზე ეიცის ენგურთან შერთვის ადგილას მონიშნულია ოქროს საბადო (რუკა 1877).

ენგურს მარჯვენა მხრიდან უერთდება შენაკადი ჩხინა. ეს უკვე მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა. ამ მდინარის სახელწოდება რჩხინა უნდა ყოფილიყო. პ. ცხადაიას რესპოდენტისაგან ჩაწერილი აქვს, რომ ამ მდინარის ხეობაში არსებულ ხშირ ტყეში რჩხინას ანუ ისლის სახურავისთვის ლარტყას, სამაგრ ჭოკებს ამზადებდნენ (ცხადაია 2015: 222, 283-284). მდინარის სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს. 1861 წლის რუკაზე ეს მდინარე „კიბოს“ სახელწოდებით არის დატანილი. ეს სახელწოდება მთა აკიბოდან მომდინარეობს, საიდანაც იღებს სათავეს. 1877 წლის რუკაზეც ეს მდინარე კიბოს

სახელწოდებით გვხდება (რუკა 1877). საქართველოს სსრ საზოგადო რუკაზე ეს შენაკადი ჩხიპას სახელით არის აღნიშნული, რაც შეცდომაა. ჩხინას ჩრდილოეთით არის მდინარე გველეთონა (ენგურის მარჯვენა შენაკადი). 1861 წლის სამეგრელოს რუკაზე ეს მდინარე აკარმარას სახელით არის დატანილი. ა. ქობალიას ლექსიკონით „გვალათონა“ მთაგორიანს ნიშნავს. უფრო ჩრდილოეთით ენგურს მარჯვნიდან უერთდება შენაკადი, რომელიც თანამედროვე რუკებზე განდიშჩელის სახელით არის მონიშნული, რაც ასევე შეცდომაა. ამ მდინარეს „ღანჯისღალი“ ანუ ჟანგიანი ღელე. ის სათავეს იღებს ამავე სახელწოდების მთიდან. სახელი მომდინარეობს ჟანგისფერი შეფერილობის კლდიდან (ცხადაია 2015). უფრო ჩრდილოეთით ენგურის მარჯვენა შენაკადია ლარაკვაკვა სოფელ თოთანასთან (მესტიის მუნიციპალიტეტი). ლარა სწორს ნიშნავს, კვაკვა კი კოხტას.

ენგურის მარცხენა მხარეს არის გაშენებული სოფელი ხაიში, რომელიც ამავე სახელწოდების თემის ცენტრს წარმოადგენს. ეს სოფელი ე. გაბლიანის ცნობით, XX საუკუნის დასაწყისში დაარსეს ლახამულელებმა. ეს დასტურდება 1903 წლის რუსული რუკითაც, სადაც დასახლება ჯერ კიდევ არ არის მონიშნული. ამ რუკაზე ხაიშის ადგილას ენგურს მარცხნიდან ერთვის შენაკადი თხეიში (რუკა 1903). 1926 წლის სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკაზე უკვე არის ხაიში „ხაიშტის“ სახელწოდებით დატანილი, ხოლო მდინარეს კვლავინდებურად თხეიში ჰქვია (რუკა 1926). ა. ჯავახიშვილის საზოგადო რუკაზე აღნიშნულია ხაიში და მდინარე ტყეიში (რუკა 1931-32), რაც შეცდომაა და უნდა იყოს თხეიში. 1937-1941 წლის სამხედრო რუკაზე აღნიშნულია ხაიში და მდინარე თხეიში (რუკა 1937-1941). მხოლოდ შემდგომი ხანის რუკებზე თხეიში უკვე ხაიშურას ფორმით არის დატანილი. ენგურის ამ მარცხენა შენაკადის სახელი ეგრისის ქედის მწვერვალ და მყინვარ თხეიშდუდის სახელთან არის დაკავშირებული, საიდანაც იღებს სათავეს. თხეიშდუდი თხისთავას შეიძლება დავუკავშიროთ. საფიქრებელია, რომ თხეიშიდან ნაწარმოები უნდა იყოს სოფლის სახელწოდება – ხაიში. ამ უკანასკნელიდან კი ხაიშურა მივიღეთ. ხაიშის თანადროულად გაჩნდა დღეისთვის მის თემში შემავალი სოფლები: თოთანა (ისთოთანა), ლებურცხილე, შგედი, ნალქორვალი, ციცხვარი, იდლიანი, სკორმეთი და ა.შ.

ხაიშის სამხრეთ-დასავლეთით ენგურს მარცხნიდან ერთვის შენაკადი ლეხერა. ეს სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ხევისგან. ა. ქობალიას ლექსიკონის მიხედვით ლეხერა არის ტყიანი, კლდოვანი ხეობის ნაწილი. სამხრეთით თოთანასთან ენგურის მარცხენა შენაკადია ჯოღორნაშუმა წყარი, რაც სიტყვა-სიტყვით ძაღლის ნასვამს, დალეულს ნიშნავს. თუმცა პ. ცხადაია ამ ჰიდრონიმის წარმომავლობას პიროვნებას უკავშირებს: „ადგილი სადაც ჯოღორია დათვრა“ (ცხადაია 2015: 319). ამ შენაკადის ქვემოთ ენგურს მარცხენა მხრიდან ერთვის ბარჯაში, სადაც ამავე სახელწოდების მცირე დასახლებაა. სახელწოდების წარმომავლობა უცნობია. რადეს ეს შენაკადი ბარჯიაში ფორმით აქვს მოხსენიებული. ზოგადად მეგრულში ბარჯა ბრგეს მიემართება, ასევე კაცის სახელადაც გვხდება. ბარჯაშის ქვემოთ არის შენაკადი ხუბერი, რომელიც ნასოფლარ ხუბერთან უერთდება ენგურს. ხუბერის ეტიმოლოგიის საკითხი ზემოთ განვიხილეთ. მესტია-წალენჯიხის მუნიციპალიტეტების მიჯნა დღეისთვის გადის ენგურის მარცხენა შენაკადთან კაშღალის ოდნავ ზემოთ, ურულაფუს მთის ქედზე, რომელიც მდინარემდე ეშვება. კა სალი კლდეებია, საიდანაც კაშხალი სათავეს იღებს. სახელწოდება სვანური წარმოშობისაა და ფიქალ ქვას ნიშნავს. კა დასახლება იყო (ცხადაია 2015: 103, 106), რომელიც რუკებზეც არის აღნიშნული. მეგრულში კლდეს კირდე ჰქვია, ხოლო კლდოვან ადგილს ოკადარე, ლაკადა (ქობალია 2020: 408). 1861 სამეგრელოს რუკაზე აღნიშნულია დასახლება მამიშურა, რომელიც სხვა რუკებზე არ გვხდება.

რაც შეეხება მთების სახელწოდებებს, ზემოთ ვახსენეთ მთა წულიში, რომელიც ჯვარს გადმოჰყურებს და მას წაწვეტებული კონუსის მოყვანილობა აქვს, საიდანაც შეერქვა სახელი. ენგურის მარჯვენა მხარეს ოხაჩქუეს მთა არის აღმართული, რომლის სახელწოდე-

ბა თოხნას უკავშირდება. ხალხური სამეურნეო ტრადიციით, სანამ ამ მთის ალპურ ზოლში თოვლი არ არის გამდნარი, მანამდე სიმინდის დათესვა შეიძლება. წალენჯიხა-მესტიის მუნიციპალიტეტების მიჯნაზე არის მთა ურულაფუ. სახელწოდება დაკავშირებულია ისეთ ადგილთან, სადაც ვერ ირბენ. მთა ალიშის//ჭითა ალიშის სახელი მზის პირველი სხივებით განათების გამო დაერქვა, ვერჩეს კი მოთეთრო მოვერცხლისფრო შეფერილობისათვის.

ხეობის მთავარი ჰიდრონიმია ენგური. მისი სახელწოდების წარმომავლობა ჯერ კიდევ დასადგენია. ძველ ქართულ მწერლობაში ეს მდინარე ეგურის ფორმით არის მოხსენიებული. მეგრულად ამ მდინარეს ინგირი ჰქვია. დღეს მდინარის სახელწოდებად სვანეთში გამოიყენება ენგური, თუმცა ნიკო მარის ცნობით, საუკუნის წინ სხვა ვითარება იყო:

> ენგური ზემო სვანეთში არ იხმარება ამ მდინარის სახელად. სვანები ამ მდინარეს უბრალოდ უწოდებენ წყალს ანუ სვანურად ჭალე (ჭალაი). ამ მდინარეს ენგური ეწოდება მხოლოდ სამეგრელოში და მას ეს სახელი აქ მოსახლე ტომისგან უნდა მიეღო. სახელწოდება ენგური (მეგრულად ინგირი), ან როგორც ქართველები უწოდებენ ენგური, სვანებს შეთვისებული აქვთ: ზემო სვანები მას უბრალოდ მდინარეს, ჭალას, ჭალაის ეძახიან, ხოლო ქვემო ენგურისპირა სვანეთში შესაბამის ადგილობრივ სახელს (მარი 1913: 2).

მარის ცნობითვე მდინარე ცხენისწყალს სვანები ლაშვირს ეძახდნენ (მარი 1913: 1). უფრო ადრე, მსგავს ცნობას გვაწვდის ა. სტოიანოვი:

> სვანეთში საკუთარი სახელი არ აქვს (ენგურს უწოდებენ სამეგრელოში). არამედ უწოდებენ ჭალას (წყალი, მდინარე): ზემო წელზე ენგურს ჰქვია: მუჟალ ჭალა (მუჟალ ლიცი-წყალი), შუა წელზე მულახ ჭალა (მულხრე ჭალა), ქვემოთ მესტია ჭალა (სტოიანოვი 1876: 273).

ენგურის მეგრული სახელწოდების ინგირის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული იოსებ ყიფშიძეს. მისი აზრით, ინ-გირის (ენგურის) სიტყვის ძირი არის გრ, რომელიც ეგრის უკავშირდება და ენგური//ინგირი სამეგრელოს უნდა აღნიშნავდეს. მას ხალხური ეტიმოლოგიაც მოჰყავს, რომლის თანახმად ინგირი (ენგური) უკავშირდება სიტყვებს „ცინ“- ყინულს, ყინულივით ცივს და „გირს“ – წრუქს, შრატს. ყიფშიძის აზრით, ხალხურ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს მდინარე მღვრიე შეფერილობა, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც თოვლის დნობას იწყებს. ამასთან დამატებით ყურადღებას ამახვილებს *gh* ძირზე, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს მეგრელების თვითსახელწოდება მარგალს და არგვეთის მხარეს (ყიფშიძე 1914: 217-218).

ჯ. სამუშია არსებითად ეთანხმება ი. ყიფშიძის მიერ მოძიებულ ხალხურ გადმოცემას მდინარის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ამასთან მას მიაჩნია, რომ ენგურმა სახელი დაუმკვიდრა წყალ-ღვთაება ერგეს, რომელისგანაც შემდგომ მხარეს დაერქვა ეგრისის სახელი (სამუშია 1990: 125-128).

ი. ყიფშიძის მიერ დაფიქსირებული ენგურის ხალხური ეტიმოლოგია ძალზე საყურადღებოა. სამეგრელოს მდინარეების: ინწრას, ინჩხურის სახელწოდებები აშკარად ყინულივით ცივს – „ცინ“-ს უკავშირდება: ინწრა – ცინწყარი, ინჩხური-ცყინულივით ცივი. ენგურთან იგივე ინგირი ასეთივე კომპოზიტური ჰიდრონიმია. მისი მეორე ნაწილი „გირი“ ჩვენ ყიფშიძის გადმოცემული ხალხური ვარიანტის მიხედვით წრუქს, შრატს ვუკავშირებთ. მაგრამ მეგრულში არის სიტყვები: მონგირი და მონგირება, რომელიც ა. ქობალიას მეგრული ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ზღვის მონაგორები, გამორიყული, ქვების მოყრა, მოზღვავებული. შესაძლებელია გირი მოზღვავებულ წყალს უკავშირდებოდეს. ეს ბობოქარი მდინარე წყლის სიჭარბით გამორჩეულია. მეგრულში დღემდე არსებობს გამოთქმა „გერანუას“, თოვლის სახით უხვი ნალექი მოსვლის აღსანიშნავად.

დამოწმებანი

ადმინისტრაციული დაყოფა 1930: საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა.

აქტები 1888: Акты,собранные Кавказскою археографическою комиссиею: том XI, Тифлис.

ბაქრაძე 1864: Д. Бакрадзе, *Сванетия*. Записки Кавказского отдела императорского Русскаго географическаго общества, VI, Тифлис.

ბერაძე 1967: თ. ბერაძე, *ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.),* ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია.

გაბლიანი 1925: ე. გაბლიანი. *ძველი და ახალი სვანეთი*, ტფილისი.

გაბლიანი 1927: ე. გაბლიანი. *თავისუფალი სვანეთი*, ტფილისი.

გამახარია 2005: Материалы по Церковной и этнополитической истории Абхазии, для издания подготовил Дж. Гамахария, Тбилиси.

გილევი 1863: В. Гилев, о Сванетии. *Горный журнал*, N4 .

დუმინი, ჩიქოვანი 1998: С. Думин, Ю. Чиковани. *Дворянские роды Российской империи*, т. 4. СПБ.

თორდია 2023: ა. თორდია, მასალები ენგურის ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, *კრებსი*, N5.

ინგოროყვა 1941: პ. ინგოროყვა, *სვანეთის საისტორიო ძეგლები*, 2, თბილისი.

მარი 1913: Н. Марр. *Из поездок в Сванию*, Христианский восток, т. II, вып. 1, Санкт-Петербург.

რადე 1866: Г. Радде, Путешествие в Мингрельских Альпах и в трех их верхних продольных долинах (Рион, Цхенис-Цкали и Ингур), *Записки Кавказского отдела имп. Русского географического обшества,* к. VII, вып. I, Тифлис.

რუკა 1925: სვანეთის ადმინისტრაციული-გეოგრაფიული რუკა, *საქართველოს სსრ სახ. გამომცემლობა,* ტფილისი.

რუკა 1926: Военно-топографическая пятиверстная карта Кавказского края 1926 года. http://www.etomesto.ru/map-atlas_5-verst-kavkaz/?y=42.930452&x= 42.184903 (ნანახია: 12.10.2025)

რუკა 1842: Карта Кавказского края генеральный штаб отдельнаго Кавказского корпуса Тифлис.

რუკა 1877: Военно-топографическая пятиверстная карта Кавказского края 1877 года.

რუკა 1903: *Дорожная карта Кавказского края 1903 года*. http://www.etomesto.ru/map-kuban_dorozhnaya/?y=43.059093&x=42.664541 (ნანახია: 12.10.2025)

რუკა 1931-32: *საქართველოს სსრ საზოგადო რუკა*, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ტფილისი.

რუკა 1937-1941: *Карта РККА Кавказа, Кубани и южного Поволжья*, пятикилометровка 1937-1941 гг. (ნანახია: 12.10.2025) http://www.etomesto.ru/map-rkka_ug-5/?y=42.935120&x=42.290818

სამუშია 1990: კ. სამუშია. *ქახთული ზეპიხსიტყვიერება*, მეგრული ნიმუშები.

სოსელია 1990: ო. სოსელია. *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადობი),* წ. 3, თბილისი.

სტოიანოვი 1876: А. Стоянов, Путешестие по Свантии, *Записки Кавказского отдела императорского Русскаго географическаго обшества*, к. X, вып. 2, Тифлис.

ტუღუში 1974: ა. ტუღუში, საინტერესო ისტორიის მქონე, *გაზეთი ენგურის ჩირაღდანი* N22, 8, VI.

ქობალია 2020: ა. ქობალია. *ქართულ-მეგრული ლექსიკონი,* თბილისი.

ყიფშიძე 1994: ი. ყიფშიძე. *რჩეული თხზულებანი,* თბილისი.

ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, Граматика Мингрельскаго (Иверскаго) языка. *Материалы по яфетическому язикознанию*/ VII, Санкт-Петербург.

ცხადაია 2015: პ. ცხადაია. *წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი* (შევსებული გამოცემა), თბილისი.

ჭანტურია 1989: ა. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, *თსუ შრომები,* ისტორიის სერია, N283.

ჭკადუა 2020: ა. ჭკადუა. *სვანური ტოპონიმიკა*, თბილისი.

ON THE HISTORICAL AND HISTORICAL-GEOGRAPHICAL PAST OF THE ENGURI VALLEY

(ALONG JVARI, THAT IS, THE ENGURI RESERVOIR)

Papuna Gabisonia
TSU, Ivane Javakhishvili Institute of
History and Ethnology,
gabisoniapapuna@yahoo.com

The Enguri, one of Georgia's major rivers, originates in Upper Svaneti. Near the village of Jvari, the river is dammed by one of the largest hydroelectric structures in the world. After the reservoir was filled, the villages that had previously existed in this area disappeared beneath its waters. Historically and geographically, this section of the Enguri Gorge is of particular interest, as it marks the boundary between two historical regions of Georgia: Samegrelo and Upper Svaneti. Today, the administrative border between the municipalities of Tsalenjikha and Mestia runs through the Enguri Reservoir.

Since ancient times, a road passing through this area led toward Upper Svaneti, connecting the mountainous region of the western Caucasus with the Colchian lowlands. Although numerous historical and archaeological monuments are found here, written records about the Enguri Gorge are scarce. The earliest references date back only to the seventeenth century.

Information about later periods can be found in the works of nineteenth-century authors such as D. Bakradze, A. Stoyanov, and Rades. In one section of the Enguri Valley, a dispute arose between the Dadiani nobles of Jvari and the Dadeshkeliani family of Svaneti. The valley, characterized by its mountainous terrain, contains many tributaries flowing into the reservoir. In this study, we have attempted to correct the names of settlements and rivers that are inaccurately represented on modern maps, while also explaining the meanings of the Megrelian toponyms preserved in the area.

The main settlement in the valley is Jvari, where the Magana tributary joins the Enguri River. A watchtower stands in the nearby village of Omune, and the remains of two old churches have survived in the settlement of Gubani. The principal village of the valley was Khudoni, alongside the smaller settlements of Khoko, Furashi, Tspheshi, Kaa, Bogurjeli, Tkyishi, and Muntsqwa. Local rivers include Barbala, Tkyishisghali, Khobaneqali, Etsi, Rchkhrina, Kashghali, Gveletona, and Ganjishghali.

The Megrelian name of the main river, *Ingiri* (Enguri), is, in our view, associated with the idea of swollen, icy-cold water – perhaps reflecting the river's frequent floods before the construction of the Enguri Hydroelectric Power Station. The name of the Magana River, on the other hand, may be linked to the beaver *(magana)*, as its channel resembles the animal's typical habitat.

Although the valley contains relatively little arable land, several branches of agriculture were practiced here: wheat, fruit, and vegetable cultivation. Livestock breeding – especially of cattle, goats, sheep, and pigs – was the primary occupation. The surrounding mountains provided rich pastures, and active trade was maintained between Jvari and the Upper Svanetian village of Lakhamul.

ქალები მომთაბარულ საზოგადოებაში: წყაროთა ცნობები ყივჩაღი ქალების შესახებ[1]

ნინო კაკალაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ninokakalashvili1121@gmail.com

ქართველთა და ყივჩაღთა ურთიერთობები რამდენიმე საუკუნეს მოიცავს. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა მათთან ურთიერთობებს ახლდა გარკვეული სირთულეებიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში უმეტესად შესწავლილია ყივჩაღთა ჩამოსახლების მიზეზები, მათი საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების საკითხი, მათი ურთიერთობები საქართველოს მეფეებთან. კვლევები მოიცავს ძირითადად პოლიტიკურ და სამხედრო სფეროს, არის კვლევები, აგრეთვე, მათ სოციალურ იერარქიასა და რწმენა-წარმოდგენებზე, თუმცა ყივჩაღ ქალთა შესახებ ძიებანი ქართულ ისტორიოგრაფიაში არ გვხვდება. ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას, პირველი ის, რომ გენდერის კვლევებს არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს და ისტორიკოსები ნაკლებად ეხებოდნენ ქალთა ისტორიის გამოკვლევას. მეორე მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის წარმოდგენილი ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებისა და მათი ქართველებთან ურთიერთობის მონოგრაფიული კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ, რელიგიურ, კულტურულ, ისე გენდერულ კვლევებს.

აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ შესავსებად ქვემოთ წარმოვადგენთ ყივჩაღი ქალების შესახებ არსებულ ისტორიულ ცნობებს და ვიმსჯელებთ ქალთა როლზე მომთაბარულ საზოგადოებაში.

საქართველოში მცხოვრები ყივჩაღების შესახებ ქართული წყაროები დიდ ინფორმაციას არ გვაწვდიან. წყაროები უმეტესად აღწერს სამხედრო-პოლიტიკურ სფეროს და ყივჩაღ ქალთა შესახებ ცნობები იმდენად მწირია, რომ არ გვაძლევს ამ საკითხის დეტალური კვლევის საშუალებას. ამ დანაკლისს გარკვეულწილად ავსებს უცხოური წყაროები. კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მასალები და ყივჩაღთა ქვის ქანდაკებები. საინტერესოა, აგრეთვე, გავითვალისწინოთ ცნობები სხვა მომთაბარე ხალხთა შესახებ და შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვსაზღვროთ ქალთა როლი ყივჩაღთა მომთაბარულ საზოგადოებაში.

საყოველთაოდ ცნობილია და არაერთხელაც არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ მომთაბარეთა ცხოვრების წესი განსხვავდება ბინადარი ცხოვრების მქონე საზოგადოებისაგან (რუბრუკვისი 1942); (კარპინი 1942); (გოლდენი 1984); (ბართი 1961). მათ უწევთ ხშირი გადაადგილება და საცხოვრებლის ცვლა, რაც განაპირობებს განსხვავებებს მათგან, ვინც მუდმივად ერთ ადგილას არის დასახლებული. შუა საუკუნეების მომთაბარულ საზოგადოებაშიც ქალის მდგომარეობა შედარებით განსხვავებულია.

დავითის ისტორიკოსის მიხედვით ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებას წინ უძღოდა დავითის ქორწინება ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ქალიშვილზე გურანდუხტზე. მემატიანე აღნიშნავს:

> რამეთუ პირველ მრავალთა წელთაჲსა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაღთა უმთავრესისა, ათრაქა შარაღა-

ნის ძისაჲ, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოისა – ამისთჳსცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაღთა და სიმამრსა თჳსსა (მეტრეველი 2008: 319).

დავითის ქორწინების თარიღთან დაკავშირებით მ. წურწუმია აღნიშნავს რომ ეს შეიძლება მომხდარიყო 1104 წლის ბოლოს ან 1105 წლის დასაწყისში (წურწუმია 2012: 180). ძნელია ზუსტად იმის თქმა, თუ როდის ჰქონდა ადგილი აღნიშნულ ქორწინებას. თუმცა როგორც დავითის ისტორიკოსი მიუთითებს, ქორწინება ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებამდე მოხდა, რომელიც დათარიღებულია 1118-1120 წლებით (ჯავახიშვილი 1983: 183). შესაბამისად, ქორწინების თარიღი 1118 წლამდეა საძიებელი. დავითს გადაწყვეტილი ჰქონდა ყივჩაღთა ჩამოსახლება და ყივჩაღთა მთავართან დინასტიური კავშირის დამყარება ხელს შეუწყობდა მათთან მოლაპარაკებას საქართველოში დასახლების შესახებ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ (მესხია 1986: 36); (მეტრეველი 1990: 175). ყივჩაღებისთვის პოლიტიკური ნიშნით დინასტიური კავშირების დამყარება უცხო არ ყოფილა. იბნ ალ-ასირის ცნობით, განძის მმართველი ქუშხარა ყივჩაღთა ხანის ქალიშვილს ირთავს ცოლად და მძევლებსაც იტოვებს მათი ერთგულების უზრუნველსაყოფად (სილაგაძე 1987: 77). ასეთ კავშირებს ისინი სხვა სახელმწიფოთა თვალში ნდობისა მოპოვების მიზნით მიმართავდნენ. დინასტიური კავშირები ყივჩაღებმა დაამყარეს უნგრეთთან და ბულგართა მეორე იმპერიასთან. სიმონ კეზაელი ლასლო IV-ს უწოდებს კუნს, „Naratio rerum per Ladislaum cunum“[2] (კეზაელი 43). მეფე ლასლო IV-ის ასეთი ზედწოდება განპირობებულია მისი ყივჩაღური წარმომავლობით, მამამისი, იშტვან V, დაქორწინებული იყო ყივჩაღი მთავრის ქალიშვილზე (ენგელი 2001: 105). მაგისტრი როჯერის ცნობით, ყივჩაღებს უნგრეთში დასახლების შემდეგ შეეძლოთ უნგრელებთან ქორწინება (როჯერი 2010: 155). მემატიანე აქ მხოლოდ უნგრეთის სამეფო ოჯახსა და ყივჩაღთა მთავრის ოჯახს არ უნდა გულისხმობდეს, არამედ სხვა ყივჩაღ დიდებულებსაც. ბულგართა მეორე იმპერიის იმპერატორ იაონიცას, რომელიც, აგრეთვე, ცნობილია კალოიანის სახელით, ყივჩაღი ცოლი ჰყავდა (მადჯირუ 2017: 171). დინასტიური კავშირების დამყარებით მხარეები ურთიერთობების განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.

ყივჩაღ ქალთა შესახებ ზოგადი ცნობა წარმოდგენილია, აგრეთვე, დავითის ისტორიკოსის თხზულებაში. იგი აღნიშნავს: „ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა ყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი“ (მეტრეველი 2008: 320). ამ ცნობიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაღები თავიანთი ოჯახებით ჩამოუსახლებია. ახალ ტერიტორიაზე დასასახლებლად ყივჩაღები თავიანთი ოჯახების გარეშე არ წავიდოდნენ. ყივჩაღთა რაზმებს რომ ოჯახები თან ახლდათ, ამის შესახებ აღნიშნულია უცხოურ წყაროებშიც. იბნ ალ-ასირიც აღნიშნავს მონღოლთაგან დევნილი ყივჩაღების შესახებ, რომელთაც ოჯახებთან ერთად ეძებენ ახალ ადგილს დასასახლებლად (სილაგაძე 1987: 67-68; 75). გიორგი აკროპოლიტეს ცნობით, მონღოლთაგან დევნილმა ყივჩაღებმა გადალახეს მდინარე ისტროსი (დუნაი) და ჰაიმოს მთა თავიანთ ბავშვებსა და ცოლებთან ერთად (მაკრიდე 2007: 199). ახალი საცხოვრებლის ძიებისას ყივჩაღები ოჯახთან ერთად გადაადგილდებიან, საჭიროების შემთხვევაში ბრძოლებშიც ებმებიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ბრძოლაში ყივჩაღებს თავიანთი ოჯახიც თან ახლდათ. მას შემდეგ რაც ტერიტორიას აითვისებდნენ და მუდმივ სადგომს გაიჩენდნენ, სალაშქროდ მამაკაცები მიდიოდნენ, ხოლო ქალები საოჯახო საქმეებს უძღვებოდნენ. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღებს საცხოვრებელი ადგილები გამოუყო, სანაცვლოდ მათ მეომართა გამოყვანა დაევალათ. ისინი საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი იყვნენ, აღარ სჭირდებოდათ ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ძიება, მეფისგან ეკონომიკური მხარდაჭერა ჰქონდათ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. საქონლის

პატრონობა და სხვა საშინაო საქმეები საქართველოში მყოფ ყივჩაღთა შორისაც ქალთა მოვალებას უნდა წარმოადგენდეს. ყივჩაღი ქალების ბრძოლაში მონაწილეობა არ ფიქსირდება არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები ყივჩაღები დიდ თუ მცირე მასშტაბის ბრძოლებში თავიანთი ოჯახების გარეშე მონაწილეობდნენ.

მომთაბარეებს შორის ცალსახად არ იყო განსაზღვრული ქალის მონაწილეობის საკითხი სამხედრო სფეროში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მომთაბარულ საზოგადოებაში ქალი და კაცი თანასწორნი არიან და მკვლევრები მსჯელობენ სკვითებისა და სხვა მომთაბარე ხალხების მაგალითზე მონაწილეობდნენ თუ არა ქალები ბრძოლაში (ბალგაბაიევა და *სხვები* 2016: 5275). პლანო კარპინი მონღოლთა აღწერისას აღნიშნავს, რომ ქალებიც ატარებენ მშვილდ-ისარს და გადაადგილდებიან ცხენებით კაცების მსგავსად (კარპინი 1942: 20). ძნელი სათქმელია ყივჩაღთა შემთხვევაში რამდენად მონაწილეობენ ყივჩაღი ქალები ბრძოლაში, რადგან საისტორიო წყაროები ყივჩაღ ქალთა შეიარაღებაზე ან მათ ლაშქრობებში მონაწილეობაზე არ საუბრობენ. ყივჩაღ ქალთა სამარხებში იშვიათია ხმლის ან სხვა შეიარაღების აღმოჩენა. შეიარაღების კვალი არც ყივჩაღ ქალთა ქვის ქანდაკებებზე ჩანს. მოლაშქრეობა ყივჩაღი ქალებისთვის აკრძალული არ იქნებოდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ რომ წყაროებში არ არის საუბარი მეომარ ყივჩაღ ქალებზე, ვფიქრობთ, ყივჩაღთა შორის ქალთა ბრძოლაში მონაწილეობა არ იყო გავრცელებული.

მომთაბარულ საზოგადოებაში კაცებიცა და ქალებიც კარგი ცხენოსნები იყვნენ. მონღოლ ქალთა შესახებ პლანო კარპინი აღნიშნავს: „გოგოებიც და ქალებიც ცხენებზე სხედან და მიჭენაობენ მამაკაცებივით. ჩვენ გვინახავს რომ ისინი მშვილდებსა და კაპარჭებს ატარებდნენ. როგორც მამაკაცებს ისე დედაკაცებს დიდხანს შეუძლიათ ცხენით მოგზაურობა (კარპინი 1942: 20)“.

ყივჩაღებიც მონღოლების მსგავსად მომთაბარეები იყვნენ და თავიანთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ქალებსაც ისევე დასჭირდებოდათ ცხენით ჯირითის ცოდნა, როგორც კაცებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ცნობა ყივჩაღ ქალთა საცხენოსნო უნარებზე არ გვაქვს, მომთაბარული ცხოვრების წესიდან გამომდინარე პლანო კარპინის ცნობა მონღოლ ქალთა ცხენებით თავისუფლად გადაადგილების შესახებ ყივჩაღებზეც შეიძლება გავავრცელოთ. ახალი საძოვრებისა და საცხოვრებელი ადგილების საძიებლად ყივჩაღებს ხშირად უხდებოდათ გადაადგილება და ასეთი გადაადგილებისას ყივჩაღ მეომრებს თავიანთი ოჯახი თან ახლდა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. შესაბამისად, ქალებსაც უნდა სცოდნოდათ ცხენით ჯირითი.

ყივჩაღთა მომთაბარული საზოგადოება სოციალურად რამდენიმე ფენად უნდა დაიყოს. არქეოლოგიური გათხრებისა და ყივჩაღთა სამარხების შესწავლის საფუძველზე ყივჩაღ მამაკაც მეომართა შორის მათი შეიარაღების მიხედვით ვ. ჩხაიძემ გამოყო სამი სოციალური ფენა, ზედა ფენა – მმართველი კლასი და არისტოკრატია (16%), საშუალო (50%) და დაბალი ფენები (34%) (ჩხაიძე 2016: 302-304). სოციალური იერარქიის განსაზღვრა შესაძლებელია ყივჩაღ ქალთა სამარხებისა და ქვის ქანდაკებების შესწავლით. ქართულ წყაროებში მოხსენიებული ყივჩაღი დედოფალი გურანდუხტის სოციალური კუთვნილება აშკარაა, ის მმართველი კლასის წარმომადგენელია, ყივჩაღთა უმთავრესის ანუ ხანის ქალიშვილია. საქართველოში აღმოჩენილია, აგრეთვე, ყივჩაღთა სამარხები, რომელთაგან ორი სამარხი ქალისაა. იმირის გორაზე აღმოჩენილ ამ სამარხებში აღმოჩენილია ძვირფასი სამკაული და ოქროქსოვილი (დოლაბერიძე 1975: 186-190). სამარხეული ინვენტარი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მათი სოციალური კუთვნილება. ორივე ქალი ყივჩაღთა ზედა ფენას უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ძნელია განსაზღვრა იმისა, თუ შიდა იერარქი-

ის რომელ საფეხურზე იდგნენ ისინი, რადგან ყივჩაღთა ზედა ფენა თავის მხრივ არ იყო ერთგვაროვანი.

სამწუხაროდ, საქართველოში მყოფ ყივჩაღ ქალთა შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხოური მასალები, როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ყივჩაღთა სამარხები, ისე მათი ქვის ქანდაკებები.

რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყივჩაღ ქალთა სამარხების ინვენტარი და მათი სოციალური კუთვნილების საკითხი გამოკვლეული აქვს ტ. მ. პოტიომკინას. სამარხეული ინვენტარიდან იგი ასახელებს სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ ინვენტარს, რომელთა შორისაა ქვაბი, სწორი გრივნა და წრიული ფორმის გრივნა. სამარხებს შორის კი გამოყოფს სამ კატეგორიას, სამარხებს ერთი, ორი და სამი სტატუსის განმსაზღვრელი ინვენტარით (პოტიომკინა 2010: 9). სულ გამოკვლეული აქვს 56 ყივჩაღი ქალის სამარხი, რომელთა სოციალურ განაწილებას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მაღალი ფენა – 23%, საშუალო ფენა – 42% და დაბალი ფენა – 32 % (პოტიომკინა 2010: 11-17). თუ ამ მონაცემებს შევადარებთ ვ. ჩხაიძის მიერ განსაზღვრულ ყივჩაღ მამაკაცთა სოციალურ იერარქიას, ჩანს, რომ გარკვეული სხვაობაა პროცენტულ მონაცემებს შორის, მაგრამ საერთო სურათი იგივეა. შესაბამისად, ქალთა და კაცთა სოციალური იერარქია თითქმის ერთგვაროვანია.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ საფლავში ცხენის ჩატანების ტრადიციაზეც. პოტიომკინას მიერ შესწავლილ ყივჩაღ ქალთა სამარხების ნაწილში აღმოჩენილია ცხენი, აგრეთვე, ინვენტარს შორის არის წარმოდგენილი ცხენის აღკაზმულობაც (პოტიომკინა 2010: 11-17). ყივჩაღთა დაკრძალვის წესი ითალისწინებდა გარდაცვლილისთვის ცხენის ჩატანებას საფლავში. ამის შესახებ ცნობა დაცული აქვს ჟუანვილს. იგი თავის თხზულებაში აღწერს ყივჩაღი მეომრის დაკრძალვას:

> როდესაც მდიდარი რაინდი კვდება, ისინი მისთვის ღრმა და განიერ ორმოს თხრიან მიწაში, სვამენ მას ცერემონიულად მდიდრულად ჩაცმულს სკამზე და მასთან ერთად ათავსებენ მის საუკეთესო ცხენს, რომელიც ჰყავდა და საუკეთესო მსახურს, ყველას ცოცხალს (ვეჯვუდი 1907: 262-263).

თუ გავითვალისწინებთ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცხენი მომთაბარეებისთვის, საფლავში ცხენის ჩატანება ყივჩაღთათვის დიდ პატივს წარმოადგენდა, რადგან მათი წარმოდგენით სიკვდილის შემდგომაც ისევე დასჭირდებოდათ ყველაფერი როგორც სიცოცხლეში. ჟუანვილი ხაზს უსვამს ყივჩაღის ქონებრივ სტატუსს. დაკრძალვის ეს წესი მდიდარი მეომრისთვისაა განკუთვნილი. რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ საშუალო და დაბალი ფენის ყივჩაღები საფლავში ცხენის ჩატანების პატივს მოკლებულნი იყვნენ. რადგან ცხენი არა მარტო ყივჩაღი მეომრის, არამედ ქალთა სამარხებშიც არის აღმოჩენილი, ჩანს, რომ მაღალ სოციალურ საფეხურზე მყოფ ქალებს და კაცებს ცხენის ჩატანებით თანაბარ პატივს მიაგებდნენ. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ყივჩაღთა საზოგადოებაში ქალს მნიშვნელოვანი როლი ეკავა და არ ჩამორჩებოდა მამაკაცს. ამასთანავე, თუ ცხენი გარდაცვლილს სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაშიც უნდა დასჭირვებოდა, მაშინ ქალებისთვის ცხენის ჩატანება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ყივჩაღი ქალებიც ისევე კარგად გადაადგილდებოდნენ ცხენებით, როგორც კაცები.

საინტერესოა, აგრეთვე, ყივჩაღთა ქვის ქანდაკებები. წარმოდგენილია როგორც მამაკაცის, ისე ქალის ქანდაკებები. ყივჩაღთა შორის ქვის ქანდაკებების აღმართვის ტრადიციაზე მოგვითხრობს გუილიომ რუბრუკვისი. იგი აღნიშნავს:

> კომანები თავიანთი მკვდრების საფლავებზე დიდ ყურგანს მართავენ, ხოლო ამ ყურგანზე სდგამენ ქანდაკებას, რომელსაც პირი აღმოსავლეთისაკენ აქვს მიბრუნებული, ხოლო ხელში თასი უჭირავს ჭიპის სიმაღლეზე (რუბრუკვისი 1942: 32).

გამომდინარე იქიდან, რომ გამოვლენილია ორივე სქესის ყივჩაღთა ქვის ქანდაკებები, უნდა დავასკვნათ, რომ ყივჩაღები გარდაცვლილ ადამიანს თანაბრად მიაგებდნენ პატივს, განურჩევლად სქესისა. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დაკრძალვის ასეთი წესი დამახასიათებელი იქნებოდა ყივჩაღთა ზედა სოციალური ფენისთვის – მმართველი კლასისა და დიდებულე-ბისთვის. ქანდაკებების შესწავლის შედეგად გამოთქმულია მოსაზრებები მათ სოციალურ კუთვნილებაზე. ქანდაკების ტიპის გათვალისწინებით გამოყოფილია ყივჩაღ მამაკაცთა რამდენიმე ტიპის ქანდაკება. იგივე დაყოფა ვრცელდება ქალ ყივჩაღთა ქანდაკებებზე. ქანდაკებებს შორის აღსანიშნავია დგომითი და მჯდომარე პოზიციის მქონე, როგორც მამაკაცის, ისე ქალის ქანდაკებები (გოლებიოვსკა ტობიაში2013: 38). მდგომარე ქანდაკებები უნდა ეკუთვნოდეს მმართველ კლასის წარმომადგენლებს, ხოლო მჯდომარე ფორმის ქანდაკებები კი მდიდარ ყივჩაღ დიდებულებს. ეს დაყოფა ეხება ორივე სქესს და წარმოაჩენს შიდა დიფერენციაციას ყივჩაღთა ზედა ფენაში (გოლებიოვსკა ტობიაში 2013: 38).

ყივჩაღის გარდაცვალებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გლოვა, რომელშიც რაბი პეტაჰიას ცნობით, ქალები მონაწილეობდნენ. რაბი პეტაჰია რეგენსბურგელი მოგვითხრობს ყივჩაღ ქალთა მიერ გლოვის შესახებ:

> ყივჩაღი ქალები მთელი დღე და ღამე ტირიან და გლოვობენ თავიანთ გარდაცვლილ მამებსა და დედებს. ისინი აგრძელებენ გლოვას სანამ რომელიმე მათი ქალიშვილი ან ვაჟი ან ოჯახის სხვა წევრი არ გარდაიცვლება და უკანასკნელი გლოვა წინ უძღვის მათ სიკვდილს. ისინი ასწავლიან თავიანთ ქალიშვილებს გლოვას (ბენიში 1856: 5).

რაბი პეტაჰიას ცნობით, გლოვას ყივჩაღი ქალის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ეს კიდევ ერთი გამოხატულებაა წინაპართა კულტის თაყვანისცემისა და ამ რიტუალს ქალები აღასრულებენ. რაბი პეტაჰია აღნიშნავს, რომ ქალების მოთქმასა და ტირილს თან ახლავს ძაღლების ღმუილი და ყეფა (ბენიში 1856: 5). ძაღლს ყივჩაღთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, ის ერთგულებისა და დაცულობის სიმბოლო იყო (გოლდენი 1997: 87-97).

ყივჩაღის გარდაცვალების სამგლოვიარო ტრადიციის შესახებ საუბრობს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი. მისი ცნობით, მონღოლთაგან დევნილმა ყივჩაღებმა დერბენდის მმართველს სთხოვეს, რომ ერთგული სამსახურის სანაცვლოდ მათთვის დასახლების უფლება მიეცა თავის ქვეყანაში, თუმცა რაშიდი უარზე იყო და მათ წინააღმდეგ რაზმიც გაგზავნა. ყივჩაღებმა კი ასეთ მეთოდს მიმართეს: მათი ერთ-ერთი მთავარი მკვდრად გამოაცხადეს და „ბევრმა ყივჩაღმა, კაცმაც და ქალმაც, თმები დაიჭრა და ტირილი მორთო“. რაშიდის მხარეს მებრძოლ მუსლიმ ყივჩაღ სარდალს უთხრეს, რომ გარდაცვლილი ყივჩაღი მისი მეგობარი იყო და სიკვდილამდე მან ითხოვა მისი ცხედარი მისთვის გადაეცათ და მისი სურვილისამებრ დაეკრძალათ. ყივჩაღთა ამ მეთოდმა გაამართლა და მათ შეძლეს რაშიდის ციხე-ქალაქში შესვლა (სილაგაძე 1987: 76). წარმოდგენილი ცნობიდან ჩანს, რომ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობდნენ ქალებიც და კაცებიც. ასევე, ჩანს მათი ტრადიციაც არა მარტო ტირილის, არამედ გლოვის ნიშნად თმის შეჭრის. თუ რაბი პეტაჰიას ცნობით გლოვა მხოლოდ ქალების მოვალეობა იყო, იბნ ალ-ასირის ცნობით სამგლოვიარო პროცესიის დროს კაცებიც ქალებთან ერთად ტირიან. შესაბამისად, ამ მხრივ ქალები და კაცები თანასწორნი ჩანან.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ საყოფაცხოვრებო საქმიანობაში ქალისა და კაცის როლებზე, მათ შორის საქმის გადანაწილებაზე. პირდაპირი ცნობები თუ რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული ყივჩაღი ქალები წყაროებში არ ჩანს. თუმცა მათაც სხვა მომთაბარე ხალხების მსგავსად მოუწევდათ გარკვეული საქმის შესრულება, რაც გამომდინარეობდა მათი მომთაბარული ცხოვრების წესიდან. ამ მხრივ საინტერესოა პლანო კარპინისა და გუილიომ რუბრუკვისის ცნობები მონღოლი ქალისა და კაცის საქმიანობის შესახებ. პლანო კარპინის მიხედვით:

> მათი ქალები ყველაფერს აკეთებენ: შუბებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ჩექმებს და ყოველივე ტყავის ნაწარმოებს, მართავენ ფორნებს და ახდენენ მათ შეკეთებას და ტვირთავენ აქლემებს (კარპინი 1942: 20).

გუილიომ რუბრუკვისის ცნობით კი ქალებს, აგრეთვე, ევალებათ ძროხის მოწველა, გრიუსის და ყველის გაკეთება (რუბრუკვისი 1942: 28). როგორც ჩანს, ქალისა და მამაკაცის საქმე მკაფიოდ იყო გამიჯნული. საინტერესოა ისიც, რომ ცხენი მამაკაცს უნდა მოეწველა (რუბრუკვისი 1942: 20). საინტერესოა მომთაბარე ხალხის საქმიანობის შესახებ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ჯ. მ. სმიტი მომთაბარე ქალის მოვალეობებს შორის ასახელებს სხვადასხვა საქონლის, ცხვრის, თხის, მწყემსვასა და წველას, აგრეთვე, ბანაკში საჭირო სხვა საქმეებს (სმიტი 2000: 52). სმიტი განსაზღვრავს კაცის მოვალეობებსაც, რომლებიც მოიცავს ცხენების პატრონობას, მწყემსობასა და წვრთნას და იარაღის დამზადებას (სმიტი 2000: 52). რობერტ დე კლარის ცნობით, ყივჩაღები იკვებებიან რძით, ყველითა და ხორცით (ჰოლმს მაკნილი 2005: 87). რაბი პეტაჰიას ცნობით, ყივჩაღები არ ჭამენ პურს, ჭამენ ბრინჯსა და ფეტვს რძეში მოხარშულს, აგრეთვე, რძესა და ყველსა და ხორცს (ბენიში 1856: 3; 5). დავითის ისტორიკოსის ცნობით დავით აღმაშენებელმა უზრუნველყო ყივჩაღები საქონლით, ცხენებითა და საზამთრო საძოვრებით (მეტრეველი 2008: 320; 329). შესაბამისად, საქონლის ჯოგების მწყემსვა და ცხვრისა და თხის წველა და ყველის გაკეთება შეიძლება განვსაზღვროთ ყივჩაღი ქალის საქმიანობად. ყივჩაღებს ჰყავდათ ასევე ცხენთა რემებიც, რომელთა მწყემსვა და პატრონობა, ვფიქრობთ, უმეტესად კაცის მოვალეობა იქნებოდა, რადგან ცხენი ყივჩაღთა სამხედრო საქმის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. ტანისამოსისა და ფეხსაცმლის, კარვისთვის საჭირო მასალების დამზადებაც ვფიქრობთ, ყივჩაღთა შემთხვევაშიც ქალის მოვალეობა უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, მოვალეობები განაწილებულია, საოჯახო საქმეების მართვა და შესრულება ქალების მოვალეობაში, ხოლო სამხედრო საქმე და ბანაკის დაცვა და ნადავლის მოპოვება მამაკაცების მოვალეობაში შედის. თუმცა არ ჩანს ცალსახად მამაკაცის ან ქალის უპირატესი როლი.

ამრიგად, ყივჩაღთა საზოგადოებაში არ ჩანს გამოკვეთილი უპირატესობა რომელ სქესს ეკუთვნის. როგორც ჩანს, მათ გადანაწილებული აქვთ მოვალეობები და ყველა თავის საქმეს აკეთებს. დაკრძალვისას ქალსაც და კაცსაც ერთნაირ პატივს მიაგებენ, იქნება ეს საფლავში ცხენის ჩატანება თუ ქვის ქანდაკების აღმართვა. ყივჩაღ ქალებს შორისაც გამოიყოფა სამი სოციალური ფენა და თითოეული ფენის პროცენტული წილი მხოლოდ მცირედ განსხვავდება ყივჩაღ მამაკაცთა სოციალური ფენების პროცენტული მაჩვენებლისაგან. ყივჩაღი ქალები ცხენოსნობაში ისევე კარგად იყვნენ დახელოვნებულნი, როგორც კაცები, რასაც მათი მომთაბარული ცხოვრების წესი განაპირობებდა. ქართული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ცნობებით საქართველოში მხოლოდ ზედა ფენის ყივჩაღ ქალთა შესახებ არის მცირე ცნობები. სამწუხაროდ, საქართველოში მყოფ ყივჩაღ ქალებზე დეტალური ცნობების წარმოდგენა წყაროთა სიმცი-

რის გამო არ შეგვიძლია. ამიტომ, მათ შესახებ წარმოდგენა ძირითადად უცხოური წყაროების საფუძველზე გვექმნება. მათი ცნობები ვფიქრობთ, შეგვიძლია გავავრცელოთ საქართველოში მყოფ ყივჩაღებზეც. საქართველოში მცხოვრები ყივჩაღი ქალებიც იქნებოდნენ განსწავლულნი ცხენოსნობაში, თუმცა მათ ბრძოლებში მონაწილეობის ვალდებულება არ უნდა ჰქონოდათ. ისევე, როგორც დანარჩენი ყივჩაღი ქალები, საქართველოში მცხოვრებნიც საქონლის მოვლა-პატრონობით და საშინაო საქმეებით იქნებოდნენ დაკავებულნი. გარდაცვლილი ყივჩაღისთვის საქართველოში ქანდაკების აღმართვის ტრადიცია არ ფიქსირდება, თუმცა ქალისა და მამაკაცის სამარხები ერთნაირად მდიდარია ინვენტარით, თუ მამაკაცთა სამარხებში შეიარაღება ჭარბობს, ქალთა სამარხებში წარმოდგენილი ძვირფასი სამკაულები და ქსოვილები, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარდაცვლილისთვის პატივის მიგება თანაბრად ხდებოდა განურჩევლად სქესისა. ამავდროულად, ჩანს ისიც, რომ სამხედრო საქმეში უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებოდათ.

შენიშვნები

[1] კვლევა PHDF – 22-4327 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. This research PHDF – 22-4327 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

[2] Cun – უნგრულ საისტორიო წყაროებში ყივჩაღები მოხსენებული არიან როგორც კუნი, უნგრულად – Kun.

დამოწმებანი

ბალგაბაიევა და *სხვები* 2016: G. Z. Balgabayeva, S. V. Samarkon, E. V. Yarochkina, A. B. Taskuzhina, S. V. Nazarova. The Role of Women in Military Organization of Nomads. *International Journal of Environmental and Science Education*, № 12, Kostanay.

ბართი 1961: F. Barth. The Nomads of south Persia, Boston, 1961.

ბედროსიანი 1986: Kirakos Gandzakets'i. *History of the Armenians*, Translated by Robert Bedrosian, New York.

ბენიში 1856: Petachia of Ratisbon. *Travel of Rabbi Petachia of Ratisbon*, Translated by Dr. A. Benisch, London, 1856.

დოლაბერიძე 1975: რ. დოლაბერიძე, ფეოდალური ხანის ჩაშვებული სამარხები, *ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971წწ.)*, თბილისი, *მეცნიერება*, 1975.

გოლდენი 1984: P. B. Golden. Cumanica I: The Qipcaqs in Georgia, *Archivum Eurasiae Medii Aevi*, IV, Wiesbaden.

გოლდენი 1997: P. B. Golden. Wolves, dogs and Qipčaq religion, *Acta Orientalia Academiae Scientiarum Hungaricae*, T. 50, Budapest.

გოლებიოვსკა ტობიაში 2013: A. Gołębiowska Tobiasz. *Monumental Polovtsian Statues in Eastern Europe, the Archaeology*, Conservation and Protection, London.

ენგელი (მთარგ.) 2001: P. Engel. *The Realm of St Stephen, A History of Medieval Hungary 895-1526,* Translated by T. Pálosfalvi, London, New York.

ვეჯვუდი (გამომც) 1906: E. Wedgwood. *The Memories of Lord Joinville*, London,

კარპინი 1942: პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა, რომელსაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, რედ. ნ. ბერძენიშვილი, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვეთი II, თბილისი, 1942.

კეზაელი: Simon De Keza. Gesta Hunnorum et Hungarorum. ვებგვერდი: kupdf.net https://kupdf.net/download/simon-de-keza-gesta-hunnorum-et-hungarorum_58d53d77dc0d607f33c34693_pdf [ნანახია 17.05.2021. 14:30].

მადჯირუ 2017: A Madgearu. *The Asanids, The Political and Military History of Second Bulgarian Empire (1185-1280)*, Leiden, Boston.

მაკრიდე (მთარგ.) 2007: *George Akropolites. The History, Introduction*, Translation and Commentary Ruth Macrides, Oxford University Press..

სმითი 2000: J. Masson Smith Jn. The Nomads' Armament: Homemade weapons. Religion, *Customary, Law and Nomadic Technology*. Toronto Studies in Central and Inner Asia. No 4, Toronto.

მესხია 1986: შ. მესხია. ძლევაი საკვირველი, *საისტორიო ძიებანი*, ტ. III, თბილისი.

მეტრეველი 1990: რ. მეტრეველი. *დავით აღმაშენებელი*, თბილისი .

მეტრეველი (რედ. 2008): *ქართლის ცხოვრება*, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბილისი.

პოტიომკინა 2012: T. M. *Потемкина. Иерархия половецкой знати (по погребениям со статусними предметами). Степи Европы в эпоху средневековья*, Донецк.

როჯერი 2010: Master Roger. Epistle to the Sorrowful Lament upon the Destruction of the Kingdom of Hungary by the Tatars, Translated by János M. Bak and Martyn Rady, Budapest, 2010.

რუბრუკვისი 1942: გუილიომ რუბრუკვისი. *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რედ. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვეთი V, თბილისი.

სილაგაძე 1987: ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VII.

ჩხაიძე 2016: В. Н. Чхаидзе. Военная организация кочевников Крыма в XII—XIV веках, *Диалог городской и степной культур на Евразийском пространстве, Историческая география Золотой Орды*, Казань, Ялта, Кишинёв.

წურწუმია 2012: მ. წურწუმია. ყივჩაღთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში, *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები,* VI.

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბილისი.

ჰოლმს მაკნილი (მთარგ.) 2005: Robert de Clari. *The Qonquest of Constantinople,* translated by Edgar Holmes McNeal,

WOMEN IN NOMADIC SOCIETY: INFORMATION FROM PRIMARY SOURCES ABOUT QIPCHAQ WOMEN

Nino Kakalashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ninokakalashvili1121@gmail.com

The nomadic society of the Qipchaqs differed significantly from sedentary societies. While numerous studies examine the settlement of the Qipchaqs in Georgia, little attention has been given to Qipchaq women in Georgian historiography. Existing research predominantly focuses on military and political matters, leaving the social hierarchy and daily life of Qipchaq women largely unexplored.

Georgian historical sources provide limited information about the Qipchaqs residing in the region, and references to women are particularly scarce. Consequently, foreign historical sources, archaeological findings, and stone sculptures of the Qipchaqs become crucial for understanding the social roles and status of women in their society.

Due to their nomadic lifestyle, the Qipchaqs frequently moved from place to place. Both men and women were skilled horse riders, as the horse was central to their way of life. Among the upper class, horses were buried with the deceased, regardless of gender, and stone sculptures were erected on graves of both men and women, indicating comparable recognition in death.

Although Qipchaq women possessed many of the same skills as men, certain duties were gender-specific. Women primarily managed household affairs, while men were responsible for tasks such as weapon making, horse care, and camp security. Warfare was undertaken by men; historical sources do not mention female warriors. Despite these distinctions, no clear male or female dominance existed, and responsibilities were distributed according to practical needs.

In Georgia, the lifestyle of Qipchaqs appears to have been similar, and the rights and duties of women mirrored those in other regions. Funeral practices honored both men and women equally. Although no stone statues of Qipchaqs have been found in Georgia, burial inventories suggest that women received equal respect. Given the allocation of living spaces, seasonal pastures, and herds of cattle, Qipchaq women likely played key roles in household management and animal husbandry.

This research PHDF – 22-4327 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

მედეას მითი და ისტორიული რეალიები

ძველი საბერძნეთისა და კოლხეთის მაგალითი

გოჩა კუჭუხიძე
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
gochakuch@yahoo.com

ელინური მითების პერსონაჟი – მედეა, ჰესიოდესა და პინდარეს მიხედვით, ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი ქალღმერთია, ევრიპიდესთან კი ჩვეულებრივი გრძნეული ქალის სახით არის წარმოდგენილი...

გერმანელ მეცნიერს – ლუდვიგ პრელერს ჰესიოდეს გენეალოგიასა და სხვა ბერძნულ მონაცემებზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ მედეა თავდაპირველად ელინთა ქალღმერთად იყო ცნობილი; მკვლევარი ცდილობს დააკონკრეტოს, კერძოდ რომელ ღვთაებად იცნობდნენ მას ბერძნები და მიდის დასკვნამდე, რომ „ვნებებით სავსე და ყოველგვარ ჯადოქრობაში დახელოვნებული მედეა“ (“die leidenschaftliche und alles Zaubers kundige Medea”), რომელიც იასონს კოლხეთიდან საბერძნეთში გაჰყვა, უეჭველია, რომ, „მთვარის განმასახიერებელია“ (“sicher ein Bild des Mondes ist”); პრელერი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ კორინთული მითი ჰელიოსის ძეს – აიეტს იმ პერსონაჟად წარმოგვიდგენს, რომელიც თავის ასულთან ერთად კორინთოდან კოლხეთში გადასახლდა და, მისი თქმით, ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მედეა ცნობილი იყო როგორც ბერძნული მთვარის ქალღმერთი (“griechische Mondgöttin”); მკვლევარი ხსენებულ მოსაზრებას იმ ფაქტებითაც აძლიერებს, რომ, როგორც აღნიშნავს, აიეტის ასულს ის სხვადასხვა სახელი აქვს, რომლის მნიშვნელობაც არის მთვარე, რომ მედეას ხასიათის მთავარი თვისება – ეს არის ვნებით სავსე სიყვარული, რომლითაც იგი აფროდიტეს განადიდებს, წერს, რომ ასეთი ვნების განსახიერება ბერძნულ პოეზიაში უპირველესად მთვარის ალეგორიას (“eine Allegorie des Mondes”) წარმოადგენს; პრელერს მიაჩნია, რომ შემდგომ ტრანსფორმაცია განიცადა ამ პერსონაჟმა და გრძნეულ, მაგრამ, ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანად იქცა (პრელერი 1854: 216 და შემდგომი გვერდები).

იმ საკითხის გასარკვევად, თუ რომელი ქვეყნიდან იღებს მედეა სათავეს, მისი სახის სრულყოფილად წარმოსაჩენად, მიუხედავად იმისა, რომ, ხსენებულ საკითხზე მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერის მიერ ბევრი ნაშრომია დაწერილი, რადგან ქართველურ სამყაროსთან უშუალოდაა დაკავშირებული მედეა, მომავალში ქართული ფოლკლორისა და მწერლობის ყველა მონაცემის სკრუპულოზური განხილვა, მათი მსოფლიო ჭრილში გაანალიზება ისევ იქნება საჭირო, მანამდე კი იმ პარალელების ძიებაა აუცილებელი, რომლებიც, შესაძლოა, შემონახული იყოს ქართულ და, საერთოდ, კავკასიურ სამყაროში; გასარკვევია, აქვს თუ არა მედეას სახეს აქ თავისი შესაბამისი სახე, თუ მხოლოდ ბერძნული მითებისა და ლიტერატურის პერსონაჟია იგი.

ადრე შესრულებულ ნაშრომში, ძირითადად სხვა თემისადმი მიძღვნილი წერილისთვის დართულ ერთ-ერთ შენიშვნაში, რამდენიმე წინადადებით შევეხე ამ საკითხს (კუჭუხიძე 2024: 98) და ამჯერად ვეცდები, განვავრცო ხსენებულ ნაშრომში თქმული.

როგორც ცნობილია, ელინური მითოლოგია მედეას გრძნეული ქალის – კირკეს ძმის-

შვილად წარმოგვიდგენს. კირკე (ცირცე) – *ამარანთის* მთასთან მცხოვრები გრძნეული მკურნალი (ჯადოქარი, რომელმაც, ჰომეროსის *ოდისეას* მიხედვით, ოდისევსის თანამგზავრები პირუტყვებად გადააქცია) და მისი ძმისწული მედეა მამიდა-ძმისშვილის ისეთ ლიტერატურულ სახეს ქმნიან, ისეთი მყარი ერთობა არის შექმნილი გრძნეული მამიდისა და მასზე დამოკიდებული ძმისწულის სახეებით, რომ სხვადასხვა მწერლისთვის არქეტიპად შეიძლებოდა იგი გამომდგარიყო.

ჯადოქრული თვისებების მქონე მამიდისა და მისი ძმის ასულის ეს ერთობა ძალიან ჰგავს *ვეფხისტყაოსნისეულ* გრძნეულ დავარს („დავარ ქაჯს“) და მის ძმისშვილ ნესტანს, რაც ქმნის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ, შესაძლოა, *შინაგანი, ორგანული კავშირი იძებნებოდეს მამიდა-ძმისწულის ბერძნულ და ქართულ წყვილებს შორის; ვფიქრობ, დასაშვებია მოსაზრება, რომ რუსთველი ელინურ ან ქართულ რეალიას ეფუძნება და რომ დავარ-ნესტანსა და მედეა-კირკეს წყვილთა შორის პარალელები არსებობს.*

„დავარ ქაჯის“ ძმისწული ნესტანი მამას ღალატობს, ტარიელის სიყვარულის გამო იმეტებს მას (თუმც სულიერი კათარზისის შემდეგ უბრუნდება მამას /„წადი ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა“ – სწერს ქაჯეთის ციხიდან ტარიელს); თავის ოჯახს იასონის სიყვარულის გულისთვის გრძნეული კირკეს ძმისშვილი მედეაც წირავს, ოქროს საწმისის გატაცებაში ეხმარება იასონს და მასთან ერთად ტოვებს კოლხეთს; სასიძოს მკვლელობის შემდეგ მამისა და მამიდის, მთელი თავისი ოჯახის წინაშე დამნაშავედ გამოდის ნესტანი და მშობლებისეული ოჯახის გამყიდველია მედეაც.

მედეასთან არა, მაგრამ, *ამირანიანისეულ* ყამართან ნესტანის მსგავსება შემჩნეულია მკვლევართა მიერ. მაგალითად, გია არგანაშვილი ერთ კონტექსტში განიხილავს ნესტანისა და ყამარის სახეებს, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ორივე ღალატობს მამას, ამასთან მიიჩნევს, რომ ეს ახალი ოჯახის დასაფუძნებლად სჭირდებათ მათ:

> ცხოვრების პირველ ეტაპზე ქალი (ცოლი) ხელს უწყობს დიდი ოჯახების დაშლას (ამით ის სახელმწიფოს აძლიერებს), ხოლო შემდგომ ეტაპზე (დედა) თვითონ ქმნის დიდ ოჯახს და ამით თავისდაუნებურად სახელმწიფო სტრუქტურებს ასუსტებს (არგანაშვილი 2024: 308-309);

და კიდევ:

> მკითხველს გავახსენებ ამირანის ეპოსის იმ ეპიზოდს, როდესაც ამირანი ზღაპრული კოშკიდან საცოლეს – ყამარს – მოიტაცებს და ამის გამო ქაჯების ლაშქართან მოუწევს ბრძოლა. ამ სიუჟეტში მამა-შვილის (ყამარი და მისი მამა) სიტყვიერი დაპირისპირების მოწმენი ვხდებით. აქ კი თითოეული სიტყვა, რეპლიკა ან ფრაზა მეხსიერების იმ დაფარულ მითოლოგიურ შრეს აჩენს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციით არის დატვირთული (არგანაშვილი 2024: 309).

გია არგანაშვილი *ამირანიანის* ერთ-ერთი ვერსიის იმ ეპიზოდზე საუბრობს, ყამარის მამისა და ამირანის ორთაბრძოლის ასეთ სურათს რომ გვიხატავს: „ამირანის ხმალი რომ მოხვდებოდა, ყამარის მამის მუზარადი ცეცხლივით აინთებოდა, ხოლო ჯაჭვი გველივით წიოდა“; ყამარს არ მოსწონს ამირანის მოუხერხებლობა და ასე არიგებს მას: „მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, /დაბლა შემოჰკარ რბილოსა“; ყამარის მამა მრისხანებს შვილზე („უყურეთ ქალსა კახპასა, /ქმარი არჩია მამასა“); მკვლევარი ეპოსის ერთ ძალზე საყურადღებო დეტალს, ყამარის ამ სიტყვებს, აქცევს ყურადღებას: „მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა“, აღნიშნავს, რომ „ბერძენ-რომაელი ჯარისკაცის სამხედრო აღჭურვილობის სურათი იხატება (ეპოქის სახასიათო ნიშანი)“ აქ და შემდეგ წერს:

მკითხველს შევახსენებ, რომ სწორედ ასე ეხმარება ნესტანი ტარიელს („ვეფხისტყაოსანი“) მამის წინააღმდეგ სამეფო ტახტის დაბრუნებაში, რადგან ახალგაზრდა წყვილიც ახალ სახელმწიფოს, ახალ ოჯახს ქმნის. დამატებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ნესტანისა და ყამარის ამგვარი ტიპობრივი სიახლოვე შემთხვევითი, რა თქმა უნდა, სულაც არ არის“ (არგანაშვილი 2024: 310-311; ამირანის ეპოსიდან დამოწმებისას მითითებულია – ამირანიანი 2019: 190).

რაც შეეხება მედეას და ყამარს, ამ პერსონაჟთა ურთიერთმიმართების საკითხებს ანანია ჯაფარიძე შეეხო. იგი ეყრდნობა ავსტრიელი მეცნიერის – ფრანს ჰაასის თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ცენტრალურ ანატოლიაში გავრცელებული იყო მითი სატრფოების – ინარასა და ხუფასიას შესახებ; ამ მითის თანახმად, ინარა აძინებს გველს, რითაც იასონის *დამხმარე მედეას ემსგავსება* ეს ქალი; მკვლევარი იზიარებს შეხედულებას ინარასა და მედეას შორის პარალელების არსებობის შესახებ და, თავის მხრივ, დასძენს, რომ «სახელები ინარა და ყამარი ემსგავსებიან ერთმანეთს (ყინარა – ყამარი), ასევე სახელები „ხუფასია“ და „არამ-ხუტუ“ (ხუფასია – ხუტუ)» მსგავსად მიაჩნია და მისი თვალთახედვის არეში ექცევა ის ფაქტი, რომ „ამირანს მეგრულ-ლაზურ სამყაროში არამხუტუ ერქვა“. ა. ჯაფარიძე იასონსა და ამირანს შორისაც ხედავს პარალალელებს და დასძენს, რომ მედეა ყამარის მსგავსებაა; მისი თქმით, „გამოითქვა მოსაზრება, რომ მითები ოქროს საწმისის შესახებ მცირეაზიულმა მიგრაციულმა ტალღამ შეიტანა ბალკანეთში, შემდგომ კი ძვ. წ. 750 წლიდან უკან კოლხეთში შემოიტანეს ბერძენმა კოლონისტებმა“ (ჯაფარიძე 2018).

აქ ყამარსა და მედეას შორის, ვფიქრობ, მართლაც, არის *გარკვეულწილი* პარალელები შენიშნული... საკითხთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, ის ფაქტიც არის საყურადღებო, რომ *მამისეული ოჯახის მოღალატეა მედეაც და ამგვარადაც „ენათესავება“ ყამარს.*

ნაშრომებში, რომლებიც სახელ „ამირანის“ გენეზისსა და *ამირანიანისა* და *ვეფხისტყაოსნის* ურთიერთმიმართების საკითხებს ეძღვნებოდა, გამოთქმული მქონდა მოსაზრება, რომ „ამირანის“ ეტიმოლოგია ფალაურ mihr ī mihrān-თან („მზეთამზე“) უნდა იყოს დაკავშირებული (mihr ī mihrān – იმიჰრან – ამიჰრან – ამირან), რომ ირანული ესქპანსიის დროს არის სახელის ეს ფორმა გაჩენილი და რომ *ამირანიანში* განსხვავებული მრწამსის მქონე *ტაძართა შორის ამსახველი ისტორია ჩანს შემორჩენილი.* ამირანის სახელი რომ ირანულ კულტურასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ადრე, შესაძლოა, სხვაგვარად იხსენიებდნენ ეპოსის ამ გმირს, ეს აზრი ზვიად გამსახურდიას აქვს გამოთქმული (გამსახურდია 1991: 219-220) და ჩემი მხრივ ვამატებ, რომ, შესაძლოა, „მზეთამზის“, ან რომელიმე მსგავსი სახელით იცნობდნენ ამ პერსონაჟს (კუჭუხიძე 2020: 148-149); (კუჭუხიძე 2021: 37-38; 43).

წარმართულ ტაძართა შორის ბრძოლა ხატოვნად, ერთგვარად მითოლოგიზებული ფორმით, ქართულ მწერლობაშიც არის ასახული (ამგვარი სახით თხრობა მოკლედ და ადვილად გამოათქმევინებს მთხრობელს სათქმელს); ადრეც ვწერდი და ამჯერად გავიმეორებ, რომ «ტაძრების ურთიერთქიშპობაზე საუბრისას ადრეულ ეპოქებში ხშირად უშუალოდ ქურუმთა დაპირისპირების შესახებ კი არა – არამედ იმ ღვთაებათა ბრძოლაზე წერენ ხოლმე, რომელთა სახელებზეცაა ეს ტაძრები აგებული; მაგ., *წმიდა ნინოს ცხოვრების* ერთ ეპიზოდში ორი ღვთაების – არმაზისა და „ითრუშანას“ („ეთროჯანო“) ურთიერთმტრობაზეა საუბარი, რაც, ცხადია, ამ ტაძრების ქურუმთა მტრობას თავისთავად გულისხმობს („არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოლადვე მტერ არიან“» (აბულაძე 1963: 132); (კუჭუხიძე 2020: 157). ხსენებულ ნაშრომებში ვვარაუდობდი, რომ ამირანის მითშიც ტაძართა შორის დაპირისპირების კვალი უნდა იყოს ასახული,

– ამირანი იმ ორაკულური ტაძრის გმირი ჩანს, რომლის საფუძველსაც უპირველესად ქურუმის ინტუიტიური ჭვრეტა, მისი მისტიკური ნათელხილვა წარმოადგენს და ლოგიკაზე, გონებით განსჯაზე დამყარებულ მსოფლმხედველობას კი ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ორაკულური ტაძარი უმთავრესად ხილვისმიერ ჭვრეტაზეა დამყარებული, მისი *დამაარსებლისა და ქურუმისეულ ხილვას* ენდობა და გონებისმიერ განსჯას მეორად მნიშვნელობას ანიჭებს; მგზნებარედ უყვარს ის, რასაც ნათელმხილველი ქადაგებს, ფანატიზმამდე აქვს მიყვანილი ამგვარი სიყვარულის გრძნობა და ადამიანურ განსჯას ნაკლებად ენდობა. არსებობს მასთან დაპირისპირებული ტაძარი, რომელშიც მიაჩნიათ, რომ ეს მგზნებარე, ცეცხლოვანი სიყვარული ლოგიკაზე დაფუძნებული ფილოსოფიით უნდა იყოს გამყარებული, რადგან „ულოგიკო ცეცხლი“ საშიშროებას შეიცავს, – მან, შესაძლოა, დაღუპოს ადამიანი, – სიყვარულის გამო შეცდომა ჩაადენინოს, სხვა მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთან ისე დააპირისპიროს, რომ სასიკვდილოდ გაამეტებინოს იგი, ყოველგვარი განსჯის გარეშე სასტიკად გაუსწორდეს იმას, ვინც მის სარწმუნოებას არ იზიარებს, საერთოდ, დასაღუპავად ადვილად გაწიროს ყოველგვარი სიცოცხლე და ბოლოს ამპარტავნების ცოდვაშიც ჩავარდეს. ამირანი იმ ორაკულური ტაძრის გმირი ჩანს, რომელზეც ალბათ ბევრს ყვებოდნენ ამ ტაძარში, რომელიც ცეცხლოვანი გზნებით იყო სავსე და მთელი არსებით თავისი მსგავსი სატრფოს, ცეცხლოვანი ასულის მოპოვებას ესწრაფოდა; რელიგიური ასპექტიდან თუ შევხედავთ ამ ისტორიას, შესაძლოა, წარმართული ტაძრის ის მსოფლმხედველობა დავინახოთ მასში, *შემდგომი სიმაღლის დაპყრობას, იმ ახალი სიბრძნის* დაუფლებას რომ გულისხმობს, რომელიც, ხსენებული მსოფლმხედველობის თანახმად, განავითარებს და გააძლიერებს, გაამდიდრებს სულიერად, ჭეშმარიტებისკენ ლტოლვის სხვა ეტაპზე აიყვანს ადამიანს; საფიქრებელია, რომ ამირანის სახელთან დაკავშირებულ ამ ტაძარს დაუპირისპირდა ერთ-ერთ ელინურ ფილოსოფიურ სისტემაზე დამყარებული ის სულიერი ცენტრი, რომელიც *გონებით განსჯასა და ლოგიკას ჰარმონიულად ათავსებდა ამ სიყვარულთან* (მისტიკისაგან სრულიად თავისუფალი ვერ იქნება რელიგია და, ამდენად, ვერ ვივარაუდებთ, რომ მისტიკურ ჭვრეტას მთლიანად უარყოფდა და მხოლოდ ლოგიკას ეფუძნებოდა ეს ტაძარი), რომ მისეულმა მსოფლმხედველობამ ბოლოს დაამარცხა, შებოჭა ძირითადად მისტიკასთან დაკავშირებული სწავლება, მასზე დაფუძნებული ტაძარი (რომელიც საბერძნეთშიც იარსებებდა და რომლის გენეზისიც ელინურ ძირებთან იქნებ არც იყო დაკავშირებული...), რამაც *კავკასიის კლდეზე ხსენებული გმირის მიჯაჭვის ის ისტორია შექმნა, რომელიც საბერძნეთში პრომეთეს მითის სახით გავრცელდა;* ტაძართა ბრძოლის ისტორია აბრეშუმის გზითა თუ სხვა საშუალებით ჩააღწევდა ელადაში; როგორც ჩანს, ამირანის შესახებ თქმულება, რაც შემდგომ მრავალი ზღაპრული ელემენტით შეივსო, *ვეფხისტყაოსანშიც* აისახა, – რუსთველი იმ ადამიანად მოჩანს, რომელმაც მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ უგონო ცეცხლს (რომლის განმასახიერებელიც ტარიელია) ძლიერი გონება (ავთანდილი) უნდა აწონასწორებდეს, რათა ბედნიერებას ეწიოს ადამიანი, სხვა შემთხვევაში დამარცხდება იგი, სხვაგვარად ვერ დაიბრუნებს ტარიელი თავის სიყვარულს (რუსთველისეული „ინდოეთი“ იქნებ სწორედ მისტიკურ-ორაკულური ჭვრეტის სამყაროა, „არაბეთი“ კი მისტიკისა და ლოგიკის ჰარმონიულობას ასახიერებს); ნესტანიც ამგვარსავე გზნებაში მყოფად არის წარმოდგენილი და ძალზე საყურადღებო ის ფაქტია, რომ „ყამარიც ისეთი *ცეცხლოვანი ასულია,* რომელიც *დიდ სიყვარულთან ერთად გონიერებასა და სიმშვიდეს ასევე საჭიროებს*, რადგან ესაა, რაც უბედურებისგან იცავს ადამიანს“ (კუჭუხიძე 2020: 43). როგორც ჩანს, საქართველოში ძალიან პოპულარული იყო თქმულება სატრფოს საძებნელად წასულ იმ გმირზე, რომლისთვისაც გონიერებაზე მეტად, ვიტყვი ასე, „გულიერება“ იყო ნიშანდობლივი, და მის

სატრფოზე, რომელმაც სიყვარულის გამო მამას უღალატა და რუსთველი „შმაგად“ შექმნილ, „ველად გაჭრილ“ რაინდსა და ასევე მამის მოღალატე ნესტანის ამბავთა თხრობისას ამ თქმულებასაც გაეხმაურა, – გამოკვეთილად გვიჩვენა, რომ „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ და ამირანისა და ყამარის თქმულებებში წარმოჩენილი პრობლემიდან გამოსავალი ძალზე საცხადო გაუხადა ხალხს; ამირანიანის მცოდნისათვის ისიც გასაგები გახდებოდა, რომ მამის მოღალატე ყამარიც საჭიროებს შეცვლას, რომ მისი მსგავსი ქალი ადრე თუ გვიან ნესტანივით ისევ მამაზე მზრუნველი უნდა გახდეს. *ვეფხისტყაოსანთან* დაკავშირებით მეც მიმაჩნია, რომ ყამარისა და ნესტანის სახეები უკავშირდება ერთმანეთს და ასევე მხარს ვუჭერ ცნობილ შეხედულებას, რომლის თანახმადაც, ამირანი და ადამიანებისათვის ცეცხლის მომტაცებელი და ამის გამო *კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეც* ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ (როგორც ცნობილია, მიხეილ ჩიქოვანს პრომეთესეული ცეცხლის განმასახიარებლად მიაჩნდა ყამარი). ვფიქრობ, რომ პრომეთეს მითი კავკასიაში მომხდარ მოვლენებს ასახავს გარკვეული ცვლილებებით. მართალია, ელინურ მითებში ის ცივილიზებული სამყარო მოჩანს, რაც ამირანიანისეულისგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ ეს *არ იძლევა მტკიცე საფუძველს, მივიჩნიოთ, რომ ამირანის თქმულებისაგან დამოუკიდებლად არის კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეს მითი შექმნილი,* – უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრომეთეს ისტორია საბერძნეთში შეიქმნა და სავსებით ბუნებრივია, *კავკასიაში მომხდარი მოვლენები, რომლებიც საბერძნეთიდან არის დანახული, ელინური კულტურისა და ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ესთეტიკით იყოს აღწერილი;* თანადროულადაც რომ ყვებოდეს ერთსა და იმავე ამბავს, ცხადია, ყველა ხალხი და ცივილიზაცია საკუთარი ესთეტიკით, თავისი მხატვრული სამყაროს შესაბამისად წარმოაჩენს ამ ამბავს. გავიხსენოთ: სომეხთა მჰერი, აფხაზური ეპოსის აბრსკილი, ოსური ნართების ბათრაძი, ადიღეველთა ნასირენი, მეგრული ფოლკლორის არამხუტუ (კიკნაძე 2001). ამ პერსონაჟთა უმეტესობის სახეები სხვადასხვა ეპოქაშია შექმნილი, მაგრამ ერთდროულადაც რომ გავრცელებულიყო მათზე თქმულებები, სხვადასხვა ხალხის განსხვავებული კულტურა წარმოჩნდებოდა ამ თქმულებებსა და მათ პერსონაჟთა სახეებში, – ერთსა და იმავე დროს ერთი ხალხი უკვე ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელი ესთეტიკით ავრცელებს ამბავს, სხვა კი – ტრადიციული ფორმებით ყვება იმავე ისტორიას; ვფიქრობ, არ გამოირიცხება იმის ალბათობა, რომ *სხვადასხვა ესთეტიკით ერთ დროში მომხდარ, ძირითადად, ერთი და იმავე მოვლენის შესახებ მოგვითხრობდეს როგორც ამირანიანი – ასევე ელინური მითები* (კუჭუხიძე 2020: 36).

ამ საკითხების შესახებ უფრო ვრცლად ზემოხსენებულ ნაშრომებში ვსაუბრობ, ამჯერად ძირითადად ყამარისა და მედეას საკითხს მივუბრუნდები და დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ გასაზიარებლად მიმაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვით, ერთმანეთს უკავშირდება ყამარისა და მედეას სახეები და, ჩემი აზრით, ორივე ეს სახე ასევე ტაძართა დაპირისპირების ისტორიის ამსახველი უნდა იყოს, რომ ყამარიც ცეცხლი, მთვარე და გზნებაა.

როგორც ითქვა, ლუდვიგ პრელერის თანახმად, ჰელიოსის ძის – აიეტის ასული მედეა, კორინთული ლეგენდის მიხედვით, მთვარის ქალღმერთი იყო. თუკი ღვთაებებად იყვნენ ცნობილნი მამაც და შვილიც, ეს იმ მოსაზრებას ბადებს, რომ მათ სახელზე სალოცავებიც არსებობდა კორინთოში, რომ მზესა და მთვარესთან დაკავშირებულ ღვთაებებად ყოფილა იქ ორივე ცნობილი და *კოლხეთში მათი გადმოსახლების მითი მათ სახელზე არსებულ ტაძართა ანალოგიების აქ გავრცელებაზე მიგვანიშნებს.* ჰელიოსის ძის (ანუ აიეტის) ტაძარში ასევე მზიური ესთეტიკის წინა პლანზე წამოწევა იქნებოდა ნიშანდობლივი (კორინთოში არსებული ეს სალოცავიც ოფიციალურად, ჩანს, ჰელიოსის სულიერ ცენტრებს

ექვემდებარება, მაგრამ, რამდენადაც მედეას მამის სახელზეა დაარსებული, საფიქრებელი ხდება, რომ, ხსენებული ცენტრებისგან განსხვავებით, ისიც ორაკულური მსოფლმხედველობის მატარებელია, ყოველ შემთხვევაში, მთლიანად არ არის დაცილებული მას, რაც, იქნებ, იმით აიხსნებოდეს, რომ ბერძნულისაგან განსხვავებულ ძირებზეა აღმოცენებული, სხვა საწყისებს უკავშირდება); ჩანს, მზის ეს სალოცავი და მთვარის ის ტაძარი, რომლის განმასახიერებელი ამ შემთხვევაში მედეა იყო, მსოფლმხედველობრივად ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან (მთვარის ქალღმერთი, ისევე, როგორც – მზის ღვთაება, არაერთია და ხასიათის განსხვავებულ ნიშნებს ატარებენ ეს ღვთაებები; ცნობილია, რომ საბერძნეთში მზის მთავარი ღმერთი ჰელიოსია და მზის განმასახიერებლად მიიჩნევიან ასევე აპოლონი, ჰესტია; დღის სინათლის ქალღმერთია ჰემერა, ისიც მზესთან არის ყველაზე მეტად ახლოს; მთვარის ქალღმერთი სელენაა და მთვარის სულიერ ძალასთან ასევე აკავშირებენ ჰეკატას /დანაიას/, არტემიდას, ბენდიდას, ლეტოს).

მთვარისა და მზის ყველა ღვთაებას თავისებური ძალა და ხასიათი აქვს, – ერთი თუ მეფეა, მეორე მზიურ ხელოვნებასა და სილამაზეს განასახიერებს, ერთ-ერთი ქალღმერთის სახე, შესაძლოა, მთვარიან ღამეში მგზნებარებით აღსრულებულ ცეცხლოვან მისტერიებთან ასოცირდებოდეს, სხვა კი მთვარისებური სინაზის გამომასხივებელი იყოს; ჰელიოსის შვილიშვილი და აიეტის ასული მედეა ის ქალღმერთი იქნება, რომლის მიმდევრებიც მკურნალობის ხელოვნებას ფლობენ, ოღონდ თავისებური ჩანს ეს მკურნალობა, – სიბნელეში, იდუმალებაში მიიღებდნენ ცოდნას მთვარის ამ სალოცავის (მედეას ტაძრის) მისტები (ალბათ მკურნალი ქალები); მთვარის იდუმალი შუქი დაფარულ საიდუმლოებასთან მისვლის სიმბოლოც არის, ინტუიტიურად (არა იმდენად ლოგიკის – არამედ შეგრძნებების, ქალური ინტუიციის წყალობით) მიიღებდნენ ცოდნას და მედეასებური მკურნალობის ხელოვნებასაც, შესაძლოა, სწორედ ამგვარად, იდუმალებასთან ზიარების გზით ეუფლებოდნენ ამ ქალღმერთის სულიერი ცენტრის წარმომადგენლები.

გრძნეულების მცოდნე და სიყვარულისთვის ყველაფრის გამღებ მედეასა და მამამისის ელინური ტაძრები თუ კოლხეთშიც დაარსდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ტაძართა ანალოგიები ბერძნული პოლისების არსებობის ხანაში (ე. ი. როგორც უმეტეს შემთხვევაშია მიჩნეული, ძვ. წ.VIII-VII სს.) აღმოცენებულა აქ და ძირითადად იმ ბერძენთა სალოცავები გამხდარა, ერთ-ერთ კოლხურ პოლისში რომ ცხოვრობდნენ.

ამირანი ყამარის მამას ებრძვის და ქალიშვილს სტაცებს მას. როგორც ითქვა, ხსენებულ ნაშრომებში გამოთქმული მაქვს მოსაზრება, რომ *ქართველურ სამყაროში მომხდარი მოვლენების კვალი უნდა იყოს კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთეს მითის სახით შემორჩენილი*, ვფიქრობ, ადგილობრივი ორაკულური ტაძრის ბერძნულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული რელიგიური ცენტრის მიერ დამარცხებაზე, „შებოჭვაზე“ მიანიშნებს ბერძნული და ქართული მითები და იბადება აგრეთვე მოსაზრება იმის შესახებ, რომ *კოლხური ტაძრის (ამირანის) და კოლხეთის ერთ-ერთ პოლისში არსებული, მზიური ძალის განმასახიერებელი ღვთაების (აიეტის) ბრძოლაც არის ასახული ამ მითებში*. მზის ტაძარი, რომელიც ამირანის (როგორც ვვარაუდობ, მზეთამზის ან მსგავსი ეპითეტის მქონე გმირის) სახელთანაა დაკავშირებული, ე. ი. ის სულიერი ცენტრი, რომლისთვისაც ორაკულურ-მისტიკური ხედვა წარმოადგენს სარწმუნოებრივ საფუძველს და რომლის საწყისები, როგორც ჩანს, კოლხეთში ბერძნული პოლისების აღმოცენებამდელ (გაცილებით ადრეულ) პერიოდშია საძებნელი, რომელიღაც მიზეზის გამო უპირისპირდება აიეტის ტაძარს და მასზე დაქვემდებარებული მთვარის იმ (ჩანს, მატრიარქალური) ცენტრის თავის გავლენაში მოქცევას ცდილობს, რომელიც მედეას სახელს, ასევე ინტუიტიურ ჭვრეტაზე დამყარებულ მსოფლხედვას, ცეცხლოვან გზნებას, ამგვარი ჭვრეტით მიღწეულ რომელიღაც განსაკუთრებულ ცოდნას უკავ-

შირდება და რომლის ქურუმიც, ალბათ, ქალია; მზიურ ძალას უნდა განასახიერებდეს აიეტის ტაძარიც, ოღონდ, ვფიქრობ, მედეას სალოცავი, მზის ცეცხლოვანი ნათლისა და ბრწყინვალების ესთეტიკის გამომხატველი აიეტის სალოცავისგან განსხვავებით, უფრო იდუმალებასთან, „ღამეულ ცეცხლთან“, ყოვლის შემოქმედი ცეცხლის ღამეულ, მთვარისმიერ გამოვლინებასთან არის ახლოს და კოლხეთის სწორედ ამ ტაძრის დასაუფლებლად იბრძვის ასევე ცეცხლოვან გზნებას დამორჩილებული ამირანი (საფიქრებელია, რომ მთვარის *ეს ტაძარი, განსაკუთრებულად მახლობელია* მისთვის). ყამარის გატაცებას ესწრაფვის ამირანი, ყამარიც ეხმარება მას, რაც, როგორც ითქვა, იმ აზრს ბადებს, რომ საბერძნეთიდან კოლხეთში შემოსულ მზის (აიეტის) ტაძართან მოსვლია ადგილობრივ სულიერ ცენტრს კონფლიქტი და მედეას ტაძარს მხარი დაუჭერია ამ ცენტრისთვის. როგორც ვნახეთ, გია არგანაშვილს ყურადღება აქვს გამახვილებული ყამარის მამის გარეგნობაზე, რაც მისსა და ამირანის ბრძოლის ეპიზოდშია წარმოდგენილი; ბერძენ-რომაელი ჯარისკაცის სამხედრო აღჭურვილობის სურათი იხატება ხსენებულ ეპიზოდში და ეს კი, თავის მხრივ, იძლევა საფუძველს, დაისვას საკითხი: – ხომ არ უნდა დავუშვათ, რომ კოლხურ მზისა (ამირანის) და აიეტის (ასევე მზის) ბერძნულ ტაძართა შორის შეიარაღებული კონფლიქტიც მომხდარა, რომ მთვარის (მედეას) ეს ტაძარი ადგილობრივმა (კოლხურმა) წარმოშობის სალოცავმა თავის გავლენის ქვეშ მოაქცია და რომ მთვარის ამ ტაძარმა კოლხთა მხარე დაიკავა, თუმც, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, ბერძნული მითოსის მიხედვით, შემდეგ ისევ აიეტის გვერდით ვხედავთ მედეას, რომელიც იასონს ეხმარება, ეს ფაქტი იმ აზრს ბადებს, რომ ამირანის ტაძრის ახალი (ლოგიკას დაქვემდებარებული) ბერძნული ტაძრის მიერ დამარცხების შემდეგ ისევ აიეტის სალოცავის გავლენაში ექცევა მედეას სულიერი ცენტრი და შემდეგ მეორედ ღალატობს აიეტს, ანუ – მზის ამ ტაძარს; საფიქრებელია, რომ ამ მარცხის შემდეგ მედეას ტაძარიც (ასევე ორაკულური) წყვეტს კოლხეთში არსებობას და კორინთოში, სანამ იქაც დაამარცხებდეს უპირატესად ლოგიკაზე დაფუძნებული სულიერი ცენტრი, განაგრძობს არსებობას (იგივე ბედს გაიზიარებდნენ აიეტის ტაძრებიც, საბერძნეთსა და კოლხეთში მოქმედნი, მათაც დაამარცხებდა ის სულიერი ცენტრი, რომლის მთავარი ღვთაებაც, ჩანს, ზევსი იყო). ამირანიანში ამირანის მიჯაჭვის შემდეგ აღარ ჩანს ყამარი, რაც ასევე მიგვანიშნებს იმ სავარაუდო ფაქტზე, რომ ქალღმერთ მედეას სალოცავიც აღარ ფუნქციონირებს ამ დროს კოლხეთში, ქართული თქმულებები საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ არსებობა შეწყვიტა აქ ამ ტაძარმა და ელინური მითოსი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბერძნულ სამყაროში ჩნდება ისტორიები, რომელთა მიხედვითაც, საბერძნეთში მიდის მედეა იასონთან, ანუ მასთან ერთად, ვინც აქ ოქროს საწმისის მოსატაცებლად იყო ჩამოსული. *იასონის იდენტობა ამირანის იდენტობის მსგავსი არ არის. როგორც ზემოთაც გამოჩნდა, უკვე იმ პერიოდის მოვლენებს უნდა ასახავდეს, როცა „შებოჭილია“ ამირანის ტაძარი, როცა კოლხეთში არსებობა უკვე მედეას სალოცავსაც უჭირს (ცალკე აიეტის სულიერ ცენტრთან უთანხმოებაში ყოფნის და ცალკე ახალი ბერძნული ტაძრის მიერ შევიწროების გამო)* და *ბერძნულ რელიგიურ წიაღში ეძიებს თავშესაფარს;* იასონი, შესაძლოა, ამ მოვლენასთან უშუალო კავშირში მყოფი ის მითიური სახე იყოს, რომელსაც კოლხეთში არსებულ აიეტის ტაძართან ოქროს საწმისის გამო (ოქროს საწმისის რაობაზე ამჯერად არ ვმსჯელობ) რომელიღაც სახის კონფლიქტი მოუვიდა და რომელმაც მედეასეულ მთვარის ტაძარს კოლხეთიდან თავის დაღწევაში შეუწყო ხელი. ბერძნული მითის ის მონაკვეთი, რომელიც იასონსა და მედეასთან ასოცირდება, ქართულ ეპოსში გადმოცემულ რელიგიურ ცენტრებთან დაკავშირებულ მოვლენათა შემდგომი ეტაპის ამსახველი ჩანს, *ამირანიანში* ვეღარ ვხედავთ ისტორიის ამ მონაკვეთს და ბერძნულ სამყაროში შექმნილს ჰგავს იგი.

ვარაუდს, რომლის თანახმად, მედეა ოდესღაც ქალღმერთი იყო და შემორჩენილ ქართულ ეპოსში მას ყამარის სახე შეესაბამება, იმ ლინგვისტური ძიების მცდელობაც აძლიერებს, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენ:

შეხედულება, რომ ყამარი მთვარის მნიშვნელობის მქონე სახელის მატარებელია, არ უნდა იყოს საეჭვო; არაბული სიტყვა "ḳamar" პირდაპირ ითარგმნება როგორც „მთვარე" (ბარანოვი 1977: 658), რაც შეეხება ბერძნულ სახელს – "Mēdeia", ჩემი აზრით, მისი გენეზისის კვლევისას ძველბერძნული "Mḗnē" („მთვარე") და ამავე მნიშვნელობის მქონე ისეთ ინდო-ევროპულ ლექსემათა ერთ-ერთი წინარე პერიოდის ფორმებია გასათვალისწინებელი, როგორებიცაა: თანამედროვე ინგლისური "Moon", გერმანული "Mond" (არსებობს აზრი, რომ ხსენებული ლექსემები მომდინარეობას პროტო-ინდო-ევროპული ძირიდან – *me/n/ses-), ასევე – ლათინური "Deus" (აქედან – იტალ. "Dio"; – „ღმერთი") და სხვები (ეტიმოლოგიური ლექსიკონი); ანუ, *შესაძლოა, მთვარის და, მის გარდა, ღმერთის მნიშვნელობის მქონე სიტყვები ფიგურირებდეს ამ სახელში;* ეტიმოლოგიური მონაცემები უფრო სარწმუნოს ხდის ლუდვიგ პრელერის მოსაზრებას, რომ სახელი "Mēdeia" *მთვარის ქალღმერთს ნიშნავს* და რომ ყამარიც *გარკვეულწილად* მისი მოსახელეა (სიტყვა „ღმერთი" არ არის მის სახელში ასახული, მაგრამ საფიქრებელი ხდება, რომ ოდესღაც მთვარის ქალღმერთ მედეას შესაბამისობა იყო ისიც და ქართულმა ეპოსმა ვერ შემოინახა მისი, როგორც ღვთაების, სახე, – ჩვეულებრივ ქალად არის იგი ამ ეპოსში წარმოდგენილი; ჩვენამდე მოღწეულ თქმულებებში ღვთაების სახით აღარც ამირანი ჩანს, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამორიცხული, იმ პერიოდის კვალიც იყოს შემორჩენილი *ამირანიანის* რომელსამე ვარიანტში, როცა ღვთაებად იყო ისიც წარმოსახული; ამირანის შესახებ უკვე ითქვა, რომ მოგვიანო პერიოდში უნდა იყოს სახელის ეს ფორმა შექმნილი და რომ, შესაძლოა, ქართველურ და ქართულ ენაში ამავე სემანტიკის მქონე სხვა სახელი ერქვა ქართული ეპოსის ხსენებულ პერსონაჟს, რომელიც ადრე ღვთაება იყო (ირანულ ექსპანსიამდელ ეპოქასთან მივყავართ მის შესახებ ანალიზს და ვერ დავუშვებთ მოსაზრებას, რომ თავიდანვე ფალაური სახელი ჰქონდა მას); მსგავსი აზრი იბადება ყამარის შესახებაც, – კოლხეთში მედეას სალოცავის შემოტანისას, შესაძლოა, აქაც ეს სახელი დაუმკვიდრდა ამ ღვთაებას, არ არის შეუძლებელი, რომ სახელი მედეა დიდხანს შემორჩენოდა მას, მაგრამ შემდგომ (იქნებ იმ დროს, როცა მისი ტაძარი აღარ არსებობდა და ჩვეულებრივი ქალის სახე მისცა ხალხურმა ეპოსმა ქალღმერთს) ადგილობრივი, ქართველური ან ქართული, სახელი დაერქმეოდა (მაგალითად, თანამედროვე „მთვარისას" მსგავსი სემანტიკის მქონე), რაც მოგვიანებით (არაბობის დროს) არაბული სახელით შეეცვალა. ცოტა საეჭვოა, არაბული ექსპანსიის ხანაში ჯერაც მედეას სახელით ყოფილიყო ეს პერსონაჟი ქართულ ფოლკლორში დამკვიდრებული და ხალხს პირდაპირ ბერძნულიდან ეთარგმნა მისი სახელი არაბულ ენაზე (უფრო საფიქრებელია, რომ ქართულ სახელს შეცვლიდნენ არაბული სიტყვით, რაც იქნებ *ლიტერატურული გზით* მოხდა); საერთოდ, *ამირანიანისა* და ლიტერატურული *ამირან-დარეჯანიანის* გმირებს (ყოველ შემთხვევაში – უმეტესობას) არაქართული სახელები ჰქვიათ (ცნობილია, რომ ბადრი ასევე არაბული სიტყვიდან მომდინარეა და ისიც მთვარეს ნიშნავს, უსუპი ებრაული იოსების არაბიზებული ფორმაა, იამანიც არაბული სიტყვიდან მოდის და მარჯვეს უნდა ნიშნავდეს) და, ჩანს, ყამარიც მოგვიანო ხანაში შექმნილი ფორმაა, რომელიღაც სხვა სახელისა. შესაძლოა, აქ ხსენებული არაერთი პერსონაჟი ადრეულ ეპოსსა თუ ლიტერატურულ *ამირან-დარეჯანიანზე* შემდგომი შრეების დართვის შედეგად არის გაჩენილი, რომ ისტორიის რომელიღაც ეტაპზე მათაც სხვა სახელებით იხსენიებდნენ და შემდგომ არიან სახელშეცვლილები (აქ დავძენ, რომ არ არის შეუძლებელი, ხალხური

ეპოსის პერსონაჟ „ცამცუმის“ სახელი რომელიმე ხალხური მთხრობელის მიერ ჯერჯერობით გაურკვეველი გენეზისის მქონე სახელ ცირცეს /კირკეს/ არასწორად გახსენების შედეგად იყოს გაჩენილი და ის აზრიც იბადება, რომ მის მიერ სხვა პერსონაჟისთვის არის იგი შეცდომით დარქმეული).

ამრიგად, ჩვენ წინაშე ასეთი სავარაუდო სურათი წარმოდგება: კოლხეთის ერთ-ერთ ბერძნულ პოლისში კორინთოს ორაკულურ ტაძართა გავლენით მზისა და მთვარის ტაძრების მსგავსი ორაკულური სულიერი ცენტრები არსდება, მზის ადგილობრივ, კოლხურ, ასევე, ორაკულურ ტაძარს კონფლიქტი მოსდის მზის (აიეტის) ბერძნულ სალოცავთან, ცდილობს, საკუთარ გავლენაში მოაქციოს მასზე დაქვემდებარებული მთვარის (მედეას) ტაძარი, იქნებ აღწევს საწადელს, მაგრამ, თუ ბერძნული მითის მიხედვით ვიმსჯელებთ, შემდეგ, როცა იასონს ეხმარება, ისევ აიეტთან არის მედეა (აღარც ყამარი ჩანს ამირანის გვერდით *ამირანიანის* იმ ეპიზოდებში, როცა ღმერთს ეჯიბრება და ისჯება იგი); როგორც ჩანს, მედეას ტაძარს საბოლოოდ მაინც ვერ იმორჩილებს ადგილობრივი კოლხური რელიგიური ცენტრი და ბოლოს იმ სხვა ელინური ტაძრის მიერ ერთმევა უფლებები (მიჯაჭვული ხდება), რომელიც მხოლოდ ქურუმის ხილვებსა და ლოგიკისაგან გარკვეულწილად დაცილებულ მსოფლმხედველობას კი არა – არამედ, მასთან ერთად, ელინურ ფილოსოფიურ საფუძვლებს არის დამყარებული და უპირატესობას ლოგიკას ანიჭებს (ეს ტაძარი კოლხეთში არსებულ აიეტის სულიერ ცენტრსაც დაამარცხებდა და ბოლოს კორინთოშიც შეცვლიდა ან გაანადგურებდა მას); ამირანი ადგილობრივი ორაკულური ტაძრის განსახიერება ჩანს, მედეა კი ბერძნული, ასევე ორაკულური, ტაძრის ის ქალღმერთი უნდა იყოს, რომელიც კორინთოდან არის შემოსული და რომელიც ქართულ ეპოსში ყამარის სახითაა შემორჩენილი.

ვიცი, აქ დაისმება კითხვა და საუბრის გეზს ოდნავ შევცვლი, – ბევრი იკითხავს: გამომდინარეობს თუ არა ყოველივე ზემოთქმულიდან ის აზრი, რომ მედეა ბერძნული ღვთაებაა და მცდარია შეხედულება, რომლის თანახმადაც, კოლხი ასული იყო იგი და, ამირან-პრომეთესაგან განსხვავებით, ქართველურ თუ ქართულ სამყაროსთან არ უნდა დავაკავშიროთ. ეს კითხვა საგანგებო კვლევას საჭიროებს, ამჯერად წინასწარი დაკვირვების შედეგად შემდეგი რამ შეიძლება ითქვას: – რადგან ჩვეულებრივი ადამიანები არიან აღწერილნი ქართულ ეპოსში (ღვთაებათა შესახებ არსებული ცნობები დაკარგულია და არაერთი ფაქტი ერთმანეთში აქვს არეული ამ ეპოსს, მაგრამ, როგორც ითქვა, შეიძლება მოიძებნოს ის ძველი შრეები, რომლებიც იმაზე იქნება მიმანიშნებელი, რომ მზის კოლხურ ღმერთად და მთვარის ქალღმერთად იყვნენ ცნობილნი ერთ დროს ამირანი და ყამარი) და იმის საფუძველს იძლევა იგი, რომ *კოლხეთში მცხოვრებ ისტორიულ პიროვნებებთან დაკავშირებული ისტორიების* კვალის შესახებ ვიმსჯელოთ, იმის საშუალებაც არ არის დაკარგული, რომ კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ ამ ადამიანთა შესახებ მსჯელობა და მედეას ეთნიკურ რაობაზეც გამოვთქვათ მოსაზრებები; *თავისუფლად შეგვიძლია დავუშვათ ვარაუდი, რომ კოლხეთში შემოსულ სალოცავს (მედეას ტაძარს), კორინთოს ცენტრის კოლხურ ანალოგიას, კოლხი ქურუმიც (ქურუმი ქალი) ჰყოლოდა;* არც იმაშია რაიმე დაუჯერებელი, *თავისი ტაძრის მთავარი ღვთაების თანამოსახელე ყოფილიყო ეს ქურუმი და მედეა რქმეოდა* მას (ამა თუ იმ ღვთაების მსახური ადამიანი ამ ღვთაებასთან სულიერად გაიგივებულად რომ აღიქვამდეს თავს, მისი სახელიც რომ მიიღოს და შემდეგ მასზე მოთხრობილ ისტორიებში ღვთაებისა და ადამიანის სახეები ერთმანეთში აირიოს, ეს სავსებით მისაღები აზრია); ამ ტაძარში გრძნეულებასთან, მისტიკურ ჭვრეტასთან დაკავშირებული მისტერიები უთუოდ გაიმართებოდა, უეჭველიცაა, განმაკურნებელ რიტუალებსაც რომ გამართავდნენ მასში და, აქედან გამომდინარე, საფიქრებელი ხდება, რომ ისეთი იყო იქ მომსახურე ქურუმი ქა-

ლი, რომელიც გრძნეულებისა და მკურნალობის განსაკუთრებულად ძლიერი უნარით გახლდათ გამორჩეული; ზემოთ ითქვა, რომ *ამირანის მიჯაჭვით დასრულებულ თქმულებებში ყამარი აღარ ჩანს, რომ ამირანიანისეული* ყამარის გაუჩინარების შემდგომი ისტორია ელინურმა მითოსმა ასახა, ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულ რეალიასთან მიახლოებული, ზოგიერთში კი, ამ რეალიათაგან დაცილებული სახით; არაა შეუძლებელი (და ვფიქრობ, სწორედ ასეა), რომ ზოგი რამ, რაც ქართულ თქმულებებში ამირანის მიჯაჭვის ამბით მთავრდება, ბერძნულ მითოსში იყოს ასახული და *კოლხეთიდან მედეას წასვლის შესახებ მოთხრობილი ამბები* ისტორიულ რეალიებთან დაკავშირებულ *იმ კონკრეტულ პირთა ცხოვრებასაც ასახავდეს* ზოგჯერ ადეკვატურად, ზოგჯერ კი გადასხვაფერებული სახით, რომელიც ქართულ ეპოსში არ შემოგვრჩა; სავსებით დასაშვებია ვარაუდი, რომ *ეთნიკურად კოლხი ქურუმი ქალის თავგადასავლის კვალი* იყოს ბერძნულ მითოსში შემორჩენილი; ის, რასაც ევრიპიდე მედეას *შურისძიებასთან დაკავშირებით* ყვება, როგორც არაერთ შემთხვევაში არის მიჩნეული, ამ ავტორის შეთხზული ამბავია და ხსენებულ საკითხზე არ ვმსჯელობ, მაგრამ იმ ვარაუდის დაშვება შეიძლება, რომ ბერძნული მითისმიერი მედეა, რომელიც, როგორც ითქვა, კოლხური ტაძრის გავლენაში დროებით იქნებ გადავიდა, მაგრამ შემდეგ ისევ აიეტის სულიერი ცენტრის გავლენაში მოექცა, ბოლოს კი იასონის დახმარებით გაექცა აიეტს, მკურნალობითა და გრძნეულებით განთქმული კოლხი ქურუმი ქალი იყო, რომლის *წასვლის მიზეზიც აიეტის იმ ტაძართან დაპირისპირება გახდა, კოლხეთში რომ ფუნქციონირებდა,* შესაძლოა, იასონის სახეშიც რომელიმე ისეთი რეალური ადამიანი იყოს ასახული, ვისაც აიეტის კოლხური ტაძრის წარმომადგენლებთან *კონფლიქტური დამოკიდებულება ჰქონდა და რომელსაც მედეას ტაძრის ქურუმმა ქალმაც დაუჭირა მხარი, – მან, ვისაც შემდგომ კოლხეთიდან წასვლა მოუწია*. ამ ქურუმის ეთნიკური წარმოშობის შესახებ ფიქრისას, ცხადია, „კუნძულ აიაზე“ მცხოვრები კირკეს სახეც არის გასათვალისწინებელი; შესაძლოა, ღვთაების გარდა, ჩვეულებრივი ადამიანის ისტორიის კვალი ამ მითშიც იყოს შემორჩენილი; შეგვიძლია ასევე დავუშვათ, რომ მითიურ აიეტში კოლხეთის პოლისის კონკრეტული მმართველის, იქნებ ბასილევსის, სახეც არის ასახული, *რომ მზის იმ ტაძრის სულიერი ცხოვრების წარმმართველიც გახლდათ იგი, რომელიც ჰელიოსის ძის (ანუ ღვთაება აიეტის) სახელზე იყო დაარსებული და ეთნიკურად* ისიც არა ბერძენი, არამედ *სხვა ეროვნების წარმომადგენელი იყო*; არც იმის ალბათობა უნდა უარვყოთ, რომ ეთნიკური შემადგენლობით ბერძნული, ან მთლიანად ბერძნული, არც კოლხეთის ის სულიერი ცენტრი ყოფილა, რომელიც განსჯასა და ლოგიკაზე იყო დაფუძნებული და კოლხეთის ადგილობრივი ორაკულური სალოცავი (ამირანის ტაძარი) ძირითადად მხოლოდ მსოფლმხედველობრივად უპირისპირდებოდა მას, რომ ერთ-ერთ ბერძნულ ფილოსოფიურ სისტემას ეყრდნობოდა ორაკულურ სალოცავებთან დაპირისპირებული ტაძარი, მაგრამ მისი წარმომადგენლები მხოლოდ ბერძნები კი არა – სხვა ეროვნების, ძირითადად ალბათ ადგილობრივები ანუ კოლხები იყვნენ.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, შესაძლოა, კოლხი ქურუმი ქალი იყო მედეა, ის, ვისი სახეც, ბერძნული მითების გარდა, *ამირანიანში* უნდა იყოს შემორჩენილი (დასაშვებია ვარაუდი და სამომავლოდ ამ საკითხზეც იქნება მუშაობა საჭირო, მედეას შურისძიების შესახებ ისტორიის გაჩენა, თუკი ნატყუარია იგი (და ამ საკითხის შესახებ არსებული არაერთი გამოკვლევა ცხადჰყოფს, რომ სწორედ ასეა) რელიგიურ კონფლიქტებთან აღმოჩნდეს დაკავშირებული, იმ სავარაუდო ფაქტით იყოს განპირობებული, რომლის მიხედვით, მედეას ორაკულური და საბერძნეთისათვის მიუღებელი ტაძარი, როგორც ზემოთ ითქვა, ბოლოს კორინთოშიც დამარცხდებოდა და, აქედან გამომდინარე, საფიქრებელი ხდება, რომ მისი ქურუმი დევნილი და იქნებ ცილისწამების მსხვერპლიც ამ მიზეზითაც, გახდა).

აქ მინდა, ყურადღება შემდეგ საკითხზე გავამახვილო: როგორც ვხედავთ, კონკრეტულ ადამიანებზე გადავიდა წინამდებარე სტატიაში საუბარი და, საერთოდ, კოლხეთში ბერძნულ დასახლებათა არსებობის პერიოდებს ვეხები ძირითადად, მაგრამ, რამდენადაც საფიქრებელია, რომ ამირანის ტაძარი ბევრად უფრო ადრეულ ეპოქებში არსებობდა (როგორც ზემოთაც ითქვა, სავარაუდოდ – სხვა სახელით) ქართულ *ამირანიანის* ეპოსში შეგვიძლია ის შრეებიც ვეძიოთ, რომელიც, *ბერძნული პოლისების არსებობის პერიოდში ტაძართა დაპირისპირების ისტორიასთან შედარებით, გაცილებით უფრო ადრეულ ეპოქებს ასახავს; შესაძლოა, კოლხეთში მთვარის ქალღმერთ მედეას სალოცავის შემოსვლის წინარე შორეული ეპოქაც,* ამირანის იმდროინდელი კულტიც ჩანდეს ქართულ ფოლკლორსა თუ მწერლობაში (აზრი *ამირანიანში* ამგვარი ძალზე ძველი შრეების სავარაუდო არსებობის შესახებ უკვე მოჩანს გია არგანაშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომში (არგანაშვილი 2024: 313) და ვიმედოვნებ, მომავალ კვლევებში გამოიკვეთება ეს მოსაზრება); ასევე არ არის შეუძლებელი, რომ *ამირანიანისა* და პრომეთეს მითები პროტოიბერთა და ინდოევროპელთა განსახლების საკითხებთან, მართლაც, იყოს დაკავშირებული, როგორც არაერთ მეცნიერს მიაჩნია (იხ. პოსტსკრიპტი სტატიის ბოლოს)... საკითხები, რომლებზედაც აქ ჩამოვარდა სიტყვა, მომავალში სკრუპულუზურ კვლევას საჭიროებს და ამჯერად არ გავაგრძელებ მათზე საუბარს.

ბოლოს ქართველთა წინაპრების მიერ მზისა და მთვარის თაყვანისცემის შესახებაც ვიტყვი მოკლედ.

წინამდებარე წერილში მთვარის ქალღმერთსა და კოლხეთში არსებულ მის ტაძარზეა საუბარი და თითქოს გამოდის, რომ ქალი ყოფილა ქართველების წარმართ წინაპართათვის მთვარე, რაც, ერთი შეხედვით, მთლიანად ეწინააღმდეგება ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას, რომლის თანახმად, ქართული ხალხური შეხედულებით, მთვარე სქესით მამაკაცია; როგორც იგი მიიჩნევს, მთვარე ქართველი ტომების მთავარი ღვთაება იყო (ჯავახიშვილი 1979: 98).

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი ასახელებს რამდენსამე ლექსს და მათზე დაყრდნობითაც მიიჩნევს, რომ წარმართ ქართველებს მთვარე მამაკაცად ჰყავდათ წარმოდგენილი; გავიხსენოთ ეს ლექსები, რომელთაგან ერთ-ერთი ბავშვისათვის სამღერი იავნანაა:

> დაიძინე გენაცვალე, იავ, ნანინა,
> მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ, ნანინა!

სხვა ლექსში ნათქვამია:

> ნათელმა მთვარემა ბრძანა:
> „ბევრით მე ვჯობივარ მზესა“.
> დაჯდა, დასწერა წიგნები,
> ზენა ქარი მიათრევსა.
> მზე ძალიან გაჯავრდესა:
> „მე და ვარ და ის ძმა არის“
> რად ვძულდებით ერთმანეთსა (ჯავახიშვილი 1979: 98).

ხალხში კარგად არის ცნობილი ლექსი, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ხსენებულ ნაშრომში ასევე აქვს მოყვანილი:

ბჟა დია ჩქიმი
თუთა მუმა ჩქიმი
ხვიჩა ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე (თთუე) მამაა ჩემი,
სხვადასხვა ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი (ჯავახიშვილი 1979: 99).

მეცნიერი წერს, რომ „წმინდა გიორგის საქართველოში მთვარის ღვთაების ადგილი უკავია“ და ამ დასკვნას „არც მთვარის სქესი უშლის“ (ჯავახიშვილი 1979: 98; 88-99).

ე. ი. ივანე ჯავახიშვილის შეხედულების გაზიარების შემთხვევაში მისაჩნევი ხდება, რომ ეს კონკრეტული ლექსები, მიუხედავად იმისა, რომ, იქნებ ათასწლეულთა მიღმინდელ ეპოქაში არც იყოს აღმოცენებული, იმ ზოგად რელიგიურ მსოფლხედვას გამოხატავს, რომელიც ძველი სარწმუნოების საფუძველს წარმოადგენდა, რომ თუნდ მოგვიანებით (მხოლოდ რამდენიმე ასეული წლის წინათ) იყოს ისინი შექმნილი, მაინც უნდა მივიჩნიოთ, რომ წარმართული რელიგიიდან ფოლკლორში გადასულ და მასში დამკვიდრებულ ზოგად „კლიშეებს“ არ არღვევს, ტრადიციულ რელიგიურ შეხედულებას მისდევს და, აქედან გამომდინარე, მამაკაცად წარმოადგენს მთვარეს.

ივანე ჯავახიშვილის ნააზრევი მომავალ გამოკვლევათათვის იმპულსის მომცემია და არაერთი ახალი მოსაზრების დაბადებას უწყობს ხელს:

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში და და ძმა არიან მზე და მთვარე, მეორეში – დედა და შვილი („მზე დაწვა და მთვარე შობა“) და სხვაში კი – ცოლ-ქმარი („მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“), ანუ, თუ *მივიჩნევთ, რომ წარმართულ რელიგიურ საფუძველზეა დამყარებული ეს ლექსები, რომ წარმართობისდროინდელი სარწმუნოების სრულყოფილად გამომხატველია მათი შინაარსი, მაშინ იმ მოსაზრების დაშვებაც გახდება შესაძლებელი, რომ სხვადასხვაგვარ რწმენა-წარმოდგენას უარსებია ქართველების წარმართ წინაპართა შორის,* რომ მთვარის ისეთი განსხვავებული ტაძრები ჰქონდათ მათ, რომელთაგანაც ერთში მზის ძმა იყო მთვარე, მეორეში – შვილი და სხვაში კი – მზის მეუღლე (ხალხური შეხედულებები ქურუმის, ამა თუ იმ სიძლიერის მქონე სულიერი ცენტრის, გარეშე არ ჩნდება, შესაძლოა, ბევრი რამ სახეშეცვლილი, გახალხურებული იყოს, მაგრამ ძირითადი მსოფლხედვა არ იცვლება და ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში ყოველთვის შეგვიძლია ვეძებოთ ამა თუ იმ სალოცავისეული სწავლების კვალი); თუ მთვარის არაერთ ღვთაებას იცნობდნენ ხსენებული წარმართი წინაპრები და განსხვავებული იყო ამ ღვთაებათა ხასიათი, ეს ფაქტი იმგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ, შესაძლოა, ზოგ ტაძარში კაცად იყო წარმოდგენილი მთვარე და სხვაში კი – ქალად და *ასეთ შემთხვევაში სრულიად მისაღები ხდება დებულება, რომ, მთვარის ამ ტაძრებთან ერთად, მთვარის ქალღმერთ მედეას სალოცავსაც ეარსება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი – კოლხეთში*, და რომ სწორედ მასთან დაკავშირებული ისტორიული პერიპეტიები არის ასახული „ამირანიანსა“ და მედეას მითებში. მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით უმეტესწილად ჰარმონიულად იქნებოდნენ მთვარის ეს ტაძრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი (რაც ამა თუ იმ მიზეზით დაპირისპირებასაც არ გამორიცხავს), თუმც, ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ მათში თაყვანსაცემი ღვთაებები და რიტუალები ურ-

თიერთგანსხვავებული იქნებოდა (აქვე დავძენ, რომ იმ სიტყვებში, რომლებიც მთვარის მიერ მზის საწინააღმდეგო „წიგნის დაწერას“ ეხება, შესაძლოა, მზისა და მთვარის ტაძართა შორის მწიგნობრული დაპირისპირების კვალიც იყოს ასახული, იქნებ ამგვარი სიუჟეტის მქონე თქმულებაც არსებობდა და ის იგულისხმება ლექსში, რომ ამ თქმულებაში ჯავრდება („გაჯავრდესა“) მზე თავის ძმაზე.

ლექსებთან დაკავშირებით ის განსხვავებული მოსაზრებაც წარმოდგება ჩვენ წინაშე, რომლის თანახმად, რელიგიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულებად კი არა – ჩვეულებრივი პოეტური შემოქმედების ნაყოფად უნდა განვიხილოთ, *ყველა თუ არა, ზოგი მათგანი მაინც,* რომ რელიგიური მრწამსისა თუ ისტორიის შემცველ ლეგენდას კი არა – ხალხში გავრცელებულ ჩვეულებრივ თქმულებას ემყარება ფრაზა – „მზე ძალიან გაჯავრდესა“ და არც ის არის გამორიცხული, აღმოჩნდეს, რომ ლექსი „მზე დედაა ჩემი“ რელიგიური დოქტრინის გამომხატველი ასევე არ არის და რომ დამოუკიდებელი პოეტური იმპულსებითაა იგი გაჩენილი; ბოლოს ნახსენებ ლექსზე დაკვირვება ასეთ კითხვასაც ბადებს: – ამა თუ იმ რეგიონში საყოველთაოდ ცნობილ დოქტრინას, ხალხში უკვე დამკვიდრებულ რელიგიურ მსოფლმხედველობას რომ ემყარებოდეს, იქნებოდა ასეთი ხალხისთვის იმის განმარტება საჭირო, რომ მზე ადამიანის დედაა და მთვარე კი – მამა? ხალხის ცნობიერებაში გამჯდარი სარწმუნოებრივი შეხედულების, რელიგიური პოსტულატის გადმოცემა რომ იყოს ხსენებულ სტრიქონთა მთქმელის მიზანი, დასჭირდებოდა ლექსის შემქნელს ამგვარი შეხსენება, ასეთი გზნებით ამცნობდა იგი მსმენელებს, რომ მისი მშობლები არიან ეს პლანეტები? ამ მეორე მოსაზრების სასარგებლოდ (რომ რელიგიური პოსტულატების გადმოცემას, შესაძლოა, საერთოდ არც ისახავს ეს ლექსი მიზნად), ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ჩვეულებრივ ლექსს ჰგავს, რელიგიური მრწამსის შეხსენების განწყობილებით გაჩენილს კი არა – უფრო იმგვარი ეგზალტაციის შედეგად ამოთქმულის მსგავსია იგი, სამყაროს მიმართ სიყვარულის მოძალების გამო უეცრად რომ ეუფლება ხოლმე პოეტური ნიჭის მქონე ადამიანს და, აქედან გამომდინარე, საკმაოდ მყარი საფუძველი იქმნება განსხვავებული ვარაუდის ჩამოსაყალიბებლად; ანგარიშგასაწევი უდავოდ ჩანს შეხედულება, რომ რელიგიურ დოგმებთან არაფერი აკავშირებდეს ამ სტროფებს; გასათვალისწინებელ არგუმენტს ქმნის იმ საკითხზე დაფიქრებაც, თუ რა უნდა გამხდარიყო ამ ლექსის აღმოცენების იმპულსი: ისეთ შთაბეჭდილებას ბადებს ხსენებული სტრიქონები, რომ ცხოვრების რომელიღაც მომენტში დედად და მამად დაუსახავს პოეტს მზე და მთვარე, ვარსკვლავები და-ძმებად წარმოუდგენია და ეს სიყვარული, იმ წუთებში დაუფლებული ეგზალტაცია ამოათქმევინებს ამ სიტყვებს, აშკარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიდი სიყვარული წარმოადგენინებს მას ღვთაებრივი სამყაროს შვილად თავს და ამით არის გამოწვეული, თავის ოჯახად რომ აღიქვამს ციდან გადმომდგარი ულამაზეს მნათობებს... პოეტური ეგზალტაცია ძალზე ძლიერად იგრძნობა ხსენებულ სტრიქონებში (იქნებ იმდროისათვის ყველასათვის ახალი პოეტური სახეებიც კი იქმნება ამ აღფრთოვანებისა და შთაგონების წუთებში) და არ არის გადაჭრით უარსაყოფი მოსაზრება, რომ ცოცხალი შთაგონებით იყოს ისინი გაჩენილი. მსგავსი რამ ითქმის ლექსზე – „მზე დაწვა და მთვარე შობა“, ისიც ჰგავს თავისუფალ პოეზიას, ისიც ქმნის იმ ვარაუდის საფუძველს, რომ ასევე არ უკავშირდება რელიგიურ დოქტრინას და რომ ბავშვისათვის სიყვარულის გამომხატველი ჩვეულებრივი სტრიქონებია ჩვენ წინაშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დასაშვებად მიმაჩნია ის ვარაუდიც, რომლის თანახმად, *თავისუფალი პოეტური შემოქმედების ნაყოფია ეს ლექსები, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ძალაში რჩება მოსაზრება, რომლის მიხედვით, მთვარის მამაკაცი ღვთაების გარდა, შესაძლოა, მთვარის ქალღმერთიც ჰყავდათ კოლხეთსა თუ დღვანდელი საქართველოს რომელსამე რეგიონში,* თუნდ არაფერი აკავშირებდეს ამ ლექსებს რელიგიასთან, თავისუფალი შემოქმედების ფაქტი, ცხადია, არ გვაძლევს საფუძველს, შეუძლებლად მივიჩნიოთ, რომ მთვარის ქალ ღვთაებასაც ეთაყვანებოდნენ წარმართულ კოლხეთსა თუ მის მეზობელ რაიონებში.

ამრიგად, ვფიქრობ, *არსებობს საფუძველი იმის სავარაუდებლად, რომ მთვარის ქალღმერთი მედეას ტაძარი დაარსდა ოდესღაც კოლხეთში (და იქნებ კოლხეთის მეზობლადაც გავრცელდა მსგავსი ტაძრები);* ჩანს, განსაკუთრებული ღვთაება მართლაც იყო ძველ ქართველთათვის მთვარე. ივანე ჯავახიშვილის მიერ სტრაბონისეულსა და სხვა მონაცემებზე მსჯელობა ცხადყოფს, რომ მთვარეს გამორჩეული ადგილი ეკავა წარმართ ქართველთა შორის. (ჯავახიშვილი 1979: 88-101), ამასთან არ გამოირიცხება ვარაუდი, რომ მთვარის სხვადასხვაგვარ ღვთაებას იცნობდნენ ანტიკური პერიოდის ქართველი და იქნებ მათი ადრეული წარმართი წინაპრებიც.

აქვე უნდა ითქვას: შემოქმედებითი თავისუფლების არსებობის ფაქტების დანახვის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმართული ტაძრის ჰუმანურ ბუნებაზე მეტყველებს ის, რომ პოეტს შეეძლო, რომელსამე ღვთაებაზე თავისუფლად შეექმნა ლექსი

მითი, ცხადია, მხოლოდ ისტორიულ რეალიათა სიმბოლიზებული ფორმის ასახვის შედეგად არ იქმნება, ტაძარში ამა თუ იმ ღვთაების ან მოკვდავი გმირის შესახებ ამბავთა მთხრობელი მრავალგვარ საზრისს დებს მასში და არის შემთხვევა, როცა შემქმნელის ძლიერი აზროვნებისა თუ ქვეცნობიერი მიხვედრის საშუალებით პროფეტულ შინაარსსაც ასახავს ესა თუ ის მითი; ცნობილი თქმულების პირველმთქმელი ან გადაკეთებული სახით მთხრობელი, რომელსაც მოსალოდნელ მოვლენათა განჭვრეტის უნარი აქვს და ძლიერი აზროვნების წყალობით ადამიანისა თუ მთელი ხალხის ფსიქიკას კარგად იცნობს, ხშირად ისეთ სათქმელს ჩადებს ხოლმე ხატოვანი ფორმით გადმოცემულ ისტორიაში, რომ ახერხებს და ამა თუ იმ ხასიათის მქონე ადამიანს გვიხატავს, ან მოსალოდნელ მოვლენაზე მიანიშნებს ხალხს, ანდა ფილოსოფიურ სათქმელს გადმოსცემს ხატოვნად; როგორც ვიცით, *ამირანიანის* იმ ცნობილ, განსხვავებულ ვერსიაში, რომელშიც ამირანი საუკუნების განმავლობაში პალოს ეწევა და მაშინ, როცა მიწიდან მის ამოძრობამდე ბევრი აღარაფერი უკლია, პალოს თავზე შემომჯდარ ჩიტს უროს უქნევს, ჩიტის ნაცვლად ძელს ახვედრებს ამ უროს და ისევ მიწაში არჭობს ძელს ღრმად; ისეთ ვერსიასაც ვიცნობთ, რომლის მიხედვითაც, მჭედლები ჭედავენ, ამაგრებენ იმ ჯაჭვს, რომლითაც ამირანია შებორკილი, ეშინიათ, რომ გათავისუფლების შემთხვევაში შურს იძიებს იგი მჭედლებზე; ეს ისტორია ხალხის ხასიათისა და ფსიქიკის და არაერთი სხვა საკითხის შესახებ ღრმად მოფიქრალის მიერ ჩანს შექმნილი.

ვფიქრობ, მედეას მითი და *ამირანიანი* კოლხეთის (და არა მარტო მისი) ისტორიის ლაბირინთებში გარკვევის საშუალებას იძლევა და ამ საკითხების უფრო დეტალური კვლევა სამომავლო საქმეა.

P.S.

ამჯერად ძირითადად მხოლოდ იმ ერთი ეპოქის შესახებ ვისაუბრე, რომლის შესახებაც მეტი ვიცით, – ბერძნული მითოლოგია, ქართული ეპოსი იძლევა იმის საფუძველს,

ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ.-ის VIII-VII საუკუნეებში მედეასა და აიეტის ორაკულური ტაძრები ფუნქციონირებდა კოლხეთში, რომ ამირანის ტაძარიც იყო აქ, ვფიქრობ, იმის საფუძველს უდავოდ ქმნის ეს მითები, რომ ამ ტაძართა შორის არსებულ ურთიერთობებზე გამოვთქვათ მოსაზრებები, მაგრამ, *რამდენადაც ამირან-პრომეთეს, როგორც ღვთაებათა, სახეები ძალზე ადრეული ეპოქებისკენ გახედვის საშუალებასაც გვაძლევს, სრულიად მისაღებია აზრი, რომ, შესაძლოა, ხალხთა განსახლებისა თუ შორეულ წარსულში მომხდარ გლობალურ რელიგიურ მოვლენათა ამსახველი კვალიც დავინახოთ ხსენებულ მითებში.*

დამოწმებანი

აბულაძე 1963: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტომი I, თბილისი, *მეცნიერება.*

ამირანიანი 2019: *ქართული ხალხური პროზა*, თსუ.

არგანაშვილი 2024: გ. არგანაშვილი, ქართული ისტორიული ეპოსი ძიებები და ვარაუდები; – *ლიტერატურული ძიებანი*, XLIV; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

გამსახურდია 1991: ზ. გამსახურდია, *წერილები, ესსეები,* თბილისი, 1991.

ბარანოვი 1977: Х. К. Баранов, Арабско-Рурсский словарь, Москва, изд. Русский Язык.

ეტიმოლოგიური ლექსიკონი: Etymology Dictionary. https://www.etymonline.com/ (ნანახია: 24/04/2025)

კიკნაძე 2001: ზ. კიკნაძე. ამირანიანი. *ქართული ხალხური ეპოსი,* თბილისი. http://saunje.ge/index.php?id=1444 (ნანახია: 24/04/2025)

კუჭუხიძე 2020: გ. კუჭუხიძე, სახელ „ამირანის“ გენეზისისათვის; *XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*; აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი; თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

კუჭუხიძე 2021: გ. კუჭუხიძე, ამირანი და ტარიელი („ამირანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხისათვის); *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXIII; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.

კუჭუხიძე 2024: გ. კუჭუხიძე, მცირერიცხოვანი ერი მსოფლიო კულტურის სამსახურში (კვლავ რენესანსის აღმოცენების მიზეზების შესახებ); *XVII საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, პატარა ქვეყნების ლიტერატურები და თანამედროვე გლობალური სამყაროს გამოწვევები;* შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, აკაკი წერეთელის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მასალები). https://cils.openjournals.ge/index.php/cils/index https://tsu.ge/ka/publishing-house/single/1676 https://cils.openjournals.ge/index.php/cils/article/view/8699/8652 (ნანახია: 24.04.2025)

პრელერი 1854: Grieshlische Mhythologie von L. Preller. Zweiter Band, Die Heroen; Leipzig, Weidmannsche Buchhandlung. https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=hvd.32044048258032&seq=5 https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=hvd.32044048258032&seq=762 (ნანახია: 24/04/2025)

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისი, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

ჯაფარიძე 2018: ა. ჯაფარიძე, *იაზონი და ამირანი, პელასგურ-კავკასიური იდენტობა.* https://meufeanania.info/iazoni/ (ნანახია: 24/04/2025).

MEDEA'S MYTH AND HISTORICAL REALITIES: THE CASE OF ANCIENT GREECE AND COLCHIS

Gocha Kuchukhidze
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
gochakuch@yahoo.com

According to the German scholar Ludwig Preller, Medea, the well-known figure of Greek mythology, was originally a goddess of the moon. In this article, we attempt to clarify the meaning of the Greek name *Mēdeia*. In our view, any research concerning the genesis of this name should take into account the ancient Greek word *Mḗnē* ("Moon") and earlier linguistic forms denoting the moon¯ such as modern English *Moon*, German *Mond* (both possibly deriving from the Proto-Indo-European root *me/n/ses-*), as well as Latin *Deus* (the source of Italian *Dio*, "God") and other words of related semantics. On this basis, we propose that the name *Mēdeia* could mean "Moon Goddess."

We also suggest that both Hellenic myths and the ancient Georgian folk epic *Amiraniani* preserve mythologized traces of the same historical events. In this regard, it is noteworthy that the female character in *Amiraniani* bears a name with lunar semantics—Kamar (an Arabic name derived from *ḳamar*, meaning "Moon"). In the epic, Amiran fights against Kamar's father, abducts his daughter, and Kamar ultimately betrays her father and aids Amiran in the conflict.

Similarly, in Greek mythology, Medea betrays her father Aeetes and helps Jason steal the Golden Fleece.

As Ludwig Preller observed, the Corinthian myth presents Medea's father Aeetes (son of Helios, the sun god) as a figure who originally resided in Corinth but later moved with his daughter to Colchis. In this article, we offer the view that this myth reflects an actual historical event: that temples dedicated to Aeetes and Medea were first built in Corinth and later in Colchis, possibly during the emergence of Greek poleis in the 8th-7th centuries BCE.

We further assume that the mythic episodes of Medea's and Kamar's betrayal of their paternal families allegorically depict the struggle between local Colchian and Greek temple communities. It may be supposed that a local Colchian temple -whose main cult was perhaps dedicated to Amiran-sought to extend its influence over the temple of the goddess Medea, which had previously been under the authority of Aeetes. Medea's chapel, in turn, may have desired to come under this new influence. Such events, we suggest, were later described in Georgian mythology in figurative form.

The article further entertains the possibility that certain mythic figures connected with Colchis may correspond to specific historical persons. For instance, we may assume that a priestess serving in Medea's temple, bearing the same name as her goddess, sought to align herself with the Colchian cult and thus betrayed the solar temple dedicated to Aeetes, with which she had once been closely associated.

Finally, we propose that, similar to the evolution of Hellenic myths, the Georgian ones also underwent later transformations. For example, Kamar may have acquired her current name only in the 7th–8th centuries CE, during the period of Arab expansion into Georgia, while originally she might have borne a different name denoting the moon.

The article presents several additional hypotheses of this kind.

დასახლების ფორმები და ლოკალური ჯგუფები ქართველი ხალხის ტრადიციული საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში

ნუგზარ მგელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

„ლოკალური ჯგუფი“ საქართველოში, რომელიც ადამიანთა ერთობლივ ტერიტორიულ თანაცხოვრებას გულისხმობდა, რამდენიმე სტრუქტურული უჯრედისაგან შედგებოდა. დაჯგუფების პირველი დონე სახლეულის (სახლთმეურნეობის) დონეს ემთხვეოდა, „მინიმალური სახლეული“ (მინიმალური სახლთმეურნეობა) ნუკლეარულ ოჯახთა ერთობას წარმოადგენდა, ხოლო გაფართოებული – „მედიალური სახლეული“ (მედიალური სახლთმეურნეობა) ოჯახთა ჯგუფის ფარგლებში არსებობდა, რომელიც, შეიძლება „მინიმალურ ლოკალურ ჯგუფადაც“ იწოდოს. დასახლება მისი შემადგენელი ნაწილებით, თუ იგი ერთ ანდა რამდენიმე სახლთმეურნეობას მოიცავდა, დასაშვებია „მედიალურ ლოკალურ ჯგუფად“ აღინიშნოს, ქუჩა, უბანი, ხოლო სოფელი და უფრო ფართო ტერიტორიალური გაერთიანება თემი (ხევი) კი – „მაქსიმალურ ლოკალურ ჯგუფად“ (მგელაძე 2018ბ). ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებებში ლოკალურ ჯგუფთა დისპრესიული განსახლება ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორების წყალობით ლიმიტირებული იყო და ადამიანური, განსაკუთრებით, შრომით რესურსებით იზღუდებოდა (ანუჩინი 1982: 79). ლოკალური ჯგუფის ყველა წევრი, მაგალითად, მოხუცები, ავადმყოფები, ბავშვები, სასულიერო პირები, თემის წევრები ერთმანეთთან თანაცხოვრებით დაკავშირებული არ იყვნენ, რამდენადაც ლოკალური ჯგუფის ფარგლებში თავმოყრილი იყო რამდენიმე სამეურნეო ბირთვი – თემი, ამასთან, დასაშვებია თემში გაერთიანებული ყოფილიყო სხვადასხვა ლოკალური ჯგუფი. ის რომ ლოკალური ჯგუფი არ ემთხვეოდა როგორც თემს, ისე ნათესაურ ორგანიზაციას, რამდენადაც ყველა ერთად მცხოვრები (ცოლი, რძალი, შეხიზნული – სახლეულს შეკედლებული და სამუშაოდ დაქირავებული პირები) არ იყო, ვთქვათ, გენეალოგიური ანდა არაგენეალოგიური ჯგუფის წევრი, მათ ცალკე, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ უჯრედად გამოყოფას მოითხოვს. ეს სწორედ ის წევრები იყვნენ, რომლებიც ერთმანეთს ერთად ცხოვრებითა და საერთო დასახლებით უკავშირდებოდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთ საზოგადოებებში, სადაც პატრილინეალური ფილაცია დომინირებდა, ქალს შეეძლო საზოგადოებრივი ლიდერის ფუნქცია მხოლოდ ლოკალური ჯგუფის ჩარჩოებში შეესრულებინა, მაშინ, როცა ნათესაურ ორგანიზაციაში მისი როლი უაღრესად იყო შეზღუდული. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეს ნიშანი ამ ორგანიზაციის დამოუკიდებელ სტრუქტურულ უჯრედად გამოყოფას მოწმობს. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის ავტონომიურ არსებობასა და უნივერსალურ დანიშნულებას. ლოკალური ჯგუფის ფარგლებში, სათემო სამუშაოების გვერდით, რომელიც თემის წევრთა მიერ სრულდებოდა, შესაძლებელია სპეციფიკური შრომითი ოპერაციები განხორციელებულიყო, მაგალითად, ხიდები აშენებულიყო, გზები დაგებულიყო, წყალდიდობისაგან თავდაცვის მიზნით დამბები მოწესრიგებულიყო. აქედან კი შრომის საგნებზე ამა თუ იმ ლოკალური ჯგუფის წევ-

რის საკუთრების განსაზღვრული ფორმები წარმოქმნილიყო. არაეკონომიკური ფუნქციის რეგლამენტაციისათვის მოსალოდნელი იყო ასევე თავისებური პოტესტარული ორგანოებიც გაჩენილიყო და ეს ორგანოები სათემო ორგანიზაციის სტრუქტურებს სრულებითაც არ დამთხვეოდა. როგორც ჩანს, არსებობდნენ ტერიტორიული ჯგუფები, რომლებიც რამდენიმე ლოკალურ ჯგუფს საერთო სოციალურ ორგანიზმად აერთიანებდნენ. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პატრილინეალური ფილაციის საზოგადოებებში ნათესაობა ქორწინების საფუძველზე ყოველთვის მეორადი იყო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, როგორც თანმდევი და მეორეხარისხოვანი ელემენტი, გენეალოგიური ტიპის ნათესაობაში შემოტანილი იყო. ამგვარად, ნათესაობა საზოგადოებაში სოციალური კავშირების გაბატონებულ ტიპს, სოციალურად გაცნობიერებულ და ნორმატულად რეგლამენტირებულ ინდივიდთა ერთობას წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად გენეალოგიური ნათესაობის სისტემის პრიორიტეტულ აღიარებას ეყრდნობოდა. იგი სოციალური ორგანიზაციის მოდელში ინდივიდთა მაკავშირებელ როლს ასრულებდა (მგელაძე, მასანოვი 1996); (მგელაძე 2011).

შეიძლება თუ არა გენეალოგიური ჯგუფის განსაკუთრებული ტიპის საკუთრების შესახებ ვისაუბროთ? ამ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი საკუთრება ლოკალური ჯგუფისა და თემის ფარგლებს გარეთ დაფიქსირდება. როგორც კავკასიური და შუააზიური მასალები გვიჩვენებს, პატრონიმიული ორგანიზაციის ასეთი განსაკუთრებული საკუთრების ფორმა არ არსებობდა. როგორც წესი, საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი ოჯახის და თემის შიგნით ვითარდებოდა, ნაკლებად – ლოკალური ჯგუფის ფარგლებში, მაგრამ საკუთრების უფლების გადაცემის არხები ნაწილობრივ ნათესაური – გენეალოგიური სისტემის მეშვეობით რეგულირდებოდა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენდა. ამიტომ, ოჯახსა და თემში ნათესაობის გენეალოგიური სისტემის მეშვეობით პატრონიმიული ორგანიზაცია მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემას აწესრიგებდა, შესაბამისად, გენეალოგიური – ნათესაური ორგანიზაცია, უმთავრესად, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ფუნქციის მატარებელი იყო.

დასახლების აგებულება და ფორმები. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და გეოგრაფიული გარემოს სპეციფიკური პირობები საქართველოში დასახლების მრავალფეროვან ფორმებს განსაზღვრავდა. საქართველოს ბარის ერთ ნაწილში ტრადიციულად სოფლები გაფანტულად ხოლო მაღალმთიანეთში ფერდობებზე დაჯგუფებულად იყო წარმოდგენილი რომლებიც წარმოქმნიდა დასახლების სპეციფიკურ ფორმებს ვერტიკალურ ზონალობასთან შესატყვისად. ქართულ-კავკასიურ დასახლებათა შორის არსებულ განსხვავებებს მკვლევრებმა ყურადღება კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ მიაქციეს. გუსტავ რადდეს დაკვირვებით, სამეგრელოში სოფლები ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით იყო დაცილებული. მთის მჭიდრო დასახლებისგან განსხვავებით ბარში კარ-მიდამოები გაფანტულად ვრცელ ფართობებზე იყო განლაგებული. შედარებით დიდი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული სოფლები დაბლობებში სიმინდისა და ვაზის კულტურულ არეალებში იყრიდნენ თავს. მიწათმოქმედთა საცხოვრებლები ფართო მოედნებზე ისე იყო გაფანტულად წარმოდგენილი და მწვანე გარემოში ჩაფლული, რომ მათ ადამიანი ხშირად ვერც კი შენიშნავდა. დამკვირვებლის აღწერილობით, რაჭაში, უწერის მიმართულებით, მდინარე რიონის ხეობაში, 3519 ფუტის სიმაღლეზე, სადაც სამხრეთული კულტურები იყო წარმოდგენილი, თვალში საცემი ყოფილა არაერთი მჭიდროდ დასახლებული

პუნქტი. ასეთი ფორმის დასახლებებს გუსტავ რადდე ისეთ სოფლებს აკუთვნებდა, როგორებიც იყო გლოლა, ჭიორა და ღები. მსგავსი სურათი იკვეთებოდა ცხენისწყლის ხეობაში, კერძოდ, ზემო ლეჩხუმსა და „დადიანების სვანეთში“, სადაც ასევე სახლები შემჭიდროვებულად ერთ ადგილზე იყო შეჯგუფებული. გუსტავ რადდეს სიტყვებით: „ეს კიდევ უფრო შესამჩნევი იყო ენგურის ხეობაში, სადაც სოფლები. რაც უფრო მაღლა მდებარეობდა, მით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ხოლო ისეთ ადგილებში, სადაც მდინარე ხეობაში თავის ვიწრო კალაპოტს თმობდა, ზღვისპირა დაბლობებში დასახლება იმდენად გაშლილი იყო, რომ იქ სოფლების არსებობაზე შეგვიძლია არც კი ვისაუბროთ“ (რადდე 1866: 291). განსხვავება მთისა და ბარის დასახლებებს შორის სვანეთის მაგალითზეც ნათლად იკვეთება, რაზეც ბორის დეგენ–კოვალევსკი მიუთითებდა. ის, კერძოდ, აღნიშნავდა, რომ სვანეთის მაღალმთიანეთის ტრადიციული დასახლება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა (დეგენ–კოვალევსკი 1930: 43). ალექსანდრე კოჟევნიკოვის მიხედვით, უშგული მჭიდროდაა დასახლებული, სახლებისა და კოშკების კედლები გასასვლელებით ქვის ვიწრო რგოლს წარმოქმნიან, ხოლო სხვა დასახლებები, ვთქვათ ისეთი, როგორიც მესტიაა, დაბლობ ადგილზეა გაშლილი და მაღალი მთების ფერდობებზეა შეფენილი, ბევრი კარმიდამო კი გზის საყარზე მდებარეობს. უშგულის მკვიდრთ შეუძლიათ სახლებს შორის არსებული ვიწრო გასასვლელები ქვებით ამოავსონ და თავდამსხმელთათვის იგი მიუწვდომელ ციხედ გადააქციონ. ავტორის თანახმად, ტრადიციული საზოგადოებით უშგული, როგორც უკიდურესი სასაზღვრო დასახლება, გარეშე მტრებისაგან პირველ დარტყმებს ღებულობდა. ამის გამო უშგულის მკვიდრმა მოსახლეობამ სახლები რგოლის მაგვარად შემოსაზღვრეს და მოსისხლეთაგან თავდაცვის მიზნით კოშკებიც ააგეს. სისხლის აღების ჩვეულებამ და გარეგანმა საფრთხეებმა უშგულის იერსახე განსაზღვრა, დასახლებას ოვალური ფორმა მისცა და ისინი ქვის სარტყლებში ჩაკეტა. უშგულში მცხოვრები საზოგადოება გარე თემების თავდასხმებისაგან თავდაცვაზე ანდა მონღოლების მსგავსად შემოსეული მტრების მოგერიებაზე ნაკლებად ფიქრობდა. მათი სადარდებელი უფრო მეზობლები იყვნენ, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მტრად ქცეულიყვნენ (კოჟევნიკოვი 1930: 150). XX საუკუნის მეორე ნახევარში სოლიდური ფაქტობრივი მასალების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჯერ ფილიპე გოგიჩაიშვილმა, ხოლო შემდეგში გიორგი ჩიტაიამ და ალექსი რობაქიძემ საქართველოში დასახლების ფორმათა საკლასიფიკაციო კრიტერიუმები ჩამოაყალიბეს (ჩიტაია 1953: 201-216). დასახლების ფორმათა კლასიფიკაციის საფუძველზე ალექსი რობაქიძე ასკვნიდა, რომ სვანური დასახლება მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნის მიხედვით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დასახლებებისაგან განსხვავდებოდა და მხოლოდ ცალკეული კომპონენტით საქართველოს მთიანეთის დასახლებებს უახლოვდებოდა (რობაქიძე 1958: 60). დასახლების ფორმათა კლასიფიკაციისადმი ასეთი ინტერესი ბუნებრივია, რადგან დასახლების ფორმების ტიპოლოგიური ნიშნების გამოყოფას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და მისი ისტორიულ-შედარებითი მიმართულებით კვლევა, უპირველესად, სტრუქტურულ ანალიზს საჭიროებს. მიხეილ ვიტოვმა, თავის დროზე, ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტით დასახლების შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითა. ერთი მხრივ, დასახლების მკვეთრად გამოხატული სოციალური და სამეურნეო ფუნქციები, ხოლო, მეორე მხრივ, დასახლების არქიტექტურული იერსახე, რა თქმა უნდა, მის მნიშვნელობას აფართოებდა, რის გამოც დასახლების ფორმები არა მარტო ზოგადად საზოგადოებრივი მეცნიერებების, არამედ უშუალოდ ეთნოლოგიისა და სოციოკულტურული ანთროპოლოგიის კვლევის სფე-

როში მოექცა. მიხეილ ვიტოვის აზრით, დასახლების სხვადასხვა ფორმა თუ დასახლების დაგეგმარება ამ თემატიკის მხოლოდ ერთი ნაწილია. დასახლების ფორმათა გვერდით აუცილებელია დასახლებულთა განლაგება და კომლთა განსახლების თავისებურებები, ცალკეული დასახლების შიდა სტრუქტურა, დასახლების სხვადასხვა ტიპის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება შევისწავლოთ (ვიტოვი 1958: 30).

დასავლეთ საქართველოს დაბლობების, ბარის დასახლებები კარმიდამოების სახით გორა-ბორცვებიან რელიეფზე მკვეთრად გაფანტულად იყო წარმოდგენილი. სოფლებს მკაფიოდ გამოხატული საზღვრები არ გააჩნდათ. ასეთი საზღვრები თვით მომიჯნავე სოფლებს შორისაც არ არსებობდა. ტრადიციულ დასახლებებში განსახლების ლოკალურ-ნათესაური პრინციპი და სამეურნეო-კულტურული ნიშნის მიხედვით საცხოვრებელ კომპლექსთა დაჯგუფება მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა საქმიანობას ეფუძნებოდა. ამასთან, დასავლეთ საქართველოში შეიძლება შეხვედროდით როგორც მთისა და გორა-ბორცვების ფერდობებზე მიმოფანტულ, ისე ვაკეზე წარმოდგენილ დასახლებულ პუნქტებს. ბარში, ვაკეზე არსებული დასახლებები საკმაოდ მჭიდრო სამოსახლოებს ქმნიდნენ და ჰორიზონტალურად იყვნენ გაშლილნი. თედო სახოკიას დაკვირვებით, გურიაში დასახლებები გზისპირა ზონებშიც მდებარეობდა. გზის ორივე მხარეს ლიხაურამდე ხის სახლები იყო განლაგებული. აქ სოფლები სიგრძე-სიგანით დაახლოებით ორი-სამი კილომეტრის მანძილზე განივრცობოდა, მაგალითად, სოფელ ბახვიდან ბახმარომდე. მგზავრს კიდევ ერთი სოფელი – ვაკიჯვარი უნდა გაევლო. გზის ორივე მხარეს სახლები იდგა. ასე რომ, სოფლები სიგრძეში ერთი მიმართულებით იყო მოწყობილი. სოფელ გომის დახასიათებისას ავტორი შენიშნავდა, რომ ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდა თითქოს სახლები ტყეში იყო ჩადგმული. ყოველი მხრიდან ისმოდა მდინარეთა ხმაური და ნაკადულთა ხმა. სახლების ერთმანეთთან ახლოს იყო აგებული, მაგრამ ჩვეულებრივ ისინი გზისპირზე იყვნენ წარმოდგენილნი (სახოკია 1950: 43, 58, 83). დასახლებებს ადგილებზე არ გააჩნდათ ტოპოგრაფიული დაყოფა, ხოლო იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც შენარჩუნებული იყო მონოგენური1 განსახლების პრინციპი (რობაქიძე 1958: 60). დასავლეთ საქართველოში საკუთრივ სვანური დასახლებები, როგორც წესი, თავმოყრილი იყო მდინარე ენგურის მიმართულებით, რომელიც აქა-იქ ტერასის მაგვარ ფორმას ღებულობდა (რობაქიძე 1958: 52). აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარისაგან და მთისაგან განსხვავებით მაღალმთიან აჭარაში დასახლებები მეტ-ნაკლებად სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა, თუმცა ძირითადი ნიშნების მიხედვით ისინი ისტორიულად ჩამოყალიბებულ ზოგადქართულ ეთნოკულტურულ ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ჩვეულებრივ, მონოგენური დასახლების ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენდა კომპლექსი, რომელიც მთის ფერდობებზე იყო განლაგებული. ფერდობებზე განსახლება სერებს და სერისპირებს მისდევდა, რაც საერთო ჯამში სერული დასახლების ფორმას ღებულობდა. თანმიმდევრულად ისინი უბნის ტიპის დასახლებებად ყალიბდებოდნენ, თუმცა ზოგან რელიეფის თავისებურებების გამო საცხოვრებელთა განლაგებისა და ზოგადად დასახლების განაშენიანების ჰარმონიული პრინციპი უბნებში ყოველთვის დაცული არ იყო. ამიტომ, დასახლება სერებზე ასიმეტრიულად და ამფითეატრულადაც ვითარდებოდა, რასაც პანორამაზე შორიდან დამკვირვებლისათვის ზოგჯერ წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. დასახლების სერული ფორმა სამხრეთ საქართველოს მთისათვის, განსაკუთრებით, მდინარე ჭოროხის აუზის მთიანი რეგიონებისათვის – აჭარისათვის, შავშეთისა და ტაო-კლარჯეთისთვის შედარებით ტიპურ მოდელს წარმოადგენდა (მგელაძე 2009). მაღალმთიანეთიდან ბართან

– ზღვისპირა ზოლთან მიახლოვებისთანავე დასახლების სერული ფორმა გარეგნულ მახასიათებელ ნიშნებს კარგავდა და ალაგ-ალაგ ბუდისებური ანდა ქუჩისებური თუ ქუჩის-პირული დასახლების ფორმად გარდაიქმნებოდა. მსგავსი დასახლების ფორმები კი ძირითადად დასავლეთ საქართველოს დაბლობების გორა-ბორცვებიან და ბარის დასახლებებს ახასიათებდათ. ამგვარად, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში დასახლების ორი ძირითადი ფორმა არსებობდა, რომელთა საუკეთესო ნიმუშებს აჭარაში ვხვდებით, თუმცა დასახლების ამ ორ ფორმას შორის გარდამავალი – შერეული ფორმებიც შეინიშნება, რომლებიც ორივე დასახლების ძირითად ელემენტებს ითავსებდნენ და როგორც მთისათვის დამახასიათებელ სერულ, ისე ბარისათვის ნიშანდობლივ ქუჩისპირულ, დასახლებებს ქმნიდნენ. ვაკეში დასახლება ხაზობრივ სახეს ღებულობდა, მაგრამ ამასთან ხაზოვანი განსახლება მთიანი რეგიონების სერულ დასახლებაშიც დასტურდება. იშვიათი გამონაკლისის გარდა განსახლების ამგვარ სახეს ატარებდა არა მთელი სოფელი, არამედ სერზე განლაგებული განაყოფ სახლეულთა – ნათესავთა საცხოვრებლის რიგი. ხაზოვანი გასახლების მთისათვის დამახასიათებელი დასახლების ასეთ ფორმას შეიძლება „ხაზოვან-სერული დასახლება“ ანდა „მწკრივული“, „მწკრივულ-სერული დასახლება“ ვუწოდოთ. ამ ტერმინებში არა მხოლოდ მთის დასახლებისათვის ნიშანდობლივი სერულობა, არამედ ხაზოვანი და მწკრივული განსახლების ბუნება აისახება (რობაქიძე 1960: 14); (მგელაძე 1973); (მგელაძე 1988ა: 104-106); (მგელაძე 2009).

დასახლების ფორმათა კლასიფიკაციის პროცესში სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია ისეთი დასახლებები, როგორებიცაა გვაროვნული, ქუჩური, ზღვისპირული, უწესრიგო, რგოლის მაგვარი, კერძოდ, დასახლებების სხვადასხვა ვარიანტი მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. რიგი ავტორი XV-XVI საუკუნეების საერთო ეზოში მოქცეულ საცხოვრებელების ჩამოყალიბებას საოჯახო-გვაროვნულ ორგანიზაციაში დიდ საოჯახო ტრადიციებს, ხოლო მცირერიცხოვან და უწესრიგოდ გაფანტულ სახლებად და კარმიდამოებად საერთო ეზოს გარდაქმნას – მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასა და დიდი საოჯახო თემების რღვევის პროცესს უკავშირებდა. შემდგომმა სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ გვაროვნული ხასიათის ზღვისპირა დასახლებები წარმოქმნა, ხოლო კიდევ უფრო გვიან ქუჩური დაგეგმარების სოფლები გაჩნდა (ვიტოვი 1958: 37). სხვადასხვა ფორმის დასახლებების წარმოშობას მკვლევრები ისტორიული ევოლუციის ასპექტში განიხილავდნენ და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მათთან სოციალური სტრუქტურისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებებს აკავშირებდნენ. ჩვენი შეხედულებით, დასახლების ფორმათა მრავალგვარობაში განმსაზღვრელ როლს, ბუნებრივია, სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე თამაშობდა, მაგრამ ამასთან არანაკლებ განმსაზღვრელი იყო კულტურულ-რეგიონული სპეციფიკა და გეოგრაფიული გარემოს თავისებურებათა როლიც. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში კულტურის ელემენტთა კლასიფიკაციისა და სამეურნეო-კულტურული ტიპოლოგიის საფუძველზე გამოყოფილია სამი ძირითადი ისტორიული ოლქი: აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, დასავლეთ საქართველოს დაბლობი და მთიანი საქართველო. საქართველოს ტერიტორიის ამგვარ გრადაციასთან მიმართებაში კლასიფიცირებული იყო დასახლებები პატრონიმიული ტიპის სოციალური ორგანიზაციის წამყვანი როლით. აღმოსავლეთ საქართველოს ბარი ხასიათდებოდა დარბაზული სახლებით, თვალშისაცემი ჯგუფური დასახლებებით და პატრონიმიული განსახლების გამოკვეთილი ნიშნებით. დასავლეთ საქართველოს დაბლობისათვის დამახასიათებელი იყო ოდა-სახლები და

ძალიან გაფანტული, ძირითადად, ქუჩისპირული დასახლებები პატრონიმიული განსახლების რღვევის გარკვეული ნიშნებით, მთიან საქართველოში კი წარმოდგენილი იყო კოშკური ტიპის საცხოვრებლები, ხევისპირული დასახლებები და კარგად შემონახული პატრონიმიული განსახლება (რობაქიძე, შამილაძე 1983: 27). მხედველობაში მისაღებია საქართველოში, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში წარსულში არსებული დასახლებები მიწური და ნახევრად მიწური დასახლებები, რომლებიც ზოგან მიწურბანიანი სახლებითა და დარბაზული ტიპის საცხოვრებლებით იყო წარმოდგენილი (გოდერძის უღელტეხილი 2019). ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განხორციელებული ისტორიულ-შედარებითი ანალიზით კავკასიის ხალხებში ეთნიკური ნიშნით დასახლების რამდენიმე ტიპი გამოიყოფა: 1. ჩეჩნურ-ინგუშური; ყარაჩაულ-ბალყარული; 3. ოსური; 4. სვანური ორი სახით: შედარებით ადრეული, რომელსაც ხევსურული და მთიულური ვარიანტები იმეორებს და გვიანი ვარიანტი, სადაც სვანური დასახლება ხასიათდებოდა არა მამა-პაპისეულ სახლზე მიშენებული სადგომით, არამედ დამოუკიდებლად მდგარი და სრულყოფილი ნაგებობით; 5. აფხაზური პატრილოკალური დასახლება, სალომე ბახიას მიხედვით კი – პატრონიმიული დასახლება (ბახია 1986: 20-31). ეთნიკური ნიშნის მიხედვით ამგვარი კლასიფიკაცია საინტერესოა, მაგრამ დასახლების თავისებურებათა დასასურათებლად მაინც ზედაპირულად გამოიყურება და ძირეული ტიპოლოგიური ნიშნების გამოყოფის გარეშე, ბუნებრივია, სრულყოფილ რეპრეზენტატივობაზე განაცხადს ვერ გააკეთებს (მგელაძე 1988დ: 170).

ლოკალური ჯგუფები ქართველი ხალხის ტრადიციული საზოგადოების დასახლების სოციალურ სტრუქტურაში. საქართველოში ყველაზე მცირე სოციალურ-ტერიტორიულ უჯრედს საკარმიდამო კომპლექსი წარმოადგენდა, რომელიც შედარებით დიდი სტრუქტურული დონის გაერთიანებას – უბანსა და სოფელს, ტერიტორიულ თემსა და ტერიტორიული თემის კავშირებს წარმოქმნიდა. მათი აღმნიშვნელი ნომენკლატურა სოციალური ორგანიზაციის ელემენტთა სხვადასხვა ტაქსონომიურ დაჯგუფებას შეესატყვისებოდა. სახლეული (სახლთმეურნეობა) – მინიმალური ლოკალური ჯგუფი, ჩვეულებრივ, საკარმიდამო კომპლექსს შეესაბამებოდა, მედიალური ლოკალური ჯგუფი – უბანს ანდა სოფელს, მაქსიმალური ლოკალური ჯგუფი – სოფელთა კავშირზე დაფუძნებულ ტერიტორიულ გაერთიანებას. მინიმალური სახლეულის (სახლთმეურნეობის) ფარგლებში, როგორც წესი, ნუკლეარული ოჯახები იყო წარმოდგენილი, ხოლო გაფართოებულ (დიდ) სახლეულში (სახლთმეურნეობაში) ნუკლეარულ ოჯახთა ჯგუფი, რომლებიც ერთობლივი მეურნეობით იყვნენ დაკავშირებულნი და, ნაწილობრივ, საერთო საკარმიდამო სივრცეში ცხოვრობდნენ. მედიალური ლოკალური ჯგუფი სხვადასხვა სახლეულს (სახლთმეურნეობას) მოიცავდა, რომელთა მამამთავრები ერთმანეთის ნათესავები იყვნენ, მეზობლად ცხოვრობდნენ და საერთო სამეურნეო ინტერესები ჰქონდათ. პატრონიმიული ორგანიზაცია, რომელიც ნათესაობის სისტემის სტრუქტურაზე იყო აგებული, გენეალოგიური თვალსაზრისით, იმთავითვე, თავდაპირველი გაფართოებული სახლეულის (სახლთმეურნეობის) ფარგლებში იწყებდა ფუნქციონირებას. გაფართოებულ სახლეულში (სახლთმეურნეობაში) მინიმალური ლინიჯი იყო წარმოდგენილი, რომელიც ორი-ოთხი თაობის ნათესავებს აერთიანებდა, მედიალური ლოკალური ჯგუფი – მედიალურ ლინიჯს, მეორე რიგის გენეალოგიურ სეგმენტს და ოთხი-თორმეტი თაობის ნათესავისაგან შედგებოდა, ხოლო მაქსიმალური ლოკალური გაერთიანება გვარ-სახელური ტიპის მაქსიმალურ ლინიჯს მოიცავდა. გვართა კავშირი კლანურ სტრუქტურას წარმოქმნიდა, რომელიც გეოგრაფიული თვალთახედვით

ტერიტორიული გაერთიანების მიჯნებში იყო განსახლებული. ზოგჯერ იგი რამდენიმე ტერიტორიული გაერთიანების ჩარჩოებში იყო მოქცეული და პატრონიმიული ორგანიზაციის ერთიან სისტემას ქმნიდა.

სახლეულის (სახლთმეურნეობის) წევრთა სეგმენტაცია, ერთობლივი ქონების გაყოფა, მიწის დანაწილება და მამაპაპური მამისეული ფუძე-სახლის ირგვლივ-მათი კომპაქტური დასახლება ტრადიციულად მონოგენური პრინციპის დაცვით მიმდინარეობდა. ერთგვარად, XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით, საბჭოთა პერიოდის პირველ მონაკვეთში დემოგრაფიული სიტუაცია, სტიქიური მიგრაციის მაღალი სიხშირე, ასევე, შემდეგში გეგმური მიგრაციები, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზეზები ქართული სოფლების ერთგვაროვნობას თანმიმდევრულად არღვევდა და პოლიგენური განსახლების პროცესს აჩქარებდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი უბნის ტიპის დასახლებები ტრადიციულ ბუნებას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა. რადგან ტერიტორიული გაერთიანების ფარგლებში, უფრო მეტიც, საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებს შორის მოსახლეობის არანაკლები ხშირი გადაადგილებები ხდებოდა, ამდენად, ნათელია, რომ ასეთ პირობებში კულტურის ელემენტთა დიფუზია, მათ შორის ამ ელემენტთა ასახვის ენობრივი გამოხატულებებიც გადაადგილდებოდნენ. საინტერესოა, რომ ტერიტორიულ გაერთიანებებში აკულტურაცია დაფუძნებული იყო რიგ რიტუალიზებულ პროცედურაზე (მგელაძე 1989: 69- 81). ეს პროცესი ნათესაურ ურთიერთობათა ტრადიციულ სისტემასა და ამ სისტემის შესაბამის ლექსიკაზეც დიდ გავლენას ახდენდა. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ლოკალური ჯგუფის დასახლების ფორმის განხილვა მისი სპეციფიკური ნიშან-თვისებების ჩვენებით დავიწყოთ.

საქართველოში უბნის ტიპის დასახლება ფართოდ გავრცელებულ ტერმინ „უბანი’თ“ აღინიშნებოდა, რომელიც როგორც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ისე ისტორიული ხასიათის ქართულ წერილობით წყაროებშიც ფიქსირდება (ყაუხჩიშვილი 1955:: 95, 295); (დოლიძე 1953: 95). შეიძლება დავუშვათ, რომ ტერმინი უბანი ცნება „ბან’თან“ და „დაბა’თან“ იყოს დაკავშირებული. ბანი, დაბა და უბანი ძველ საქართველოში დასახლების გარკვეული ფორმების გამომხატველნი იყვნენ. არნოლდ ჩიქობავას აზრით, - დაბ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა „მიწა’ს“ შეესატყვისებოდა, რომელმაც დროთა განმავლობაში „დამუშავებული მიწისა“ და „დასახლებული ადგილის“ მნიშვნელობა შეიძინა. მეცნიერის აზრით, ამის მოწმობას სვანური „დაბ’ისა“ – მინდორის და მეგრული „დობ-ერ-ა’ს“ („დობ-ირ-ა’ს”“) – სახნავი მიწა, სემანტიკა წარმოადგენს (ჩიქობავა 1942ბ:27). ივანე ჯავახიშვილი აქ დო’ს პრეფიქსად თვლიდა (ჯავახიშვილი 1937: 31-132). ასეთი ცვლილებების ანალოგად არნოლდ ჩიქობავა „მიწის“ მნიშვნელობით ტერმინ „ყანის“ (მინდორის) უძველეს სემას მიიჩნევდა, მაგალითად, „ქუეყანა’ს“ ანდა „მიწა’ს“, ვთქვათ, სიტყვაში: თავ-ყანის-ცემა (თაყვანისცემა), ე. ი. თავით მიწისაკენ, მიწისაკენ თავდახრილი. კიდევ ერთი სემით ეს სიტყვა ხორბლეულით დათესილ მიწას აღნიშნავდა (ჩიქობავა 1942ბ:27). ნიშანდობლივია, X-XI საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი *ქვეყანა (ქუეყანა)* სოფლის, თემის ანდა ზოგადად მიწის (ჯავახიშვილი 1930: 131-135, 149), ხოლო დაბა – სოფლის მნიშვნელობით რომ გამოიყენებოდა. ტერმინ „ქვეყნის“ თანამედროვე შინაარსით დატვირთვა საქართველოში XVIII საუკუნეში დაიწყო (ჯავახიშვილი 1928); (ჯავახიშვილი 1948: 1-2). ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, უბნის, დაბისა და სოფლის ფორმირებას საქართველოში საფუძვლად ედო გაფართოებული სახლეულის სეგმენტაცია. ტერმინ „დაბის“, როგორც გარკვეული ტიპის დასახლების მნიშვნელობა ადრე ვიწრო უნდა ყოფილი-

ყო, რაც სიმონ ჯანაშიას შეხედულებითაც მოწმდება. ირკვევა, რომ ქართული *ბან'ი* სემიტური *„ბეტ'ის“* სრული შესატყვისი იყო. სემიტური ბეტ'ი სახლს აღნიშნავდა, ისე როგორც ქართული ბანი ანდა ვანი. ავტორი თვლიდა, რომ „ბან-ა'სგან“ დაბანი წარმოიქმნა. შემდეგ „დაბა'მ“ და „ბან'მა“ სოფლის მნიშვნელობა შეიძინა (ჯანაშია 1959გ: 191). სიტყვა „დაბა'სთან“, „ბან'თან“ და „უბან'თან“ კავშირში ყურადღებას იქცევს ტერმინი „საბანი'ც“, ასევე, ჭოროხის ხეობაში მდებარე სოფლის სახელწოდება – *ბანა*. ბანი საინტერესოა არა მარტო ტერმინოლოგიური და სემანტიკური, არამედ ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. საქართველოს მთიანეთის ამა თუ იმ კუთხეში დღესაც შეხვდებით მრავალი საფეხურებისაგან შემდგარ ბანიან სახლებს, კერძოდ, როგორც მიწისზედა, ისე მიწურ და ნახევრად მიწურ საცხოვრებელ კომპლექსებს. ბანიანი სახლებით გამოყოფილი ზოგიერთი სოფლის ხედი შორიდან ისე გამოიყურება თითქოს თავად სოფლის დასახლება იყოს ბანიანი იერსახის, ისეთი კონსტრუქციის, როცა ერთი სახლის ბანი, მეორე სახლის ეზოს წარმოადგენდა. ასეთ ბანებზე ხდებოდა უხუცესთა შეკრება, კალოობა – მარცვლეულის, მათგან, პურეულის ლეწვა. ამ ტიპის დასახლების საუკეთესო ნიმუშს სამხრეთ საქართველოში არტაანის ზოგიერთი სოფელი წარმოადგენს. ამ მხრივ ტაო-კლარჯეთი და სპერიც უაღრესად საინტერესოა. ბანიდან ანდა სახლიდან თუ კარმიდამოდან უბნის ფორმირების ანალოგიურ სემანტიკურ გზას ლაზური „ოფუტე'ც“ იმეორებდა, რომლის ძირითადი მნიშვნელობა სახლთან ახლოს ადგილი, ეზო იყო (ჩიქობავა 1938: 194). ლაზეთში/ჭანეთში ოფუტე ისეთი დასახლება იყო, რომელიც განაყოფი სახლეულების ერთობას ეფუძნებოდა (მგელაძე 2005); (მგელაძე, ვარშალომიძე, მიქელაძე 2017: 65-68, 106-108, 127-130). *ოფუტე* ქართული „საფუტე'ს“ თანაბარი სიტყვა იყო და მამა-პაპური ფუძე-სახლეულის საოჯახო კერასთან იყო დაკავშირებული (მგელაძე 1964: 92). თურქეთსა და საქართველოს შორის მდებარე ლაზებით/ჭანებით დასახლებულ სასაზღვრო სოფელ სარფში, ისე როგორც მთელ ლაზეთში/ჭანეთში, *ოფუტე* ეზო-კარმიდამოს გარდა უბანს აღნიშნავდა. მას სოციოკულტურული მნიშვნელობის დასაზუსტებლად უბნის აღმნიშვნელი სახელი ემატებოდა. მაგალითად ასეთი იყო: „მემიშიშების ოფუტე“, „თანდილავების ოფუტე“, „ჯევაიშების ოფუტე“ და სხვა მისთანანი. „ოფუტე'ს“ თავდაპირველი სემანტიკა ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრების შინაარსს ასახავდა. ოფუტეს მკვიდრნი კერისა და მამისეული სახლის ირგვლივ ერთიანდებოდნენ. სახლეულის სეგმენტაციის შემდეგ გაფართოებული სახლთმეურნეობის სარბიელად უბანი გადაქცეულა. სხვადასხვა ფაქტორის წყალობით ამ ტიპის დასახლების კომპაქტური ხასიათი უბნის ფარგლებში ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის ტერიტორიულ ერთობასაც განაპირობებდა. გურიაში, სურების ხეობის სოფელ დიდვანში ოფუტე გენეალოგიური ჯგუფის – „ბუნი'ს“ აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა (მგელაძე 1986ა); (მგელაძე 2005). იმერეთში ლოკალურ-პატრონიმიული ტიპის დასახლების გამოსახატავად ტერმინი *საბაბუო* იხმარებოდა, რომელსაც სამეგრელოში ტიპოლოგიურად დინო შეესატყვისებოდა, რომლებიც გარდა გეოგრაფიული – ტერიტორიული შინაარსისა სოციალურ მნიშვნელობასაც ატარებდა და ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის დასახლებასაც ნიშნავდა. ტაქსონომიური თვალსაზრისით იმერული „საბაბუოსა“ და მეგრული „დინოს“ ტიპოლოგიურ და სემანტიკურ შესატყვისად, ასევე, მეგრული *მუხური (კურთხუ//კუნთხუ//კუნთხო)* ანდა *კურთხუ-მუხური* გამოიყურება. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მათ ისეთი სიტყვები შეესაბამებოდა, როგორებიც იყო კუთხე (იმერეთი, გურია), *ქუჩა* (ხევი, იმერეთი), *კარი* (აღმოსავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო – აჭარა, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი), *უბანი*. ტერმინი *ქუჩა* ძველქართულ წერილობით წყაროებსა და ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც

დამოწმებულია, რომელსაც, ვფიქრობთ, ტერმინი „ფოლორცი'ც“ ესადაგება (ითონიშვილი 1960: 61); (მგელაძე 1980: 82-84). „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა თხზულებებში *ქუჩა* არაერთხელაა მოხსენიებული (ყაუხჩიშვილი 1959: 86, 101, 176, 231, 610), თუმცა მათთან სიტყვა „ფოლორცს“ ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლექსიკონში *ფოლორცი* არის „შუკა“, ხოლო ფორი „მეიდა ნი“ (ორბელიანი 1949: 360). ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონში „ფოლორცი'ს“ შესახებ ნათქვამია, რომ ფოლორცი – „შუა ბაზარი, ანუ მეიდანი“-ა, ხოლო „ფორე“ და „ფორო“– მეიდანი, რასაც ლექსიკოგრაფი „Forum“-თან მიმართებაში განიხილავდა (ჩუბინაშვილი 1961: 395-396). ეს სიტყვა ზემო აჭარაში დადასტურებულია ტოპონიმებში „ფოლოტი'ს“ („ფოლოცი'ს”) სახით. ღორჯომის ხეობის სოფელ აგარაში (ხულოს რ-ნი) იგი იმ ადგილს აღნიშნავდა, სადაც საუბნო და სათემო თავყრილობას ჰქონდა ადგილი და სადაც თანასოფლელები ამინდის ღვთაებისათვის მსხვერპლშეწირვას აწყობდნენ. იქვე, ე. წ. „კორდის“ მახლობლად *ფოლოცი* ვიწრო ქუჩას, შუკას, ვიწრო გასასვლელს აღნიშნავდა (მგელაძე 1980: 82-84); (მგელაძე 1982ა). საქართველოში პატრილინეალური ლოკალური ჯგუფის საცხოვრებელი უბანი ტერმინ „კარი'თაც“ აღინიშნებოდა, რომლის წარმოშობა რუსუდან ხარაძის მიხედვით ოჯახის სეგმენტაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. გაყოფილი ოჯახები, როგორც წესი „დიდი ოჯახის“ სამყოფი კარმიდამოს მახლობლად სახლდებოდნენ. კარის მიჯნებში მცხოვრები განაწილებული ოჯახები არამხოლოდ ტერიტორიული, არამედ ნათესაური ურთიერთობებით შეკავშირებული დასახლების ფორმირებასაც განაპირობებდნენ (ხარაძე 1961: 60-61); (ხარაძე 1962: 28, 36); (ხარაძე, რობაქიძე 1965: 6). ამასთან ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ქართულში დაფიქსირებული ტერმინ „კარი'საგან“ ნაწარმოებია არაერთი სიტყვა: *კარიბჭე, ჭიშკარი, კარ-მიდამო, ოკარია* (საქათმე სამეგრელოში), *სახლ-კარი*. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გარდა საცხოვრებელი ნაგებობისა ძველ ქართულში სახლი სოციალური ორგანიზაციის შინაარსსაც ატარებდა, მაშინ განვითარების ადრეულ საფეხურზე „კარი'ს“ ცნებაში ჩვენ შედარებით ფართო მნიშვნელობაც უნდა ვიგულისხმოთ. ეს ტერმინი ტოპონიმებშიც გვხვდება, კერძოდ, ასეთი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში *საბათიანთკარი, ბუჩაანთკარი* (ხანდოს ხევი), სოფელი *ოლეოსკარი* (ანანურის ტერიტორიული გაერთიანება), *ტაოსკარი ტაოში, კლდეკარი (თრიალეთი), ღართისკარი, კასრის კარი, ზეკარი* (უღელტეხილი) (ბერძენიშვილი 1966: 22, 26). მათ წარსულშიც იგივე სემანტიკა გააჩნდათ, რაც, მაგალითად, „ზენუბანს“ ხანდოს ხევში და სხვა მისთანებს. აჭარაში ტერმინი კარი დაკავშირებული იყო სოფელ მეხალაშვილების ერთ-ერთი უბნის სახელწოდებასთან – „საკარესთან“, ასევე, ზემოაჭარული სოფლის უბნის სახელთან – „ჯამიკართან“. საერთოდ, სამხრეთ საქართველოში, განსაკუთრებით, ჭოროხის აუზის ქართული მოსახლეობის ადგილთა გეოგრაფიულ სახელწოდებებში ასეთი „ჯამიკარები“ მრავლად გვხვდება.

ძველ საქართველოში უბანთა გაერთიანება სოფელს აყალიბებდა, ხოლო სოფლებისა – ხევს. ხევი ტერიტორიული, სათემო-ტერიტორიული გაერთიანება იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში, ხშირად, თემი გაიგივებულია ტერიტორიული გაერთიანების ცნებასთან. მსგავსი დეფინიცია შესაძლოა, მცდარი აღმოჩნდეს, რადგან თემის, როგორც საწარმოო-ეკონომიკური, საწარმოო-სამეურნეო ბირთვის, წევრებს ერთდროულად შეეძლოთ სხვადასხვა ლოკალურ ჯგუფში ეცხოვრათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თემისა და ლოკალური ჯგუფის გაგება ერთმანეთს ყოველთვის არ ფარავდა. ამის გათვალისწინებით, საწარმოო-სამეურნეო ბირთვის აღსანიშნავად უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი „თემი“, ხოლო ამგვარი ჯგუფის დასახლების გამოსახატავად ცნება – „ლოკალური ჯგუფი“ ანდა „ტერიტო-

რული გაერთიანება“, რომელიც დასაშვებია ყოფილიყო პატარა – მინიმალური ლოკალური ჯგუფი (მინიმალური ტერიტორიული გაერთიანება), საშუალო – მედიალური ლოკალური ჯგუფი (მედიალური ტერიტორიული გაერთიანება) და ფართო – მაქსიმალური ლოკალური ჯგუფი (მაქსიმალური ტერიტორიული გაერთიანება). საქართველოში სოციალურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით არც თუ ისე იშვიათად მაქსიმალური თემისა და მაქსიმალური ლოკალური ჯგუფის ანდა მაქსიმალური ტერიტორიული გაერთიანების ცნება, ხშირად, „ხევის“ ცნებას უთანაბრდებოდა და ეს გასაგებიცაა, რადგან მთაგორიანი ადგილმდებარეობის მიზეზითაც საქართველო რეალურად ხეობათა ერთობას წარმოადგენდა, შესაბამისად, ინტეგრაციული პროცესები, ქვეყნის სოციალური, სამეურნეო-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია სწორედ ხეობათა ფარგლებში ვითარდებოდა. ხევებში სახლები უმეტესად ხეობაში ღელე-მდინარეთა სიახლოვეს წარმოქმნილ ბორცვებსა და სერებზე იყო განლაგებული, ღელე-მდინარეთა სანაპიროებზე – უპირატესად ორივე მხარეს. იგი მკაფიოდ შემოსაზღვრული ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით დაცილებული და შედარებით მცირერიცხოვანი კარმიდამოებისაგან შემდგარი სოფლებით იყო წარმოდგენილი (რობაქიძე 1958: 52). წარსულში ხევის ნაცვლად, მაგალითად, სვანეთში, სიტყვა *აბუასდ* გამოიყენებოდა. მოგვიანებით ეს სიტყვა მივიწყებას მიეცა და მისი ადგილი ტერმინმა „ხევმა“ დაიკავა, ტერმინმა, რომელიც, როგორც გეოგრაფიულ, ისე სოციალურ მნიშვნელობას ატარებდა. ამ სიტყვასთან იყო დაკავშირებული სვანეთში სახალხო თავყრილობის ადგილი სახევხე და ტერიტორიულ გაერთიანებათა უფროსის სახელწოდება – *ხეისთავი*, იგივე, *ხევისთავი, ხევისუფალი, ხევისბერი* (ხარაძე 1958: 67); (რობაქიძე 1958: 52). ალექსი რობაქიძის დაკვირვებით, სვანური დასახლების უჯრედი, როგორც საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მთლიანობა, სოციალური ურთიერთობებისა და იდეოლოგიის სფეროში დასახლების წევრთა განსაზღვრული ერთობით, ტერმინ „ხევი’თ“ აღინიშნებოდა, ნაცვლად ხმარებიდან გამოსული „აბუასდ’ისა“ (რობაქიძე 1958: 52); (მარი, 1922: 19). სვანეთში ტერმინ „ხევი’ის“ პარალელურად ყურადღებას იქცევს გაერთიანება, რომელსაც „ლაკრან’ი“ ეწოდებოდა და ტერიტორიული გაერთიანების ფარგლებში ახლომდებარე სოფლების ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ლაკრანის ტიპის გაერთიანების სტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ტერიტორიული უჯრედის ფორმირების კანონზომიერებანი აღვადგინოთ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40–50-იან წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსუდან ხარაძემ და ალექსი რობაქიძემ სათავე დაუდეს ქართული სოფლისა და, საერთოდ, ქართული ტრადიციული დასახლების შიდა აგებულების შესწავლას. რუსუდან ხარაძემ ყურადღება გაამახვილა სვანური „ლაკრანისა“ და თუშური „კოდ–მეკოდეობის“ ტიპოლოგიური პარალელების საკითხებზე. თუშეთი ოთხი ტერიტორიული გაერთიანებისაგან, ტრადიციული ტერმინოლოგიით ოთხი თემისაგან – ხევისაგან შედგებოდა. ესენი იყო: *გომეწერი, ჩაღმა, პირიქეთი და წოვა,* ასევე, დამატებით, გვიან გაჩენილი „ჩანჩახოანი’საგან“, რის გამოც თუშეთს, ზოგჯერ, *საოთხთემო* ერქვა. რუსუდან ხარაძის მონაცემებით, თითოეული თემი მცირე ადმინისტრაციულ უჯრედად იყოფოდა, რომელთაც „მამასახლისები“ მართავდნენ. სწორედ ეს მცირე ტერიტორიული უჯრედები, რომლებიც „კოდ–მეკოდეობად“ მოიხსენიებოდა, ტერიტორიული გაერთიანების იერარქიულ სისტემას დამოუკიდებლად ქმნიდა. *გომეწერი*, როგორც თემი, კოდ-მეკოდეობის რვა კავშირისაგან შედგებოდა, ხოლო დანარჩენები ხუთ–ხუთი. ასეთი კავშირების შიდა წყობა ურთიერთდახმარებისა და ერთობლივი თავდაცვის პრინციპებზე, ასევე, სხვადასხვა – სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ნორმებ-

ზე იყო დაფუძნებული (ხარაძე 1958: 64–65). რუსუდან ხარაძის მიხედვით, თუშური კოდ–მეკოდეობისაგან განსხვავებით, სვანურმა ლაკრანმა, რომელიც სოფლის თემში იყო წარმოდგენილი, ტერიტორიულ-მეზობლური სათემო ტრადიციები გვიანდელ პერიოდამდე შედარებით სრულყოფილი სახით შემოინახა. რუსუდან ხარაძე ლაკრანის ტიპის კავშირს „გვაროვნული“ ნიშნით ხსნიდა და თვლიდა, რომ თემი საზოგადოებრივ–ტერიტორიულ კავშირს წარმოადგენდა, რომელშიც გვაროვნული გაერთიანების ცალკეული გადმონაშთი იყო ასახული. რუსუდან ხარაძის სიტყვებით, ტერიტორიული გაერთიანება *კოდ-მეკოდეობა* სოფლის თემის განვითარების პირველ ეტაპს განასახიერებდა. ქართული თემის – ხევის ტიპის დასახლების წარმოქმნა უკვე ტერიტორიულ გაერთიანებათა მომდევნო საფეხურებს შეესატყვისებოდა, რომელიც ადრე გაჩენილი თემის საფუძველზე ორი ანდა სამი მეზობელი სოფლის გაფართოების შედეგი იყო (ხარაძე 1958: 65). სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის სამხედრო–ისტორიულ არქივშია დაცული, ირკვევა, რომ XIX საუკუნეში წოვის საზოგადოება აერთიანებდა 5 სოფელსა და 264 ოჯახს (730 მამაკაცსა და 620 ქალს), გომეწრის – 19 სოფელსა და 232 ოჯახს (550 მამაკაცსა და 500 ქალს), ჩაღლინის – 13 სოფელსა და 210 ოჯახს (460 მამაკაცსა და 400 ქალს), პირიქეთა საზოგადოება – 14 სოფელსა და 184 ოჯახს, რომელშიც მამრობითი სქესის 400, ხოლო მდედრობითისა – 400 ადამიანი შედიოდა (არქივი, ფ. 482, აღწ. 1, საქმე 198: 4). ასეთივე რაოდენობის ტერიტორიულ გაერთიანებებს თუშეთში ადრე რაფიელ ერისთავიც ადასტურებდა (ერისტოვი 1855: 78). როგორც ვხედავთ, ცალკეულ სოფელზე აგებული ტერიტორიულ გაერთიანებათა კავშირი კოდ-მეკოდეობის სახელწოდებით ცნობილი დასახლების სოციოგეოგრაფიულ სისტემას წარმოქმნიდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული თემი – ხევი, როგორც ადმინისტრაციული უჯრედი საკანცელარიო ცენტრით, რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. დასავლეთ საქართველოში – გურიასა და იმერეთში თემს ზემდგომი ორგანოდან დამტკიცებული და თემის მიერ „სათემო ყრილობა'სა“ თუ „სათემო კრება'ზე“ არჩეული *მამასახლისი* ხუთი-რვა წლით მართავდა. იმერეთში, ვანის ხეობაში ამ ტიპის რამდენიმე ტერიტორიული გაერთიანება – *თემი* არსებობდა: 1. ზულუხი; 2. გადადი; 3. სულორი, რომელიც ადრე დვალიშვილებად იწოდებოდა; 4. ისრითი; 5. დიხაშხო; 6. სალხინო; 7. ვანი; 8. სულორის ციხე. წარსულში ვანის ხეობაში სულ 24 თემი იყო. აქაც, ტერიტორიული თემები სოფლებად, ხოლო სოფლები უბნებად იყოფოდა. თითოეულ ტერიტორიულ გაერთიანებას დასახლების ცენტრში თავყრილობის ადგილი გააჩნდა, მაგალითად, დვალიშვილთა თემის შეკრების ადგილი იყო – *დუქნები*, ხოლო მასზე ადრე – *აბანო*. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ტერიტორიული გაერთიანების ცენტრალურ ადგილს, ზოგჯერ, სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქციაც ჰქონდა შეძენილი. ამ მხრივ შეიძლება აჭარის მთიანეთიც გამოიყოს. უკვე XIX საუკუნის სოფლების დიდ ნაწილში აჭარული სოფლების მოედნებზე აღმართული იყო მეჩეთები, ზოგან მინარეთებით, რომლებიც ძველი ქრისტიანული ეკლესიების ფუნდამენტზე იყო აგებული ანდა ეკლესიები მუსლიმანურ სამლოცველოებად იყო გადაკეთებული (ბაქრაძე 1878ბ: 72); (სახოკია 1950: 35); (მგელაძე, ტუნაძე 2010), რომელთა მახლობლად გამართული იყო საზოგადოებრივი დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობა – დუქნები, სამჭედლოები, შადრევნები, ფანჩატურები. თედო სახოკიას აღწერილობით, ღორჯომის საბაზრო მოედანზე ორი ხის დუქანი იდგა (სახოკია 1950: 43). სახალხო თავყრილობის ადგილები – საუბნო და სასოფლო მოედნები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ არამარტო საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ დასახლების დაგეგმარებაში და დასახლების სტრუქტურულ წყობასაც განსაზღვრავდნენ. ცალკეულ სახ-

ლეულთა შორის ურთიერთობის ხასიათიც, მაგალითად, ერთობლივი შრომის ორგანიზაცია, სოციალური და სამართლებრივი წესრიგი, სათემო თავყრილობით იყო რეგლამენტირებული. სვანეთში სახალხო თავყრილობის ადგილები „სჳფ'ად" იწოდებოდა (ჯანაშია 1949: 286), რომლის პარალელურად ნათესაური ჯგუფის – აგნატების, უმეტესად, პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური ჯგუფის – „ლამხუბ'ის" საუბნო შესაკრები ადგილებიც არსებობდა, რომელთაც „ლანკავ'ი" ერქვა, სადაც ხშირად მამაკაცების გვერდით თავყრილობაში ქალებიც მონაწილეობდნენ, რაც, ასევე, ამ ერთობის ლოკალურ ბუნებაზე მიუთითებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ტერიტორიული გაერთიანების თავყრილობის ადგილები მართალია სხვადასხვაგვარად იწოდებოდა, მაგრამ ტიპოლოგიური თვალსაზრისით მათი სტრუქტურა საერთო ნიშნებით ხასიათდებოდა, ბუნებრივია, მთისა და ბარის სოციალური განვითარების დონესთან შესაბამისობაში. ტერიტორიული გაერთიანების – თემის შესაკრებ ადგილებსა და თავყრილობებს ხევსურეთში *საფეხნო* (ჩაჩაშვილი 1948); (ჩაჩაშვილი 1955: 233), ხევში – *ერობა,* თუშეთში – *საანჯმო*, რაჭაში – *სანახშო*, ლაზეთში – *ღარღალაშა*, აჭარაში – *მოყრიანობა* (მგელაძე 1960ბ); (მგელაძე 1960ა); (მგელაძე 1961); (მგელაძე 1966ა); (მგელაძე 1966ბ); (მგელაძე 1973); (მგელაძე 1982ა: 217); (მგელაძე 2021). ასეთი მოედნები ჩრდილო კავკასიის ხალხებში აღინიშნებოდნენ ტერმინებით: დიდოელებში – უდიკან'ი, ინგუშებში – *ფეღა* (ხარაძე, რობაქიძე 1964: 87), ოსებში – *ნიხას'ი* (ჩიქოვანი 1974: 12, 14); (ჩიქოვანი 1979: 29), ბალყარელებში – ნიღას'ი. ტერიტორიული გაერთიანების – თემის თავყრილობის ადგილებს ვიწრო მნიშვნელობაც ჰქონდათ და ისინი მედიალური ლოკალური ჯგუფის ფარგლებში ფიქსირდებოდნენ. მაგალითად, რაჭაში ტერიტორიული გაერთიანება, რომელიც „უწერა'ს" სახელს ატარებდა, ამ ტიპის რამდენიმე „სანახშო'სგან" შედგებოდა. საქართველოში სათემო მოედანი, უმეტესად, დასახლების ცენტრში მდებარეობდა. დასახლებაც ჩვეულებრივ ასეთი მოედნის ირგვლივ წარმოიქმნებოდა და ვითარდებოდა. მთის ლანდშაფტი, განსაკუთრებით კი მთისათვის დამახასიათებელი ვერტიკალური ზონალობა, ასევე, დასახლების არათანაბარი განაშენიანება და სხვა ფაქტორებიც, განსაზღვრულ სირთულეებს ქმნიდა და სოფლის განლაგების სიმეტრიულობის რღვევას განაპირობებდა, რის შედეგადაც მოედანი არც თუ ისე იშვიათად სოფლის გარეუბანში აღმოჩნდებოდა ხოლმე. სოფლები და ცალკეული უბანიც, ხშირად, წყაროებისა და ჭების ირგვლივ წარმოიქმნებოდა. წყაროთა სახელწოდებები იქ მცხოვრებთა პატრონიმიულ – გენეალოგიურ სახელწოდებებს შეესაბამებოდა ანდა გვარ-სახელების გარდა ამ წყაროთა მშენებლების სახელებს ატარებდა (მგელაძე 1982ა: 216-223). მსგავს ადგილებში სადავო საკითხები, საჩივრებიც განიხილებოდა და საერთო-საუბნო თუ სათემო პრობლემებიც წყდებოდა. ქურდობის შემთხვევაში, სქესობრივი მრუშობისა თუ სხვა ტიპის საზოგადოებრივი და სამართლებრივი დარღვევებისას ბრალდებულს, ტრადიციული ნორმების თანახმად, ტერიტორიული გაერთიანება – თემი „მოიკვეთდა" ანდა მას „ბოიკოტს" გამოუცხადებდა, ხოლო ცალკეულ ექსტრემალურ ვითარებაში დასახლების ფარგლებს გარეთ აძევებდა. იმერეთში ამას *თემიდან გასახლება* ეწოდებოდა, თუმცა ზოგჯერ ხდებოდა ისეც, რომ დამნაშავეს თემში ტოვებდნენ, მაგრამ მეთემეები მასთან ყოველი სახის ურთიერთობებს წყვეტდნენ. დამნაშავეს საზოგადოებრივი თავყრილობის ადგილებში, ვთქვათ, დღესასწაულებზე გამოჩენა ეკრძალებოდა, მას არ იწვევდნენ ქორწილში, მეთემის დაკრძალვისას სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობას უზღუდავდნენ. მოკვეთა – დამნაშავის იზოლირება უმაღლესი სასჯელის ტოლფასი იყო. საქართველოს მთიანეთში ტერიტორიული თემის გარდა ლოკალური ჯგუფის ფარგლებში ცალკეული უბნისა თუ

პატრონიმიული ორგანიზაციის – მედიალური ტიპის ლინიჯთა გენეალოგიური სეგმენტებისათვის მიკრო შესაკრები ადგილებიც გამოიყოფოდა. ასეთი ადგილები იყო მამა-პაპური ფუძე-სახლის ეზო და კარ-მიდამო, გზაჯვარედინი, წისქვილი, სამჭედლო, წყარო და სხვა მისთანანი. ზაფხულში საღამოობით უბნელები, თანასოფლელები თუ ტერიტორიული გაერთიანების – თემის წევრები სახალხო დღესასწაულებს მართავდნენ, ერთობოდნენ და თამაშობდნენ. სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში გართობა-თამაშობისათვის ასეთი იყო *ჯარიანობა*. წარსულში მსგავს შესაკრებ ადგილებს „სალაყბო'ც“ ეწოდებოდა. „სალაყბოებში“ სამასლაათოდ მოხუცებიც იკრიბებოდნენ (არუთინოვი, მგელაძე 1990); (მგელაძე 1990). გვიანდელი წყაროებით *სალაყბო* „ზარმაცთა თავშესაკრებ“ ადგილად იქცა, მაგრამ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა სრულიად სხვაგვარი იყო, კერძოდ, სალაყბოებზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხები, როგორებიც იყო საზოგადოებრივი ნაგებობების, გზებისა და ხიდების მშენებლობა და შეკეთება, საზაფხულო საძოვრებზე – სეზონურ დასახლებებში პირუტყვის გადარეკვის დროისა და პირობების განსაზღვრა, ასევე, სხვა ყოველდღიური საერთო-სათემო პრობლემები (მგელაძე 1982ა: 217-218, 223).

საქართველოს მთიანეთში ახალი დასახლებული პუნქტები ახოს აღებისა და თავისუფალი მიწების სახნავ-სათესად გადაქცევის გზით წარმოიქმნებოდა, რომლებიც თავდაპირველად დამხმარე სამეურნეო ბაზების როლს ასრულებდნენ, ხოლო შემდეგ გაფართოებული სახლთმეურნეობების სეგმენტაციის შედეგად, რომელიმე მოწილე ძმის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდნენ. ამ პროცესში ასახული იყო დასახლებებთან დაკავშირებული ისეთი ცნებები და ტერმინები, როგორებიც იყო *დაბა (დობანი), უბანი*, სოფელი და *აგარა (აგარანი)*. ეს უკანასკნელი თავდაპირველად სათემო საკუთრებაში მყოფ საზაფხულო სადგომს, ხოლო შემდეგ ინდივიდუალური სარგებლობისა და მფლობელობის ნაკვეთებს წარმოადგენდა, რომელთა ბაზაზე დასახლებული პუნქტები ყალიბდებოდა (მგელაძე 1982ბ); (მგელაძე 2018ა). სათემო სამეურნეო ნაკვეთებიდან საკარმიდამოს, ხოლო შემდეგ, თანმიმდევრულად, უბნისა და თემის გამოყოფაზე თვალსაჩინოდ მიუთითებს სვანური *ლაბავ'ი* (ხარაძე, რობაქიძე 1964: 36-39, 59); (შამილაძე 1979: 75), იმერული საყანე, გურული აგვართა (რობაქიძე 1951: 14); (შამილაძე 1979: 75), აჭარული ყიშლა, ტაოური აგარა (მგელაძე 2018ა), მთიულური *ორხელაობა* (გამყრელიძე, 1971); (გამყრელიძე 1982: 75, 77-83, 156). სვანური *ლაბავ'ი*, როგორც დამხმარე სამეურნეო ბაზა, მამა-პაპისეული ფუძე-სახლიდან გარკვეულ მანძილზე, სათემო საძოვრების ზონაში იმართებოდა (რობაქიძე 1958: 56). მთიულეთშიც სახლეულიდან მოცილებულ ნაკვეთში მიწის ათვისების მიზნით ჯერ „ტყის გაკაფვა'ს“, დამუშავებასა და მიწის საყანედ მომზადებას იწყებდნენ, სადაც შემდეგ საცხოვრებელს აგებდნენ (მგელაძე 1983). სახლთმეურნეობის სეგმენტაცია და განაყოფი ოჯახების მიერ დამხმარე სამეურნეო ბაზების მუდმივ სამოსახლოდ გადაქცევა ხელს უწყობდა ისეთი ახალი მონოგენური უბნების ჩამოყალიბებას, რომლებიც აგებული იყო პატრონიმიულ სტრუქტურაზე და საერთო წინაპრიდან მომდინარე შთამომავლობის კომპაქტურ დასახლებას ეფუძნებოდა, თუმცა ასეთი დასახლებები არასოდეს არ იყო სრულად ნათესაური, რამდენადაც იმ პირების გარდა, რომელთაც საერთო გენეალოგია ჰქონდათ, იგი თავის ფარგლებში არანათესავებსაც, მაგალითად, მოყვანილ ცოლებს – რძლებს აერთიანებდა. ამდენად, უბანში შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო პატრილოკალური დასახლება, რომელშიც როგორც ქორწინებით დამკვიდრებული პირები, ისე გენეალოგიურ სტრუქტურაზე დაფუძნებული ნათესაური ორგანიზაციის წევრებიც შედიოდნენ. საერთოდ,

უბანში ფართობი ახლად წარმოქმნილი სამეურნეო უჯრედების საქმიანობისათვის საშუალებას თუ იძლეოდა, მაშინ დამხმარე სამეურნეო ბაზები მუდმივ სამოსახლოებად იშვიათად გარდაიქმნებოდა ხოლმე.

სეგმენტირებული ოჯახები საქართველოში, ჩვეულებისამებრ, მამისეული სახლის ანდა მამისეული კოშკის ირგვლივ სახლდებოდნენ და სოციალურ ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროში ერთობას ინარჩუნებდნენ. ასეთი დასახლებები გეოგრაფიულ და გენეალოგიურ ფაქტორებთან ერთად, პირველ რიგში, სამეურნეო ინტერესთა თანხვედრით განისაზღვრებოდა. ავტორთა დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ კომპაქტური დასახლება თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით იყო განპირობებული. XIX საუკუნის 60-იან წლებში გუსტავ რადდეს მაგალითი კონკრეტული რეგიონიდან მოჰყავდა, კერძოდ, იგი გადმოგვცემდა, რომ მდინარეების რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის ზემო წელში სახლთა განლაგება ციხეს მოგაგონებდა. იქ ერთმანეთს არა მხოლოდ ცალკეული პირი მტრობდა, არამედ სოფლებსა და მთლიანად საზოგადოებებს ჰქონდათ გაჩაღებული შიდა ომი. გუსტავ რადდეს მხედველობიდან არ გამორჩენია ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს როლიც. მისი აზრით, დასახლების მოცემული ფორმა პრინციპში ბუნებრივი გარემოთი განისაზღვრებოდა, რომელიც ცხადია მაღალმთიანეთში ადამიანს ძალზედ მცირე მიწის ნაკვეთს სთავაზობდა, ხოლო მთისწინეთსა და დაბლობში, პირიქით, გამოსადეგი მიწების შედარებით დიდი არჩევანი იყო (რადდე 1873: 29). მთის დასახლების ასეთი ფორმის წარმოშობას თავდაცვით მიზნებთან სხვა ავტორებიც აკავშირებდნენ, კერძოდ, ალექსანდრე სოკოლოვი მიუთითებდა, რომ სოფელი ციხეს მოგაგონებდა, რომელიც მაღალ, მიუწვდომელ მთაზე იყო გაშენებული. თითოეულ სოფელს სამეთვალყურეო კოშკი ჰქონდა, რომლის მეშვეობითაც მთიელები მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ (სოკოლოვი 1874: 19). თავდაცვითი ფუნქციის ხვედრითი წონა წინა აზიისა და კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ყოველთვის მაღალი იყო. ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ ნაირი-ურარტუსა და დიაოხის მიწა-წყალზე ორი ძირითადი ტიპის დასახლებული პუნქტი არსებობდა. თავდაცვითი ნაგებობებით გამაგრებული ადგილები ციხის კედლებითა და ციტადელებით და მათ ირგვლივ განლაგებული დიდი რაოდენობის დასახლებები, რომლებიც თავდაცვით შენობებს მოკლებული იყვნენ. სამხრეთ კავკასიაში ფართოდ იყო წარმოდგენილი ციკლოპური ციხეები და გამაგრებული დასახლებული პუნქტები, რომლებიც ციხის კედლების შიგნით იყო მოთავსებული. მათ ზოგჯერ ციტადელებიც ჰქონდათ შემოვლებული (მელიქიშვილი 1951: 228). კავკასიის ზოგიერთ რეგიონში უბნის, ხოლო ზოგჯერ სოფლისა და თემის ფარგლებშიც ბევრი სახლთმეურნეობა ერთმანეთისაგან იზოლირებულად იყო განლაგებული, მაგრამ ერთიან არქიტექტურულ კომპლექსში ისინი შიდა გასასვლელებით იყვნენ დაკავშირებულნი. სამეურნეო აუცილებლობის ანდა საფრთხის დროს ეს გასასვლელები მანევრირებისა და თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. მთის და ბარის საქართველოში მეტ-ნაკლები სხვაობითა და ნათესაობის პრინციპების დაცვით ლოკალური განსახლება შედარებით ფართო ტერიტორიას მოიცავდა, მაგრამ მათ ყველგან საცხოვრებლებს შორის შიდა გასასვლელები არ გააჩნდათ, შესაბამისად, საცხოვრებლები ერთმანეთისაგან მკაცრად იზოლირებულად იყვნენ განლაგებულნი, თუმცა აქა-იქ ამფითეატრული ტიპის დასახლებები მაინც გვხვდებოდა, სადაც საცხოვრებლები წარმოდგენილი იყო წრიული სახით ისე, რომ ერთმანეთთან უშუალოდ არ იყვნენ დაკავშირებულნი. თუ საქართველოს ერთ კუთხეში, განსაკუთრებით იქ, სადაც მიწის კერძო მფლობელობა იყო განვითარებული, ერთსართულიანი და ორსართულიანი, ზოგჯერ, სამსართუ-

ლიანი ხის ნაგებობები გვხვდებოდა, რომელთა კონსტრუქციაში სამეურნეო ფუნქციები ჭარბობდა, სხვაგან, მაგალითად, ხევში, თუშეთში, ხევსურეთსა და ფშავში, სვანეთში, ისე როგორც ჩრდილო კავკასიაში – ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ოსეთში, დაღესტანში, პირიქით, გავრცელებული იყო თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი ქვის ციხე-სახლები, კოშკური ნაგებობები, თუმცა ამ ტიპის სახლთა თავდაცვითი კონსტრუქცია მის სამეურნეო დანიშნულებასაც არ გამორიცხავდა. უკვე დადგენილია, რომ ასეთი საცხოვრებელი კომპლექსებით უფრო ცენტრიდან დისტანცირების მოსურნე ხეობები ხასიათდებოდა. სახლთმეურნეობის ქონების გაყოფისას საცხოვრებელი სახლები და საგვარეულო თავდაცვითი კოშკები, უმეტესად, წილში არ ვარდებოდა და მემკვიდრეთა შორის კი არ ნაწილდებოდა, არამედ ლოკალური ჯგუფის საერთო სარგებლობაში გადადიოდა. საშიშროებისას ციხე-სახლები კოშკით დასახლების ბინადართა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. იქ, სადაც მიწის მფლობელთა ზონები იყო წარმოდგენილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საცხოვრებლები თავდაცვით ფუნქციებს არ ითავსებდნენ. ასეთ კუთხეებში მართალია ციხეები გვხვდებოდა, მაგრამ მათ მხოლოდ საქვეყნო სამხედრო-თავდაცვითი დანიშნულება ჰქონდათ. გორა-ბორცვებსა და სიმაღლეებზე აგებული ასეთი ციხეები ძირითადად თავმოყრილი იყო ჩაკეტილ ვიწრო და ღრმა ხეობებში, ხეობას გადაჰყურებდა და ხეობაში სათვალთვალო ფუნქციას ასრულებდა. მტრის გამოჩენისას მოსახლეობა, რომელიც გორის ფერდობებზე ცხოვრობდა სხვადასხვა საშუალებებით, მაგალითად, საცეცხლურებში მეციხოვნეთა მიერ ცეცხლის დანთებით ერთმანეთს მტრის მოახლოებას ატყობინებდა. ამ დროს ბავშვები და ქალები საგვარეულო ციხეებსა ანდა წინასწარ მომზადებულ სამალავებს აფარებდნენ თავს, მამაკაცები კი თავდაცვისათვის იწყებდნენ მზადებას. მთელი საქართველო ხევებითა და ხევის ციხეებით ერთმანეთთან ამგვარი სამხედრო სტრატეგიით იყო დაკავშირებული და ცენტრალური ხელისუფლებაც მტრის ლაშქრის გამოჩენას ამ გზითაც იგებდა. ჩაკეტილ ხევებში ციხეები ნაგებობათა ერთიან სისტემას წარმოადგენდა, რომელიც ბარიდან მთისაკენ მიემართებოდა. ამ ციხეებს ფლობდა არა ცალკეული ლოკალიზებული ნათესაური ჯგუფი, არამედ იგი მთელი თემის – ხევის სარგებლობაში იყო. მსგავსი ნაგებობები თანმიმდევრულად პოტესტარულ-პოლიტიკური სტრუქტურებისა და ტოტალური სამხედრო ორგანიზაციის წიაღში თანმიმდევრულად ჩამოყალიბდნენ. დასახლებაში ციხეთა მეშვეობით ლოკალური ჯგუფები თავდაცვას უზრუნველყოფდნენ, ხოლო ტერიტორიაზე ფეოდალები ქვეშევრდომთა მართვას ახორციელებდნენ. გარეშე მტრებთან გამუდმებული ბრძოლა კოლექტიური თავდაცვითი ნაგებობების არსებობას მოითხოვდა. ერთგვარად, ბუნებრივი მიჯნებით დაცულ მთიან საქართველოში ეს პრობლემა არც თუ ისე მწვავე იყო. ამიტომ, ხეობის საერთო თავდაცვითმა ნაგებობებმა იქ განსაკუთრებით ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. პირადი მტრებისაგან და მოსისხლეთაგან მთიელები საკუთარ კოშკებში თავს ინდივიდუალურად და ჯგუფურადაც იცავდნენ. თავდაცვითი სისტემები მსხვილ ფეოდალებს ექვემდებარებოდა, მაგრამ შედარებით ფართო სოციალური სტრუქტურისა და სამხედრო ორგანიზაციის ფარგლებში ყველა შემთხვევაში თავდაცვა საერთო ძალისხმევასა და ზუსტ კოორდინაციას მოითხოვდა. განვითარების ადრეულ საფეხურებზე აღმოსავლეთ და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს ბარში, სავარაუდოდ, უფრო ხის კოშკური ტიპის ციხე-სახლები იყო გავრცელებული, რაზეც ქსენოფონტესა და ვიტრუვიუსის ცნობებიც მოწმობს, რომლებიც კოლხეთში კოშკის მსგავს ნაგებობებს ეხება. როგორც ჩანს, მსგავსი ტიპის ნაგებობები თანდათანობით აღარ გამოიყენებოდა და ადგილი დაუთმო მრავალფუნქციურ სახლებს. სხვათა შორის, კინ-

ტრიშის ხეობაში (ქობულეთის რ-ნი) XIX საუკუნის მიწურულამდე შემორჩენილი იყო ხის სათვალთვალო ნაგებობები, რომლებიც ახლო-მახლო არსებულ დასახლებათა სარგებლობაში იყო . გარემოზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე თვალყურის დევნებას სათემო დასახლებების წარმომადგენლები მორიგეობით ახორციელებდნენ.

საქართველოს პერიფერიებში ლოკალურ-პატრონიმიული დასახლების სახელწოდება სპეციფიკური სუფიქსური წარმოებით აღინიშნებოდა. მათგან შეიძლება გამოიყოს ი-ან, ო-ან, ო-ვ-ან, ე-ვ-ან, უ-ვან, ვ-ან (ჯანაშია 1959დ: 46), თა-თ, -თი (ჯანაშია 1959ბ: 143-147), -ეთ (-იეთ), -ათ, -ებ, -იენ, -იან, -ურ, -ულ, -ის, -ო, -ია, -ნარ, -ნალ, -ვან (მგელაძე 1973: 5); (ქამადაძე 1981: 35, 39, 45); (ქამადაძე 1978); (ქამადაძე 1983: 93-96); ქამადაძე 1985: 54-55); (კუკულაძე, 1981: 48); (სურმავა, 1983: 3-16). სუფიქსი -თა (-ეთ) საქართველოში უმეტესად უბნებისა და სოფლების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელწოდებებში გვხვდება. ვარლამ თოფურია თვლიდა, რომ -თა სუფიქსი ქართული წარმოშობის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება იყო (თოფურია 1923: 10). სიმონ ჯანაშიას დაუსაბუთებლად მიაჩნდა თეზისი ამ სუფიქსთა ქართულ წარმომავლობაზე (ჯანაშია, 1959ბ: 143), მიუხედავად იმისა, რომ -ათ (-ეთ'ი, -ით'ი, -ოთ'ი) მაწარმოებელში ძირეულ ელემენტად მხოლოდ თ' თანხმოვანს თვლიდა და მას ოჯახისა და გვარის გამომხატველ სიტყვასთან – „თი'სთან“ აკავშირებდა (ჯანაშია 1959ბ: 152). მკვლევართა დიდი ნაწილი აღიარებდა, რომ სუფიქსი -ონ'ი, რომელიც ქართულ ენაში შემკრებლობითი (მაგალითად, ქუალ-ონი, რომელიც სიტყვა „ქვიდანაა“ ნაწარმოები) და კრებითი შინაარსისა, მორფოლოგიურად სუფიქს -ეთ'ს შეესაბამებოდა და აღნიშნავდა ადგილს, სადაც თავს იყრიდა მრავალი საგანი, ცხოველი და პირუტყვი, ფრინველი ანდა გვარი და ტომი მოსახლეობდა (ჩიქობავა 1942ა: 207). ნიშანდობლივია მრავლობითობისა და კრებითობის გამომხატველ საგნებს ზოგიერთ ტოპონიმში ეს ორი სუფიქსი ერთდროულად რომ აფიქსირებს, ვთქვათ, „ჩველ-ეთ-ონა'ში“ (ცხადაია 1985: 74-75). ენათმეცნიერულ ლიტერატურაში -თ სუფიქსის წარმოშობისა და თანხმოვნებთან მისი გავლენა არაერთი მკვლევრის მიერ შეისწავლებოდა (მარი ბროსე, ნიკო მარი, სიმონ ჯანაშია, აკაკი შანიძე, ბესარიონ ჯორბენაძე). მათგან ნაწილი თვლიდა, რომ სუფიქსი -ეთ (ვარიანტები: -ათ, -ით, -ოთ, -უთ) ქართულში, განსაკუთრებით ძველ ქართულში, გეოგრაფიულ სახელწოდებებს წარმოქმნიდა, მაგრამ წარმოშობით იგი მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სუფიქსი იყო (ზურაბიშვილი 1961: 144). პაატა ცხადაიას ნაშრომებში სამეგრელოს მთიანეთის ემპირიული მასალების საფუძველზე გაშუქებულია და ახსნილია ამ მაწარმოებლის კონკრეტული მნიშვნელობა (ცხადაია 1985: 86-87). ქართველურ ენათა განვითარებით მიღებულმა ფორმანტმა -თა'მ, რომელიც რიგი ავტორის აზრით მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში სუფიქსის ფუნქციაც შეიძინა და ადგილის სახელწოდებათა აღმნიშვნელად ჩამოყალიბდა (თოფურია 1923: 10). გარდა ამისა, მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ პრინციპულად იქნა უარყოფილი ნიკო მარის მოსაზრება -თა სუფიქსის აფხაზურ წარმოშობაზე, ისე როგორც მოსე ჯანაშვილის შეხედულება -თა სუფიქსის სიტყვა „მთა'სთან“ (თა – მთა) კავშირის შესახებ (მეგრელიძე 1938: 68-75); (ცხადაია 1985: 86-87). -ა'თი და -ე'თი წარმოებული ტოპონიმებია: გრიგოლათი, წარმომდგარი ეპონიმ გრიგოლიდან, ლაგვათი – ლაკვადან, ჯუმათი, ჩიბათი და სხვა მისთანანი. სუფიქს -ეთ'ს ხშირად -ებ'ი ცვლის. მაგალითად, აჭარაში ქიძინიძეები და ქიძინეთი. სიმონ ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „სხალთის“ ტიპის ტოპონიმი დასაშვებია -ებ სუფიქსით არსებულიყო და მრავლობითი რიცხვის შესატყვისი ფორმები აღენიშნათ (ჯანაშია 1959ბ: 147), რასაც თავის

დროზე ნიკო მარიც სავსებით დასაშვებად მიიჩნევდა (მარი 1912: 703). ლაზურში -ებ უმეტესად -ეფ'ით იცვლება (მგელაძე 1964), თუმცა ქართ'ული -ებ'ის თანაბარი -ეფ მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიკაში იშვიათობას წარმოადგენს (ცხადაია 1985: 117). საერთოდ, -ებ ფორმიანი წარმოებები უფრო მეტად ანთროპონიმული წარმომავლობის უბნებისა და სოფლების გეოგრაფიულ სახელწოდებებში გვხვდება. ამ ტიპის სახელწოდებათა წარმოშობა სოციალური ორგანიზაციის ტერიტორიას უშუალოდ უკავშირდებოდა, რაზეც თვალნათლივ მოწმობს -თი სუფიქსი, რომელიც ჩვენ მიერ ეთნოგრაფიული ექსპედიციების პერიოდში სამეგრელოში კონკრეტულად ოჯახის მნიშვნელობით დაფიქსირდა. ჩვენი მსჯელობის მართებულობაზე მეტყველებს იოსებ ყიფშიძის მასალებიც. მკვლევარი -თი'ს ოჯახად, გვარად, უფროსად განმარტავდა (ყიფშიძე 1914: 242). როგორც ჩანს, იგივე ფორმა მონაწილეობს სამეგრელოში პატრონიმიული ორგანიზაციის აღმნიშვნელ ტერმინ – „თურში'ც“ (რობაქიძე 1982: 29-30); (ბახია1985); (ბახია 1989). ერთი და იმავე სუფიქსიდან ნაწარმოებ ტოპონიმებს (ბობოთი, კვაუთი, კოკათი, კუკათი, ქორეთი, ქუქითი, ხორათი, ცანათი, სიგუათი) გივი ელიავა კერძო სახელებიდან წარმომდგარად თვლიდა. ამ ავტორის აზრით, ეს პირები გვარის ფუძემდებლები და გვარის მეთაურები იყვნენ (ელიავა 1961: 56-59); (წულაია 1991: 116-123), თუმცა პაატა ცხადაიას ამ ტოპონიმთა სიძველე საეჭვოდ მიაჩნდა (ცხადაია 1985: 87). ამასთან უნდა ითქვას, რომ ეპონიმი, რომელიც სოციალურ ორგანიზაციას სახელს აძლევდა და ამავე დროს მისი განსახლებისა და ლოკალიზაციის ადგილსაც აღნიშნავდა, არ იყო აუცილებელი გვარის მეთაური ყოფილიყო, არამედ იგი შეიძლებოდა გენეალოგიური ჯგუფის მამამთავარი, ავტორიტეტული და პატივსაცემი ადამიანი, უხუცესი პირი ყოფილიყო. ამ ასპექტით ყურადღებას იქცევს პაატა ცხადაიას აზრი იმის შესახებ, რომ -თი დაბოლოების მეგრულ ტოპონიმთა ნახევარზე მეტის ამოსავალს კოლხური სახელები (გერიათ-ი: გერი, გურიშია-თ-ი: გურიში-ა, ხახულია-თ-ი: ხახულია, ოსია-თ-ი: ოსია, პაპა-თ-ი: პაპა თუ პაპაშია) ანდა გვარი (შონია-თ-ი: შონია, ბერი-თ-ი: ბერია, თოლორდა-თ-ი: თოლორდია) წარმოადგენს. მკვლევრის შეხედულებით, დროთა განმავლობაში, -თი და რთული კომპოზიტი, რომელიც გვარის ამა თუ იმ ტოტის ნათესაურ-ტერიტორიულ ერთობას გამოხატავდა, იმ ადგილის საკუთარი სახელწოდება გახდა, სადაც ამ სახელწოდების მატარებელი ოჯახები ცხოვრობდნენ. პაატა ცხადაიას თანახმად, -თი მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონებში ცოცხალ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს და იგი მისი პირდაპირი – სახლის, ოჯახის, გენეალოგიური განტოტების მნიშვნელობით გამოიყენება. ერთგვარად, სამეგრელოს მთისწინა სოფლებში -თი ხმარებიდან გამოსულია და მისი სემანტიკა ბუნდოვანია (ცხადაია 1985: 91-92). ცალკეულ შემთხვევაში -თი სუფიქსის მნიშვნელობით გამოიყენება, მაგალითად, სა-თოლორდი-ო (თოლორდა-თი), რომელიც სოფელ მუხურში თოლორდავების საცხოვრისი უბანია, გელახონი დოებერიე (გელახონი ბერია-თი): დასავლეთ საბერიო – სოფელ ნაფიჩხიეთის უბნის ერთი ნაწილი, სადაც ბერიები ცხოვრობენ. პაატა ცხადაია თვლიდა, რომ სამეგრელოში შემონახული -თი ამასთან ერთად მრავლობითობას, კრებითობას გამოხატავდა და წარმომავლობის თვალსაზრისით ქართ'ულ თანხმოვან -თ'ს უკავშირდებოდა (ცხადაია 1985: 91-92). ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ აფხაზური მასალებიც მეზობელ მეგრულ მასალებთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს, რაც მეგრული „თური'ს“ სტრუქტურასა და ეტიმოლოგიაშიც ასახვას პოულობს (რობაქიძე 1982: 29-30); (ბახია 1986); ბახია 1989). თური პატრონიმიული ტიპის სოციალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მისი წარმოშობა მინიმალურ გენეალოგიურ ჯგუფთან – გენეალოგიურ ბირთვთან იყო დაკავშირებული. ჩვენი აზრით, ამაზე მიუთითებს

„თურში“ გამოყოფილი მეგრულ-ჭანური ძირი-თი, რაც ოჯახსა და გენეალოგიურ ტოტს ნიშნავს. როგორც სპეციალური გამოკვლევებით დგინდება -თი/-თა ფორმანტი აფხაზურ „ა-თა-ა-ცვა'ს“, ასევე, ოჯახისა და სახლეულის მნიშვნელობას სრულად შეესატყვისება. აქვე, -თი'ს ოჯახისა და შთამომავლობის მნიშვნელობით გაგების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ თვალსაზრისი, რომელიც მას მრავლობითის ფუნქციას ანიჭებს (რობაქიძე 1982: 170); (მგელაძე 1988დ: 170).

მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ისიც ნათლად ჩანს, რომ ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში -თა/-ეთ სუფიქსების გარდა სხვა ფორმანტიც გამოიყენებოდა, მაგალითად, ისეთი, როგორიც იყო -ი'ან (ვაზიანი, თელიანი), ო'ან (ქუმელოანი, ხლოანი, წაბლანი), -ო'ვ'ან (წეროვანი, თხილვანი), -ე'ვ'ან (მეტრევანა, ბარევანი), -უ'ვ'ან (სხლუვანი), ვ'ან (სხლოვანი). სიმონ ჯანაშიას აზრით, ზანური სუფიქსი -ონ და -უნ საერთო-ქართული - ან'ის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს, რომელიც შემკრებლობითი ფუნქციის მატარებელი იყო. სიმონ ჯანაშია ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ჭანურსა და მეგრულში ეს სუფიქსები განსაზღვრულ გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებდნენ და, ხშირად, მრავლობითი რიცხვის ძირს თან ერთვოდნენ, ვთქვათ, ჯიქოფონი და მიქელფონი, რომელთაც ჯიქთ-უბანი და მიქეფა შეესატყვისება. აქვე ავტორი ავითარებდა შეხედულებას მათი საგვარეულო სახელებიდან წარმოშობის შესახებ და ყურადღებას ამახვილებდა სოფლების სახელწოდებათა წარმოქმნაში გვარ-სახელების როლზე. ამ კონტექსტში იგი -ან სუფიქს ახასიათებდა და კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა: ოზაანი – ოზაშვილი, მელაანი – მელაშვილი, მელაძე, ტიბაანი – ადგილი კახეთში, სვიანანი, კიმბარიანი, შარუმიანი მთიულეთში. სიმონ ჯანაშია იმავდროულად კომპოზიტებსაც განიხილავდა, რომელთაც მსაზღვრელად, ხშირად, სიტყვები „კარი“ ანდა „უბანი“ და „სოფელი“ ერთვოდა. ამასთან, მსაზღვრელი გვარ-სახელებისაგან შედგებოდა, რომლებიც -ან სუფიქსით იყო ნაწარმოები: *ბენიანთკარი*, სადაც ბენიაშვილთა გვარი ცხოვრობდა, *ნადიბანთკარი*, სადაც ნადიბაიძეები მკვიდრობდა და სხვა მისთანანი (ჯანაშია, 1959დ: 46). თემატური პრობლემებიდან გამომდინარე ჩვენთვის ასევე საინტერესოა ისეთი სუფიქსები, როგორიცაა -ორ და -არ, -ოურ და -ოულ, -ერ და -ელ (მანჯგალაძე 1953: 472-513); (ქალდანი1981: 91-95). ცნობილია, რომ სუფიქსი-ურ საქართველოში სიტყვის მაწარმოებელია, რომელიც ძირითადად წარმომავლობასა და სადაურობას გამოხატავს (ჯანაშია 1959ა: 292); (ჯორბენაძე და *სხვები* 1988: 401, 398-401). ეყრდნობოდა რა მთიულურ ტოპონიმებს გიორგი ხორნაულმა განავითარა საინტერესო შეხედულება -ურ'ი სუფიქსის კუთვნილებითი ფუნქციის შესახებ (ხორნაული 1973: 131). სხვათა შორის, იმერული დიალექტის ერთ ნაწილში სუფიქსი -ურ (-ულ) და -ოურ (-ოულ) გათხოვილი ქალის მამისეული სახლისადმი კუთვნილებას გამოხატავს (ძიძიგური 1970: 169). ეს სუფიქსები სამეგრელოში, ძირითადად, გვარ-სახელებთან შესატყვისობაში გვხვდება: *კურსოული* (კურსუა) და *მიქელოური* (მიქელა). ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ისინი იმერული დიალექტისაგანაა შეთვისებული. ნათესაობითი ბრუნვის სახით ეს სუფიქსები ამა თუ იმ პირისაგან წარმომავლობას, რისადმე კუთვნილებას ასახავს (ცხადაია 1985: 83-84). ამავე ფუნქციას ასრულებს ზემო აჭარულ დიალექტში სუფიქსი *-ურ'* (-ულ'ი), სადაც, ჩვეულებრივ, ისინი ქალის ქალიშვილობის დროინდელი მამისეული საცხოვრისიდან წარმომავლობის გამოხატვას ემსახურება, ე. ი. იმერული დიალექტისაგან განსხვავებით აქ იგულისხმება არა მხოლოდ მამისეული საგვარეულო სახელწოდება, არამედ მამულეთი, მამის მხარის საცხოვრებელი ტერიტორია. მაგალითად, დიდაჭარელ ქალზე, დიდაჭარიდან გათხოვილზე იტყოდნენ – „დიდაჭარულაჲ“. სხვა მაგალითებიდა-

ნაც ირკვევა, რომ გარდა დაბადების ადგილის გამოხატვისა, ეს სუფიქსი წარმოშობასა და კუთვნილებასაც ასახავს, კერძოდ, მოტანილ ნიმუშში „დიდაჭარულაჲ'ში" ნაჩვენებია გათხოვილი ქალის დაბადების ადგილი, მითითებულია დიდაჭარიდან მისი წარმომავლობა და ხაზგასმულია დიდაჭარისადმი, მამისეული საცხოვრებელი ადგილისადმი კუთვნილება, ე. ი. აქ ჩანს ადამიანის დაბადების ადგილი ანდა საგნის კუთვნილება, პირველწყაროდან წარმომავლობა. თანამედროვე ქართულშიც -ურ გეოგრაფიულ სახელებთან მიმართებაში ადამიანის სადაურობის, ადგილსაცხოვრისის, უფრო ზუსტად, პირველსაცხოვრისის საჩვენებლად გამოიყენება ანდა საგნის თავდაპირველ წარმოშობას გვისურათებს, ხოლო იგივე სუფიქსი სხვა სახელებთან მიმართებაში – თვისებას გამოხატავს (შანიძე 1953: 129). ალექსანდრე მანჯგალაძე ფიქრობდა, რომ ქართულ ენაში სუფიქსი -ურ საგნის სადაურობისა და წარმომავლობის აღსანიშნავად იშვიათად იხმარებოდა. ურ'ის ამჟამინდელ ფუნქციებს ძველი ქართული ენა სხვა საშუალებებით გადმოსცემდა (მანჯგალაძე 1953: 477, 472-518). ის, რომ -ურ სუფიქსით წარმოქმნილი სახელები ძველ ქართულში იშვიათად გამოიყენებოდა განამტკიცებს არნოლდ ჩიქობავას აზრს -ურ და -ელ ბოლოსართების მეორეული წარმოშობის შესახებ (ჩიქობავა 1942ბ: 119, 189). არსებობს აგრეთვე აზრი იმის შესახებ, რომ -ურ სუფიქსის თავდაპირველ ფუნქციას სახელთა ფუძის დეტერმინაცია წარმოადგენდა (ჩიქობავა 1942ა: 81). სვანურში ეს სუფიქსი საგნის უქონლობას გამოხატავს. შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ ამ სუფიქსს ეს ფუნქცია სხვა ენობრივ შტოშიც ჰქონდა (თოფურია 1940: 537-538). იოსებ ყიფშიძის მიხედვით, -ურ (-ულ) სუფიქსი მეგრულში ზედსართავ სახელებს აწარმოებდა, რომლებიც წარმომავლობის ადგილსამყოფელს, კუთვნილებას, ხარისხს აჩვენებდნენ (ყიფშიძე 1914: 127). სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია, რომ სამეგრელოში -ურ'ით (-ულ'ით) ნაწარმოებ ტოპონიმთა დიდი ნაწილის ამოსავალია გვარ-სახელები, ვთქვათ ისეთები, როგორებიცაა ფაღ-ურ-ი (ფაღავა), ფოჩხ-ურ-ი (ფოჩხუა), ჯანაშ-ურ-ი (ჯანაშია). პაატა ცხადაიას აზრით, მეგრულის საზოგადოებრივ სიტყვაწარმოებაში სუფიქსი -ურ ცოცხალი აფიქსია და წარმომავლობასა და საგნის ხარისხზე მიუთითებს, თუმცა ტოპონიმთა საწარმოებლად არ გამოიყენება. ავტორის მასალებით ირკვევა, რომ დასახლებაში იგი უშუალოდ ადგილობრივი გვარ-სახელებისაგან წარმოიქმნებოდა. ნიმუშისთვის შეიძლება სოფელ ლედგებეში მცხოვრები კიჩილ-ურ-ი დასახელდეს, რომელიც კიჩილია ჯიხავას ყოფილ კარ-მიდამოს აღნიშნავს, ასევე, სოფელ თამაკონში კუჩმახ-ურ-ი, რომელიც იმ ფერდობს წარმოადგენდა, სადაც ძმები კუჩუ და მახუ პირტახიები სახლობდნენ, სოფელ ნამიკოლავო პირველში ღურწკულ-ი – ღურწკაიაების საცხოვრისად ითვლებოდა, ხოლო სოფელ ნოღაში ნაკაკული (ნაკულ-ურ-ი) – კაკულიასი. პაატა ცხადაია ასევე გვთავაზობდა, რომ სუფიქსები -ულ და -ურ გამოიყენებოდა -ერ და -ელ სუფიქსების მნიშვნელობით, რომელთა ამოსავალი წერტილი სამეგრელოში ანთროპონიმები იყო: ჯახი-ერ-ი (ჯახია), გეგენი-ერ-ი (გეგენავა). მკვლევრის თანახმად, -ერ და -ელ ხმარებიდან გაცილებით ადრე გამოვიდნენ, ვიდრე -ურ და -ულ. იქვე ავტორის ასკვნის, რომ კუთვნილებითის აღნიშვნა თავზე აიღო პრეფიქსმა ნა'მ, ხოლო სუფიქსი -ურ კი – ტოპონიმიკური სიტყვაწარმოებიდან თანდათანობით გაქრა. მაგალითად, ნა-კაკულ (კაკულ-ურ-ი). კუთვნილების მნიშვნელობის გამოხატვით სუფიქსი -ურ'ისა და პრეფიქს -ნა'ს გათანაბრება მოხდა. ვთქვათ ასე: ნა-გირგოლ, ანუ გრიგოლის კუთვნილი მიწები (ცხადაია 1985: 80-82, 85). სამეგრელოში იმ სოფელთა სახელწოდებების გვერდით, რომლებიც ნა- პრეფიქსის მეშვეობით წარმოიქმნებოდნენ, -სა სუფიქსით ბევრი სახელწოდება გაჩნდა, რომლებიც ასევე სახელებიდან და გვარ-სახელებიდან იღებდა

სათავეს: საბერიო – ბერაითა სამკვიდრო, სახახუბიო – ხახუბიათა საცხოვრისი. არნოლდ ჩიქობავა მიიჩნევდა, რომ სოფელთა სახელწოდებების წარმოქმნა სა- პრეფიქსი გვარსახელით შედარებით ახალი მოვლენა იყო. უფრო ძველია პრეფიქს -ლე'ს ანალოგიურ შემთხვევაში გამოყენება: ლე-სიჭინე – სიჭინავათა სამყოფი ადგილი, ლე-ფოჩხუე – ფოჩხუათა სამკვიდრო (ჩიქობავა 1942ბ: 197). იმავე მნიშვნელობით ბგერა -ლ- სხვა თანხმოვნებთან კავშირში (-ლი, -ლა, -ლე) სვანურშიც არსებობდა. ალექსანდრე ცაგარელმა ყურადღება გაამახვილა -სა პრეფიქსის ადეკვატურ -ო თავსართზე ისეთ ტოპონიმში, როგორიცაა ო-კალმახე (სა-კალმახე), ასევე, „ლე-გოგიე", იგივეა, რაც „სა-გოგიო", „ლე-ხაინდრავო – „სა-ხაინდრავო" (ცაგარელი 1880: 11-13, 50-51); (ჯანაშვილი 1906: 9-10). -ლე (-ლა) პრეფიქსი სვანურ საზოგადოებრივ სიტყვაწარმოებაში დღესაც ცოცხალია, ხოლო გავრცელების ტოპონიმიკური ზონა სვანეთთან ერთად ლეჩხუმითა და მთიანი სამეგრელოთი შემოიფარგლება. ერთგვარად, მას შეიძლება გავრცელების უფრო ფართო არეალი ჰქონოდა, ანდა საერთო-ქართველური პრეფიქსი ყოფილიყო. როგორც პაატა ცხადაია მიუთითებდა, თანამედროვე პერიოდში მეგრული-ლა არ გამოიყენება, ხოლო-ლე ცოცხალი მორფოლოგიური ელემენტია, რომელიც სვანურშიც კუთვნილებასა და დანიშნულებას გამოხატავს. ამ ფუნქციისათვის მეგრულში დამატებით-ო თავსართი გვაქვს. ეს პრეფიქსები სხვადასხვა დროს გაჩენილი ჩანს, მაგრამ იდენტურები არიან. ისინი ფუნქციით შემდეგნაირად შეიძლება დანაწილდნენ: -ლე ადგილთა სახელების წარმოებას ემსახურება, რომელთაც საფუძვლად უდევთ გვარ-სახელები. ისინი არსებითი სახელებისაგან არ იწარმოებიან,-ო კი, პირიქით, ადგილთა სახელებს არსებითი სახელებისაგან ქმნიან, გვარ-სახელებისაგან წარმომდგარ ადგილთა სახელებს კი – არ აწარმოებენ (ცხადაია 1985: 72; 2000).

საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ საფეხურებზე მონოგენური ფორმით წარმოდგენილი ლოკალურ-პატრონიმიული დასახლებები ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო. ლოკალურ-პატრონიმიული ერთგვაროვნება გაფართოებული სახლთმეურნეობების ინტენსიური სეგმენტაციის პროცესებითა და მამა-პაპისეული ფუძე-სახლის ირგვლივ განაყოფი ოჯახების კომპაქტური დასახლებით იყო განპირობებული. სწორედ ამიტომ ეს ფაქტი ასახულია დასახლებული პუნქტების პატრონიმიულ სახელწოდებებში (რობაქიძე, მგელაძე 2005: 3-29); (რობაქიძე 1960); (მგელაძე 1960). ამ ტიპის დასახლებებში ნაწილობრივ დღემდე ცხოვრობს იმ პირთა შთამომავლები, რომლებმაც სამოსახლო ადგილებს სახელწოდებები დაუმკვიდრეს. ასეთია, სოფელ კინჩხას (ხონის რ-ნი, იმერეთი) უბანი – საუგულაო, სადაც უგულავათა გვარის ერთ-ერთი პატრონიმიული შტოს წარმომადგენლები მოსახლეობს. მსგავსია ქვედა კინჩხაში სახურცილავო, საჩხეიძეო, საგედენიძეო. უბნებად ანალოგიური პრინციპითაა დანაწილებული იმერეთში სოფელი გოდოგანი, რომელიც სხვადასხვა სახელით, მათ შორის, საგვარეულო სახელწოდებებით აღინიშნებიან: დადიშოური, გაღმა გოდოგანი (გაღმა ქუჩა), ლევიძეების ქუჩა, სუთიძეების ქუჩა (დაბლა ქუჩა), ეკლესიის უბანი, ზედა ქუჩა. თავის მხრივ, აქ დიდ დასახლებულ პუნქტთა პატარა უბნები – „ქუჩები'ც", უპირატესად, საგვარეულო ნიშნის მიხედვით ნაწილდება: დადიშოური იყოფოდა ქუჩებად: აბროლაძე, გვენეტაძე, გაბრიჩიძე; გაღმა დოლოგანი: ლანჩავა, უკლება, კეზევაძე; დაბლა ქუჩა, იგივე, სუთიძეების ქუჩა: მარგველაშვილი, ტყაპლაძე, გაბრიჩიძე, სუთიძე. ლეჩხუმში ლეხვანო ორ სოფლად იყოფა: „ზემო ლეხვანო'დ" და „ქვემო ლეხვანო'დ". ზედა ლეხვანოს უბნებია: საბენდელიანო, სალეთედიანო, ქვედა ლეხვანოს კი – ზარაგულა და საკოპალიანო. ზედა ლეხვანო ადრე „სალეთედიანო'დ" იწოდებოდა. სალეთედიანოს უბანში ლეთოდიანის

გვარ-სახელის მატარებელი სახლეულები ცხოვრობენ, რომელთა გვერდით განსახლებულნი არიან დავითულიანები, სილაგაძეები, ბენდელიანები, საგინაძეები (მგელაძე 1986ბ). ასეთივე არქიტექტონიკისაა სამეგრელოში, სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის დასახლებული უბანი – სასიმონიო, ხოლო აბაშის რაიონის ნორიოს ტერიტორიულ გაერთიანებაში – საჩოჩიო, საგვაზავო და საბოკუჩავო. საკუთრივ აბაშის დიდი დასახლებაც გვარების მიხედვით ასე ნაწილდება: საქოიავო, საკორძახიო, საკუპრავო და „სატყებუჩავო“. აბაშის რაიონში ამგვარი სახელების მიხედვით დიფერენცირებულია სხვა დასახლებებიც: სათოფურიოშ კუნთხუ – თოფურიების უბანი, სასიმონიოშ კუნთხუ – სიმონიების უბანი და სხვა მისთანანი. მარტვილის რაიონში სოფელ სალხინოს ადრინდელი სახელწოდებაა წაჩხური, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე უბნით: ვახა, ლეჩაჩიე – ჩაჩუების საცხოვრისი, ლებასილე – ბასილაიათა სამკვიდრო, ლეცავა – ცაავათა სამოსახლო. სოფელი მუხური ორი დიდი ნაწილისაგან – „მაჩია მუხური’საგან“ და „მეორე მუხური’საგან“ შედგება და ანთროპონიმური წარმომავლობის უბნებად იყოფა. ესენია: ლეცირამვე, ლეჩიქვანე, ლეთილორდე და ლეცირდე. იდენტური სურათი გვაქვს სოფელ ლესიჭინეშიც, სადაც უმეტესად სიჭინავათა გვარის სახლეულებია წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოს მსგავსია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის ეთნოგრაფიული სინამდვილეც. ფშავში, სოფელ თურმანაულში თურმანაულთა გვარის წარმომადგენლები ცხოვრობს (მგელაძე, 1987: 93). მთიულეთში, ჭართლის საზოგადოებაში იდენტურ სურათს ქმნის ჩიტაურთა გვარი, რომელთა ძირი გვარი „გიგაური“ იყო. ისინი სახლობდნენ სოფელში, რომელსაც გიგაური ერქვა (მგელაძე 1988გ: 12).

სოფელთა უბნებად დაყოფისა და დიფერენციაციის წესი ლოკალურ ჯგუფთა განსახლების საერთო კანონზომიერებებს ექვემდებარებოდა, რასაც საფუძვლად ედო დიდ სახლეულთა სეგმენტაცია. ამიტომ, საქართველოს პოლიგენურ დასახლებებში მეგრული „დინო’სა“ და ლაზური/ჭანური „ოფუტე’ს“ მსგავსი ლოკალური გაერთიანებების საცხოვრისები, ჩვეულებრივ წარმოდგენილნი იყვნენ იმ ტიპის სოციალური ორგანიზაციებით, როგორიც იყო *ბაბუიშვილობა, ბუნობა, გომნაჭყანი და გმნარყი, ლამხუბ (სამხუბ), ნოგრო* (სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველო), *მამიშვილობა, ბუდობა* (აღმოსავლეთ საქართველო). *ლე* პრეფიქსით წარმოქმნილ ტოპონიმთა ანალიზის პროცესში არაერთი ავტორი აღნიშნავდა, რომ ისინი ადგილის სახელწოდებანი იყო და მიანიშნებდნენ აქ მცხოვრები ოჯახების ნათესაობაზე. სამხედრო თავდაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე.

ამგვარი მონოგენური უბნები ხშირად ციხე-სიმაგრის იერსახეს ატარებდნენ. მთიან სამეგრელოში ცალკეულ დასახლებას, როგორც ბინადრობისა და შრომის ადგილს, ჩვეულებრივ, ერთი ძირიდან მომდინარე საგვარეულო აყალიბებდა. გაყოფილი ოჯახები გვერდი-გვერდ, ერთმანეთის მახლობლად სახლდებოდნენ, შესაბამისად, დასახლება ტერიტორიულად ფართოვდებოდა, სახლეულები ახალ სახნავ-სათეს მიწებს ითვისებდნენ, ტყეებსა და საძოვრებს ეუფლებოდნენ. ასეთი დასახლებები, უმეტეს შემთხვევაში, „სამოხიო’ს“ (საძმოს) ქმნიდა. ეს იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც საერთო სალოცავი და საერთო სასაფლაო აერთიანებდათ (ცხადაია 1986: 144); (მგელაძე 1988ე: 25-28); (მგელაძე 2021: 57). ამგვარად, ტერიტორიული გაერთიანება მოიცავდა სოფელს, რომელიც უბნებად იყოფოდა, ხოლო ეს უკანასკნელნი ცალკეულ კარ-მიდამოდ ნაწილდებოდა. ასე მაგალითად: ხონის რაიონის სოფელი კინჩხა (იმერეთი) რამდენიმე დასახლებულ პუნქტად (რუნდიში,

საწისქვილო, საუგლაო, ქვედა კინჩხა, ზემო კინჩხა, ლუხუმი, კინჩხა ფერდი, აკალდამა, წმიდა ლიანის გორა) იყოფა, რომლებიც, თავის მხრივ, შედარებით მცირე ზომის უბნებად ნაწილდება. ქვედა კინჩხში ესენია: სახურცილავო, საჩხეიძიო, საჯანელიძო, საგედენიძო, ხოლო ზედა კინჩხში – საქაროიძნო (ქაროსანიძე). ასე რომ, დასახლების ამ სტრუქტურაში ყველაზე პატარა დასახლებულ პუნქტად შეიძლება კარ-მიდამო და მიკრო-უბანი ჩაითვალოს. ეს ფაქტი მკაფიოდაა ილუსტრირებული „საწისქვილო'ს" სახელწოდების მატარებელ დასახლებაში, სადაც ჯიშკარიანის გვარის მედიალური ჯგუფის წარმომადგენლები – *გორელები* ცხოვრობს. აქვეა უბანი „საგედენიძო", სადაც გედევანიძეთა გვარის მედიალური ტიპის ლინიჯი – *ბობეითა* სახლობს. „ბობეი'თას", როგორც „ბაბუიშვილობის" საცხოვრისი, „ჩხორონჭყო'ს" სახელითაა ცნობილი. შინაარსობრივად იდენტურია ვანის რაიონის სოფელ ივანდიდის ეთნოგრაფიული მასალებიც, სადაც ქუთათელაძეთა გვარის რამდენიმე გენეალოგიური ჯგუფი – „საბაბუო'ა" წარმოდგენილი: *ბიკიჩეიშვილი, უდიერი, კოჩობა* და სხვა მისთანანი. ისინი ცალკეულ უბანში არიან განსახლებულნი (მგელაძე 2025). სპეციალურ ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ სიჭინავას გვარის წარმომადგენლები რამდენიმე კვადრატულ კილომეტრზე მდინარე ხობისწყლის მარჯვენა სანაპიროზე აღმოსავლეთის მიმართულებით ცივის ხეობამდე არიან განსახლებულნი. პატარა მდინარეთა ხეობებში ისინი რამდენიმე დასახლებულ მიკრო-უბანს ქმნიან, რომლებიც მათ შორის არსებულ გორა-ბორცვებზე არიან განლაგებულნი. ესენია: *გურიშიათი, მაჩვიტანათი, შაშკიათი, წაკოთი, ძაგლიათი, პაპათი, გალიათი, თამაზეთი.* ეს გეოგრაფიული სახელწოდებები იმ ადამიანთა საკუთარი სახელებიდან წარმოიშვნენ, რომლებიც სიჭინავათა გვარის სხვადასხვა განშტოებების წევრები იყვნენ. სოფელში სიჭინავათა ოცამდე გენეალოგიურ განშტოებას მოითვლიან. ზოგიერთი გენეალოგიური ტოტი დღეს მხოლოდ თითო-ოროლა ოჯახითაა წარმოდგენილი და, გასაგები მიზეზების გამო, ცალკეულ უბანს ვერ ქმნის (ცხადაია 1985: 89). კარ-მიდამოებად და ლოკალურ-პატრონიმიულ უბნებად დიფერენციაციის ასეთი სტრუქტურული წყობა მხოლოდ სამეგრელოსა და იმერეთს როდი ახასიათებდა. საქართველოს ყველა კუთხეში იგი თითქმის მსგავსი აგებულებით იყო წარმოდგენილი, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. ლეჩხუმში, სოფელ ცხუკურეშის სვანიძეთა დასახლებაში ამ ტიპის რამდენიმე უბანი არსებობს: *1. ქვედა კუთხე; 2. ძაღოლასენების კუთხე; 3. ნიკოლისანების კუთხე; 4. მაღალეშვილების კუთხე; 5. გოგიესანების კუთხე; 6. დალაქოსანების კუთხე; 7. თოლიეშვილების კუთხე.*

სვანეთში მოგზაურობის დროს დიმიტრი ბაქრაძემ დასახლების მონოგენური სტრუქტურის ინტენსიური რღვევა შეამჩნია და ტერიტორიულ გაერთიანებაში მცხოვრებ საგვარეულოთა არაერთგვაროვნება დაადგინა (ბაქრაძე 1861: 57, 60-61, 96), (ბაქრაძე 1878ა). სვანეთის ისტორიითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ გაირკვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „ლაკრან'თა" შიგნით განსახლების მონოგენური პრინციპი დაცული იყო, მაგრამ ლაკრანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდათ (ხარაძე 1958: 65). სვანური ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე ალექსი რობაქიძე მივიდა დასკვნამდე, რომ უკვე XIII საუკუნის ზემო სვანეთში დასახლების ძირითადი ერთეულის – ხევის განვითარების პროცესი იმ საფეხურამდე ავიდა, რომ ნათესაური მიკუთვნებულობა მასში მაორგანიზებულ როლს აღარ ასრულებდა. სვანური და არასვანური წარმომავლობის ნათესაური გაერთიანებების სახელწოდებათა სიჭრელე, რაც მცირერიცხოვანი სოფლებისათვისაც იყო დამახასიათებელი, ავტორს აძლევდა საფუძველს ეფიქრა, რომ ეს მოვლენა იმ დროს უკვე ახალი არ იყო (რობაქიძე 1958: 57-58).

სტრატიგრაფიული მეთოდის დახმარებით ჩვენ შევეცადეთ ბალსზემო სვანეთის დასახლებებში სქემატურად გამოგვეხატა მონათესავე სახლეულთა განსახლების კანონზომიერებანი, დაგვედგინა ლოკალიზებულ საგვარეულოთა კავშირურთიერთობები, ლოკალური ჯგუფებისა და მათში შემავალ „ლამხუბ'თა" ტერიტორიულ ურთიერთმიმართებათა თავისებურებები (სტრატიგრაფიული მეთოდის შესახებ იხ.: (ბაუმგარტენი 1964); (რობაქიძე 1968); (მგელაძე 1988ბ: 111-116). საველე წყაროებით გაირკვა, რომ ზემო სვანეთში იფარის, კალასა და უშგულის ტერიტორიული გაერთიანებები რამდენიმე ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული სოფლისაგან შედგებოდა, სადაც წარმოდგენილი იყო ლოკალური ჯგუფები, რომელთა სახელდება წინაპართა საკუთარი ანდა მეტსახელისაგან მომდინარეობდა (მგელაძე, მიქელაძე 1996: 192-198); (ჩანტლაძე, 1998:180-184). ამის საილუსტრაციოდ ჩვენ შეგვიძლია უშგულის თემი წარმოვაჩინოთ, რომელიც სქემატურ გეგმაზეც მჭიდრო და კომპაქტურ დასახლებად გამოიყურება. სქემაზე დატანილი ნუმერაცია „ლამხუბ'თა" სახელწოდებებს შეესაბამება.



უშგულის ტერიტორიული გაერთიანება – თემი

№	სოფელი	გვარი	გენეალოგიური ჯგუფის – „ლამხუბ'ის“ სახელწოდება	სქემატური გეგმის ნუმერაციასთან შესატყვისობა
1	ჩვიბიან'ი	ნიჟარაძე	ქუჩეშა ლომიშა	1 14
		ჩარკვიანი	თხვარიშა	2, 3, 4, 5, 6, 7, 13
		ჭელიძე	ტუტუშა	8
		ჩარქსელიან'ი	ქუცააშა	9, 10, 11, 12, 15
2	ჟიბიან'ი	რატიანი	გოგიჩუშა	16, 17, 23
			ბატააშა	24, 25, 26, 27
		ნიჟარაძე	ლომიშა ნინიშა მარშანშა ქუჩეეშა სუთმამშა ქალდაანშა	18, 22 28 29, 29ა, 34 36 38, 40 19
		ხაჭვან'ი	კაკიჩააშა	29, 20ა, 30, 31, 32, 33
		ჩარქსელიან'ი	ქალდაარ	35, 37
		ჭელიძე	თემზაშა	39
3	მურყმერ'ი	კაკრიაშვილი	კაკიშა	1, 1ა, 2, 3, 4, 5, 6, 7, 7ა, 12, 12ა, 14, 14ა, 18, 18ა, 37, 37ა
4		მაცხოვრის ეკლესია		9, 9ა
		ჩარქსელიან'ი	ქალდარშა ქუცაშა დიდაიშა მეზიშა ბიჭოშა ივანიშა კოკოშა ბეთლამშა	22, 22ა 28, 28ა, 32, 32ა, 33, 33ა 10, 10ა 11, 11ა 16, 16ა, 16ბ, 24, 24ა 17, 17ა 36, 36ა, 36ბ, 36გ 40, 40ა, 41, 41ა
		ღვაჩლიან'ი	ბეჟნაიშა	13, 15, 19, 19ა, 25, 25ა, 29, 29ა, 29ბ, 29გ, 30, 30ა, 31, 31ა, 31ბ
		წმიდა ბარბალეს ეკლესია		20
		„ჰაგრა“ – სოფელ მურყმელის თავყრილობის ადგილი		21
		ჭელიძე	თემზაშა	26, 26ა, 27, 27ა, 34, 34ა, 35, 35ა, 38, 38ა, 39, 39ა
	ჩაჟაშ'ი	„სჯფ“ – უშგულის სათემო თავშესაკრები ადგილი		1
		„ლალხორ“ – თავყრილობის ადგილი		
		ნიჟარაძე	ლომიშა ქუჩეშა ქალდანშა ბექაიშა ბეშქანშა	3, 3ა, 15, 25 4, 4ა, 13, 19, 19ა 6, 6ა, 7, 9 17, 20, 20ა, 21
		კოშკი „ილიაკლთხი“ (ილიას მაღალი)		17, 20, 20ა, 21
		რატიანი	გოგიჩუშა	5

სქემატურ გეგმაზე კარგად ჩანს ლოკალურ ჯგუფთა განსახლების კანონზომიერი პრინციპი, „ლამხუბ'ების" – საძმოს ტიპის გენეალოგიური გაერთიანებების ფარგლებში

სოფელი მურყმელ'ი უშგულის ტერიტორიული თემა

მონათესავე სახლეულთა განლაგებისა და ურთიერთმიმართების თავისებურებები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნიჟარაძეთა საგვარეულოში ქუჩეშას ლამხუბ'ი უშგულის დანარჩენ ტერიტორიაზე №13 სახლეულიდან და მისი კოშკიდან გამრავლდა. მონათესავე სახლეულებმა, რომლებმაც საერთო სახელწოდებად *ქუჩეშა* მიიღეს, წინაპრის კოშკი საერთო – საძმო საკუთრებაში დაიტოვეს. ლოკალურ ჯგუფთა განსახლებაში მსგავსი სურათი სხვა ლამხუბ'ების განლაგებაშიც შეინიშნება. საქართველოს მთიანეთის დიდ ნაწილში კომპაქტური დასახლებები უპირველესად სოფლის უბნების აგებულებაშია ასახული. ამ ტიპის დასახლებები მოსახლების სიმჭიდროვით ხასიათდებოდნენ, სადაც ზოგჯერ სახლები ერთმანეთთან საერთო გასასვლელებით იყვნენ დაკავშირებული, ასევე თავდაცვითი დანიშნულების მიჯნებით. რუსუდან ხარაძის აზრით, ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასახლების მონოგენური ხასიათი იყო. იგი ხევსურეთში ასეთად გუდანსა და გორშეღმას თვლიდა. გუდანის დასახლებაში ცამეტი სოფელი ერთიანდებოდა, რომელთაგან თორმეტში მხოლოდ არაბულის გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, გორშეღმის ტერიტორიული გაერთიანების რვა სოფლიდან კი ხუთში ჭინჭარაულთა გვარი ცხოვრობდა. მართალია, რუსუდან ხარაძემ რიგი დასახლების ერთგვაროვნება დაადგინა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამგვარი დასახლებები სინამდვილეში ფიქტიურ ხასიათს ატარებდნენ. ბევრ ასეთ სოფელში ერთი საგვარეულოს ფარგლებში იქ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზების გამო ჩასახლებული არამონათესავე სახლეულის წევრები იყვნენ გაერთიანებულნი. მიუხედავად იმისა, რომ რუსუდან ხარაძე მონოგენური დასახლებების ამოსავალ წერტილად „საოჯახო თემის" სეგმენტაციას თვლიდა, მაინც საქართველოში „გვაროვნულ დასახლებების" ანდა მათი გადმონაშთების არსებობას

რეალურ ფაქტად აღიქვამდა, თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ გვაროვნული კავშირების შესუსტების პარალელურად გვაროვნული განსახლების პრინციპი თანდათანობით კარგავდა თავდაპირველ მნიშვნელობას და ეს მაშინ, როცა ცალკეული ოჯახისა თუ ნათესაური ჯგუფის გადასახლება-ჩასახლებები ამ დროისათვის სრულიად კანონზომიერ მოვლენად იყო ქცეული (ხარაძე 1958: 52). სხვათა შორის, არამარტო XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ავტორები, არამედ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა დიდი ნაწილიც მაქსიმ კოვალევსკისა და მისი მიმდევრების თეორიული კონცეფციის ტყვეობაში აღმოჩნდა. გასული საუკუნის 20-50-იან წლებში დებულება კავკასიის ხალხებში გვაროვნული დასახლებების არსებობის შესახებ განსაკუთრებით პოპულარული იყო იმ ისტორიოგრაფიაში, რომელიც კავკასიის ხალხებს ეხებოდა. ასე მაგალითად, ალექსი ყამარაულის მიხედვით ხევსურთა სოციალური წყობის საფუძველი „გვარი“ (род) იყო. ამ პოსტულატის სრულყოფილი დასაბუთებისათვის იგი საჭიროდ მიიჩნევდა წარმოეჩინა ხევსურული გვარ-სახელები, ავტორის ტერმინოლოგიით „გვარის გვარ-სახელები”. მისი აზრით, ხევსურული დასახლებები, როგორც გვაროვნული ერთეულები, ისე წარმოიქმნებოდნენ და შიდა ჩაკეტილობით ტიპურ გვაროვნულ ნიშნებს ატარებდნენ (ყამარაული 1929: 85-88). სვანეთის დასახლების ფორმასა და სოციალურ წყობას დაახლოებით ანალოგიურ შეფასებას ბორის კოვალევსკიც აძლევდა. იგი წერდა, რომ დასახლებაში არც თუ ისე დიდ გორა-ბორცვებზე დაჯგუფებული სახლები კოშკებითურთ, რომლებიც საერთო გალავნით არ იყო შემოზღუდული, აქ ისეთი გვაროვნული წყობის არსებობაზე მეტყველებდა, რომელიც სატომო გაერთიანებებში ჯერ კიდევ არ იყო გადაზრდილი. ამასთან ავტორი აღნიშნავდა, რომ თითოეულ სოფელში ძალზედ შეზღუდული რაოდენობის გვარები ცხოვრობდნენ, უპირატესად, ორი-სამი გვარი. ამ მხრივ მოგზაური უშგულს გამოყოფდა, სადაც ნიჟარაძეთა გვარი უმრავლესობას წარმოადგენდა, ასახელებდა მულახს იოსელიანთა დომინირებადი გვარით, მესტიას ფალიანთა საგვარეულოთი. ბ. დეგენ–კოვალევსკის თანახმად, ერთი საზოგადოების სოფლები ჩვეულებრივ გვერდი-გვერდ მდებარეობდნენ, რაც გვაროვნული სახლიდან მათ წარმომავლობას აშკარად უჩვენებდა, საკუთრივ თემები კი სამეურნეო მიწის ფონდითა და მჭიდრო მოსახლეობით ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილით იყვნენ დაცილებულნი (დეგენ–კოვალევსკი 1930; 31). ქართველ მთიელებში „გვაროვნული დასახლებების“ შესახებ კონცეფცია შემდეგში სხვა ავტორთა ნაშრომებში კიდევ უფრო განივრცო (პანეკი 1939); (პანეკი 1946); (მაკალათია 1935); (მაკალათია 1983), თუმცა დროთა განმავლობაში ცხადი გახდა ასეთი მიდგომის უზუსტობა და იგი კრიტიკას დაექვემდებარა (რობაქიძე 1958); (ბახია 1985); (მგელაძე, 1988ა); (მგელაძე 2004). გიორგი მელიქიშვილის დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მთიელებში ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთი გვარით წარმოდგენილ დასახლებულ პუნქტებს, მაინც ამ ტიპის გვარებს არანაირი კავშირი არა აქვთ გვაროვნული ეპოქის პირველყოფილ წყობასთან, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საზოგადო საკუთრება, კოლექტიური წარმოება, საერთო განაწილება და მოხმარება (მელიქიშვილი 1984: 28). ეს იყო დასახლებები, რომლებიც ლუის ჰენრი მორგანის მიერ თეორიულად შექმნილი პირველყოფილობის დროინდელი გვაროვნული დასახლებებისაგან პრინციპულად განსხვავდებოდა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მკვლევართა ნაწილი XIX საუკუნის კავკასიაში გვაროვნული ინსტიტუტებისა ანდა მისი გადმონაშთების ფუნქციონირებას, მართალია, გამორიცხავდა, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში პირველყოფილი გვაროვნული ორგანიზაციის, როგორც პირველადი სოციალური უჯრედის არსებობას, არ უარყოფდა. ისინი თვლიდნენ, რომ გვაროვნული ორგანიზაცია უკვე XIX საუკუნეში საზოგადოებრივი ურთიერთობების უფრო მაღალ ფორმაში იყო გადაზრდილი: ზოგის აზრით – საოჯახო თემში, სხვების – პატრონიმიულ ორგანიზაციასა თუ ტერიტორიულ-სამეზობლო სათემო გაერთიანებაში.

არქაული გვარი საქართველოში, მართლაც, არსებობდა, მაგრამ ეს იყო არასეგმენტირებადი გვარი, რომელიც სამომავლოდ სეგმენტირებად გვარში გადაიზარდა, რომლისთვისაც წინაპრის სახელისაგან წარმოქმნილი მემკვიდრეობითი სახელი იყო დამახასიათებელი, ხოლო უფრო გვიან – გვარსახელი. გვარს გვარსახელით, მართლაც, ჰქონდა გენეალოგიური სტრუქტურა და სოციალური ორგანიზაციის იმ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ნათესაობის სისტემაზე იყო დაფუძნებული. ტიპოლოგიური თვალსაზრისით იგი ლოკალური ჯგუფისაგან განსხვავდებოდა, რადგან ლოკალური ჯგუფისათვის საერთო ტერიტორიაზე ერთობლივი თანაცხოვრება იყო ნიშანდობლივი. სწორედ ამის გამო ნათესაური გაერთიანება ლოკალური ერთობის სტრუქტურაში დამოუკიდებელ ადგილს იკავებდა. უეჭველია, კაცობრიობის ისტორიაში სოციალური ორგანიზაციის ეს ორი ფორმა სტადიური მიჯნების გარეშე დროსა და სივრცეში მუდამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. ნათესაური (გენეალოგიური) ჯგუფისათვის ლოკალური ჯგუფის ფუნქციების მთლიანად მინიჭება ანდა პირიქით, ლოკალური ჯგუფისათვის ნათესაობის ფუნქციის მთლიანად გადაცემა არამართებული უნდა იყოს. ეს ორი სტრუქტურა მკვლევრებისათვის ფაქტობრივად შეუმჩნეველი დარჩა. სოციალური ორგანიზაციის ფარგლებში ამ ორი სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი კავშირების კომბინაციური დალაგების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ. სწორედ ერთმანეთზე მათმა დაუმთხვევლობამ შექმნა ილუზია პატრონიმიულ ორგანიზაციაზე, როგორც სტადიურ წარმონაქმნზე, მაშინ, როცა პატრონიმიული ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ფილიაციას წარმოადგენდა, ხოლო მასზე ხელოვნურად მიწერილი რიგი კომპონენტი, მათ შორის, ტერიტორიულ ერთობა ლოკალური ჯგუფისათვის იყო დამახასიათებელი, რაც საერთო ტერიტორიაზე ერთობლივ ბინადრობაში გამოიხატებოდა. ამასთან, დასახლების მონოგენურობა რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პროდუქტი არ ყოფილა. მისი არსებობა ცხოვრების სპეციფიკური წესით იყო ნაკარნახევი, ხოლო მისი რღვევის პროცესი, პოლიგენური დასახლებისა თუ მოჩვენებითი ერთგვაროვნების წარმოშობა მრავალგვარი სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ფაქტორებით იყო განპირობებული. საქართველოში დასახლების პოლიგენური ფორმა სხვადასხვა გზით, უპირატესად, მიწის ყიდვა-გაყიდვისა და მიგრაციული პროცესების საფუძველზე ყალიბდებოდა. პოლიგენური განსახლება უპირველესად მაინც მოსახლეობის მოძრაობით იყო განპირობებული, რასაც მცირემიწიანობა, სოციალური დიფერენციაცია, რთული სამეურნეო პირობები, ომები და რელიგიური ფაქტორები იწვევდა. გასულ საუკუნეში მიგრაციების დიდ ინტენსივობას ყველა შემთხვევაში მცირემიწიანობა განსაზღვრავდა (მგელაძე 1989: 69-89). ამგვარ პროცესებს ნათლად გამოხატავდა მეგრული სიტყვა „ფიოში“, რაც თავისუფალ მოძრაობას, გადაადგილებას, ნავარდს ნიშნავდა. ასე ეძახდნენ აფხაზეთში – ისტორიულ სამურზაყანოში იმ გლეხებს, რომლებიც ფეოდალების თავგასულობას მდინარე ენგურის გაღმა გაურბოდნენ, სადაც ისინი მოიჯარადეები ხდებოდნენ და „ნებიერის“ („ნებით მოსულის”), ე. ი. ნებაყოფლობით მოსულის კატეგორიაში გადადიოდნენ. ეს სიტყვა მეგრულ საქორწინო ტრადიციებში ქალის მოტაცებასთანაა დაკავშირებული, რასაც „ფიოშით ხვამილაფა“ ანდა „ფიოშით ყუნაფა“ („ფიოშით მოტაცება“, „ფიოშით წაყვანა”) ეწოდებოდა. „ფიოშით ხვამილაფა”/„ფიოშით ყუნაფა“ ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში შობილი მოტაცების ფორმა იყო, რომელიც გარკვეული საქორწინო ვალდებულებების შეუსრულებლობით ანდა ქორწინებაზე ფეოდალის უარით იყო გამოწვეული და ამ უკანასკნელისაგან გაქცევას, ყმის წაგვრასა და სხვა ფეოდალის განკარგულებაში გადასვლას გულისხმობდა (ანთელავა 2005: 78).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პოლიგენურმა განსახლებამ ფართო ხასიათი მიიღო. ასე მაგალითად, ცხენისწყლის ხეობაში ლეჩხუმური სოფელი მახაში რამდენიმე

უბნად იყოფოდა, სადაც სხვადასხვა წარმომავლობის გვარები ცხოვრობდა, კერძოდ, ზემო მახაშში სახლობს ლოკალიზებული საგვარეულო ჯგუფები: კენჭაძე, ცხვედიანი, გასვიანი, ახვლედიანი, გოლეთიანი, არდანიანი, მუშკუდიანი, ჩხეტიანი, ყურაშვილი, სილაგაძე, თაგვაძე, ჩარკვიანი, ტვილდიანი, ჯიაძე; სოფელ ჯერში – ვაცაძე, გასვიანი, ხვადაგიანი, მუშკუდიანი, ყურაშვილი, ჩარკვიანი, სილაგაძე, ჩიქოვანი; კინთხი წარმოდგენილია: ჩაკვეტაძე, სილაგაძე, ცხვედიანი, კენჭაძე, ახვლედიანი, ყურაშვილი (მგელაძე 1985: 23, 74). როგორც ვხედავთ, აქაც პოლიგენურ დასახლებასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პატრონიმიული ტიპის დასახლებები რეალურად ყოფაში ისე არ არსებობდნენ, როგორც ეს ადრე ბევრს ჰქონდა წარმოდგენილი. ის, რაც პატრონიმიულ ორგანიზაციად მიიჩნეოდა, ხშირად ლოკალურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რამდენადაც მათში სხვადასხვა წარმომავლობის გენეალოგიური ჯგუფების წარმომადგენლები ერთიანდებოდნენ, კერძოდ, მოყვანილი რძლები და არც თუ ისე იშვიათად ადოფცირებული პირები. ქორწინება და ადოფცია ლოკალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, თუმცა ფაქტია, რომ ლოკალური ჯგუფის დასახლებას გენეალოგიური ჯგუფი ედო საფუძვლად. ასე რომ, ლოკალური გაერთიანების ფარგლებში არამარტო ნათესაური, არამედ არანათესაური პრინციპითა ერთიანდებოდნენ. ესენი იყვნენ ნათესაური წრის წევრთა ცოლები – სხვა საგვარეულოდან მოყვანილი რძლები, ასევე, განსხვავებული წარმოშობის სახლეულში ადოფცირებული (ზედსიძეები, შვილად აყვანილები) და სახლეულში ლოკალიზებული ანდა დასახლებულ უბანში სხვადასხვა გზით შესული და დამკვიდრებული ინდივიდები (დროებით სამუშაოებზე დაქირავებულები, მოსისხლეებს გამოქცეულები, ნაყიდი მიწის მეპატრონეები). მსგავსი ურთიერთობების დასახასიათებლად სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ტერმინები – „მონოგენური დასახლება“ და „პოლიგენური დასახლება“ გამოიყენება, რომლებიც საგვარეულო სტრუქტურაში ამა თუ იმ გენეალოგიური ჯგუფის უპირატესობას, დომინირებად მდგომარეობასა თუ პატრონიმიულ ერთობათა სიმრავლეს გვიჩვენებს. ეს ცნებები პირობითია და საკუთრივ ლოკალურ ჯგუფს უშუალოდ არ ახასიათებს. ისინი ჩვენ მიერ ტრადიციული საზოგადოებების დასახლების სისტემაში გენეალოგიური ორგანიზაციის თავისებურებათა შესასწავლად გამოიყენება.„მონოგენურ დასახლებას“ ჩვენ ისეთ დასახლებას ვუწოდებთ, რომელსაც ნაწილობრივ საფუძვლად ედო განსახლების პატრონიმიული პრინციპი, ხოლო „პოლიგენურ დასახლებას“ ისეთ დასახლებას, რომელშიც საცხოვრებლად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წარმომავლობის გენეალოგიური ჯგუფი.

დამოწმებანი

ანთელავა 2005: ნ. ანთელავა. *ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში*, თბილისი.

ანუჩინი 1982: В. А. Анучин. *Географический фактор в развитии общества,* Москва.

არუთინოვი, მგელაძე 1990: ს. არუთინოვი, ნ. მგელაძე. რეცენზია თამარ დრაგაძის წიგნზე „სოფლის ოჯახი საბჭოთა საქართველოში“– *მაცნე*, ისტორიის სერია, 2.

არქივი: Центральный государственный военно-исторический архив, фонд 482, опис 1, дело 198.

ბაუმგარტენი 1964: K. Baumgarten. Stratigraphishe untersuchungen in der deutschen housforscgun. – VII internacionaler kongress fur anthropologihe und ethnologische wissenschaften, Moskow.

ბაქრაძე 1878ა: Д. З. Бакрадзе. Сванетия. *Записки Кавказского отдела русского географического общества*, кн. VI, Тифлис.

ბაქრაძე 1878ბ: Д. З. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПБ.

ბახია 1985: С. И. Бахиа. Абхазская «Абипара» – патронимия (грузино-абхазские этнографические параллели), Тбилиси.

ბახია 1986: ს. ბახია. აფხაზური „აბიფარა“ – *პატრონიმია (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)*. – საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

ბახია 1989: ს. ბახია. თურის სოციალური ბუნების ზოგიერთი საკითხი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე, *საქართველოს ეთნოგრაფთა* XI , რესპუბლიკური სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

ბერძენიშვილი 1966: ნ. ბერძენიშვილი. *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, თბილისი.

გამყრელიძე 1982: ბ. გამყრელიძე. *ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა,* თბილისი.

გამყრელიძე 1971: ბ. გამყრელიძე. სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში (მთიულური ორხელაობა), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბილისი.

გოდერძის უღელტეხილი 2019: გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია, კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: ნუგზარ მგელაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი, მერაბ ხალვაში, თემურ ტუნაძე, ნინო შანშაშვილი, კახა ქამადაძე, ბათუმი.

დეგენ–კოვალევსკი 1930: Б.Е. Деген-Ковалевский. *Страна снегов и башен (очерки сванской культуры),* Прибой.

დოლიძე 1953: ი. დოლიძე. *ძველი ქართული სამართალი*, თბილისი.

ელიავა 1961: გ. ელიავა. ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოს ტოპონიმია. *გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია,* ქუთაისი.

ერისტოვი 1855: Эристов, Р. Д.. О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, *Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества,* кн. III. Тифлис.

ვიტოვი 1958: М. В. Витов. Формы поселений европейского севера и времия их возникновения. – Краткие сообщения Института этнографии, XXIX, Москва.

ზურაბიშვილი 1961: თ. ზურაბიშვილი. ტოპონიმიკის შესწავლისათვის, *ქართველური ენების სტრუქტურის საკითხისათვის,* II, თბილისი.

თოფურია 1923: ვ. თოფურია. სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში. *ჩვენი მეცნიერება,* №11-12, თბილიასი.

თოფურია 1940: ვ. თოფურია. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, -ედ, -ურ, რ- აფიქსებისათვის. *ენიმკის მოამბე,* V-VI, თბილისი.

ითონიშვილი 1960: ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი.

კოჟევნიკოვი 1930: А. Кожевников. *Человеческий заповедник (Вольная Сванетия)*, Москва-Ленинград.

კუკულაძე 1981: თ. კუკულაძე. დეხვას ხეობის ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხი, *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა*, III, თბილისი.

მანჯგალაძე 1953: ა. მანჯგალაძე. -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, V, თბილისი.

მაკალათია 1934: ს. მაკალათია. *ხევი*, ტიფლისი.

მაკალათია 1983: ს. მაკალათია. *თუშეთი*, თბილისი.

მარი 1912: Н. Я. Марр. История термина «абхаз». *Известия Академии наук*, Москва-Ленинград.

მგელაძე 1960: ვლ. მგელაძე. *დასახლების მორფოლოგიის საკითხები აჭარაში. ბათუმიხ სამეცნიკერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, ტ. 1, ბათუმი.

მგელაძე 1960: ვლ. მგელაძე. პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა აჭარელთა ცხოვრებიდან, გაზ. *საბჭოთა აჭარა*, №115, ბათუმი.

მგელაძე 1961: ვლ. მგელაძე. ხალხური თვითმმართველობის ისტორიიდან აჭარაში („ოლქობა“). სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, ბათუმი.

მგელაძე 1964: ვლ. მგელაძე, ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სოფელ სარფის მასალების მიხედვით), *ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, III, თბილისი.

მგელაძე 1966ა: ვლ. მგელაძე. პეტრე უმიკაშვილი აჭარელთა მუჰაჯირობის შესახებ. *ლიტერატურული აჭარა* , №6, ბათუმი.

მგელაძე 1966ბ: ვლ. მგელაძე. პეტრე უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა, *„საბჭოთა აჭარა“*, №235, ბათუმი.

მგელაძე 1973: ვლ. მგელაძე. *ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი.*

მგელაძე 2014: ვლ. მგელაძე. *პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობისდროინდელი სამხრეთ სამხრეთ საქართველო*, ბათუმი.

მგელაძე 1980: ნ. მგელაძე. საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან აჭარაში., *ჭოროხი*, №2, ბათუმი.

მგელაძე 1982ა: Н. В. Мгеладзе. Из истории общественных отношений в Верхней Аджарии, *Очерки этнографии Аджарии,* Тбилиси.

მგელაძე 1982ბ: ნ. მგელაძე. ზემოაჭარული სოფლის გენეზისის საკითხისათვის (სოფ. აგარა), *„ჭოროხი“,* №2, ბათუმი.

მგელაძე 1983: ნ. მგელაძე. მთიულეთის 1983 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე-ეთნოგრაფიული დღიურები, დღიური №1, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პირადი არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1985: ნ. მგელაძე. ლეჩხუმის 1985 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საველე-ეთნოგრაფიული დღიურები, დღიური №3, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პირადი არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1986ა: ნ. მგელაძე. ბუნობის მნიშვნელობისათვის გურიის მთიანეთში (სურების ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა*, XIII, თბილისი.

მგელაძე 1986ბ: ნ. მგელაძე. ლეჩხუმის 1986 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, დღიური №3, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პირადი არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1987: ნ. მგელაძე. ფშავის 1987 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, დღიური №1, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პირადი არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1988ა: Н. В. Мгеладзе. *Система кровного родства в Аджарии (историко-этнографическое исследование),* Батуми.

მგელაძე 1988ბ: ნ. მგელაძე. დასახლების ფორმათა სტრატიგრაფიული მეთოდით შესწავლის საკითხისათვის. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის XIX რესპუბლიკური სესიის მოხსენებათა თეზისები,* ბათუმი.

მგელაძე 1988გ: ნ. მგელაძე. მთიულეთის წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, დღიური №1, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პირადი არქივი, ბათუმი.

მგელაძე 1988დ: ნ. მგელაძე. აფხაზი ხალხის სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან , „აბიფარა“, რეცენზია წიგნზე: ს. ოქრუაშვილი-ბახია. აფხაზური „აბიფარა“ – პატრონიმია, თბილისი, 1986, *მნათობი*, თბილისი.

მგელაძე 1988ე: ნ. მგელაძე. მატერიალური ურთიერთდახმარების ზოგიერთი საკითხი დასავლეთ საქართველოში – სამოხიო და ერისთაობა-შემწეობა. საქართველოს ეთნოგრაფთა XI რესპუბლიკური სესია, გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

მგელაძე 1989: ნ. მგელაძე. მესხთა აჭარაში მიგრაციის საკითხისათვის. *ეთნოგრაფიული გამოკვლევები*, თბილისი.

მგელაძე 1990: Н. В. Мгеладзе. Рецензия на книгу T. Dragadze. Rural families in Soviet Georgia (a case study in Ratcha). *Советская этнография*, Москва.

მგელაძე, მასანოვი 1996: ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი. სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები. *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში*, ბათუმი.

მგელაძე, მიქელაძე 1996: ნ. მგელაძე, ჯ. მიქელაძე. მასალები საცხოვრებელ კომპლექსსა და სოციალურ ურთიერთობათა საკითხებზე ბალსზემო სვანეთში. *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში,* ბათუმი.

მგელაძე, ფაღავა 1999: ნ. მგელაძე, მ. ფაღავა. მეგრული „სამოხიო“: ეტიმოლოგია და სოციალური მნიშვნელობა. *ქუთაისური საუბრები*, VI, სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

მგელაძე 2004: ნ. მგელაძე. *აჭარული ნოგრო და გვარი*, ბათუმი.

მგელაძე 2005: ნ. მგელაძე. ლაზური ოფუტე. *ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები*, IV, ბათუმი.

მგელაძე, ტუნაძე 2007: ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. საზოგადოებრივი ყოფის საკითხები აჭარაში. *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*, X, თბილისი.

მგელაძე 2009: ნ. მგელაძე. *დასახლების ფორმები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა (V საუკუნე-1877 წელი)*, ტ. II, ბათუმი.

მგელაძე, ტუნაძე 2010: ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. „ბეგების სასაფლაო“: ხიმშიაშვილთა ფეოდალური საგვარეულოს საძვალე დაბა ხულოში. – ეთნოლოგიური კრებული, II, თბილისი.

მგელაძე 2011: ნ. მგელაძე. ქართველი ხალხის ტრადიციული საზოგადოების სოციალური აგებულებისათვის (განზოგადებული კვლევის ცდა). *ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი*, პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში, II, ბათუმი.

მგელაძე, ვარშალომიძე, მიქელაძე 2017: ნ. მგელაძე. სარფი – ეთნოგრაფიული პორტრეტი. სარფი, ბათუმი, 2017 (კოლექტიური მონოგრაფია. თანაავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, ლილე თანდილავა, მამია ფაღავა, ომარ მემიშიში, მაია ბარამიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ზაზა შაშიკაძე, თინა შიოშვილი, ჯემალ კარალიძე, მანანა თავდგირიძე, ციალა ნარაკიძე, ჯემალ მიქელაძე.)

მგელაძე 2017: ნ. მგელაძე. დასახლების ფორმათა თავისებურებანი ტაოში *პარხლის ხეობაში. – ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული*, XI, ბათუმი.

მგელაძე 2018ა: ნ. მგელაძე. ტერმინ „აგარის“ ძველქართული მნიშვნელობისათვის ტაოში. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში* – III, ბათუმი.

მგელაძე 2018ბ: ნ. მგელაძე. *ქართული ტრადიციული საზოგადოების სოციალური არქიტექტონიკის თეორიული პრობლემები*, ბათუმი.

მგელაძე 2021: ბ. მგელაძე. *ხალხური მმართველობისა და ჩვეულებითი სამართლის ისტორია განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.* სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი.

მგელაძე, მიქელაძე 2025: ნ. მგელაძე, ჯ. მიქელაძე. *ტრადიციული კარ-მიდამო და საოჯახო-ნათესაურ ურთიერთობათა საკითხები სამეგრელოსა და იმერეთში (სამეგრელოსა და იმერეთის საველე-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით).* ხელნაწერი, ნუგზარ მგელაძის პირადი არქივი, ბათუმი.

მეგრელიძე 1938: И. Мегрелидзе. Лазский и мерельский слой в гурийском, Москва-Ленинград.

მელიქიშვილი 1951: გ. მელიქიშვილი. უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. *მიმომსილეელი.* ტ. II, თბილისი.

მელიქიშვილი 1984: Г. А. Меликишвили. К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев. *Вопросы древней истории*, т. 1, Москва.

ორბელიანი 1949: სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა*, თბილისი.

პანეკი 1939: Л. Б. Панек. Следы родового строя у мтиулов. СЭ, 2, Москва-Ленинград.

პანეკი 1946: Л. Б. Панек. Социальные отношения мтиулов. Краткие сообщения Института этнографии, Москва.

სურმავა 1983: ნ. სურმავა. სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში (ქედის რაიონის მასალების მიხედვით). *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა,* IV, თბილისი.

რადდე 1873: Г. И. Радде. Путешествие в мингрельских Альпах и в трех их верхних продольных долинах (Рион, Цхенис-цкали и Ингур). Записки Кавказского отдела русского географического обшества, кн. VII, Тифлис.

რობაქიძე 1958: А. Робакидзе. О формах поселения в Сванети. *Краткие сообщения Института этнографии, 39*, Москва.

რობაქიძე 1960: А. Робакидзе. Форма поселения в Балкарии. 1. Топография поселения. *Материалы по этнографии грузии,* Тбилиси.

რობაქიძე, მგელაძე 2005: ა. რობაქიძე, ვლ. მგელაძე. დასახლების ტოპოგრაფია და მორფოლოგია აჭარაში (1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციების ანგარიში). *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* VIII, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი.

რობაქიძე 1960: ა. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. *ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები,* I, ბათუმი.

რობაქიძე 1968: А. И. Робакидзе. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (связи с вопросом о соотношении патронимии, рода и семьи). *Советская этнография,* №5, Москва.

რობაქიძე 1982: А. И. Робакидзе. Традиционные формы поселения в Адажарии. – Очерки этнографии Аджарии, Тбилиси.

რობაქიძე, შამილაძე 1983: ა. რობაქიძე, ვ. შამილაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში კულტურის ელემენტების კლასიფიკაციისა და სამეურნეო-კულტურულ ტიპოლოგიასთან მისი მიმართების საკითხისათვის. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა,* X. თბილისი.

სახოკია 1950: თ. სახოკია. მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბილისი.

სოკოლოვი 1874: А. К. Соколов. Путешествие моё в Мегрелии с линии Кавказской, мое там у царя пребывание, с ним сношение и обратное оттуда путешествие в Грузию, Москва.

ქალდანი 1981: მ. ქალდანი. წარმომავლობის -არ სუფიქსის საკითხისათვის ქართველურ ენებში. – *ქართველური ენების სტრუქტურა*, V, თბილისი.

ქამადაძე 1978: მ. ქამადაძე. ზემოაჭარული მიკროტოპონიმიის წარმოების ზოგიერთი საკითხი. *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი.

ქამადაძე 1981: მ. ქამადაძე. სუფიქსური წარმოება ზემო აჭარის ტოპონიმიაში. *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა,* III, თბილისი.

ქამადაძე 1983: მ. ქამადაძე. ოდენპრეფიქსული წარმოება ზემო აჭარის ტოპონიმიაში. *ახალგაზრდა მეცნიერ ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია, მასალები,* თბილისი.

ქამადაძე 1986*:* მ. ქამადაძე. ურ სუფიქსი აჭარის ოიკონიმიაში. *VIII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია, თეზისები*, ცხინვალი.

ყამარაული 1929: А. Я. Камараули. Хевсуры (очерки), Тифлис.

ყაუხჩიშვილი 1955 (რედ.): *ქართლის ცხოვრება, ტ. 1,* თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1959 (რედ.): *ქართლის ცხოვრება, ტ. 2,* თბილისი.

ყიფშიძე, 1914: И. Кипшидзе. *Грамматика мегрельского (иверского) языка,* СПБ.

შამილაძე, 1979: В. М. Шамиладзе. *Хозяйственного-культурные и социально-экономические проблемы скотовостваГрузии, историко-этнографическое исследование*, Тбилиси.

შანიძე 1953: ა. შანიძე. *ქართული გრამატიკის საფუძვლები.* 1. მორფოლოგია, თბილისი.

ჩანტლაძე 1998: ი. ჩანტლაძე. ახალი კულტუროლოგიური კრებული ენათმეცნიერის თვალით. *ქართველური ონომასტიკა*, I, თბილისი.

ჩაჩაშვილი 1948: გ. ჩაჩაშვილი. *შატილის საფეხნო*, თბილისი.

ჩაჩაშვილი 1955: გ. ჩაჩაშვილი. ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში (შატილის საფეხნო). *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,* VII, თბილისი.

ჩიტაია 1953: გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, თბილისი.

ჩიქობავა 1942ა: ა. ჩიქობავა. *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,* თბილისი.

ჩიქობავა 1942ბ: ა. ჩიქობავა. *სახელთა ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*, თბილისი.

ჩიქოვანი 1974: გ. ჩიქოვანი. ნიხასის როლი ოსთა საზოგადოებრივ ყოფაში ნართული ეპოსის მიხედვით. *საისტორიო კრებული*, IV, თბილისი.

ჩიქოვანი 1979: Г. Д. Чиковани. Осетинский нихас. Кавказский этнографический сборник, т. V, 2, Тбилиси.

ჩუბინაშვილი 1961: ნ. ჩუბინაშვილი. *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ*, თბილისი.

ცაგარელი 1880: А. Цагарели. Мингрельские этюды, Вып. I. *Мингрельские тексты с переводами и объяснениями.* Вып. П. Опыт фонетики мингрельского языка, СПб.

ცხადაია 1985: პ. ცხადაია. *მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია. ენათმეცნიერული ანალიზი,* თბილისი.

ცხადაია 2000: პ. ცხადაია. *გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში,* თბილისი.

ძიძიგური 1970: შ. ძიძიგური. *ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი,* მეორე გამოცემა, თბილისი.

წულაია 1991: Г. В. Цулая. Из истории грузинской антропонимии. *Советская этнография*, №3, Москва.

ხარაძე 1958: Р. Л. Харадзе. К вопросу о территориально-общинных объединениях у грузин-горцев. – *Краткие сообщения Института этнографии*, т.29, Тбилиси.

ხარაძე 1961: Р. Л. Харадзе. *Грузинская семейная община*, т. 2, Тбилиси.

ხარაძე 1962: Р. Л. Харадзе. Проблема неразделенной семьи по грузинским этнографическим данным. – *Краткие сообщения Института этнографии*, т. 36, Тбилиси.

ხარაძე, რობაქიძე 1964: რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. *მთიულეთის სოფელი ძველად*, თბილისი.

ხარაძე, რობაქიძე 1964: რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. *სვანეთის სოფელი ძველად,* თბილისი.

ხორნაული 1973: გ. ხორნაული. -ურ სუფიქსის ფუნქციისათვის მთიულეთის ტოპონიმთა მიხედვით. *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, №3.

ჯავახიშვილი 1928: ი . ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი 2, თბილისი.

ჯავახიშვილი 1930: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიური ისტორია,* ტომი 1, თბილისი.

ჯავახიშვილი 1937: ი. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, *ქართველი ერის ისტორიის შესავალი*, თბილისი.

ჯავახიშვილი 1948: ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი II, თბილისი.

ჯანაშვილი 1906: მ. ჯანაშვილი. *ქართული გრამატიკა*, ტფილისი.

ჯანაშია 1949: ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, *შრომები,* I, თბილისი.

ჯანაშია 1959ა: ს. ჯანაშია. -ურ და -იურ ბოლოსართთა ხმარებისათვის ნასესხებ სიტყვებში. *შრომები*, III, თბილისი.

ჯანაშია 1959ბ: ს. ჯანაშია. მრავლობითობის რიცხვის -თა/თ- სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. *შრომები*, III, თბილისი.

ჯანაშია 1959გ: ს. ჯანაშია. ხეთების ისტორიისა და ენის საკითხისათვის. *შრომები*, III, თბილისი.

ჯანაშია 1959დ: ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, *შრომები*, III, თბილისი.

ჯორბენაძე და *სხვები*: ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე. *ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის,* თბილისი.

SETTLEMENT FORMS AND LOCAL GROUPS IN THE SOCIAL STRUCTURE OF TRADITIONAL GEORGIAN SOCIETY

Nugzar Mgeladze
Batumi Shota Rustaveli State University
nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

In the past, the smallest socio-territorial unit in Georgia was the *out-building complex*, which formed part of larger structural unions such as districts, villages, territorial communities, and networks of territorial communities. The nomenclature of these units corresponded to various taxonomic levels within the social organization. The *household (housekeeping unit)* was the minimal local group, typically corresponding to individual communities. A *medial local group* corresponded to a district or village, while a *maximal local group* represented a territorial unit based on networks of villages.

Within minimal household groups, nuclear families were typically represented, whereas extended (large) household communities consisted of multiple nuclear families connected through joint economic activities and partly sharing common community space. The medial local group included various households whose heads or patriarchs were related, lived in close proximity, and shared common economic interests.

Patronymic organization, grounded in the kinship system, initially functioned within the extended household. Within such households, the smallest genealogical unit was the *minimal lineage*, generally comprising relatives spanning two to four generations. The *medial local group* encompassed a *medial lineage* – a second-order genealogical segment including kin across four to twelve generations. At the highest level, the *maximal local association* corresponded to the *maximal lineage,* typically defined by shared surnames. The aggregation of these surnames formed a clan structure, which, geographically, was usually concentrated within a specific territorial unit. In some cases, however, it extended across multiple territorial units, forming an integrated system of patronymic organization.

რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკ ვლადიმერ სარჩიმელიას ბიოგრაფია და მისი მოგონებები პირველი მსოფლიო ომის შესახებ

ლადო მირიანაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
lado_miriani@yahoo.com

ყოფილ საბჭოთა კავშირში, და შემდეგაც, პირველი მსოფლიო ომის შესახებ ცოტა რამ თუ დაწერილა. ეს, როგორც ჩანს, იმან განაპირობა, რომ ბოლშევიკურ რუსეთსა და შემდგომ უკვე საბჭოთა კავშირში, ისტორიკოსები მეფის რუსეთის მიერ წარმოებული ომების კვლევას საჭიროდ არ მიიჩნევდნენ, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ძალიან ცოტა რამ ვიცით პირველ მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველების შესახებაც. რამდენიმე ათეული გამონაკლისი ამინდს არ ცვლის. გადაუმოწმებელი ცნობების მიხედვით, პირველ მსოფლიო ომში 150,000-დან 250,000-მდე ქართველი იბრძოდა. ზოგიერთი ავტორის ვარაუდით, ქართველი მეომრების რაოდენობა 285 ათასს აჭარბებდა (გოგიტიძე, მიხაილოვი 2020: 4). მათ შორის იყო 102 გენერალი და ათასობით ოფიცერი. უმრავლესობის გვარები უცნობია. საგულისხმოა, რომ პირველი მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველების ვინაობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტს ნაწილობრივ ავსებს იმ დროს გამომავალი ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“: 1914-1917 წლებში ჟურნალი აქვეყნებდა ომში დაჭრილი და დაღუპული ქართველების გვარებსა და ფოტოებს, იშვიათად მოკლე ბიოგრაფიული ცნობების თანხლებით. მაგრამ ეს ზღვაში მხოლოდ წვეთია: პირველი მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველი მეომრების შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. მწირია ცნობები ამ ომის მიმდინარეობის დეტალების შესახებაც.

წინამდებარე სტატიის ამოცანა ამ კუთხით არსებული ხარვეზის ნაწილობრივი შევსებაა. სტატიაში შესწავლილია პირველ მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველი ოფიცრის, ვლადიმერ სიმონის ძე სარჩიმელიას ბიოგრაფია და განხილულია მისი მეთაურობით განხორციელებული, კონკრეტული საბრძოლო ოპერაცია. იმ ცნობების ძირითადი წყარო, რასაც სტატიაში ვიყენებ, ვ. სარჩიმელიას გამოუქვეყნებელი, საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და ერთ წიგნად აკინძული მოგონებებია, რომელიც თბილისელი ბუკინისტისგან რამდენიმე წლის წინ შევიძინე. „მოგონებები“ რუსულადაა დაწერილი. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ნაშრომი პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე მებრძოლი ქართველი პოლკოვნიკის მიერაა დაწერილი, რომელიც აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველია, „მოგონებების“ მნიშვნელობა პირველი მსოფლიო ომის ისტორიისთვის საკმაოდ დიდია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტექსტმა ჩვენამდე, სავარაუდოდ, ერთადერთი ასლის სახით მოაღწია, მისი მნიშვნელობა იზრდება.

„მოგონებების“ დაწერის თარიღად 1933 წელია მითითებული. უშუალოდ „მოგონებების“ ტექსტი 219 გვერდიანია. წიგნის ბოლოში ჩაკინძულია ვ. სარჩიმელიას 1932 წლით დათარიღებული სტატია, რომლის სათაურია „სამეცნიერო-ფილოსოფიური გამოკვლევა – აზროვნება, შეხედულებები და დასკვნები სამყაროსა და მისი ფუნქციის შესახებ“ (სარჩიმელია 1933, 1-13), აგრეთვე მეორე სტატია, რომელიც ასევე 1932 წლითაა დათარიღებული: „ბუნების კანონით დაწესებული სანქციები მსოფლიოს საბოლოო ნავსაყუდლისკენ მიაქანებენ“ (სარჩიმელია 1933: 13-31).

„მოგონებებსა“ და იმ ცნობებზე დაყრდნობით, რომლების დაძებნაც მოვახერხე, ვ. სარჩიმელიას ბიოგრაფია შემდეგი სახით აღვადგინე:

ვლადიმერ სიმონის ძე სარჩიმელია დაიბადა 1869 წლის 28 აგვისტოს (კაპიტნების სია 1913, 1120) სოფელ ორპირში (იმერეთი) (სარჩიმელია 1933: 4). იგი ჯერ სენაკის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი – ქუთაისის გიმნაზიაში (სარჩიმელია 1933: 9-10). ვლადიმერს გიმნაზია არ დაუმთავრებია, რადგან მამამ ფინანსური დახმარება შეუწყვიტა, დედამ კი ქმრისგან მალულად შვილის დაფინანსება მხოლოდ მე-6 კლასამდე შესძლო (სარჩიმელია 1933: 11). ვ. სარჩიმელია ქუთაისიდან მარტვილში, დეიდასთან გადავიდა და იქ ძმები გეგეჭკორებიდან ერთ-ერთი ძმის სახლში დაბინავდა. დეიდამ ვლადიმერი სასამართლოში „მწერლად“ მოაწყო (სარჩიმელია 1933, 11). მამას შვილის ახალი საქმიანობა მოსწონდა, თავად ვლადიმერს კი არა. ამიტომ, სიმწიფის ატესტატის ასაღები გამოცდების ჩაბარება გადაწყვიტა. ორ წელიწადში დასძლია ის კურსი, რომელსაც მისი თანატოლები უფრო მეტ დროს ანდომებდნენ და გამოცდების ჩასაბარებლად მამის ფინანსური დახმარების გარეშე გაემგზავრა (სარჩიმელია 1933, 12). იგი შეიფარა იმხანად შავი ზღვის პოლკის პორუჩიკმა ქავთარაძემ, შემდგომში ისინი დამოყვრდნენ: ვ. სარჩიმელიამ ამ პორუჩიკის და შეირთო ცოლად (სარჩიმელია 1933: 12). სამი თვის თავდაუზოგავი მეცადინეობის წყალობით, ვ. სარჩიმელიამ ყველა საგანი წარმატებით ჩააბარა და ატესტატი აიღო (სარჩიმელია 1933: 13). ვლადიმერს უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად ფული არ ჰქონდა (სარჩიმელია 1933: 23). გიმნაზიელმა ამხანაგმა მიხაილოვმა, რომლის ძმა ახალციხეში ტამანის 150-ე ქვეითთა პოლკის კაპიტანი იყო, ვლადიმერს მისი ძმის პოლკში მოხალისედ (вольноопределяющийся)[1] ჩაწერა შესთავაზა: „ახალციხეში ჩემ ძმასთან გავემგზავროთ. იგი პოლკში მოხალისედ ჩაწერაში დაგვეხმარება, სადაც სახაზინო კმაყოფაზე ვიქნებით. სამ-ოთხ წელიწადში სამხედრო სასწავლებელს დავამთავრებთ, რის შემდეგ ოფიცრის წოდებას მოგვცემენ და მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიქნებით“ (სარჩიმელია 1933: 24). ამ შეთავაზებას ვლადიმერი დათანხმდა, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. 1889 წლის 31 დეკემბერს (ოფიციალური ცნობით 30 დეკემბერს – იხ. ქვემოთ) გამოცემული ბრძანებით, ორი გიმნაზიელი ამხანაგი ტამანის პოლკში ჩარიცხეს (სარჩიმელია 1933, 24). 1890 წლის სექტემბრამდე ისინი ასეულში ირიცხებოდნენ და სამხედრო მომზადებას გადიოდნენ, სექტემბრის თვეში კი სასწავლო ჯგუფში ჩარიცხეს. ამ ჯგუფის თვრამეტი კეთილშობილი წარმოშობის ვაჟი (რომლებსაც მეტსახელად „ბატონკაცებს“ ეძახდნენ) ერთ ოთახში მოათავსეს (სარჩიმელია 1933: 24). ვ. სარჩიმელიას თქმით, „ბატონკაცები“ ერთმანეთს ისე უშვერად აგინებდნენ, რომ მეგრელები ამგვარი ქცევისთვის შეურაცხმყოფს აუცილებლად ხანჯლით აკუწავდნენ, ანდა სულაც ტყვიას დაახლიდნენ (სარჩიმელია 1933: 25). არსებული დაძაბული გარემოთი უკმაყოფილო ვ. სარჩიმელიამ სამხედრო მეთაურს ჯარისკაცების ყაზარმაში გადაყვანის თხოვნით მიმართა (მით უფრო, რომ თვითონაც გლეხური წარმომავლობისა იყო[2] (სარჩიმელია 1933: 71). ეს თხოვნა ვლადიმერს დაუკმაყოფილეს.

1892 წლის სექტემბერში, თვრამეტი მოხალისე ტფილისში, იუნკერთა სასწავლებელში გაგზავნეს (სარჩიმელია 1933: 30). გამოცდების ჩაბარების შემდეგ, თვრამეტიდან თორმეტ კანდიდატი სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა. მათ შორის იყო ვ. სარჩიმელიაც. ვლადიმერი აღწერს იუნკერთა სასწავლებელში გამეფებულ არაჯანსაღ ატმოსფეროს. მისი თქმით „ეს იყო არა განათლების, არამედ დისციპლინის, დესპოტიზმისა და უფროსობის თვითნებობის კერა“ (სარჩიმელია 1933: 34). ვ. სარჩიმელია ფიზიკაში მიღებული დაბალი ნიშნის (ერთიანის) გამო, რომლის გამოსწორება წლის ბოლომდე ვერ მოახერხა, პირველ კურსზე ჩარჩა. მან სასწავლებელში ყოფნის მეორე წელს კიდევ ერთ სამხედრო წვრთნაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც სურამში გაიარეს. ვლადიმერი, როგორც კურსის სხვებზე ხანგრძლივად მსმენელი (მეორე წლით ჩარჩენის გამო), იუნკრების ახალი ნაკადის „მასწავლებლად“ (ანუ უფროსად) აირჩიეს.

ვ. სარჩიმელიამ თბილისის იუნკერთა სასწავლებელი წარჩინებით – 12 ქულითა და პირველი თანრიგით დაამთავრა. ამის გათვალისწინებით, მას უფლება ჰქონდა კავკასიაში მისთვის სასურველი პირველივე ვაკანსია დაეკავებინა. ვლადიმერმა სამხედრო სამსახურის დაწყება ქუთაისში დისლოცირებულ დანაყოფში გადაწყვიტა. მოგვიანებით, იგი ქუთაისიდან დერბენდის 154-ე ქვეით პოლკში გადაიყვანეს, რომელიც ყარსის ოლქში, ქალაქ ყაღიზმანში იყო დისლოცირებული. ყაღიზმანში გადასვლამდე, ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნისას, ვლადიმერმა ქავთარაძის ქალზე იქორწინა. ახლადდაქორწინებულები ოსმალეთში ერთად გაემგზავრნენ (სარჩიმელია 1933: 45).

1913 წელს გამოცემული სამხედრო ცნობარის თანახმად, ვ. სარჩიმელიას სამხედრო კარიერული წინსვლა შემდეგია: სამხედრო სამსახური დაიწყო 1889 წლის 30 დეკემბერს, 20 წლის ასაკში; პოდპორუჩიკი – 1895 წლის 1 სექტემბრიდან, პორუჩიკი – 1899 წლის 1 სექტემბრიდან, შტაბს-კაპიტანი – 1903 წლის 1 სექტემბრიდან (კაპიტნების სია 1913, 1120). ზემორე სია 1912 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობითაა შედგენილი. მიუხედავად ამისა, სიაში რატომღაც არ არის ასახული 1911 წლის 4 ივნისს ვ. სარჩიმელიასთვის, ნამსახურეობის წლების გათვალისწინებით, კაპიტნის წოდების მინიჭების ფაქტი (გაზეთი კავკაზი 1911: 2). იმ დროს იგი კვლავ დერბენდის 154-ე ქვეით პოლკში ირიცხებოდა.

1933 წელს დაწერილი „მოგონებების“ შესავალში და შიგადაშიგ ტექსტში ვ. სარჩიმელია ახსენებს, რომ იგი „მეფის ჯარის პოლკოვნიკი იყო“ (სარჩიმელია 1933, 1). თუ რომელ წელს მიიღო მან ეს წოდება, დოკუმენტურად არ იძებნება, თუმცა, მისი „მოგონებებიდან“ ჩანს, რომ 1917 წელს ვ. სარჩიმელია უკვე პოლკოვნიკის წოდებით იბრძოდა. არ გამოვრიცხავ, რომ მან პოლკოვნიკის წოდება, პოდპოლკოვნიკობის საფეხურის გამოტოვებით, ომის დროს გამოჩენილი გმირობისთვის მიიღო.

1918 წელს, მას შემდეგ რაც საქართველოს ხელისუფლებაში მენშევიკების მოსვლამ იმედები გაუცრუვა, ვ. სარჩიმელიამ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და სოფელში გადასახლდა, სადაც სრული 12 წელი გაატარა (სარჩიმელია 1933: 60).

ვ. სარჩიმელია დაჯილდოვებული იყო წმ. ანას მეორე ხარისხის ორდენითა (კაპიტნების სია 1913, 1120; სარჩიმელია 1933:115) და სამეფო სიგელით (როგორც საუკეთესო მსროლელი).

ვ. სარჩიმელია დაოჯახებული იყო სიმონ ქავთარაძის ქალზე – ელენეზე (სარჩიმელია 1933, 196), რომლისგანაც ჰყავდა სამი შვილი – ნიკოლოზი, ლარისა და გიორგი (სარჩიმელია 1933: 196; 48, 177). ვ. სარჩიმელია შვილების შესახებ ზოგადად წერს, რომ ისინი გარუსდნენ და ახლა რუსეთში ცხოვრობენ და მუშაობენო. 1917 წელს განვითარებული მოვლენების აღწერიდან ჩანს, რომ იმ დროისთვის ვლადიმერის ოჯახი ალექსანდროპოლში, ახლანდელ გიუმრში (სომხეთი) ცხოვრობდა (სარჩიმელია 1933: 48, 196). ვ. სარჩიმელია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ასაკში მყოფს მხარში ედგნენ თავის დროზე სოფლიდან თუ ქუთაისიდან მის მიერ წამოყვანილი გლეხის ბავშვები, სულ შვიდი ახალგაზრდა, რომლებსაც ქველმოქმედება გაუწია და აღზარდა (სარჩიმელია 1933: 48-49).

ვლადიმერის შვილებიდან მხოლოდ ერთის კვალს მივაგენი: ესაა ნიკოლოზ სარჩიმელია. 1924 წელს იგი სევასტოპოლის მახლობლად მდებარე კაჩის საავიაციო სკოლაში, შემდეგ კი სამხედრო მფრინავების მოსკოვის უმაღლეს სკოლაში სწავლობდა, რომელიც 1925 წლის 18 თებერვალს დაამთავრა (კრებული 2018: 18). 1925-1926 წლებში, ნ. სარჩიმელია შორეულ აღმოსავლეთში, ე.წ. „შორეული აღმოსავლეთის ულტიმატუმის“ მე-10 რაზმის მეთაურად მსახურობდა, რომელიც სპასკ-პრიმორსკიში (ამჟამინდელი სპასკ-დალნი) იყო ბაზირებული. 1926 წელს ნ. სარჩიმელია იქვე, მაგრამ ამჯერად მე-19 რაზმში მსახურობს. ორივე შემთხვევაში იგი მზვერავი-მფრინავი იყო. 1920-იანი წლების ბოლოს ნ. სარჩიმელიამ, შესაძლოა, ვორონეჟში დისლოცირებულ საავიაციო შენაერთში გააგრძელა სამსა-

ხური (კრებული 2018:18). სავარაუდოდ, 1931 წლის გაზაფხულზე ვ. სარჩიმელია დააპატიმრეს. მას და კიდევ ერთ სამხედრო მფრინავს – ტიმაშევს ბრალად თვითმფრინავით კრემლის დაბომბვის მომზადება წაუყენეს და ბუტირკის ციხეში გაუშვეს. ვ. სარჩიმელია, ტიმაშევთან ერთად, ბუტირკის ციხიდან ციმბირის ერთ-ერთ ბანაკში გადაიყვანეს, რომელიც ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალის სადგურ ტაიგასთან მდებარეობდა (კრებული 2018: 20). თუ რა ბედი ეწია ნიკოლოზ სარჩიმელიას ამის შემდგომ, უცნობია.

ახლა, რაც შეეხება თავად „მოგონებებს“. ის პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს ასახავს. „მოგონებები“ საინტერესოა არა მხოლოდ სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით, რამეთუ ვ. სარჩიმელია საომარი მოქმედებების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი იყო, არამედ იმითაც, რომ იგი არ ერიდება რუსეთის არმიის მეთაურების მიერ დაშვებული შეცდომების წარმოჩენასა და მათ ავ-კარგზე მსჯელობას. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ვ. სარჩიმელიას „მოგონებებში“ არის ცალკეული უზუსტობები და შეცდომები, თუმცა ეს ძირითადად იმ მოვლენებს შეეხება, რომელთა უშუალო მონაწილე ვლადიმერი არ ყოფილა და მათ შესახებ სხვისი მონათხრობიდან იცის, მით უფრო თუ აღწერილი ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. ასეთია, მაგალითად, მის მიერ მოთხრობილი ისტორია თუ როგორ მოკლა თავადმა დადეშქელიანმა ქუთაისის გუბერნატორი – გენერალი ნ. კოლიუბაკინი და მისი თანმხლები პირები, როცა ისინი თავადის „ნებაყოფლობით“ გასახლებაზე დაყოლიებას შეეცადნენ (სარჩიმელია 1933: 38-40). ეს ამბავი სხვადასხვა წყაროდან კარგადაა ცნობილი, ოღონდ ვ. სარჩიმელიას ვერსიისგან განსხვავებული სახით: თავადმა კონსტანტინე დადეშქელიანმა 1857 წელს მოკლა არა გენერალი ნ. კოლიუბაკინი,[3] არამედ ქუთაისის სხვა გუბერნატორი, კერძოდ თავადი ალექსანდრე გაგარინი. სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კ. დადეშქელიანი დახვრიტეს, მაშინ როცა ვ. სარჩიმელიას ცნობით კ. დადეშქელიანმა საკუთარი თავი პირად მცველებს მოაკვლევინა, რათა რუსებს ხელში არ ჩავარდნოდა. ტექსტში ზოგიერთი სამხედრო ოპერაციის თარიღი შეცდომითაა მითითებული. უცნაურია, რომ ვ. სარჩიმელიას არ ახსოვს იმ გენერლის გვარი, რომელმაც სოფ. პუსიდერეს აღება პირადად უბრძანა. ვვარაუდობ, რომ ვ. სარჩიმელია თავის მოგონებებში მოთხრობილი ეპიზოდების სამუშაო ჩანაწერებს არ აკეთებდა და ტექსტი ერთიანად, 30-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ იმაზე დაყრდნობით დაწერა, რაც ახსოვდა: ფაქტების გადასამოწმებლად წერილობითი წყაროები მას არ გამოუყენებია. ამის გათვალისწინებით, ვ. სარჩიმელიას „მოგონებებში“ გადმოცემული მოვლენების ანალიზი გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს.

ვ. სარჩიმელიას „მოგონებებზე“ დაყრდნობით შევეცდები აღვადგინო ერზრუმზე იერიშის მომზადების ფარგლებში, 1916 წლის იანვარში სოფ. პუსიდერესთვის გამართული ბრძოლის პერიპეტიები. კონკრეტულად ეს ბრძოლა იმ ნიშნით შევარჩიე, რომ ჩვენში და რუსეთში გამოქვეყნებულ სამხედრო ლიტერატურაში მის შესახებ ცნობები საერთოდ არაა დაცული. მიზეზი კი ისაა, რომ პუსიდერესთვის ბრძოლა რუსებისთვის წარუმატებლად დამთავრდა. როგორც ვ. სარჩიმელია იგონებს, ეს იყო 39-ე ქვეითთა დივიზიის ახლადდანიშნული მეთაურის მიერ ჩატარებული პირველი სამხედრო ოპერაცია. ვ. სარჩიმელია მეთაურის გვარს ვერ იხსენებს. შესაბამისი პერიოდის დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დავადგინე, რომ საუბარია გენერალ-ლეიტენანტ ფიოდორ ტროფიმის ძე რიაბინკინზე.[4] ვ. სარჩიმელიას მონაყოლით, ახალ მეთაურს თავის ადიუტანტებთან ერთად სამხედრო რუკაზე მუშაობის დროს სოფელ პუსიდერეს დაკავება გადაუწყვეტია. სოფელზე შეტევის ხელმძღვანელობა პოლკოვნიკ ტ. ვაშაკიძისთვის შეუთავაზებია (სარჩიმელია 1933: 140). სარჩიმელია გადმოგვცემს გენერალსა და პოლკოვნიკ ტ. ვაშაკიძეს შორის 1916 წლის 13 იანვარს გამართული სატელეფონო საუბრის შინაარსს (სარჩიმელია 1933, 141). სამხედრო საქმის კარგად მცოდნე პოლკოვნიკს სოფელ პუსიდერეს აღების გეგმა მიზანშეუწონლად

მიუჩნევია და ამ შეტევის ხელმძღვანელობაზე უარი უთქვამს (სარჩიმელია 1933, 141). შემდგომ, გენერალს იმავე წინადადებით პოლკოვნიკ სოლომკოსთვისაც მიუმართავს, მაგრამ მასაც ოპერაციის ხელმძღვანელობაზე უარი უთქვამს. სრულიად გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება, რომ ომის მიმდინარეობისას დივიზიის მეთაურმა თავის ოფიცრებს საბრძოლო ამოცანის შესრულება კი არ უბრძანოს, არამედ უბრალოდ შესთავაზოს და მისცეს შესაძლებლობა, რომ ოპერაციის ხელმძღვანელობა საკუთარი სურვილისამებრ იტვირთონ ან არ იტვირთონ. როგორც ჩანს, სამხედრო მეთაურების მიერ პუსიდერეს აღების ოპერაციის ხელმძღვანელობაზე უარის თქმის ამბავი ვ. სარჩიმელიას მიერაა მოგონილი და იმ ერთადერთ მიზანს ემსახურება, რომ ზემონახსენები მიმართულებით მისი მეთაურობით განხორციელებული ოპერაციის წარუმატებლობა გარდაუვალ რეალობად წარმოაჩინოს და ამით საკუთარი შეცდომები გაამართლოს.

სამხედრო ოპერაცია შემდეგნაირად წარიმართა. სოფელ პუსიდერესთან ახლოს სამი რუსული ბატალიონი იყო განლაგებული. მათგან ორი ბატალიონის ხელმძღვანელობა, მეთაურების ავადმყოფობის გამო, დროებით ვ. სარჩიმელიასა და კაპიტან გოლცს ჰქონდათ მინდობილი. გენერალ-მაიორ ფ. რიაბინკინს პუსიდერეს აღება სწორედ მათთვის უბრძანებია. ბრძანების თანახმად, შეტევა 13 იანვრის ღამით უნდა დაეწყოთ. ტერიტორიის წინასწარი რეკოგნოსცირება თავად ვ. სარჩიმელიასა და გოლცს მოუხდენიათ. პოზიციაზე დაბრუნების შემდეგ, მათ ღამის 3 საათზე შეტევის დაწყების ბრძანება გაუციათ (სარჩიმელია 1933: 143).

ვ. სარჩიმელია ოპერაციას შემდეგნაირად აღწერს:

> ღამის 3 საათია. 30^0 ყინვა და ნისლიანი ამინდია. ფეხქვეშ თეთრი თოვლის გარჩევაც კი შეუძლებელია. ორმა ბატალიონმა სარეზერვო წყობით წინსვლა დაიწყო. ერზრუმის გზატკეცილამდე მშვიდობით მივედით, შემდეგ კი ალაჰმა უწყოდა საით უნდა წავსულიყავით. იმის გამო, რომ „მაქსიმის“ ტიპის ტყვიამფრმქვევების თან წაღება ცხენებით არ შეგვეძლო (უგზოობის გამო) და არც მათი ხელით ტარება იყო შესაძლებელი, ტყვიამფრქვევები სოფ. კურუჯუხში გავაგზავნეთ, რომელიც ჰასან-ყალას ცხრა ვერსითაა დაშორებული, და მეტყვიამფრქვევეებს ვუბრძანეთ, რომ ხვალისთვის მაინც შემოგვერთებოდნენ. მივდიოდით შესვენებებით. შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, თუ სად ვიმყოფებოდით. ირიჟრაჟა, თუმცა ნისლი მიდამოს დანახვის საშუალებას არ გვაძლევდა. მოგვიანებით, ნისლი ოდნავ გაიფანტა, თუმცა პუსიდერე არსად ჩანდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, პუსიდერე მარცხნივ და უკან მოგვიტოვებია და ახლა პუსიდერესა და ჩივტლიკს შორის არსებული დერეფნის გავლით პირდაპირ ფორტ დალანღეზის მიმართულებით მივდიოდით (სარჩიმელია 1933, 144).

ჩემი აზრით, ღამის მარშის დროს ვ. სარჩიმელიამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. კერძოდ, დაკმაყოფილდა რა წინასწარი რეკოგნოსცირების შედეგებით, უშუალოდ მარშის დროს ბატალიონიდან წინმსრბოლად არ გაუგზავნია არც სადაზვერვო რაზმი და არც ტოპოგრაფი. ეს კი ღამისა და ხშირი ნისლის პირობებში, თანაც იმ დროს, როცა ღამის ხედვის მოწყობილობები ჯერ კიდევ არ არსებობდა, დიდი შეცდომა იყო, რამაც თავი იჩინა კიდეც.

ნისლის გაფანტვის შემდეგ, ოსმალებმა რუსების წინსვლა შეამჩნიეს და ფორტიდან მათ წინააღმდეგ ოთხი ბატალიონი გამოგზავნეს, ხოლო რუსული ბატალიონების ზურგში მოქცეული პუსიდერედან კანტიკუნტად ცეცხლი გაუხსნეს. ორი რუსული ბატალიონი ხაფანგში აღმოჩნდა. სროლის დაწყებისთანავე კაპიტანი გოლცი დაიჭრა, ამიტომ ვ. სარჩიმელიას ორივე ბატალიონის მეთაურობის საკუთარ თავზე აღება მოუწია. მან გოლცის ბატალიონს ზურგის მიმართულებით გადაადგილება, შემდეგ საბრძოლო წყობის მიღება და სოფელ პუსიდერეზე შეტევის მიტანა უბრძანა (სარჩიმელია 1933: 145). ბატალიონმა ამოც-

ანა შეასრულა, სოფელთან მდებარე მაღლობი დაიკავა და იქიდან საარტილერიო ცეცხლი გახსნა. ამან წინა ხაზზე მყოფი ბატალიონის უკანდახევა გააადვილა, თუმცა მდგომარეობა კვლავ რთული რჩებოდა: ოსმალები ჯიუტად წინ მოიწევდნენ. ვ. სარჩიმელიას თქმით, ოსმალების არტილერიას ფორტებიდან ცეცხლი რომ გაეხსნა, მათ ერთიანად ამოხოცავდა (სარჩიმელია 1933: 145). მათდა საბედნიეროდ, რუსებს ნისლი შველოდა, რომელმაც ქვემოდან ზემოთ გადაინაცვლა და ამიტომ მიწის პირას ხილვადობა ნორმალური იყო, ოდნავ ზემოთ კი არაფერი ჩანდა.

რუსული ბატალიონების მძიმე მდგომარეობა გუნიბის პოლკის ტყვიამფრქვევების დანაყოფის მეთაურმა, პორუჩიკმა ორლოვმა შეამჩნია. მისი ყურადღება ოსმალების მიერ გახსნილმა საარტილერიო ცეცხლმა მიიპყრო. ორლოვმა დაიცადა, სანამ ოსმალების ბატალიონები, რომლებიც რუსებს უკან მისდევდნენ, ხედვის არეში მოექცეოდნენ და მათი გამოჩენისთანავე ოთხი ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნა (სარჩიმელია 1933, 146). შედეგად, ოსმალების რიგები შეთხელდა, რის შემდეგ ისინი უკუიქცნენ. ვ. სარჩიმელიას ბატალიონმა გორაკამდე მიაღწია. მწყობრში ვლადიმერის გარდა სხვა ოფიცერი არ დარჩენილა: ზოგი დაიღუპა, ზოგიც დაიჭრა. ვ. სარჩიმელიას ადიუტანტად რიგითი ჯარისკაცის აყვანა მოუწია. ბრძოლის ველიდან დაჭრილი და დაღუპული მებრძოლების გაყვანა დაიწყეს. შექმნილი მდგომარეობის შესახებ შტაბს ინფორმაციას ვერ აწვდიდნენ, რადგან მასთან სატელეფონო კავშირი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამყარებული. ორლოვის ტყვიამფრქვევების დანაყოფიც აღარ ისროდა, რადგან, სავარაუდოდ, ვაზნები გაუთავდათ.

დადგა თუ არა 14 იანვრის დილის ათი საათი, ვ. სარჩიმელიას ბატალიონს ერთდროულად ყველა ოსმალური ფორტიდან საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. ჯამში სულ ორმოცი ზარბაზანი ისროდა. თორმეტი საათიდან, დამატებით, დიდი კალიბრის ჭურვების სროლა ფორტ აზიზიეში განლაგებული ორი გერმანული მძიმე ქვემეხიდან დაიწყეს. სარჩიმელია ჭურვების ნაცვლად ჟარგონულ ტერმინს – „ჩემოდნებს“ ხმარობს[5] (სარჩიმელია 1933: 147). 15 საათამდე ოსმალებმა ათი შეტევა განახორციელეს. რუსებმა ათივე მოიგერიეს. მეათე შეტევის დროს, ოსმალების ერთმა ბატალიონმა რუსების პოზიციების მარჯვენა ფლანგის მხრიდან შემოვლის გზით სცადა იერიშის მიტანა. ეს როტმისტრმა ჩახავამ შეამჩნია, რომელიც დონის კაზაკების ასეულთან ერთად სოფელ კურჯუხში იყო გამაგრებული. მან დონის კაზაკების ასეული, საკუთარი ინიციატივით, მარჯვენა ფლანგის მიმართულებით გააჭენა. ცხენებზე ამხედრებულმა კაზაკებმა პოზიციის ხაზს წარმატებით მიაღწიეს, იქ ჩამოქვეითდნენ და მოწინააღმდეგეს ცეცხლი გაუხსნეს (სარჩიმელია 1933: 148). მიმდინარე ოპერაციის თვალის მისადევნებლად ვ. სარჩიმელია თავშესაფრიდან, რომლის ფუნქციას კლდის ნაპრალი ასრულებდა, ღია სივრცეში გავიდა. გარეთ გასულ ვ. სარჩიმელიას ოსმალოების მიერ ნასროლმა ერთმა „ჩემოდანმა“ (ე. ი. მსხვილკალიბრიანმა ყუმბარამ) თავს ზემოთ გადაუფრინა, ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მოშორებით აფეთქდა და ნამსხვრევმა იგი თავში დაჭრა (სარჩიმელია 1933: 149). დაჭრილი და კონტუზირებული მეთაური თავშესაფარში გადაიყვანეს. ამასობაში, გამოჩნდა კავშირგაბმულობის დანაყოფის ჯარისკაცი, რომელიც სატელეფონო ხაზის გაყვანაზე გამთენიიდან ამ დრომდე მუშაობდა. მას ხელში ტელეფონის ყურმილი ეჭირა. სატელეფონო ხაზის მეორე მხარეს გენერალ-მაიორი ფ. რიაბინკინი იყო, რომელსაც შექმნილი ვითარების გაცნობა სურდა. ვ. სარჩიმელიამ ადიუტანტის პირით გენერალს იქით დაუსვა კითხვა, თუ რატომ არ უგზავნიდნენ დამხმარე ძალას და რატომ არ წაიწია წინ რუსულმა არტილერიამ, რათა მოწინააღმდეგის მიმართულებით ცეცხლი გაეხსნა. პასუხი იყო, რომ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მათ დახმარებას ვერ გაუწევდნენ. საუბრის დასასრულ, დაჭრილმა ვ. სარჩიმელიამ ღამით უკანდახევის ბრძანება მიიღო (სარჩიმელია 1933: 150). საღამოს ხუთი საათისთვის ოსმალოები შეტევაზე გადმოვიდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ, მათ ბატალიონებს საიდანღაც საარტილერიო

ცეცხლი გაუხსნეს. იერიშზე გადმოსული ოსმალების ნაწილი გაანადგურეს, ხოლო ვინც გადარჩა, გაქცევით უშველა თავს. არცერთმა რუსმა მეთაურმა და არც შტაბმა არ უწყოდნენ, თუ საიდან გაჩნდა კრიტიკულ მომენტში საარტილერიო ბატარეია, რომლის მიერ გახსნილმა ცეცხლმა ვ. სარჩიმელიას მეომრები გარდუვალი სიკვდილისგან, ან სამარცხვინო ტყვეობისგან იხსნა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი დივიზიის მეთაურსა და შტაბს შორის შემდგარი სატელეფონო საუბარი კაპიტან კვანჭახაძეს შუალედური სატელეფონო სადგურის მეშვეობით მოუსმენია (სარჩიმელია 1933: 152). მისი საარტილერიო ბატარეა ჰასანყალასა და კურჯუხს შორის, მდინარის ნაპირზე იყო განლაგებული, რათა ოსმალების გამოჩენის შემთხვევაში ცეცხლი გაეხსნა. კვანჭახაძეს საარტილერიო ბატარეია დისლოკაციის ადგილიდან მოუხსნია, ახალი და ხელსაყრელი პოზიცია დაუკავებია და გასაჭირში ჩავარდნილი ბატალიონის საშველად ცეცხლი გაუხსნია. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა ვ. სარჩიმელიას ბატალიონმა უკანდახევა. შუა გზაზე მყოფებს დაზვერვამ აცნობა, რომ ოსმალების სამი კოლონა, რომელიც რუსების ბატალიონს ფეხდაფეხ მისდევდა, ცოტა ხანში მათ დაეწეოდა. ვ. სარჩიმელიამ ჯარისკაცების ორ გრძელ მწკრივად განლაგების ბრძანება გასცა. ბატალიონი ხიშტებით ბრძოლისთვის მოემზადა. ამასობაში, სამ მწკრივად დაწყობილი ოსმალებიც გამოჩნდნენ და რუსების გამწკრივებული ბატალიონის პირისპირ დადგნენ. ასე იდგნენ პირისპირ რუსი და ოსმალო მეომრები მთელი ნახევარი საათის განმავლობაში (სარჩიმელია 1933: 154). რუსებს ხიშტებით შეტევაზე გადასვლის სურვილი არ ჰქონდათ, ოსმალები კი ალბათ ფიქრობდნენ, რომ რუსების დასახმარებლად დივიზია იყო მოსული. ასე იდგნენ პირისპირ, შემდეგ კი ოსმალები უბრძოლველად უკან გაბრუნდნენ. რუსების ბატალიონმა კურჯუხს „მშვიდობიანად“ კი მიაღწია, მაგრამ სულ მალე, მახლობლად მდებარე ოსმალეთის ფორტებიდან სოფელს საარტელერიო ცეცხლი გაუხსნეს. ვ. სარჩიმელიამ სოფ. კურჯუხის დატოვების ბრძანება გასცა. მეომრები ჰასანყალას მიმართულებით გაეშურნენ და დილისთვის იქ ჩააღწიეს კიდეც (სარჩიმელია 1933:155).

როგორც ვნახეთ, რუსების მიერ სოფ. პუსიდერეს აღების ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა, ამ წარუმატებლობის მიზეზი კი ოპერაციის არასწორად დაგეგმვა და განხორციელება იყო. ეს ყოველივე აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი პირველ მსოფლიო ომში საბძოლველად სათანადოდ არ იყო მომზადებული. ამას კი მრავალი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი მიზეზი იყო ჯარში დისციპლინის არქონა. აი, რას იგონებს ვ. სარჩიმელია: „ეს იყო თავაშვებული ბატალიონი. მეთაურად ჰყავდა საქმისმწარმოებელი. ყველა ლოთობდა. ოფიცრები – კარტის მოთამაშეები. ხელფასის აღების შემდგომ, ერთ-ერთი გაქნილი გაიძვერა ყველას უგებდა და ათასობით მანეთს ნათესავებს უგზავნიდა, დანარჩენები კი გაჭირვებულები იყვნენ“ (სარჩიმელია 1933: 164). სხვა მიზეზებს შორის იყო მაღალჩინოსანი სამხედრო მეთაურების, მათ შორის რუსეთის სამხედრო მინისტრის, გენერალ-ადიუტანტ ვლადიმერ სუხომლინოვის კორუფციაში ჩართულობა და სამსახურეობრივი დაუდევრობა, და რაც მნიშვნელოვანია, ზოგადად ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური კრიზისი და ეკონომიკური დაქვეითება. ყოველივე ამან რუსეთში რევოლუციური პროცესების ჩასახვა და განვითარება დააჩქარა.

ჯარში შექმნილ არანორმალურ ვითარებას კარგად წარმოაჩენს ვ. სარჩიმელიას მიერ მოთხრობილი კიდევ ერთი ამბავი, რომელიც 1917 წლის აპრილში ოსმალეთის ფრონტიდან თბილისში დაბრუნებულ ვლადიმერს, სამხედრო ჰოსპიტალში სურავანდის მძიმე ფორმის მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ გადახდა (სარჩიმელია 1933: 194). ჰოსპიტალიდან გამოწერილ ვ. სარჩიმელიას შეღავათი გაუკეთეს და პირდაპირ მოქმედ არმიაში კი არ გაუშვეს, არამედ ლაგოდეხში დისლოცირებული პოლკის მეთაურად დანიშნეს. ეს 1917 წლის ზაფხულის ბოლოს უნდა მომხდარიყო. იმ დროს, ლაგოდეხის პოლკში არაორ-

დინარული ამბები ხდებოდა: ჯარისკაცები, რომელთა რიგებში რევოლუციური განწყობა სუფევდა, სამხედრო მეთაურებს აუმბოხდნენ. ჯარისკაცების დაშოშმინებას კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მდგომარეობის გასანეიტრალებლად თავად მთავარსარდალს მოუწია ადგილზე ჩასვლა. ლაგოდეხის პოლკის ამბოხს გენერალმა გ. კვინიტაძემ თავის მოგონებებში ცალკე ქვეთავიც კი მიუძღვნა, რომელშიც აღწერს, თუ რა ძალისხმევა დასჭირდა ხსენებული ამბოხის ჩასახშობად, რა დროსაც მკაცრი სადამსჯელო ფორმების გამოყენებაც კი მოუწიათ: საგანგებო სასამართლომ ცხრა ჯარისკაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. დანარჩენი მეამბოხეები დაანაწილეს და სხვადასხვა პოლკში გადაიყვანეს (კვინიტაძე 1985: 229). ვ. სარჩიმელია მეამბოხეების გარკვეულ ნაწილთან ერთად ოსმალეთში მდებარე მუხლისში (ცნობილია მუხლას სახელითაც) გადაიყვანეს (სარჩიმელია 1933: 201). აქ ჯარისკაცებმა ურჩობა და გარკვეული მოთხოვნების დაყენება უფრო მწვავედ გააგრძელეს.

ვ. სარჩიმელიამ პოლკი დატოვა და თბილისში ჩამოვიდა, სადაც გენერალ გიორგი არჯევანიძეს შეხვდა. გ. არჯევანიძე 1917 წლის 30 სექტემბრიდან პირველი ქვეითი დივიზიის უფროსი იყო. მან გ. სარჩიმელიას დივიზიის შტაბის უფროსის ადგილის დაკავება შესთავაზა და მისგან თანხმობის მიღების შემდეგ, სათანადო შენობის შერჩევისა და შტაბის ფორმირებისთვის ქუთაისში გაუშვა (სარჩიმელია 1933: 204). ვლადიმერის მიერ ქუთაისში შტაბისა და ოთხი პოლკის ფორმირების დასრულების დროისთვის, გ. არჯევანიძე სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილზე გენერალ-მაიორი დავით ართმელაძე დანიშნეს, რომელმაც, თავის მხრივ, შტაბის უფროსად ნ. გედევანიშვილი მიიყვანა, ვ. სარჩიმელიას კი დივიზიის აღალის[6] ფორმირება დაავალა (სარჩიმელია 1933: 205-206). ვ. სარჩიმელიას მიერ აღალის ფორმირების დასრულებითანავე, დაიწყო სამზადისი ბათუმის მტრისგან დასაცავად. სადაზვერვო მონაცემების თანახმად, ნური-ფაშა მდინარე ჭოროხის გადმოლახვასა და ბათუმზე თავდასხმისთვის ემზადებოდა. როგორც ცნობილია, ოსმალები მოითხოვდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით მათთვის ქალაქ ბათუმისა და მთლიანად ბათუმის ოლქის გადაცემას.

გ. არჯევანიძემ სამხედრო ნაწილები ბათუმის მახლობლად (ოზურგეთში, ნატანებსა და შავი ზღვის სანაპიროზე) გადაისროლა და სამხედრო შტაბი სამტრედიაში მოაწყო, თანაც სულ მცირე შვიდი-რვა თვის სამყოფი სურსათი მოიმარაგა (სარჩიმელია 1933:205). გენერალმა დ. ართმელაძემ ქართული ჯარის დისლოცირების სქემა დაიწუნა (ვ. სარჩიმელიას თქმით, ამის მიზანი გ. არჯევანიძის რეპუტაციის შელახვა იყო) და ყველა პოლკი და შტაბი, აგრეთვე საბრძოლო და სასურსათო მარაგები უშუალოდ ბათუმში გადაისროლა. ვ. სარჩიმელიამაც მიიღო ბრძანება, რომლის თანახმად აღალი და დივიზიის მთელი ქონება სარკინიგზო შემადგენლობით ბათუმში უნდა გაეგზავნა (სარჩიმელია 1933: 206). ვლადიმერმა ქუთაისის სარკინიგზო სადგურის უფროსს ოცდარვიდან ორმოც ვაგონამდე სიგრძის ექვსი სარკინიგზო შემადგენლობის მომზადება დაავალა, ხოლო თავად ბათუმში, გენერალ დ. ართმელიძესთან შესახვედრად გაემგზავრა იმის ასახსნელად, რომ გაცემული ბრძანება სრულიად გაუმართლებელი იყო, რადგან იმ დროს, როცა ქალაქში უკვე არსებობდა შვიდი-რვა თვის სამყოფი სურსათის მარაგი, ბათუმში დამატებით ათობით მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქტისა და საქონლის შეტანა, ლოგისტიკური სირთულეების გარდა, იმ საფრთხესაც შეიცავდა, რომ ოსმალების წარმატების შემთხვევაში ეს ყველაფერი იოლი და უხვი ნაალაფევი გახდებოდა. იმ ფაქტს, რომ ბათუმის დასაცავად შემუშავებული ტაქტიკური გეგმით გათვალისწინებული, სრულიად უსარგებლო, ჭარბი რესურსების კონცენტრაცია უშუალოდ ქალაქის ფარგლებში შეცდომა იყო, რაზეც ვ. სარჩიმელია წერს, ადასტურებს გენერალ გიორგი კვინიტაძისეული შეფასებაც, რომელიც ვ. სარჩიმელიასაგან განსხვავებით, აქცენტს აკეთებდა ქალაქში მყოფ მეომართა ისედაც

ჭარბ რაოდენობაზე და მათი რიცხვის გაზრდის უსაფუძვლობაზე: იმ დროს, როცა ქალაქში უკვე თორმეტი ათასი მეომარი იყო განლაგებული, რა რაოდენობაც ბათუმისთვის ზედმეტიც კი იყო, ადგილობრივი სამხედრო ხელმძღვანელობა მათი რიცხვის კიდევ უფრო მეტად გაზრდას ითხოვდა. გ. კვინიტაძემ გარნიზონის რაოდენობის შემდგომი გაზრდის გადაწყვეტილება მთავარსარდალ გენერალ ე. ლებედინსკისთან გააპროტესტა და თავისი მოსაზრება გაუზიარა, რომლის თანახმად ბათუმის გადარჩენა საჭირო იყო არა ქალაქის ფარგლებში უკვე არსებული, ისედაც მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის სიდიდის კიდევ უფრო მეტად გაზრდით, არამედ „ჩაქვის რაიონში რეზერვის თავმოყრითა და იქიდან ოსმალების ფლანგების მიმართულებით შეტევის განხორციელებით“ (კვინიტაძე 1985, 28). გენერალი ე. ლებედინსკი გ. კვინიტაძის მოსაზრებას დაეთანხმა და, თავის მხრივ, ეს წინადადება სამხედრო კომისარს ე. გეგეჭკორს გაუზიარა, რომელმაც ის მოიწონა. ჩაქვში სამი ათასი მეომრის თავმოყრა გადაწყდა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ომში გამოცდილი ექვსასი მეომარი, რომლებსაც გ. კვინიტაძის გეგმით ჩაქვის რაზმის ბირთვი უნდა შეედგინათ, ბათუმის სამხედრო ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნითა და ე. გეგეჭკორის თანხმობით, უშუალოდ ბათუმში გადაესროლათ (კვინიტაძე 1985: 28).

ბათუმზე ოსმალეთის ჯარის მიერ შეტევის განხორციელების გარდუვალობა ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის 5-6 აპრილის ღამით ფრონტზე ქართველებისთვის არასახარბიელო მოვლენები განვითარდა. გენერალი გ. მაზნიაშვილი თავის „მოგონებებში“ წერს, რომ, როცა იგი 5 აპრილს, ნაშუადღევის სამ საათზე ოზურგეთს სტოვებდა, ლაშქრის უფროსმა დააიმედა, რომ ოსმალების მიერ ქალაქზე შეტევის მიტანის შემთხვევაში, მათ მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევდნენ. რეალურად კი მოხდა ისე, რომ სოფ. ლიხაურთან მდგომმა ჩვენმა მეწინავე ათასეულმა პოზიციები უბრძოლველად მიატოვა და ოზურგეთის მიმართულებით უკან დაიხია. ამან მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია, რა მიზეზითაც მცხოვრებლებმა და სახელმწიფო დაწესებულებებმა ქალაქი მიატოვეს. ოსმალებმა ოზურგეთი უბრძოლველად დაიკავეს. „ასე დამთავრდა 6 აპრილის დღე: მარჯვენა ფრონტზე სრული გამარჯვება, მარცხენაზე კი სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა“ (მაზნიაშვილი 1990: 41-43). არსებობდა მოვლენების კიდევ უფრო მძიმე სცენარით განვითარების საფრთხე, თუ ოსმალები ნასაკირალის უღელტეხილს დაიკავებდნენ. „7 აპრილიდან 14-მდე გაცხარებით ვამაგრებდით პოზიციებს, ვუმატებდით რეზერვებს და მტრის დასახვედრად ვემზადებოდით“ (მაზნიაშვილი 1990: 44).

სწორედ მარცხენა ფრონტზე შექმნილმა მძიმე და გაურკვეველმა ვითარებამ და გაცემული ბრძანების არარაციონალურობამ განაპირობეს ის ეჭვები, რაც ვ. სარჩიმელიას ბათუმში სურსათის დიდი მარაგების შეტანის საჭიროების მიმართ გაუჩნდა. მასსა და გენერალს შორის გამართული საკმაოდ ცხარე კამათის დროს, დ. ართმელიძე ვ. სარჩიმელიას დაემუქრა, რომ ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცემდა. ვლადიმერმა, კომპრომისის სახით, ბათუმში ახალი მარაგების შეტანის ხუთი დღით გადავადების წინადადება წამოაყენა. თუ ამ ხნის განმავლობაში ოსმალები ქალაქს ვერ აიღებდნენ, ვ. სარჩიმელია გარანტიას იძლეოდა, რომ დივიზიის აღალით ბათუმში მეექვსე დღესვე შევიდოდა (სარჩიმელია 1933, 210). კამათის შემსწრე დივიზიის ექიმ კორკაშვილს ეს წინადადება მოეწონა, რაც ღიად განაცხადა კიდეც და ვ. სარჩიმელიას მიემხრო. საბოლოოდ, დ. ართმელიძე ხუთდღიანი გადავადების წინადადებას დაეთანხმა. ვ. სარჩიმელია ქუთაისში დაბრუნდა და მატარებლების დატვირთვისა და მათი ლოდინის რეჟიმში ყოფნის ბრძანება გასცა. მეოთხე დღის საღამოს ვლადიმერმა მიიღო ცნობა, რომ ოსმალებს ბათუმი და დივიზიის შტაბი დაეკავებინათ.[7] ოსმალებმა ქალაქის დამცველები განაიარაღეს, თუმცა უკლებლივ ყველა გაათავისუფლეს (სარჩიმელია 1933: 212). დატყვევებულთა შორის იყო გენერალი ტ. ვაშაკიძეც, რომელიც, თურმე, ნური-ფაშას[8] მიჰგვარეს, რომელმაც იგი გაათავისუფლა და იარაღიც დაუბრუნა.

ვ. სარჩიმელიას „მოგონებებში“ კიდევ არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული. ალაგ-ალაგ დაშვებული უზუსტობებისა და შეცდომების მიუხედავად, ის საინტერესო წყაროა რუსეთის იმპერიაში სამხედრო განათლების მდგომარეობის, ჯარის მოწყობის, მის მართვაში არსებული პრობლემებისა და პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მიერ წარმოებული ბრძოლების გასაანალიზებლად.

შენიშვნები

1 Вольноопределяющийся იყო რუსეთის საიმპერატორო ჯარსა და ფლოტში ყველაზე დაბალი ჩინი. მას ანიჭებდნენ მოხალისეებს, რომლებიც სამხედრო ბეგარისგან თავისუფალნი იყვნენ.

2 ჩემ მიერ ვ. სარჩიმელიას ვაჟთან დაკავშირებით დამოწმებულ სტატიაში რატომღაც უწერიათ, რომ ამ უკანასკნელს თავადური წარმოშობა ჰქონდა.

3 ერთადერთი, რაც ნ. კოლიუბაკინს თავად კ. დადეშქელიანის სახელთან აკავშირებს არის ის, რომ მან ნათესავებს თავადის უპატიო ადგილიდან ეკლესიაში გადასვენების ნება მისცა. სხვათაშორის, ამ ნებართვას ნ. კოლიუბაკინის კარიერა შეეწირა: 1862 წელს იგი ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

4 ვ. სარჩიმელია შეცდომას უშვებს, როცა წერს, რომ ახალი მეთაური ომში ჩართვამდე, თითქოს, ტფილისის გენერალ-გუბერნატორად იყო ნამუშევარი და სამხედრო საქმისა არაფერი გაეგებოდა. ამ საბაბით, მას დაცინვით „პოლიციელ გენერალს“ უწოდებს. სინამდვილეში, რიაბინკინს, რომელიც 39-ე ქვეითთა დივიზიის მეთაურად სწორედ 1916 წელს დანიშნეს, რაც ვ. სარჩიმელიას მიერ მოწოდებულ ცნობასთან სრულ თანხმობაშია, რამდენიმე სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ხოლო საბრძოლო გამოცდილება 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში ჰქონდა მიღებული.

5 პირველი მსოფლიო ომის დროს, მსხვილკალიბრიან (152 მმ-ზე მეტი კალიბრის) საარტილერიო ჭურვებს რუსი სამხედროები ჟარგონით „ჩემოდნებს“ უწოდებდნენ. იმ დროს ყველაზე მსხვილკალიბრიანი, 420 მმ-იანი ქვემეხი გერმანელებს ჰქონდათ. მას „დიდ ბერტას“, ან „მსუქან ბერტას“ (Dicke Bertha) ეძახდნენ.

6 აღალი (რუსულად обоз) საზიდრების, სატვირთო ავტომანქანებისა, თუ სხვა სახის ტრანსპორტის ქარავანს ნიშნავს. მეფის რუსეთის არმიის ქვეითთა დივიზიებსა და მსროლელთა ბრიგადებში იყო სპეციალური დანაყოფი, რომელსაც აღალი ეწოდებოდა. დივიზიის აღალი ორი განყოფილებისგან შედგებოდა: სასურსათო-ნივთობრივი და სანიტარული განყოფილებებისგან. პირველ მათგანს ევალებოდა სურსათის, სასანგრე ინსტრუმენტებისა (მესანგრის ნიჩბის, ცულის, წერაქვის, ძალაყინის, ...) და ჩექმების მარაგის ქონა და ყოველივე ამით საველე პირობებში მყოფი დივიზიის უზრუნველყოფა.

7 ოსმალებმა ბათუმი 1918 წლის 15 აპრილს დაიკავეს. მანამდე, 6 აპრილს, მათ ოზურგეთი აიღეს.

8 ნური-ფაშა იყო კავკასიის ისლამური არმიის მხედართმთავარი.

დამოწმებანი

გაზეთი კავკაზი 1911: Газета „Кавказ“ N129, 12 (25) июня 1911 г. Высочайшие приказы по военному ведомству.

გოგიტიძე, მიხაილოვი 2020: М.Д. Гогитидзе и В. В. Михайлов. *Генералы-грузины русской армии в Первой мировой войне 1914–1918 гг.* Санкт-Петербург, Полторак.

კაპიტნების სია 1913: *Списокъ капитанамъ армейской пехоты по старшинству.* С.-Петербург Военная типография.

კვინიტაძე 1985: Г. И. Квинитадзе. *Мои воспоминания в годы независимости Грузии – 1917-1921.* Paris, *YMCA-Press.*

კრებული 2018: Л.И. Старилова, Е.М. Шепилова, Ю.П. Баскакова, Д.И. Панькевич. Исследование фотографий из архива военного летчика Н.В. Сарчимелия (1924-1927 гг.), „Фотография, Изображение. Долумент.“ Вып. 8, Росфото, Санкт-Петербург, с. 18-23.

მაზნიაშვილი 1990: გ. მაზნიაშვილი. *მოგონებანი: 1917-1925.* , ბათუმი, საბჭოთა აჭარა.

სარჩიმელია 1933: Сарчимелия В.С., Добро и Зло (Историческая повесть). Часть II – На турецком фронте. Тифлис. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი (ლადო მირიანაშვილის პირადი კოლექციიდან).

BIOGRAPHY OF COLONEL VLADIMIR SARCHIMELIA OF THE RUSSIAN IMPERIAL ARMY AND HIS MEMOIR OF WORLD WAR I

Lado Mirianashvili
Independent researcher
lado_miriani@yahoo.com

Little has been written about World War I in the former Soviet Union and thereafter. The reason for this appears to be that historians in Bolshevik Russia and later in the Soviet Union did not believe that the wars waged by Tsarist Russia were worth researching. Following World War II, this mentality became very apparent. We know almost nothing about the Georgians who fought in World War I. According to unconfirmed sources, between 150,000 and 250,000 Georgians fought in World War I. Among them were 102 generals and thousands of officers.

This paper aims to partially address this void. The life of Vladimir Simonovich Sarchimelia, a Georgian officer who served in World War I, along with a detailed account of a battle operation he oversaw is covered in the article. I obtained V. Sarchimelia's unpublished, typewritten, and bound memoirs, which are written in Russian, from a Tbilisi secondhand book dealer a few years ago and use it as my primary source of data for the article. Given that this book was written by a Georgian colonel who fought in the Caucasus Front during World War I and who was a firsthand witness to the events described, the importance of "Memoirs" to the history of World War I cannot be overstated.

The progression of V. Sarchimelia's military career is as follows: He began his military training at the age of 20 on December 30, 1889; second lieutenant – from September 1, 1895; lieutenant – from September 1, 1899; staff captain – from September 1, 1903. The aforementioned list was put together as of November 1, 1912. However, for some reason, the list does not mention that V. Sarchimelia was promoted to captain on June 4, 1911. He was still a member of the 154th Derbent Infantry Regiment at the time. In the introduction and the main body of the text of his memoirs written in 1933, V. Sarchimelia states that he was "a colonel in the king's army." The year he attained this rank is not documented in any way, however as his memoirs show, V. Sarchimelia held the rank already in 1917.

I reconstructed the events of the battle for the village of Pusidere in January 1916 using V. Sarchimelia's memoirs. I selected this fight in particular because none of the military books published in Georgia or Russia mention it. The explanation is that the Russians lost the battle for Pusidere. In this battle V. Sarchimelia was wounded.

Preparations for defense of Batumi and a negative attitude of V. Sarchimelia, as well as of general G. Kvinitadze towards the plan of the high command are also discussed in the article.

ლანდშაფტის არქეოლოგიის მეთოდოლოგია ფარავნის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის კონტექსტში

ნინო პატარიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
pataridze.ni@gmail.com

თანამედროვე არქეოლოგია უფრო და უფრო მულტიდისციპლინური ხდება და კვლევა-ძიების საკმაოდ დახვეწილ მეთოდებს გვთავაზობს. სხვადასხვა თემის დეტალურად შესწავლის აუცილებლობამ ბევრი ახალი მიმდინარეობა წარმოშვა ამ მეცნიერებაში. ასეთია ლანდშაფტის არქეოლოგიაც. ლანდშაფტის არქეოლოგიის მკვლევრები სწავლობენ ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების ისტორიას ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, მათი კვლევის ძირითადი მიზანი, ცხადია, კაცობრიობის გარემოსთან ადაპტაციისთვის თვალის მიდევნებაა.

ლანდშაფტის არქეოლოგია გვაძლევს საშუალებას, დიდ ფართობებზე მოვახდინოთ არქეოლოგიური ძეგლების სივრცითი განაწილების ანალიზი და მათი თემატური თუ ქრონოლოგიური დაჯგუფება. სწორედ ამის მცდელობა იყო ფარავანის მიდამოებში ჩვენ მიერ 2018-2020 და 2022-2023 წლებში განხორციელებული გეოარქეოლოგიური პროექტები.

გეოგრაფიულ-არქეოლოგიური კონტექსტი

საქართველოს სამხრეთი მთიანეთის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი ლანდშაფტურ-გეოგრაფიული, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური მდგომარეობა კარგად არის შესწავლილი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სპეციალისტის მიერ (გაფრინდაშვილი 2016). ჯავახეთის უნიკალური გეოგრაფია და ბუნებრივი მახასიათებლები მას საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონად აქცევს.

ჯავახეთის პლატო, რომლის სიმაღლე დაახლოებით 2000 მეტრია, ვულკანური წარმოშობისაა. მთის სტეპი საქართველოს მაღალმთაში მხოლოდ მცირე კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ჯავახეთის ვულკანურ მთიანეთშია კარგად წარმოდგენილი (გაფრინდაშვილი 2016).

სამხრეთ კავკასია და, კერძოდ, საქართველო საკმაოდ მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. რეგიონი წარმოადგენს უძველესი ადამიანების მიგრაციისა და განსახლების ბუნებრივ დერეფანს. აქ მრავლად არის კულტურული ფენები უძველესი პერიოდიდან დღემდე. ჯავახეთი არქეოლოგიური თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად შესწავლილი მხარეა. ისტორიულად ჯავახეთს უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების თვალსაზრისით, რაზეც მეტყველებს აქ ქრონოლოგიურად უწყვეტად (ძველი ქვის ხანიდან დღემდე) არსებული ადამიანის აქტიური მოღვაწეობის კვალი. ფარავნის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე არსებული ჭიქიანის მთა (სურ. 1) არის ერთდროულად ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი. ასეთი მასშტაბის ობსიდიანის გამოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, მხოლოდ მთა ჭიქიანია. მის ფერდებზეც ობსიდიანის დასამუშავებელი სახელოსნოები დღემდეა შემორჩენილი. რომლებიც პირველებმა ზ. ქიქოძემ და ე. ქორიძემ 1977-1978 წლებში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ მოწყობილი სადაზვერვო-არქეოლოგიური კამპანიის დროს აღმოაჩინეს (ქიქოძე, ქორიძე 1978).

ჯავახეთის ზეგანზე არქეოლოგიური გათხრების დაწყება 1940-იან წლებში ბორის კუფტინის სახელს უკავშირდება. მან გამოავლინა და შეისწავლა 4 ყორღანი. შესწავლილი ყორღანებიდან სამი დაუკავშირა შუა ბრინჯაოს თრიალეთის კულტურას, ხოლო ერთი – ადრე ბრინჯაოს ხანას (III ათასწლეულის I ნახევარი) (კუფტინი 1941); (გოგაძე 1972).

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა 2003-2007 წლებში, ჩვენი ჯგუფის მიერ განხორციელებული ექსპედიციის (იგულისხმება „სტუდენტთა საექპედიციო მოძრაობა“. ამ ორგანიზაციის წევრებმა თსუსთან, და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად 2003-2007 წლებში შეისწავლეს ფარავნის ტბასთან მდებარე III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული ყორღანი) შედეგებიც. ჩვენ შევისწავლეთ, სოფ.ხულგუმოსთან ახლოს, ფარავნის ტბის მიმდებარედ არსებული ყორღანი (სურ.1). სამარხის გამართვის თარიღი, პირველადი შეფასებით, III ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრა და რადიოკარბონული ანალიზით დადასტურდა ძვ.წ.2698-

სურ.1. ფარავნის ტბის მიმდებარედ არსებული ყორღანი III ათასწლეული

სურ.2. ნახევრად წყლით დაფარული ყორღანი

2481 (კახიანი და *სხვები* 2018). (რადიოკარბონული შედეგი არ გამორიცხავს უფრო ადრეულ თარიღს, როგორიცაა ძვ. წ. 2857–2812 ან 2748–2724 (95%-იანი ალბათობით, ნიმუშის ნომერი Wk-34460.

2003-2007 წლებში მოხდა ფარავნის მიმდებარე ტერიტორიის ფეხით დაზვერვა (კ.კახიანი, ნ. პატარიძე), რის შედეგადაც გამოვავლინეთ რამდენიმე საინტერესო ძეგლი, მათ შორის, ტბის ნაპირას ნახევრად წყლით დაფარული ყორღანებიც (სურ. 2,3).

სურ.3. ნახევრად წყლით დაფარული ყორღანი

კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

ფარავნის გარშემო არსებულ არქეოლოგიური ძეგლები საკმაოდ დიდი არეალზე ვრცელდება, რაზეც ჯავახეთის ზეგანთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრების თუ დაზვერვების ანგარიშებიც ნათლად მეტყველებს. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ლანდშაფტის არქეოლოგიაში უკვე კარგად დამკვიდრებული მეთოდების, უპირველეს ყოვლისა, დისტანციური ზონდირების მეთოდის (RS) გამოყენება. როგორც შედეგებმა გვაჩვენა, ამ მეთოდის გამოყენება გამართლებული აღმოჩნდა რადგან ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორია სრულიად თავისუფალია ტყის საფარისაგან და აქ ძალიან კარგად იკითხება ანთროპოგენული ფორმები.

დისტანციური ზონდირება გახლავთ მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, საკვლევ ობიექტზე ინფორმაციის დისტანციურად მიღება. დისტანციური ზონდირების სამი ყველაზე გავრცელებული მეთოდია: შორ-დისტანციური – სატელიტიდან; საშუალო დისტანციური – თვითმფრინავიდან და ახლო დისტანციური – დრონიდან. RS არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ და ანალიზი გავუკეთოთ დედამიწაზე არსებულ ობიექტებსა თუ მასზე მიმდინარე პროცესებს.

თავდაპირველად, კერძოდ, 2018-2019 წლებში, ჩვენი სამუშაო მოიცავდა =ორ საფეხურიან აერო-დაზვერვებს ტბა ფარავნის გარშემო. აეროგადაღებაზე მუშაობდნენ გეოგრაფები: გიორგი კირკიტაძე, აკაკი ნადარაია, მიხეილ ლობჯანიძე. პირველ ეტაპზე მოხდა სატელიტური და აერო გამოსახულებების დეშიფრირება (სურ.4,5), (Google Earth; Bing Maps; World Imagery Wayback; ESRI BaseMap), მოინიშნა არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო უბნები, ასევე მოხდა ტოპოგრაფიული რუკების (1:25000; 1:50000) გაშიფრვა, მოცემულ ტერიტორიებზე არქეოლოგიური დაზვერვების შედეგების კომპლექსური დამუშავება და ანალიზი GIS სისტემაში. ხოლო მეორე ეტაპისთვის, არქეოლოგიურად საინტერესო უბნების და ობიექტების ახლოდისტანციური გადაღება (სურ. 6, 7). შედეგად მივიღეთ მაღალი გარჩევადობის (სანტიმეტრის რიგის) ორთომოზაიკები და რელიეფის ციფრული მოდელები (DEM).

სურ.4. სატელიტური და აერო გამოსახულებები

სურ.5. სატელიტური და აერო გამოსახულებები

ArcGIS (10.4.1.) პროგრამის მეშვეობით შეიქმნა გეომონაცემთა ბაზა და მოხდა წერტილოვანი ფენის (არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ობიექტების) Google Map-ში იმპორტირება. თითოეულ დაფიქსირებულ წერტილზე, სავარაუდო ყორღანებისა და ნამოსახლარების წერტილოვანი ფენის შექმნისას, განვსაზღვრეთ, მათი არქეოლოგიური



სურ.6. სატელიტური და აერო გამოსახულებები

სურ.7. სატელიტური და აერო გამოსახულებები

ობიექტად არსებობის ალბათობა: 0-დან, 3-ის ჩათვლით. ასევე GIS ბაზაშივე ხდება ადგილზე იდენტიფიცირებული ძეგლების შესაბამისი აღწერილობით შეტანა. ეს აღწერილობა მოიცავს: ძეგლის გეოგრაფიულ კოორდინატებს, ძეგლის მდგომარეობას (დაზიანებული, დაუზიანებელი და ა. შ.) და ფოტო-მასალას.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ 2018 წელს დისტანციური ზონდირების მეთოდით აღმოჩენილი ყორღანების ჯგუფი (სურ. 7,8) და სარიტუალო გზიანი ყორღანი (სურ.9,10). აქვე უნდა იქნეს მითითებული, რომ სარიტუალო გზიანი ყორღანის აღმოჩენა პირველი



სურ.7. ყორღანების ჯგუფი (სამარხების ზომები)



სურ.8. ყორღანების ჯგუფი (ტოპოგრაფიული რუკა)

შემთხვევაა ჯავახეთის ზეგანზე. ფარავნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სწორედ ეს ყორღანი შეისწავლა 2019-2020 წლებში. ამ პროექტის ფარგლებში მოხდა, შაორის მეგალითის ძირში მდებარე საინტერესო ნასახლარზე (სურ. 11,12) არქეოლოგიური შურფების დადება, რომელიც ასევე დისტანციური დაზვერვებით იქნა ჩვენ მიერ გამოვლენილი (პატარიძე და *სხვები* 2020).

სურ.9. ყორღანი სარიტუალო გზით (2018)

სურ.10. ყორღანი სარიტუალო გზით (2020)

სურ. 11. ნასახლარი შაორის მეგალითთან (2018)

სურ. 12. ნასახლარი შაორის მეგალითთან (2020)

= ლანდშაფტის არქეოლოგია არქეოლოგიური ობიექტების შესწავლას არაინვაზიური მეთოდებით იწყებს. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი გახლავთ ობიექტების გეორადიოლოკაციური კვლევა (სურ. 13,14). ამ მეთოდით შევძელით დაგვედგინა ყორღანული სამარხის სავარაუდო პარამეტრები (კამერის დიამეტრი, სიღრმე), შეგვეტყო ყორღანის პენეტრაციის არსებობის ან არარსებობის თაობაზე. რაც ნიშნავს, რომ ჩვენ სამარხის შესწავლამდე უკვე ვიცით ყორღანი გაძარცვულია, თუ უძრავი. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უკვე მარტივად იქნება შესაძლებელი სამომავლო საველე გათხრების დაგეგმვა. რაც შეეხება ნამოსახლარებს, გეორადიოლოკაციური კვლევამ მოგვცა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სიღრმეზე ჩადიოდია ნაგებობის ესა თუ ის კედელი და რა სიღრმიდან იყო შესაძლებელი დედაქანის არსებობა (პატარიძე და *სხვები* 2022). გეორადიოლოკაციური მეთოდით კვლევები ჩაატარა გეოფიზიკოსმა გუგა შარაშენიძემ.



სურ. 13. გეოფიზიკური კვლევა

სურ. 14. გეორადიოლოკაციური კვლევის პროცესი

არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რისი საბოლოო მიზანიც კონკრეტული პერიოდის რეკონსტრუქციაა, შეუძლებელია კომპლექსური კვლევების გარეშე. კონკრეტული ისტორიული პერიოდის კვლევა მისი გეოგრაფიული კონტექსტის გარეშე, ვფიქრობთ აზრს მოკლებულია, რადგან საზოგადოებების განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის გარემო, რომელშიც ყალიბდება. ამ საზოგადოების კულტურა კი არის პასუხი, რომელიც ჩნდება ადაპტაციის პროცესში.

ჩვენ მიერ 2003-2007 წლებში შესწავლილი ყორღანული სამარხიდან მოხდა ნიადაგის ნიმუშების აღება პალინოლოგიური ანალიზებისათვის, რის საფუძველზეც ვივარაუდეთ ფარავნის მიმდებარე ტერიტორიისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ბუნებრივი გარემო (კლიმატი) (კახიანი და *სხვები* 2018), რაც შემდგომ, ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტების მიერ, მულტიდისციპლინური კვლევებით დადასტურდა (მესაჟე და სხვები 2013). როგორც პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, ეს ტერიტორია ადამიანთა მიერ დიდი ხნით ადრე იყო ათვისებული. მტკიცდება, რომ ადამიანები აქ ჯერ კიდევ ძვ.წ. მეხუთე ათასწლეულიდან მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებულნი და ამისათვის კლიმატური პირობები ჯავახეთში გაცილებით ხელსაყრელი იყო: ჰავა იყო თბილი და ნოტიო (კახიანი და *სხვები* 2018).



სურ. 15. არქეოლოგიური ობიექტების განლაგება რუკაზე

დამოწმებანი

გაფრინდაშვილი 2016: გ.გაფრინდაშვილი. საქართველოს სამხრეთ მთიანეთის გეოდინამიკური პროცესები და მოსალოდნელი გეოეკოლოგიური გართულებები სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.

გოგაძე 1972: ე.გოგაძე. *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი,* თბილისი, მეცნიერება.

კახიანი და *სხვები* 2018: K. Kakhiani, E. Kvavazde, I. Martkoplishvili, N. Pataridze. Archaeological and Palynological Investigation of the Paravani Kurgan, Georgia. *Studies on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona Peeters,* Leuven-Paris-Bristol, CT.

კუფტინი 1941: ბ.კუფტინი. *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

მესაჟე და *სხვები* 2013: E. Messager, S.Belmecheri, U.Von Grafenstein, S.Nomade, V. Ollivier Pierre Voinchet, S.Puaud, A. Courtin-Nomade,H. Guillou A. Mgeladze, J.Dumoulin, A. Mazuy, D. Lordkipanidze. Late Quaternary Record of the Vegetation and Catchment-related Changes from Lake Paravani (Javakheti, South Caucasus) *Quaternary Science Reviews,* 77, 1 October, 125-140.

პატარიძე და *სხვები* 2020: ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი

პატარიძე და *სხვები* 2022: ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 2022 წელს ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ქიქოძე, ქორიძე 1978: ზ.ქიქოძე, ზ.ქორიძე. *ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში,* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (სსმაე), VI.

METHODOLOGY OF LANDSCAPE ARCHAEOLOGY IN THE CONTEXT OF ARCHAEOLOGICAL SITES AROUND LAKE PARAVAN

.

Nino Pataridze
Ilia State University
pataridze.ni@gmail.com

Landscape archaeology provides a methodological framework for analyzing the spatial distribution of archaeological sites across extensive areas, allowing for their thematic and chronological classification. This approach underpinned the geoarchaeological projects we conducted in the Paravani region during the years 2018–2020 and 2022–2023. As a result of this research, several hundred archaeologically significant sites were identified. More than 30,000 hectares were surveyed remotely, and a geospatial database was developed using GIS software.

Analytical processing of the collected data reveals that settlements around Lake Paravani are distributed at elevations ranging from approximately 2,100 to 2,450 meters above sea level, while

burial sites are found at slightly lower elevations, between 2,070 and 2,320 meters. These patterns suggest practical environmental and cultural explanations that warrant further investigation.

It is noteworthy that the majority of the identified archaeological sites in the Paravani Basin date to the Bronze Age. This concentration may be related to climatic changes, particularly periods of warming. A milder, more humid climate with richer vegetation likely supported more sustainable and long-term human habitation.

We argue that our study contributes to the integration of emerging technologies—such as remote sensing and spatial data analysis – into archaeological research. This integration enhances the methodological toolkit of landscape archaeology and has the potential to make future investigations more practical, accessible, and informative.

Moreover, the proposed research promotes a multidisciplinary approach to studying the socio-cultural aspects of human adaptation to environmental conditions. It aims to address fundamental questions that have emerged from the historical and archaeological exploration of the Javakheti Plateau: How do environmental factors influence societal development, and how are these influences reflected in the archaeological record? How can we reconstruct historical processes through the study of archaeological remains within specific geographic contexts shaped by environmental change?

The spatial data generated by this study support the development of various thematic maps and visual materials. Nevertheless, many questions raised during the course of the research remain unanswered, underscoring the need for continued interdisciplinary investigatio.

მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ არსებული გადმოცემები და ქართული სინამდვილე

გიორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgisosiashvili@gmail.com

ღვთაებრივი ხის შესახებ, რომლისაგან დამზადებულ ჯვარზე კაცობრიობის მხსნელი, განკაცებული მაცხოვარი იესო ქრისტე აწამეს, მრავალი ლეგენდა არსებობს და ეს შემთხვევითი არ არის. ასეთი სიწმინდე ქრისტიანობის გავრცელებისთანავე მორწმუნეთა მხრიდან ყურადღების ცენტრში მოექცა და მას ჯვარცმული იესოს მიმდევრები მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. საინტერესოა, რომ ამ საოცარი ხის აღმოცენების ისტორიას ბიბლიური ფესვები აქვს და არაერთი გადმოცემა მას პირველ ადამიანს – ბიბლიური შესაქმეს გვირგვინს – ადამს მიაწერს. განსაკუთრებით საინტერესოა, ამ მხრივ, ე. წ. „ოქროს ლეგენდა“, რომლის ჩაწერა დაკავშირებულია გენუელი ეპისკოპოსის, იაკობ დე ვორაგინის (1230-1298) სახელთან. ადამის ცხოვრებაში ვორაგინს მითითებული აქვს, რომ ცხოველმყოფელი ჯვარი (ჭეშმარიტი ჯვარი) შეიქმნა სამი ხისაგან, რომლებიც აღმოცენდა „მიტევების ხის“ სამი თესლისაგან. ისინი სეთმა შეაგროვა, ადამის თავის ქალაში დარგო და სწორედ აქედან წარმოიშვა საჯვარე ხე. იაკობ ვორაგინი წერს:

> ადამმა ამ ქვეყანაზე თითქმის ცხრაას ოცდაათი წელი გაატარა. სიცოცხლის მიწურულს, გარდაცვალების პირას რომ იყო, საკუთარი სურვილით გაგზავნა სეთი სამოთხეში, რათა მიტევების მირონი ჩამოეტანა. მირონის ნაცვლად სეთმა ანგელოზისგან მიიღო მიტევების ხის თესლი. როდესაც იგი უკან დაბრუნდა, ნახა, რომ ადამი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მოუთხრო, რაც გადახდა. ადამმა პირველად გაიცინა და სული განუტევა. სეთმა თესლის მარცვლები ადამს ენის ქვეშ დაუდო და ასე დაკრძალა ჰებრონის ველზე; ადამის პირიდან სამი ხე ამოვიდა, აქედან ერთ-ერთისაგან შექმნეს ჯვარი, სწორედ მასზე აწამეს მაცხოვარი... (ვორაგინი 1931ა).

როგორც გენუელი ეპისკოპოსი აღნიშნავს, ადამის სხეულიდან აღმოცენებულმა ხემ ბიბლიური მეფის სოლომონის დრომდე იარსება. (ვორაგინი 1931ა). ამავე გადმოცემით, სოლომონმა აღნიშნული ხისგან ხიდი დაამზადა, რომელზეც მეფესთან შესახვედრად დედოფალმა შებამ გაიარა. დედოფალს ხილვა ჰქონდა და მოსალოდნელი უბედურების შესახებ ებრაელთა მონარქს აცნობა, რომელმაც ხიდი დაშალა და ღვთაებრივი ხე მიწაში დაფლა. თოთხმეტი თაობის შემდეგ ამ ადგილას აღმოცენდა სწორედ ის ხე, საიდანაც ცხოველმყოფელი ჯვარი შეიქმნა (ვორაგინი 1931ბ). გარდა ამისა, წმინდა ხესთან დაკავშირებით არსებობდა გადმოცემა, რომლის მიხედვით, ის ბიბლიურმა მოსემ როგორც კვერთხი, ისე გამოიყენა, ამის შემდეგ კი ებრაელთა ლეგენდარულმა მეფემ-დავითმა ხედ დარგო (ჰერცოგი 1969: 68). გენუის ეპისკოპოსის, იაკობ ვორაგინის მიერ ჩაწერილი „ოქროს ლეგენდა“ შუა საუკუნეების ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სწორედ ეს გადმოცემა დაედო საფუძვლად იტალიაში, კერძოდ, ტოსკანას პროვინციაში, არეზოში, წმინდა ფრანჩესკას ტაძარში პიერო დელა ფრანჩესკას (1452-1466) მიერ შესრულებულ ფრესკულ ნამუშევრებს, სადაც ცხოველმყოფელი ჯვრის წარმოშობის ეპიზოდებია გაცოცხლებული, მათ შორის, ადამის გარდაცვალება; დედოფალ შებას ხილვა, ჯვრის აღმოჩენა და სხვ. ბიბლი-

ური ხის აღმოცენება, როგორც მივუთითებდით ადამს უკავშირდება. თ. მგალობლიშვილი აღნიშნავს: „ამ თქმულებათა მიხედვით ადამის დაფლვის ადგილი, ძირითადად, გოლგოთაა, იშვიათი გამონაკლისია განძთა ქვაბი და თითოეული მათგანი ადამის „მონანიების“ სიუჟეტს წარმოადგენს“ (მგალობლიშვილი 2004:178). ადამის დაფლვისა და მონანიების შესახებ არსებული გადმოცემები თ. მგალობლიშვილის აზრით, იუდეველ-ქრისტიანთაგან მომდინარეობს. საეკლესიო მოღვაწეთა მიერ შეკრებილი ეს გადმოცემები სათავეს იღებს ებრაული წყაროებიდან. გოლგოთის, როგორც ადამის დაფლვის ადგილის, მიმანიშნებელი ძირითადი წყარო V-VI საუკუნეებში შექმნილი ადამის აპოკრიფი უნდა ყოფილიყო, თუმცა ის უფრო ძველ ელემენტებსაც შეიცავს. სწორედ „ადამის მონანიების“ სიუჟეტის საფუძვლეზე ჩამოყალიბდა V-VI საუკუნეებში ბიზანტიური გადმოცემა, რომელიც გავრცელდა მთელს ბიზანტიის იმპერიაში, მათ შორის, პალესტინაში (მგალობლიშვილი 2004: 178-179). წმინდა ხის ადამთან დაკავშირების გადმოცემის გარდა, წმინდა მიწაზე არსებობდა წმ. ლოტის „მონანიების“ ადგილობრივი, პალესტინური ტრადიცია. ბიბლიური ხის ლოტთან დაკავშირება წმინდა მიწაზე მცხოვრებ ქრისტიან და არაქრისტიან არაბულ მოსახლეობაში ბიბლიური ლოტის განსაკუთრებულ პატივისცემას და პოპულარობას მიეწერება (მგალობლიშვილი 2004:179). ლოტის კულტის წმინდა მიწაზე ასეთი წამოწევა თ. მგალობლიშვილის აზრით, V-VI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მკვლევარი წერს:

> ამის თქმის უფლებას მაძლევს წმ. ლოტის „მონანიების“ ტექსტების კვლევა, რომლებიც, მართალია, მხოლოდ XII-XV სს-ის ბერძნული ხელნაწერებითაა შემონახული, მაგრამ მათში ჰენოტიკონის კვალია შემორჩენილი. მხედველობაში მაქვს „ტრისაგიონის“ (სამწმიდაობის) გალობის დადასტურება ტექსტებში, რითაც წმ. ლოტის მონანიების სიუჟეტის ჩამოყალიბება კვლავ V-VI სს-ით, ჰენოტიკონის არსებობის პერიოდით შეიძლება განისაზღვროს (მგალობლიშვილი 2004:179).

ლოტის კულტის ასე დაწინაურება არა მხოლოდ წერილობითი ძეგლებით, არამედ მითითებულ პერიოდში იორდანიის ტერიტორიაზე მიკვლეული ლოტისადმი მიძღვნილი ეკლესიებითაც დასტურდება (მგალობლიშვილი 2004: 180). ლოტის კულტი ადრებიზანტიურ პერიოდში ცნობილი იყო ქართველებისთვისაც, რასაც ადასტურებს არაერთი საღვთისმეტყველო ტექსტი (მგალობლიშვილი 2004: 180). ქართული ტრადიციით, ბიბლიური ხის აღმოცენება იმ ადგილს უკავშირდება, სადაც შემდგომში იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი აშენდა. წმინდა მიწაზე ქართველებს ადგილი მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში მეფე მირიანის დროს გადაეცათ იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ. ყველაზე უფრო ადრინდელი, კერძოდ, 1038 წლით დათარიღებული ცნობით, რომელიც, სავარაუდოდ, ჯვრის მონასტრის განმაახლებელს გიორგი პროხორეს ეკუთვნის, სწორედ ამ ადგილზე იყო ამოსული წმინდა ხე, რომლისგან გამოთლილ ჯვარზეც აწამეს იესო ქრისტე. ჯვრის მონასტრის ქართული კოლექციის 145-ე ხელნაწერში (წმ. იოანე ოქროპირის სახარების თარგმანება) ვკითხულობთ:

> ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღუდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რათა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდისა ამას ცხოველმყოფელისა ჯუარისა ადგილსა (მგალობლიშვილი 2003: 21).[1]

ჯვრის მონასტრის დაარსების ლეგენდის თანახმად, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, წმინდა მიწაზე ნამყოფმა ტიმოთე გაბაშვილმა იერუსალიმში შეიტყო და პირველმა შემოიტანა ქართულ სინამდვილეში, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის წმინდა ნინოს მიერ იერუსალიმში გაგზავნის ამბა-

ვი. ქართველი მეფე ჯერ კონსტანტინე დიდს ესტუმრა, შემდეგ წმინდა ქალაქში ჩავიდა. მირიანს ბიზანტიის იმპერატორისაგან მონასტრის ასაშენებელი ადგილი გადაეცა. ეს ის ადგილი იყო, სადაც ბიბლიური აბრაამის ძმისწულმა ლოტმა სამი ხე დარგო: სარო, ფიჭვი და ნაძვი. მცირე ხნის შემდეგ სამივე ხე ერთ ხედ გადაიქცა. სოლომონ მეფემ იერუსალიმის ტაძრის მშენებლობის დროს მოაჭრევინა აღნიშნული ხე, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლეს. მოგვიანებით, ხის მოჭრის ადგილას აიგო წმ. ჯვრის მონასტერი:[2]

> რამეთუ პირუელ ქრისტიანე ჰქმნილი მეფე საქართუელოისა მირიან ხოსროიანი, ნინოს მიერ წარმოვლენილ არს; მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ-არს, და ჯუარის მონასტრის ადგილი მას უშოვნია. რამეთუ ესე არს ადგილი იგი, სადა ლოთმან სამი ხე: სარო, ფიჭჳ და ნაძჳ დარგო სასსწაულად, უკუეთუ მიეტეოს ცოდუა იგი და სამივე ერთ-ხე დიდი აღმხდა. ამისა შემდგომად მოჰსჭრა იგი სოლომონმან ტაძრისა შენებასა, არამედ უქმად გამოსჰსჩნდა სახმარება იგი მისი მუნ და მდებარე იყო საჯდომელად კაცთა გარე. ხოლო ჯუარცმასა უფლისასა განგებითა ზენაჲთა მას ზედა აცუეს უფალი, რამეთუ მონაკუ-ეთისა მის ხის ძირი ქუეშე წმინდია ტრაპეზისა დღესამომდე ჰსჩანს. (ტიმოთე, მთავარ-ეპ-ისკოპოსი 1852: 148).

ტიმოთე გაბაშვილის მსგავსად ცხოველმყოფელი, ბიბლიური ხის აღმოცენების ადგილად ქართველთა მონასტერი მიაჩნიათ სხვა ქართველ ისტორიკოსებს და მოგზაურებს, მათ შორის: თეიმურაზ ბაგრატიონს (ბაგრატიონი 1848: 276), გიორგი ავალიშვილს (ავალიშვილი 1967: 214),[3] პეტრე კონჭოშვილს (კონჭოშვილი 1901: 77-78). წმინდა ხის მოჭრის ადგილზე მონასტრის აშენების შესახებ ყველაზე უფრო ადრინდელი ცნობები, როგორც ე. მამისთვალიშვილმა გამოიკვლია, დაგვიტოვეს ანგლოსაქსმა მოგზაურმა ზევულფმა და რუსმა პილიგრიმმა დანიელმა. ზევულფმა 1102-1103 წლებში მოინახულა ქართველთა სავანე. მისი გადმოცემით, მონასტერი იმ ადგილას აშენდა, სადაც წმინდა ჯვარი გამოთალეს (მამისთვალიშვილი 2014: 39); (კრებული 1885: 283). განსხვავებულ ცნობას გვაწვდის სლავი იღუმენი დანიელი, რომელმაც წმინდა მიწაზე 1104-1107 წლებში იმოგზაურა. მისი ჩანაწერის მიხედვით, ქართველთა ჯვრის მონასტერი ეს ის ადგილი იყო, სადაც: „გამოიჭრა ქრისტეს ჯვარცმის საფეხურნი, რომელზეც მიალურსმეს ქრისტეს ფეხები“ (მამისთვალიშვილი 2014: 39); (იღუმენი დანიელი 1995: 32) .დანიელის აღწერით, საკურთხეველის ქვეშ, ტრაპეზის სიღრმეში იყო თეთრი მარმარილოს ფილებით დაფარული ხის მოჭრის ადგილი, რომლის პირდაპირ გაკეთებული იყო სარკმელი, რათა მორწმუნეებს მისი დანახვის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამ ადგილზე იყო სწორედ აგებული ქართველთა მონასტერი. (იღუმენი დანიელი 1995: 32). როგორც ტ. ტობლერი მიუთითებს, ხის ძირის ადგილას ფრანკებს საკურთხეველი დაუდგამთ. მონასტერი XIX საუკუნის შვეიცარიელი მოგზაურის და ორიენტალისტის ცნობით, ქართველების საკუთრება იყო (ტობლერი 1854: 737). წმინდა ხე ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის სამლოცველოს საკურთხევლის ადგილას იდგა, რაც არქეოლოგიულმა გათხრებმაც დაადასტურა. ბერძენი არქეოლოგი ა. იკონომოპულოსი წერს: „ენკენიონის დასავლეთით ამოკვეთილი იყო 29 სმ. სიგანის ღრმული, ანუ ე. წ. თალასა, რომელიც ეკუთვნის ტაძრის აგების პირველ პერიოდს“ (მამისთვალიშვილი 2014: 73). ბიბლიურ ლოტისთან დაკავშირებული ლეგენდა ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობამაც შემოინახა. აქ გამოსახულია როგორ გარბის ლოტი და მისი ოჯახი სოდომიდან. მამა აბრაამი აძლევს ლოტს სამ ნერგს (ზეთისხილი, კიპარისი, კედარი); ლოტი რგავს ნერგებს; ლოტი რწყავს ერთ ხედ გადაქცეულ სამ ნერგს მდინარე იორდანეს წყლით; ლოტი უვლის ხეს; შემდეგ წარმოდგენილია ხის მოჭრის და ჯვრის დამზადების სცენები (მამისთვალიშვილი 2014: 6).

წმინდა ხის შესახებ არსებული გადმოცემის სირიული აპოკრიფული ვარიანტი შემონახული აქვს მეოცე საუკუნის დასაწყისში წმინდა მიწაზე ნამყოფ ქართველ ეპისკოპოსს, პეტრე კონჭოშვილს:

ერთ დროსა, როდესაც ლოტმა შესცოდა, წარვიდა იგი, რათა ეღვიარებინა თავისი შეცოდება წინაშე აბრაამ მამა-მთავრისა. შემდეგ მოსმენისა ლოტისა მძიმე შეცოდებისა, აბრაამმა გამოიღო ცეცხლიდან სამი მუგუზალი, რომელნიც იყვნენ კვიპაროსისა, ნაძვისა და სოჭისა და უბრძანა ლოტსა: დანერგე ეს მუგუზალნი და მორწყე; უკეთუ ეს მუგუზლები იხარებენ და გაიზრდებიან, ეს იქნება ნიშნად მიტევებისა შენის მძიმე ცოდვისა. ლოტმა შეასრულა ესრეთ, ვითარცა უბრძანა მას ბიძამან; მუგუზლები განედლდნენ, აღმოსცენდნენ და შეერთდნენ ერთ ხედ. სოლომონ მეფის ტაძრის აღშენების დროს იქმნა მოჭრილი ეს ხე, მაგრამ, რადგანაც არ გამოდგა შენობისთვის, იგი იქმნა დატევებულ უხმარებლად. ხოლო მაცხოვრის ჯვარცმის დროს, საკუთარის განგებითა ღვთისათა, იგი იქმნა მიღებულ და ხმარებულ მოსამზადებლად, რომელზედაც ჯვარცმულ-იქნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე (კონჭოშვილი 1901: 77-78).

წმინდა ჯვრის შესახებ პ. კონჭოშვილს თავის წიგნში კიდევ ერთი ლეგენდა აქვს მოხმობილი:

მეორე გარდმოცემა მოგვითხრობს შემდეგსა: როდესაც პირველი მამა ადამ მძიმედ დასნეულდა, მან წარავლინა სეით, ძე თვისი, ედემსა, რათამცა ეთხოვნა წამალი საკურნებელად უძლურებისა. ანგელოზმა, რომელიც იცავდა სამოთხის ბჭეთა ცეცხლის ხრმალითა, წამლის მაგიერ მისცა მას სამი თესლი კვიპაროსის, ნაძვის და სოჭისა. მაგრამ სეითის მობრუნებამდის უკვე გარდაიცვალა ადამ. სეითს მოუვიდა აზრად დათესვა ამ სამის თესლისა მამის საფლავზედა. ამ სამის თესლისაგან აღმოსცენდა შემდეგ ერთი დიდი ხე. როდესაც აშენებდნენ სოლომონის ტაძარსა და ყოველის მხრიდგან შეჰკრებავდნენ უმჯობეს მასალათა, მაშინ ეს ხეც იქმნა მოკვეთილ; მაგრამ გამოჩნდა იგი ხმარებისათვის უვარგისად; ამისათვის იგი იქმნა გადადებულ მახლობელს სილოამის საბანელში ხიდათ, რომლითაც გადადიოდნენ მეორე ნაპირზედ. როდესაც უფალსა იესო ქრისტეს მიუსაჯეს ჯვარცმით სიკვდილი, მაშინ ურიათა მოინდომეს მძიმე ხისაგან შემზადება ჯვარისა მათ მიერ მოძულებულის რაბინისათვის (მოძღვრისა) და აღირჩიეს ეს ხე, ვითარცა ყველაზედ უმძიმესი, რადგანაც მთელი საუკუნოები იდვა წყალში (კონჭოშვილი 1901: 77-78).

როგორც მივუთითებდით, ბიბლიური ხის შესახებ ორი გადმოცემა არსებობდა, აქედან ერთი სათავეს იღებდა ებრაული წყაროებიდან და ხის აღმოცენებას ადამთან აკავშირებდა, ამ გადმოცემამ გავრცელება ჰპოვა ბიზანტიურ სამყაროში, ხოლო მეორე გადმოცემა – წმინდა ხეს ბიბლიურ ლოტთად აკავშირებდა და ის პალესტინაში უნდა შექმნილიყო V-VI საუკუნეებში. თ. მგალობლიშვილის აზრით, მოგვიანებით, კერძოდ, XI საუკუნის დასაწყისიდან გოლგოთა, როგორც წმინდა ხის აღმოცენების ადგილი, ჩაანაცვლა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის აშენების ადგილმა, ხოლო ადამი კი – ბიბლიურმა ლოტიმ:

XI ს-ის პირველი ნახევრიდან, გიორგი-პროხორეს დროიდან (წმ. ჯვრის მონასტრის მშენებლობის დასრულებისთანავე) ჯვრის მონასტერთან ხდება წმ. ლოტის პალესტინური ტრადიციის დაკავშირება: გოლგოთა, როგორც წმ. ძელის აღმოცენების ადგილი იცვლება წმ. ჯვრის მონასტრის ადგილით და ამის საფუძველზე, ეს უკანასკნელი ხდება ერთ-ერთი უწმინდესი ადგილი წმ. მიწაზე (მგალობლიშვილი 2004: 180-181).

ე. მამისთვალიშვილის აზრით, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის დაარსება დაკავშირებულია პეტრე იბერის სახელთან, მონასტრის სახელი კი პეტრეს მიერ კონსტანტინოპოლიდან წაღებულ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილისაგან უნდა მომდინარეობდეს:

იოანე რუფუსის თხზულებაში არის გადმოცემა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია პეტრე იბერის სახელთან. პეტრემ იმპერატორის სასახლიდან გაქცევისას წმ. მიწაზე ჩაიტანა იერუსალიმელი ხუცებისაგან კონსტანტინოპოლში შეძენი-

ლი ჯვარცმის ჯვრის სასწაულთმოქმედი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის წმინდა ჯვართან დაკავშირებული უადრესი ლეგენდა ან ლეგენდათაგან ერთ-ერთი. შეიძლებოდა იგი გადაქცეულიყო მონასტრის დაარსების თეორიულ საფუძვლად. გავიხსენოთ პეტრეს მიერ ასევე კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში ჩატანილი მოწამეთა ნაწილების მიხედვით დაარსებული მონასტერი (მამისთვალიშვილი 2014: 68).

მკვლევრის აზრით, პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტერი თავიდანვე ჯვარის სახელობის უნდა ყოფილიყო:

დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მონასტერი თავიდანვე ჯვარის სახელობის იყო და ამ სახელწოდებას ადრეულ პერიოდში კავშირი არ ჰქონდა ლოტის მიერ დარგული ხის ლეგენდასთან, მაგრამ კავშირი ჰქონდა იმ ხესთან, რომელიც მონასტრის ადგილას მოჭრეს და ჯვარცმის ჯვარისათვის გამოიყენეს. ამაზე მიგვანიშნებს საკურთხეველში აღმოჩენილი ჯვრის ფორმის ენკენიონი და მასზე გამოსახული ჯვარი. სარწმუნოა იმ ორმოს (თალასას) არსებობა ენკენიონის მახლობლად, სადაც იდგა ხე. რაც შეეხება მონასტრის მთავარი ტაძრის სახელწოდებას, იგი თავდაპირველად ღვთისმშობლის სახელობის იყო, მაგრამ შემდეგში მას რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. სხვადასხვა პილიგრიმები და მწერლები სხვადასხვა დროს მას მოიხსენიებდნენ: ხარების, კონსტანტინესა და ელენესი, ბოლოს წმ. ნიკოლოზის, მთავარანგელოზის და ჯვარის (მამისთვალიშვილი 2014: 64-65).

ლოტის სახელთან დაკავშირებული წმ. ჯვრის ლეგენდა როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს, გვიანდელ პერიოდში უნდა შექმნილიყო:

ზაქარია ქართველის, იოანე რუფუსის, ზევულფისა და დანიელ წინამძღვრის თხზულებები მიგვანიშნებს, რომ ლოტის სახელთან დაკავშირებული წმ. ჯვარის ხის ლეგენდა გვიანდელი წარმოშობისაა, უეჭველია, რომ მათ მის შესახებ არ იცოდნენ არც V და არც XI-XII საუკუნეებში. დღეისათვის ცნობილი ლოტთან დაკავშირებული ლეგენდა რომ სცოდნოდათ, ისინი გვერდს ვერ აუვლიდნენ და აუცილებლად იტყოდნენ (მამისთვალიშვილი 2014: 67).

როგორც მივუთითებდით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება დაკავშირებულია პეტრე იბერის სახელთან. რატომ აირჩია უდიდესმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ და ფილოსოფოსმა ის ადგილი, სადაც წმინდა ჯვრის მონასტერი დააარსა? ან როდიდან იღებს სათავეს ქართველთა ჯვრის მონასტერის ადგილზე ბიბლიური ხის აღმოცენების ამბავი? როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ამშენებლის შესახებ. მკვლევართა ნაწილი (თ. მგალობლიშვილი, გ. ჯაფარიძე) მონასტრის ამგებად XI საუკუნის მოღვაწეს-გიორგი პროხორე შავშელს მიიჩნევს, ხოლო ე. მამისთვალიშვილის აზრით, წმ. ჯვრის მონასტრის დამაარსებელი პალესტინაში მოღვაწე ქართველი ეპისკოპოსი პეტრე იბერია. უდავოა, რომ XI საუკუნემდე იერუსალიმში წმ. ჯვრის მონასტერი არსებობდა. ის იხსენიება VI საუკუნის ერთ ბერძნულ ხელნაწერში. როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს: „ხელნაწერის მიხედვით, წმ. ჯვრის მონასტერი იმ შორეულ წარსულშიც უაღრესად გამაგრებული და საიმედო თავშესაფარი იყო და იგი, როგორც ჩანს, VI საუკუნეში, ოფიციალურად, ჯვრის სახელით მოიხსენიებოდა“ (მამისთვალიშვილი 2014: 69). ადგილი, სადაც შემდგომში წმინდა ჯვრის მონასტერი აშენდა, ბიბლიურ ლოტისთან იყო დაკავშირებული. ე. მამისთვალიშვილს თავის ნაშრომში მოჰყავს ერთ-ერთი ცნობა წმინდა ჯვრის მონასტრის ადგილზე თავის დროზე ლოტის სამლოცველოს არსებობის შესახებ, რომლის მიხედვით: 1948 წელს წმინდა ჯვრის მონასტერში მცხოვრებმა ვინმე შმიდტმა პალესტინაში მყოფ მკვლევრებს

მიაწოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, მონასტრიდან 150 მეტრის დაშორებით, ბაღში იყო ათი ნაბიჯის დიამეტრის ქვით მოკირწყლული ბუნებრივი მღვიმე, რომელიც ოდესღაც სამლოცველოს ფუნქციას ასრულებდა. მღვიმეში ჩასვლა შეიძლებოდა საფეხურებით. მის გვერდით იყო საერთო საფლავი. მღვიმე მიძღვნილი უნდა ყოფილიყო წმ. ლოტის ხსოვნისადმი (მამისთვალიშვილი 2014: 38). მღვიმე იმ დროისათვის ამოქოლილი ყოფილა. თ. მგალობლიშვილის აზრით, ლოტის სამლოცველო V-VI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს (მგალობლიშვილი 2004: 181). ამის გარდა, ჯვრის მონასტრის აშენებას ლოტის მიერ ჯვარცმის ხის დარგვასთან აკავშირებს ტაძარში შემორჩენილი ფრესკები სწორედ იმ ადგილზე, სადაც ცხოველმყოფელი ხე მოიჭრა. აქ არის გამოსახული ლოტის და მისი ოჯახის მიერ სოდომიდან გაქცევის, მამა აბრამის მიერ ლოტისადმი მიცემული სამი ნერგის (ზეთისხილი, კიპარისი, კედარი), ლოტის მიერ ნერგების დარგვის, შემდეგ იორდანეს წყლით ერთ ხედ გადაქცეული სამი ნერგის მოვლის, ხის მოჭრის და ჯვრის დამზადების სცენები (მამისთვალიშვილი 2014: 65-66). ე. მამისთვალიშვილი მიიჩნევს, რომ ლოტის და წმ. ჯვრის ლეგენდები ერთმანეთთან XI საუკუნეში მონასტრის აღდგენის სურვილის მქონე ქართველებმა დააკავშირეს, რომ ამ ადგილისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინათ:

> მონასტრის ოდინდელი დიდების აღდგენის სურვილი ქართველებში იმდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ მისი დაარსების ისტორიული ლეგენდისათვის, რომელიც ჯვართან იყო დაკავშირებული, საჭირო იყო ახალი, კიდევ უფრო მეტი თეორიული საფუძვლის შექმნა და ცხოველი ინტერესის გამომწვევი ლეგენდით გამდიდრება. სავარაუდოა, ქართველების მიერ იმის მტკიცება, რომ მონასტრის ნაგებობა მათ ეკუთვნოდათ და ჯვარის სახელს ატარებდა, მუსლიმი ხელისუფლებისათვის ბევრი არაფრის მთქმელი იყო. ამიტომ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქმნებოდა და იხვეწებოდა ისეთი ლეგენდა, რომელიც მონასტრის ადგილსა და განადგურებამდე მისულ ნაგებობას უფრო განადიდებდა და შთაბეჭდილებას მოახდენდა ეთნიკურად და რელიგიურად შეცვლილ პალესტინის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით მუსლიმანებზე (მამისთვალიშვილი 2014: 95-96).

ცხოველმყოფელი ხის აღმოცენების ლეგენდა, რომელიც მას ლოტისთან აკავშირებდა, პალესტინაში უნდა შექმნილიყო V-VI საუკუნეებში. პალესტინაში, იორდანეს უდაბნოში მოღვაწე პეტრე იბერმა (ჩაჩანიძე 1974) დიდი ალბათობით, იმ ადგილზე გადაწყვიტა ახალი მონასტრის დაარსება, სადაც გადმოცემით ლოტის სამლოცველო იდგა. ეს ადგილი, კი, შესაძლებელია, ჯერ კიდევ პეტრე იბერის მოღვაწეობამდე ქართველებს ეკუთვნოდათ. როგორც ე. მამისთვალიშვილი წერს:

> ვფიქრობ, არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ თანამედროვე წმ. ჯვრის მონასტრის ადგილას, ან მის მახლობლად, აღნიშნულ საუკუნეებში ქართველებს რაღაც სამლოცველო მაინც ჰქონდათ, რომლის საფუძვლისჩამყრელი შეიძლება მირიან მეფე იყო. მის ადგილას შემდეგში (V ს.) პეტრე იბერმა შესანიშნავი ტაძარი ააგო (მამისთვალიშვილი 2014: 52).

ვინაიდან პალესტინაში პოპულარული იყო გადმოცემა წმინდა ხის ლოტთან კავშირზე, თანაც ახალი მონასტრის დამაარსებელ პეტრეს ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილიც ჰქონდა,[4] სწორედ ეს ორივე ფაქტორი უნდა ყოფილიყო მონასტრისათვის ჯვარის სახელის დარქმევის საფუძველი. როდის არის ბიბლიური ლოტის მიერ წმინდა ხის დარგვასთან დაკავშირებით ფრესკები შესრულებული ძნელი სათქმელია, თუმცა ამ საქმის დამკვეთმაც და შემსრულებელმაც იცოდნენ რომ აქ, ოდესღაც მონასტრის დაარსების საფუძველი სწორედ ბიბლიური ხის აღმოცენება უნდა ყოფილიყო. ჯვრის მონასტერში ძველი დროიდანვე აღინიშნებოდა დღესასწაული, რომელიც დაკავშირებული იყო წმინდა ხის

მოჭრასთან. როგორც თ. მგალობლიშვილი მიუთითებს, ჯვრის მონასტერში ამ დღესასწაულის აღნიშვნა დადასტურებულია XV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ კოლექტიური მოგზაურობის კრებულში, რომლის ავტორი, თუ შემდგენელი ნოე ბიაკონკო იყო. ეს დღესასწაული აღინიშნებოდა მონასტრის მთავარ ტაძარში ყოველწლიურად. პასექიდან მეორე კვირა დღეს გალობდნენ: „გაიხსენე“. წყაროს მიხედვით, ამ დღეს ყველა წარმოშობის ქრისტიანები, ასევე იერუსალიმელი სარაცინები ამბობდნენ, რომ ამ დღეს მოიჭრა ბიბლიური ხე (მგალობლიშვილი 2004: 182). თ. მგალობლიშვილი ამ დღესასწაულს აიგივებს სხვადასხვა ქართულ ტექსტებში (ხანმეტი ლეციონარი V ს. იოანე ზოსიმე კალენდრის (X ს.) არქაული ფენა, *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, *ქართლის ცხოვრება*) მოხსენებულ დღესასწაულთან, რომლის დროსაც მეორე იერუსალიმში ანუ მცხეთაში წმინდა ჯვრის შესაქმნელად საკრალური ხის მოჭრას და მცხეთის მახლობლად ბორცვზე აღმართვას აღნიშნავდნენ. დასახელებული წყაროების მიხედვით, ეს დღესასწაული აღინიშნებოდა „აღვსების ზატიკის ზატიკს,“ ანუ აღდგომის შემდეგ მეორე კვირა დღეს, მოძრავი კალენდრით (მგალობლიშვილი 2004: 182). თ. მგალობლიშვილი ამ ორ დღესასწაულს, ვგულისხმობთ, XV საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ წყაროში მოხსენიებულ წმ. ხის მოჭრის დღესასწაულს და ქართულ წყაროებში შემონახულ „აღვსების ზატიკისა ზატიკს“, ერთმანეთთან აიგივებს და მიაჩნია, რომ ის იერუსალიმიდან უნდა შემოსულიყო საქართველოში (მგალობლიშვილი 2004: 183).

აღსანიშნავია, რომ ცხოველმყოფელი ხის მოჭრის გადმოცემის ქართულ სინამდვილეში ძველი დროიდანვე დამკვიდრების შესახებ ყურადღება გაამახვილა ზ. ავალიშვილმა. მისი აზრით, ქართველების მიერ მონასტრის აგებას და ქართული კოლონიის შექმნას ბიძგი მისცა გადმოცემამ, რომ სწორედ იმ ადგილზე იყო ამოსული ცხოველმყოფელი ხე, საიდანაც შემდეგ ჯვარი დაამზადეს. მკვლევარი წერს:

> მაგრამ ჩვენ ვერ შევჩერდებით აქ იმის გამოკვლევაზე, თუ რა მიზეზით ძველ ქართულ ნაწერებში მოქცევის შესახებ ჯვარს, აღმართებას, ძელი ცხოვრებისას ისეთი დიდი ადგილი უკავია. არც იმაზე, თუ როდის და როგორ შემუშავდნენ საქართველოში ცნობილი გადმოცემანი ქრისტეს ჯვარცმის ნივთიერ ნაშთთა შესახებ (კვართისა, „სამსჭუალთა“, ე. ი ლურსმნების და თვით ჭეშმარიტი ძელისა). ამ მხრივ იერუსალიმის და სხვა წმინდა ადგილთა ტრადიციების გავლენა ღრმა უნდა ყოფილიყო. ქართველებმა კერძოდ იერუსალიმთან ადრე დაიჭირეს კავშირი. დაახლოებით ათასი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, მრავალი ძეგლიც დარჩათ მათი იქ მოღვაწეობისა. ქრისტეს ჯვარი, მისი საფლავი, გოლგოთა მათთვის თანდათან გახდა არა მარტო სარწმუნოების საგნად, არამედ ცხოვრების ასპარეზადაც. განთქმული ჯვარის მონასტერი იმ ხის ძირზე აშენებული ეგონათ, რომლიდან ქრისტეს ჯვარი იყო ამოჭრილი. და თვით ეს ადგილი, სადაც ეს ჯვარი იდგა, როდესაც იესო ივნო, მათ ხელში იყო. მთელი მათი იქ ცხოვრება ამგვარად ამ ჯვარის თქმულებაზე ყოფილა აშენებული. და თუმცა შენახული ცნობები, ნათქვამის დამახასიათებელი, უფრო გვიან ხანას ეკუთვნის, თვით ამ გრძნობათა და აზრთა ფესვები და პირველი ნასახები უეჭველად უფრო ძველია (ავალიშვილი 1989: 12-13).

როგორც ვხედავთ, ზ. ავალიშვილი ქართველთა მიერ ჯვრის მონასტრის აშენების მიზეზად სწორედ იმ ხის აღმოცენებას მიიჩნევს, საიდანაც წმ. ჯვარი შეიქმნა და მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ წერილობითი ცნობები შედარებით გვიანდელია, მკვლევრის აზრით, გადმოცემა გაცილებით ძველი დროისა უნდა იყოს, რასაც არამხოლოდ იერუსალიმში მცხოვრებ ქართველებზე ექნებოდა დიდი გავლენა, არამედ იმ დროის საქართველოზეც, რა დროსაც ქართველების მიერ ჯვრის მონასტრის აგებას ჩაეყარა საფუძველი. ეს გადმოცემა იერუსალიმის ქართული კოლონიის გავლენით მაშინვე გავრცელდებოდა ჩვენს ქვეყანაშიც და, შესაბამისად, წმინდა ხის მოჭრის აღსანიშნავი დღესასწაულიც

(მცირეოდენი განსხვავებით) დამკვიდრდა ქართულ სინამდვილეში. დღესასწაული დაკავშირებული იყო იმ ადგილთან, სადაც გადმოცემით ლოტმა დარგო სამი ხე, იმ ადგილთან, სადაც ერთ დროს ლოტის სამლოცველო იყო, იმ ადგილთან, სადაც ქართველებმა, სავარაუდოდ, მირიანის მეფობის დროს მოიპოვეს უფლებები,[5] ააგეს სალოცავი, ოდნავ მოგვიანებით კი დიდმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ-პეტრე იბერმა წმინდა ჯვარის სახელზე მონასტერი დააარსა. სწორედ აქედან გავრცელდა საქართველოში წმინდა ხის მოჭრის ფაქტთან დაკავშირებული დღესასწაული, რომელიც მცხეთაში აღინიშნებოდა. ამის გამოძახილი უნდა ყოფილიყო მეორე იერუსალიმში – მცხეთაში ჯვარის მონასტრის აგება, რომელსაც წმინდა მიწაზე ქართველთა მთავარი სასულიერო ცენტრის მეტოქიონის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება, იმ ფაქტს, რომ პეტრე იბერის ბიოგრაფებს არაფერი აქვთ ნათქვამი არც ლოტის და არც ამ ადგილის წმინდა ხესთან კავშირის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტრე, ქრისტიანული ეკლესიის ეს უდიდესი მოღვაწე, ცნობილი იყო, როგორც „მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ადამიანი“, „ქრისტეს მოციქული,“ „დიდი“, „გამოჩენილი“ (ჩაჩანიძე 1974: 21). შესაძლოა, მისმა ბიოგრაფებმა განგებ გამოტოვეს ის ფაქტი, რომ პეტრეს მიერ დაარსებულ ჯვრის მონასტრის ადგილზე მანამდეც არსებობდა ლოტის სახელზე აგებული სამლოცველო, ამით უნდოდათ, რომ კიდევ უფრო მეტად წარმოეჩინათ წმინდა მამის განსაკუთრებული ღვაწლი და პეტრეს ღვთიური ხილვა, რაც რუფუსის გადმოცემით ტაძრის აგების საფუძველი გახდა (მამისთვალიშვილი 2014: 68).

ამრიგად, წმინდა მიწაზე ქართველების მიერ პირველი სალოცავის აგება იმ ადგილს უკავშირდება, სადაც ლოტის სამლოცველო (მღვიმე) იყო. გადმოცემა სწორედ აქ მიანიშნებდა წმინდა ხის დარგვას და შემდეგ მის მოჭრას, სწორედ ამიტომ შეიქმნა ჯვრის მონასტრის ადგილზე ლოტის სახელობის სამლოცველო, მოგვიანებით კი – ქართველთა მონასტერში ცხოველმყოფელი ხის აღმოცენების, გაზრდის და მოჭრის ამსახველი ფრესკები. წმინდა ხის აღმოცენების ლეგენდამ და ძელი ცხოველის ნაწილის არსებობამ (რომელიც პეტრე იბერმა დააბრძანა) განაპირობა მონასტრისთვის წმინდა ჯვარის სახელის დარქმევაც. ქართველთა ამ უდიდეს სასულიერო ცენტრის დამაარსებელს აქტიური კავშირი ჰქონდა ქართლის სამეფოსთან, ამას ადასტურებს იტალიელი არქეოლოგის, ვირჯილიო კორბოს მიერ 1946 წელს, იორდანეს უდაბნოში, კერძოდ, ბირ ელ-ყუტის მიდამოებში აღმოჩენილი ქართველთა მონასტრის წარწერები (ჩაჩანიძე 1974: 37).[6] შემთხვევით არ არის ჯვრის მონასტრის მთავარი დღესასწაულის გადატანა მცხეთაში და, ასევე, მცხეთის გვერდით ჯვარის მონასტრის მშენებლობა, რომელიც, სავარაუდოდ, როგორც ითქვა, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის მეტოქიონი იყო.

შენიშვნები

1. ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ამშენებლის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი მონასტრის დამაარსებლად პროხორე შავშელს მიიჩნევს და მონასტრის ძირითადი ნაწილის დასრულების თარიღად 1038 წელს თვლის. (ჯაფარიძე 2018: 39-40) ე. მამისთვალიშვილის აზრით, წმინდა ჯვრის მონასტრის დაარსება V საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწის, პეტრე იბერის სახელს უკავშირდება. რაც შეეხება პროხორეს, ამის შესახებ მკვლევარი წერს: „ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მიღებულია და ევროპელმა მკვლევრებმაც გაიზიარეს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი XI საუკუნეში დააარსა შავშეთელმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი-პროხორემ. მე კი, იმავე, საყოველთაოდ ცნობილ მასალაზე დაკვირვებით, იმ დასკვნამდე მივედი, რომ წმ. ჯვრის მონასტერი XI საუკუნის დასაწყისში ისევ არსებობდა, შეიძლება, ძლიერ დაკნინებული და საჭიროებდა გადაუდებელ რესტავრაცია-რეკონსტრუქციას. ძველი მონასტრის მოძღვარი და, შეიძლება, მისი განახლების დამწყები იყო გიორგი ჯვარელი, რომლის დიდი და ხანგრძლივი საქმე გააგრძელა და ბრწყინვალედ დაასრულა პროხორემ“ (მამისთვალიშვილი 2014: 97).

2 თ. ბაგრატიონის ცნობით, ცხოველმყოფელი ხე მაცხოვრის ჯვარცმამდე სოლომონის მიერ აგებულ ტაძარში ინახებოდა: „და ოდეს სოლომონმან აღაშენა ტაძარი იერუსალემისა, მაშინ ხე იგი მოჰკვეთეს სახმარებლად ტაძრისა და ვინაიდგან იქმნეს მრავალნი სასწაულნი მას ხესა ზედა; ამისთვის დაიდვა იგი ბრძანებითა სოლომონ ბრძნისათა ტაძარსა შინა სოლომანისსა, და ვიდრე ვნებამდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა იყო ხე იგი მუნ და ოდეს ეგულვებოდათ ჯვარსცმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ურიათა; მაშინ ხე იგი ქმნეს ჯუარად და მას ზედა ჯუარს-აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე“ (ბაგრატიონი 1848: 275-276).

3 გ. ავალიშვილის ცნობით, იქ, სადაც ბიბლიური ხე იყო მოჭრილი, წმინდა ჯვრის მონასტერში ჩაუქრობლად ენთო ორი კანდელი. ამ გამორჩეულ ადგილზე დაბრძანებული ყოფილა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოოქროვილი ხატი და ასევე ჯვარი, რომელშიც ჩატანებული იყო მოოქროვილი ძელი ჭეშმარიტის ნაწილი. ხატიც და ჯვარიც საქართველოდან იყო ჩამოტანილი და ის ქართველ სასულიერო პირს, არქიმანდრიტ ნიკიფორე აბაშიძეს შეუწირავს: „ხოლო საკურთხეველსა შინა წმიდისა ტრაპეზისა ქჳჱშე არს ადგილი ანუ ფოსო, რომელსაცა ზედა ლოთისა მიერ დარგვული მუგუზი და სინანულისა ძლით მისისა ნედლ დიდ ხედ ქმნილი მოუჭრიესთ უღმრთოთა ურიათა ჯუარცმად სოფლისა მჴსნელისა. აქ ანთია სამარადოდ ორი კანდელი, ასუჱნია ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა ოქროჲთა შემკობილი და მას ზედა დამოკიდებით მოდიდო ჯუარი ოქროჲსავე ძელჭეშმარიტიანი, ძჯრფასითა ქუჱბითა მოჭედილი. ორნივე ესე ხატ-ჯუარნი არიან შეწირვულ არხიმანდრიტისა ნიკიფორე აბაშიძისა მიერ და ქართვულ მჴედრულისა ასოებით გარეშემოწერილნი“ (ავალიშვილი 1967: 214). ბიბლიური ხის მოჭრის ადგილს იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში, როგორც მივუთითებდით იხსენიებს თეიმურაზ ბატონიშვილი, თუმცა საქართველოდან ჩატანილი მოოქროვილი ხატის და ჯვრის შესახებ ის არაფერს ამბობს, სავარაუდოდ, ეს სიწმინდეები იმ დროისთვის დაკარგული იყო: „ხოლო ტრაპეზი ჯვარის მონასტრისა სდგას ძირსა ზედა მის ხისა, ლოთის მიერ დარგულისა და ძირი იგი ხისა მის აქამომდე ვიდრე მოდღეინდელად დღემდე იხილვების ქვეშე წმინდისა ტრაპეზისა“ (ბაგრატიონი 1848: 276).

4 პეტრე იბერის მიერ კონსტანტინოპოლიდან ძელიცხოველის ნაწილის წაღების შესახებ ზაქარია ქართველი წერს: „აღიხუნეს წმიდათა მათ (საუბარია პეტრეზე და მის მასწავლებელზე-იოანეზე-გ.ს.) ნაწილნი იგი წმიდათა მოწამეთანი და წმიდაჲ სახარებაჲ და ნაწილი ძელისა ცხოვრებისაჲ, და ვიწყვეთ სვლად“ (ქრესტომათია 1946: 262). იგივე ავტორი პეტრეს მიერ წმინდა ნაწილების, მათ შორის სახარებაში ჩატანებული წმინდა ჯვრის კონსტანტინოპოლიდან წაღების შესახებ წერს: „ორივემ (საუბარია პეტრეზე და მის მასწავლებელ იოანეზე-გ.ს.) თავიანთი მგზავრობა მოაწყვეს წმინდა მოწამეებთან ერთად, რომელნიც მათი მცველები და მძღოლები იყვნენ... ისინი ოქროს ყუთით ატარებდნენ მათ სათაყვანო ნეშტებს, მაგრამ გარდა ამისა, მათ თან ჰქონდათ მხოლოდ კიდევ იოანეს სახარების პატარა წიგნი, რომელშიაც ჩატანებული იყო წმინდა და სათაყვანებელი გამკურნებელი ხისტარის ერთი ნაწილი, რომლის შემწეობითაც ისინი დაცულნი იყვნენ... იმ ნაწილს მგზავრობის დროს განუწყვეტლივ მთელი კვირის განმავლობაში ზეთი სდიოდა, ისიც იმდენი, რომ ისინი თავიანთი ხელებით იღებდნენ ამ ზეთს და იცხებდნენ სახესა და სხეულზე, და მაინც კიდევ ბევრი იღვრებოდა“ (ქრესტომათია 1946: 262).

5 თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ადგილი, სადაც შემდგომში წმინდა ჯვრის მონასტერი აშენდა, მირიან მეფეს ბიზანტიის იმპარატორმა კონსტანტინემ გადასცა. ეს „ბერძენთა საეკლესიო მოთხრობის“ თანახმად ბიბლიური ხის ადგილი იყო. წმინდა ჯვრის მონასტრის მშენებლობა სწორედ მირიანს დაუწყია: „მირიანის მეფის ჟამსა დაწყებულა იერუსალემს ქართველთ ჯვარის მონასტერი, პირველად მცირე ეკკლესია აშენებულა და შემდგომითი შემდგომად განუდიდებიათ საქართველოს მეფეთა და განუშვენებიესთ და განუმდიდრებიესთ ფრიად“ (ბაგრატიონი 1848: 276).

6 წარწერებში, როგორც ცნობილია, მოხსენიებულნი არიან ქართლის სამეფო ოჯახის წევრები, მათ შორის, პეტრე იბერის პაპა, IV საუკუნის ქართლის მეფე ბაკური, ასევე პეტრეს მამა ბუზმირი, რაც ცხადყოფს წმინდა მიწასთან ქართლის სამეფო კარის მჭიდრო კონტაქტს. მცხეთაში არსებული ტოპონიმები, „ანტიოქია“ „ბეთლემი“, „გეთსიმანია“, ქართლის სამეფო ცენტრის მეორე იერუსალიმად მიჩნევის დამადასტურებელია.

დამოწმებანი

ავალიშვილი 1989: ზ. ავალიშვილი. *ჯვაროსანთა დროიდან*. თბილისი.

ავალიშვილი 1967: გ. ავალიშვილი. *მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა. თბილისი.

ბაგრატიონი 1848: თ. ბაგრატიონი. *ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა.* სანკტ-პეტერბურგი.

ვორაგინი 1931ა: *The Golden Legend or Lives of the Saints.* Compiled by Jacobus de Voragine, Archbishop of Genoa, 1275 First Edition Published 1470. Englished by William Caxton, First Edition 1483. Vol. I. From the Temple Classics Edited by F.S. Ellis. First issue of this Edition, 1900 Reprinted 1922, 1931. Retrieved from https://sourcebooks.fordham.edu/basis/goldenlegend/GoldenLegend-Volume1.asp#Adam (ნანახია: 10.09.2025).

ვორაგინი 1931ბ: *The Golden Legend or Lives of The Saint*. Compiled by Jacobus de Voragine, Archbishop of Genoa, 1275 First Edition Published 1470 Englished by William Caxton, First Edition 1483. Vol. V, From the Temple Classics Edited by F.S. Ellis. First issue of this Edition1900 Reprinted 1922, 1931 https://sourcebooks.fordham.edu/basis/goldenlegend/GoldenLegend-Volume5.asp.

იღუმენი დანიელი 1995: Житие и хожение Даниила, игумена русской земли. *Путешествия в Святую Землю: Записки русских паломников и путешественников.* Москва. https://www.vostlit.info/Texts/rus17/Daniil_igumen/text1.phtml?id=10314 (ნანახია: 13.09.2025).

კონჭოშვილი 1901: პ. კონჭოშვილი. *მოგზაურობა წმ. ქალაქს იურესალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.* თბილისი.

კრებული 1885: Путешествие Зевульфа в Святую Землю (1102-1103 гг.). *Православный Палестинский сборник.* Вып. 9. СПб.

მამისთვალიშვილი 2014: ე. მამისთვალიშვილი. *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი.* თბილისი.

მგალობლიშვილი 2003: თ. მგალობლიშვილი. ჯვრის მონასტერი. *ჰუმანიტარული მეცნიერებათა ჟურნალი "ACADEMIA".* ტ. 5. ვებგვერდი: https://www.amsi.ge/academia/05/A5-4.pdf; (ნანახია: 13.09.2025).

მგალობლიშვილი 2004: თ. მგალობლიშვილი. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი (ლეგენდები და სინამდვილე). კრებულში: *ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში.* თბილისი.

ტიმოთე, მთავარ-ეპისკოპოსი 1852: *მოხილვა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა.* ტფილისი.

ტობლერი 1854: *Dr. Titus Toblers zwei Bucher Topographie von Jerusalem und seinen Umgebungen (in German).* Vol. 2. Berlin.

ქრესტომათია 1946: *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია.* ი. ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი.

ქსე 1987: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 11. თბილისი.

ჩაჩანიძე 1974: ვ. ჩაჩანიძე. *პეტრე იბერი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში.* თბილისი.

ჯაფარიძე 2018: გ. ჯაფარიძე. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში.* თბილისი.

ჰერზოგი 1969: S. Herzog. Gossart, Italy, and the National Gallery's Saint Jerome Penitent. *Report and Studies in the History of Art,* 3, 58-73. http://www.jstor.org/stable/42618036 (ნანახია: 09.09.2025).

TRADITIONS CONCERNING THE LIFE-GIVING CROSS OF THE SAVIOR AND THE GEORGIAN REALITY

Giorgi Sosiashvili
Gori State University
giorgisosiashvili@gmail.com

Numerous legends surround the sacred tree upon which the Savior of humanity, the incarnate Jesus Christ, was crucified—an association that is far from coincidental. With the spread of Christianity, this sanctified tree became an object of profound reverence among the faithful, and numerous miracles came to be attributed to it by the followers of the crucified Christ.

In our view, the celebration commemorating the cutting of the sacred tree assumed a somewhat distinct form within the Georgian cultural and religious context. The holiday became associated with the site where, according to legend, Lot planted three trees, as well as with the location where Lot's chapel once stood. This same site was believed to be the place where, supposedly during the reign of King Mirian, the Georgian people were granted certain religious rights, constructed a shrine, and, somewhat later, where the prominent ecclesiastical figure Petre the Iberian founded a monastery dedicated to the Holy Cross. It was from this sacred locus that the tradition of celebrating the cutting of the divine tree is thought to have spread throughout Georgia, particularly taking root in Mtskheta. This tradition likely found further expression in the construction of the Monastery of the Cross in Mtskheta – often referred to as the Second Jerusalem—which was intended to serve as a metochion (subsidiary monastery) of the principal Georgian spiritual center in the Holy Land. As for the omission by Petre the Iberian's biographers of any mention of Lot or the site's connection to the sacred tree, it is plausible that this was a deliberate choice. It is possible that a chapel dedicated to Lot had already existed on the site where Petre later established the Monastery of the Cross. By omitting this detail, the biographers may have sought to emphasize Petre's singular spiritual insight and divine vision – an experience that, according to Rufus, served as the foundation for the construction of the monastery.

Thus, the construction of the first Georgian shrine in the Holy Land is traditionally associated with the site of the Lot Chapel (or cave). According to legend, this was the very place where the sacred tree was planted and later felled, which explains why the Lot Chapel was established on the site where the Jvari Monastery would later stand. In time, the Georgian monastery came to feature frescoes depicting the miraculous appearance, growth, and felling of the life-giving tree. The legend concerning the sacred tree's origin, as preserved and promoted by Georgian clergy serving in the Holy Land – along with the presence of a relic believed to be a living fragment of the True Cross – contributed to the monastery being dedicated to the Holy Cross. This major Georgian spiritual center maintained strong ties with the Kingdom of Kartli. It is therefore no coincidence that the principal feast day of the Jvari Monastery was eventually transferred to Mtskheta, and that the Monastery of the Cross near Mtskheta was constructed – allegedly as a metochion (subsidiary monastery) of the Holy Cross Monastery in Jerusalem.

თრიალეთის უცნობი ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში (საერისთავოს ტერიტორიაზე შექმნილი ლაპიდარული წარწერების ინტერპრეტაციისთვის)[1]

ირაკლი ფაღავა
კავკასიის უნივერსიტეტი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mesefi@gmail.com

თამაზ გოგოლაძე
კავკასიის უნივერსიტეტი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
tazogogoladze@yahoo.com

XI საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ძირითად ლაიტმოტივს წარმოადგენს ურთიერთქმედება ორ უმნიშვნელოვანეს საგვარეულოს, ბაგრატოვანთა და ბაღვაშთა შორის; – ჯერ ბიზანტიელთა, შემდეგ კი თურქ-სელჩუკთა შემოტევის ფონზე. სამწუხაროდ, როგორი მრავალრიცხოვანიც (ეპოქის კვალობაზე) არ უნდა იყოს პირველწყაროები ამ ფეოდალური სახლის შესახებ, ბაღვაშთა ისტორიის მრავალი ფაქტი დღესაც გაურკვეველი რჩება. საბედნიეროდ, ახალი პირველწყაროების აღმოჩენა, ადრე ცნობილი პირველწყაროებისა და მათი ჩვენებების ახლებურად გააზრება, ხელმისაწვდომი მონაცემების შეპირისპირება – ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომშიც ახალი და უკვე ცნობილი პირველწყაროების კომპლექსური ანალიზის შედეგებია წარმოდგენილი. კერძოდ, საუბარი გვექნება ერთი მხრივ, ახალაღმოჩენილ სფრაგისტიკულ მასალაზე, მეორე მხრივ კი, – თრიალეთისა და ქვემო ქართლის ლაპიდარულ წარწერებზე, რომლებიც ბაღვაშთა დინასტიის სხვადასხვა წარმომადგენლის საქმიანობას უკავშირდება.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ბედენის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. ხრამის მარცხენა შენაკადის, მდ. კლდეისის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სოფელი კლდეისი. იქვე აგებული ეკლესია გამოირჩევა თავისი მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიკული მემკვიდრეობით: ჯერჯერობით დაფიქსირებულია 21 წარწერა (გოგოლაძე 2023ბ: 182-194); (გოგოლაძე 2024ა). კლდეისის ლაპიდარულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა (და დღემდე ატრიბუციის გარეშე რჩებოდა) *ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი წარწერა* (თაყაიშვილი 1913: 119); (გოგოლაძე 2023ბ: 187).

წარწერა ეკლესიის ნანგრევებთან დაგდებულ ღია ნაცრისფერ ქვაზე იყო ამოჭრილი (გოგოლაძე 2023ბ: 187); ეკლესიის აღდგენის პროცესში ქვა ხელახლა ამოყვანილ კედელში ჩააშენეს. წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა *(“Господи, помилуй душу эристава эриставовъ Вече. Аминь”)* (თაყაიშვილი 1913: 119); შემდგომ, თამაზ გოგოლაძემ (ამ და სხვა ლაპიდარული წარწერების დაწვრილებითი არქეოგრაფიული აღწერილობისთვის იხ. (გოგოლაძე 1923ბ: 187). სამწუხაროდ, წარწერა ნალექით მნიშვნელოვანწილად გადარეცხილია, რაც აძნელებს ზოგიერი გრაფემის გარჩევას. მიუხედავად ამისა, წარწერა მთლიანად იკითხება „გრაფემათა შემორჩენილი ფრაგმენტების, ტექსტის ადრეული პუბლიკაციისა და წარწერის კონტექსტის მიხედვით“ (გოგოლაძე 2023ბ: 187); ხელმი-

საწვდომია პალეოგრაფიული პირიც, რომელიც ჯერ კიდევ შესაბამისი კვადრის კედელში ხელახლა ჩაშენებამდე შესრულდა, და, ამრიგად, სიზუსტით გამოირჩევა (სურ. 1, 1ა). მოგვყავს წარწერის ტექსტი:

სურ. 1. 1ა.

Ⴓ̄Ⴓ Ⴟ̄Ⴢ̄Ⴠ ⴝⴆ̄Ⴅ
Ⴢh̄Ⴠ Ⴠ̄Ⴠⴝ̄Ⴅ Ⴅ̄Ⴢ
უ(ფალ)ო, გ(ანუსვე)ნე ს(უ)ლ(ს)ა
ვ(ა)ჩე ე(რისთავთ) ე(რისთავისა)სა, ა(მე)ნ

კლდეისის წარწერა ცალსახად ადასტურებს რეგიონში *ვაჩე ერისთავთ-ერისთავის* არსებობასა და მოღვაწეობას. მაგრამ, არ გვქონდა პასუხი მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე – ვინ იყო წარწერაში მოხსენიებული *ვაჩე და როდის მოღვაწეობდა? ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი წარწერა*, პალეოგრაფიული ნიშნებით „X-XI საუკუნეების წარწერათა ჯგუფს“ მიაკუთვნეს (გოგოლაძე 2023ბ: 187). ამ ეპოქისთვის აღნიშნული სახელის მატარებელ და ამ სახელოს / წოდების მქონე სხვა ისტორიულ პირს არ ვიცნობდით: ჯავახეთში, კუმურდოს ტაძრის *რელიეფურ წარწერაში,* – რომელიც დაახლოებით 964 წლით თარიღდება *(ვაჩე ერისთავის სააღაპე წარწერა)* (სილოგავა 1994: 45-46) – მოხსენიებული „ვაჩე“ აშკარად სულ სხვა პიროვნებაა (წარწერა სულ სხვა რეგიონში ამოკვეთეს; პალეოგრაფიულადაც ბევრად უფრო არქაულია; წოდებაც განსხვავებულია).

წინამდებარე ნაშრომის *მიზანია* კლდეისის ღმრთისმშობლის მონასტრის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენიებული *ვაჩე ერისთავთ-ერისთავის ვინაობისა* და ნათესაური კავშირების დადგენა; ასევე თრიალეთის საერისთავო ქვეყანაში *რატი ერისთავთ-ერისთავის* საქმიანობის დაზუსტება; კლდეისის წარწერებში მოხსენიებული *ჲვანეს / იოვანე ერისთავთ-ერისთავის* ვინაობის დადგენა-დაზუსტება; XI საუკუნის საქართველოსა და ბაღვაშთა საგვარეულოს ისტორიის საკითხების კვლევა.

***

ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელ წარწერაში მოხსენიებული ვაჩეს ვინაობის დასადგენად აქამდე მხოლოდ სამი მინიშნება გვქონდა:

1. წარწერის ლოკალიზაცია, კლდეისი, ადგილი სადაც გვხდება ლაპიდარული წარწერები როგორც ტბელთა, ასევე ბაღვაშთა მოხსენიებით (ტბელთა: *სპანდაღუდ და ქავთარ ტბელების წარწერა* (თაყაიშვილი 1913: 118); (ალექსიძე 2016: 143-144); (გოგოლაძე 2023ბ: 183-184); ბაღვაშთა: *ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა და რანთა მეფის სააღმშენებლო წარწერა* (გოგოლაძე 2023ა: 584-601). იქვე გვაქვს კიდევ ორი

ლაპიდარული წარწერა, რომელთა ატრიბუციაც არ არის ცალსახა და რომელთაც ქვემოთ მივუბრუნდებით: *ჲვანეს სავედრებელი წარწერა* (თაყაიშვილი 1913: 118); (გოგოლაძე 2023ბ: 182), *იოვანე ერისთავთ-ერისთავის სააღმშენებლო წარწერა* (თაყაიშვილი 1913: 119); (გოგოლაძე 2023ბ: 186-187);

2. ვაჩეს წოდება (ის *ერისთავთ-ერისთავია*); აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა ბაგრატ IV-ის მეტოქის, დიდი ლიპარიტის დროიდან ბაღვაშთა სახლის წარმომადგენლები თავის წარწერებში რეგულარულად მოიხსენიებიან *ერისთავთ-ერისთავის* წოდებით (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ); რაც შეეხება ტბელთა საგვარეულოს, ვიცნობთ მხოლოდ ერთ შემთხვევას (ვითვალისწინებთ მხოლოდ ცალსახად ტბელების ეპიგრაფიკულ ძეგლებს), როდესაც ამ ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, ივანე, *ერისთავად* (და არა *ერისთავთ-ერისთავად*, sic) მოიხსენიება: ეს არის სოფელ დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის სააღმშენებლო (ლაპიდარული) წარწერა (შოშიაშვილი 1980: 175-176); (ალექსიძე 2016: 144); გარდა ამისა, ზაზა ალექსიძის აზრით, წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი ასევე ტბელთა საგვარეულოს იგივე წარმომადგენელია (ალექსიძე 2016: 145-146); – ამ მოსაზრებას ვიზიარებთ; ოღონდ, ხაზს გავუსვამდით იმ გარემოებას, რომ ამ წარწერებში ივანე *ერისთავია* და არა *ერისთავთ-ერისთავი*. ამრიგად, სახელოდან / წოდებიდან გამომდინარე, კლდეისის წარწერაში მითითებული ვაჩე ბევრად მეტი ალბათობით ბაღვაშია, და არა ტბელი (თუმცა, მხოლოდ ამ არგუმენტით შეუძლებელი იქნებოდა გამოგვერიცხა – სულ სხვა გვარის წარმომადგენელი ყოფილიყო);

3. როგორც უკვე აღინიშნა (გოგოლაძე 2023ბ: 187), წარწერის პალეოგრაფიული მახასიათებლებია გრაფემების მიდრეკილება განუსხურებისადმი და ორხაზიანი ბადიდან გამოსვლა, ბუნიანი გრაფემების დაგრძელება. ამ ნიშნებით წარწერა X-XI საუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება.

4. ამ სამ მინიშნებას სულ ახლახანს, ჩანს, შემოემატა მეოთხეც: სფრაგისტიკული: ვგულისხმობთ XI საუკუნის ბიზანტიური ტიპის შეკიდულ ბეჭედს, ტყვიის ბულას, ვინმე ვაჩე ლიპარიტის სახელით.

ეს სფრაგისტიკული ძეგლი არსებითი სიახლეა; მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას დაწვრილებით განვიხილავთ, – ვეყრდნობით ვერნერ ზაიბთის პიონერულ სტატიას (ზაიბთი 2022); ზედწერილები ქართულად ჩვენ ვთარგმნეთ. ესაა შეკიდული ბეჭედი, რომელიც გაიყიდა Zeus Numismatics კომპანიის აუქციონზე 2021 წელს: Zeus Numismatics, Budget Auction 15. Greek, Roman, Byzantine, Medieval, Islamic Coins and Antiquities. 21.02.2021. Lot. 664. მოგვაქვს მისი აღწერილობა:[2] ტყვია, წონა „11 გ“, დიამეტრი 22 მმ (სურ. 2).

სურ. 2.

შუბლი: უსწორმასწორო წერტილოვან რკალში სრულად შენახული ბერძნული მთავრული ლეგენდა ხუთ სტრიქონად; ზედა სტრიქონს ზემოდან შემოსაზღვრავენ ქარაგმის ნიშნები და მათ ზემოთ, შუაში მოთავსებული ჯვარი); ბოლო სტრიქონში ერთადერთი გრაფემის მარცხნივ და მარჯვნივ მოგრძო დეკორატიული ხაზებია:

\+
K¯ЄR¯Θ
TWCW
ΔOVΛ
W
K(ύρι)ε, β(οή)θ(ει) / τῷ σῷ / δούλ- / -ῳ
+ უფალო შეეწიე მონასა შენსა

ზურგი: უსწორმასწორო წერტილოვან რკალში პრაქტიკულად სრულად შენახული ბერძნული მთავრული ლეგენდა ოთხ სტრიქონად (გრაფემები მასიურია); ზემოდან და ქვემოდან წაგრძელებული დეკორატიული ელემენტები:

RATC
[Є]ANTW
ΛΗΠΑΡ
ITHN
Βατσ- / -[ε]άν τῷ / Λιπαρ- / ἰτην
ვატსეასი [ვაჩეასი] ლიპარიტი

შუბლის ზედწერილი სტანდარტულია და მნიშვნელოვან ინფორმაციას არ შეიცავს (ზაიბთი 2022: 81).

სამაგიეროდ, ზურგის ლეგენდაში გვხდება ბიზანტიურ და ქართულ ისტორიაში ძალიან კარგად ცნობილი გვარი – *ლიპარიტი*: ამ გვარით მოიხსენიებიან ბიზანტიის იმპერიაში XI-XII საუკუნეებში მოღვაწე პირები, – ბაღვაშთა სახლის წევრები (კაჟდანი 1978: 91-92); (ზაიბთი 2001: 123-131); (ზაიბთი 2021: 144-150). მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოშიც, ყოველ შემთხვევაში, ქართულ პირველწყაროებში (ვიდრე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსამდე) ამ ფეოდალური გვარის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „ლიპარიტეთი“ (დონდუა 1948: 135-139).

საგვარეულო სახელის წინ ბეჭდის მფლობელის სახელი უნდა ეწეროს. სავსებით ვიზიარებთ ლეგენდის ვერნერ ზაიბთის მიერ მოწოდებულ ინტერპრეტაციას (ზაიბთი 2022: 82): გვარის წინ არის არა საკუთარი სახელი *Βατσεάντῳ* (ბატსეანტოს), არამედ ჯერ არტიკლი მიცემით ბრუნვაში *(τῷ)*, შემდეგ კი, მის წინ, საკუთარი სახელი *Βατσ[ε]άν* (Є გრაფემა საბეჭდავ მასალაზე არასრულად აღიბეჭდა, მაგრამ შემორჩენილი კვალი მაინც იძლევა მისი სარწმუნოდ ამოკითხვის შესაძლებლობას). აკუზატივის ბრუნვაში ჩასმულია სახელი *Βατσ[ε]άς*.[3] ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს *ქართულ* სახელს *Βατσε*, რომელიც ელინიზირებულია ბერძნული დაბოლოების *(-άς)* დამატებით. ბერძნული გრაფემებით გადმოცემული სახელი *Βατσε*, ვერნერ ზაიბთის მოსაზრებით, რომელსაც სავსებით ვიზიარებთ, შეესაბამება ქართული *ვაჩე*-ს. ამრიგად, შეკიდული ბეჭდის მფლობელია ვინმე *ვაჩე* ლიპარიტი (ანუ, ბაღვაშთა სახლის წარმომადგენელი, ბაღვაში).

ლეგენდის პალეოგრაფიული ნიშნებით ვერნერ ზაიბთი ბეჭედს XI საუკუნეს მიაკუთვნებს, ხოლო წაგრძელებული დეკორატიული ხაზების არსებობის საფუძველზე ამ პერიოდს კიდევ უფრო ავიწროვებს და ბულას იმავე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით ათარიღებს (ზაიბთი 2022: 82); შდრ. (იკონომიდესი 1986: 151-164, Table).

ამასთანავე, ამ ქრონოლოგიურ შუალედში მოღვაწე ვაჩე ლიპარიტს თუ ბაღვაშს ავ-

ტორი არ იცნობს; მხოლოდ გამოთქვამს ვარაუდს, რომ, შესაძლოა, ვაჩე საქართველოს სამეფოდან ბიზანტიის იმპერიაში ემიგრირებულ და შემონაზვნებულ ლიპარიტს თან ახლდა (ზაიბთი 2022: 83). იმასაც აღნიშნავს, რომ მათ შორის ნათესაური კავშირის დადგენა ვერ ხერხდება (ზაიბთი 2022: 83).

ჩვენი აზრით, გვაქვს შესაძლებლობა დავაზუსტოთ ამ *ვაჩეს* ვინაობა თუ ცხოვრებისეული გზა. უკვე ვიცნობთ ორ ვაჩეს: 1) *ვაჩე (თრიალეთის) ერისთავთ ერისთავს*, რომელიც მოღვაწეობს X თუ XI საუკუნეში, და რომელიც მოიხსენიება ტბელების, შემდგომ კი ბაღვაშთა სამფლობელო / საგამგებლო ტერიტორიაზე, ლაპიდარულ წარწერაში კლდეისში; და თანაც აქვს ბაღვაშებისთვის (მაგრამ არა ტბელებისთვის) დამახასიათებელი წოდება *(ერისთავთ-ერისთავია)*; 2) ვაჩე *ლიპარიტს* (ანუ, *ბაღვაშს*), რომელიც მოიხსენიება ბიზანტიურ ბულაში. ორივე წარწერა, როგორც ჩანს, XI საუკუნის ძეგლია. ვფიქრობთ, ძალიან დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ერთი და იგივე პიროვნებაა, ბაღვაშთა (და არა ტბელთა) საგვარეულოს წარმომადგენელი, XI საუკუნეში მოღვაწე (აქამდე უცნობი) *თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში*; იგივე *ვაჩე ლიპარიტი*.

ვფიქრობთ, მოხერხდა როგორც კლდეისის ლაპიდარული წარწერის, ასევე ბიზანტიური შეკიდული ბეჭდის *ვაჩეს* ვინაობის დადგენა. მაგრამ გასარკვევია თუ როდის *მოღვაწეა ვაჩე ბაღვაში, და როგორ უკავშირდებოდა იგი ეპოქის სხვა ბაღვაშებთან?*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როგორც ბულის ბერძნული, ასევე ლაპიდარული ქართული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი მიუთითებს XI საუკუნეზე. მაგრამ XI საუკუნის რომელ მონაკვეთში მოღვაწეობდა ვაჩე ბაღვაში? გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ *თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში იყო ძე ასევე თრიალეთის ერისთავთ-ერისთავისა, რატი (III) ლიპარიტის ძე ბაღვაშისა.*

***

თრიალეთში რატი III-ის ერისთავთ-ერისთავობა დგინდება ადგილობრივად, დღევანდელ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ანუ, შეიძლება ითქვას, *თრიალეთის საერისთავო ქვეყანაში, გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერის საფუძველზე*. წარწერა დაზუსტებულად თამაზ გოგოლაძემ წაიკითხა (გოგოლაძე 2023ა: 57-60, სურ. 38); (გოგოლაძე 2024ბ).

წარწერაში მოიხსენიება ვინმე „ერისთავთ-ერისთავი რატი“, ძე „ერისთავთ ერისთავ ლიპარიტისა“, რომელსაც ასევე ჰყავდა ძმა „იოვანე“. რამდენადაც ბაღვაშთა გვარის გენეალოგიას ვიცნობთ, ამგვარი გენეალოგიური „კომბინაცია“ გვხდება მხოლოდ დიდი ლიპარიტის, ბაგრატ IV-ის ცნობილი მეტოქისა და მისი ძეების, რატისა და იოვანეს შემთხვევაში (გარდაცვლილი ნიანია შეიძლება არ მოეხსენებინათ) (ბიჭიკაშვილი, ფაღავა 2021: 11).[4]

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: 1) ლიპარიტის სახელის წინ მითითებული ეპითეტის „დიდებულის“ უფრო ზუსტად წაკითხვა „სულდიდებულად“ („დ(ი)დებულისა”-ს წინ კარგად განირჩევა სანი; და კიდევ ერთი გრაფემა, ჩვენი ვარაუდით, ლასი, ამოშლილია), რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ წარწერა შესრულებულია ამ ლიპარიტის გარდაცვალების შემდეგ (გოგოლაძე 2024ბ); 2) იმ ადგილის დაზუსტება, სადაც მოხსენიებული ყოფილა რატის *თრიალეთს ერისთავთ-ერისთავობა* (და არა კლდეკარს!) – ჩანს, მიღებული ტერმინი *თრიალეთის საერისთავო* იყო, და არა *კლდეკარის საერისთავო* (გოგოლაძე 2024ბ); 3) აღსანიშნავია, ასევე, რომ რატის წოდებულება არის *ერისთავთ-ერისთავი* – ამ გარემოების მნიშვნელობას ქვემოთ მივუბრუნდებით.

მაშასადამე, დგინდება, რომ ერთხანს *თრიალეთის* (და არა *კლდეკარის*) საერისთავოს სათავეში იდგა რატი (III), მამის, დიდი ლიპარიტის გარდაცვალების შემდეგ (გოგოლაძე 2024ბ). წარწერის თამაზ გოგოლაძის მიერ შემოთავაზებულ დათარიღებაა (1064) *სულდიდებული* ლიპარიტის გარდაცვალების თარიღი) – 1073 (ვიდრე, *მატიანე ქართლისაჲ*-ის მი-

ხედვით, გიორგი II არ გახდა იძულებული ივანესთვის / იოვანესთვის გადაეცა კლდეკარი და სამშვილდე - „და დაიმტკიცა ივანე კლდეკართა და სამშჳლდესა ზედა“ (ლორთქიფანიძე 2008: 297-298).

გოხნარის წარწერიდან გამომდინარეობს, რომ 1064-1073 წლების შუალედში, დროის რაღაც მონაკვეთში მაინც, თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი იყო რატი, დიდი ლიპარიტის ძე (გოგოლაძე 2024ბ).

ამ პერიოდში თრიალეთში მირიან თარხუნის ძის ერისთავობა თუ ერისთავთ-ერისთავობა საეჭვო ფაქტად გვეჩვენება. საემცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია (გოგოლაძე 2024ბ), რომ 1) არ არის დამტკიცებული თრიალეთის საერისთავოში მდებარე ეძანის ეკლესიის, და, ასევე, ატენის ეკლესიის წარწერების მირიან თარხუნისძის (რომელიც ან სახელოს გარეშე მოიხსენიება; ან *ტანუტერია*; sic), და ვერეს ეკლესიის წარწერის *ერისთავ* მირიანის იგივეობა; 2) არ არის დამტკიცებული მდ. ტანას ხეობაში მდებარე ვერეს ეკლესიის წარწერის *ერისთავ* მირიანის ერისთავობა მაინცდამაინც თრიალეთის საერისთავოში.

გოხნარის წარწერის მონაცემები ძალიან საინტერესოა ძმების, რატისა და იოვანეს ურთიერთდამოკიდებულების კუთხითაც: ფაქტია, რომ თრიალეთის ტერიტორიაზე აგებული ეკლესიის წარწერაში ერისთავთ-ერისთავად რატია მითითებული, მისი ძმა იოვანე კი წოდების გარეშე მოიხსენიება; თუმცა, დროის რაღაც მონაკვეთში მაინც, თრიალეთში არა რატის, არამედ იოვანეს ერისთავთ-ერისთავობაზე მიუთითებს კარგად ცნობილი დოკუმენტური წყარო, 1057/58 წლის (ბაგრატ IV-ის 31 ინდიქტიონს შედგენილი) *სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი* (ენუქიძე და *სხვები* 1984: 35-38, 280-287). მოვიყვანთ თავად სიგელის ტექსტიდან ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტებს:

> „[...] შევსწირე წ(მი)დასა მამასა შიოს, ლავრასა მღუიმისასა და წ(მიდა)თა მამათა მღუიმელთ[ა მანგლის] ჴევს ადგილი ბორცუიჯუარი [...]“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 36)

> ქ. ადიდენ ღ(მერთმა)ნ! ესე, ვითა უძლეველსა მეფეთა-მეფესა დაუწერია და შეუწირავს ბორცუისჯუარი მღუიმისათ(უი)ნ, სალოცველად მეფობისა მათისა, შეაწიენ ღ(მერთმა)ნ მადლი წ(მი)დ(ი)სა შიოსი და ევეგრესი, მეცა, მიწასა მეფობისა მათისასა ი(ოვან)ეს, ძესა ლიპ(არი)ტ ე(რისთავთ)-ე(რისთავი)სა, დამიმტკიცებია. უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა, მონისა მათისაგან“ (ენუქიძე და *სხვები* 1984: 38).

როგორც ვხედავთ, ამ საბუთს ამოწმებს არა რატი, არამედ იოვანე. შესაბამისად, თრიალეთის მიმდებარედ მდებარე მანგლისის ხევის გამგებლად სწორედ იოვანე გამოდის, რატი კი (გოხნარის წარწერის მიხედვით თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი), არ ჩანს. სწორედ ამ დამოწმების ფაქტმა უბიძგა ვასილ კოპალიანს, ჩაეთვალა, რომ იოვანემ, სავარაუდოდ *მატიანე ქართლისაჲს* ჩვენებისა, ბიზანტიის იმპერიიდან დაბრუნებულმა, მიიღო არა მარტო ქართლი და არგვეთი, არამედ კლდეკარის საერისთავოც (კოპალიანი 1949: 204-205). მიხეილ ბახტაძე ასევე თვლის, რომ იოვანე გახდა კლდეკარის ერისთავი; არგუმენტად კლდეისის წარწერაში იოვანე ერისთავთ-ერისთავის მოხსენიების ფაქტი მოჰყავს (ამ იოვანეს ბაღვაშად თვლის) (ბახტაძე 2003: 179, 183).

გოხნარის ეკლესიის წარწერა და შიომღვიმის ლავრისადმი ბაგრატ IV-ის სიგელის დამოწმება ერთმანეთთან ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სიგელმა ჩვენამდე, მართალია, დედნის სახით, მაგრამ ნაკლულად მოაღწია. მას ჩამოხეული აქვს ზედა მარჯვენა კიდე (ენუქიძე და *სხვები* 1984: 35). „ჴევს ადგილი ბორცუიჯუარის“ ახალი სტრიქონიდან იწყება და ტექსტის ამგვარი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩამოხევას შეეწირა წინა სტრიქონის დაბოლოება, რომელიც აღდგენილია როგორც „მღუიმ-

ელთ[ა მანგლის]“ (ენუქიძე და *სხვები* 1984: 36). ამრიგად, უშუალოდ ამ საბუთიდან არ ჩანს, თუ რომელ ბორცუისჯუარზეა საუბარი; ამასთანავე, ნაკლული ადგილის ამგვარი აღდგენა სავსებით გასაგებია, ვინაიდან ვიცნობთ კიდევ ორ, შედარებით უფრო გვიანდელ საბუთს, რომელშიც ნამდვილად მოიხსენიება *მანგლისის ხევის* თუ *კლდეკარის მახლობლად* მდებარე *ბორცუისჯუარი*:

- გიორგი II-ის სიგელი მღვიმისადმი (ენუქიძე და *სხვები* 1984: 45-49, 286): „[...] კლდეკართა ქუეშე - ბორცუისჯუარი [...]“ (ენუქიძე და *სხვები* 1984: 47);
- გიორგი III-ის სიგელი მღვიმისადმი (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 67-70, 295-302): „[...] მანგლის ჴევს - ბორცუისჯ(უარ)ი, ძუელადვე მღუიმისაი, ლ(იპარი) ტეთგან წაღებული [...]“ (ენუქიძე და *სხვები* 1984: 68).

გიორგი III-ის საბუთი ეჭვს არ ტოვებს, რომ მანგლისის ხევის ბორცუისჯვარი თავის დროზე ნამდვილად ბაღვაშებს ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, ხომ არ შეიძლება მაინც ვიფიქროთ, რომ ბაგრატ IV-ის სიგელში რაიმე სხვა ხევზეა საუბარი? სხვა ბორცუისჯუარზე? კერძოდ, შიდა ქართლში, სოფელ ტბეთში, ბორცუისჯვრის ეკლესიასთან ასოცირებულ ადგილზე, რომელიც მდებარეობს ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებული ქურთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ბორცვისჯვრის ეკლესია ცნობილია თავისი წარწერებით, რომელშიც პატრიკ ტბელი მოიხსენიება (შოშიაშვილი 1980: 178-184).

ბიზანტიის იმპერიიდან დაბრუნებულ, შეწყალებულ იოვანე ლიპარიტის ძე ბაღვაშს ბაგრატ IV-მ ხომ „უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისაჲ და ჰმონებდა ერთგულობით.“ (ლორთქიფანიძე 2008ა: 288). მიხეილ ბახტაძე თვლის, რომ *ქართლის მამული არ გულისხმობდა ქართლის ერისთავობას* – „ტერმინი „მამული“ გამორიცხავს ერისთავობას“ (ბახტაძე 2003: 158-160). ამასთანავე, 1057 – 1060-იანებამდე თუ 1177 წლამდე შუალედში ქართლის ერისთავს არ ვიცნობთ (ბახტაძე 2003: 160, 174).

მაინც, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ბიზანტიის იმპერიიდან დაბრუნებული იოვანე ქართლის ერისთავთ-ერისთავიც გახდა? საკუთარი „მამულის“ დაბრუნების პარალელურად?

თუკი იოვანე არა მარტო საკუთარ მამულებს აკონტროლებდა, არამედ სახელოც ჰქონდა, სავსებით ლოგიკური იქნებოდა, მღვიმის ლავრისადმი მეფის მიერ ქართლში მდებარე ბორცუისჯვრის შეწირულობის აქტი დაემოწმებინა.

ხოლო თუ ბაგრატ IV-ის სიგელში მაინც *მანგლისის ხევის* ბორცუისჯვარი იგულისხმება, მაშინ მოგვიწევს აღიარება, რომ თრიალეთის საერისთავოს, დაახლოებით 1058/9 წლისთვის, დროის რაღაც შუალედში მაინც, აკონტროლებდა იოვანე და არა რატი.

ამასთანავე, გოხნარის წარწერა წარმოადგენს სარწმუნო არგუმენტს, რომ იმ დროისთვის მაინც, როდესაც მას ამოკვეთავდნენ, თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი უკვე *ექსკლუზიურად* რატი იყო (და არა იოვანე), დროის რაღაც მონაკვეთში მაინც (მას შეიძლება *რატი III* ვუწოდოთ, განსხვავებით იმავე სახელის მატარებელი უფროსი თაობის ბაღვაშებისგან).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თრიალეთის ერისთავთ-ერისთავ რატის (III-ს) ისტორიაში კიდევ რაიმე კვალი ხომ არ დაუტოვებია? თუნდაც თავის საგანმგებლო თრიალეთში?

გვახსენდება თრიალეთის (საერისთავოს) ტერიტორიაზე არსებული ბაღვაშთა შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაპიდარული წყაროები, რომლებშიც რატი მოიხსენიება. დღევანდელი მდგომარეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში, ყველა მათგანი რატი I-ს (თუ II-ს) მიაკუთვნეს; ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ ბაგრატ III-ის თანამედროვე რატი, და გიორგი I-ის თანამებრძოლი ბიზანტიელებთან ომში, არ არის ერთი და იგივე პიროვნება, სახელად რატი, არამედ ბაბუა და შვილიშვილია, შესაბამისად რატი I და რატი II (ოთხმე-

ზური 2017: 17, სქოლიო 3). მაგრამ, ხომ არ შეიძლება რომელიმე წარწერა მაინც *რატი III*-სა და არა რატი I-ს (თუ რატი II-ს) უკავშირდებოდეს? მით უფრო, რომ ამ წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები (კიდურწერტილოვნება თუ კიდურწაისრულობა) არ იძლევა მათი ცალსახად ასე ზუსტად დათარიღების საშუალებას.

რატის მოხსენიებით გვაქვს რამდენიმე წარწერა. ჩამოვთვლით ამ წარწერებს, რატის წოდების აღნიშვნითურთ:

- *შეპიაკის (ისტ. საბატეს) ეკლესიის, ჯარვეჩინის სააღმშენებლო წარწერა (წარწერა N1)* (გოგოლაძე 2023ა: 93-94, სურ. 78-79): *რატი ერისთავია*;
- *სანთას (ისტ. უწყლოს) ეკლესიის, თეოდორე ხუცესის სააღმშენებლო წარწერა (წარწერა N1)* (გოგოლაძე 2023ა: 82-83, სურ. 65): *რატი ერისთავია*;
- *ახალქალაქის (ამჟამინდელი დაშბაშის) წმ. გიორგის ეკლესიის (წარწერა N1)* (გოგოლაძე 2023ა: 21-22, სურ. 3): *რატი ერისთავთ-ერისთავია*;
- *ახალქალაქის (ამჟამინდელი დაშბაშის) წმ. გიორგის ეკლესიის (წარწერა N5)* (გოგოლაძე 2023ა: 25, სურ. 6): *რატი ერისთავთ-ერისთავია*;
- *ახალქალაქის (ამჟამინდელი დაშბაშის) ღმრთისმშობლის ეკლესიის (წარწერა N1)* (გოგოლაძე 2023ა: 28-29, სურ. 29): *რატი ერისთავთ-ერისთავია*;
- *ახალქალაქის (ამჟამინდელი დაშბაშის) ღმრთისმშობლის ეკლესიის (წარწერა N2)* (გოგოლაძე 2023ა: 29-30): *რატი ერისთავთ-ერისთავია;*
- *გოხნარის წარწერა* (გოგოლაძე 2023ა: 57-60, სურ. 38); (გოგოლაძე 2024ბ): *რატი ერისთავთ-ერისთავია.*

სამწუხაროდ, არცერთმა წარწერამ (გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერის ჩათვლით) არ შემოგვინახა თარიღი (ან არც ყოფილა რომელიმე წლით დათარიღებული). მათი დათარიღება მათში დასახელებული სხვა პირების მიხედვითაც მხოლოდ ორ შემთხვევაში ხერხდება: შეპიაკის წარწერაში რატი მოიხსენიება თავის ძესთან, ლიპარიტთან ერთად. რატი II-ის ან რატი III-ის ძე ლიპარიტი ჩვენთვის უცნობია (ბიჭიკაშვილი, ფაღავა 2021: 11); აქედან გამოდინარე, ამ წარწერას ნამდვილად რატი I-ს მივაკუთვნებთ. გოხნარის წარწერაში კი პირიქით, მოიხსენიება რატის ძმა იოვანე; რატი I-ის ან რატი II-ის ძმა სახელით იოვანე ჩვენთვის ასევე უცნობია.

მაგრამ როგორ დავათარიღოთ თრიალეთში ამოჭრილი სხვა ლაპიდარული ძეგლები რატის მოხსენიებით?

წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები არ იძლევა ამის დამაჯერებლად გაკეთების საშუალებას; მით უფრო, რომ რატი I-სა თუ რატი II-სა და რატი III-ს (მათ ზეობას ვგულისხმობთ) აშორებს მხოლოდ დაახლოებით 45-85 წელი, რაც მაინც აღემატება პალეოგრაფიული ანალიზის სპეციფიურობას, ანუ, ამ შემთხვევაში, უნარს, დაადგინოს ეპიგრაფიკული ძეგლების თუნდაც შედარებითი ქრონოლოგია.

ხომ არ შეიძლება ამ წარწერების დათარიღება მოხსენიებული რატის წოდების / სახელოს მიხედვით? იმის მიხედვით, ერისთავად იწოდება ის, თუ ერისთავთ-ერისთავად?

შეპიაკისა და სანთას წარწერებში „რატი“ ერისთავია; ხოლო ახალქალაქის (დაშბაშის) ორივე ეკლესიის ოთხ წარწერაში „რატი“ ერისთავთ-ერისთავია. ერისთავისა და ერისთავთ-ერისთავის ცნებების ურთიერთმიმართება, წინარე სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვითურთ, განიხილა მიხეილ ბახტაძემ (ბახტაძე 2003: 284-293). ვიზიარებთ მის მოსაზრებას: „წყაროებით არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა ერისთავთერისთავის ქვეშევრდომი ერისთავის არსებობის შესახებ“; არ არის გამორიცხული, რომ *ერისთავთ-რისთავობა* მართლაც საპატიო წოდება ყოფილიყოს (ბახტაძე 2003: 288-291). თუმცა, ღიად

რჩება საკითხი, შეეძლო თუ არა ერთსა და იმავე პიროვნებას ორივე წოდებით ესარგებლა – ურთიერთმონაცვლეობითა თუ თანმიმდევრულად? თავად ავტორს სწორედ თრიალეთის წარწერები რატის მოხსენიებით მოაქვს მაგალითად იმისა, თუ როგორ შეეძლო ერთსა და იმავე ისტორიულ პირს სხვადასხვა წოდებულებით ესარგებლა; ავტორის აზრით, წარწერებში მოხსენიებული „რატი“ „რატი I-ია“, რომელიც ჯერ *ერისთავი* იყო, შემდეგ კი *ერისთავთ-ერისთავი* გამხდარა (ბახტაძე 2003: 285, 292). ამგვარი მსჯელობა და დასკვნა გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თრიალეთს რატი III-ის *ერისთავთ-ერისთავობა* ახალაღმოჩენილი ფაქტია. მაგრამ ამჟამად, როდესაც უკვე ვიცით, რომ თრიალეთს ერთხანობას მაინც ექსკლუზიურად ერისთავთ-ერისთავი რატი III განაგებდა, ფაქტების ამგვარი ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, გადასასინჯია.

შეპიაკის წარწერაში, რომელშიც, ჩანს, ნამდვილად რატი I-ია დასახელებული (ლიპარიტის მამა), ის ერისთავის წოდებით სარგებლობს. საპირისპიროდ ამისა, გოხნარის წარწერაში რატი III-ა მოხსენიებული, და ის *ერისთავთ-ერისთავის* წოდებით სარგებლობს.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რატი I და რატი II (მხოლოდ და მხოლოდ) ერისთავები იყვნენ, რატი III კი *ერისთავთ-ერისთავი*?

ბაღვაშთა თრიალეთში და სხვაგან შემონახულ წარწერებს რომ გადავხედოთ (არ ვითვალისწინებით „რატის“ საკამათო წარწერებს, გარდა შეპიაკის წარწერისა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რატი I-ს ეკუთვნის, და გარდა გოხნარის წარწერის, რომელიც რატი III-ს ეკუთვნის), იკვეთება ასეთი სურათი: ლიპარიტ დიდის ძენი, რატიც და იოვანეც, ისევე როგორც ლიპარიტ იოვანეს ძე – ყველანი *ერისთავთ-ერისთავის* წოდებულებით სარგებლობენ (თუკი წოდებულება საერთოდ მოხსენიებულია; მაგალითად, გოხნარის წარწერაში იოვანეს წოდებულების გარეშეა). ერისთავთ-ერისთავის წოდებულებას ბაღვაშთა სახლში ვხვდებით ლიპარიტ დიდთანაც (ბაგრატ IV-ის მეტოქესთან). იხ. მაგალითად დარაქოის (ისტ. ფარეხას ეკლესიის) წარწერა; ამავე წარწერით, ამ წოდებულებით მამამისიც, ასევე ლიპარიტი მოიხსენიებოდა (თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება ლიპარიტ დიდის მიერ საკუთარი წოდებულების რეტროგრადული პროეცირების შემთხვევაც იყოს) (გოგოლაძე 2023ა: 60-61, სურ. 39). ზვიადიც ლივადის წარწერაში *ერისთავთ-ერისთავად* არის მოხსენიებული (გოგოლაძე 2023ა: 75-76, სურ. 57) (თუმცა, მეტად უცნაურია სახელის შემადგენელი გრაფემების ერთმანეთისგან განცალკევებით ამოჭრა). *მატიანე ქართლისაჲ*-ში მოიხსენიება „ერისთავთერისთავი“ ზჳადი, რომელმაც 1014 წელს ბაგრატ III-ის „გუამი“ გადმოასვენა, და ზჳად „ერისთავი“, რომელიც ბიზანტიელებთან ომში გიორგი I-ის სპას სარდლობს (ლორთქიფანიძე 2008: 274, 276); სუმბატ დავითის ძის თხზულებაში კი მოიხსენიება უბრალოდ ზჳადი, წოდების გარეშე, იმავე ომის კონტექსტში (ლორთქიფანიძე 2008ბ: 372). როგორც ჩანს, ერთსა და იმავე პიროვნებაზეა საუბარი, რომელსაც სოფელ დიდი გომარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიის, მიქაელ გალატოზის სააღმშენებლო წარწერის ზვიად *მარუშიანთან* აიგივებენ ხოლმე (ოთხმეზური 2017: 15-16, 112-113, სურ. 41-43); თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ზვიადიც ბაღვაშთა მეტოქე კი არ იყო, რომელსაც მეფემ ბაღვაშებისგან წართმეული საერისთავო გადასცა, არამედ იმავე ბაღვაშთა გვარის წარმომადგენელი (ბიჭიკაშვილი, ფაღავა 2021: 11, 17-18, სქოლიო 16). თუ ეს ასეა, მაშინ ერისთავთ-ერისთავის წოდება ბაღვაშთა საგვარეულოში კიდევ უფრო ადრე შემოდის. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამაზე ადრე არ გვხდება. იქამდე, იქმნება შთაბეჭდილება, ყველა ბაღვაში მხოლოდ *ერისთავის* წოდებას სჯერდება.

არ არის გამორიცხული, რომ მივაგენით რატი I-ისა და რატი II-ის რატი III-სგან გამიჯვნის საკმაოდ სარწმუნო კრიტერიუმს; ეს არის მათი წოდება. საკმაოდ დიდი ალბათობით, რატი I და რატი II *ერისთავები* იყვნენ, რატი III კი *ერისთავთ-ერისთავი*.

შესაბამისად, შეპიაკისა და სანთას წარწერებში რატი I-ია მოხსენიებული (რატი II?); ახალქალაქის ორივე ეკლესიის ოთხივე წარწერაში კი რატი III.

აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ახალქალაქის ორივე ეკლესია სწორედ რატი III-ის აგებული (ან განახლებული) იყოს; შდრ. (ოთხმეზური 2017: 15, სქოლიო 2); ან, ყოველ შემთხვევაში, მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

***

თრიალეთს რატი III-ის ერისთავთ-ერისთავობის განხილვის შემდეგ, დავუბრუნდეთ საკითხს, ვაჩე რა პერიოდში უნდა ყოფილიყო თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი, და ეპოქის სხვა ბაღვაშებთან რა ნათესაური კავშირი ჰქონდა?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლდეისის ასომთავრული წარწერა და შეკიდული ბეჭდის ბერძნული ზედწერილი პალეოგრაფიულად ერთმანეთს შეესაბამება და XI საუკუნეზე მიუთითებს. ერისთავთ-ერისთავის წოდებაც, ბაღვაშთა სახლში, ჩანს, სწორედ XI საუკუნეში ჩნდება. XII საუკუნისთვის კი ბაღვაშებმა თრიალეთი / კლდეკარი და მეზობელი მხარეები, საერთოდაც, დაკარგეს. XI საუკუნეში თრიალეთის (კლდეკარის) ერისთავთა რიგი საკმაოდ კარგად არის გარკვეული: ლიპარიტ რატი I-ის ძე, ზვიადი (?), ლიპარიტ ლიპარიტის ძე (ბიჭიკაშვილი, ფაღავა 2021: 11) – ვიდრე ამ ლიპარიტის გაძევებამდე 1050-იან წლებში, დაახლოებით 1052-1054 წელს (ფაღავა 2021: 292-293); შემდეგ უკვე გიორგი II 1073 წელს თრიალეთის საერისთავოს იოვანე ლიპარიტის ძეს გადასცემს (ლორთქიფანიძე 2008: 297-298); რომელსაც შემდეგ თანმიმდევრულად ცვლიან მისი ვაჟიშვილი და შვილიშვილი - ლიპარიტ იოვანეს ძე, რატი (IV) ლიპარიტის ძე.

შედარებით გაურკვეველი პერიოდია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დრო ლიპარიტის გაძევებიდან (1050-იანი წლების შუა ხანა, 1052-1054?), ვიდრე 1073 წლამდე, როდესაც სამშვილდესა და თრიალეთში ერთპიროვნულად იოვანე ლიპარიტის ძე განმტკიცდა. გოხნარის წარწერის მიხედვით, ამ შუალედში თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი რატი ლიპარიტის ძეა. ხოლო თუ ბაგრატ IV-ის სიგელში მართლაც *მანგლისის ხევში* მდებარე ბორცის-ჯუარი არის მოხსენიებული, მაშინ მოგვიწევს დავასკვნათ, რომ რაღაც მომენტში თრიალეთი (თრიალეთის საერისთავო) იოვანეს ებარა.

თრიალეთში ვაჩეს ერისთავთ-ერისთავობა, ჩვენი აზრით, სწორედ ამ გაურკვეველ პერიოდში თუ მოთავსდება. თუ ასეა, ლოგიკური უნდა იყოს ვაჩე ბაღვაშის დაკავშირება ან რატისთან ან იოვანესთან. ამასთანავე, იოვანეს ძედ პირველწყაროებში ცალსახად ლიპარიტი ჩანს, ვაჩე კი, – არასდროს. რატის შთამომავლობაზე წყაროები არაფერს ამბობენ. აქედან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავთ, რომ *ვაჩე ბაღვაში რატი III-ის ძეა, რატი III-ის მემკვიდრეცაა, და თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი მამის, რატი III-ის გარდაცვალების შემდეგ ხდება.*

ასეთ შემთხვევაში, ვაჩეს თრიალეთის ერისთავთ-ერისთავად ყოფნის პერიოდი უნდა დავათარიღოთ დაახლოებით 1064-1073 წლების შუალედით, უფრო კი ამ პერიოდის შედარებით მოგვიანო მონაკვეთით (რატი III-ის გარდაცვალების შემდეგ).

საყურადღებოა, რომ თავისი წარწერის შესრულების დროისთვის თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი ვაჩე უკვე გარდაცვლილი ჩანს; – წარწერა წარმოადგენს ვედრებას უფლისადმი, *განუსვენოს ვაჩეს სულსა.*

ჩნდება კითხვა; გარდაცვლილი ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი წარწერა მაინცდამაინც კლდეისში რატომ ამოკვეთეს? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კლდეისი ვაჩეს საძვალეს წარმოადგენდა?

ვაჩეს ბულის არსებობიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი ცხოვრების ნაწილი მან ბიზანტიის იმპერიაში გაატარა. შესაბამისი ბულოტერიუმი სწორედ იქ უნდა დაემზადებინათ; ამაზე მეტყველებს ბერძნული ლეგენდების ბრწყინვალე კალიგრაფია; ქართული ზედწერილის არარსებობა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბულით არ ჩანს, ვა-

ჩე ბიზანტიის იმპერატორის სამსახურში თუ იყო ჩამდგარი: ზედწერილებში არ არის მითითებული ვაჩეს არც წოდებრივი რანგი, არც თანამდებობა, არც სარდლობა; ბეჭედზე წმინდანის გამოსახულებაც კი არ არის, რომელიც შეიძლება რაიმეზე მანიშნებელი ყოფილიყო (ზაიბთი 2022: 83). ბულის ზედწერილებში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობა გვაფიქრებს, რომ ვაჩე ბიზანტიის საიმპერატორო სამსახურში არ ჩამდგარა, და ამგვარი ბეჭდით (ბულოტერიუმით) კერძო პირის სტატუსით სარგებლობდა. ამ მხრივ საინტერესო იქნება შედარება მისი (უფროსი?) თანამედროვეების, იოვანე და ნიანია ბაღვაშების ბულებთან; მათი შეკიდული ბეჭდები ინახავს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ბიზანტიის იმპერიაში მათ კარიერაზე (ფაღავა იბეჭდება); (ვასილიუ-ზაიბთი 2021: 114-117); (ვასილიუ-ზაიბთი 2022: 157-160).

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ვაჩე საქართველოში გარდაიცვალა, ერისთავთ-ერისთავად, ბიზანტიის იმპერიაში კი ამაზე ადრე იმყოფებოდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იმავე კლდეისის ეკლესიაში ახლახანს აღმოჩნდა *კჳრიკე* და *სულა ვაჩეს ძეების წარწერა* (წარწერის ფრაგმენტი ეკლესიის ეზოში დაგდებულ ქვაზე იყო ამოჭრილი); მოგვყავს წარწერის ტექსტი და წაკითხვა (სურ. 3, 3ა) (გოგოლაძე 2024ა: 601-602):

სურ. 3.



სურ. 3ა.

[...] Ⴓ̄ⴍⴑⴆ̄ⴚⴣ̄ⴒⴑⴜ̄ⴑ [...]
ⴒ Ⴓ̄ⴑ

[...] კ(ჳრიკ)ე ს(უ)ლა ვ(ა)ჩ(ე)ს ძ(ი)ს[ათუის]
ჩ კს

ემთხვევა როგორც წარწერის ადგილმდებარეობა *(კლდეისი)*, ასევე, ჩანს, მასში მოხსენიებული პირის სახელი *(ვაჩე)*. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე წარწერაში ერთი და იგივე პიროვნება, *ვაჩე (ბაღვაში)* იყოს მოხსენიებული? თუ ეს ასეა, მაშინ ბაღვაშთა გენეალოგიური ხე *ვაჩეს* გარდა კიდევ ორი სახელით ივსება - (თრიალეთის) ერისთავთ ერისთავ ვაჩეს ძეების (რატი III-ის შვილიშვილებს?) სახელებია *კჳრიკე* და *სულა*.

მართალია, X-XI საუკუნეების ბაღვაშთა ფეოდალურ სახლში სახელები *კვრიკე* და *სულა* არ გვხდება; მაგრამ ამის საფუძველზე *კვრიკესა* და *სულას* ბაღვაშთა სახლისადმი კუთვნილებას ვერ გამოვრიცხავთ; – *ვაჩეც* ხომ არ გვხდება, თუმცა მისი ბულა ცალსახად ადასტურებს, რომ ლიპარიტი (ბაღვაში) იყო. საზოგადოდ, საფიქრებელია, ბაღვაშთა ონომასტიკონი იმაზე უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე აქამდე ვიცოდით.

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში *ვაჩე* წოდების გარეშეა მოხსენიებული; ეს გარემოება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის გაიგივებას თრიალეთის ერისთავთ -ერისთავ ვაჩე ბაღვაშთან.

***

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ნიანიასაც – ლიპარიტ დიდის მესამე და უმრწემეს ძეს; როგორც ვიცით, *მატიანე ქართლისაჲ*-ის მიხედვით, ანისში გარდაცვლილა – „და ნიანია მოკუდა ანისს ბერძენთა ყმობასა შინა“ (ლორთქიფანიძე 2008: 288). ამ ცნობასთან სრულ თანხმობაშია სფრაგისტიკული მასალა, შეკიდული ბეჭედი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით შეიძლება XI საუკუნის შუახნით დათარიღდეს; ამ ბულის მფლობელია ვინმე *ნიკეტას* ან *ნიკეფოროს* (*ნიანიას* ბერძნული სახელი?) *ლიპარიტი,* იბერიის თემის კატეპანი (ვასილიუ-ზაიბთი, ბურსემა 2021: 114-117); (ვასილიუ-ზაიბთი 2022: 157-160).

უცნობია, დატოვა თუ არა ნიანიამ შთამომავლობა. ქართულ წყაროებში ასეთად არავინ ჩანს. ბიზანტიური წყაროები კი მიუთითებენ ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ლიპარიტიანებზე (კაჟდანი 1978: 91-92); განსაკუთრებით საგულისხმოა კვლავ სფრაგისტიკული მასალა, ბიზანტიური შეკიდული ბეჭდები, რომელიც სხვადასხვა პორს ეკუთვნოდა; ვერნერ ზაიბთი მათ გვიანი XI საუკუნით - XII საუკუნის პირველი სამი მეოთხედით ათარიღებს (ზაიბთი 2001: 123-131); (ზაიბთი 2021: 144-156).

ვინ არიან ეს ბიზანტიის იმპერიაში XII საუკუნეში მოღვაწე ბაღვაშები? ხომ არ უნდა ვიფიქროთ – გამოვთქვამთ მხოლოდ და მხოლოდ *ვარაუდს*, – რომ ესენი ანისში „ბერძენთა ყმობასა შინა“ გარდაცვლილი კატეპანი ნიანიას მემკვიდრეები იყვნენ?

***

ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი წარწერის ვაჩე ბაღვაშისადმი მიკუთვნება, შესაძლოა, ასევე, იძლევა საშუალებას, გადაისინჯოს კლდეისის ღმრთისმშობლის მონასტრის კიდევ რამდენიმე წარწერის ატრიბუცია.

ზემოთ ვახსენეთ ორი წარწერა - 1) *იოვანე ერისთავთ-ერისთავის სააღმშენებლო წარწერა*; და 2) *ჲვანეს სავედრებელი წარწერა*.

იოვანე ერისთავთ-ერისთავის სააღმშენებლო წარწერა დღეისთვის დაკარგულია (გოგოლაძე 2023ბ: 186-187). 1894 წელს ის ექვთიმე თაყაიშვილმა ნახა – წარწერა ეკლესიის ნანგრევებთან დაგდებულ ქვაზე იყო ამოკვეთილი (თაყაიშვილი 1913: 119). ქვის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა უცნობია. გვაქვს მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილისეული რუსული თარგმანი, რომელსაც თან ახლავს წარწერის გადმონაწერიც დედნის შრიფტის დაცვით. ვიცნობთ მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით:

Ⴀ ⵏⴔ ⴖ ⵛⴗⵛ ⴣⵊⴏ ⵗⴛ ⴗⵛ ⴒ ⵏⵛ ⴖⴣ ⵗⵑⴏⴛ ⵛⴖ
ⵜⵛⵘⵊⵣⵊ … ⵊⴑⴓⵊⵏ ⵗ ⵊⵏⵊ … [ⵊⵞⴓⵊⴛ] ⵏⵜ ⵗⵣⵊ [ⵊ ⵗ] ⵊⴣⵣ

ქ. ს(ა)ხ(ელითა) ღ(მრთის)ა(ჲ)თა, მე(ოხე)ბ(ი)თა წ(მიდი)სა ღმ(რთისმ)შ(ო)ბ(ელისაჲ)თა აღ- /

ვაშენე [წ(მიდა)ჲ] ეკლეს(ია)ჲ ესე [გ(ანვაახ)ლეთ (?)] ი(ო)ვ(ა)ნე [ე(რისთავთ)] ე(რისთავ)მ(ა)ნ

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ წარწერაში მოხსენიებული პირის, ივანეს ვინაობის თაობაზე. ვერსიები შემდეგნაირია: აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებულია 1) ივანე ტბელი (ალექსიძე 2016: 144-145); ან 1) ივანე ბაღვაში (ბაქრაძე 1959: 62); (ბახტაძე 2003: 179).

კლდეისის ღმრთისმშობლის მონასტრის წარწერებიდან უეჭველად ტბელებს ეკუთვნით მხოლოდ *სპანდაღუდ და ქავთარ ტბელების* ერთადერთი წარწერა; ბაღვაშებს კი ეკუთვნით, როგორც გაირკვა, უკვე ყველაზე ცოტა ორი (სამი?) წარწერა: *ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა და რანთა მეფის სააღმშენებლო წარწერა* (გოგოლაძე 2023ა: 584-601); და *ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი წარწერა* (შესაძლოა, ასევე, მისი ძეების, *კვირიკესა და სულას წარწერა?*); ფაქტია, რომ კლდეისი ბაღვაშებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა, სადაც წარწერებში გვარის *სხვადასხვა* წარმომადგენელს მოიხსენიებდნენ. იმის თქმა გვსურს, რომ კლდეისის ეკლესიაში წარწერაში ბაღვაშთა გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის მოხსენიება მოულოდნელი არ უნდა იყოს. ჩვენ ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ *იოვანე ერისთავთ-ერისთავის სააღმშენებლო წარწერაშიც* ბაღვაშთა სახლის წარმომადგენელი, ერისთავთ-ერისთავი *იოვანე ბაღვაშია* მოხსენიებული. ვემყარებით იმ მოსაზრებას, რომ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბაღვაშთა სახლის წარმომადგენლები (ლიპარიტ დიდის დროიდან მაინც) თავის წარწერებში რეგულარულად მოიხსენიებიან *ერისთავთ-ერისთავის* წოდებით; ამასთანავე, არ ვიცნობთ ტბელთა სახლის წარმომადგენლის ამ წოდებით მოხსენიების ერთ შემთხვევასაც. ეს ერისთავთ-ერისთავი იოვანე იმავე მონასტერში სხვა, კიდევ უფრო ვრცელი წარწერის (გოგოლაძე 2024ა: 584-601) დამკვეთის, ლიპარიტ იოვანეს ძის მამა უნდა იყოს, ანუ დიდი ლიპარიტის ძე, იოვანე.

ჲვანეს სავედრებელი წარწერა (თაყაიშვილი 1913: 118), (გოგოლაძე 2023ბ: 182) (სურ. 4, 4ა) ამოკვეთილია ბალავრის ქვის ზემოთ მდებარე ფრიზის ერთ-ერთ ქვაზე. წარწერა ამ ქვის შუა მარჯვენა ნაწილშია ამოკვეთილი (მანძილი მარცხენა კიდემდე შეადგენს ქვის

სურ. 4. 4ა.

სიგრძის დაახლოებით 40%-ს). უეჭველია, რომ წარწერა სწორედ ამ ქვაზე იწყება, თუმცა, რთული სათქმელია, გრძელდება თუ არა ის მომდევნო ქვაზე, რომელიც დღეისთვის დაკარგულია. წარწერის ბოლო გრაფემის შემდეგ საკმაო სივრცეა დარჩენილი, რომელშიც ერთი გრაფემა მაინც ადვილად დაეტეოდა. წარწერის სიტყვებს შორის დაშორებები, თითქოს, კანონზომიერებას ექვემდებარება: პირველი სიტყვა („ქ(რისტ)ე“) მეორესგან აშკარად დაშორებულია, მაგრამ მეორე მესამისგან - არა. მომდევნო სიტყვებიც რომ ყოფილიყო ამოჭრილი, გარკვეული ალბათობით, მიტყუპებული იქნებოდა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ წარწერას ჩვენამდე *სრული სახითაც* მოეღწია; და, ამრიგად, არის არა

სააღმშენებლო, არამედ სავედრებელი ხასიათის. მოგვყავს წარწერის ტექსტი (გოგოლაძე 2023ბ: 182):

ⵃ⁻ⵍ ⵖ⁻ⵍⵆⵃ⁻ⵀⵍ
ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ჲვ(ა)ნე

ამ წარწერას X საუკუნით, კერძოდ, 980-იან წლებამდე პერიოდით ათარიღებენ და მოხსენიებულ „ჲვ(ა)ნეს“ ფრიზის ქვეშ, უშუალოდ ბალავრის ქვაზე მოხსენიებულ სპანდაღუდ და ქავთარ ტბელების მამად მიიჩნევენ (ალექსიძე 2016: 143-145).

ჩვენი აზრით, ამ წარწერაში მოხსენიებული ჲვანეს მიკუთვნება ტბელთა გვარისადმი ცალსახა არ არის (ამ შემთხვევაშიც ბაღვაშთა გვარის წარმომადგენელი ხომ არ არის მოხსენიებული?). ჩვენი არგუმენტები შემდეგნაირია:

1. მართალია ბალავრის ქვაზე ნამდვილად სპანდაღუდ და ქავთარ *ტბელთა* წარწერაა, მაგრამ ფრიზის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა სულ სხვა ხელითაა (ანუ, სხვა ხელოსნის მიერაა) შესრულებული. სხვადასხვა თაობის ტბელთა წარწერები, დასაშვებია, სხვადასხვა ხელოსნის მიერ (სხვადასხვა ხელით) ყოფილიყო შესრულებული; თუმცა, შეუძლებელია გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობაც, რომ ტბელთა მიერ კლდეისის დაკარგვის შემდეგ, ბაღვაშთა გვარის წარმომადგენელს გასჩენოდა სურვილი იქვე (იმავე ბალავრის ქვის *თავზე*) თავისი წარწერის ამოკვეთა შეეკვეთა;
2. პალეოგრაფიული ნიშნებით, ივანეს წარწერა ბევრად უფრო დახვეწილია, ვიდრე სპანდაღუდ და ქავთარ ტბელთა წარწერა: კერძოდ, ეტყობა კიდურწერტილოვნება, გრაფემები აკურატულად და მოხდენილად არის ჩაწერილი ორხაზიან ბადეში. X და განსაკუთრებით XI საუკუნეში ქართულ ეპიგრაფიკაში დეკორატიულობისადმი სწრაფვის ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, *ჲვანეს სავედრებელი წარწერა* აშკარად ნაკლებ არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე *სპანდაღუდ და ქავთარ ტბელების წარწერა*; ეს გარემოება არ შეესაბამება ჰიპოთეზას, რომლის თანახმად სპანდაღუდ და ქავთარ ტბელები *ჲვანეს სავედრებელი წარწერის* ჲვანეს ძენი არიან (ალექსიძე 2016: 144-145). ეს პალეოგრაფიული წინააღმდეგობა თუ არა, *უცნაურობა* მაინც მოიხსნება, თუ წარწერას არა მოხსენიებული ტბელების მამის დაკვეთით, არამედ ბევრად უფრო გვიან, XI საუკუნეში, ან სულაც XI საუკუნის II ნახევარში შესრულებულად ჩავთვლით;
3. მაინც, გასათვალისწინებელია, რომ კლდეისში სახეზეა ბაღვაშთა გვარის წარმომადგენელთა წარწერების შედარებით მაღალი კონცენტრაცია - როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი თუ უფრო სამი, ან სულაც ოთხი წარწერა.

მიუხედავად ამისა, თავს შევიკავებთ *იოვანე ერისთავთ-ერისთავის წარწერის* “ი(ო)ვ(ა)ნე”-სა და *ჲვანეს სავედრებელი წარწერის* “ჲვ(ა)ნე”-ს გაიგივებისგან: ერთი მათგანი *ერისთავთ-ერისთავია*, მეორე კი (წარწერაში მაინც) – არა; სახელებიც სხვადასხვა გრაფემებით არის გადმოცემული.

ჩვენი აზრით, *ჲვანეს სავედრებელი წარწერის* “ჲვ(ა)ნე”-ს ვინაობის საკითხი ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს.

****

თეზისების სახით მოკლედ შევაჯამებთ ჩვენს ნაშრომს:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, კლდეისის ეკლესიის *ვაჩე ერისთავთ-ერისთა-*

ვის სავედრებელ წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი ვაჩე არის იგივე *ვაჩე (Βατσεάς) ლიპარიტი* (ე.ი. ბაღვაში), რომელიც მოხსენიებულია უნიკალურ ბიზანტიურ შეკიდულ ბეჭედზე;

2. თრიალეთის საერისთავო ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული ეს პიროვნება არის *(აქამდე უცნობი) თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში;* იგივე *ვაჩე ლიპარიტი*;
3. *(აქამდე უცნობი) თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში*, როგორც ჩანს, XI საუკუნეში მოღვაწეობდა; სავარაუდოდ, 1064-1073 წლების შუალედში; უფრო ამ პერიოდის მოგვიანო მონაკვეთში;
4. არ არის გამორიცხული, რომ *(თრიალეთის) ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ბაღვაში, იყო ძე ასევე თრიალეთის ერისთავთ-ერისთავისა* (რაც გოხნარის წარწერის დაზუსტებული წაკითხვით დგინდება), *რატი (III) ლიპარიტის ძე ბაღვაშისა*;
5. *ვაჩე ერისთავთ-ერისთავის სავედრებელი წარწერის* ამოკვეთის დროისთვის ვაჩე უკვე გარდაცვლილია. უცნობია, ეს წარწერა მაინცდამაინც კლდეისის ეკლესიაში რატომ ამოჭრეს? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კლდეისი ვაჩეს საძვალეს წარმოადგენდა?
6. შესაბამისი ბულის არსებობა გვაფიქრებს რომ ვაჩემ თავისი ცხოვრების ნაწილი ბიზანტიის იმპერიაში გაატარა; თუმცა, ბულის ზედწერილებში მფლობელის წოდებრივი რანგის, თანამდებობისა და სარდლობის მიუთითებლობა გვაფიქრებს, რომ ვაჩე ბიზანტიის საიმპერატორო სამსახურში არ ჩამდგარა, და ბულოტერიუმით კერძო პირის სტატუსით სარგებლობდა;
7. იმავე კლდეისის ეკლესიაში *კჳრიკე და სულა ვაჩეს ძეების წარწერაში* მოხსენიებული პირნი, შესაძლოა, სწორედ ამ ვაჩე ბაღვაშის, ერისთავთ-ერისთავის ძენი იყვნენ; ანუ, ასევე, ბაღვაშები (თუმცა, წარწერაში *ვაჩე* წოდების გარეშეა მოხსენიებული, რაც მის გაიგივებას თრიალეთის ერისთავთ-ერისთავ ვაჩე ბაღვაშთან სათუოდ ხდის);
8. გოხნარის წარწერა ადასტურებს, რომ ერთხანობას მაინც თრიალეთის ერთპიროვნული ერისთავთ-ერისთავი რატი (III) იყო, დიდი ლიპარიტის ძე; ამასთანავე, *მღვიმის ლავრისადმი ბაგრატ მეფის სიგელის,* – რომელშიც საუბარია მონასტრისადმი ბორცუისჯვრის გადაცემაზე, – რატის ძმის, იოვანეს მიერ დამოწმება მიუთითებს იმაზე, რომ 1058/9 წლისთვის მაინც, თრიალეთის საერისთავო ქვეყანას სწორედ იოანე განაგებდა, და არა რატი (იმ შემთხვევაში, თუ იგულისხმება სწორედ მანგლისის ხევის ბორცუისჯვარი, და არა ქართლში მდებარე ბორცუისჯვარი); იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1064-1073 წლების პერიოდში თრიალეთის საერისთავო ხელიდან ხელში გადადიოდა (*შესაძლო* თანმიმდევრობა: იოვანე, 1058/9 წლისთვის; რატი III, 1064 წლის შემდეგ; ვაჩე 1064 წლის შემდეგ, რატიზე უფრო გვიან; 1073 წლიდან კვლავ იოვანე; შემდეგ მისი ძე ლიპარიტი; შემდეგ ლიპარიტის ძე რატი IV);
9 გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ თრიალეთში (სხვა ტერიტორიებს ჯერ არ ვიხილავთ) მდებარე ეკლესიებში რატის დაუთარიღებელი წარწერების ნაწილი მაინც, კერძოდ, ახალქალაქის ორივე ეკლესიის (და გოხნარის ეკლესიის) წარწერები – უკავშირდება რატი III დიდი ლიპარიტის ძის სახელს (და არა რატი I-სა თუ რატი II-ს, რომელიც მოხსენიებულია შეპიაკისა და სანთას ეკლესიების წარწერებში); სხვადასხვა რატის გასარჩევად შემოთავაზებული გვაქვს *წოდების კრიტერიუმი: ერისთავის* წოდებით მოხსენიებული რატი არის რატი I (ან II), ხოლო *ერისთავთერისთავის* კი – რატი III;

10. ახალქალაქის წმ. გიორგისა და ღმრთისმშობლის ეკლესიები რატი III-ის (?) წარწერებით, შესაძლოა, სწორედ რატი III-ის მიერ იყოს აგებული (ან განახლებული); ან, ყოველი შემთხვევისთვის, მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ;
11. ჩვენი დაკვირვებით, ბაღვაშთა საგვარეულოში *ერისთავთ-ერისთავის* წოდება შემოდის მხოლოდ XI საუკუნეში;
12. კლდეისის ეკლესიის *იოვანე ერისთავთ-ერისთავის სააღმშენებლო წარწერაში* მოხსენიებული იოვანე, ჩვენი აზრით, იოვანე ბაღვაში იყო, დიდი ლიპარიტის ძე, რატი III-ის ძმა (ვაჩეს ბიძა?), და არა ივანე ტბელი; ამაზე მიუთითებს მისი წოდება – *ერისთავთ-ერისთავი*, რომელიც ხშირია XI საუკუნის ბაღვაშებში, მაგრამ არ გვხდება ტბელთა საგვარეულოში;
13. კლდეისის ეკლესიის *ჲვანეს სავედრებელ წარწერაში* მოხსენიებული ჲვანეს ვინაობა დაუდგენელი რჩება; თუმცა, აღვნიშნავთ, რომ მისი უპირობო მიკუთვნება ტბელთა საგვარეულოსადმი (იმავე ეკლესიაში *სპანდაღუდ და ქავთარ ტბელების წარწერაში* მოხსენიებული ძმების *მამობა*) დამტკიცებულ ფაქტად არ მიგვაჩნია;
14. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბიზანტიის იმპერიიდან დაბრუნებული, ბაგრატ IV-ის მიერ შეწყალებული იოვანე ქართლის ერისთავიც გამხდარა (და არა მარტო იქ მდებარე „მამული“ დაუბრუნდა);
15. რატი III-ისა და იოვანეს ძმა (ვაჩეს ბიძა?) ნიანია, როგორც ჩანს, ნამდვილად ბიზანტიის იმპერიას ემსახურებოდა, თემა იბერიის კატეპანი იყო, ცენტრით ანისში, სადაც გარდაიცვალა კიდევაც; *მატიანე ქართლისაჲ*-ის ცნობა შესაბამისობაშია სფრაგისტიკულ მასალასთან;
16. არ არის გამორიცხული, რომ XI საუკუნის დასასრულს - XII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ლიპარიტები (ლიპარიტიანები / ბაღვაშები) სწორედ ანისში „ბერძენთა ყმობასა შინა“ გარდაცვლილი კატეპანი ნიანიას მემკვიდრეები იყვნენ.

გაწეული დახმარებისთვის გულითად მადლობას მოვახსენებთ გიორგი ჭეიშვილსა და ყარამან ფაღავას.

შენიშვნები

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [GSDP-24-1514]; ბაღვაშთა ფეოდალური სახლი ახალი წერილობითი წყაროების მიხედვით.

[2] მოგვაქვს ასევე შეკიდული ბეჭდის აუქციონზე წარმოდგენილი აღწერილობა: Byzantine lead seal of Batseantos Liparites (ca 12th cent.) A beautiful rare seal!
Obverse: Inscription in 4 lines between cross and decorative patterns, +KERΘ/TΩCΩ/ΔOVΛ/Ω = Κύριε, βοήθει τῷ σῷ δούλῳ (Lord, help your servant), dotted border.
Reverse: Inscription in 4 lines between decorations, RATC/EANTΩ/ΛHΠAP/ITHN = Βατσεάντῳ Λιπαρίτην (Batseantos Liparites), dotted border.
Seemingly an unpublished seal with a beautiful patina! The main name of the owner (Batseantos) is surely rarest and non-greek. As for the surname, it possibly refers to his origin, the island Lipara of Sicily.
Condition: Very Fine; Weight: 11 gram; Diameter: 22 mm.

[3] შეინიშნება შეუსაბამობა: ორივე სახელი, პირადიც და საგვარეულოც, – აკუზატივშია, არტიკლი კი, – დატივშია; სახელების აკუზატივში და არა მიცემით ბრუნვაში (როგორიც მოსალოდნელი

იყო ბულის შუბლის ლეგენდას თუ გავითვალისწინებთ) დაწერის შემთხვევები ცნობილია. უფრო უცნაურია, რომ არტიკლი დატივშია (ზაიბთი 2022: 82).

[4] გოდერძი ნარიმანიშვილის მოსაზრებით, გოხნარის წარწერაში მოხსენიებული რატი ერისთავთ-ერისთავი არის რატი I (იოვანე კი მისი სხვა წყაროებით უცნობი ძმა გამოდის). (ნარიმანიშვილი 2021: 246-247). ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ: ერისთავთ-ერისთავის წოდებით სარგებლობა, ჩვენი აზრით, ცალსახად გამორიცხავს წარწერის X საუკუნით დათარიღებას; ნიანია წარწერაში იმიტომ არ არის მოხსენიებული, რომ ამ დროისთვის უკვე გარდაცვლილია (ანისში); რატი III-ს ნამდვილად ჰყავდა ძმა იოვანე, რატი I-ს ჰყავდა თუ არა, უცნობია.
დავით აღმაშენებლის თანამედროვის, ივანე ორბელის უშუალოდ ლიპარიტ იოვანეს ძისგან წარმომავლობა (ბიჭიკაშვილი, ფაღავა 2021: 11) სავსებით შესაძლებელია, მაგრამ დამტკიცებულად მაინც, ჩვენი აზრით, ვერ ჩაითვლება. ბაღვაშ-ორბელთა ნათესაობის საკითხის შესწავლა სცდება ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ფარგლებს. შდრ. (ფაღავა 2020).

დამოწმებანი

ალექსიძე 2016: ზ. ალექსიძე. ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო. *ქრისტიანული კავკასია. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. 3*. მთავარი რედაქტორი დალი ჩიტუნაშვილი. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბაქრაძე 1959: ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის* მოამბე, ტ. XX-B: 55-78.

ბახტაძე 2003: მ. ბახტაძე. *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*. თბილისი, არტანუჯი.

ბიჭიკაშვილი, ფაღავა 2021: ი. ბიჭიკაშვილი, ყ. ფაღავა. ბაღვაშთა გენეალოგია, *ბაღვაში. სამეცნიერო კრებული* (რედ. ზ. აბაშიძე, ყ. ფაღავა), [თბილისი,] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გოგოლაძე 2023ა: თ. გოგოლაძე (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა). *თრიალეთის წარწერების კორპუსი (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო)*, თბილისი.

გოგოლაძე 2023ბ: *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი),* წარწერების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. გოგოლაძემ, თბილისი.

გოგოლაძე 2024ა: თ. გოგოლაძე. კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის უცნობი წარწერები, *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*, XI: 582-610.

გოგოლაძე 2024ბ: თ. გოგოლაძე. 1064-1073 წწ. ზაქარიას სააღმშენებლო წარწერა გოხნარის წმიდა გიორგის ეკლესიიდან ლიპარიტ IV ერისთავთ-ერისთავისა და მისი შვილების - რატ ერისთავთ-ერისთავისა და იოვანეს მოხსენიებით (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი), *Scientia, 5*.

დონდუა 1948: ვ. დონდუა. „ლიპარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, *სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები,* XXXIII b: 135-166.

ენუქიძე და *სხვები* : *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს* . შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა., თბილისი, მეცნიერება.

ვასილიუ-ზაიბთი, ბურსემა 2021: A.-K. Wassiliou-Seibt, G. Boersema. War der georgische Fürstensohn Niania Lip'arit' in den frühen 1050er Jahren byzantinischer Militärkommandant von Iberia?, *ბაღვაში.* სამეცნიერო კრებული (რედ. ზ. აბაშიძე, ყ. ფაღავა), ([თბილისი,] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ვასილიუ-ზაიბთი 2022: A.-K. Wassiliou-Seibt. *O ΧΡΙCΤΟC ΑVΤΟC CΦΡΑΓΙC ΑCΦΑΛΕCΤΑΤΗ. Byzantinische Bleisiegel der Sammlung Gert Boersema*, Thessalonica, Centre for Byzantine Research.

ზაიბთი 2001: W. Seibt. Liparites als “byzantinischer” Familienname in der Komnenenzeit, *Dedicatio. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, რედაქტორი და შემდგენელი ნათელა ვაჩნაძე, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზაიბთი 2021: W. Seibt. Die Georgische Fürstenfamilie Lip’arit’ / Liparites und Byzanz im 11. und 12. Jahrhundert, *ბაღვაში. სამეცნიერო კრებული* (რედ. ზ. აბაშიძე, ყ. ფაღავა), თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ზაიბთი 2022: W. Seibt. Auch der georgische Aristokrat Vač῾e Lip’arit’ emigrierte in der zweiten Hälfte des 11. Jahrhunderts in das Byzantinische Reich. 81-84. *Studies in Byzantine Sigillography,* 14 (Edited by Alexandra-Kyriaki Wassiliou-Seibt and Christos Stavrakos), Brepolis.

თაყაიშვილი 1913: Е. Такайшвили. *Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки. Выпускъ IV. Отд. отт. изъ XLIII вып. „Сборника матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа.”* Тифлисъ.

იკონომიდესი 1986: N. Oikonomides. *Dated Byzantine Lead Seals*, Dumbarton Oaks Research Library and Collection.

კაჟდანი 1978: А. Каждан. Византийские Липариты, *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები.* (მთავარი რედაქტორი თამაზ გამყრელიძე), თბილისი, მეცნიერება.

კოპალიანი 1949: ვ. კოპალიანი. *კლდეკარის საერისთავო,* ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბილისი.

ლორთქიფანიძე 2008: *მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ. თბილისი, მერიდიანი, არტანუჯი.

ნარიმანიშვილი 2021: გ. ნარიმანიშვილი. ბაღვაშთა სახლი თრიალეთში, *ბაღვაში. სამეცნიერო კრებული* (რედ. ზ. აბაშიძე, ყ. ფაღავა), თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ოთხმეზური 2017: *დმანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. V-XVIII სს.,* მიმოხილვა, ავტორი-შემდგენელი, პროექტის ხელმძღვანელი გ. ოთხმეზური, თბილისი.

სილოგავა 1994: ვ. სილოგავა. *კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა*, თბილისი, მეცნიერება.

ფაღავა 2020: ყ. ფაღავა. ბაღვაშთა და ორბელთა იგივეობის შესახებ, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის მაცნე,* 2: 34-49.

ფაღავა 2021: I. Paghava. The Life and Deeds of King Gagik’ (of K’akhet-Hereti) and His Relations with Lip’arit’ Baghwashi and other Contemporaries, *ბაღვაში. სამეცნიერო კრებული* (რედ. ზ. აბაშიძე, ყ. ფაღავა), თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფაღავა (იბეჭდება) ი. ფაღავა. იოვანე ლიპარიტის ძე ბაღვაშის თავგადასავალი ბიზანტიის იმპერიაში (სფრაგისტიკული, ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით).

შოშიაშვილი 1980: *ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.).* შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა. ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

VACHE BAGHVASHI, THE UNKNOWN DUKE OF DUKES (ERISTAVT-ERISTAVI) OF TRIALETI: TOWARD AN INTERPRETATION OF THE LAPIDARY INSCRIPTIONS FROM HIS DUCHY

Irakli Paghava
Caucasus University
G. Tsereteli Institute of Oriental Studies,
Ilia State University
mesefi@gmail.com

Tamaz Gogoladze
Caucasus University
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
tazogogoladze@yahoo.com

This article aims to investigate the identity and family origin of a certain Vache, *Duke of Dukes* (Eristav of Eristavs), mentioned in a lapidary inscription discovered at the K'ldeisi St. Mary Monastery. It also seeks to elucidate the activities of Rat'i, Eristav of Eristavs of Trialeti, and to explore the identities of certain Yvane and Iovane, Eristav of Eristavs, both referenced in the K'ldeisi inscriptions. Our research is based on a comprehensive analysis of both newly uncovered and previously known primary sources – namely, recently discovered sigillographic material and lapidary inscriptions from the Georgian regions of Trialeti and Lower Kartli, associated with various members of the Baghvashi family.

The identification of Vache, designated in the inscription as "Vache, Eristav of Eristavs," is supported by the following arguments:

1) Inscriptions at the K'ldeisi Monastery refer to both T'belis and Baghwashis;

2) Vaches title *(Eristav of Eristavs)* is characteristic of the 11th century Baghwashis, but is not attested for T'belis;

3) Paleographically, the inscription dates back to the 11th century; and we have also 4) A recently published Byzantine bulla, analyzed by W. Zeibt, and owned by certain *Batseas (Βατσ[ε]άς) Liparites,* i.e. Georgian *Vache (Βατσε)*, whose name was hellenized by adding Greek suffix *-as (-άς)*; this bulla also exhibits paleographical features typical of the 11th century.

We propose that the Vache mentioned in the K'ldeisi inscription and the individual named on the Byzantine bulla are one and the same: Vache Baghvashi (Liparit), Eristav of Eristavs of Trialeti. Thus, we identify a previously undocumented representative of the prominent Baghvashi family, active in the 11th century and governing the Trialeti duchy (*eristavdom*) – one of the family's principal domains.

We further hypothesize that Vache was the son of Rat'i (III), the elder son of the Great Lip'arit', an archrival of Bagrat IV, King of Georgia. T. Gogoladze's recent reinterpretation of the Gokhnari inscription in Trialeti confirms that Rat'i III was the sole Eristav of Eristavs of Trialeti following his father's demise, specifically between 1064 and 1073. Lip'arit's second son, Iovane, appears to have controlled the Eristavdom of Trialeti in the late 1050s, as he countersigned a royal charter issued by Bagrat IV in 1057/8 concerning the village of Bortswisjwari – most likely located within the territory of the Eristavdom.

Several undated lapidary inscriptions in the Trialeti region mention a certain Rat'i, either as Eristav or Eristav of Eristavs (Sabat'e, Uts'qlo, and four inscriptions from the churches of St. George and St. Mary in Akhalkalaki of Trialeti). These inscriptions were previously attributed to Rat'i I or Rat'i II (late 10th–early 11th-century Baghvashis). However, based on the reinterpretation of the Gokhnari inscription, we may now conjecture that at least some of these refer to Rat'i III. In particular, the use of the higher title *Eristav of Eristavs* — a distinction only adopted by the Baghvashis after Rat'i II's death – supports this reassignment. Thus, we attribute the four inscriptions in Akhalkalaki to Rat'i III, who likely ordered the construction or renovation of these churches as their benefactor.

Paleographic analysis confirms that both the K'ldeisi inscription and the Byzantine bulla date to the 11th century – a period when the Baghvashis adopted the title Eristav of Eristavs. The known list of rulers of Trialeti has already been established: Lip'arit' (son of Rat'i I); Zviad (?); Lip'arit' (son of Lip'arit'), until his expulsion (1052–1054?); Iovane (son of Lip'arit') in 1058/9 (?); again Iovane from 1073; Lip'arit' (son of Iovane); Rat'i IV (son of Lip'arit'). A chronological gap exists between the mid-1050s (or 1058/9) and 1073, which we now believe can be filled by Rat'i III. This may also have been the period during which Vache became Eristav of Eristavs of Trialeti — likely as the son and successor of either Rat'i III or Iovane (Niania, the younger brother, died in exile in the Byzantine Empire). However, primary sources mention Lip'arit' as Iovane's son but not Vache. Therefore, we hypothesize that Vache Baghvashi was the son and heir of Rat'i III, who became Eristav of Eristavs of Trialeti after his father's death between 1064 and 1073.

Vache's bulla indicates that he spent some time in the Byzantine Empire. The fine calligraphy of the Greek legend, as well as the absence of a Georgian one, suggests that the bulla was produced there. It bears no indication of an official post, implying that Vache held no formal position within the Byzantine administrative system.

We conjecture that Vache resided in the Byzantine Empire before assuming authority in Trialeti. The inscription at K'ldeisi is posthumous, serving as a supplication for the repose of his soul – suggesting that Vache may have been entombed there. Notably, another inscription at K'ldeisi commemorates K'wirik'e and Sula, sons of Vache. Could they be the descendants of Vache Baghvashi, Eristav of Eristavs of Trialeti? While the location supports this hypothesis, the lack of a title in the inscription complicates the attribution.

If we accept the attribution of the K'ldeisi inscription to Vache Baghvashi, we may extend this reasoning to include two additional inscriptions from the same site: a construction inscription of Iovane, Eristav of Eristavs; and a supplicatory inscription of Yovane.

We attribute the former to Iovane Baghvashi, son of Lip'arit' (and younger brother of Rat'i III), rather than to Iovane T'beli – based primarily on the title *(Eristav of Eristavs)*. As for the latter, we question Z. Aleksidze's recent attribution of this inscription to Iovane T'beli, primarily on paleographic grounds. However, due to the absence of a title and the use of a different grapheme for the name, the evidence remains inconclusive for a definitive attribution to Iovane Baghvashi.

„ოვსნი გორს მსხდომნი“ (საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში ოსთა ჩამოსახლების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები)

ქეთევან ქუთათელაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ketevan.kutateladze@tsu.ge

ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში მიგრაციულ პროცესებს ხშირად ჰქონდა ადგილი, რომელსაც სხვადასხვა ისტორიული მოვლენები განაპირობებდა. ამ პროცესების პარალელურად ძალზედ მნიშვნელოვანია იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება, რომელთაც შეეხო ეს პროცესები, რადგან ისინი გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ მოვლენებზე.

მონღოლთა ბატონობამ დიდი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ ამის შედეგად საზღვრები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ძალიან დიდი საფრთხის შემცველი იყო უცხო ეთნიკურ ჯგუფთა ჩამოსახლება, რომელთაც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, მონღოლები მართავდნენ. მათი ხელშეწყობით კი სხვა ეთნიკური ჯგუფები ცდილობდნენ ფეხი მოეკიდებინათ საქართველოს ქვეყნის შიდა სტარტეგიულ მხარეებში.

როდესაც მონღოლებმა საქართველო დაიპყრეს, ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართველებისათვის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ულუსებს შორის გაჩაღებული ომის დროს, როდესაც ბრძოლები მიმდინარეობდა ბერქა ყაენსა და ჰულაგუ ყაენს შორის, მას თან ერთვოდა თვითგადარჩენისთვის ხალხთა დიდი მიგრაცია. ოქროს ურდოს ყაენის სისასტიკით დევნილი ოსი ხალხის დიდი ნაწილი სამხრეთისკენ დაიძრა, თავშესაფარი ილხანთა ყაენისგან ითხოვეს და მათ სამსახურში ჩადგნენ. სწორედ, დარუბანდის გზით მოემართებიან ბერქა ყაენისგან ლტოლვილი ოსები. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ოქროსა და ილხანთა ურდოს შორის მწვავე დაპირისპირების დროს,

> გარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოვილნი, დედაკაცი საკჳრველი ლიმაჩავ და მან მოიტანა შვილნი მცირენი, ნათესავით ახასარფაკაიანნი, პირმშო ფარეჯან და უმრწემესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე (დავით VII ლაშა-გიორგის ძე – ქ. ქ.). ხოლო მან პატივითა ისტუმრნა, და წარავლინა ყაენს ულოს წინაშე, და ყაენმან შეიწყნარნა ფრიად, და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამებრძოლელად განაჩინა. და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინნა, ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე დმანისსა, და სხუანი ჟინვანს (ყაუხჩიშვილი 1959: 251).

მართალია, აქ ავტორს ოსები ნახსენები არ ჰყავს,[1] მაგრამ იგულისხმება, რადგან შემდგომ ცნობებში ფარეჯანი და ბაყათარი ოს მთავრებად მოიხსენიებიან (ყაუხჩიშვილი 1959: 297, 299, 305). გარდა ამისა, ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს, რომ

> ამ ჟამს გადმოვიდნენ ოვსნი, ბერქას ყაენს წამოსვლოდეს დედაკაცი საკურველი, საჴელად ერქვა ლიმაჩავ და მას ჰყვანდა შვილნი მცირენი, ნათესავნი ახასარფაკაიანნი. უფროსს სახელათ ერქვა ფარეჯან და უმცროსს ბაღათარ და სხვანი თავადნიც მრვალნი გარდმოვიდნენ დარალანის (დარალამის) კარითა და მოვიდეს მეფეს წინ (ალასანია 2022: 179-180); (კიკნაძე 1971: 122).[1]

ეს ფაქტი ორჯერ არის დაფიქსირებული, ერთგან ისტორიკოსი მოიხსენიებს „გამოიარეს კარი დარიელისა“ (ალასანია 2022: 176). საქართველოში შემოსული ოსების შესახებ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები ბევრად უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა. ამ ფაქტს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა რ. კიკნაძე (კიკნაძე 1971: 122). ჟამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანეში აღნიშნულია: „ამას ჟამთა გარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი ოვსნი, დედაკაცი საკჳრველი, სახელით ლიმაჩავ“ (კიკნაძე 1987: 136).

საქართველოში ოსთა შემოსვლის შესახებ ჟამთააღმწერლისა და ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღნიშნული ცნობიდან მომდინარეობს ის ფაქტი, რომ ოქროს ურდოს ყაენისგან შევიწროებულმა ოსური მოსახლეობის ნაწილმა („თავადნი მრავალნი“) თავი შეაფარა ჰულაგუ ყაენის გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოს ტერიტორიას, რომლის მეფე ყაენის ქვეშევრდომია. მათ ფაქტობრივად, დავით ლაშას ძეს საქართველოს ტერიტორიაზე შესვლა სთხოვეს, რომლის გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, საომარ შეტაკებასაც ჰქონოდა ადგილი. ქართველი მეფე იძულებულია დიპლომატიურად მიიღოს ეს ხალხი, აირიდოს ზედმეტი დაძაბულობა. დავით ლაშას ძე დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა ოსთა შემოსული მასის ბედს ილხანთა ყაენთან შეთანხმების გარეშე. ამიტომაც იყო, რომ მან ყაენთან მათი წარმომადგენლების წარგზავნა უზრუნველყო. ჰულაგუ ყაენი მონღოლთა სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას, ოსი ლტოლვილები ქვეშევრდომობაში მიიღო, ხარკი და სამხედრო სამსახური დაუწესა სანაცვლოდ და კვლავ დავითთან გამოგზავნა, რის შემდეგაც ოს მოსახლეობას საქართველოს კონკრეტულ ადგილებში ასახლებენ. ამრიგად, ჰულაგუ ყაენმა ოს მოსახლეობას საქართველოში დასახლების უფლება მისცა, მათთვის შედარებით უსაფრთხო გარემოს სანაცვლოდ კი ხარკი და სამხედრო სამსახური დაუწესა.

ოსთა ჩასახლება ქართველი მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდებოდა, იგი რადიკალურად ვერ დაუპირისპირდებოდა ამ პროცესს, თუმცა ყველაფერს ეცდებოდა, რომ საქართველოში შემოსული ახალი სამხედრო ძალა თავის ინტერესებისთვისაც გამოეყენებინა. მსგავსი მოვლენები ძალიან სახიფათო იყო ქართული სახელმწიფოსთვის, მაშინ როდესაც ქვეყნის მეფე არ არის დამოუკედებელი მმართველი, არსებული მტერი და შემოხიზნული უცხო სათავისოდ გამოიყენებდა მდგომარეობას და ასეც მოხდა მოცემულ შემთხვევაში.

ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი მეცნიერი შეეხო (თოგოშვილი 1958: 191); (გვასალია 1966: 93-94, 95); (გვასალია 1997: 55); (ხარაძე 1996: 161-162); (თოფჩიშვილი 2012: 147-148); (ვახტანგიშვილი 2017: 33). ძირითადად იკვეთება მოსაზრება, რომ ოქროს ურდოს მონღოლებისგან შევიწროებული ოსები ტოვებენ თავიანთ ტერიტორიებს, რომლებიც მონღოლთა ხელში სამომთაბარეო ადგილებად იქცევა. ილხანთა სამსახურში ჩამდგარი ოსები ბუნებრივია, მათ მოწინაარმდეგეთა მიმართ იქნებოდა გამოყენებული, უსაფრთხო საცხოვრებლის სანაცვლოდ, სამხედრო სამსახური ავალდებულებდა ამას. თუმცა, შემდგომ ისინი მონღოლთა ხელშეწყობით და ქართული ხელისუფლების დასუსტებით სარგებლობდნენ და ძალისმიერი მეთოდით ცდილობდნენ დაეკავებინათ შიდა ქართლის სტრატეგიული მხარეები. სწორედ, ამიტომაც მოუხდა გიორგი ბრწყინვალეს რადიკალური ზომების მიღება, როდესაც სამხედრო ოპერაციის შედეგად ქართლში დამკვიდრებული ოსები „აღფხურნა და განასხნა“. ამის შემდეგ ოსთა ახალშენები უფრო გვიანდელ საუკუნეებში ჩნდება. რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ ამ გადმოსახლებას არ მოუხდენია რამე ცვლილება საქართველოს ეთნიკურ მდგომარეობაზე და ოსთა კომპაქტური დასახლების შექმნა უფრო გვიანდელ პერიოდში (XVII ს-ის II ნახევრიდან) მოხდა (თოფჩიშვილი 1997: 136). ვ. ითონიშვილი მიიჩნევს და, რომ ტერმინების „ოსობა/ოსიანობა/ოვსობა/ოსობია“ ოსთა მხრიდან თავდასხმების და რბევა-აწიოკების გამოძახილი უნდა ყოფილიყო

ქართულ ცნობიერებაში, როდესაც ირბეოდა და საფრთხე ექმნებოდა ცენტრალური ქართლის ადგილობრივ მოსახლეობას (ითონიშვილი 1996: 229). მკვლევარი ფიქრობდა, რომ

> ოქროს ურდოდან ლტოლვილი ოსები „ილხანთა გამგებლის ულო ყაენის ნებართვით ქართლში დასახლების შემდეგ ქართველებს ადგილ-მამულს ეცილებიან“, ისინი ალიანსში შევიდნენ მონღოლებთან და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართველებს (ითონიშვილი 1996: 231).[2]

ი. ჯავახიშვილი ოსების აგრესიულ ქმედებებს დავით დემეტრეს ძის პერიოდიდან აფიქსირებს სანამ იგი მეფე გახდებოდა და მათ მოიხსენიებს, როგორც „ქედს აქეთ გადმოსულთ“ და „მეკობრეობით გათამამებულებს“ (ჯავახიშვილი 1982: 126). თუმცა, ვეთანხმებით ვ. გამრეკელის აზრს, რომ

> XIII ს. მიწურულს ქართლში მყოფ ოსთა მოქმედება ჩვეულებრივი მეკობრეობა, ან გარეშე ძალის შემოსევა რომ ყოფილიყო, მაშინ იმ ოსთა რაზმებს ხომ მონღოლებიც შეებრძოლებოდნენ. ისტორიული წყაროების კრიტიკული განხილვა გვარწმუნებს, რომ გორის დაკავებაში ოსებს სწორედ მონღოლებმა გაუწიეს მფარველობა (გამრეკელი 1975: 167).

ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუ არ ჩავთვლით რ. კიკნაძის დაინტერესებას, ნაკლებად იყო განხილული ფარსადან გორგიჯანიძის წყაროს ის ნაწილი, რომლის გარეშე შეუძლებელია მონღოლთა პერიოდში ოსთა საქართველოში შემოყვანის პრობლემისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ობიექტურად გაშუქება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჟამთააღმწერელი ოფიციალურად გადმოსული ოსთა ნაკადის შემოსვლას დარუბანდის გზიდან მიუთითებს, თუ არ ჩავთვლით ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღნიშნულ ცნობას დარიალთან დაკავშირებით. ჟამთააღმწერლის ცნობაში კარგად ჩანს, თუ რა დატვირთვა ჰქონდა მონღოლებისთვის დარუბანდს და იქედან მომავალ გზას. ოქროს ურდოსა და ილხანთა საყაენოს შორის ატეხილ ომში დარუბანდის გზა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. როდესაც ჰულაგუ ყაენი აჯანყებული დავით ლაშას ძის და სარგის ჯაყელის ახსნა-განმარტებას ისმენდა, „მოვიდა კაცი დარუბანდით, გზის მცველთა ყაენისათა“, რომელმაც მოახსენა ყაენს, რომ „ყაენი დიდი ბერქაი მოვალს გზასა დარუბანდისასა უმრავლითა, დიდად დიდითა ლაშქრითა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 248). როგორც ჩანს, დარუბანდიდან შირვანისკენ მომავალ გზას ილხანები აკონტროლებდნენ და იცავდნენ. ამ ამბის გაგებით, შემთხევით სიკვდილით დასჯას გადარჩენილმა დავით მეფემ და სარგის ჯაყელმა ილხანების მხარეს იბრძოლეს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, ოსური მოსახლეობის შემოსვლას ადგილი ჰქონდა დავით ლაშას ძის აჯანყების შემდგომ პერიოდში, როდესაც დავითი ჰულაგუ ყაენს შეურიგდა და ჩრდილოეთის ულუსის – ოქროს ურდოს ყაენის ბერქას წინააღმდეგ იბრძოლა. 1262 წლის 14 მაისს ჰულაგუ ყაენმა შირვანში შაბურანთან დაამარცხა ბერქა ყაენის ჯარი („ველსა ზედა შაბურანისასა“), რომელსაც სდიეს „დარუბანდის კარამდის. და განვლეს დარუბანდიცა და სამსა დღესა სხუასა დევნა უყვეს“. გამარჯვებულები ბარდავში მივიდნენ, სადაც ქართველები დააჯილდოვეს (ყაუხჩიშვილი 1959: 249). მაგრამ 1263 წელს ამჯერად, თერგთან ოქროს ურდოს ყაენმა სასტიკად დაამარცხა ჰულაგუს ჯარი და დარუბანდიც დაიბრუნა. ჰულაგუს დემორალიზებულმა ჯარმა შებმა ვერ გაბედა და 1263 წელს თავრიზში დაბრუნდა (ჯავახიშვილი 1982: 75-76). ჟამთააღმწერლის ცნობაზე დაყრდნობით, გ. თოგოშვილი ოსთა გადმოსვლის ფაქტს 1257-1265 წლებში განიხილავს, კონკრეტულად კი 1263 წელს თერგის ნაპირთან გამართულ ბრძოლას მიიჩნევს, სადაც ჰულაგუ ყაენი დამარცხდა (თოგოშვილი 1958: 195). როგორც ჩანს, ამ ბრძოლაში ოსი მთავრები ოქროს ურდოს წინააღმდეგ გამოვიდნენ და შემდეგ თვითგადარჩენის მიზნით, იძულებული

გახდნენ თავი ილხანთა საყაენოს გავლენის ქვეშ მყოფი სივრცისთვის შეეფარებინათ. ამ ფაქტს „ოსების სასტიკად დარბევის მიზეზად“ მიიჩნევს მ. ვახტანგიშვილი (ვახტანგიშვილი 2017: 21). ბერქა და ჰულაგუ ყაენების ბრძოლას „1262 წლის ნოემბრიდან – 1263 წ. იანვრის შუა რიცხვებამდე“ მიიჩნევს ვ. გამრეკელი, ლტოლვილი ოსების შემოსვლას კი 1263 წლით ათარიღებს (გამრეკელი 1975: 182). მკვლევარი ამ ფაქტს ერთგვარ „პოლიტიკურ ემიგრციად“ აფასებს (გამრეკელი 1975: 182). ბერქა ყაენისგან შევიწროებული ოსები ბუნებრივია, საქართველოსკენ დაიძრებოდნენ. ერთი შეხედვით, საქართველოში ოსთა შემოსვლა მათი ფიზიკური გადარჩენის საშუალება იყო. თუმცა, ლტოლვილი ოსი მოსახლეობის საქართველოში დასახლებით ჰულაგუ ყაენი შესაძლოა, ოქროს ურდოს ყაენის წინააღმდეგ უფრო ერთგულ დასაყრდენს ხედავდა და მათი შემოსვლით თვით ილხანები იყვნენ დაინტერესებულნი. გ. თოგოშვილი ფიქრობს, რომ ოსები დარუბანდის გზით ვერ გადმოვიდოდნენ, ილხანთა თანხმობა რომ არ ყოფილიყო. მისი შენიშვნით, „ილხანები ამ გარემოებით მოგებული იყვნენ – მათი სამხედრო ძალები მრავლდებოდა ოსებით, რაც ასე საჭირო იყო ბერქას წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ქვეყნების დაპყრობის საქმეში“ (თოგოშვილი 1958: 196). შესაძლოა, ჰულაგუ ყაენი დავითის აჯანყების შემდგომ უკვე ბოლომდე აღარ ენდობოდა ქართველ მეფეს, ჟამთააღმწერლის ცნობით, დავით მეფეს თვით ბერქა ყაენი „მრავალსა მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიჭსა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დასავლეთისა, რამეთუ ორივე ჴელთა შინა მისთა არს“. ჰულაგუ ყაენს უხსნიდნენ, რომ „უკეთუ ბათოს ულოსი და მეფე შეიერთნეს, დიდი შფოთი აღდგებიან“ (ყაუხჩიშვილი 1959: 245-246). როგორც ჩანს, ჰულაგუ ყაენმა გაითვალისწინა ეს საშიშროება და ოქროს ურდოს ყაენთან დავით VII-ის ძალების გაერთიანების თავიდან აცილების მიზნით, მასთან შერიგება არჩია. რომ არა ოქროს ურდოს ყაენის ბერქას შემოსევა, დავით მეფე სიკვდილით დასჯას ალბათ ვერ გადაურჩებოდა[3].

ბუნებრივია, ლტოლვილი ოსებისთვის უფრო მიმზიდველი მთისწინეთის ან ბარის გეოგრაფიული ზონა უნდა ყოფილიყო მდიდარი სავარგულების გამო, რაც იყო მიზეზი იმისა, რომ მონღოლთა სამსახურში ჩამდგარ ოსებს, როგორც კი ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, მონღოლთა თარეშის შედეგად დასუსტებული საქართველოს შიდა ქართლის ბარის რეგიონები მიითვისეს. ილხანთა სამსახურში ჩამდგარმა ოსებმა მიიღეს მშვიდი საცხოვრებელი. ეს კი საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივ ანუ ქართულ მოსახლეობას და შემდგომ დაპირისპირებაც გამოიწვია მასთან. ვ. კიკნაძე მიიჩნევს, „რომ ჩრდილოეთიდან ქართლი ოსთა დამარბეველი და გამაჩანაგებელი შემოსევების სარბიელი გახდა“ (კიკნაძე 1989: 41).

გ. თოგოშვილი ფიქრობს, რომ დავით ლაშას ძესთან[4] ოსებს ურთიერთობა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ, „წინააღმდეგ შემთხვევაში დარუბანდის გზის გამოვლის შემდეგ პირდაპირ მის წინაშე გამოცხადება და მისგან პატივით მიღება გაუგებარი რჩება“ (თოგოშვილი 1958: 196). ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, რომ თითქოს დავით ლაშას ძე სასარგებლო ფაქტად მიიჩნევდა ოსთა გადმოსახლებას. ამით უფრო ილხანთა ყაენმა იხეირა და ოსებმა ახალი საცხოვრისი შეიძინეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვფიქრობ, პირველად დავით ლაშას ძესთან ოსთა მისვლა მიუთითებს, რომ მათ ქართველი მეფის საგამგეო ტერიტორია უნდა გაევლოთ, მეფის მიერ მათი (წარმომადგენლების) ჰულაგუ ყაენთან გაგზავნა მიუთითებს, რომ დავითი, როგორც ჰულაგუ ყაენის ქვეშევრდომი, ვალდებულია, ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება მასთან შეათანხმოს. ჰულაგუ ყაენმა თვითონ კი არ შეიფარა ოქროს ურდოს ყაენისგან ლტოლვილი ოსები, არამედ თავის ქვეშევრდომს უბრძანა, რომ მათთვის საქართველოში ტერიტორიები გამოეყო. ჰულაგუ ყაენს ლტოლვილი ოსები კავკასიაში უფრო სჭირდებოდა, ვიდრე იმპერიის სხვა რეგიონებში. ფაქტობრივად, ილხანთა მხარდაჭერით ოსი ლტოლვილები ქართულ მიწებზე სახლდებოდნენ, ქართველებივით გადაიხდიდნენ ხარკს და იბრძოლებდნენ მონღოლების გვერ-

დით. როგორც ვხედავთ, მონღოლებმა ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილი ლტოლვილი ოსები თავის სამხედრო ოპერაციებში ჩააბა და ახალი სამხედრო ძალა გაიჩინა. მათთვის მთავარი იყო საქართველოს ტერიტორიიდან გამოსულიყო ჯარი. მკვიდრი ქართველი და ლტოლვილი ოსი მონღოლისთვის უკვე გათანაბრებული იყო სამხედრო თვალსაზრისით, ეს კი საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ვ. გოილაძე ვარაუდობს, რომ ლიმაჩავი და მისი ძეები, რომლებიც „ნათესავით ახასარფაკაიანნი“ არიან, „ოსეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ“. მკვლევარი ფიქრობს, რომ დავით ლაშას ძეს პატივით უნდა მიეღო ისინი, რადგან არ გამორიცხავს,

> რომ საქართველოს სამეფო კარს ოსეთის მეფეებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ, ოსი ქალიშვილი ალთუნი, რომელმაც დავით VII-ეს შვილები გაუჩინა, თუ ახასარფაკაიანნთა სამეფო სახლის წევრი იყო, დავით VII მათ, ცხადია, პატივით მიიღებდა (გოილაძე 2018: 176).

თუმცა, ჟამთააღმწერელი არ აღნიშნავს, რომ ალთუნი ოსეთის მეფის ასული იყო, მხოლოდ მის წარმომავლობას უსვამს ხაზს – „ნათესავით ოსი“. იგი შვილიერების გამო მოიყვანა მეუღლედ დავით ლაშას ძემ და ისტორიკოსი მოიხსენიებს, როგორც „საყუარელი თჳსი ალთუნ, ნათესავით ოვსი, ფრიად ქმნულ-კეთილი“ (ყაუხჩიშვილი 1959: 237). ფარსადან გორგიჯნიძე მას მოიხსენიებს, როგორც „ოსეთის ბატონის ქალი, ტურფა და ლამაზი ქალი ალთუნიანთა“ და „ოსეთის თავადის შვილი ალთუნ“ (ალასანია 2022: 158). მათ ჰქონდათ შეთანხმება, რომ „უკეთუ მიეცეს ყრმა-წული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს“(ყაუხჩიშვილი 1959: 236). ალთუნის მიერ გაჩენილი უფლისწული გიორგი იშვილა დედოფალმა ჯიგდა-ხათუნმა, რომელიც უშვილო იყო, თამარის გაჩენის შემდეგ კი დავით მეფე გაშორდა ალთუნს (ყაუხჩიშვილი 1959: 236-237). ეს საკმაოდ სევდიანი ისტორიაა, ამის შემდეგ ამ ქალის ბედი გაურკვევლია, მასზე ისტორიკოსი აღარაფერს ამბობს. ოსეთის მეფის ასულთან გამოირიცხებოდა ასეთი შეთანხმება.[5]

როგორც აღვნიშნე, ფარსადან გორგიჯანიძე უფრო მეტ ცნობებს წარმოგვიდგენს საქართველოში შემოსული ოსების შესახებ, რომელსაც რ. კიკნაძე განიხილავს თავის ნაშრომებში.[6] ამათგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომელიც საინტერესო გააზრების საშუალებას იძლევა საკითხის ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით.

ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ *ქართლის ცხოვრების* ძირითად ტექსტში ოსთა ჩამოსახლება მოიხსენიება მხოლოდ დმანისსა და ჟინვალში, ისევე როგორც მარიამისეულ *ქართლის ცხოვრებაში*. მათ მხოლოდ, თეიმურაზისეული ნუსხა და ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ უმატებს „რომელნიმე ქალაქსა“, რომელსაც წყაროს მარიამისეული *ქართლის ცხოვრების* გამომცემელი ე. თაყაიშვილი შენიშვნებში უთითებს (თაყაიშვილი 1906: 689). ბროსესეული ქართლის ცხოვრების მიხედვით – „ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი ჟინვანს“ (ბროსე 1849: 398).[7] ასევე, ოსთა ჩასახლების სამი ადგილი მოიხსენიება რ. კიკნაძის მიერ გამოცემულ ჟამთააღმწერლის ტექსტში: „ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე – დმანისსა და სხუანი – ჟინოვანს“ (კიკნაძე 1987: 136). მსგავს ცნობას იმეორებს ფარსადან გორგიჯანიძეც: „და მეფემ სამათ გაჰყო, ზოგნი დმანის დააყენა, ზოგნი ქალაქს და ზოგნი ჟინოანს“ ან კიდევ: „მეფემანც ზოგნი ქალაქს დაასახლა და ზოგნი დმანის[ს] დააყენა და ზოგნი ჟინოანს გაგზავნა“ (გორგიჯანიძე 2022: 176, 180); (კიკნაძე 1971: 122).[8] „ქალაქს“ არ იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მეფემ ოსები „განყვნა და დასხნა დმანისს და ჟინვანს ქართლს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 222).

ფარსადან გორგიჯაიძის ცნობით, მაშინ როდესაც დავით ლაშას ძე სიბაზე იდგა, დავით ნარინის სამფლობელოს თავი შეაფარა ილხანთა მოწინააღმდეგე ერთ-ერთმა უფ-

ლისწულმა ღალღურმა (რ. კიკნაძე იეღლურს უთითებს), რომელიც დედაწულით აიყარა და მათ „საჴელად აღნარობით იჴმობდნენ“ (ალასანია 2022: 204); (კიკნაძე 1987: 230). დავით ნარინმა კარგად მიიღო ლტოლვილი მონღოლები და „სარჩოთ გაუჩინა ქუეყანა რაჭისა“. როდესაც ეს აბაღა ყაენმა გაიგო, დავით ნარინს ატენი წაართვა, რომელიც ადრე თავად უბოძა, მას შემდეგ რაც ნარინმა ერთ-ერთი მონღოლი უფლისწული თეგუდარი აღარ შეუშვა დასავლეთ საქართველოში – „მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცნა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 267). დავით ნარინისთვის ატენის გადაცემის ფაქტს ფარსადან გორგიჯაიძეც ადასტურებს და უფრო აკონკრეტებს – „რუსუდანი(ს) ძეს დავითს მრავალი წყალობა უყო ოქრო ვერცხლითა და ნაქსოვითა. და ქართლში ატენის ხეობა თავისის გარეშე სოფლებით უბოძა“, ან კიდევ – „ქართლში მრავალი სოფლები მისცეს, ატენი და გარეშემო თემი მისნი“ (გორგიჯანიძე 2022: 190, 203-204). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მონღოლებს აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დაუკითხავად ნებისმიერი ტერიტორიის გადაცემა შეეძლოთ მათთვის სასურველი პირისთვის. თვით ქართლის მეფეს კი სიბაზე გაიყოლებდნენ. ატენის ჩამორთმევის შემდეგ, დავით ნარინმა, საპასუხოდ, მასთან შეფარებულ მონღოლებს და თავის ჯარებს ქართლის დარბევა დაავალა და მცხეთამდე ყველაფერი ააოხრეს, რასაც თან ერთვოდა ადამიანთა ტყვედ წასხმა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს: „ამისმან მცნობელმან დავით მეფემან უბრძანა ღალღურსა და სპათა მისსა დარბევად ქართლისა, მათაც დაიწყეს რბევა, ტყვეთ წასხმა, ოხრება (მ)ცხეთამდისინ“ (ალასანია 2022: 204). ი. სიხარულიძეს ღალღური „განდგომილების ნიღაბს შეფარებულ აგენტად“ მიაჩნდა, რომელიც თითქოს ილხანებმა დავით ნარინს შეუგზავნეს (სიხარულიძე 1967: 146-147). ამ მოსაზრებას არ ეთანხმება რ. კიკნაძე, რომელიც ფარსადან გორგიჯანიძის ცნობების გაანალიზების შედეგად ასკვნის, რომ

> ის (ღალღური – ქ. ქ.) ილხანის განდგომილი კაცია და არც, მით უმეტეს, მისი აგენტი. იგი ოქროს ურდოდან არის მოსული, ჰულაგუს მიერ დახოცილი ჯუჩიანი უფლისწულების ახლობელია და ამიტომაც არის, რომ საქართველოს მეფესაც ებრძვის და არც ილხანთან აქვს კარგი დამოკიდებულება (კიკნაძე 1971: 120).

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, სიბაზე დგომით შეწუხებულმა და მოუცლელმა დავით ლაშას ძემ

> მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა. შეგროვდენ ყველანი სურამელის გრიგოლის საქმით და მისის შვილის ბეგას რჩევით მისცა გორის ციხე და ქალაქი, დაუყენა წინ საომრათ ღალღურსა და იმერლებსა, დაიცონ ქართლი (ალასანია 2022: 204-205); (კიკნაძე 1987: 230).

ვ. გამრეკელს მიაჩნია, რომ „გორის დაკავება მოხდა ჟინვანიდან, დმანისიდან, ატენიდან ქართლის სხვა რომელიმე პუნქტიდან მათი ადგილგადანაცვლების შედეგად“ (გამრეკელი 1975: 177). ამ მოსაზრებას იზიარებს ე. მამისთვალიშვილიც, რომელიც გულისხმობს დმანისსა და ჟინვალში ჩაყენებულ ოსებს (მამისთვალიშვილი 2018: 45).

როგორც ვხედავთ, დავით ნარინმა გამოიყენა ღალღურის ძალა და ატენის ციხის წართმევისთვის შური იძია, რისთვისაც ქართლის დარბევასაც არ მოერიდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, მანამდე მოეყვანათ „თათარი თანღუთ, საჴელათ ჯანას, მყოლებელი მჴედრის ხუთასისა. იმავე ბეგას გან(ძ) რახვითა, რომე მანვე დაიცვა კარი დარალანისა და გზანი დვალეთისა და ოსეთისა, რომე ეს კეთილად იქნა“. ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ იმ დროს დაიცვა ქვეყანა ოვსთაგან, რომელთა მთავარნი იყვნენ უფროსი ფარეჯან და უმცროსი ბაყათარ (ალასანია 2022: 205); (კიკნაძე 1987: 230).

ამ ცნობის მეორე ვარიანტში, რომელსაც რ. კიკნაძემ მიაქცია ყურადღება და განიხილავს, უფრო დაკონკრეტებულია, რომ შირვანში სიბაზე წასვლის თავიც კი არ ჰქონდა უძლურებისგან დავით მეფეს და

> აცნობა ზემოხსენებულ ოსთა, შეჰკრან ყოვლი გზანი. გაზრახვითა სურამელისათა გრიგოლისათა უბოძა გორის ციხე-ქალაქი და სამკვიდრო მისნი და დახვდნენ იეღლურსა და იმერელთა, დაიცონ ქართლი და ამათაც არბიონ რაჭა და იმერეთი. და უწინ ამისას თიღუნთ ნათესავი, მყოლებელი ხუთასის კაცისა, სახელით ჯასან, ბეგასვე გაზრახვითა, რომე მან და ბეგამ დაიცვან კარი დარალამისა და გზა დასავლეთისა. და განუჩინა საზ[ა]მთროთ სადგომათ მუჯრანი და საზაფხულოთ მთიულეთი (ალასანია 2022: 191); (კიკნაძე 1987: 231).

„ყოველ გზაში“ არა მარტო დასავლეთ საქართველოდან მომავალი გზა, არამედ შესაძლოა, ჩრდილოეთიდან მომავალი გზაც იგულისხმებოდა, რომელთაც ორივე მხრიდან ლიახვისა და მტკვრის ხერთვისში მყოფი გორის ციხე კეტავდა. ამრიგად, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებში მოიხსენიება დარიალის, დვალეთისა და დასავლეთის გზა, რომელშიც ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „ზოგჯერ ის იმიერკავკასიიდან ლიხთიმერეთში შემავალ გზას ნიშნავს“, ასევე აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსკენ მიმავალ გზასაც (ბერძენიშვილი 1966: 29).

რ. კიკნაძის აზრით, რომელიც ძირითადად ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებს ეყრდნობა,

> თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა დავით ლაშას ძემ მოხერხებულად გამოიყენა ორივე გარეშე ძალა. ღალღურის მონღოლთა ლაშქრის თარეში მან ოსების შემწეობით მოიგერია, ხოლო ჯანასის მონღოლების დახმარებით სამუდამოდ გადაუკეტა ოსებს ქართლში გადმოსასვლელი გზები (კიკნაძე 1971: 123).

ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღნიშნული ცნობებიდან იკვეთება ის, რომ სურამელები, როგორც ქართლის ერისთავები, დაინტერესებული იქნებოდნენ შიდა ქართლის ბედით. მათ დასავლეთ საქართველოდან წამოსული მონღოლთა და იმერლების ჯარის მიერ ქვეყნის დარბევის ერთადერთ შემაკავებელ პუნქტად გორის ციხე მიაჩნდათ, რომელიც კეტავდა დასავლეთიდან წამოსულ გზებს. იმის გამო, რომ ქართული ლაშქარი ძირითადად სიბაზე იდგა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს ძალები არ ჰყოფნიდა პრობლემის მოსაგვარებლად. დავით ნარინისა და ილხანთა მოწინააღმდეგე მონღოლების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დროს დამხმარე ძალად ჩართეს საქართველოში შემოყვანილი ოსები, რომელთაც ილხანთა მოწინააღმდეგე მონღოლების განეიტრალება და კონკრეტული დავალება მიეცათ დაერბიათ რაჭა და იმერეთი. რადგან დასავლეთ საქართველოდან ხდებოდა მოწინააღმდეგე ძალების შემოჭრა, ამიტომ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ილხანთა სამსახურში მყოფი ოსების ჩაყენება ისეთ საკვანძო ქალაქში, როგორიც გორი იყო. როგორც დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთის გზების დაცვასა და გაკონტროლებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი შიდა ქართლის ერისთავები სურამელები და ილხანთა მონღოლების წარმომადგენლები, მათ არა მარტო ოქროს ურდოს მტრული ძალებისგან უნდა დაეცვათ ქართლის ცენტრალური მხარეები, არამედ აღეკვეთათ სხვადასხვა ნაკადების, მათ შორის, ოსი მოსახლეობის, სტიქიური და გაუკონტროლებელი შემოსვლები. მონღოლთა წარმომადგენლებისთვის მუხრანისა და მთიულეთის სადგომად გამოყოფა შემთხვევითი ფაქტი არ იყო და მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რის განმარტებასაც ქვემოთ შევეცდები. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ქართველები მონღოლებს სიბაზე შირვანში ჰყავდათ განმწესებული, საქართველოს შუაგულში კი სამხედრო უსაფრთხოების საქმეში შემოყვანილი, ლტოლვილი ოსები ჩართეს. ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღნიშნული ცნობა შეიძლება გავიგოთ ისე, რომ დავითმა მონღოლების გადაწყვეტილება ამცნო მათ ქვეშევრდომებს, მას დამოუკიდებლად არ შეეძლო გადაწყვეტილების

მიღება, ასე რომ ყოფილიყო, თვითონ გამოემართებოდა და შეებრძოლებოდა ღალღურსა და დავით ნარინის მეომრებს, რომელთაც მცხეთამდე ააოხრეს ქართლი. აღმოსავლეთ საქართველოს ჯარი ძირითადად სიბაზე იდგა. გარდა ამისა, დავითმა, როგორც ილხანთა ყაენის ქვეშევრდომმა, თავის დროზე ხელი ვერ შეუშალა ოსთა შემოყვანას საქართველოში. როგორც ვხედავთ, დავით ლაშას ძე ცდილობს საქართველოში შემოსული ოსები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მათ ხომ ევალებოდათ ილხანთა ყაენის ინტერესები დაეცვათ და ებრძოლათ მისი ნებისმიერი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. ეს იყო ქართველი მეფის ტრაგედია, როდესაც მეფეს ხელი არ მიუწვდებოდა, რომ თვითონ დაეცვა ქართლი, რადგან ხშირად ქართულ ჯართან ერთად ფიზიკურად სიბაზე ყოფნის გამო ილხანთა ყაენის ინტერესებს იცავდა შირვანში, მისი ქვეყანა კი დაუცველი რჩებოდა. გორში სამხედრო მიზნით ოსთა ჩაყენების თარიღად მკვლევართა მიერ მიღებულია 1268-1269 წლები (მამისთვალიშვილი 2018: 46).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში გორში ჩაყენებულ ოსთა რაზმებს ვერ უხელმძღვანელებდნენ ფარეჯანი და ბაყათარი, რადგან ისინი ამ დროს მცირეწლოვანნი იყვნენ, უბრალოდ იგულისხმება, რომ ეს ორი ძმა ლტოლვილი ოსების მთავრებად მოიაზრება, რომელთაგან ფარეჯანი უფროსია, ბაყათარი კი უმცროსი. აქ დგება ფართო მასშტაბის პოლიტიკური პრობლემა, რაც, წყაროს მიხედვით, შექმნა ჩრდილოეთიდან ლტოლვილი ოსი მოსახლეობის ნაწილის ილხანთა სასარგებლოდ სამხრეთ კავკასიაში შემოყვანამ, რასაც, შესაძლებელია, თან დაერთო ოსი მოსახლეობის სხვა ნაკადების სტიქიური შემოსვლა. ის ფაქტი, რომ მონღოლებმა შეკრეს დარიალისა და დვალეთის გზები, სადაც კასრის კარიც მდებარეობდა, მიუთითებს, რომ ოსთა იმ ნაკადების შემოსვლა, რომელთა შესახებ ინფორმაცია წყარომ არ შემოგვინახა, ამ გადმოსასვლელებით ხდებოდა ქართლში და არა დარუბანდიდან, საიდანაც ოსთა გადმოყვანა მხოლოდ ზემოაღნიშნულ ლიმაჩავისა და მისი ძეების, მათდამი დაქვემდებარებული ოსი მთავრების შემთხვევაში მოხდა. როგორც ჩანს, იგი სათანადოდ კონტროლდებოდა ილხანთა მიერ.

ამრიგად, წყაროს არ შემოუნახავს ოსთა გადმოსახლების სხვა ფაქტი დარუბანდის გზით გამოვლის გარდა, თუ არ ჩავთვლით ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღნიშნულ ცნობას, როდესაც იგი დარუბანდის მაგივრად დარიალს ასახელებს (ალასანია 2022: 176). არ არის გამორიცხული, რომ აქ რომელიმე სხვა ნაკადის შემოსვლაც იგულისხმებოდეს. ამიტომ, სავარაუდოთ, შემდგომი შემოსვლები უფრო სტიქიური ხასიათისა იქნებოდა, ისარგებლებდნენ რა დარიალისა და დვალეთის გადმოსასვლელების დაუცველობით და ქართლის ცენტრალური ხელისუფლების სავალალო მდგომარეობით, რომლის მიზეზების ახსნა ამჯერად არ წარმოადგენს ჩვენი ინტერესის საგანს. ის ფაქტი, რომ თვით მონღოლებს ქართველებთან ერთად ოსებისგან დარიალის გზის, დვალეთისა და ოსეთისკენ მიმავალი სხვა გზების დაცვა უხდებათ, ბოლოს კი გიორგი ბრწყინვალეს უწევს დვალეთისა და დარიალის ხეობათა დაჭერა და გამაგრება ოსთა განდევნის შემდეგ, მიუთითებს, რომ ამ გზებით, მართლაც, ხდებოდა ოსთა სხვა ნაკადების სტიქიური შემოსვლა.

ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ მონღოლთა ბატონობის უმძიმეს პერიოდში ადგილი ჰქონდა ლიახვის ხეობაში ოსთა ჩამოსახლებას, რომელსაც XIII საუკუნის 90-ნი წლებით ათარიღებდა და ეს, მეცნიერის მითითებით, „სასტიკ და დაუნდობელ სამამულო ბრძოლის ხასიათს“ იღებდა (ბერძენიშვილი 1965: 60). როგორც ჩანს, მკვლევარი ამ პროცესს ქართლსა და თრიალეთში ოსი მთავრის ბაყათარის ამაოხრებელ თავდასხმებს უკავშირებდა, როდესაც ეს უკანასკნელი ქართველ დიდაზნაურებს საკუთარი მამულებიდან აძევებდა. ამ მოსაზრებას გ. თოგოშვილიც იზიარებდა და მიიჩნევდა, რომ „XIII ს. დასასრულს ოსთა ახალ-ახალი ტალღები გადმოდიან ქედს გადმოღმა, ლიახვის აუზში – ქართლის რაიონებში“ (თოგოშვილი 1958: 199). მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ოსთა ახალი ტალღები XIII საუკუნის ბოლოს უნდა შემოსულიყვნენ როკის უღელტეხილით დიდი ლიახვის ხეობ-

აში. 60-იან წლებში შემოსული ოსები ფარეჯანის მეთაურობით მეფესთან ერთად იბრძვიან მონღოლების ლაშქრობებში „ამიტომ მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ გორისთვის გამართულ სამხედრო ოპერაციებში“. მკვლევარი ვარაუდობდა, რომ დიდი ლიახვის ხეობაში შემოსულ ოსთა ახალ ტალღას ბაყათარი ჩაუდგა სათავეში, „რომ იგი უკმაყოფილო იყო საქართველოში თავის მეორეხარისხოვანი როლით ფარეჯანთან შედარებით და და თავის უკმაყოფილების გამო გადავიდა ოსთა ახალი მასების მხარეზე, სათავეში მოექცა მათ“ (თოგოშვილი 1958: 202), რომელიც „დასასახლებელი ტერიტორიის მოსაპოვებლად ებრძვის ქართველ აზნაურობას“ (თოგოშვილი 1958: 197). თუმცა, წყაროში ლიახვის ხეობა არ იხსენიება და მით უმეტეს ოსთა კომპაქტური ჩამოსახლება. ვ. გამრეკელი კატეგორიულად არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ თითქოს 1290 წლებში კვლავ მოხდა ოსთა მასობრივ გადმოსახლება საქართველოში, რომლის შესახებ მთავარი წყარო – ჟამთააღმწერელი – არაფერს ამბობს (გამრეკელი 1975: 179).[9] XIII საუკუნის მიწურულს ოსთა კიდევ ერთ კომპაქტურ ჩამოსახლებაზე სხვა წყაროებიც არაფერს ამბობენ, ისინი, რომლებიც ეხებოდნენ ზემოაღნიშნულ ოსთა მიგრაციის საკითხს საქართველოში ამავე საუკუნის 60-იან წლებში.

ჩემი აზრით, ოსთა იმ დიდ ნაკადში, რომელიც XIII საუკუნის 60-იან წლებში შემოვიდა საქართველოში თავიდანვე უნდა ჩამოყალიბებულიყო როგორც მეფის მომხრე, ასევე მეფის მოწინააღმდეგე დაჯგუფებები. აღნიშნული არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა ხეობებიდან პერმანენტულად არ ხდებოდა ოსური მოსახლეობის სტიქიური შემოსვლა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში თვით მონღოლებიც კი ჩაებნენ თავის დროზე. ბაყათარის ქვეშევრდომი ოსები მეფის ოპოზიციაში უნდა ყოფილიყვნენ. მონღოლთა სამხედრო ოპერაციებში მეფის წინააღმდეგ, სწორედ „ოვსნი გორს მსხდომნი“ იღებდნენ მონაწილეობას (იხ. ქვემოთ).

შემდგომში სტიქიური შემოსვლები და ცალკეული სამხედრო თავდასხმები დარიალისა და დვალეთის გზიდანაც თუ განხორციელდებოდა, არ არის გასაკვირი, რადგან ამ ფაქტს *ქართლის ცხოვრების* მიხედვით, ადრეულ საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი. ლეონტი მროველმა შემოგვინახა ინფორმაცია, ჯერ კიდევ, ვიდრე გორი აშენდებოდა, ოსები „დვალეთის გზით“, ლიახვის ხეობის გამოვლით მოემართებოდნენ შიდა ქართლისკენ და მცხეთისკენ (ყაუხჩიშვილი 1955: 55).[10] ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ოსთა ამ ჯგუფების შემოსვლას, რომლებიც მონღოლთა თანხმობით არ ხდებოდა, მას სტიქიური ხასიათი უნდა ჰქონოდა და სხვადასხვა დაბრკოლებები გამოეწვია. ბუნებრივია, დარუბანდის გადმოსასვლელის გარდა, ილხანთა ყაენები ყოველთვის დაინტერესებულნი იქნებოდნენ დვალეთისა და დარიალის გზების გაკონტროლებით, რადგან ხალხთა უკონტროლო შემოსვლის გარდა, საქართველოს მეფეებსაც რომ არ შეეთავაზებინათ იგი სამხრეთ კავკასიაში შემოსვლის მოსურნე ოქროს ურდოს ყაენებისთვის, რომლის შესახებ ზემოთაც აღვნიშნე. ვ. გოილაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ

> საქართველოს სამეფო კარის მიერ ლტოლვილი ოსების საკმაოდ დიდი ჯგუფის კარგად მიღება და მონღოლი ხელისუფლებისაგან მათთვის „ხარაჯად“ საქართველოში ადგილების მიცემა, ჩრდილო კავკასიის ხეობებში შემოხიზნულ ოსებს, ცხადია, ქართლში გადმოსვლის სურვილს აღუძრავდა. როგორც ჩანს, დარიალისა და დვალეთის გზებიდან ოსთა მოძალების ეს დიდი ტალღა შეაჩერა დავით VII-ემ მონღოლთა ძალით (გოილაძე 2018: 177).

გ. თოგოშვილის აზრით,

> გზაზე კონტროლი მაკონტროლებელ სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა ჩრდილო კავკასიის მეომარ ტომთა მიერ გზის თვითნებური გადმოლახვისთვის ხელი შეეშალა, ხოლო გაჭირვების ჟამს კი ისინი მოეწვიათ თავის პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოსაყენებლად“ (თოგოშვილი 1958: 27).[11]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიახვის ხეობა ვერ იქნებოდა დაცული სტიქიურად შემოსული ოსებისგან და არ არის გამორიცხული, რომ ისინი შემდგომ გორის ციხეში გამაგრებულ თანამემამულეებთან შეერთებას ეცდებოდნენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოსთა კომპაქტური ჩასახლება მოხდა გორში XIII საუკუნის 90-იან წლებში. წყაროში პირდაპირ მიგვითითებს, რომ გორის დაკავება ძალის გამოყენებით მოხდა. გარდა ამისა, ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ გიორგი ბრწყინვალის მიერ გატარებული სამხედრო ღონისძიების შედეგად, რომელმაც ოსური მოსახლეობა „განასხნა და აღფურნა“, თვითონ დაიკავა დვალეთისა და დარიალის გზები, ჩრდილო კავკასიაში ილაშქრა, დაიმორჩილა და დახარკა ოსები.

ზემოაღნიშნულ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით ისტორიულ წყაროთა მონაცემებიდან ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზი იმ მხარეთა, სტრატეგიულ გზათა და გზაჯვარედინების შესახებ, რომლებიც დაუკავშირდა ოსთა ჩამოსახლების პრობლემას საქართველოში.

***

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია განვსაზღვროთ ზემოაღნიშნული მასალის საფუძველზე თუ რატომ დაასახლეს ჟინვალსა და დმანისში ლტოლვილი ოსები და შემდეგ ჩააყენეს გორის ციხეში, რომელიც მათ მიითვისეს. მიმაჩნია, რომ ოსებისთვის გამოყოფილი მიწები დავით ლაშას ძის ნების საწინააღმდეგოდ უნდა ყოფილიყო უშუალოდ მონღოლთა მითითებით და მეფემ, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ყველაფერს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ხასგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში არ ისმის მარტო გორში ოსთა ჩაყენების საკითხი, არამედ, აქ საქმე ეხება მანამდე მუხრანში მონღოლთა ჩაყენებასაც, კერძოდ, ჯანასს მისდამი დაქვემდებარებული საჯარისო შენაერთით. როგორც ვნახეთ, გორში ჩაყენებულ ოსებს დასავლეთ საქართველოდან წამოსული ჯარების შეკავება, იმერეთისა და რაჭის დარბევა ევალებოდათ, საიდანაც მოემართებოდა გზები აღმოსავლეთ საქართველოში. მუხრანში მდგომ მონღოლთა შენაერთს კი დვალეთისა და დარიალის გადმოსასვლელები უნდა დაეცვა. სწორედაც მუხრანში თავს იყრიდა მთიულეთიდან (არაგვისა და ქსნის ხეობა) წამოსული გზები, ასევე, დვალეთიდან ლიახვის ხეობის გავლით გორამდე და შემდეგ ნაჭარმაგევ-მუხრანით წამოსული გზა მცხეთამდე. ამ სტრატეგიულ მხარეებში მათი ჩაყენება შემთხვევით რომ არ მომხდარა ესეც ფაქტია, რომელსაც სამივე პოლიტიკური ცენტრის სტრატეგიული მდებარეობა განსაზღვრავდა. კერძოდ, სამივე პუნქტი ორი მდინარის შეერთების ადგილს, ანუ ხერთვისს წარმოადგენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ორივე მდინარეთა ხეობებზე მომავალი გზების ჩამკეტი ადგილები და გზაჯვარედინები იყვნენ.

ჟინვალი, როგორც მთიულეთისა და ფშავის არაგვის შესართავში მდებარე, ორივე მდინარის ნაპირზე ვრცელდებოდა და ამ ხეობებით ჩრდილოეთიდან მომავალ გზებს აკონტროლებდა. ჟინვალის მდებარეობა განსაზღვრავდა მის როლს და მნიშვნელობას საქართველოსთვის. აქ იგულისხმება როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, ასევე ზაფხულის საძოვრები. არაგვის ხეობის ეს ნაწილი ყოველთვის დატვირთული იყო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გზებით, რომლებიც არა მარტო ქართლის სამეფოს მთისა და ბარის რეგიონებს აკავშირებდა, არამედ, აქ გამავალ გზასაც ჩრდილო კავკასიასთან. ჟინვალის გაკონტროლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მონღოლებისთვის, რადგან ჟინვალი აღმოსავლეთ საქართველოს მთის უმნიშვნელოვანესი ჩამკეტი და თბილის-მცხეთიდან დარიალისკენ მიმავალ გზაზე მთავარი პუნქტი იყო. წყაროთა მონაცემების მიხედვით, არაგვის ხეობის გარდა ჟინვალზე გზა თიანეთიდანაც გადადიოდა.[12] ჟინვალში დასახლებულ

ოსებს უნდა ეზრუნათ ჩრდილოეთიდან, მათ შორის, დარიალიდან, ოქროს ურდოს ყაენის ჯარების შემოსევის შემთხვევაში წინააღმდეგობის გაწევაზე და გზების შეკვრაზე.

შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ოსთა ჩასახლებას ჟინვალში არ გამოუწვევია ეთნიკური თვალსაზრისით ცვლილება. ჟინვალს ყოველთვის ქართველები აკონტროლებდნენ. ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დავით დემეტრეს ძემ უარი განაცხადა ურდოში წასვლაზე, „მოვიდა მთიულეთს, უკუდგა ჟინვანს, შეკრა სიბა, და მცველნი დაუდგინნა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 302). ვახუშტი ბაგრატიონი ამ ფაქტს ამატებს ცნობას, რომლის მიხედვით, მეფემ თავის ძმა ვახტანგი ოქროს ურდოს ყაენთან გაგზავნა „და უქადა გზა ყაზანყეენსა ზედა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 243).[13] ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ჟინვალში პოზიციები ქართველთა მეფემ შეინარჩუნა, რაც ძალიან აფრთხობდა მონღოლებს. დავით დემეტრეს ძე აკონტროლებს არაგვის ხეობას, იმ დროს გარკვევით არ ჩანს, რა ფუნქცია ჰქონდათ მონღოლთა მიერ დავით ლაშას ძის დროს იქ ჩასახლებულ ოსებს. როგორც მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, ზოგი მათგანი გორში გადაიყვანეს, ზოგიც, შესაძლოა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ადაპტირდა და არ არის გამორიცხული, რომ ქართველი მეფის სამსახურშიც ჩადგა. განსაკუთრებული მონდომებით იბრძოდა მთიულეთის ამ რეგიონში მეფის წინააღმდეგ ოსი ბაყათარი, რომელიც მონღოლების შეწევნით სარგებლობდა. როგორც ჩანს, მონღოლებმა დაკარგეს პოზიციები საქართველოს მთის რთული რელიეფიდან გამომდინარე და ვეღარ გააკონტროლეს ის, შესაბამისად უნდა დაეკარგათ მიცემული საძოვრები, რომლებიც არა მარტო თავიანთი ჯოგებისთვის სჭირდებოდათ, არამედ გზების გაკონტროლებისთვისაც. ქართველებისთვისაც უფრო მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა მთიულეთზე გავლენა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ასე უნდა დარჩენილიყო ბოლომდე.

აქვე უნდა აღვნიშნო დარიალის მნიშვნელობაზე, რომელიც „დარიალის კარის“ ან „არაგვის კარის“ სახელითაა ცნობილი. *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ტექსტში კი „კარნი ოვსეთისანი“, რომლებიც სპასრსელებმა გაამაგრეს, არ არის მოხსენიებული „დარიალ/დარიალანად“ (აბულაძე 1963 : 94).

> ლოგიკურად, „შექმნა კარნი ოვსეთისანი“; „განვლო კარი იგი ოვსეთისანი“ ნიშნავს, რომ ოსეთისკენ მიმავალი კავკასიის გადასასვლელები გამაგრდა და მოხდა ოსეთის მიმართულებით გასასვლელის გავლა, როგორც ქართლის სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრის უკიდურესი სათვალთავლო გამშვები პუნქტისა (ქუთათელაძე 2021: 200-201).

ოსთა თავდასხმის შემთხვევაში ქართლის მეფეები ხშირად დარიალის გასასვლელით ლაშქრობდნენ ოსეთში მათი თავდასხმის წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღების მიზნით.[14] *ძეგლისდებაში* აღნიშნულია, რომ გიორგი ბრწყინვალე, როდესაც მთიულეთში მოგზაურობს, მიაღწევს დარიელამდის („მივედით დარიელამდის“) (ქსძ 1963: 401), რაც იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ დარიალის კარ-გასასვლელი ქართველთა კონტროლის ქვეშაა. ი. ჯავახიშვილს იგი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრად მიაჩნდა (ჯავახიშვილი 1982(ა): 99). აქვე აღნიშნულია, რომ მეფემ მთიულეთში შესვლა ჟინვალის სასახლიდან დაიწყო, რაც ასევე მის მიერ ჩრდილოეთ საზღვრისკენ მიმავალ ამ მნიშვნელოვანი პუნქტის კონტროლზე მიუთითებს. საინტერესოა ის მარშრუტი, რომელიც მეფემ გაიარა. კერძოდ, ჟინვალიდან მიაშურა ხადა ცხაოტს, იქედან დარიალამდე, შემდეგ მობრუნდა, ლომისაზე ილოცა, ცხრაზმის ხევი ჩამოიარა და მოვიდა მუხრანის ზამთრის სასახლეში. ადრე მონღოლებისთვის გამოყოფილი ზამთრის სადგომად მუხრანი და ზაფხულის სადგომად მთიულეთი, უკვე ქართველი მეფის მიერ კონტროლდებოდა.

დარიალის ხეობაში გადასვლა ხადას ხეობიდან შეიძლებოდა. როდესაც მთიულეთში გახიზნული დავით VIII ხადას დადგა, მას უღალატა შალვა ქვენიფნეველმა, რომელიც

ხუტლუბუღა ნოინთან მივიდა. დავითი ციკარას ციხეში გამაგრდა, რომელიც „მტერთაგან შეუვალ იყო“. ვახუშტი ბაგრატიონი ციკარას მთიულეთში, ხადას ხეობაში უთითებს – „ღუდოს -ჴევის ჩრდილოთ არს დაბა ჴადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი დაჲ კოშკოვანი“. სწორედ ამ ციკარას დასავლეთით გადადიოდა გზა ხევში. ამ ადგილის, როგორც სტრატეგიული გადასასვლელის, მნიშვნელობაზე მიუთითებს ციკარას აღმოსავლეთით მეფეთა ნასასახლევი (ყაუხჩიშვილი 197: 355). ხუტლუბუღა ნოინი, როდესაც ხადადან ხევში გადავიდა, მიმართა გუელეთს, სადაც დავით მეფე ეგულებოდა (ყაუხჩიშვილი 1959: 305). მონღოლთაგან შევიწროებული დავითი ხშირად თავს აფარებდა გუელეთს, რადგან იგი მიუდგომელი და აუღებელი იყო (ყაუხჩიშვილი 1959: 307, 309). ახალი *ქართლის ცხოვრების* მეორე ტექსტი აკონკრეტებს, რომ დარიალის ხეობაში გადასვლა ჯვართა ყელიდან შეიძლებოდა – „და გარდავლეს ჯუართა ყელი, და ჩავიდეს დარიელს, და მოადგეს დავითს ციხესა გუელეთისასა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 443). მას ვახუშტი ბაგრატიონიც ხევში ასახელებს. გუელეთის სტრატეგიულობას განსაზღვრავდა ის, რომ მისი მიდამოებიდან გზები გადადიოდა დურძუკეთსა და ქისტეთს, ასევე გუდამაყრის ხეობაში (ყაუხჩიშვილი 1973: 358). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია, დავით დემეტრეს ძის დაუმორჩილებლობის ფონზე თუ რატომ არ ზოგავდნენ მონღოლები ძალებს და ამით პრევენციულ ზომებს იღებდნენ კავკასიონის გადმოსასვლელების, განსაკუთრებით, დარიალის გაკონტროლებისთვის.

ვ. გოილაძეს ოსთა საქართველოში შემოსვლის რეალურ გზად უფრო „დვალეთის გზა“ მიაჩნია, რადგან აქედან ყველაზე ადვილი იყო შიდა ქართლში მოხვედრა და აღნიშნავს, რომ საქართველოში ოსთა შემოსვლის მთავარ გზად რ. კიკნაძეც დვალეთის გზას ვარაუდობსო (გოილაძე 2018: 177). თუმცა, ეს უკანასკნელი აქცენტს უფრო დარიალის კარზე აკეთებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებზე დაყრდნობით, რომელიც ერთ შემთხვევაში „დარალამის კარს“, ხოლო მეორე შემთხვევაში „დარიელის კარს“ ასახელებს. სხვა წყაროებიდან – ვახუშტი ბაგრატიონი შემოსასვლელ გზას საერთოდ არ ასახელებს, ხოლო იოანე ბაგრატიონი ერთ-ერთ ხელნაწერში, ფარსადანის მსგავსად, დარიალს ასახელებს (კიკნაძე 1971: 121).

ფარსადან გორგიჯანიძის მიერ მოხსენიებულ დვალეთის გზას სხვა წყაროებიც აფიქსირებენ, საიდანაც მართლაც ხდებოდა ოსთა თავდასხმები, როგორც ჩანს, ეს გზა აპრობირებული იყო ადრეულ საუკუნეებშიც. ლეონტი მროველიც ასახელებს „დვალეთის გზას“:

> გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი გზასა დვალეთისასა, ხოლო ვერა იგრძნა ამაზასპ მეფემან გარდამოსვლა ოვსთა ვიდრე გარდამოვლამდე მთისა. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუენებად, არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქისა მცხეთისა შემუსრვად მოსრულ იყვნეს (ყაუხჩიშვილი 1955: 55).

ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს, რომ „გარდამოვიდნენ ოვსნი უგრძნეულოდ გარდამომსველნი გზისა დუალეთისა და დადგნენ შიდა ქართლს შემუსვრად მცხეთისად“ (ყაუხჩიშვილი 1973: 67). ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ ოსები მუხრანის მხრიდან მოადგნენ მცხეთას ჩრდილოეთით. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი მასალაა იმის დასამტკიცებლად, რომ საუკუნეების შემდეგაც მუხრანში მდგომი ნებისმიერი ძალა, მათ შორის, მონღოლებიც, ყოველთვის დაინტერესებული იქნებოდნენ დვალეთის გზის გაკონტროლებით, რომ ის არ გამოეყენებინათ ილხანთა ყაენების ნებისმიერ მოწინაარმდეგეს. ეს გზა ლიახვის ხეობის გავლით აუცილებლად გამოივლიდა გორში, ნაჭარმაგევ-მუხრანის გზით კი მოვიდოდა მცხეთასთან. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ შემდგომ მუხრანში მდგომი მონღოლები და გორში მყოფი ოსები ერთობლივად მოქმედებდნენ ქართველი მეფის წინააღმდეგ. ლეონტი მროველის ზემოაღნიშნული ცნობით, ოსთა დამარცხების

შემდეგ ქართლის მეფე ამაზასპმა დალაშქრა ოსეთი. ვახუშტი ბაგრატიონის ინფორმაცია, ამაზასპმა „გარდავლო კავკასი და შთავიდა ოვსეთს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 68), გვაფიქრებინებს, რომ იგი დარიალის ხეობის გავლით გადავიდოდა ოსეთში.[15]

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დვალეთიდან შეიძლებოდა დასავლეთ საქართველოში გადასვლაც. როდესაც აფხაზთა მეფე თეოდოსი ბუღა თურქის შემოსევის დროს მისმა სარდალმა ზირაქმა დაამარცხა, იგი „ივლტოდა დვალეთის გზით“ (ყაუხჩიშვილი 1955: 256); (ყაუხჩიშვილი 1973: 130). შემდეგ, „ლტოლვილმან გარდმოვლო დუალეთი და მოვიდა აფხაზეთს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 797). დვალეთიდან გზა გადადიოდა როგორც ქართლში, ასევე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ რაჭაში. ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ დვალეთში გზები გადადიოდა რაჭა-კუდაროდან და ჯავის ხეობიდან (ბერძენიშვილი 1966: 28).

ვახუშტი ბაგრატიონი დვალეთად მოიხსენიებს კასრის ხეობას.

> ხოლო კასრის კარი არს ქუემო ზრამაგას ქუეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი (ყაუხჩიშვილი 1973: 644-645).

კასრის კარზე საბაჟოც ყოფილა: „კასარაზე სიმაგრე გვაქვს და საბაჟო აქ გვიჭირავს ხიდის კარი“ (ბერძენიშვილი 1966: 28). აღნიშნული კასრის, როგორც გამავალი კარის, მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ოსთა დასახლების კიდევ ერთ სტრატეგიულ პუნქტად ჟამთააღმწერელი დმანისს უთითებს, რომელიც ქვემო ქართლის მხარეში მაშავერასა და ფინეზაურის ხერთვისში მდებარეობს. იგი თბილისისკენ სამხრეთიდან მიმავალ გზებს აკონტროლებდა. დმანისში ოსთა ჩასახლებაც არ იყო პირველი შემთხვევა. როგორც ცნობილია, IX საუკუნეში ბუღა თურქმა დმანისში ჩააყენა ოსთა 100 სახლი – „დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 256-257), რომელთაც მაშინაც სამხრეთიდან თბილისისკენ მიმავალი გზების გაკონტროლება ევალებოდათ. პ. ზაქარაიას თქმით, „მიუდგომლობის თვალსაზრისით უკეთესს ვერაფერს ინატრებადა შუა საუკენეების ფორტიფიკატორი“ (ზაქარაია 2002: 133). ეს ფაქტი შესანიშნავი ნიმუშია იმისა, რომ სხვადასხვა დამპყრობელი სხვადასხვა დროსა ერთნაირად ხედავს დმანისის როლს და ორივე შემთხვევაში დმანისში ოსთა ჩასახლების მიზეზი ერთი და იგივე იყო, თბილისისკენ მიმავალი გზის გაკონტროლება და დაცვა. აღნიშნულს ადასტურებს ჟამთააღმწერლის ცნობა, რომლის მიხედვით, მონღოლთა შემოსევის დროს თუ მტერი დმანისში გამოჩნდებოდა, რუსუდანმა თბილისის დამცველებს ქალაქის გადაწვა უბრძანა (ყაუხჩიშვილი 1959: 187). ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუღა თურქმა და შემდეგ მონღოლებმაც „დმანისი თავის ერთგულთა დასასახლებლად სწორედ იმიტომ შეარჩია, რომ ამით საქართველოში შემოსასვლელ ერთ-ერთი დიდი გზის ყელში საიმედო დასაყრდენი გაიჩინა“ (ბერძენიშვილი 1966: 77). გარდა იმისა, რომ დმანისი მნიშვნელოვანი იყო სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით (შდრ. საბაჟო, ზარაფხანა), მასზე თბილისისკენ მიმავალი გზის გარდა, გზები მიემართებოდა ზურტაკეტის გავლით თრიალეთისკენ, ჯავახეთისკენ, სამხრეთის მიმართულებით ლორისკენ, რომელიც ჰკეტავდა საქართველოს სამხრეთიდან მომავალ გზებს (ბერძენიშვილი 1966: 77).

ოსთა გადმოსახლების საკითხთით დაინტერესებულ მკვლევართა აზრით, გორის ციხეში ჩაყენებული ოსები დმანისიდანაც გადაუყვანიათ. საეჭვოა, მთლიანად აეყარათ ოსი მოსახლეობა და უკლებრივ გადაეყვანათ გორში. აქ უფრო იგულისხმება სამხედრო სამსახურში მყოფი ფენა. ხალხის ნაწილი კი დმანისშიც უნდა დარჩენილიყო მონღოლთა სამსახურში. დმანისსაც ყოველთვის ქართული ხელისუფლება აკონტროლებდა, რასაც მი-

უთითებს ვახტანგ დემეტრეს ძისთვის დმანისის გადაცემა, მისი შვილების დასახელება სამშვილდესა და დმანისში, ვახტანგის დაკრძალვა დმანისის სიონში (ყაუხჩიშვილი 1959: 322). როგორც წყაროდან ჩანს, მონღოლებმა ვახტანგ დემეტრეს ძეს გადასცეს თბილისი და ქვემო ქართლი, სამშვილდე და დმანისი (ყაუხჩიშვილი 1959: 310) და იქ დარჩენილი ოსებიც მას უნდა დაქვემდებარებოდნენ მონღოლთა სამსახურში მყოფნი.

ჟინვალისა და დმანისის მსგავსად, რომლებიც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიმავალ გზებს კეტავდნენ, შემთხვევითი არ იყო გორში ოსთა ჩაყენების ფაქტიც. მტკვრისა და ლიახვის ხერთვისში მდებარე გორი ძალიან მნიშვნელოვანი იყო სამხედრო და სტრატეგიული თვალსაზრისით. გარდა მტკვრისა და ლიახვის შეერთებისა საკუთრივ ლიახვს, რომელსაც შერთულთან უერთდება პატარ ლიახვის ხეობა და ერთ მდინარედ მოდის, გორთან ერთვის მდინარე მეჯუდა, რაც გორის საკვანძო მნიშვნელობას განაპირობებს. პ. ზაქარაიას სამართლიანი შენიშვნით, „გორი ქართლის და, კერძოდ, შიდა ქართლის გულია. ვისაც ქართლში გაბატონება უნდოდა, მას გორისთვის უნდა ებრძოლა“ (ზაქარაია 2002: 113). გორის მნიშვნელობაზე მიუთითებს გორის საბაჟოს არსებობაც, რომლის გავრცელების არეალში გზები მოემართებოდა თბილისიდან, სომხითსაბარათიანოდან, კახეთიდან, თრიალეთიდან, სამცხიდან, იმერეთიდან (ბერძენიშვილი 1966: 53). გორთან მიმართებაში ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „მდინარეთა ხეობებით და შემდეგ „ზეკარებით“ თუ „კარებით“ მიდიოდა აქედან გზები დვალეთს, ლიხთიმერეთს (რაჭას, არგვეთს), სამცხეს, თრიალეთს“ (ბერძენიშვილი 1966: 25). ამრიგად, გორში თავს იყრიდა ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან წამოსული გზები. დ. გვრიტიშვილის სამართლიანი შენიშვნით, გორი მარტო სავაჭრო ცენტრი არ ყოფილა შიდა ქართლში, არამედ

> გორს უპირველეს ყოვლისა სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ქართლის გული იყო და ვის ხელშიც გორი იყო, მას ეკუთვნოდა შიდა ქართლიც. როდესაც ქართველები თბილისს ჰკარგავდნენ, როგორც წესი, გორში გადაჰქონდათ მმართველობის ცენტრი და აქ აწყობდნენ და ახორციელებდნენ მტრის განდევნის გეგმას (გვრიტიშვილი 1947: 6); (გვრიტიშვილი 1954: 9).

გორის სტრატეგიულობას ასევე განსაზღვრავდა მისი მდებარეობა გზა-ჯვარედინებზე. კერძოდ, დასავლეთ საქართველოდან მომავალი გზა გორზე გავლით

> მცხეთა-არმაზის გზით აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა. ასევე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზა გორს ვერ ასცდებოდა. სამხრეთიდან შიდა ქართლში ორი მთავარი საგზაო მაგისტრალი მიდიოდა: ერთი ატენის ხეობით, ხოლო მეორე ბორჯომის ხეობით. ჩრდილოეთიდან ქართლში რამდენიმე გზა-ბილიკი ჩამოდიოდა. ზეკარისა და ბახ-ფანდაგის გადმოსასვლელებით, მდინარე დიდი და პატარა ლიახვის ხეობებით ქალაქ გორში მოდიოდნენ პირიქითელები. დარიალის ხეობით მომავალი გზა მდინარე ქსნისა და არაგვის ხეობებს გადმოსჭრიდა და შიდა ქართლში გორში ჩამოდიოდა (გვრიტიშვილი 1954: 8).

გორთან მოემართებოდა აგრეთვე ე.წ. „მუხრანის გზა“ და როგორც აღვნიშნე, შემთხვევით არ იყო ის ფაქტი, რომ გორში დაბანაკებულ ოსებს მუხრანში მდგომი მონღოლები უმაგრებდნენ ზურგს. გორის სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად შეაფასეს ილხანთა მონღოლებმა და მათ სამხედრო სამსახურში ჩამდგარ ოსებს დაავალეს მისი პყრობა.

მუხრანში მონღოლთა ჩაყენებაც არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი, რადგან იქ მყოფ მონღოლებსაც დაევალებოდათ ჩრდილოეთიდან მთიულეთზე ქართლის შიდა რეგიონებისკენ მომავალი გზების კონტროლი, მუხრანში კი ქსნისა და არაგვის ხეობათა გზები იყრიდა თავს.[16] სტიქიურად შემოსული ძალების გაკონტროლება არც მათ აძლევდათ ხელს.

აღნიშნულს ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის მიერ ზემოთ მოხსენიებული ცნობა მონღოლი ჯასანისთვის სადგომად საზამთროდ მუხრანისა და ზაფხულისთვის მთიულეთის გამოყოფა, რომ მათაც ეკონტროლებინათ მათზე გამავალი სტრატეგიული გზები. თუმცა, მონღოლები თავიანთი ინტერესებისთვის უფრო ირჯებოდნენ და არა საქართველოს უსაფრთხოებისთვის. თუ საჭირო იქნებოდა ისინი ჩაერეოდნენ იმ უმართავ პროცესებში, რაც საფრთხეს შეუქმნიდა მათ პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ ამავე დროს გამოიყენებდნენ ოსთა ფაქტორს ქართველი მეფის წინააღმდეგ, რაც მოხდა კიდეც.

ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღნიშნულ ცნობებში ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი: კერძოდ, დასავლეთ საქართველოდან წამოსული ჯარის შესაკავებლად ოსებისთვის მიცემულ გორთან მიმართებით ერთ ვარიანტში აღნიშნულია „გორის ციხე და ქალაქი“, ხოლო მეორე ვარიანტში „გორის ციხე-ქალაქი და სამკვიდრო მისნი“ ანუ მიმდგომი მხარე, რომელზე დაყრდნობით, რ. კიკნაძე ფიქრობს, რომ წყაროში მოხსენიებულ „ქალაქში“ გორი უნდა იგულისხმებოდეს.[17] ამ მოსაზრებას ეთანხმება ვ. გოილაძეც. მკვლევარი ფიქრობს, რომ ჟამთააღმწერლის მიერ მოხსენიებულ „ქალაქში“ ბინა უნდა დაედოთ ლიმაჩავსა და მის შვილებს, ხოლო სხვა ოსი დიდგვაროვნები და მათი ქვეშევრდომები დმანისსა და ჟინვალში უნდა დასახლებულიყვნენ (გოილაძე 2018: 176). რ. კიკნაძის აზრით, „ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ოსების შემდგომი პრეტენზიები ქალაქ გორზე და ჟამთააღმწერლის გამოთქმებიც _ „ოსნი რომელნი სხდეს გორს“ და „ოვსნი გორს მსხდომნი“ (კიკნაძე 1971: 122), რომელთაც შეესაბამება *ძეგლი ერისთავთაში* დაფიქსირებული ფრაზა „ოვსთა გორს მყოფთა“ (ქსძ 1965: 107). „სხდომა“ და „ყოფნა“, გარდა არსებული მნიშვნელობისა, ძველქართულად შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დამკვიდრება, დავანება, დასადგურება.[18]

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ნუსხა არ მოიხსენიებს ლტოლვილი ოსების დმანისსა და ჟინვალთან ერთად გორში განთავსებას, ფ. გორგიჯანიძის ცნობებზე დაყრდნობით, სწორი უნდა იყოს რ. კიკნაძე, რომე;ოც თვლის, რომ, შესაძლოა, ამ ფაქტს გორშიც ჰქონოდა ადგილი. თუმცა, როგორც ჩანს, გორი სამფლობელოდ კი არ მიუციათ ოსებისთვის, არამედ, უბრალოდ ისინი გორში ჩააყენეს, რომ დაეცვათ ქართლი დასავლეთ საქართველოდან შემოჭრილი დავით ნარინისა და ღალღურის რაზმებისგან. აღნიშნულთან დაკავშირებით ვეთანხმები ვ. გოილაძის აზრს, რომ ეს ფაქტი დიდი შეცდომა იყო (გოილაძე 2018: 177). ე. მამისთვალიშვილი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად გორში ჩაყენებული ოსები სურამელებისთვის უნდა დაექვედებარებინათ.

> სავარაუდოა, რომ ოსები როგორც პოლიტიკურად, ისევე ეკონომიურად ერისთავზე (ქართლის ერისთავი – ქ. ქ.) იყვნენ დამოკიდებულნი. ერისთავი აძლევდა მათ ქართლიდან, კონკრეტულად, გორის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან შემოსავლის ნაწილს მონღოლთა ჯარში სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ (მამისთვალიშვილი 2018: 47).

მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი მონღოლთა მითითებით და ინსპირირებით ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ შემდგომ, მონღოლებთან დაპირისპირების დროს სურამელები დავით დემეტრეს ძის მხარეს იბრძვიან, „ოსნი რომელნი სხდეს გორს“ კი მონღოლების მხარეს. მონღოლებმა გარდა ახალი სამხედრო ძალისა, შემოყვანილ ოსებში უფრო ერთგული ძალა დაინახა, რომელსაც გამოიყენებდნენ ქართველთა წინააღმდეგ, როგორც აჯანყების შემთხვევაში, ასევე მათი შემდგომი გაკონტროლების მიზნითაც. ამრიგად, გორის გადაცემა კონკრეტული საქმისთვის იყო გადაწყვეტილი. კერძოდ, აღმოსვლეთ საქართველოში შემოფარებულ ოსებს უნდა შეეჩერებინათ ილხანთა მოწინააღმდეგე, დასავლეთ საქართველოში შეფარებული მონღოლები. ამ ფაქტიდან გამომდინარე, შემოხიზნულ ოსებს, გარდა მონღოლების სასარგებლოდ აღმოსავლეთში ჩატარებული სამ-

ხედრო ბრძოლებისა, უნდა დაეცვათ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია შემოჭრილი მონღოლი უფლისწულების თუ ნოინებისგან.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობის მეორე ვარიანტში, ქართლის დასაცავად გორში ჩაყენებულ ოსებს უფლება ეძლეოდათ, „ამათაც არბიონ რაჭა და იმერეთი“ (ალასანია 2022: 191); (კიკნაძე 1987: 231), რაც რეალურს ხდის იმ ფაქტს, რომ დასავლეთ საქართველოდან, სწორედ რაჭიდან და იმერეთიდან მომავალი გზებიდან იყო საფრთხე ილხანების მოწინააღმდეგე მონღოლების შემოსევისა აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ფაქტის რეალობას ფაქტობრივად ადასტურებს დავით ნარინის მიერ ღალღურისთვის სარჩოდ რაჭის მიცემა და ეს არ ყოფილა შემთხვევითი ფაქტი. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს, რომ გორში ჩაყენებულ სამხედრო ძალას აქედან მომავალი გზის გაკონტროლება და მომხვდურთა განეიტრალებაც ევალებოდა. ქართლიდან ზემო იმერეთის მონაკვეთის გავლით შეიძლებოდა რაჭაში გადასვლა. ოსებს სწორედ ამ მიმართულებითაც უნდა შეეკავებინათ ილხანთა მოწინააღმდეგე ძალები. ს. მაკალათიას თქმით, „აქედანვე გადადიოდა გზები იმერეთს: გორი-ცხინვალიდან კეხვზე, შემდეგ წონა-ჩიხათიდან-საჩხერეში, ონში და სხვ.“ (მაკალათია 1971: 6). ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ ქართლიდან ზემო რაჭისკენ უნდა ყოფილიყო პირდაპირი გზა. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ჯეჯორას ხეობა, სადაც ლიახვის ხეობიდან ხდებოდა გადასვლა (ბერძენიშვილი 1966: 29). რაჭაში მოხვედრა შეიძლებოდა დვალეთიდანაც. ეს ფაქტი შეიძლება გამოეყენებინათ ოქროს ურდოს ყაენებს ან ილხანთა მონღოლების ნებისმიერ მოწინააღმდეგე მხარეს, რომლებიც პრობლემას შეუქმნიდნენ ილხანთა ყაენებს სამხრეთ კავკასიაში.

ვახუშტი ბაგრატიონი ჯეჯორას ხეობის აღწერისას მოიხსენიებს კუდაროსა და წონას. ჯეჯორა, რომელიც მაღრან-დვალეთის კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კალთიდან მოედინება, რიონს მარცხენა მხრიდან უერთდება. ისტორიკოსის თქმით, „გარდავალს აქიდამ (წონა – ქ.ქ.) და კუდაროდამ გზა ქცხილვანის ჴეობასა ზედა, დვანის ჴეობასა ზედა, ქართლში“ (ყაუხჩიშვილი 1973: 767), რომელიც ლიახვისა და დვანისწყლის (აღმოსავლეთ ფრონე) ხეობებია. კუდაროდან ქართლში მომავალი გზის არსებობას ამტკიცებს ვახუშტი ბაგრატიონის კიდევ ერთი ცნობა. კერძოდ, დვალეთში ლაშქრობის დროს ვახტანგ VI-მ „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის – ჴევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული“. დვალეთის დამორჩილების შემდეგ, მეფე „გორს მდგომი იშუებდა სხჳსა განმზრახი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 491). სწორედ ლიახვის ხეობაზე მიემართებოდა დვალეთისკენ მიმავალი გზა, ლიახვის მდინარე გამოდის მაღრან-დვალეთის კავკასს. სწორედ ლიახვის ხეობით მოემართებოდნენ ადრე და ასევე შეიძლებოდა, რომ სტიქიურად შემოსულიყვნენ ამ გზით სხვა ოსები და შეერთებოდნენ გორში განლაგებულ ოსებს.[19]

ქართლიდან დვალეთში გადასვლა ზეკარის უღელტეხილით შეიძლებოდა. გიორგი საакაძემ, რომელიც თბილისის გარდა ცხინვალისა და დვალეთის მოურავიც იყო, როდესაც დვალებმა არ მისცეს ბეგარა, „გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 434). ზეკარის უღელტეხილი მაღრან-დვალეთის კავკასიონზე მდებარეობს და ერთმანეთთან აკავშირებს დიდი ლიახვისა და თერგის ხეობებს. ვახუშტი ბაგრატიონი აკონკრეტებს, რომ „ზრამაგის-ჴევის სათავიდამ გარდავალს ზეკარზედ გზა დიდ-ლიახუზე“ (ყაუხჩიშვილი 1973: 647). ლიახვის ხეობის აღწერისას ისტორიკოსი ასახელებს ლიახვის შენაკად როკისა და ბჟის ხევებს, „ხოლო ბჟის -ჴევი, სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი, და გარდავალს გზა ზახას და დუალეთს“ (ყაუხჩიშვილი 1973: 372).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „კუალად დიდი ლიახჳსა, პატარას ლიახჳსა, კსნის ჴევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დუალნივე, ამ დუალეთიდამ გარდასულნი“ (ყა-

უხჩიშვილი 1973: 648). ბერი ეგნატაშვილი ძალზედ საინტერესო დეტალს იძლევა დვალეთისკენ მიმავალი და იქედან მომავალი გზების შესახებ. კერძოდ, როსტომ ხანთან დაპირისპირების დროს, იმერეთში მყოფ თეიმურაზს „ვერ ძალ-ედვა ქართლზედ მოსვლა და წარვიდა იმერეთიდან დვალეთზედ, გარდამოიარა და მოვიდა ანანურს და მუნ დადგა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 419). *ქართლის ცხოვრების* გაგრძელების მესამე ტექსტი ასახელებს „აჩაბეთის გზას“, როდესაც გიორგი VII ამ გზით შევიდა და დაიმორჩილა დვალეთი (ყაუხჩიშვილი 1959: 456). ნ. ბერძენიშვილს იგი „დვალეთს მიმავალი გზის ერთ ნაწილად“ მიაჩნდა (ყაუხჩიშვილი 1966: 25).

სამწუხაროდ, წყაროდან არ ჩანს, თუ რა მდგომარეობაა გორის ციხესთან მიმართებით დემეტრე II-ის დროს. რადგან კონკრეტულ ცნობას არ ვხვდებით ამასთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გორის ციხეს აღმოსავლეთ საქართველოს მეფე აკონტროლებს და ეს მონღოლებისთვისაც მისაღებია. თუ იქ კვლავ ჩაყენებული იყვნენ ოსთა რაზმები, ამას მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მდგომარეობა შეცვლილი არ ჩანს დემეტრეს სიკვდილით დასჯის შემდგომ ვახტანგ დავით ნარინის ძის მეფობის დროს, როდესაც შედარებით უფრო უნდა განეიტრალებულიყო ნებისმიერი წინააღმდეგობა, თვით ატენისა და მის მიმდგომ მხარესთან დაკავშირებითაც კი დასავლეთ საქართველოსთან მიმართებით.

მაგრამ როდესაც გარდაიცვალა ვახტანგი ძე დავით ნარინისა, დაახლოებით 1292 წელს, ჟამთააღმწერლის ცნობებიდან ვიტყობთ, რომ საქართველოში შემოსული ოსები საბოლოოდ მაინც ახერხებენ ქ. გორის ხელში ჩაგდებას. მიჩნეულია, თითქოს ოსები აჯანყდნენ (მამისთვალიშვილი 2018: 47), თუმცა მათ სრულებითაც არ სჭირდებოდათ აჯანყება, უბრალოდ ისარგებლეს იმით, რომ ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოში მეფე არ იყო, რადგან ვახტანგ დავით ნარინის ძე გარდაცვლილ იყო , დავით დემეტრეს ძე კი ქეღათუ ყაენს მცირე აზიაში ახლდა, სადაც მასთან ერთად იმყოფებოდა ოსთა უფროსი მთავარი ფარეჯანი. სწორედ ამ დროს

> იწყეს ოვსთა ოჴრებად, ჴოცად, და რვბევად, და ტყუენვათ ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავის ბეგას ძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდაღმან გარდმოუშუეს საბლით კაცი, და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი, და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა (ყაუხჩიშვილი 1959: 296).

ამ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს და ხაზგასმით ამბობს, რომ „დაწვეს ქართველთა გორი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 239). ეს რადიკალური ქმედება იმისთვის მოხდა, რომ ოსებს გორში ფეხი ვერ მოეკიდებინათ. ფარსადან გორგიჯანიძე ამ ფაქტს შემდეგნაირად აღწერს:

> დაიწყეს ოსთ ოჴრება და რბევა. ქართლის ერისთავი მათ წინაშე. და მოადგნენ გორის ციხესა და ყველგნით ომი იქნა. შეუვიდნენ ქალაქსა და მრავალნი ოსნი და ქართველნი დაიჴოცა. დასწვეს გორის ქალაქი და მისჭირდა ოსთა და საბლით ციხიდამენ კაცი გარდმოუშვეს და მუჴრანში მყოფ თათრებს თან გაგზავნეს და მოშველებას შეეხვეწნენ. ესმა თათართ, შემოუვიდნენ შვა და გააშვებინეს და კიდევ მეორეთ შეიქნა ქართველთ და ოსთ მტერობა. სიდამდისინ თვით მეფე დავით შორს ყოფნაშია არ მოვიდა, შინ არავინ დაწყნარდა (ალასანია 2022: 230).

რატომ დასჭირდთ ოსებს ძალისმიერი მეთოდით გორის დაკავება? ისინი თავის დროზე, კონკრეტული სამხედრო მიზნით, ხომ ჩააყენეს გორის ციხეში, რომ ქართლი დაეცვათ მომხდურთაგან? ეხლა კი გორის ციხის ძალით დაკავების პარალელურად ქართლის დარბევაც დაიწყეს, რაც მანამდე არ მომხდარა. ლოგიკურად, როგორც ჩანს, სურამელებმა იგრძნეს გორის დაკარგვის საშიშროება და გორის ციხის დაცლა მოითხოვეს ოსთაგან. მათ კი გორის დათმობა აღარ სურდათ და სამხედრო დაპირისპირება დაიწყეს. სავარაუდოდ, ამას თან ერთვოდა ოსთა სხვა ნაკადების შემოსვლა, რომლებიც, ალბათ, გორში გამაგრებულ თანამემამულეებს უერთდებოდნენ. რატომ მიმართეს დახმარებისთვის გორში მყოფმა ოსებმა მუხრანში მდგომ მონღოლებს? ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გორში ოსთა ჩაყენება, მათი დაცვა და მხარდაჭერა მონღოლთა ინტერესებში შედიოდა და მათი ხელშეწყობით მოხდა. ფარსადან გორგიჯაიძის ცნობიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველებსა და ოსებს შორის მტრობის მეორე ეპიზოდი იყო. პირველი წინააღმდეგობა ალბათ მაშინ შეიქმნებოდა, როდესაც ფარსადანისვე ცნობით, დაცვის მიზნით, დარიალისა და დვალეთის გზების შეკვრის დროს, „მათ ჟამად დაიცვა ქვეყანა ოსთაგან რომელთა მთავარ(ნ)ი იყვნენ ძენი ორნი: უფროსი ფარანჯენ და უმცროსი ბაღათარ, ზემორე ხსენებულის ლიმაჩავის ძენი“ (ალასანია 2022: 191, 205). როგორც ჩანს, ამ გზების დაცვამ, რომელშიც ჩართული იყო ბეგა სურამელი, გარკვეული წინააღმდეგობა გამოიწვია აქედან მომავალ ოსებთან, რომელნიც თვითგადარჩენის მიზნით ცდილობდნენ შემოსვლას. ერთგან ფარსადან გორგიჯანიძე ახსენებს კიდეც, რომ „გამოიარეს კარი დარიელისა“ (ალასანია 2022: 176). როგორც არაერთხელ აღვნიშნე, არ არის გამორიცხული, რომ აქ ლტოლვილი ოსების სხვა ნაკადის შემოსვლაც შეიძლება იგულისხმებოდეს.

ვახუშტი ბატონიშვილიც მიუთითებს, რომ დავით მეფის მიმართ ოსი მთავრის ფარეჯანის ერთგული სამსახურის მიუხედავად, „მტერობა აქუნდათ ოვსთა და ქართველთა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 240). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გორში ჩაყენებულმა ოსებმა, ისარგებლეს მეფის ხელისუფლების დასუსტებით (ვახტნგ დავით ნარინის ძე გარდაცვლილია, დავით დემეტრეს ძე ჯერ არ არის ტახტზე გამწესებული), მონღოლთა მხარდაჭერით, არც სურამელები ჩათვალეს ანგარიშგასაწევ ძალად და უკვე სათავისოდ, ძალისმიერი მეთოდით, მიიტაცეს გორის ციხე. ოსებმა მხარდაჭერისთვის მიმართეს მათ, ვისგანაც იყვნენ ზურგგამაგრებული და თავის სასარგებლოდ იყენებდნენ მონღოლთა ძალას. გორის კვლავ ოსებისთვის დატოვება ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ თავდაპირველად და შემდეგაც ამ სტრატეგიულ ობიექტზე მონღოლებს ქართველებთან შედარებით უფრო ერთგული ძალა სჭირდებოდათ და ასეთ ძალად ყოველთვის ოსები მიაჩნდათ. ეს ყველაფერი დადადასტურდა დავით VIII-ის განდგომის დროს.

ზემოაღნიშნული ფაქტი, სავარაუდოდ, მანამდე მოხდა, ვიდრე დავითი საქართველოში ჩამოვიდოდა. რუმის სასულთნოში აჯანყების ჩახშობის შემდეგ ყაენის ერთგულებისთვის ქეღათუმ დავითს მეფობა მისცა. ეს ფაქტი ი. ჯავახიშვილმა წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით 1293 წლით დაათარიღა, შესაბამისად, გორის მიტაცება უნდა მომხდარიყო წინა წლებში, კერძოდ, 1292 წელს. ვ. გამრეკელი უფრო აკონკრეტებს დროს და ფიქრობს, რომ ოსთაგან გორის დაპყრობა „1292 წლის პირველ თვეებში ან გაზაფხულზე“ უნდა მომხდარიყო. მკვლევარი მიიჩნევს, რომ გორში გაბატონებული ოსების წინაარმდეგ სურამელები გამოდიან და აქ მეფის მოუხსენიებლობა აიხსნება იმით, რომ დავით დემეტრეს ძე ჯერ კიდევ არ არის დაბრუნებული (გამრეკელი 1975: 171).

ასევე მნიშვნელოვანია, ზუსტად განვსაზღვროთ რა რეალური შინაარსი აქვს შემდეგ ცნობას:„გორი წარტყუენეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა“. აღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დასავლეთ საქართველოდან მომავალი საფრთხის გამო გორში ოსები სამხედრო სამსახურისთვის ჩააყენეს. დასავლეთ საქართველოდან საფრთხის

შემთხვევაში მათ სურამელებთან ერთად უნდა ებრძოლათ. აღნიშნული პრობლემა როცა მოიხსნა, შესაძლოა, მათი აუცილებლობა აღარც ყოფილიყო გორში. მაგრამ მონღოლებმა და აქ ჩაყენებულმა ოსებმა კარგად აუღეს ალღო, რომ გორი შიდა ქართლის ცენტრს წარმოადგენდა და ამით საქართველოს თითქმის ყველა მხარისკენ მომავალ გზებს გააკონტროლებდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს ძალისმიერი მეთოდით მიეტაცებინათ გორის ციხე, მონღოლებს კი მხარი დაეჭირათ მათთვის. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ „წარტყუენვა/წარტყვევნა“ ნიშნავს „სრულ დატყვევება, წარტაცება ყოვლისავე“ (ორბელიანი 1993: 367). უფრო ვრცლად კი „წარტყვენვაჲ არს, რა მოძალემა(ნ) მძლავრებითა აჰყაროს და სვაგან განაბნიოს და ქონებაც მიუღოს სრულობით“ (აბულაძე 1993: 369). ამრიგად, საქართველოში შემოყვანილმა და გორში ჩაყენებულმა ოსებმა გორი და მისი მიმდგომი მხარეები მიიტაცეს მონღოლების ხელშეწყობით.

სამწუხაროდ, ჟამთააღმწერელი დავით VIII-ის პერიოდამდე არაფერს ამბობს ოსი მთავრების ქმედების შესახებ, ამის მიზეზი ალბათ მათი მცირეწლოვნობა უნდა ყოფილიყო. ფარსადან გორგიჯანიძეს ისინი მოხსენიებული ჰყავს როგორც „შვილნი მცირენი“ (ალასანია 2022: 179), რაც მათ მცირეწლოვნობაზე მიუთითებს. დავით VIII-ის დროს კი ქართველ დიდგვაროვნებთან ერთად გვევლინებიან აქტიურ მოღვაწეებად. აშკარაა, რომ მათ ადაპტირება მოახდინეს იმდროინდელ პოლიტიკურ რეალობასთან და ამავე დროს მონღოლებს ემორჩილებოდნენ. მათ მოღვაწეობას მეტ ინტერესს სძენს ის ფაქტი, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, უფროსი ძმა – მთავარი ფარეჯანი მეფის ერთგულთა დასშია. მაგ., ჟამთააღმწერლის ცნობით, დავით დემეტრეს ძეს „ოვსთა მეფის ძე, სახელით ფარეჯან, იგიცა ძლიერად შეეწეოდა“. შესაძლოა, იგი იმ შეკრებაზეც წარმდგარიყო დავითის სასარგებლოდ, რომელსაც საქართველოს მეფედ ან ვახტანგ დავით ნარინის ძე უნდა დაემტკიცებინა ან დავით დემეტრეს ძე (ყაუხჩიშვილი 1959: 294). როგორც ვხედავთ, აქ ფარეჯანი „ოვსთა მეფის ძედ“ არის მოხსენიებული, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ „ფარეჯან ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა“ (ყუხჩიშილი 1959: 297). ვახუშტი ბაგრატიონი ფარეჯანს ხან „ოვსთა მეფის ძედ“, ხან კი „ოვსთა მთავრად“ მოიხსენიებს (ყაუხჩიშვილი 1973: 239, 240, 242). ფარეჯანის „მეფის ძედ“ მოხსენიება ხაზს უსვამს ისტორიკოსის დამოკიდებულებას, რომ იგი ოსეთის მთავართა გამორჩეულ ფენას ეკუთვნის, მისგან განსხვავებით „მეფის ძედ“ არ მოიხსენიება უმცროსი ძმა ბაყათარი, რომელიც ჟამთააღმწერელს მოიხსენიებული ჰყავს როგორც „ოვსთა მთავარი“ (ყაუხჩიშვილი 1959: 305).

ჟამთააღმწერლის ცნობით, მცირე აზიაში მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების დროს ყაენ ქეღათუს გვერდით დავით დიმიტრის ძისა და ფარეჯანის ყოფნა და ერთად მოხსენიება მიუთითებს, რომ ორივე პირი აქ იმყოფებოდა, როგორც მონღოლთა სამსახურში მყოფი. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ქეღათუ ყაენმა ქართველებს უხმო მცირე აზიაში გასალაშქრებლად.

მეფემ უშუამდგომლა ქალაქის მცხოვრებლებს ყაენთან, რომელმაც მინდობის ნიშანი უბოძა ერთგულების საწინდრად და ხარაჯა დაუწესა (ალასანია 2022: 229-230). როგორც ჩანს, ფარეჯანმა და მისმა ქვეშევრდომმა ოსებმა რიგი მიზეზების გამო ქართველი მეფის მიმართ შედარებით კეთილგანწყობის გზა აირჩიეს.

ი. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ფარეჯან ოსთა მთავარი ქართველ მეფეს ემსახურებოდა, „როგორც საქართველოს ყმადნაფიცი“ (ჯავახიშვილი 1982: 126). რას გულისხმობს მკვლევარი „ყმადნაფიცობაში“ გაურკვეველია. თუმცა, წყაროთ, მართლაც, შემოგვინახა ინფორმაცია ოსი მთავრის ფარეჯანის ერთგული დამოკიდებულების შესახებ საქართველოს მეფისადმი.

აღნიშნულს ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მეფეს ოსი მთავრისთვის ჩაბარებული ჰქონდა იმ განძის დაცვა, რომელიც ატენის ციხეში იმყოფებოდა ანუ მეფეს ფარეჯანისთვის „მი-

ბარებული“ ჰქონდა განძი. როდესაც დავით მეფემ თუქალ ნოინის შვილი გადასცა ყაზან ყაენს „მისცა მას ყოველი სიმდიდრე, რომელი შეევედრა ოვსთა მთავრის ფარეჯანისა, რომელი იდვა ციხესა ატენისასა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 299). ამ ფაქტს ვახუშტი ბაგრატიონიც ადასტურებს: „მერმე მისცა დავითცა შვილნი თუქალისანი ყაზანს და საჭურჭლე, რომელი იყო ციხესა ატენისასა ბარებული ფარეჯან ოვსთა მეფისა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 242). ფარსადან გორგიჯანიძეც აღნიშნავს, რომ „საჭურჭლე და ქონება მისი და ზოგი რამე მიებარებინა ფარეჯან ოსისათვის. იდვა ციხესა ატენისასა“ (ალასანია 2022: 235).[20]

უფრო ნათელი რომ მოეფინოს დავით VIII - ისა და ფარეჯანის ურთიერთობის სოციალურ ასპექტს, ორიოდე სიტყვით უნდა მიმოვიხილოთ, თუ რას ნიშნავს განძის, სიმდიდრის, საჭურჭლის მიბარების ფაქტი.[21] განძის, სიმდიდრის, ქონების მიბარება ადრეულ ეპოქაშიც ფიქსირდება და მიბარებული ქონების დაცვა გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა მის მცველს. არ არის გამორიცხული, რომ ფარეჯანისთვის მიბარებული განძის ან საჭურჭლის დაცვა ატენში მისი ყოფნის ლეგიტიმაციას და მეფესა და ქვეშევრდომს შორის ურთიერთობას განსაზღვრავდა.[22] შესაძლოა, ატენი ფარეჯანს მეფისადმი ერთგული სამსახურისთვისაც გადაეცათ დროებით მფლობელობაში განძის დაცვის პირობით. არ გამოვრიცხავთ, რომ ფარეჯანს ატენის საჭურჭლის მიბარების გარდა ატენის ციხის დაცვაც ექნებოდა დავალებული, რომელიც სადაოდ იყო გამხდარი დასავლეთ საქართველოს მეფესთან.

ჟამთააღმწერლის ცნობით, დემეტრე II-ის დროს, რაჭის ერისთავი კახაბერი, რომელმაც უღალატა დავით ნარინს ზემოთ მოხსენიებულ ღალღურთან ერთად, მონღოლთა ჯარი შემოიყვანა დასავლეთ საქართველოში და მეფე ძლივს გადაურჩა დატყვევებას, „იყო ქართლს, და აქუნდა ქუეყანა ატენისა, და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისგან, ორგულობისათჳს მეფეთასა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 275). როგორც ჩანს, მონღოლებმა ერთგული სამსახურისთვის გადასცეს ატენი. რ. კიკნაძეც მიიჩნევს, რომ „იეღლურის იმერეთში განრისხებულ აბაღას მალე წაურთმევია ატენი დავითისთვის („წაართვა ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცათ“) და, როგორც ჩანს, შემდეგ მისივე მოსისხლე მტრისათვის უბოძებია“ (კიკნაძე 1971: 121). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დავით ნარინმა სარჩოდ რაჭა გადასცა ღალღურს, ბუნებრივია, რაჭის ერისთავი კახაბერი უკმაყოფილი იქნებოდა მეფის ქმედებით, გარდა იმისა, რომ რაჭა დარბევის ობიექტი ხდებოდა გორში ჩაყენებული ოსთა მხრიდან, რადგან მათ ეს ბრძანება მიიღეს კიდეც. რაჭის ერისთავმა კახაბერმა ისევ ღალღურთან შეკრა კავშირი და შეთქმულება მოაწყო დავით ნარინის წინააღმდეგ. დავით ნარინთან შერიგების შემდეგ მან კვლავ უღალატა მეფეს, რის გამოც დაისაჯა კიდეც. კახაბერ რაჭის ერისთავის დაღუპვის შემდეგ ატენი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთა ხელში უნდა დარჩენილიყო. დავით ნარინის ძის ვახტანგის მეფობის დროს, წინააღმდეგობა ატენის საკითხზე, როგორც აღვნიშნე, დროებით უნდა განმუხტულიყო. შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, რომ ატენს კვლავ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები აკონტროლებენ. შესაძლოა, სწორედ მონღოლთა უშუალო მითითებით გადაეცა ატენი განძის დაცვის პირობით ოვსთა მთავარ ფარეჯანს, რომელიც ატენის საჭურჭლის დაცვით გარკვეულ ვალდებულებას იღებდა ქართველი მეფის მიმართ. ატენის გაკონტროლება და იქ მათთვის სანდო პირის ყოფნა მონღოლებს უადვილებდა დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო სივრცესთან მიახლოებას. თუ აქედან აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა წინააღმდეგ რაიმე მტრული ძალა წამოვიდოდა, სანამ ისინი გორამდე მიაღწევდნენ, მანამდე ატენი უნდა გამოევლოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანესია ფარსადან გორგიჯანიძის ცნობის ერთი დეტალი, რომელსაც ჟამთააღმწერელი არ აღნიშნავს. კერძოდ, შემდეგი ინფორმაცია:„ფარეჯან ოსი მამკვდარიყო და ატენი მეფეს დავითს ეჭირა“ (ალასანია 2022: 235, 425); (კიკნაძე 1987: 238).

ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, ადრეულ ეპოქაშიც, „ციხე ატენისა სწორედ შიდა ქართლიდან თრიალეთს მიმავალ ერთ-ერთი გზის მოდარაჯე პუნქტი იყო“ (ბერძენიშვილი 1966: 43). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სწორედ ატენზე გაივლიდა ჯავახეთისკენ მიმავალი მაგისტრალური გზა, რომელიც ზემო ქართლს აკავშირებდა შიდა ქართლთან, სავსებით გასაგებია, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებდა ატენის ციხისა და მისი მიმდგომი მხარის გაკონტროლებას იმ პერიოდში მოქმედი ნებისმიერი ძალისთვის. ამ ფუნქციას ატენი ადრეულ საუკუნეებშიც ინარჩუნებდა.

ჟამთააღმწერლის ცნობით, ფარეჯანის უმცროსი ძმა „ოვსთა მთავარი ბაყათარი“ კი ფაქტობრივად მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებულ დავით VIII–ს ებრძოდა და ხუტლუბუღა (ხუტლუშაჰ) ნოინს ეხმარებოდა. მონღოლებს მიუვალ მთებში ციკარედ წოდებულ ადგილას გამაგრებულ დავით VIII-ის წინააღმდეგ მიუძღოდათ „ქუენიფნეველი შალვა, და ოვსთა მთავარი ბაყათარ, და მუხნარს მდგომი ბანთანაღუთი“ (ყაუხჩიშვილი 1959: 305). მონღოლთა მხარდაჭერა სითამამეს აძლევდა ბაყათარს, რომ ემძლავრა ზოგიერთ ქართველ მთავარზე და გორის ციხეც მიეთვისებინა, შემდეგ კი რეიდები მოეწყო თრიალეთზე. ვ. გამრეკელი ცალ-ცალკე მოიხსენიებს ფარეჯან-ბაყათარის რაზმებსა და „გორს მსხდომ ოსებს“ – „1290-1300-იან წლებშიც ქართლში არსებითად მოქმედებს ოსების მხოლოდ ორი რაზმი: ჯერ ფარეჯანის და შემდეგ ბაყათარის მეთაურობით და მეორე „გორს მსხდომი ოსები“ (გამრეკელი 1975: 179). ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ, რადგან თუ გორში ჩააყენეს დმანისში და ჟინვალში შემოყვანილი ოსების ნაწილი, ეს ხალხი ფარეჯანისა და ბაყათარის ოჯახის მეთაურობით შემოდის საქართველოში და ისინი იერარქიულად მათდამი დაქვემდებარებული უნდა ყოფილიყვნენ, უბრალოდ მაშინ ისინი მცირეწლოვანი იყვნენ. გარდა ამისა, ბაყათარის ქვეშევრდომებად იმიტომ მივიჩნევთ „ოსნი, რომელ სხდეს გორს“, რომ ჟამთააღმწერელი სხვა ადგილას ბაყათარის მაგივრად მათ მთიულეთში მეფის წინააღმდეგ მებრძოლ მონღოლებთან და შალვა ქსნის ერისთავთან ერთად მოიხსენიებს – „ქუეითად იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე, და ოსნი რომელ სხდეს გორს“ (ყაუხჩიშვილი 1959: 306), რაც გულისხმობს, რომ ბაყათარი მათი მეთაურია, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება მონღოლებს. გ. თოგოშვილი ერთმანეთისგან მიჯნავდა XIII საუკუნის 60-იანი წლებში ჩამოსახლებულ და, მისი აზრით, 90-იან წლებში შემოსულ ოსებს, რომლებიც ჩაერთვნენ გორის აღების ოპერციაში. ამის მიზეზი არის ის, რომ მკვლევრისთვის, როგორც ჩანს, ნაკლებად ცნობილი იყო ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა 60-იან წლებში შემოყვანილი ოსების გორში ჩაყენების ფაქტის თაობაზე, რომელსაც ზემოთ შევეხეთ.

ვ. გამრეკელი ფიქრობს, რომ როდესაც დავითი დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და მეფედ იკურთახა, კონფლიქტი მასსა და გორში მყოფ ოსებს შორის არ ყოფილა, რომლის არგუმენტაციისთვის მოაქვს ის, რომ ფარეჯანი ერთგულად ემსახურებოდა მეფეს და „გორს მსხდომი“ ოსების მფარველ მონღოლებთანაც ჯერ-ჯერობით კარგი ურთიერთობა ჰქონდა (გამრეკელი 1975: 171). თუმცა, ჟამთააღმწერლის მიხედვით, ეთნიკურ კონფლიქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, როდესაც მომხდური ოსი და ადგილობრივი ქართველი გადაკიდებული იყვნენ ერთმანეთს, მათში მკვლევარი ორივე მხრიდან წარჩინებულთა ფენას გულისხმობს (გამრეკელი 1975: 171). როგორც ჩანს, დავით დემეტრეს ძემ ვერ შეძლო აელაგმა ეს კონფლიქტი, ვერ დაეხმარა სურამელებს და არ ჩანს, მიიღო თუ არა რაიმე ზომა გორის დასაბრუნებლად, გამეფებიდან აჯანყებამდე ორ წელიწადში იგი ნამდვილად ვერ შეძლებდა ოსთა ალაგმვას. გარდა ამისა, ქართველთა მეფეც და „ოვსნი გორს მსხდომნი“ ერთნაირად ანგარიშვალდებულნი იყვნენ სამხედრო თვალსაზრისით მონღოლებთან. როდესაც დავით დემეტრეს ძე აშკარად დაუპირისპირდა მონღოლებს, „ოვსნი გორს მსხდომნიც“, როგორც მონღოლთა სამხედრო სამსახურში მყოფნი,

ჩვეულებრივ დაუპირისპირდნენ მეფეს, ოსების საშუალებით მონღოლები დავითისა და მისი მომხრე ფეოდალების დამოჩილებას, მონღოლების საშუალებით კი ოსები შიდა ქართლის თავის სასარგებლოდ დაუფლებას ცდილობდნენ.

ჟამთააღმწერლის ცნობით

> და ვითარ მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთჳს იშლებოდა ქუეყანა ქართლისა, და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო და აოჴრებდა ქართლსა, თრიალეთსა, და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკჳდრთა ქართლისათა (ყაუხჩიშვილი 1959: 316).

არ არის გამორიცხული, რომ ბაყათარი, როგორც მონღოლებისგან განდიდებული და მათი ნდობით აღჭურვილი პირი, დავით დემეტრეს ძის მომხრე დიდგვაროვანთა მამულებს არბევდა და „განასხმიდა“. „ოვსნი გორს მსხდომნი“ მონღოლებს საყრდენ ძალად სჭირდებოდათ შუაგულ საქართველოში. დავით დემეტრეს ძის აჯანყების დროს კი მონღოლები, რა თქმა უნდა, გორის ციხეს, ამ სტრატეგიულ პუნქტს, მათ სამსახურში ჩამდგარ ოსებს უბოძებდნენ, რომელთა მთავარი ფუნქცია იყო ილხანების ყველა მოწინააღმდეგისთვის ანგარიშის გასწორება სამხრეთ კავკასიაში.

შიდა ქართლიდან თრიალეთზე გზა ძამის ხეობაზეც გადადიოდა, რომელიც მესხეთის სასაზღვრო მიმდგომ მხარეებს უახლოვდებოდა. ჟამთააღმწერლის ცნობით

> და ბაყათარ აოჴრებდა ქუეყანათა, და ჴოცდა კაცთა, დაღაცათუ სურამელი აჰმადა და რატი ძლიერად ებრძოდეს. მაშინ ბაყათარ წარუღო გამრეკელსა კახას ძესა, ციხე ძამისა. ცნა ესე ბექამან, მოუხდა დიდითა ლაშქრითა, ხოლო ბაყათარ, ციხით გამოსრული, წინ დახუდა წინმავალთა ბექასთა. მივიდა ბექა და მოადგა ძლიერად ციხესა. და ვითარ განძლიერდა ითხოვეს ოვსთა ზენაარი და აღუთქუეს არა წყენა, და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშავებელი, და უკანას მოკუდა ბაყათარ“ (ყაუხჩიშვილი 1959: 317).

ძამის ციხე ძამის ხეობას აკონტროლებდა, რომელსაც ჯაყელთა სამფლობელოებიდან თრიალეთის ქედი მიჯნავდა. ბექამ ამ ფაქტით მის სამფლობელოსთან ოსთა მოახლოების სესაძლებლობა აღკვეთა და მისი რეაქცია ბუნებრივი იყო. ძამის ხეობის გავლით, თრიალეთზე მნიშვნელოვანი გზა მიემართებოდა სამცხე-ჯავახეთისკენ, შესაძლოა, ამის უკან მონღოლებიც იდგნენ, რომლებიც ყოველთვის ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ სამცხე-ჯავახეთის ის მონაკვეთი, საიდანაც გზები მიემართებოდა როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე ქართლში. ამიტომაც, შესაბამისი რეაქციით უპასუხა სამცხის ათაბაგმა ბექა ჯაყელმა მონღოლთა ზურგით გალაღებულ ოს ბაყათარს. ძამაც და ტანაც, იგივე ატენის ხეობა სტრატეგიული იყო თრიალეთზე გადასასვლელად. წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით, ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ „ნაჭარმაგევი-გორი-ტანას ხეობაზე“ გავლით გზა მიემართებოდა თრიალეთზე და, პირიქით, თრიალეთიდან გზა შემოდიოდა შიდა ქართლში. თვითონ ის ფაქტი, რომ ძამის ციხეს და ძამის ხეობას თორელები აკონტროლებდნენ, მიუთითებს, რომ თორის მფლობელი მთავრები ძამის ხეობით შიდა ქართლისკენ მიმავალ გზებსაც გააკონტროლებდნენ. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით

> გორის ხელში ჩაგდების შემდეგ ოსები ძამის ხეობით გაღმა მხარს შეესივნენ და თორთრიალეთისაკენ მიიწევენ. ამ ხეობისა და გზის ხელში ჩასაგდებად მათ უნდა ძამის ციხე წაართვან თორელებს. ამ ხეობის ხელში ჩაგდებით ბაყათარ საშიშ შეიქმნა მესხეთის მთავრისათვის, რომელიც წამოვიდა და იმავ ძამის ციხის აღებით ოსთა შემდგომი წინსვლა შეაჩერა (ბერძენიშვილი 1966: 44; ბერძენიშვილი 1965: 60).

„ოვსნი გორს მსხდომნი“ ან „ოსნი რომელ სხდეს გორს“ მონაწილეობას იღებდნენ გილანის ბრძოლებში, რომელსაც ოლჯაითუ ყაენი აწარმოებდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა აგრეთვე ვახტანგ დემეტრეს ძეც. ვერც მან შეძლო გორის უკან დაბრუნება (ყაუხჩიშვილი 1959: 318). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ხოლო მძლავრებდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 256).[23] ამგვარად, ოსებმა არა მარტო გორის ციხე დაიკავეს, არამედ „ადგილ-ადგილ დაბნები და ციხენი“, როგორც ჩანს, გორის მიმდგომი ტერიტორია, რომელთა დაბრუნება სამხედრო ძალის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა. სწორედ, ამის გამო მოუწია შემდგომ გიორგი ბრწყნვალეს რადიკალური ზომების მიღება. მეფე მიხვდა, რომ თუ არ დაიბრუნებდა გორის ციხეს, ქვეყნის გაერთიანების საქმეს ბევრი პრობლემა შეექმნებოდა, რადგან შიდა ქართლის ცენტრში გამაგრებული ოსები საფრთხეს უქმნიდნენ ყველა მხრიდან მომავალ გზებს და შეაფერხებდნენ მეფის მოძრაობას. *ძეგლი ერისთავთაში* აღნიშნულია, რომ მეფე „მაშინ მოადგა ოვსთა გორს მყოფთა და ბრძოდა სამ წელ“ (ქსძ\ 1965: 107). ოსების საკითხი საფრთხეს უქმნიდა ასევე, ჩრდილოეთიდან მომავალი გზების გაკონტროლებას. ამიტომაც იყო, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით,

> ამან მეფემან (გიორგი ბრწყინვალე – ქ. ქ.) განასხნა ძლიერებითა თჳსითა და წარუხუნა ციხენი და დაბნები. მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშჳდა ქართლი ოვსთაგან, ვინაჲთგან გზანი ყოველნი თჳთ დაიპყრნა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 256).

გიორგი ბრწყინვალემ, რომელსაც მონღოლთა მხარდაჭერა ჰქონდა და შემდგომ ისარგებლა მათი დასუსტებით, შეუტია ოსებს, „განასხნა და აღფხურა“ ისინი, რაშიც მონღოლებს ამჯერად ხელი არ შეუშლიათ, რადგან ქართველ მეფესთან დაპირისპირება იმ ეტაპზე ხელს არ აძლევდათ. როგორც ჩანს, გიორგი ბრწყინვალემ დარიალისა და დვალეთის გზებიც დაიჭირა, რომ აღეკვეთა ოსი მოსახლეობის შემოსვლა საქართველოში.

შენიშვნები

1 *ქართლის ცხოვრების* ნუსხებში, შესაბამისად, მ. ბროსესეულ *ქართლისა ცხოვრებასა* და ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში ‘ოსნის’ მაგივრად „ორნი“ იხსენიება, თუმცა ეს სიტყვა ს. ყაუხჩიშვილის აკადემიურ გამოცემაში არ არის შეტანილი. მაგრამ უკვე მკვლევართა მიერ დამტკიცებულია, რომ ეს მექანიკური შეცდომაა. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის ცნობაც.

2 ვ. ითონიშვილს ამ ოსთა ჯგუფებად „ას-ალანები“ მიაჩნია, რომელთაც სამხედრო შეჯახება მოუხდათ ქართველებთან XIII ს-ის II ნახევარსა და XIV ს-ის I ნახევარში (ითონიშვილი 1996: 232). იგი ფიქრობს, რომ „არაა გამორიცხული თავად ტერმინ „ოსიანობის//ოვსობის“ გაჩენის (ან მისთვის ნოყიერი ნიადაგის მომზადების) შესაძლებლობაც სწორედ ას-ალანთა და ქართველთა „მტრობის“ მანამდე არნახული გახანგრძლივების ეპოქაში (XIII-XIV სს.), რომელსაც ჯეროვანი თვალსაჩინოებისათვის ალბათ რეზონულია პირობითად „ოსიანობის“ „ას-ალანური“ (ან „ალან-ოსური“) ეტაპი ვუწოდოთ“ (ითონიშვილი 1996: 233). მას მიაჩნია, რომ XVII საუკუნის შემდგომ პერიოდში „ოსიანობა“ მოიცავს ე.წ. „ირონულ“ ეტაპს, როდესაც შიდა ქართლის მთიანეთში XVII საუკუნიდან ჩნდება ოს-ირონთა პირველი კომპაქტური დასახლებები (ითონიშვილი 1996: 233).

3 საინტერესოა ის ფაქტი, რომ უფრო ადრე ოქროს ურდოს ყაენი ბათო ხანიც დიდ ინტერესს იჩენდა დავით ლაშას ძის მიმართ, ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ 1256 წლამდე, როდესაც მანგუ ყაენმა ერანში ჰულაგუ დანიშნა ყაენად ანუ „ილ-ხანად“, საქართველო მანამდე ოქროს ურდოს უზენაესობას აღიარებდა, შემდეგ კი ჰულაგუ ყაენისა და მისი შთამომავლობის (ჯავახიშვი-

ლი 1982:53). ჟამთააღმწერელი ამბად მოგვითხრობს როგორ ეწვია დავით ლაშას ძე ჯერ ბათო ყაენს და შემდეგ ჰულაგუს, რომლის გაანალიზების შედეგად აშკარად ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ორივე ყაენი საქართველოს ფაქტორის გამოყენებას. დავითიც შეძლებისდაგვარად სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ცდილობს. ბათო ყაენმა ელჩი გამოუგზავნა დავითს და თავისთან მოუწოდა, ისიც ყაენის წინაშე წარსდგა „ნიჭითა უზომოთა“, რაც მიუთითებს, რომ დავითს გარკვეული მიზანი ექნებოდა ამ ვიზიტის დროს. მართლაც, ბათო ყაენმა მეფე „პატივითა შეიწყნარა და ყოველი სათხოველი აღუსრულა“, დავითსაც დიდი ხანი დაუყვია ბათო ყაენთან, მან მეფეს „სუქური საჩრდილობელიც“ კი უბოძა, „რომელი სხუასა არავის აქუნდის, თჳნიერ ყაენთა და ნათესავსა მათსა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 230). ბუნებრივია, დავითი ბათო ხანთან კარგი ურთიერთობის საჭიროების შემთხვევაში ამ კავშირს ილხანთა ულუსის ყაენის წინააღმდეგ გამოიყენებდა, მაგრამ, საბოლოოდ, დავით ლაშას ძე ჰულაგუს ქვეშევრდომი გახდა.

[4] მკვლევარი ქართველ მეფეს მოიხსენიებს, როგორც „დავით ულუ“, თუმცა იმის გამო, რომ ვემხრობი მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ჟამთააღმწერლის ცნობებზე დაყრდნობით „ულო“ ჰულაგუ ყაენს გულისხმობს, მის ნაცვლად დავითს მოვიხსენიებ „დავით ლაშას ძის“ ფორმით.

[5] ამ ფაქტთან დაკავშირებით შემდეგ ვერსიებს გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე: „მეფემ მეორე ცოლი შეირთო უშვილობისთვის“ - „ოსეთის ბატონის ქალი, ტურფა და ლამაზი ასული ალთუნიანთა, მოიყვანეს ჯიგდა ხათუნის მიფარვით. დაორსულდა და შობა შვილი. საჴელად და(ა) არქვეს გიორგი. და აცნეს ჯიგდა ხათუნს, დედოფალსა. იამა და თავის შვილად ზ(რ)დიდა, ვითაც თავის ნაშობსა სათუთობით. მეორეს წელსაც დაორსულდა, შვა ასული ტურფა, ლამაზი და(ა) რქვეს საჴელად თამარი“. მეორე ვერსიაში დაკონკრეტებულია „ოსეთის თავადის შვილი ალთუნ“, რომელიც ორი შვილის გაჩენის შემდეგ მეფემ „შინიდამ გაიშორა საყვარელი ალთუნ“ (ალასანია 2022: 158).

[6] როგორც ცნობილია, ფ. გორგიჯანიძის *ისტორიის* ის ნაწილი იყო გამოცემული, რომელიც უშუალოდ მის თანადროულ ეპოქას აღწერდა. ადრეულ პერიოდის და, კერძოდ, XII-XIII საუკუნეების ისტორია კომპილაციურად იყო მიჩნეული და არ განიხილებოდა მნიშვნელოვან წყაროდ. როგორც რ. კიკნაძე აღნიშნავდა, ფ. გორგიჯანიძეს ხელთ უნდა ჰქონოდა *ქართლის ცხოვრების* საკმაოდ შერყვნილი ნუსხა. მაგრამ ზოგიერთი საკითხი, რომელიც ფარსადანს აქვს განხილული, მის მიერ გამოყენებულ ნუსხებში უფროა შემორჩენილი, ვიდრე *ქართლის ცხოვრების* უკვე გამოცემულ ნუსხებში. მკვლევარი შენიშნავდა, რომ „მის მიერ გამოყენებულ ნუსხაში ბევრი ადგილი უფრო სწორად და სრულად ყოფილა გადმოცემული, ვიდრე *ქართლის ცხოვრების* ამჟამად ცნობილ ნუსხებშია. ფარსადან გორგიჯანიძის გამოუცემელ ნაწილში შემორჩენილი ზოგიერთი ცნობით შეიძლება „ჟამთააღმწერლის ნაწარმოების ბევრი ადგილის აღდგენა, გასწორება, დაზუსტება და შევსება“ (კიკნაძე 1971:117). სწორედ, აქედან გამომდინარე მიაქცია ყურადღება რ. კიკნაძემ ფარსადანის ნაშრომს, სადაც XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი დეტალები წარმოაჩინა. მკვლევარი ფიქრობდა, რომ ფარსადანს *ქართლის ცხოვრების* ორი ნუსხით უსარგებლია, რომლებშიც ერთი და იგივე ფაქტზე მცირეოდენი განსხვავებაა შემორჩენილი. როგორც რ. კიკნაძე აღგვიწერს, ამ ხელნაწერს 3 ადგილას ზედმეტი ფურცლები ჰქონია ჩაკერებული, სადაც „რამდენადმე განსხვავებით, ხელმეორედ არის გადმოცემული ერთხელ უკვე მოთხრობილი ამბები XIII ს-ის საქართველოს ისტორიისა“ (კიკნაძე 1971: 117). 2022 წლიდან ფარსადან გორგიჯაიძის *საქართველოს ცხოვრების* სრული ტექსტი ხელმისაწვდომი გახდა, რადგან იგი გამოსაცემად მოამზადა, წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს უკვე საშუალება ეძლევა მოახდინოს წყაროთა შედარებითი ანალიზი და გააკეთოს უფრო სწორი დასკვნები.

[7] იგივეს იმეორებს ზ. ჭიჭინაძის მიერ *ქართლის ცხოვრების* 1897 წლის მეორე გამოცემა (ჭიჭინაძე 1897: 581).

[8] რ. კიკნაძე მიიჩნევდა, რომ, როგორც ჩანს, ეს სიტყვა „ქალაქი“ ვახტანგის კომისიის მიერ კი არ არის ტექსტში შეტანილი, არამედ, *ქართლის ცხოვრების* ძველ ნუსხებშიც ყოფილა დამოწმებული (კიკნაძე 1971: 122).

[9] ვ. გამრეკელი *ძეგლი ერისთავთას* ცნობებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ „ლიახვის ხეობაში XIII-XIV სს-ში ცხოვრობდნენ მხოლოდ დვალები; ოსების ლიახვზე ჩამოსახლების, ან აქ მათი კომპაქტური მოსახლეობის გაჩენის ხსენება სრულიად არ გვხვდება“ (გამრეკელი 1975: 180). დვალების, როგორც ოსებისგან განსხვავებულ ეთნიკური ელემენტად მიჩნევის შესახებ თითქმის ყველა მეცნიერი თანხმდება. გარდა ამისა, XIII-XIV სუაკუნეებში ქართლის მთიანეთი სრულებითაც არ ჩანს გაუკაცრიელებული და,არც ოსთა კომპაქტური დასახლებები არ ჩანს. პირიქით, დავით დემეტრეს ძე აქტიურად მოძრაობს მთიულეთში, იგი სარგებლობს არაგვის ხეობისა და ხევის მოსახლეობის მხარდაჭერით (გამრეკელი 1975: 180). ვ. გამრეკელი უსაფუძვლოდ მიიჩნევს არა მარტო 1290-იან წლებში ოსთა გადმოსახლების შესახებ მოსაზრებას, არამედ იმ აზრსაც, მათგან წარმოშობილად ჩაითვალოს „XIII-XIV სს. მიჯნაზე ქართლში მებრძოლი და მოთარეშე ფარეჯან-ბაყათარისა და „გორს მსხდომ ოსთა“ რაზმები“ (გამრეკელი 1975: 181). მკვლევარს მიაჩნია, რომ 1290-იან და 1300 წლებში გააქტიურებული ოსები მომდინარეობდნენ 1263 წელს საქართველოში ლტოლვილად შემოსული ოსებისგან და არ მომხდარა 1290-იან წლებში ოსთა კიდევ სხვა გადმოსახლების ფაქტი, მითუმეტეს, ლიახვის ხეობაში, რომელმაც თითქოს დასაბამი მისცა შიდა ქართლის მთიანეთში ოსური მოსახლეობის გაჩენას, რომელიც უფრო გვიანდელი მოვლენა იყო. ცალკეული ჯგუფების გადმოსვლა ალბათ ხდებოდა, მაგრამ არა ისე, რომ გადმოსახლების ფორმა მიეღო (გამრეკელი 1975: 185).

[10] გარდა ოსების ლაშქრობისა ქართლის შიდა რეგიონებისკენ, რომელსაც ქართლის მეფეები იგერიებდნენ და საპასუხო ლაშქრობას აწყობდნენ ოსეთში, ზოგჯერ ქართლის მეფეებსაც გადმოჰყავდათ ოსები ჩრდილო კავკასიის სხვა მცხოვრებლებთან ერთად სამხედრო დახმარებისთვის.

[11] გ. თოგოშვილი აღნიშნავდა, რომ ოსთა გადმოსვლა ძირითადად არდონის ხეობით ანუ როკის უღელტეხილით ხდებოდა (თოგოშვილი 1958: 221). მაგრამ აქ დასაზუსტებელია ერთი დეტალი. კერძოდ, შემდეგი: როკის წყალი დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადია და ეს უღელტეხილი ამ ხეობით აკავშირებდა დიდი ლიახვის სოფლებს და შიდა ქართლს არდონის ხეობასთან. არდონი კი თერგის მარცხენა შენაკადია და მიედინება ოსეთის ველზე. ამრიგად, როკის წყალი ლიახვის აუზს ეკუთვნის, არდონი კი – თერგის.

[12] ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ „თიანეთიდან ის ფუძნარზე გავლით (ბოდავის ხევით) არაგვს გადალახავს ჟინვანთან“ (ბერძენიშვილი 1966: 58). ამ გზით გაემართა ვახტანგ გორგასალი დარიალისკენ, როდესაც ოსეთში ლაშქრობდა.

[13] ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს, რომ მიუხედავად ილხანებთან მოლაპარაკებისა, დავით მეფე მაინც არ წავიდა ურდოში და კვლავ ჟინვალში მივიდა, მან ჯერ თავის ძმა ბაადური გაგზავნა ოქროს ურდოს ყაენთან და დახმარება სთხოვა (ყაუხჩიშილი 1973: 244, ყაუხჩიშვილი 1959: 303, 304), შემდეგ კი ვახტანგი. მოგვიანებით, ალბათ უნდობლობის გამო, მეფემ ვახტანგი ჟინვალის ციხეში გამოკეტა, რომელმაც მოახერხა გაქცევა, იგი პირველად ძმას შეურიგდა, თუმცა მისგან კვლავ იგრძნო საშიშროება და მონღოლებს სთხოვა დახმარება, რომელთაც დავითის საწინააღმდეგოდ, მას მისცეს მეფობა (ყაუხჩიშვილი 1959: 308).

[14] დარიალის სახელწოდებასთან და მის დანიშნულებასთან დაკავშირებით იხ. (ქუთათელაძე 2021: 189- 225).

[15] „დვალეთის გზა“ მოიხსენიება მირიან მეფის დროსაც. ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ მისი მეფობისას გადმოვიდნენ ოვსნი „ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 68). შესაძლოა, მირიან მეფეც დარიალით გადავიდა ოსეთში და შემდეგ შემოვიდა დვალეთის გზით, სწორედ ის გზა გამოიარა, რაც ოსებმა, მცხეთაზე თავდასხმას როცა გეგმავდნენ.

[16] ეს რეგიონიც ძალზედ სტრატეგიული იყო და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მუხრანის ველით, საძოვრებითა და სანადირო ადგილებით. აქ ადრეულ პერიოდში მოხსენიებული მეფეთა სასახლეც მუხრანის სტრატეგიულობაზე მიუთითებს. თბილისიდან და მცხეთიდან შიდა ქართლის მთიანეთისკენ და დვალეთისკენ მიმავალი გზა მუხრანზე გაივლიდა ნიქოზისა და ცხინვალის გავლით, ამ გზას უზრუნველყოფდა ლიახვის ხეობა, სწორედ, ამ გზით მომავალი ოსები მუხრანის მხრიდან დაესხნენ თავს მცხეთას (ყაუხჩიშვილი 1955: 55). შესაბამისად, მუხრანიდან მიემართებოდა გზა თბილისისკენ, გზა გადადიოდა კახეთისკენ. გვიან პერიოდში შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო სადროშოდ შერჩეული მცხეთის ჩრდილოეთით არსებული მუხრანი, რომელიც ცალკე კვლევის საგანია. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს, რომ საუფლისწულოდ შექმნილი მუხრანის და მისი სადროშოსთვის „დარაჯად“ უნდა ყოფილიყო „ერისთავი ქსნისა და ჴეობა არაგჳსა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 350). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არაგვისა და ქსნის საერისთავოებს მუხრანში მყოფი ხელისუფალი გააკონტროლებდა. მცხეთის ჩრდილოეთით მდებარე მუხრანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო როგორც შიდა ქართლის ბარის რეგიონებისთვის, ასევე შედა ქართლის მთიანი მხარისთვისაც, საითკენაც მიემართებოდა „მუხრან-ნაჭარმაგევის გზა“ (ბერძენიშვილი 1966: 21-25). ქსნისა და მტკვრის შესართავთან მდებარე, ქართულ წყაროებში მოხსენიებული „მტუერის“/„მტკურის“ ციხეც (შდრ. „ქსნის ციხე“) ადასტურებს მუხრანის სტრატეგიულობას. საქართველოს ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე მუხრანი ყოველთვის ინარჩუნებდა სტრატეგიული მხარის მნიშვნელობას. ამას ემატებოდა მუხრანის, როგორც ეკონომიკურად დაწინაურებული მხარის მნიშვნელობა.

[17] ქართულ ისტორიოგრაიაში მიღებულია მოსაზრება, რომელიც „ქალაქში“ თბილისს ჰგულისხმობს (სინ 1979: 581); (თოგოშვილი 1958: 196). თუმცა, „ქალაქის“ სახელწოდება წყაროში არ არის მოხსენიებული და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ შემოყვანილი ოსების ნაწილი მაინცდამაინც თბილისში ჩაასახლეს, კერძოდ, ლიმაჩავი და მისი ძეები. ფაქტია, რომ სამხედრო დანიშნულების მიზნით, ფ. გორგიჯანიძის ცნობის საფუძველზე, ლტოლვილი ოსები გორში ჩაუყენებიათ.

[18] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სხდომა“ არის „მრავალთ ჯდომა“, რომელსაც შეესაბამება „სხდა – იჯდნენ“, „სხენან – სხედან“ (ორბელიანი 1993: 124). „დასხდომა“ გარდა დაჯდომისა, ნიშნავს „დამკვიდრებას, დასახლებას“ (აბულაძე 1973:124) (შდრ. „მსხდომარე“ – „დამკვიდრებული, მჯდომარე“). ასევე მნიშვნელოვანია „მსხემი“, რომელიც ერთი მნიშვნელობით ნიშნავს ასევე „მოსრული, დამკვიდრებული, უცხო, ყარიბი“; (აბულაძე 1973: 298). სულხან-საბა ორბელიანს „ყოფნა“ განმარტებული აქვს, როგორც „მყოფობა“ (ორბელიანი 1993: 270, აბულაძე 1991: 537). მას უკავშირდება „გამყოფებული – მყოფად შექმნილი“ (ორბელიანი 1991:135), „ვმყოფობ-ვარ“ – (ორბელიანი 1991: 269), „სამყოფი-სადგური“ (ორბელიანი 1993: 42). „სადგური“ კი „სადგომს“ ან „დასადგომელ ადგილს“ ნიშნავს - (აბულაძე 1993: 25). „ყოფა“ სხვა მნიშვნელობის გარდა ნიშნავს ასევე „დავანება, დასადგურებას“ (აბულაძე 1973: 467).

[19] მაღრან-დვალეთის აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ მის დროს იქ უკვე ოსები სახლობდნენ, რომელსაც იგი შემდეგნაირად განმარტავს: „ხოლო რაოდენნი ოვსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“ (ყაუხჩიშვილი 1973: 363-364).

[20] ბროსესა და ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ *ქართლის ცხოვრებაშიც* სიმდიდრესთან ერთად მოიხსენიება საჭურჭლეც: „და მეფემან დავით მოსცა შვილი მისი (თუქალ ნოინის-ქ.ქ.) და ყოველი საჭურჭლე, და სიმდიდრე ყოველი, რომელი შევედრა ოვსთა მთავრის ფარეჯანისა, რომელი იდვა ციხესა ატენისასა (ბროსე 1849: 430); (ჭიჭინაძე 1897: 627).

[21] სულხან-საბა ორბელიანი „მიბარებულს“ განმარტავს, როგორც „ვედრს“ – „ვედრად ქონება“ მიბარებას ნიშნავს (ორბელიანი 1991: 260); (აბულაძე 1973: 155); (ქუთათელაძე 2020: 27). ი. ჯავახიშვილი „ვედრის“ სრულ ფორმად „შენავედრს“ მიიჩნევდა (ჯავახიშვილი 1984: 335). *ძველი ქართული ენის ლექსიკონში* განმარტებულია, რომ „შევედრება“ მიბარებას, მინდობას, რწმუ-

ნებას, „დაფარვას“, შეწყნარებას ნიშნავს (აბულაძე 1973: 474). სულხან-საბა ორბელიანი „მიბარებულის“ მნიშვნელობით განმარტავს ასევე „ნამარხევს“ (ორბელიანი 1991: 573), რაც („მიცემაჲ დამარხვად“), ი. ჯავახიშვილის აზრით, „შესანახად მიბარებას ნიშნავდა“ (ჯავახიშვილი 1984: 334). მართლაც, სულხან-საბა ორბელიანი „მიაბარას“ განიხილავს, როგორც „შენახვად მიათვალა“ (აბულაძე 1991: 478).

[22] ატენში სამეფო საჭურჭლის რეალურ არსებობას ამტკიცებს დავით აღმაშენებლის ანდერძი, სადაც იხსენიებოდა „ატენისა საჭურჭლე“ (ქსძ 1965: 20). განძის მიბარების ფაქტს ჟამთააღმწერელი უთითებს ასევე დემეტრე II-სა და ბექა ჯაყელთან მიმართებით – როდესაც დავით დემეტრეს ძე მეფე გახდა და მოუწოდეს ბექა ჯაყელს, „მან არა ინება მოსვლად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო თჳთ არღარა წარვიდის არცა ყაენს წინაშე და არცა მეფეს თანა, არამედ წარმოუვლინა ძე თჳსი პირმშო სამცხის სპასალარი სარგის, და ყოველი ნამარხევი, რომელი აქუნდა მეფის დიმიტრისაგან შევედრებული, და სარტყელიცა იგი დიდფასისა“ (ყაუხჩიშილი 1959: 237). როგორც ჩანს, განძის მიბარება და მისი დაცვა გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა მესხეთის მთავარს აღმოსავლეთ საქართველოს მეფის მიმართ, რომლის სურვილიც მას არ ჰქონდა, რადგან განდიდებული იყო და პირდაპირ ანგარიშვალდებული ყაენთან. განძის დაბრუნებით მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ არ აპირებდა აღმოსავლეთ საქართველოს მეფის მორჩილებას, როგორც რიგითი დიდგვაროვანი.

[23] ამ საკითხის რეპრეზენტაცია გვიან ეპოქაშიც გაჟღერდა. ზ. ჭიჭინაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს, რომ „მთელი ქართლი ოსებმა აიკლეს და დაარბიეს და რაც დრო გადიოდა, მით იგინი უფრო წინ მიდიოდნენ ავ კაცობით ... როცა ქართველთ გარეშე მტრები აუტყდნენ, მაშინ ქართლში, თვით ქართველთ მეზობელ ოსებმაც იპოვნეს დრო და წამოყვეს თავი“ (ჭიჭინაძე 1916: 4). საინტერესო ინტერპრეტაციას წარმოგვიდგენს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნ. ურბნელიც: „რაკი საქართველო დაბალ ღობედ შეიქნა, ისეთი მტერ-მოყვარეც კი, როგორიც ოსეთი იყო, ამ ღობეზედ გადადიოდა. ჩვენმა დაუძლურებამა და ერთობის დამხობამ ფრთები შეასხა პაწია ოსეთის სამთავროსაც, გაათამამა, ოსნი იქამდე გაკადნიერდნენ და ისე წავიდნენ თავს, რომ შუაგულ ქართლში ფეხი გაიდგეს და ქ. გორი დაიჭირეს“ (ურბნელი 1889: 65).

დამოწმებანი

აბულაძე (რედ.) 1963: *ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (V-X სს.).* ტექსტები მომზადებული ავტორთა კოლექტივის მიერ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი I, თბილისი, *მეცნიერება.*

აბულაძე 1973: ი.აბულაძე. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი,* თბილისი, *მეცნიერება.*

აბულაძე (რედ.) 1991: სულხან საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული.* ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი/ აბულაძემ, I, თბილისი, *მერანი.*

აბულაძე (რედ.) 1993: სულხან საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული.* ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი.აბულაძემ, II, თბილისი, *მერანი.*

ალასანია 2022: ფ.გორგიჯანიძე. *საქართველოს ცხოვრება*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, *საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

ბერძენიშვილი 1965: ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია XII-XIV სს. (კონსპექტი), *საქართველოს ისტორიის საკითხები,* II, თბილისი, *მეცნიერება.*

ბერძენიშვილი 1966: ნ.ბერძენიშვილი. *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში,* თბილისი, *მეცნიერება.*

ბერძნიშვილი 1960: ი.ბერძნიშვილი. *გორის ციხე,* თბილისი.

ბროსე 1849: *ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხარამეტე საუკუნემდის,* თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრისა საიმპერატორო აკადემიის მეცნიერებათა, ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ, სპბ

გამრეკელი 1975: ვ,გამრეკელი. XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიიდან. ჟამთააღმწერლის ზოგიერთი ცნობის გაგებისათვის, *მრავალთავი* , V, 1975.

გვასალია 1996: ჯ.გვასალია. შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებულში: *ოსთა საკითხი*, თბილისი, *პითაგორა.*

გვასალია 1997: ჯ.გვასალია. *შიდა ქართლი და ოსური საკითხი*, თბილისი, *მერიდიანი.*

გვრიტიშვილი 1947: დ.გვრიტიშვილი, *გორის ისტორიიდან*, თბილისი, საბლიტგამი.

გვრიტიშვილი 1954: დ.გვრიტიშვილი, *გორის ისტორია*, თბილისი, *სახელგამი.*

გოილაძე 2018: ვ.გოილაძე. *ოსთა წინაპრები ძვ. წ. VII-ახ. წ. XV საუკუნეებში, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოცემა.*

ვახტანგიშვილი 2017: მ.ვახტანგიშვილი, *ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში*, სადოქტორო ნაშრომი ისტორიის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ზაქარაია 2002: პ.ზაქარაია. *ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია,* თბილისი, ჟურნალ არქიტექტურა და დიზაინის გამომცემლობა.

თაყაიშვილი (რედ.) 1906: *ქართლის ცხოვრება* მარიამ დედოფლის ვარიანტი გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

თოგოშვილი 1958: გ.თოგოშვილი. *საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამდეგამდე)*, სტალინირი.

თოფჩიშვილი 1997: რ.თოფჩიშვილი. *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები*, თბილისი, *ლომისი.*

თოფჩიშვილი 2012: ქართულ-ოსური ურთიერთობის ნეგატიური ასპექტი: ოსთა თარეშები შიდა ქართლში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის *შრომები* ,V, თბილისი, *მერიდიანი.*

ითონიშვილი 1996: ვ.ითონიშვილი, ოსიანობა, *ოსთა საკითხი,* თბილისი, *პითაგორა.*

კიკნაძე 1989: ვ.კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში,* თბილისი, *მეცნიერება.*

კიკნაძე 1971: რ.კიკნაძე. ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, N4, თბილისი, *მეცნიერება.*

კიკნაძე 1987: ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი, *მეცნიერება.*

მაკალათია 1971: ს.მაკალათია, *ლიახვის ხეობა*, თბილისი, *საბჭოთა საქართველო.*

მამისთვალიშვილი 2018: ე.მამისთვალიშვილი, *გორის ისტორია,* I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი.

სქი 1979: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, *საბჭოთა საქართველო.*

სიხარულიძე 1967: ი.სიხარულიძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში,* თბილისი, *მეცნიერება.*

ურბნელი 1899: ნ.ურბნელი. *გიორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი,* ტფილისი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ქსძ 1963: *ქართული სამართლის ძეგლები*, ტომი I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.*

ქსძ 1965: *ქართული სამართლის ძეგლები*, ტომი II .საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ , თბილისი, *მეცნიერება.*

ქუთათელაძე 2020: ქ. ქუთათელაძე. ქონების აღმნიშვნელო ტერმინოლოგია „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით და მისი ძველი ქართული შესატყვისები, *ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ისტორიისა დ ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური კონკფერენციის თეზისები,* თბილისი.

ქუთათელაძე 2021: ქ.ქუთათელაძე, დარიალის სახელწოდება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით და მისი დიალექტური შესატყვისობანი. *კავკასიის კარი, საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე, საერთაშორისო კონფერენციის მასალები,* თბილისი,

ყაუხჩიშვილი (რედ.) 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, *საბჭოთა საქართველო.*

ყაუხჩიშვილი (რედ.) 1959: *ქართლის ცხოვრება*, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, *საბჭოთა საქართველო.*

ყაუხჩიშვილი (რედ.) 1973: *ქართლის ცხოვრება*, ტ.IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშილის მიერ, თბილისი, *საბჭოთა საქართველო.*

ჭიჭინაძე (გამომც.) 1897: *ქართლის ცხოვრება* დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, წიგნი მეორე, ტომი პირველი, მეორე გამოცემა ზ ჭიჭინაძისა, ტფილისი, *სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.*

ჭიჭინაძე 1916: ზ.ჭიჭინაძე. *ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ,* ტფილისი, *სახელმწიფო სტამბა.*

ხარაძე 1996: კ.ხარაძე. შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, *ოსთა საკითხი*, თბილისი, *პითაგორა.*

ჯავახიშვილი 1982ა: ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მესამე, ნაწილი პირველი (XIII-XIV სს.) თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

ჯავახიშვილი 1982ბ: ი.ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი პირველი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი, *მეცნიერება.*

ჯავახიშვილი 1984: ი.ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი, მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VII, თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

“THE OSSETIANS SETTLED IN GORI” (HISTORICAL-GEOGRAPHICAL ASPECTS OF THE OSSETIAN MIGRATION DURING THE MONGOL RULE IN GEORGIA)

Ketevan Kutateladze
TSU, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology
ketevan.kutateladze@tsu.ge

During the intense confrontation between the Golden Horde and the Ilkhanate, Georgian sources report that part of the Ossetian population (“the numerous chiefs”), oppressed by the Khan of the Golden Horde, sought refuge in the territory of Georgia. Hulagu Khan received these Ossetian refugees into his service, imposed tribute and military obligations upon them, and, in

return, granted them the right to settle in Georgia – a policy that proved highly dangerous for the Georgian state.

By settling the refugee Ossetians in Georgia, Hulagu Khan probably sought more loyal support against the Khan of the Golden Horde and, following the rebellion of King David VII, no longer fully trusted the Georgian monarch. For the Mongols, both the native Georgians and the Ossetian newcomers held equal value in military terms. The Ossetian population introduced into Georgia was settled in strategically important locations such as Zhinvali and Dmanisi. The Ossetians residing in Zhinvali were tasked with defending and blocking the northern routes in the event of an invasion by the forces of the Golden Horde, including through the Dariali Pass. As for Dmanisi, it controlled the approaches to Tbilisi from the south. Parsadan Gorgijanidze provides the only surviving account of Ossetians being settled in Gori — a detail not preserved in other Georgian sources. According to him, the king of Western Georgia, David Narin, had given refuge to the Mongol prince Ghalghuri, an opponent of the Ilkhans, granting him Racha as a reserve. In response, Abagha Khan seized Aten from David Narin. Consequently, the king ordered the Mongols who had taken refuge with him and their troops to raid Kartli and devastate everything up to Mtskheta.

To repel the army advancing from Western Georgia, the Ossetians stationed in the Gori fortress were not only permitted to resist the enemy but also to raid Racha and Imereti. Earlier, a Mongol commander named Janas had been stationed in Mukhrani to guard the routes of Dariali and Dvaleti against the Ossetians. The influential Surameli family, the eristavs of Kartli, also participated in these operations. The Mongols encamped in Mukhrani used it as their winter base and Mtiuleti as their summer base, thereby controlling the road connecting these two regions. Because the Mongols needed to defend the Dvaleti and Dariali passes from the Ossetians, spontaneous incursions by other Ossetian groups frequently occurred.

The settlement of Ossetians in Gori was not accidental. Gori, located in the heart of Georgia, blocked access not only from Western Georgia but also from the north. The Ossetians were not granted Gori as a hereditary possession; they were stationed there for military purposes — to protect Kartli from invading forces from the west. All of this was done under Mongol instructions.

The Ossetians in Mongol service, when circumstances became favorable, appropriated the lowland regions of Shida Kartli, weakened by the Mongol invasions. They captured Gori, which led to open conflict with the local Georgian population.

An Ossetian chief named Bakatari Beg, serving the Mongols, opposed King David VIII after his rebellion against Mongol authority and frequently raided Kartli. The Surameli family resisted his incursions. The chronicler also notes that the Mongols were aided by “the Ossetians settled in Gori.” When the Georgians pressed the Ossetians to return Gori, the latter sought help from the Mongols stationed in Mukhrani, who intervened between the two sides but ultimately left Gori in Ossetian hands.

The confrontation between the Georgians and the Ossetians continued until the reign of King Giorgi the Brilliant (Giorgi Brtskhinvale), who, taking advantage of the Mongols’ decline, attacked the Ossetians, expelled them, and regained control of Gori. Giorgi the Brilliant also secured the Dariali and Dvaleti routes, fortified the northern passes, advanced into the Caucasus, “subjugated and subdued everyone,” and restored Georgian dominance in Kartli.

„ვარლაამის და იოასაფის რომანის“ (CPG 8120) ე.წ. „ლემა“, როგორც პარატექსტი*

გაგა შურღაია
ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლ'ორიენტალე“
აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის დეპარტამენტი
shurgaia@unior.it

„ვარლაამისა და იოასაფის რომანთან“ (CPG 8120) (ფოლკი 2006) დაკავშირებულ პრობლემებს შორის, რომელთა შესახებ მეცნიერთა კამათი დღემდე არ დამცხრალა, „რომანის“ ავტორის, ან, უფრო სწორად, ბალაჰვარისა და იოდასაფის ლეგენდის ბერძნულად მთარგმნელის ვინაობის დადგენა ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად რჩება. იმის გამო, რომ საკითხის გადაჭრა უშუალოდ თხზულების ტექსტზე დაყრდნობით ვერ ხერხდება, მკვლევრები იძულებულნი არიან, გააანალიზონ სხვა წყაროებიდან მომავალი ცნობები, ანდა – თხზულების ნუსხათა უმრავლესობაში დაფიქსირებული ნაწარმოების ერთგვარი სათაური, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოდ „ლემას“ უწოდებენ. მეცნიერები მას დღემდე იმავე ფილოლოგიური მეთოდით იკვლევდნენ, რითაც – უშუალოდ ნაწარმოებს, ანუ ცდილობდნენ, ნუსხებში შემონახული ვარიანტების საფუძველზე აღედგინათ იგი, ან ზოგადი წარმოდგენა მაინც შეექმნათ მისი თავდაპირველი სტრუქტურის შესახებ, რათა მეტ-ნაკლებად სანდო ინფორმაცია მიეღოთ „რომანის“ წარმოშობისა და ავტორის ვინაობის დასადგენად. სინამდვილეში „ლემის“ ტექსტის გენეოლოგიური ხის წარმოსახვის მცდელობამ კიდევ უფრო გაართულა ამ ფართო და მრავალფეროვანი ტექსტოლოგიური ტრადიციის მქონე ნაწარმოების ისედაც რთული ფილოლოგიური ანალიზი. 2020 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში შევისწავლეთ ეს უაღრესად კომპლექსური საკითხი და „ლემის“ ენობრივ-ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე წამოვაყენეთ ახალი თვალსაზრისი მისი ვარიანტების ბუნდოვანი იკითხვისების შესახებ (შურღაია 2020: 917-953); (შურღაია 2024: 137-163). ამჯერად ჩვენი მიზანია, განსხვავებული მეთოდით გავამყაროთ ჩვენი ჰიპოთეზა, ან გამოვარკვიოთ, რამდენად საფუძვლიანია იგი, ანდა, საზოგადოდ, ახალი პერსპექტივა დავსახოთ პრობლემის საკვლევად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ე. წ. „ლემას“ ამჯერად განვიხილავთ, როგორც პარატექსტულ ელემენტს და ამ პრიზმიდან გავაანალიზებთ მის წარმოშობას, ფუნქციასა და შინაარსს.

როგორც ცნობილია, ტერმინი „პარატექსტი“ ფრანგ სტრუქტურალისტს, ჟ. ჟენეტს (1930-2018) ეკუთვნის. მან იგი პირველად 1982 წელს გამოიყენა (ჟენეტი 1982: 9), ხოლო მის შესახებ მწყობრი მეცნიერული თეორია ჩამოაყალიბა პარიზში ხუთი წლის შემდეგ დასტამბულ მონოგრაფიაში „ზღურბლი“ (ჟენეტი 1987), სადაც პარატექსტი განსაზღვრა, როგორც გარკვეული რაოდენობის ელემენტთა ერთობლიობა (ავტორის სახელი, სათაური, წინასიტყვაობა და ილუსტრაციები), რომლებიც არსებობს ტექსტის ირგვლივ და მას თან ახლავს იმ მიზნით, რათა მკითხველს ტექსტის სიღრმისეულ წვდომასა და სრულყოფილად აღქმაში დაეხმაროს. მეცნიერის აზრით, ეს აპარატი ერთგვარი „ზღურბლი“, ან „ვესტიბულია“, საიდანაც შეგიძლია, ტექსტში „ფეხი შედგა“, ან „უკან გამობრუნდე“ (ჟენეტი 1987: 7-8). ამ დანიშნულების შესაბამისად, პარატექსტი იგება მკაფიო გეგმით, რომლის მიზანია, რაც შეიძლება, უკეთ წარმოუჩინოს მკითხველს თხზულება და ხელი შეუწყოს მის, რაც შეიძლება, უკეთ აღქმას. აღსანიშნავია ორი გარემოებაც: პირველი, პარატექსტის ფორმა ძირის-ძირობამდე იცვლება დროისა და ვითარების შესაბამისად (ჟენეტი 1987: 9); და, მეორე,

აუცილებელი არაა, იგი უშუალოდ ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის კალამს ეკუთვნოდეს (ჟენეტი 1987: 13-14, 70-71). ამასთან, პარატექსტი არსებობს როგორც პერიტექსტი, ანუ წიგნში, როგორც საგამომცემლო საქმიანობის ნაწარმში ლიტერატურულ თხზულებასთან დაკავშირებულ გრაფიკულ საშუალებათა ერთობლიობა (ჟენეტი 1987: 10-11, 38-315), ანდა – როგორც ეპიტექსტი, რომელიც მოიცავს ფართო საზოგადოებისთვის ნაწარმოების გასაცნობად შექმნილ სხვა საშუალებებს, მაგ., გამოხმაურება-რეცენზიებს, განცხადებებს, ინტერვიუებს (ჟენეტი 1987: 8-9, 316-370).

მიუხედავად იმისა, რომ ჟ. ჟენეტის თეორია ნაბეჭდი წიგნის სპეციფიკაზე დაკვირვებით წარმოიშვა, შემდგომში იგი ფართოდ გავრცელდა ტექსტის ჰერმენევტიკის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის – იმ მედიევისტურ მეცნიერებებშიც, რომელთა შესწავლის საგანი ხელნაწერი წიგნია. ცხადია, მათი გამოყენების თვალსაზრისით, ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები დიდად განირჩევა ერთმანეთისგან, მაგრამ თუ სათანადოდ გავითვალისწინებთ საკვლევ ობიექტებს შორის ამ პრინციპულ სხვაობას,[1] ჟ. ჟენეტის თეორიის მომარჯვებამ, შეიძლება, უაღრესად ნაყოფიერი შედეგი გამოიღოს, თუმცა, ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ საკითხზე თეორიულ მსჯელობას. ჩვენი ექსპერიმენტი ამჯერად იმით შემოიფარგლება, რომ განვიხილოთ „ლემა“, როგორც პარატექსტი და, კერძოდ, პერიტექსტი, რომლის მიზანია, მკითხველს ლიტერატურული ნაწარმოების, რაც შეიძლება, უკეთ ჩაწვდომაში დაეხმაროს.

უპირველეს ყოვლისა, შესარჩევია საკვლევი პერიტექსტური ერთეულის აღსანიშნავი ტერმინი. როგორც ითქვა, სპეციალურ ლიტერატურაში მას, როგორც წესი, „ლემას“ უწოდებენ, მაგრამ რადგანაც ეს სახელდება სათანადოდ ვერ წარმოაჩენს ამ პარატექსტის ვერც ფორმისა და ვერც ფუნქციის სპეციფიკას, ვამჯობინებთ, ჯერ-ჯერობით მას „სათაური“ ვუწოდოთ, მიუხედავად იმისა, რომ არც ეს სახელწოდება გახლავთ უზადო. უმთავრესად, ნაბეჭდი წიგნის კულტურაში ლიტერატურულ ნაწარმოებს სათაურს ურჩევს ავტორი, ან, იშვიათ შემთხვევებში, მის ნაცვლად – წიგნის რედაქტორი. ამ კონტექსტში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, წიგნი სათაურის გარეშე დაისტამბოს, ხოლო შუა საუკუნეების ლიტერატურის ისტორიაში ასეთი ერთმნიშვნელოვნება არ არსებობს: ხელნაწერებში თხზულებათა დასაწყისები ისეა წარმოდგენილი, რომ ისინი მკითხველისთვის ტექსტის შინაარსის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად გამიზნულ ტექნიკურ საშუალებად უფრო მოიაზრება, ვიდრე – უშუალოდ ტექსტისთვის სახელის დასარქმევად. ამდენად, შუასაუკუნოებრივი ხელნაწერი წიგნების სპეციფიკის სრულყოფილად ასახვისთვის დღეს უაღრესად აქტუალური ხდება ანალოგიური კონკრეტული და ადეკვატური ტერმინოლოგიის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება მრავალრიცხოვანი კონკრეტული შემთხვევების ანალიზსა და კლასიფიკაციას. ასეთი კვლევის ჩატარებამდე დროებით გამოვიყენებთ ტერმინს „სათაური“, მაგრამ, ამასთანავე, მხედველობის მიღმა არ დაგვრჩება ხელნაწერი წიგნის თავისებურებანი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სათაური განსხვავებული სპეციფიკით გამოირჩევა ნაბეჭდ და ხელნაწერ წიგნებში. როგორც წესი, ნაბეჭდ წიგნში იგი ნაწარმოების პირველ გამოცემასთან ერთად იქმნება და არ იცვლება, ხელნაწერ წიგნში კი უაღრესად ცვალებადია ისევე, როგორც, საზოგადოდ – ხელნაწერის ყველა შემადგენელი ელემენტი, მათ შორის, თვით მთავარი ტექსტიც. თანაც, ზოგჯერ სათაური უშუალოდ ხელნაწერის დამზადების კონტექსტს არის მისადაგებული. მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში დროთა განმავლობაში ნაწარმოების ადრეულ ნუსხებთან ერთად შექმნილი სათაურიც კი იცვლება. გარდა ამისა, შესაძლებელია, წიგნს იგი შედარებით გვიან, წიგნად მიმოქცევაში თხზულე-

ბის შესვლიდან კარგა ხნის შემდეგ დაემატოს. პარატექსტური ელემენტების გადაღებისას გადამწერებმა, შესაძლებელია, კეთილსაიმედოდ გადმოიწერონ იგი ანტიგრაფიდან, ანდა, პირადი არჩევანის შესაბამისად ისე განაახლონ, რომ ჩვენ ყოველთვის ნათლად ვერ გავიაზროთ, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მათ. ამიტომ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ პირველადი და მეორადი პარატექსტები. პირველადი პარატექსტი კონკრეტულ საგამომცემლო პროექტს შეესატყვისება და უშუალოდ დაერთვის ძირითადი ტექსტის ეგზემპლარს. მეორადი მოგვიანებით იქმნება, რათა მკითხველსა და ტექსტს შორის კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდეს და რამდენადაც შესაძლებელია, დაიხვეწოს წიგნის კონკრეტული ნიმუშის თავდაპირველ პარატექსტურ ელემენტთა ერთობლიობაც. მეტიც, შეიძლება, მეორადი პარატექსტები რამდენიმე შრედაც კი ჩამოყალიბდეს,[2] რაც ხელნაწერი წიგნის არაჩვეულებრივ დინამიზმზე მეტყველებს.

ჩვენს შემთხვევაში იმთავითვე აშკარაა, რომ სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით სათაურის შინაარსი იცვლება, თანაც – უკიდურესად, რაც, სავარაუდოა, მიუთითებდეს იმაზე, რომ „ვარლაამისა და იოასაფის რომანის“ წიგნად მიმოქცევაში ჩაშვებისას პარატექსტად ჩამოყალიბებული სათაური კონკრეტულად ამა თუ იმ ხელნაწერის გადამწერის ხელთ არსებულ ინფორმაციას გვაწვდის. ფაქტია, რომ ეს ინფორმაცია გამუდმებით იცვლება. ერთგან სათაური ბუნდოვნად მიგვანიშნებს ნაწარმოების წარმომავლობაზე, სხვაგან დამატებულია იმ პიროვნების სახელი, რომელმაც თხზულება მისი შექმნის მითითებული ადგილიდან ჩამოიტანა, სხვაგან მისი მთარგმნელის, ან ავტორის სახელიც კი მოიხსენიება. ეს საკითხი უკვე ტექსტოლოგიის სფეროს განეკუთვნება და მას მეცნიერები დღემდე ტექსტის გენეოლოგიური ხის დამდგენი იმავე ფილოლოგიური მეთოდით იკვლევენ, რითაც – უშუალოდ „რომანის“ ტექსტს, მაგრამ, უამრავი თვალსაზრისის შემუშავების მიუხედავად, საბოლოოდ ვერც ნაწარმოების წარმოშობის პრობლემა გადაიჭრა და ვერც – მისი ავტორის ვინაობისა.

ფ. დელგერმა (1891-1968) „რომანის“ ხელნაწერები მათ სათაურებში არსებული სხვაობის მიხედვით ხუთ (A-E) ჯგუფად დაყო და მიუთითა, რომ ერთსა და იმავე ჯგუფში გაერთიანებული ნუსხები რედაქციულად ერთსა და იმავე ტექსტებს შეიცავდა (დელგერი 1953: 11-15).[3] გერმანელი ბიზანტინისტის მიერ სკრუპულოზური სიზუსტით შესრულებულ ანალიზს, ჩვენი აზრით, ის ნაკლი ახლავს, რომ სათაურთა ტიპების კლასიფიკაციისას მათ მიერ გადმოცემულ ინფორმაციაში იგი ერთმანეთისგან არ განასხვავებს ორ უმთავრეს ცნობას: ნაწარმოების აღმოსავლეთიდან ჩამომტანსა და მის ბერძნულად მთარგმნელზე. არადა, მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა შესაძლებელს ხდის, განვასხვავოთ პარატექსტის შემქმნელი გადამწერის ხელთ არსებული ორი სხვადასხვა სახის ინფორმაცია და, ამრიგად, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ თავად ნაწარმოების გავრცელების ისტორიის ორი სხვადასხვა მომენტიც. ამ ორ მონაცემს შორის უაღრესად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირის საფუძველზე, ჩვენს ადრინდელ ნაშრომში შევიმუშავეთ ნაწარმოების სათაურების ახალი კლასიფიკაცია, რომელიც მკითხველისთვის მიწოდებული ინფორმაციის სპეციფიკას ემყარებოდა (შურღაია 2020: 921-926); (შურღაია 2024: 139-141). ქვემოთ მოგვყავს ამ სქემის გამარტივებული სტრუქტურა, სადაც აღარ მივუთითებთ უშუალოდ ხელნაწერებზე, რომლებშიც ეს ელემენტები არის წარმოდგენილი:

სქემა 1

„რომანის“ ჩამომტანი და ავტორი ხელნაწერების მიხედვით

ტიპი	ჩამომტანი	ავტორი
1.	იოანე საბაწმიდელი	—
2.	იოანე სინელი (იგულისხ. საბაწმიდელი)[4]	— [იოანე სინელი][5]
3.	იოანე დამასკელი, საბაწმიდელი ბერი	—
4.	—	იოანე ბერი
5.	—	იოანე ტაბენისიელი
6.	ღვთისმოსავნი მამანი	იოანე დამასკელი
7.	—	იოანე დამასკელი
8.	იოანე საბაწმიდელი	ექვთიმე იბერიელი
9.	—	ექვთიმე იბერიელი
10.	—	—

„რომანის“ ჩამომტანთან დაკავშირებით, ხელნაწერები ოთხ ჯგუფად ერთიანდება. პირველში დასახელებულია იოანე საბაწმიდელი, რომელიც ზოგჯერ შეცდომით „სინელად“ იწოდება; მეორეში იოანე საბაწმიდელი იოანე დამასკელთან არის გაიგივებული; მესამე ამ მონაცემს არ შეიცავს; ხოლო მეოთხეში ზოგადად „ღვთისმოსავნი მამანი“ მოიხსენიებიან. ხელნაწერებში განსხვავებული მონაცემებია დაფიქსირებული არა მარტო თხზულების ჩამომტანის ვინაობის, არამედ – იმ ადგილის შესახებაც, სადაც იგი ამ პიროვნებამ მიიტანა.

ავტორის ვინაობის მიხედვით, ხელნაწერები ექვს ჯგუფად იყოფა. პირველში თხზულების ავტორი საერთოდ არ არის ნახსენები, მეორეში დასახელებულია იოანე ბერი, მესამეში – იოანე სინელი (როგორც ჩანს, საბაწმიდლის ნაცვლად), მეოთხეში – იოანე ტაბენისიელი, მეხუთეში – იოანე დამასკელი, ხოლო მეექვსეში – ექვთიმე იბერიელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ახსნილი, თუ როგორ იქცა აღმოსავლეთიდან თხზულების ჩამომტანი საბაწმიდელი ბერი იოანე ჯერ „რომანის“ ავტორად, ხოლო შემდეგ – „რომანის“ ავტორ იოანე დამასკელად.[6] საბაწმიდელი ბერი იოანე, რომელსაც ნაწარმოები აღმოსავლეთიდან მოაქვს, ზოგიერთ ხელნაწერში საბაწმიდელ იოანე დამასკელად გვევლინება (შურღაია 2020: 923) (შურღაია 2024: 140). ამ ნუსხათა გადამწერები აშკარად იყენებენ, როგორც ჩანს, ანტიოქიის პატრიარქის, იოანე III-ის (996-1021) მიერ დაწერილ „წმინდა იოანე დამასკელის ცხოვრებაში“ (BHG 884, თ. 35) დაცულ ცნობას, რომლის თანახმადაც, იოანე დამასკელი ბერად აღიკვეცა და მღვდლად ეკურთხა იერუსალიმის მახლობლად მდებარე საბაწმიდის მონასტერში (ლეკიენი 1864: 481-484); (ლედრიუ 2010: 13),[8] მაგრამ მრავალ გადამწერს იმდენად ეპარება ეჭვი ამ მცდარ იდენტიფიკაციაში, რომ იოანეს ეპითეტი „დამასკელი“ გვიანდელ კოდექსებშიც კი გვერდების აშიებზეა მიწერილი (შურღაია 2020: 926); (შურღაია 2024: 142).

„რომანის“ ექვთიმე მთაწმიდლისადმი მიკუთვნება კვლავ რჩება უაღრესად პრობლემურ საკითხად.[9] იგი ეფუძნება ორი ბერძნული და ერთი ლათინური ხელნაწერის სათაურებს. პირველი ბერძნული ხელნაწერი დაცულია ვენეციის წმინდა მარკოზის სახელობის ბიბლიოთეკაში gr. VII, 26 (coll. 1431) შიფრით (შემდგომში ყველგან: „Marc. gr. VII, 26“) და XI ს.-ით თარიღდება (მიონი 1960: 44); (მიონი 1985: 54),[10] ხოლო მეორე – პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შიფრით gr. 1771 (შემდგომში ყველგან: „Par. gr. 1771“) და XV ს.-ით თარიღდება (ომონი 1888: 138); (ომონი 1896: 285).[11] ლათინური ხელნაწერი დაცულია ნეაპოლის ვიქტორ ემანუელ III-ის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შიფრით VIII.B.10 (შემდგომში ყველგან: „Neap. VIII.B.10“) და მეცნიერები მას XIV ს.-ით ათარიღებენ (პონსელე 1911: 173).[12] მათში ვკითხულობთ:

სქემა 2

ექვთიმე იბერიელი „რომანის“ ბერძნული და ლათინური ხელნაწერების მიხედვით

Marc. gr. VII, 26	Neap. VIII.B.10	Par. gr. 1771
[Ἱ]στορία ψυχωφελὴ]ς	Hystoria Barlae et Iosaphat	Λόγοι ψυχωφελῆς [*pro* ψυχωφελεῖς] μετενεχθεῖσαι
ἑκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας	de int(e)riori Ethiopia [*pro* Aethiopia]	ἀπὸ | τῆς τῶν Εθειόπων [*pro* Αἰθιόπων] εσωτέρας [*pro* ἐσωτέρας] χώ[ρ]ας
πρὸς | [τὴν ἀ]γ[ί]αν πόλιν		εις [*pro* εἰς] τὴν | Ρωμαίων [*pro* Ῥωμαίων] γὴν [*pro* γῆν] και [*pro* καὶ]
μετενεχθεῖς [*sic*!] διὰ Ἰ ω (ά ν ν ο υ) μοναχοῦ μονῆς τοῦ ἁγίου Σάβα [*pro* Σάββα], |	deducta p(er) I o h (a n n) e m ven(er)-abile(m) monachu(m) ma(n)-ist(er)ii [*sic*!] s(an)cti Sabe [*pro* Sabae] i(n) Helia(m) urbe(m)	
[μεταφρα]σθῆσα [*pro* μεταφρασθεῖσα] δὲ ἀπὸ **τῆς Ἰβήρων**	et t(ra)nslata	μεταβληθῆσαι [*pro* μεταβληθεῖσαι] απὸ [*pro* ἀπὸ] | **τῆς τ(ῶ)ν Εθειόπων** [*pro* **Αἰθιόπων**] διαλέκτου
πρὸς τὴν **Ἑλάδα** [*sic*!] γλῶσσαν	i(n) **eolico**	επὶ [*pro* ἐπὶ] τὴν **ελλη|νίδα** [*pro* **ἑλληνίδα**] γλῶσαν [*pro* γλῶσσαν]
ὑπὲρ Ε ύ θ υ | μ ί ο υ ἀνδρὸς τιμίου καὶ εὐσεβοῦς τοῦ λεγομένου Ἤ β η ρ ο ς [*pro* Ἴ β η ρ ο ς].	*p*(*er*) E u f i n i u (m) [*pro* E u f i m i u m] s(an)c(t)um virum.	παρὰ Ε υ θ η μ ί ο υ [*pro* Ε ύ θ υ μ ί ο υ] τοῦ αγϊοτάτου [*pro* ἁγιωτάτου] | μοναχοῦ τοῦ ή β ϋ ρ ο ς [*pro* Ἴ β η ρ ο ς] τοῦ και [*pro* καὶ] γεγωνότος κα|θηγητοῦ τὴς [*pro* τῆς] Μεγάλης λάβρας [*pro* λαύρας] τοῦ ἁγίου Αθανασΐου [*pro* Ἀθανασίου] τοῦ Αγΐου [*pro* Ἁγίου] ὥρους [*pro* ὄρους].
ამბავი სულისმარგებელი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან	ამბავი ვარლაამისა და იოასაფისა, ეთიოპიის შუაგულიდან	თქუმულნი სულისმარგებელნი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან
წმიდა ქალაქში		რომაელთა მიწა-წყალზე
ი ო ა ნ ე ს , საბაწმიდის მონასტრის ბერის ხელით	ი ო ა ნ ე ს , საბაწმიდის მონასტრის ნეტარი ბერის მიერ იერუსალიმში	
მოტანილი, შემდეგ	მოტანილი და	მოტანილნი და
იბერიელთა [ენიდან] **ბერძნულ** ენაზე თარგმნილი	**ბერძნულად** თარგმნილი	გადათარგმნილნი **ეთიოპიელთა** დიალექტიდან **ბერძნულ** ენაზე
ე ქ ვ თ ი მ ე ს *გან*, ღვთისმოსავი და მორწმუნე კაცისაგან,	ე ქ ვ თ ი მ ე ს , წმინდა კაცის *მიერ*.	ე ქ ვ თ ი მ ე ს , უწმინდესი
ი ბ ე რ ი ე ლ ა დ წოდებულისაგან.		ი ბ ე რ ი ე ლ ი ბერის *მიერ*, რომელიც წმიდა მთაზე, აგრეთვე, წმინდა ათანასეს დიდი ლავრის წინამძღვარიც გახდა.

ხელნაწერთა აბსოლუტურ უმცირესობაში მოცემული ეს ინფორმაცია მეცნიერთა შორის საგანგებო კამათის თემად იქცა. საკვლევი სათაური მიუთითებს იმ ენას და, შესაბამისად, ლიტერატურულ გარემოს, სადაც უნდა შემუშავებულიყო ნაწარმოების ბერძნული თარგმანი და, ამდენად, თავად მთარგმნელზეც მიგვანიშნებს. მაშასადამე, იგი არის ყველაზე სრული სათაური, რომელიც ნათლად განასხვავებს მოთხრობის ჩამომტანს მისი მთარგმნელისგან და ასახელებს ამ ლიტერატურულ პროცესში ჩართულ ენებს. ამის გამო მეცნიერებმა იგი მიიჩნიეს სათაურის თავდაპირველ ფორმად, საიდანაც გვიანდელმა გადამწერებმა, მკვლევართა აზრით, ექვთიმეს ხსენება ამოიღეს (დევო 1957: 90-94); (გრეგუარი 1963: 423-424); (ყაუხჩიშვილი 1963: 229).[14] დიდი ქართველი მწერალი და სწავლული, ექვთიმე მთაწმიდელი (დაახლ. 955-1028), როგორც ცნობილია, 1005-1019 წლებში იყო ათონის ივირონის მონასტრის წინამძღვარი და, აგრეთვე, წმინდა ათანასეს დიდი ლავრის მოძღვარი (καθηγητής).[15] ეს სახელო, რომელიც ათონის ამ უმთავრესი მონასტრის გამგებლობაში მას გადამწყვეტი ხმის უფლებას აძლევდა, ექვთიმემ გარდაცვალებამდე შეინარჩუნა მას შემდეგაც კი, რაც იგი ივირონის წინამძღვრობიდან გადადგა.[16]

ამდენად, საკვლევი სათაური ერთიანად გვამცნობს მოვლენათა მთელ რიგს, რომელთაგან ზოგიერთი სტრიქონებს შორის იგულისხმება. მაგალითად, განცხადება იმის შესახებ, რომ ტექსტი ჩამოტანილია აღმოსავლეთიდან (ეთიოპიიდან) და თარგმნილია ექვთიმე იბერიელის მიერ ქართულიდან ბერძნულად, უცილობლად იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ეთიოპიიდან წამოღებულმა ტექსტმა ქართულ გარემოში შეაღწია, სადაც იგი ითარგმნა, ხოლო შემდეგ ეს თარგმანი მიიტანეს მონასტერში, რომელიც აშკარად ბერძნულენოვანი იყო და იგი აქ ბერძნულად გადაიღეს.[17] უშუალოდ ნაწარმოების ტექსტი კონკრეტულად ამ ცნობებს არ გვაწვდის, რაც იმას ნიშნავს, რომ რედაქტორს, ვინც „ვარლაამისა და იოასაფის რომანს“ წიგნის ფორმა მისცა და პარატექსტი დაურთო, ხელთ დამატებითი საინფორმაციო წყარო უნდა ჰქონოდა.

ჩვენთვის უცნობია, რა საბუთებით სარგებლობდა იგი, თუმცა, ცნობილია ორი წყარო, რომლებიც ექვთიმე მთაწმიდელს ბალაჰვარისა და იოდასაფის ლეგენდის ბერძნულ ენაზე მთარგმნელად აცხადებს. კერძოდ, 1042-1045 წლებს შორის (კეკელიძე 1980: 188) დაწერილ „წმინდა იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ გიორგი მთაწმიდელი (1009-1065) მოწმობს, რომ ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ბალაჰვარი“ (აბულაძე 1967: 41),[18] ხოლო იოანე მთაწმიდლის (დაახლ. 920-1005) ე.წ. „ანდერძში“, რომელმაც ჩვენამდე 1048 წელს გადაწერილი[19] ნუსხით (ქუთაისი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, № 20) მოაღწია, მისი ძის, ექვთიმეს მიერ თარგმნილ ნაწარმოებებს შორის დასახელებულია „თარგმანებაჲ ბალაჰვარისი“ (ნიკოლაძე 1953: 96). ამ ცნობას ეხმიანება მესამე თხზულება: როგორც ჩანს, 1028-1029 წლებში დაწერილი (აბულაძე 1968: 96) ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული „ცხოვრება“, რომელშიც ბასილი მთაწმიდელი აცხადებს, რომ ექვთიმემ ქართულიდან ბერძნულად რამდენიმე თხზულება თარგმნა (აბულაძე 1968: 333); (მეტრეველი 1996: 138).[20] როგორც ვხედავთ, ეს ცნობები ვრცელდებოდა XI საუკუნეში, ანუ ზუსტად იმ დროს, რომლითაც ვენეციურ Marc. gr. VII, 26 ხელნაწერს ათარიღებენ.[21]

ეს საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ Marc. gr. VII, 26 ნუსხის სათაური უნდა ასახავდეს პირველად პარატექსტს, რომელიც მომზადდა „რომანის“ თარგმნის და, ამდენად, წიგნად მიმოქცევაში მისი ჩაშვების ახლო ხანებში. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს, სხვა სათაურებიდან ექვთიმეს სახელი განზრახ ამოიღეს. გამორიცხული არ არის, განსხვავებული შინაარსის სათაურები სხვადასხვა საგამომცემლო პროექტის ფარგლებში შემუშავებულიყო და მათ რედაქტორებს ხელი ურთიერთგანსხვავებულ და, რაც მთავარია, აშკარად შეზღუდულ ინფორმაციაზე მისწვდომოდათ.

ამის გამო უთუოდ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან სათაურში მოხსენიებული ორი პიროვნება: თხზულების ჩამომტანი და მისი მთარგმნელი. სავსებით შესაძლებელია, ზოგიერთ გადამწერ-რედაქტორს მხოლოდ თხზულების ჩამომტანის ვინაობა სცოდნოდა, ხოლო უშუალოდ თხზულებიდან ადვილად დაესკვნა, რომ იგი იყო „ამბავი სულისმარგებელი“. ამდენად, გადამწერ-რედაქტორებმა მკითხველს მხოლოდ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდეს: ურჩიეს, წაეკითხათ ეს ფრიად სულისმარგებელი თხზულება და ზოგადად მიუთითეს მის ეგზოტიკურ წარმომავლობაზე. შესაძლოა, სწორედ ნაწარმოების აშკარად მაღალმა სულიერმა ღირებულებამ შთააგონა ზოგიერთ რედაქტორს, რომ „რომანის“ ჩამომტანი, ეს ყველასათვის უცნობი იოანე, სინამდვილეში, უთუოდ, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი, მწერალი და მოაზროვნე, იოანე დამასკელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენს ადრინდელ გამოკვლევაში გამოვთქვით და დავასაბუთეთ ახალი მოსაზრება თხზულების სათაურის ვარიანტების შესახებ. კერძოდ, უძველესად მივიჩნიეთ ის სათაური, რომელიც მიუთითებს თხზულების როგორც ჩამომტანზე, ისე – მთარგმნელზე და ამ ცნობების შემცველ, ჩვენამდე მოღწეულ ორად ორ – Marc. gr. VII, 26-სა და Par. gr. 1771 ნუსხებს შორის განსხვავება იმით ავხსენით, რომ შესაძლებელია, „რომანის“ ხელნაწერთა გადანუსხვის უადრეს ეტაპზევე დაზიანებულიყო ადგილი, სადაც ექვთიმეს სახელის წინ, როგორც ჩანს, „ὑπό“ წინდებული ეწერა: შესაძლებელია, პერგამენტი წახდენილიყო, გახვრეტილიყო, გაცრეცილიყო, გაშავებულიყო, ან ნაწერი გადაშლილიყო და სხვ. ჩვენი აზრით, Marc. gr. VII, 26 ნუსხის გადამწერი მის ანტიგრაფში არსებული წუნის გამოსწორებას იმით შეეცადა, რომ დაზიანებული იკითხვისი გაიაზრა, როგორც „ὑπὲρ Εὐθυμίου“, ანუ „ექვთიმესთვის“, რითაც ექვთიმე თარგმანის დამკვეთად მიიჩნია, ხოლო Par. gr. 1771 ნუსხის გადამწერმა იგი გაშიფრა, როგორც „παρὰ Εὐθυμίου“, ანუ „ექვთიმეს მიერ“, რითაც თარგმანი ექვთიმეს მიერ შესრულებულად მიიჩნია. დაბოლოს, ხელნაწერი ტრადიციის მესამე განსხვავებულმა შტომ პრობლემა იმით გადაჭრა, რომ თხზულების რედაქტორ-გადამწერებმა სათაურიდან საერთოდ ამოიღეს ექვთიმეს ხსენება (შურღაია 2020: 946-948) (შურღაია 2024: 154-155).

ჩვენს მითითებულ ნაშრომში „ὑπέρ“ და „παρά“ თანდებულებთან დაკავშირებული მსჯელობის ამ ფილოლოგიურ საბუთებს წინამდებარე გამოკვლევა ახალი მეთოდოლოგიური ელემენტით ამდიდრებს. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრული სათაური, შეიძლება, იყოს პირველადი პარატექსტი, ხოლო ის, რომელიც მხოლოდ თხზულების ჩამომტანს ახსენებს – სხვა სარედაქციო პროექტის ფარგლებში და, თანაც, პირველადისგან არცთუ მაინცდამაინც დიდი ხნის შემდეგ შემუშავებული პარატექსტი, რადგანაც, მაგალითად, ელ ესკორიალში, სამეფო ბიბლიოთეკაში T.III.3 (= cod. gr. 163) შიფრით დაცული ხელნაწერი, რომელიც ამ მოკლე პარატექსტს შეიცავს, დათარიღებულია 1057 წლით (რევილია 1936: 509). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ვარლაამისა და იოასაფის რომანის“ თავში დართული სათაურები, შესაძლებელია, სხვადასხვა წარმოშობისა იყოს, ხოლო Marc. gr. VII, 26 და Par. gr. 1771 ნუსხათა სათაურებში დაფიქსირებულ „ὑπέρ“ და „παρά“ იკითხვისებს შორის განსხვავება ერთი და იმავე ხელნაწერი ტრადიციიდან მომდინარეობდეს და თხზულების წიგნად მიმოქცევაში ჩაშვების უადრეს ეტაპზევე გაჩენილ ტექნიკურ ხარვეზს უკავშირდებოდეს. „რომანის“ ხელნაწერი ტრადიციის განშტოებისადმი კუთვნილ ერთ-ერთ ნუსხაში, შესაძლებელია, ერთ-ერთ გადამწერს დამატებით დაეკონკრეტებინა, რომ ზემოაღნიშნული ექვთიმე წმინდა ათანასეს დიდი ლავრის „ἐπίτροπος“, ანუ ზედამხედველი, განმგებელიც იყო.

პარატექსტულ საშუალებათა შემდგომი ანალიზი, ცხადია, უნდა დაეფუძნოს თხზულების პროლოგისა და ეპილოგის შინაარსის და, რაც მთავარია, მათი გრაფიკული გადმოცემისას შემუშავებული სხვადასხვა ხერხების (განსხვავებული დამწერლობების, ბოლოკაზმულობათა, სხვადასხვა სახის ორნამენტების) შესწავლას არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ – ყველა აღმოსავლურ ტრადიციაში.

ამრიგად, „ვარლაამისა და იოასაფის რომანის“ ნუსხათა უმეტესობაში მოტანილ სათაურთა ანალიზში პარატექსტის შესახებ ჟ. ჟენეტისეული თეორიის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, ნაწარმოების ავტორის შესახებ დიდი ხნის წინათ დაწყებული მეცნიერული კამათი ახალ პერსპექტივაში განვიხილოთ. ჩვენს ადრინდელ გამოკვლევაში ფილოლოგიური მეთოდის მომარჯვებით საკვლევ სათაურთა შორის დადგენილი სამი ტიპოლოგიური განსხვავება, ისევე, როგორც ამ ტიპებს შიგნით წარმოქმნილი შემდგომი ტიპოლოგიური განშტოებანი, დღეს შეიძლება, შევაფასოთ, როგორც სხვადასხვა გადამწერის ან რედაქტორის ჩარევის შედეგი, ანუ პარატექსტი, რომელიც ეფუძნება რედაქტორის ხელთ არსებულ ინფორმაციას და მიზნად ისახავს, რაც შეიძლება, უკეთ მოამზადოს მკითხველი ბალაჰვარისა და იოდასაფის სულისმარგებელი ამბის მისაღებად და აღსაქმელად.

შენიშვნები

* წინამდებარე გამოკვლევა მომზადდა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ცენტრის (SRNSFG) მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფინანსებული პროექტის, „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის ქართულ და ბერძნულ რედაქციათა ურთიერთმიმართება“ (FR-21-2001) ფარგლებში. მისი ძირითადი დებულებები წარმოდგენილ იქნა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წლის 28-30 ივნისს ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა II“, რომლის მასალები არ გამოქვეყნებულა. ბალავარისა და იოდასაფის ლეგენდის სხვადასხვაენოვან ვარიანტებს ერთიანად „ლეგენდას“, ან „მაკროტექსტს“ ვუწოდებთ, ხოლო მათ ერთობლიობას ერთ რომელიმე ენაზე – „ვერსიას“. თავის მხრივ, უშუალოდ ვერსიაში გამოვყოფთ სხვადასხვა, მაგ., ვრცელსა და მოკლე რედაქციას. ვერსიათა ერთობლიობას ვუწოდებთ „ლეგენდას“, ან – „მაკროტექსტს“. არაბული ვერსია მოიხსენიება, როგორც „ბილავჰარისა და ბუდასაფის წიგნი“, ქართული – როგორც „ბალავარიანი“, ხოლო ბერძნული – „ვარლაამისა და იოასაფის რომანი“, ან, უბრალოდ, „რომანი“. თუ დამოწმებულ ტექსტთა მთარგმნელებს საგანგებოდ არ ვუთითებთ, თარგმანი ყველგან ჩვენია.

1 საკითხის თეორიული მხარის ანალიზის შესახებ იხ. (ფიორეტი 2015: 179-202).

2 იხ., მაგალითად, (ლომაჯისტრო 2012: 194-197); (შურღაია 2020: 945-946); (შურღაია 2024: 153-154).

3 ფ. დელგერის კლასიფიკაციის შესახებ ვრცლად იხ. (შურღაია 2020: 918-920); (შურღაია 2024: 137-138).

4 კურიოზია, რომ ოქსფორდში, მარიამ მაგდალინელის სახელობის კოლეჯში დაცულ, 1064 წლის თარიღიან ხელნაწერში (Oxford, Magdalen College, gr. 4) იოანე სინელის ნაცვლად საბაწმიდელი ბერი, ვარლაამი (Βαρλαάμ) მოიხსენიება. იხ. (დელგერი 1953: 12).

5 ათ ხელნაწერში სათაურის თავზე, ან ხელნაწერის აშიაზე მინაწერის სახით იოანე სინელის სახელი მოტანილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით – თუმცა, ეპითეტი „Σιναΐτου“ ხშირად დამახინჯებულია, როგორც „Συναΐτου“ – და მასში აშკარად იგულისხმება „რომანის“ ავტორი; იხ. (შურღაია 2020: 922-923); (შურღაია 2024: 140). ამ ხელნაწერთა სათაურებში ნაწარმოების ჩამომტანადაც იგივე იოანე სინელი გვევლინება. გამონაკლისია სალამანკას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული, XVI საუკუნით დათარიღებული № 2719 კოდექსი (ყოფილი მადრიდი, სამეფო სასახლის ბიბლიოთეკა, ხელნ. VII.G.4), სადაც ხელნაწერის ჩამომტანად მოიხსენიება იოანე ბერი, რომლის მონასტრის მითითება, როგორც ჩანს, გადამწერს გამორჩა (ფოლკი 2009: 433), თუმცა, კონტექსტიდან ნათელია, რომ აქ სინის მთის სავანე მოიაზრება.

6 საკითხის შესახებ ბიბლიოგრაფიისათვის იხ. (ხინთიბიძე 1989: 198-221); (ხინთიბიძე 1996: 193-216); (შურღაია 2019: 572).

[7] ამ საკითხის შესახებ იხ. (კონტუმა 2010: 127-147).

[8] როგორც ჩანს, ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს; იხ. (ლედრიუ 2010: 13, 30); (კონტუმა 2015: 2, 28-30).

[9] იხ., მაგალითად, (შურღაია 2019: 564, 586-591).

[10] მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნით ხელნაწერის დათარიღებას მყარი საფუძველი აქვს, უკანასკნელ ხანებში იგი სადავო გახდა. ბ. ლ. ფონკიჩმა (1938-2021) თავდაპირველად ივარაუდა, რომ კოდექსის მომზადებისას თავისუფალი დატოვეს დასაწყისში ადგილი, სადაც XV საუკუნეში საკვლევი სათაური ჩაუმატეს (ფონკიჩი 1977: 212), ხოლო მოგვიანებით მკვლევარმა განაცხადა, რომ ეს ადგილი თავისუფალი კი არ დაუტოვებიათ, არამედ აქ განთავსებული ტექსტი XV საუკუნეში გადაუშლიათ, ან ამოუფხეკიათ და ზედ საკვლევი სათაური გადაუწერიათ (ფონკიჩი 1979: 160). რ. ფოლკი დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მან მიიჩნია, რომ სათაურის ხელწერა ძალიან ჰგავდა 1437-1441 წლებში კიევისა და სრულიად რუსეთის ცნობილი მიტროპოლიტის, ისიდორეს ხელს და იგი მიაკუთვნა მღვდელ-მონაზონ იოვაკიმეს, რომელმაც XV საუკუნეში Marc. gr. VII, 26 კოდექსი გაასწორა და გამოსაცემად მოამზადა (ფოლკი 2009: 479-480). ეს მიმზიდველი ჰიპოთეზა დამაჯერებლად არ მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ვერც ე. მიონი (1911-1991) და ვერც ჩვენ საკვლევ ადგილას ვერ ვპოულობთ ტექსტის გადაშლის, ან ამოფხეკის კვალს. ხელნაწერისა და მისი სათაურის ხელახალი დათარიღება ვერაფრით შეცვლის წინამდებარე გამოკვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და შედეგებს, მაგრამ პრინციპულად არ ვეთანხმებით არც სათაურის ხელახალ დათარიღებას XV საუკუნით და არც უშუალოდ Marc. gr. VII, 26 კოდექსისას – XII-XIII საუკუნეებით, როგორც ეს რ. ფოლკმა უკანასკნელ დროს ივარაუდა (ფოლკი 2009: 476). ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ (შურღაია 2019: 575-577), მაგრამ მას კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით Marc. gr. VII, 26 კოდექსის დათარიღებისადმი საგანგებოდ მიძღვნილ გამოკვლევაში.

[11] შდრ. (ფონკიჩი 1977: 212), რომელიც ხელნაწერს XIV საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს.

[12] შდრ. (კრუში, ლევისონი 1920: 630) და მათ კვალზე (პოლარდი 2010: 292).

[13] როგორც პ. დევო შენიშნავდა (დევო 1957: 91), ხელნაწერებში აშკარად არის დაფიქსირებული ეს სახელი, მაგრამ მრავალ მეცნიერს იგი მხედველობიდან გამორჩა. მაგალითად, იხ. (პონსელე 1911: 176); (პეეტერსი 1931: 281); (ვოლფი 1939: 134); (ნუცუბიძე 1956: 77-78, შენ. 3).

[14] ანალოგიური აზრისაა, აგრეთვე, (ნუცუბიძე 1956: 56-57).

[15] ექვთიმე მთაწმიდლისა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ იხ. (კეკელიძე 1980: 184-213); (მენაბდე 1980: 194-200); (მეტრეველი 1996).

[16] ბიბლიოგრაფიისათვის იხ. (შურღაია 2019: 589-591); (შურღაია 2020: 948); (შურღაია 2024: 155-156).

[17] ჩვენ დეტალურად გავაანალიზეთ საკვლევ სათაურებთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური საკითხები, კრიტიკულად შევაფასეთ მათ შესახებ გამოთქმული ყველა მეცნიერული თვალსაზრისი და დავასაბუთეთ ახლებური მოსაზრება „რომანის“ ბერძნული თარგმანის ექვთიმესთვის მიკუთვნების სასარგებლოდ; იხ. (შურღაია 2020: 931-949); (შურღაია 2024: 145-156).

[18] არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ცხოვრების“ უძველესი ნუსხა – თბილისში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A-558 შიფრით დაცული ხელნაწერი 1074 წელს არის გადაწერილი; იხ. (აბულაძე 1973: 363-364).

[19] მიუხედავად იმისა, რომ ნუსხაში დაფიქსირებულია მისი გადაწერის დრო: 1048 წელი (ნიკოლაძე 1953: 95, 99), ზოგიერთი მეცნიერი ამ თარიღად 1047 წელს მიუთითებს. მაგალითად, იხ. (პეეტერსი 1931: 285-286, 303); (კეკელიძე 1980: 188).

[20] ზემოაღნიშნულ ორ ცხოვრებაში ამ ცნობის გაჩენის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. (მეტრეველი 1987: 252-253); (შურღაია 2009: 182-183).

[21] იხ. ზემოთ, გვ. 177, სქ. 10.

დამოწმებანი

აბულაძე 1967: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. II (*XI-XV სს.*), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1968: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* ტ. IV, *სვინაქსარული რედაქციები* (*XI-XVIII სს.*), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1973: ი. აბულაძე. *ქართული წერის ნიმუშები,* პალეოგრაფიული ალბომი, მოამზადა ც. ჭანკიევმა, თბილისი, მეცნიერება.

გრეგუარი 1963: H. Grégoire. Le monastère d'Iviron et le rôle des géorgiens du Mont Athos, *Ἐπετηρὶς Ἑταιρείας Βυζαντινῶν Σπουδῶν,* ტ. XXXII, Ἀθῆναι, Ἑταιρεία Βυζαντινῶν Σπουδῶν, 420-426.

დევო 1957: P. Devos. Les origines du Barlaam et Ioasaph grec, À propos de la thèse nouvelle de M. Nucubidze, *Analecta Bollandiana*, ტ. LXXV, Bruxelles, Société des Bollandistes, 83-104.

დელგერი 1953: F. Dölger. *Der griechische Barlaam-Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos,* Ettal, Buch-Kunstverlag (Studia patristica et byzantina, 1).

ვოლფი 1939: R. L Wolff. Barlaam and Ioasaph, *Harvard Theological Review,* ტ. XXXII, Cambridge (Massachusetts, USA), Cambridge University Press, 131-139.

კეკელიძე 1980: კ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,* ტ. I, თბილისი, მეცნიერება.

კონტუმა 2010: V. Kontouma. Jean III d'Antioche (996-1021) et la *Vie de Jean Damascène* (BHG 884), *Revue des études byzantines*, ტ. LXVIII, Paris, Peeters Publishers, 127-147.

კონტუმა 2015: V. Kontouma. *John of Damascus: New studies on his life and works*, Farnham, Ashgate Variorum (Collected studies; CS1053).

კრუში, ლევისონი 1920: *Passiones vitaeque sanctorum aevi Merovingici cum supplemento et appendice,* ediderunt B. Krusch et W. Levison, Hannoverae et Lipsiae, Impensis bibliopolii Hahniani.

ლედრიუ 2010: Jean Damascene. *La foi orthodoxe,* texte critique de l'édition B. Kotter (PTS 12), introduction, traduction et notes par P. Ledrux, avec la collaboration de V. Kontouma-Conticello et G.-M. de Durand, Paris, Les éditions du Cerf (Sources chrétiennes, 535).

ლეკიენი 1864: Sancti patris nostri Joannis Damasceni, monachi et presbyteri Hierosolymitani *Opera omnia quæ extant, et ejus nomine circumferuntur* ex variis editionibus et codicibus manu exaratis, gallicis, italicis et anglicis, collecta, recensita, latine versa, atque annotationibus illustrata, cum præviis dissertationibus et copiosis indicibus opera et studio P. M. Lequien, accurante et denuo recognoscente J.-P. Migne, ტ. I, Paris (Patrologia Graeca, 94).

ლომაჯისტრო 2012: B. Lomagistro. Le versioni paleo-ceche del *Secretum secretorum* pseudo-aristotelico, *Orientalia Christiana Periodica*, ტ. LXXVIII, Roma, Pontificium Institutum Orientalium Studiorum, 179-201.

მენაბდე 1980: ლ. მენაბდე. *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. II, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მეტრეველი 1987: H. Métrévéli. Du nouveau sur l'Hymne de Ioasaph, *Le Muséon*, ტ. C, Leuven, Peeters Publishers, 251-258.

მეტრეველი 1996: ე. მეტრეველი. *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან,* თბილისი, ნეკერი.

მიონი 1960: E. Mioni. *Bibliothecae divi Marci Venetiarum codices graeci manuscripti*, ტ. II, *Codices qui in sextam, septimam atque octavam includuntur continens*, Roma, Istituto poligrafico dello Stato (Indici e cataloghi, Nuova serie, 6).

მიონი 1985: E. Mioni. *Bibliothecae divi Marci Venetiarum Codices graeci manuscripti, Indices omnium codicum graecorum, Praefatio, Supplementa,* Addenda, Roma, Istituto poligrafico e zecca dello Stato (Indici e cataloghi, Nuova serie, 6).

ნიკოლაძე 1953: [*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის*] *ხელნაწერთა აღწერილობა,* შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, ტ. I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ნუცუბიძე 1956: Ш. Нуцубидзе. *К происхождению греческого романа* Варлаам и Иоасаф, Тбилиси, Издательство Академии Наук Грузинской ССР.

ომონი 1888: H. Omont. *Inventaire sommaire des manuscrits grecs de la Bibliothèque nationale*, ტ. II, *Ancien fonds grec: droit, histoire, sciences*, Paris, Alphonse Picard, Libraire.

ომონი 1896: *Catalogus codicum hagiographicorum Graecorumn Bibliothecae Nationalis Parisiensis,* ediderunt hagiographi Bollandiani et H. Omont, Bruxellis, Apud editores.

პეეტერსი 1931: P. Peeters. La première traduction latine de Barlaam et Joasaph et son original grec, *Analecta Bollandiana*, ტ. XLIX, Bruxelles: Société des Bollandistes, 276-312.

პოლარდი 2010: R. Matth. Pollard. Nonantola and Reichenau, A new manuscript of Heito's *Visio Wettini* and the foundations for a new critical edition, *Revue bénédictine,* ტ. CXX, Abbaye de Maredsous, Brepols, 243-294.

პონსელე 1911: A. Poncelet. Catalogus codicum hagiographicorum latinorum bibliothecarum Neapolitanarum, *Analecta Bollandiana*, ტ. XXX, Bruxelles, Société des Bollandistes, 137-251.

ჟენეტი 1982: G. Genette. *Palimpsestes: La littérature au second degré*, Paris, éditions du Seuil.

ჟენეტი 1987: G. Genette. *Seuils*, Paris, éditions du Seuil (Poétique).

რევილია 1936: P. A. Revilla. *Catálogo de los códices Griegos de la biblioteca de El Escorial*, ტ. I, Madrid, Imprenta Helénica.

ფიორეტი 2015: P. Fioretti. Sul paratesto nel libro manoscritto (con qualche riflessione sui titoli in età antica), *Nel segno del testo: Edizioni, materiali e studi per Oronzo Pecere,* a cura di L. del Corso, F. de Vivo, A. Stramaglia, Firenze: edizioni Gonnelli (Papyrologica Florentina, 44), 179-202.

ფოლკი 2006: *Die Schriften des Johannes von Damaskos,* besorgt von B. Kotter, ტ. VI:2, *Historia animae utilis de Barlaam et Ioasaph (spuria)*, Text und zehn Appendices besorgt von R. Volk, Berlin-New-York, Walter De Gruyter (Patristische Texte und Studien, 60).

ფოლკი 2009: *Die Schriften des Johannes von Damaskos,* besorgt von B. Kotter, ტ. VI:1, *Historia animae utilis de Barlaam et Ioasaph (spuria),* Einführung von R. Volk, Berlin-New-York, Walter De Gruyter (Patristische Texte und Studien, 61).

ფონკიჩი 1977: Б. Л. Фонкич. О датировке Венецианского (cod. Marcianus gr. VII, 26) и парижского (cod. Parisinus gr. 1771) списков греческой версии Варлаама и Иоасафа, *Византийские очерки*, Труды советских ученых к XV международному конгрессу византинистов, Москва, Наука, 210-215.

ფონკიჩი 1979: B. Fonkitch. Notes paléographiques sur les manuscrits grecs des bibliothèques italiennes (πίν. Α'-ΚΓ'), *Thesaurismata*, ტ. XVI, Venezia, Ελληνικό Ινστιτούτο Βυζαντινών και Μεταβυζαντινών Σπουδών στη Βενετία, 153-169.

ყაუხჩიშვილი 1963: ს. ყაუხჩიშვილი. *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია*, თბილისი, ცოდნა.

შურღაია 2009: *Biobibliografia di Elene Met'reveli (1917-2003)* [=] *ელენე მეტრეველი (1917-2003). ბიობიბლიოგრაფია*, a cura di G. Shurgaia [=] შეადგინა გ. შურღაიამ, Roma, Edizioni Studium (Eurasiatica, 80).

შურღაია 2019: G. Shurgaia. Sull'autore della *Vita Barlaam et Ioasaph* (CPG 8120), *Studium,* ტ. CXV, Roma, Edizioni Studium, 562-599.

შურღაია 2020: G. Shurgaia. L'edificante storia di Barlaam e Ioasaph: ὑπό, παρά oppure ὑπὲρ Εὐθυμίου?, *Iranian Studies in Honour of Adriano V. Rossi*, edited by S. Badalkhan, G. P. Basello and M. De Chiara, Napoli, Università degli Studi di Napoli "L'Orientale" (Series Minor, 87), 917-953.

შურღაია 2024: გ. შურღაია. „ვარლაამისა და იოასაფის რომანის“ ე.წ. „ლემის“ ახლებური გაგებისათვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. XXVI, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 137-163.

ხინთიბიძე 1989: Э. Г. Хинтибидзе. *Грузинско-византийские литературные взаимоотношения*, Тбилиси, Издательство Тбилисского университета.

ხინთიბიძე 1996: E. Khintibidze. *Georgian-Byzantine literary contacts*, Amsterdam, Adolf M. Hakkert.

BHG: F. Halkin. *Bibliotheca hagiographica graeca*, ტ. I-III, Bruxelles, Société des Bollandistes, 1957 (Subsidia hagiographica, 8a).

CPG: *Clavis Patrum Graecorum*, ტ. I-V, cura et studio M. Geerard, Turnhout, Brepols, 1974-1987 (Corpus Christianorum); *Supplementum*, cura et studio M. Geerard et J. Noret, Turnhout, Brepols, 1998 (Corpus Christianorum).

THE SO-CALLED “LEMMA” IN *THE BARLAAM AND IOASAPH ROMANCE* (CPG 8120): A PARATEXTUAL PERSPECTIVE

Gaga Shurgaia
Department of Asia, Africa and Mediterranean
University of Naples L’Orientale
shurgaia@unior.it

This article examines the existence, function and content of the descriptive titles of the *Barlaam and Ioasaph Romance* (CPG 8120). It treats these titles as paratextual, and specifically peritextual, elements that were composed when the *Romance* was already in circulation. They offer different information about the provenance of the work, the person who brought it from the specified place of origin, the author or the translator. We argue that the form of the title found in the manuscript in Venice at the Biblioteca Nazionale Marciana, gr. VII, 26 (coll. 1431), reflects the primary paratext prepared for the earliest version of the *Romance* that circulated as a book. It included the reference to both the bearer and translator of the work, whereas the titles that only mention the bearer of the *Romance* could be a secondary paratext formulated for a different editorial project and not necessarily at a great temporal distance from the primary paratext.

ლეონტი მროველის *ქართველ მეფეთა ცხოვრების* წყაროთმცოდნეობითი ანალიზი: მეფე მირიანის ლაშქრობა ირანში

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
mariam.chkhartishvili@tsu.ge

1. შესავალი

ამ სტატიაში მინდა ვისაუბრო მეთერთმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის[1] *ქართველ მეფეთა ცხოვრებაში* დაცულ ერთ მონაცემზე, რომელიც ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის – ირანში ლაშქრობას შეეხება.

აღნიშნული ისტორიკოსის მიხედვით, მირიანი სპარსთა მეფის ქასრე არდაშირის (ანუ შაჰანშაჰ არდაშირის) შვილი იყო. როცა მირიანი ორმოცი წლის გახდა, მამამისი გარდაიცვალა. მირიანმა გადაწყვიტა შეწინააღმდეგებოდა ირანში მყოფი მისი უმცროსი ძმის სურვილს დაეკავებინა ტახტი. მირიანის აზრით, მას, როგორც ასაკით უფროსს, ჰქონდა ამ შემთხვევაში უპირატესობა.

მირიანის ძმასაც ჰქონია კონტრარგუმენტი: მირიანის ასაკით უფროსობას, მისი მითითებით, მირიანის ხარჭისაგან წარმომავლობა აქარწყლებდა. მას კი თავი მოჰქონდა იმით, რომ დედამისი, რომელიც თურმე ცნობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა, დედოფალი იყო. საქმის გასარჩევად, მირიანი თავისი მხედრობით ირანისკენ წასულა, მაგრამ ქვეყნის მოხუცებულებს//უხუცესებს (ცხადია, იგულისხმება არა ასაკი, არამედ სასანურ ირანში არსებული უზენაესი საბჭოს წევრები) ძმებს შორის სისხლისღვრა არ დაუშვიათ და თავად მოუგვარებიათ საქმე. შაჰანშაჰობა მირიანის ძმისათვის უბოძებიათ. ამის საპირწონედ მირიანისათვის დაუმტკიცებიათ მის ხელთ უკვე არსებულ ტერიტორიების სრული განკარგვის უფლება და ამის დამატებით გადაუციათ მთელ რიგ სხვა პროვინციების კონტროლი

ქვემოთ მოვიყვან ამ ცნობას სრულად:

> ხოლო ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა, მაშინ მოკუდა მამაჲ ირიანისი, მეფე სპარსთაჲ, და დაჯდა შემდგომად მისა მეფედ სპარსთა ძმაჲ მირიანისი უმრწემესი, სახელით ბარტამ და ვითარცა ესმა ესე მირიანსა, მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, შეკრიბნა და წარემართა ბაღდადს[2] რაჲთამცა დაჯდა საყდართა მამისა მისისათა. მაშინ ძმამანცა მისმან შეკრიბნა სპანი ურიცხუნი და მიეგება ბრძოლად ჴევსა ზედა ნასიბინისასა.[3] და ვითარცა იხილეს მოხუცებულთა და მარზაპანთა სპარსეთისათა, ვითარმედ მახჳლი დაეცემის ურთიერთას, აღდგეს მათ შორის მოციქულად და ბჭედ და დასჯერდეს ორნივე მეფენი ბჭობასა მათსა. და დასხდეს რაჲ ბჭობად, მაშინ მირიან იტყოდა ესრეთ სარჩლად: „შვილი პირმშოჲ მე ვარო მამისა ჩემისაჲ და საუფლისწულოდ ებოძნეს ქუეყანანი უცხონი, მკლავითა წარხმნულნი, და მუნ დღენი ჩემნი მრავალნი ბრძოლასა შინა დამიყოფიან ხაზართასა,[4] და მრავალგზის სისხლით ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან და ამისთჳს ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისაჲ“. ხოლო ბარტამ იტყოდა ამას ესრეთ, ვითარმედ: ‘თუცა პირმშოჲ მირიან არს, არამედ ნაშობი არს მჴევლისაჲ, და ნაშობსა მჴევლისასა ეყოფის სუედ, რომელ

> მას მიხუდომიან სამეფონი. ხოლო მე ნაშობი ვარ ჰინდოთა მეფისა ასულისა და სპარსთა დედოფლისაჲ. და მოგისმენია ანდერძი მამისა ჩემისაჲ და მოგინახავს, რომელ ჴელითა მისითა დამადგა გჳრგჳნი თავსა ჩემსა. ხოლო მათ განბჭეს და მისცეს მეფობაჲ სპარსეთისაჲ ბარტამს, ხოლო მირიანს მისცეს ბარტამისგან გულისადებად ჯაზირეთი და ნახევარი შამისი და ადარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს და ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს და წარმოვიდა მირიან (მეტრეველი 2008: 80–83).

აღნიშნული ცნობა თითქმის არასოდეს ყოფილა სამეცნიერო განხილვის საგანი. ამის მიზეზი შემდეგია: მკვლევართა მნიშვნელოვან ნაწილს სინამდვილის ამსახველად არ მიაჩნია ლეონტი მროველის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მირიანი იყო სასანიანი შაჰანშაჰის შვილი. აქედან გამომდინარე მირიანის ბიოგრაფიის ლეონტი მროველისეული რეპრეზენტაცია მათთვის მთლიანად ფიქციაა. მკვლევართა ის ნაწილიც კი, რომელიც ინფორმაციას მირიანის უცხოურ წარმომავლობის შესახებ ზოგადად ნდობით ეკიდება, მირიანის სასანიანობას[5] და ამასთან დაკავშირებულ მონათხრობის დეტალებს მაინც ამ ისტორიკოსის გამონაგონად თვლის და. შესაბამისად, მას არც სერიოზული შესწავლის ღირსად სახავს.

თავდაპირველად ჩემს ერთ-ერთ მონოგრაფიაში (ჩხარტიშვილი 2009:117) ვაჩვენე, რომ ლეონტის ცნობა მირიანის წარმომავლობის შესახებ ნდობის ღირსია და *ქართველ მეფეთა ცხოვრების* „სპარსთა მეფე“ იგივდება მესამე სასანიან შაჰანშაჰთან ჰორმიზდ არდაშირთან იგივე ჰორმიზდ პირველთან (270–271).[6] ეს დასკვნა მოგვიანებით გამოსულ ჩემს ნაშრომებში გავიმეორე და კიდევ უფრო მკაფიოდ ფორმულირებული არგუმენტებით გავამყარე (ჩხარტიშვილი 2018:28-48); (ჩხარტიშვილი 2024ა:402-414); (ჩხარტიშვილი 2024ბ).

თუმც საგანგებო არგუმენტების მოხმობის გარეშეც, ვფიქრობ, სპეციალისტებისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ლეონტი მროველის ამ ცნობის ხელაღებით უარყოფა მართებული არაა, არაფერი უჩვეულო ან მოულოდნელი არ გახლავთ იმ ფაქტში, რომ ქართლის ტახტზე მეოთხე საუკუნის პირველ წლებში იმდროინდელი ირანის მმართველი დინასტიის – სასანიანების – წარმომადგენელი მჯდარიყო. მესამე საუკუნიდან მოყოლებული აღნიშნულ დრომდე სამხრეთ კავკასია იყო ირანის გავლენის სფერო. ირანის მიერ კონტროლირებადი პროვინციების (არაირანის) მმართველები (შაჰები ანუ ფაქტობრივ მეფის ნაცვლები) კი ჩვეულებრივ შაჰანშაჰების შვილები იყვნენ. მაგალითად, ქართლის მეზობელ სომხეთში, მესამე საუკუნის ადრეული ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე ამავე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე ტახტი ეკავათ ირანის ძლევამოსილი შაჰანშაჰის შაბურ პირველის ვაჟიშვილებს, ზემოთ უკვე ნახსენებ ჰორმიზდ-არდაშირს და მის უმცროს ძმას ნერსეჰს იგივე ნერსეჰ პირველს.

ამგვარად, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: დასკვნას იმის თაობაზე, რომ მეფე მირიანის იყო ირანის შაჰანშაჰ ჰორმიზდ პირველის ძე, წინ არაფერი ეღობება. მირიანის ირანში ლაშქრობის შესახებ ლეონტი მროველისეული ინფორმაცია სავსებით შესაძლებელია სინამდვილეს აღწერდეს, შესაბამისად, ამ ინფორმაციის ხელაღებით უარყოფა, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არაა მართებული. და ხდებოდა არათუ კონკრეტულად ამ ცნობის, არამედ ამ ისტორიკოსის მთელი შემოქმედების არამართებული შეფასება, მისი არსებობის საერთოდ ეჭვქვეშ დაყენებაც კი.[7]

2. მონაცემთა ანალიზი

2.1

მეფე მირიანის მამის ირანის მესამე სასანიან შაჰთან იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით მსჯელობისას ჩემი ერთ-ერთი კვლევის დასასრულს (ჩხარტიშვილი 2024ბ) შევეხე ლეონტის ზემოთ მოყვანილ მოთხრობასაც, კერძოდ, ლეონტი მროველის მითითებას იმის თაობაზე, რომ მამის გარდაცვალების დროისათვის მირიანი იყო ორმოცი წლის. მივუთითებდი, რომ ეს ცნობა ერთადერთია, რომელსაც შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ლეონტისეული „სპარსთა მეფის“ და ჰორმიზდ-არდაშირის (ჰორმიზდ პირველის) იდენტურობის შესახებ ჩემი დასკვნა: თუ ქართლში ჩამოყვანის დროისათვის, როგორც მიუთითებს ლეონტი მროველი, მირიანი იყო შვიდი წლის და ჰორმიზდ არდაშირის ქართლში ჩამოსვლა უკავშირდებოდა მის გამგზავრებას ირანში (ანუ 270 წელს), ეს უკანასკნელი შვილის დაბადებიდან მეორმოცე წელს ანუ 303 წელს ვერ მოესწრებოდა, რადგან დანამდვილებით ვიცით, რომ შაჰანშაჰად გახდომის მერე მან სულ ერთ წელს იცოცხლა.

ამ შეუსაბამობის ასახსნელად აღნიშნულ გამოკვლევაში მე ყურადღება გავამახვილე ლეონტი მროველის მიერ მამისა და ბიძის აღრევის შესაძლებლობაზე. როგორც უკვე ვთქვი, ჰორმიზდ-არდაშირის ძმა ანუ მირიანის ბიძა ნერსეჰიც შაჰანშაჰი იყო და, ჰორმიზდის მსგავსად, სომხეთის სამეფო ტახტს იკავებდა მრავალი წლის (270–392) განმავლობაში. 302 წელს ნერსეჰის გარდაცვალებისას მირიანი, მართლაც, ორმოც წელს მიტანებული იქნებოდა: 303 წელს უსრულდებოდა 40 წელი. ამ გარემოების გათვალისწინებით მივუთითებდი, რომ ცდომილება უნდა გამოეწვია ლეონტი მროველის მიერ მამისა და ბიძის ერთმანეთში აღრევას. თუმც მაშინ ამაზე მსჯელობა აღარ გამივრცია.

ახლა კი მინდა უფრო დეტალურად შევეხო აღნიშნულ საკითხს, რადგან მისი დაზუსტება არამარტო მირიანის მამის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ადრე გამოთქმულ ჩემს თვალსაზრისს ამყარებს, არამედ წინამდებარე გამოკვლევისათვისაც არსებითია.

შემდგომი ძიების შედეგად ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ზემოთ მითითებული აღრევა სავალდებულო არაა აუცილებლად იმით განპირობებულად ჩავთვალოთ, რომ მირიანის მამისა და ბიძის ზოგიერთი ბიოგრაფიული ფაქტი ერთმანეთს ემთხვევა. ცდომილება, შესაძლოა, ტექსტის არასწორი წაკითხვის მიზეზითაც წარმოშობილიყო. ამის წინაპირობა შეიძლებოდა შეექმნა საშუალო სპარსულად[8] ჩაწერილ ტექსტსაც. ანუ ვუშვებ, რომ ლეონტი მროველის წყარო უნდა ყოფილიყო მირიანის თანადროული საშუალო სპარსულად დაწერილი თხზულება.

ქვემოთ, ცხადია, განვმარტავ თუ რას ვგულისხმობ სპარსული ტექსტის არასწორად ამოკითხვაში, მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდე, უნდა ავხსნა თუ რატომ ვთვლი, რომ ლეონტი მროველს შეიძლებოდა ხელთ ჰქონოდა მეფე მირიანის შესახებ სპარსულად დაწერილი ტექსტი. რა ვითარებაში შეიძლება შექმნილიყო ამგვარი თხზულება ან ვისთვის შეიძლება, რომ ის ყოფილიყო გამიზნული?

ამგვარი ტექსტის არსებობის ვარაუდის საფუძველს მაძლევს ისტორიული ვითარების ანალიზი, კერძოდ, ჰორმიზდ-არდაშირის მთელი ისტორია, რომელიც აჩვენებს იმას, რომ ის თავის ძეს მირიანს მომავალ შაჰანშაჰად სახავდა. სამხრეთ კავკასიაში სამეფო ტახტის დაკავება ირანელი პრინცისათვის ხომ ერთგვარი ტრამპლინი იყო შაჰანშაჰობის მოსაპოვებლად. თავად ჰორმიზდ-არდაშირს, როგორც ითქვა, სწორედ ამგვარი გამოცდილება ჰქონდა, შაჰანშაჰობამდე ის იყო გვირგვინოსანი უფლისწული და მამის უპირობო მემკვიდრე. ბუნებრივია, მისი ნაადრევი გარდაცვალების გამო მირიანთან დაკავშირებით მის გეგმას ჩაშლის საფრთხე დაემუქრებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართლში ჰორმიზდ-არდაშირმა დატოვა მირიანისადმი ლოიალური ირანელთა მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთები,[9] გასაგები გახდება, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ „პრო-

ექტს“ მირიანის გარემოცვა ადვილად არ შეელეოდა. აქ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მირიანის რეგენტისა და მამობილის მირვანოზის (//რევ-მირვანოზის) პიროვნებაც, რომელიც მირიანის მცირეწლოვნობის დროს ქართლის ფაქტობრივ მმართველად უნდა დავსახოთ. ეს პიროვნება მირიანის შაჰანშაჰობის შემთხვევაში, ცხადია, ირანის იმპერიაში გამორჩეული პოზიციას უმიზნებდა.[10] სწორედ მას უნდა ეზრუნა მირიანის ბიოგრაფიის სპარსულად დაფიქსირებაზე, რომელიც სამომავლოდ უნდა გამხდარიყო ირანის შაჰანშაჰ მიჰრანის (მირიანის) დიდებული ბიოგრაფიის ნაწილი. აი, ამით უნდა იხსნებოდეს მირიანის სიცოცხლეშივე მისი სპარსულენოვანი ბიოგრაფიის შექმნა, რომელსაც იყენებდა ლეონტი მროველი. მსჯელობა, რომელიც ზემოთ წარმოვადგინე, ცხადია, არის სპეკულატიური, მაგრამ ის თეორიული აბსტრაქცია არ გახლავთ, ის ეფუძნება ფაქტობრივი მონაცემებს, რომელთა განმარტება სხვაგვარად თუ არა სპეკულატიურად, შეუძლებელია.

მაგრამ დავუბრუნდეთ სპარსული ტექსტის თავისებურების განხილვას. როგორც ცნობილია, საშუალო სპარსული დამწერლობა დიდწილად კურსივია და ამიტომ რთულად ამოსაკითხი. ძველ ხელნაწერებს კი ხშირად აკლიათ პატარა ლიგატურები და გამყოფი ნიშნები, რაც ცდომილებათა ალბათობას ზრდის.

ჩვენთვის საინტერესო კონკრეტული ცდომილება, სავარაუდოდ, შემდეგ ვითარებას უკავშირდება: „ბიძა“ საშუალო სპარსულში უმეტესად აღინიშნებოდა არა ცალკე სიტყვით, არამედ კომპოზიტით pīḏ brādar („მამის ძმა“). ეს ფორმა ვიზუალურადაც და ფონეტიკურადაც ჰგავს „მამას“. შესაბამისად, ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ ენის ნიუანსებში ნაკლებად გარკვეულ მკითხველს ტექსტის ინტერპრეტაციისას შეცდომა მოსვლოდა. თუ „ბიძა“ იქნებოდა გადმოცემული სხვა ფორმით, მაგალითად pidag-ით, მკითხველს შეიძლებოდა ისიც ამოეკითხა როგორც pid/pidar („მამა“).

საშუალო სპარსულთან დაკავშირებული თავისებურებებით უნდა აიხსნას ჩემი ამ ვარაუდისათვის დამაბრკოლებელი მეორე ფაქტიც. როგორც ვნახეთ, ლეონტი მროველი მიუთითებს, რომ „ძმას“ (ჩემი აზრით, ბიძაშვილს), რომელიც მირიანს ტახტს ეცილებოდა, ერქვა „ბარტამ“. მაგრამ მირიანის ბიძის ნერსეჰის შთამომავლებს შორის არავის ერქვა ეს სახელი. ნერსეჰის უშუალო მემკვიდრე იყო მისი ვაჟი ჰორმიზდი (ესაა ჰორმიზდ მეორე). მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც დაბრკოლება მოჩვენებითია: ვინაიდან საშუალო სპარსულში ხმოვნები უმეტესწილად არ იწერება, ტექსტში უნდა ყოფილიყო ბრტმ (brtm) და რადგან ქართლის წინაქრისტიანულ ისტორიაში ცნობილია მეფეები ანალოგიური სახელით, შეიძლება საკუთარ სახელად გაეაზრებინა ეს სიტყვა ლეონტი მროველს, მაგალითად, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ისტორიული ქრონიკაში დასახელებულია მეფე ბრატმანი, რომელიც ორმეფობის დროს იკავებდა მცხეთის ტახტს. მისი მეწყვილე ქარძამი იჯდა არმაზში (აბულაძე 2020: 82).

იგივე მეფე წმინდა ნინოს *ცხოვრების* ვრცელ რედაქციაშიც არის ნახსენები, თავში, რომელიც ებრაელი მღვდლის აბიათარის ასულის სიდონიას მოგონების ჩანაწერს წარმოადგენს. სიდონია, როგორც ცნობილია, იყო წმინდა ნინოს ერთ-ერთი უახლოესი თანამოღვაწე: „ოდეს ვიხილე ასულმან აბიათარისამან წმიდაჲ ნინო თავსა ციხისასა პირველ მცხეთისასა კოშკსა მას მაღალსა, ბრინჯთა მათ ქუეშე ბრატმან მეფისა საგრილთა და მოსასვენებელთა ჯდა“ (აბულაძე 2020:130).

იგივე მეფე ოდნავ სახეცვლილი სახელით (ბარტომ) ქართლის ცხოვრებაშიც არის ნახსენები. ესაა მეფე ადერკის ძე და ქართამის ძმა (მეტრეველი 2008:57). ამავე წყაროში ვაფიქსირებთ ბარტომ არტაგის ძესაც (მეტრეველი 2008: 50 და შემდეგი).

ამგვარად, სპარსულად ჩაწერილი აღნიშნულ ასოთა კომპლექსი ლეონტი მროველს დიახაც, შეიძლებოდა საკუთარ სახელად აღექვა, მაშინ როცა სინამდვილეში ეს იყო ნათესაობის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი დაკავშირებული ძმასთან brādar, რაც, სოციალური თვალსაზრისით ბიძაშვილადაც, სახლიკაცადაც შეიძლება აღქმულიყო.

საინტერესოა, რომ *ქართველ მეფეთა ცხოვრებაში* ანალოგიური ფაქტი ანუ საზოგადო სახელის საკუთარ სახელად აღქმა, პირველად განსხვავებულ დისკურსში ლ.პატარიძემ დააფიქსირა. მისი მითითებით „მაიჟანი“ (ამ პიროვნების მიერ იყო ფორმულირებულ ქართველთა შეთავაზება „ქასრე არდაშირისადმი“ ანუ ჰორმიზდ-არდაშირისადმი) არის არა საკუთარი სახელი, როგორც ითვლებოდა, არამედ სპარსული საზოგადო სახელის „მთავარი“ შეცდომით საკუთარ სახელად გააზრების შედეგი:

> სავსებით შესაძლებელია, რომ „მირიანის ცხოვრების“ წყაროში ან მის თავდაპირველ ვერსიაში სწორედ ეს სოციალური ტერმინი ყოფილიყო ნახმარი. და გვიანდელმა მემატიანემ თუ რედაქტორმა საკუთარ სახელად აღიქვა და მაიჟან ფორმით გადმოსცა. სპარსულ ტიტულატურას ანტიკური და ბიზანტიური ხანის ისტორიკოსები ძალიან ხშირად როგორც საკუთარ სახელებს ისე აღიქვამდნენ (პატარიძე 2008: 64–65).

ასე რომ, ზემოთ აღნიშნული ცდომილება ტექსტოლოგიურად სრულიად მოსალოდნელი იყო და სპარსულ ტექსტების ინტერპრეტაციისას ცდომილების აღნიშნული ტიპი მართო ჩვენს საანალიზო წყაროს კი არ ახასიათებს, ის საზოგადოა. და შესაბამისად, უნდა დავუშვათ, რომ შესაძლოა, მირიანის მამისა და ბიძის აღრევას ლეონტი მროველის მიერ სპარსული ტექსტის არასწორად ამოკითხვა განაპირობებდეს.

თუმც მესამე დაშვებაც სავსებით რელევანტურია: როგორც ბაღდადთან დაკავშირებულ ანაქრონიზმის ზემოთ უკვე განხილულ შემთხვევაში (იხ. შენ 2) ლეონტი მროველს ამჯერადაც შეიძლება ამოძრავებდა სათქმელის გამარტივების სურვილი. უნდა წარმოვიდგინოთ სიტუაცია: მამის გარდაცვალების შემდეგ შვილის გააქტიურება მემკვიდრეობის მისაღებად მკითხველისათვის იოლი გასაგებია და რაიმე კომენტარს არ საჭიროებს. ბიძის გარდაცვალების შემდეგ აქტივობა კი მოითხოვს განმარტებას. ჩვენ საანალიზო შემთხვევაში, მაგალითად ამას სჭირდება ვრცელი ისტორიული ექსკურსი.

მე ვაპირებ ქვემოთ წარმოვადგინო ეს ექსკურსი მოკლედ. მისი განხილვისას მკითხველი დარწმუნდება ვითარების კომპლექსურობაში, იმაში, რომ ეს ისტორია, შესაძლოა, ნაკლებად ცნობილი ყოფილიყო თავად ლეონტისათვის ან თუ ცნობილი იყო, ამგვარ ვრცელ გადახვევას ძირითადი სათქმელისაგან ვერ „აიტანდა“ მისი თხზულება, რადგან მას თვალს ვერ მიადევნებდა მკითხველი. თავად ლეონტი მროველის წერის სტილიც, აშკარად გამორიცხავდა მთავარი სათქმელისაგან ამგვარად ვრცელ გადახვევებს.

რომ შევაჯამოთ: ზემოთ დასახელებული სამი სავარაუდო დაშვებიდან ერთ–ერთის გამო მაინც, ლეონტი მროველთან მირიანის ბიძის გარდაცვალება უნდა ჩანაცვლებულიყო მამის გარდაცვალებით. შესაბამისად, აღნიშნული ცნობის ქრონოლოგიური ლოკალიზაციისათვის ჩვენ მირიანის მამის გარდაცვალების თარიღი კი არ უნდა ავიღოთ ორიენტირად, არამედ ბიძის ანუ შაჰანშაჰ ნერსეჰის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დაზუსტებაა წინამდებარე კვლევისათვის, ფაქტობრივ, გასაღებია. ის საშუალებას გვაძლევს დავსვათ შემდეგი კითხვა: რატომ იქცა მირიანისათვის ბიძის გარდაცვალება იმ მოსაბრუნ მომენტად, როცა მას უნდა განეცხადებინა თავისი პრეტენზია შაჰანშაჰის ტახტზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად წარმოვადგენ ზემოთ დაპირებულ ისტორიულ ექსკურსს შაბურ პირველის შთამომავალთა და, კერძოდ, შაჰანშაჰ ნერსეჰ პირველის შესახებ.

ეს პასუხი, ვიმედოვნებ, ლეონტი მროველის ცნობის სინამდვილესთან მიმართებას მკითხველს ნათლად დაანახვებს.

2.2.

ქვემოთ მე აღვწერ ისტორიულ ვითარებას, რომელიც, როგორც ვნახავთ, ხსნის თუ რატომ უნდა ჩაეთვალა ბიძის გარდაცვალება მირიანს შაჰანშაჰის ტახტზე პრეტენზიების გაცხადებისათვის შესაფერის მომენტად.

როგორც ითქვა, კონტექსტის გასააზრებლად ჩვენთვის ამოსავალი უნდა იყოს შაჰანშაჰ ნერსეჰ პირველის გარდაცვალების წელი. შესაბამისად, მოგვიწევს საუბარი ამ სასანიან მმართველზე.

შაჰანშაჰ ნერსეჰის შესახებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნაქშიე რუსთამში (ფარსის პროვინცია) არსებულ აქემენიანთა ნეკროპოლში აღმართულ ზოროასტრის ქააბაზე ამოკვეთილი შაბურ პირველის სამენოვანი – პართული, საშუალო სპარსული, ბერძნული – წარწერა. არსებობს წარწერის სამივე ვერსიის არაერთი გამოცემა და თარგმანი (ჰენინგი 1939: 823–849); (სპრენგლინგი1955); (შაჰბაზი 2002).

ირანისტიკის ისტორიაში ამ წარწერის მნიშვნელობა უდიდესია. ის არაერთი ფაქტის შესახებ ჩვენი ცოდნის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ნერსეჰის შესახებ ინფორმაცია სხვა წყაროებშიც არის დაცული, მაგალითად მის საკუთარ წარწერაში, რომელიც ცნობილია პაიკულის წარწერის სახელით (ლუკონინი 1987: 157-176); (ვებერი 2016) (დიმიტრიევი 2020: 434–461); (ჩერეტი 2021: 69–87), მაგრამ შაბურის წარწერაში ნერსეჰის შესახებ მონაცემები მაინც განსაკუთრებული ინტერესის შემცველია. ამიტომ შევეცდები ეს მონაცემები მოკლედ და არსობრივად, რაც მთავარია, წინამდებარე გამოკვლევისათვის შესაბამისი აქცენტებით, წარმოვადგინო.

შაბურ პირველი მოგვითხრობს თავისი გამარჯვებების შესახებ, რომაელებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ცნობილია, მან რომის სამი იმპერატორი[11] დაამარცხა და ამით ძალიან ამაყი ჩანს. ის თავს წარმოგვიდგენს ირანისა და არაირანის მეუფედ. მის მიერ კონტროლირებად არაირანში, როგორც ირკვევა, შედიოდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც, მათ შორის, ქართლიც.

განსაკუთრებით საინტერესოა შაბურის განაცხადი მისი და მისი ოჯახის სულების მოსახსენებლად სახელობითი ცეცხლების დანთების თაობაზე.

თავდაპირველად ის მიუთითებს, საკუთარი ცეცხლის დაფუძნებაზე. ამის შემდგომ აღნიშნავს დედოფალთ დედოფალის, აშკარად მისი მეუღლის, სახელზე ცეცხლის დანთებას.

შემდეგ შაბური აღნიშნავს თავისი ვაჟიშვილების სახელზე ცეცხლის დანთების ფაქტს. პირველ რიგში, ის ასახელებს ზემოთ ჩემ მიერ არაერთხელ ნახსენებ ჰორმიზდ-არდაშირს. შაბური შვილს „სომხეთის დიდ მეფეს“ უწოდებს. სომხეთი შაბურის კონტროლის ქვეშ მესამე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მოექცა. სწორედ ამ დროიდან იჯდა აქ ჰორმიზდ-არდაშირი. სომხეთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა რომისა და ირანის დაპირისპირებაში. ის ირანისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. ჰორმიზდ-არდაშირის სომხეთში გამეფება იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ შაბურს მის მემკვიდრედ სწორედ ჰორმიზდ-არდაშირი ესახებოდა. როგორც წარწერის შემდგომი მონაკვეთიდან ირკვევა, ჰორმიზდ-არდაშირი არ იყო შაბურის უფროსი ვაჟი.[12]

მემკვიდრეობის ირანულ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით კი ტახტი, პირველ რიგში, უფროს ვაჟს უნდა რგებოდა. რატომ მიანიჭა მამამ მას უპირატესობა დანამდვილებით არ ვიცით. სავარაუდოდ, ეს მოხდა მისი გამორჩეული სამხედრო უნარების გამო. ზოგ წყაროში, მაგალითად, ის მოხსენიებულია „მამაცის“ ეპითეტით (შაიეგანი 2012). თუმც პრეფერენციის მიზეზი შეიძლება სხვა რამეც ყოფილიყო, მაგალითად, ჰორმიზდ-არდაშირის დედის მაღალი წარმომავლობა, თუნდაც პართულ სამეფო ოჯახიდან, ვინაიდან დინასტიური კავშირი დამხობილ დინასტიასთან პოლიტიკურად მომგებიანი იყო სასანიანებისათვის.

მე იმასაც ვფიქრობ, რომ მამა-შვილს შორის განსაკუთრებულ სიახლოვეს მათ მიერ იმპერიის მშენებლობის ერთგვარი ხედვაც განაპირობებდა. ორივე ზოროასტრიზმის მიმდევარი იყო, თუმც ორივე ამავე დროს სხვა რელიგიებისადმი ხაზგასმით ტოლერანტული. განსაკუთრებით საინტერესო მათი პოზიტიური დამოკიდებულება მანიქეველებთან. მანიქეველობა ხომ ზოროასტრიზმის ყველაზე მძლავრ გამოწვევას წარმოადგენდა. ირანშიც და ირანის მიერ კონტროლირებად არაერანშიც.[13] ამიტომ ალბათ შეიძლება მათი რელიგიური ხედვის გამო მათ მიმართ გამოვიყენოთ ეპითეტი „ნელთბილი ზოროასტრელები", რომლითაც ზოგი მკვლევარი ამკობს პირველ სასანიან შაჰანშაჰებს (სკიერვო 2012).[14]

მაგრამ დავუბრუნდეთ შაბურ პირველის წარწერას: ამ წარწერაში ჰორმიზდ–არდაშირს მამა, როგოც ითქვა, „სომხეთის დიდ მეფის" ეპითეტით იხსენიებს და ეს ხდება ორჯერ: პირველად სახელობითი ცეცხლის დაფუძნების შესახებ ინფორმირებისას, მეორედ ცოტა ქვემოთ, სხვა კონტექსტში. აშკარაა რომ ჰორმიზდ–არდაშირი იყო შაბურის ფავორიტი ძე.

ჰორმიზდ-არდაშირის შემდგომ შაბური მიუთითებს სხვა ვაჟისათვის ცეცხლის დანთებაზე. ამ ძეს, მამის მსგავსად, შაბური რქმევია. მის შემდეგ კი აღნიშნულია ნერსეჰისათვის ცეცხლის დანთების ფაქტი. საინტერესოა, რომ ნერსეჰი საგანგებო ეპითეტით არის შემკობილი. ის დახასიათებულია როგორც „მაზდას თაყვანისმცემელი არიელი". ანუ ნერსეჰი, მართალია, ორი ძმის მერეა დასახელებული, მაგრამ შაბური რაღაც მიზეზის გამო მას გამოარჩევს. ეს, ჩემი აზრით, შეიძლება, მიუთითებდეს შემდეგს: მართალია, შაბურის უშუალო მემკვიდრედ იგულისხმება ჰორმიზდ-არდაშირი, მაგრამ მის მომდევნო შაჰანშაჰად მისი ძმა ნერსეჰი მოიაზრებოდა თავად შაბურის მიერ და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ჰორმიზდ-არდაშირის ძე ჰორმიზდაკი, ამ წარწერაში სასანიანთა ოჯახის წევრების ერთერთ ჩამონათვალში ნახსენებია ნერსეჰის მიერ ჰორმიზდ–არდაშირის მერე სომხეთის სამეფო ტახტის დაკავება სწორედ ამას უნდა მიანიშნებდეს.

თუმც ნერსეჰის მემკვიდრეობის საკითხს ყველა მკვლევარი ასე არ ხედავს, მაგალითად უ. ვებერი მიიჩნევს, რომ ეს იყო ბაჰრამ პირველსა და ნერსეჰს შორის შეთანხმების შედეგი, იმის სანაცვლოდ, რომ ნერსეჰმა დათმო თავისი უფლებები ტახტზე (ვებერი 2016). ჩერეტი კი მიუთითებს, რომ წყაროები არ გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ როდის გახდა ნერსეჰი სომხეთის მეფე: ჰორმიზდ–არდაშირის სომხეთიდან წასვლის მერე უმალვე, თუ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ, როცა შაჰანშაჰის ტახტი დაიკავა ბაჰრამ პირველმა (ჩერეტი: 69-70). პირადად მე ჰორმიზდ-არდაშირის მიერ შაჰანშაჰის ტახტის დაკავება და ნერსეჰის მიერ სომხეთის ტახტის დაკავება ერთდროული მოვლენები მგონია, რომელთა შესახებ გადაწყვეტილება თავად შაბურ პირველს უნდა მიეღო, რადგან სომხეთის მეფის ტახტის საკითხის გადაწყვეტაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ირანის პოლიტიკისათვის.

ამ დეტალზე ყურადღების გამახვილება ამჯერად ჩემთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის ახალ შტრიხს მატებს ჰორმიზდ–არდაშირის მიმართებას ქართლთან, ახსნას უძებნის მისგან განსაკუთრებული ინტერესის გამოჩენას ქართლის მესვეურების მიერ შემოთავაზებული წინადადების – მისი ძე დაესვა ქართლის ტახტზე – მიმართ, რასაც ასე დეტალურად აღწერს ლეონტი მროველი:

> მაშინ სთნდა განზრახვაჲ ესე მაიჟან სპასპეტისაჲ ერისთავთა მათ და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა და მოაჴსენეს ესე ყოველი, რომელი განეზრახა. ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისაჲ, და უთხრეს სივრცე და სიგრძე მისი და მახლობლობაჲ ხაზართა და ოვსთაჲ. ... (მ. ჩ.) და შეიწყნარა ვედრებაჲ იგი ქართველთაჲ, რამეთუ თჳთცა უმჯობესად და უკეთესად გამოირჩია მცხეთას დასუმაჲ ძისა მისისაჲ მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისათა, ქართლისა, რანისა და მის

კერძოჲსა ყოვლისა უფროჲსად და უმაგრესად გამოარჩია, და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა რაჲთა ჰრბძოდის მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა (მეტრეველი 2008: 77–78).

ქართლში საკუთარი ვაჟის გამეფება ჰორმიზდ-არდაშირისათვის ნიშნავდა შემდეგს: ირანში გამგზავრების მიუხედავად, იგი კავკასიას, სადაც კავშირების დიდი ქსელი უნდა ჩამოეყალიბებინა ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში, ფაქტობრივ, არ დატოვებდა, ამ რეგიონის ერთ–ერთ მთავარ პოლიტიკურ ერთეულს ანუ ქართლს ის შეინარჩუნებდა, როგორც მამულს. თუ სომხეთში მეფობა ირანელი უფლისწულის სამომავლო კარიერისათვის იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ რომისა და ირანის ურთიერთობებისათვის სომხეთს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ქართლის როლი იმპერიათა ჭიდილში არანაკლები იყო, რამდენადაც ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელების კონტროლი მხოლოდ ქართლის სამეფოს შეეძლო.

სავარაუდოდ, ქართველებისა და ჰორმიზდ–არდაშირის ეს ერთობლივი „პროექტი“ გახდა კიდეც ამ უკანასკნელის ნაადრევი და, ჩემი ვარაუდით, ძალადობრივი, სიკვდილის მიზეზი: კავკასიაში ძლიერი კავშირების მქონე ლეგიტიმური შაჰანშაჰის პოლიტიკური არენიდან გასვლა ძალიან ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ირანელ პოლიტიკოსთა იმ გუნდისათვის, რომელსაც სათავეში ედგა ზოროასტრიზმის კულტმსახური, ძალაუფლების მოყვარული მობედი კარტირი.[15]

ზოროასტრის ქააბას ხსენებულ წარწერაში სახელობითი ცეცხლების დაფუძნების შესახებ ინფორმაციის ოდნავ ქვემოთ, უკვე სხვა კონტექსტში მოცემულია შაბურის დიდი ოჯახის წევრების სია. ამჯერად ვაჟიშვილებს შორის პირველ რიგში დასახელებულია ბაჰრამი. მას მოსდევს შაბური, რომელიც პირველ სიაშიც მეორე ადგილზეა, ამ შაბურს კი მოსდევს ჰორმიზდ-არდაშირი, რომელიც ამჯერადაც სომხეთის დიდი მეფის სახელით არის მოხსენიებული, თუმც, როგორც ვხედავთ, მესამე ადგილზეა. ანუ პატივი არ მოკლებია, მაგრამ მესამე ადგილზეა გადმონაცვლებული. ბოლო ადგილას კი კვლავ ნერსეჰია. აშკარაა, რომ ამ ორი ჩამონათვალის შედგენის პრინციპი სხვადასხვაა. პირველში ვაჟიშვილები პატივის მიხედვით და შაჰანშაჰობის პერსპექტივის გათვალისწინებით ჩანან დალაგებულნი (თუმც შაბურ შაბურის ძე, როგორც ზოგი ფიქრობს, ამ დროს უკვე გარდაცვლილია), მეორეში კი – ასაკის მიხედვით.

ნერსეჰი ორივე სიაში ბოლო ადგილზეა. აშკარაა, რომ შაბურის ვაჟიშვილებს შორის ის იყო უმცროსი. მიუხედავად ამისა, მამას ის რაღაცით გამორჩეული ჰყავდა.

როგორც ითქვა, შაჰანშაჰად გახდომის მერე ჰორმიზდ-არდაშირი დაახლოებით ერთ წელიწადში გარდაიცვალა, შაჰანშაჰის ტახტი დაიკავა სწორედ იმ ბაჰრამმა, რომელიც შაბურის წარწერის მიხედვით შაბურის ვაჟებს შორის უფროსი ჩანს წლოვანებით და რომელიც, მიუხედავად ამისა, მამის მიერ აშკარად არ განიხილებოდა შაჰანშაჰობის კანდიდატად. ის ერთადერთი იყო ვაჟიშვილებს შორის, რომელსაც შაბურმა სახელობითი ცეცხლი არ მიანიჭა. ბაჰრამის ამგვარი მარგინალიზების მიზეზი უცნობია.

ტახტზე ბაჰრამის ასვლით, სავარაუდოდ, დაირღვა არამარტო ტახტის მემკვიდრეობის პრიმოგენეტური წესი (ჰორმიზდ-არდაშირის ძეს – ჰორმიზდაკს – არ გადაეცა ტახტი), არამედ, არ აღსრულდა, ვფიქრობ, შაბურის ნებაც ნერსეჰთან დაკავშირებით და, შესაბამისად, შეილახა ნერსეჰის ინტერესებიც.

როგორც ირანოლოგები და, კერძოდ, ირანის ისტორიის სასანური პერიოდის ექსპერტები მიუთითებენ, და, ვფიქრობ, სამართლიანადაც, ბაჰრამ პირველმა გზა ტახტისაკენ გაიკაფა კარტირის შემწეობით, კარტირის ამგვარი ინიციატივების გამო ზოგი მკვლევარი, ამ პიროვნებას „მეფეთა მკეთებელს“ (ჰერმანი 1970: 168) უწოდებს. ბაჰრამ პირველის არალეგიტიმურობა (ნაკლებლეგიტიმურობა) უნდა ყოფილიყო სწორედ კარტირისათვის მიმზიდველი.

მალე ნერსეჰის უფლებების შელახვა უფრო თვალსაჩინოც გახდა. ბაჰრამ პირველის გარდაცვალების შემდგომ კარტირმა ტახტისაკენ გზა გაუკაფა ბაჰრამის ძეს, რომელიც ზეობდა ბაჰრამ მეორის სახელით. კარტირის ძლიერებამ ამ დროს პიკს მიაღწია: თუ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ბაჰრამ პირველს რაიმენაირი ლეგიტიმაცია მაინც ჰქონდა (ის შაბურის უფროსი ვაჟი იყო), ბაჰრამ მეორეს ამგვარი უპირატესობა ნერსეჰის წინაშე აღარ გააჩნდა.

მაგრამ კარტირი, ჩანს, არ ფიქრობდა, რომ რომელიმე ეტაპზე მაინც ნერსეჰისათვის გასაქანი მიეცა. ბაჰრამ მეორის გარდაცვალების შემდგომ მან ხელი შეუწყო ამ უკანასკნელის ძის ასვლას ტახტზე, რომელიც შაჰანშაჰი გახდა ბაჰრამ მესამის სახელით. მაგრამ ეს ფაქტი, აღმოჩნდა უკანასკნელი წვეთი ირანის არისტოკრატიის მოთმინების ფიალაში, რომელიც აშკარად უკმაყოფილო იყო სასულიერო ფენის და, ჩანს, კონკრეტულად, კარტირის, არნახული გაძლიერებით. ამიტომ ისინი აუჯანყდნენ ბაჰრამ მესამეს და ტახტის დასაკავებლად მოიწვიეს ნერსეჰი.

ნერსეჰმა მიიღო ეს მოწვევა და სომხეთიდან ამალით ირანისაკენ გაეშურა. ამ ლაშქრობის შესახებ და ნერსეჰის მიერ ტახტის დაკავების სხვა დეტალებზე მოგვითხრობს პაიკულის წარწერა. სწორედ აქ შეეგებნენ ნერსეჰს მისი მომხრე ირანელი დიდებულები და, ჩანს, რომ აქვე აირჩიეს ის მეფედ. ეს გადაწყვეტილება მერე დაამტკიცა ირანის უხუცესთა საბჭომ. სხვათა შორის, აღნიშნულ წარწერაში ჩამოთვლილ ნერსეჰის მომხრეებს შორის, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, დასახელებულია კარტირიც, თუმც ნაკლებ საპატიო ადგილზე. ჩანს, ვითარების გაფუჭების კვალდაკვალ პოლიტიკურმა ინტუიციამ კარტირს მომავალი გამარჯვებულის ბანაკში გადასვლა უკარნახა.

მაგრამ ნერსეჰზე საუბარს აქ აღარ გავაგრძელებ. ნერსეჰის გამეფება, როგორც უკვე ვთქვი, კარგად არის დოკუმენტირებული და სათანადოდ აღწერილია სამეცნიერო ლიტერატურაში.

2.3

ნერსეჰის ისტორია ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც პრეცედენტი: სამხრეთ კავკასიიდან წასული სასანიანთა ოჯახის წევრი ხდება შაჰანშაჰი. ეს ფაქტი ლოგიკურს ხდის ლეონტი მროველის მიერ აღწერილ ამბავს: მირიანს თვალწინ ჰქონდა ბიძის წარმატებული მცდელობა. შესაბამისად, მოულოდნელი არ არის ამგვარი ნაბიჯი თავადაც რომ გადაედგა.

ნერსეჰის გარდაცვალების შემდგომ ამ ნაბიჯის ერთგვარი მორალური ვალდებულებაც კი უნდა გასჩენოდა მირიანს, რამდენადაც შაბურ პირველის შთამომავლებს შორის ის ყველაზე უფროსი უნდა ყოფილიყო. ბიძამისი ნერსეჰი, როგორც ითქვა, მამამისზე უმცროსი იყო. შესაბამისად ნერსეჰის ვაჟიც, რომელმაც მამის შემდგომ დაიკავა ტახტი, ვერ იქნებოდა მირიანზე უფროსი.

ამგვარად, ლეონტი მროველის მონათხრობი მირიანის ირანში ლაშქრობის შესახებ ისტორიულ კონტექსტთან სავსებით თავსებადია და საფუძველი არ გვაქვს მასში ეჭვი შევიტანოთ.

როგორც ეს წყაროდან ჩანს, ნერსეჰის მცდელობისაგან განსხვავებით, მირიანის მცდელობა წარმატებული არ ყოფილა იმ აზრით, რომ მირიანმა შაჰანშაჰად გახდომა ვერ მოახერხა. საქმე ისაა, რომ ვითარება მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის იმისაგან განსხვავებული იყო, რაც გახლდთ მესამე საუკუნის 393 წლისათვის, როცა ქტეზიფონისაკენ დაიძრა ნერსეჰი. მეოთხე საუკუნის დასაწყისში ირანის ძლიერება მთლიანად გამქრალიყო. ნერსეჰმა დამანგრეველი დამარცხება განიცადა სატალასთან ბრძოლაში. სასანიან მეფეთა პრიორიტეტს წარმოადგენდა სომხეთის ტახტიდან პართული წარმომავლობის არშაკიდების დინასტიის ჩამოცილება, რომლებიც სისხლით იყვნენ დაკავშირებულნი უკვე გაუქმებულ სამეფო დინასტიასთან. 298 წელს სომხეთში გაიმართა ბრძოლა, სადაც

რომაულმა ჯარმა, დიდ გამარჯვებას მიაღწია შაჰანშაჰ ნარსეჰის სარდლობით მოქმედ სასანიანთა ძალებზე. რომაელებმა ხელში ჩაიგდეს უზარმაზარი ნადავლი და ტყვედ წაიყვანეს სპარსეთის სამეფო ოჯახის წევრები. ლაშქრობა დასრულდა რომისთვის მეტად ხელსაყრელი სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც ნერსეჰმა უარი თქვა მთელ რიგ პროვინციებზე, იკისრა ვალდებულება არ ჩარეულიყო სომხეთის საქმეებში და აღიარა რომის პროტექტორატი იბერიაზე (მაქსიმიუკი, ჰოსეინ თალაეი 2022: 145–154); (დემირი და ქეჩიში 2017: 1-29). ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნულ ლაშქრობაში მირიანის რეალური სურვილების და პოზიციის ამოსაცნობად.

303 წლისათვის სასანიანი მირიანი უკვე პრორომაულად განწყობილი მმართველი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად ის ქართლის ტახტს ვერ შეინარჩუნებდა.

და, მართლაც, რომზე გეზი, ჩანს, ქართველებმა სამხრეთ კავკასიის რომის გავლენის სფეროდ გადაქცევამდე ბევრად ადრე აიღეს.ეს კარგად ჩანს შემდეგი ეპიზოდიდან, რომელსაც აღწერს ლეონტი მროველი: როცა თხუთმეტი წლის გახდა მირიანი, გარდაიცვალა მისი ფარნავაზიანი მეუღლე და მირიანს ცოლად ბერძენი ნანა მოუყვანეს. ცნობოლი საგვარეულოს შთამომავალი:

> ხოლო იქმნა რაჲ მირიან წლისა ათხუთმეტისა, მოუკუდა ცოლი, ასულ ქართველთა მეფისაჲ, და დაესრულა ამას ზედა მეფობაჲ და დედოფლობაჲ ფარნავაზიანთა მეფეთაჲ. და დიდად მწუხარე იქმნნეს ყოველნივე ქართველნი სიკუდილსა დედოფლისა მათითასა, არამედ დაადგრეს ერთგულებასა ზედა მირიანისსა, რამეთუ არღარა ვინ იყო ყოვლადვე ნათესავი ფარნავაზიანთაჲ, რაჲთამცა ღირს ქმნილ იყო იგი მეფობისა ქართველთასა. და ესრეთ შეიტკბეს ამის მიზეზისათჳს მეფობაჲ მირიანისი მათ ზედა.. ხოლო მირიან მეფემან უფროსადღა ჰმატა კეთილისყოფასა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოჲთ, ასული ოლიღოტოსისი, სახელით ნანა (მეტრეველი 2008:79–80).

ანუ უკვე მესამე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრისათვის ქართლის მმართველი წრეები მტკიცე კავშირებს ეძიებდნენ დასავლეთში.

ამ ფაქტის გათვალისწინებით ისმის კითხვა: 303 წელს ნიზიბისის ზავის მოქმედების პერიოდში (ანუ როცა ქართლი რომის გავლენის სფერო იყო და როცა ამ დრომდე კარგა ხნით ადრე, როგორც ირკვევა, ქართლის მესვეურები ორიენტირებულნი იყვნენ რომზე), ირანში ლაშქრობით და შაჰანშაჰის ტახტზე პრეტენზიის გაცხადებით რისი მიღწევა სურდა მირიანს?

ვფიქრობ, რომ მისი რეალური მიზანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო შაჰანშაჰის ტახტის დაკავება, რომ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური დემარში, ირანისაგან ქართლის და სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობის ხაზგასმა. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ერთი დეტალი, კერძოდ, ქალაქ ნიზიბისის ხსენება, რომელზეც ყურადღება ზემოთ უკვე გავამახვილე, თუმც სხვა კონტექსტში. მირიანი ირანის დედაქალაქში კი არ ჩავიდა, საითკენაც, ლეონტის თქმით, თავიდან გაეშურა, არამედ გაჩერდა ქალაქ ნიზიბისთან. ნიზიბისი 298 წლის ზავის შედეგად რომაელების ხელში იყო. ირანში შესვლა ფაქტობრივად ხდებოდა სწორედ ამ ქალაქის გავლით. ანუ მირიანი არ გასცილებია რომის მიერ კონტროლირებად სივრცეს. ის რომაელებით ზურგმოცემული აფიქსირებდა თავის პრეტენზიას შაჰანშაჰის ტახტზე. ეს პრეტენზია მას არ დაუკმაყოფილა ირანის უხუცესთა საბჭომ, მაგრამ შედეგით შეუძლებელია მირიანი უკმაყოფილო დარჩენილიყო: ფაქტობრივად ამ დემარშით მირიანმა მოიპოვა ირანისაგან ქართლის დამოუკიდებლობის აღიარება, რაც მისთვის, როგორც სასანიანთა ოჯახის წევრისათვის, ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო იმის მიუხედავად, რომ უკვე რომი აკონტროლებდა სამხრეთ კავკასიას. მირიანს პირადად ესაჭიროებოდა განთავისუფლება მისი, როგორც სასანიანი მმართველის, რომთან დაპირისპირების ვალდებულებისაგან.

3. დასკვნა

ამგვარად, ლეონტი მროველის მონათხრობი მირიანის ირანში ლაშქრობის შესახებ კარგად ეთანხმება ისტორიულ რეალიებს. მართალია, სხვა წყაროებით ამ ინფორმაციის შემოწმება ვერ ხერხდება, მაგრამ, ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ცნობა უგულებელვყოთ, მითუმეტეს, როცა სიტყვა იმგვარად შორეულ ეპოქას ეხება, რომელიც ამ გამოკვლევის ფოკუსშია. იმ დროს არც ერთ საკითხზე მრავალი ტექსტის არსებობა არ შეიძლება ვივარაუდოთ და არც იმის მტკიცებაა მართებული, რომ ის ერთი და ორი ტექსტი, რომელიც შეიქმნა, ჩვენს დრომდე უსათუოდ უნდა შემონახულიყო. ასეთ ვითარებაში ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ისაა, რომ ვენდოთ მირიანის ირანში ლაშქრობის შესახებ ლეონტი მროველის მონათხრობს, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, ლოგიკურად გამართულ და ისტორიულ კონტექსტთან თავსებად ინფორმაციას შეიცავს.

შენიშვნები

1 ლეონტის მოღვაწეობის დროის და მისი შემოქმედების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა ქართველოლოგიაში. თუმც, ვფიქრობ, აზრთა სხვადასხვაობის რეალური საფუძველი არ არსებობს, რადგან იმაზე მეტი ინფორმაცია ძველი ავტორის შესახებ, რაც გვაქვს ლეონტი მროველზე ძნელია ბევრ სხვა შემთხვევებშიც დავიდასტუროთ. საქმე ისაა, რომ *ქართლის ცხოვრების* დასაწყის ნაწილში შემორჩენილია ორი მინაწერი (უშუალოდ ანდერმინაწერები ან მათ საფუძველზე გვიანდელი რედაქტორების მიერ გაკეთებული შენიშვნები), რომლებიც განმარტავს თუ რომელი თხზულებები ეკუთვნის ლეონტი მროველს *ქართლის ცხოვრებაში* და როგორი იყო ის წყაროები, რომელსაც ეფუძნებოდა მათი შექმნისას ლეონტი მროველი. ეს მონაცემები გვიჩვენებს ლეონტი მროველის შემოქმედებითი ჩართულობის ხარისხს მასთან დაკავშირებული ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის მიმართ. ის მონაკვეთი, რომელშიც ამჯერად ჩვენ მიერ განსახილველი ცნობა არის წარმოდგენილი, ლეონტი მროველის მიერ დაწერილია სხვადასხვა დროს შექმნილ წყაროთა საფუძველზე (ჩხარტიშვილი 2018: 20–27).

2 ტახტის მაძიებელ მირიან მეფეს, ცხადია, გეზი აეღო უნდა ირანის დედაქალაქისაკენ. მაგრამ "ბაღდადი" მეოთხე საუკუნის ამბისთვის ანაქრონიზმია. ამ დროს ირანის დედაქალაქი ქტეზიფონი იყო, ბაღდადი კი საერთოდ არ არსებობდა. მაგრამ ეს უზუსტობა სულაც არაა აუცილებელი, ისტორიკოსს ფაქტის უცოდინარობად ჩავუთვალოთ. მგონია, რომ ის გაკეთდა სრულიად შეგნებულად, ლეონტი მროველს მისი მკითხველისათვის შორეული წარსულის რეპრეზენტაციის ადაპტირება სურდა. ქტეზიფონმა იარსება მხოლოდ მეშვიდე საუკუნის პირველ ათწლეულებამდე. მეთერთმეტე საუკუნეში, როცა თავის ნაშრომს წერდა ლეონტი მროველი, ქტეზიფონი, შესაძლოა, მკითხველს საერთოდაც გაგონილი არ ჰქონოდა, შესაბამისად, ის არაფრისმთქმელი იქნებოდა მისთვის, ავტორი ვერავის გააგებინებდა ვერც იმას თუ რატომ აიღო გეზი მირიანმა ამ ქალაქზე ან რა მიმართულებით წავიდა მეფე. ქტეზიფონის ჩანაცვლება ბაღდადით კი ყველა ამ პრობლემას ერთბაშად ხსნიდა: ბაღდადი მერვე საუკუნეში იყო დაარსებული ანუ მას შემდეგ, რაც ქტეზიფონმა არსებობა შეწყვიტა და, რაც მთავარია, ლეონტი მროველის დროსაც არსებობდა. ამასთან ბაღდადს ქართველი მკითხველის თვალთახედვით ბევრი რამ ამსგავსებდა ქტეზიფონს: ისიც მტრის ქალაქი იყო, ისიც არაქრისტიანთა დედაქალაქი, გახლდათ/შორიდან მომავალი მგზავრისათვის ამ ქალაქების ადგილმდებარეობა თითქმის ემთხვეოდა, სულ ოცდაათი კოლომეტრი იყო მათ შორის დაშორება. ასე რომ. მირიანის მარშრუტის აღსაწერად, ორიენტირად ბაღდადის გამოყენება ნამდვილად შეიძლებოდა. ამგვარად, ამ ფაქტობრივი უზუსტობის შედეგად საქმის არსს მკითხველი უკეთ იგებდა. ამიტომ მგონია, რომ ის ისტორიკოსის მიერ გააზრებულად გამოყენებული ხერხია არა ფაქტის უცოდინარობით გამოწვეული შეცდომა. ბაღდადთან დაკავშირებული ანაქრონიზმი დამახასიათებელია ბევრი სხვა წყაროსათვისაც.

[3] „ხევი“ მიუთითებს მდინარეზე, რაც ქალაქ ნიზიბისისთან მიმართებაში სავსებით სწორია. მასთან ასოცირებული მდინარე ნამდვილად არსებობს: ესაა მიგდონი (Mygdonius).

[4] მირიანის ისტორიასთან დაკავშირებით ასევე ანაქრონიზმია „ხაზარები“. მაგრამ ის ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს ლეონტის ნაკლად, ყოველ შემთხვევაში, ეს არაა მისი ინდივიდუალური ნაკლი. საზოგადოდ გვიანდელ წყაროებში (არა მარტო ქართულში), ძალიან ხშირია ხაზარების ანაქრონისტული მოხსენიება. ამის მიზეზი ისაა, რომ ტერმინ „ხაზარის“ მნიშვნელობა ძალიან ცვალებადი იყო. ის გამოიყენებოდა არაერთი ეთნოსის მიმართ (გოლდენი 2025), (ქარათაი 2025) ცხადია, რომ ლეონტი მროველი ამ ტერმინს იყენებს როგორც კრებით ტერმინს ჩრდილოკავკასიელი ტომების აღსანიშნავად.

[5] ამგვარი შეხედულების მქონეა, მაგალითად, თანამედროვე დასავლელი ქართველოლოგი ს.რაპი, რომელიც თვლის, რომ მირიანი იყო მიჰრანიდების საგვარეულოს წარმომადგენელი: „Mirian/Mihran, the first Christian Kartvelian monarch, was in fact an acculturating Parthian Mihranid who had recently migrated from northern Iran“ (რაპი 2022). ამონარიდი მოყვანილია მისი ერთ–ერთი მოხსენებიდან. საინტერესოა, რომ ამ მოხსენების თეზისის სათაურში სიტყვა „სასანიანი“ ჩასმულია წინწკლებში: “Sasanians” of the North: Strategies of Kingship in Early Christian Georgia“, რაც კარგად აჩვენებს მკვლევრის უნდობლობას ლეონტი მროველის აღნიშნული მონაცემის მიმართ.

[6] ამ შაჰანშაჰის ზეობის დასაწყისს მკვლევრები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, მაგალითად, ფრაი სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ ვითარებას აღწერს 270–273 წლებით, თუმც თავად უფრო პირველი თარიღისაკენ ანუ 270 წლისაკენ იხრება (ფრაი 1983:301). შდრ. (შაიეგანი 2012).

[7] შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო წრეებში აღიარების მოპოვების თვალსაზრისით ლეონტი მროველს „ბედი არ წყალობს“ მიუხედავად იმისა რომ მისი თხზულებები *ქართლის ცხოვრების* ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს, როგორც საისტორიო წყარო ისინი ხშირად სრულიად უვარგისად არის მიჩნეული და ამის გამო იგნორირებულია. რატომღაც თავიდანვე, რაიმე განსაკუთრებული წინასწარი კვლევა-ძიების ჩატარების გარეშე *ქართველ მეფეთა ცხოვრება* ჰიპერკრიტიკულად შეაფასა მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელ მეცნიერთა ნაწილმა, რასაც მომდევნო ხანის არაერთი მკვლევარი დაეთანხმა ფუძემდებლების საყოველთაო ავტორიტეტის და არა მოხმობილ არგუმენტთა საფუძვლიანობის გამო. ჰიპერკრიტიციზმის ამ პირველი ტალღის გადავლის შემდგომ ერთხანს გარკვეული აღმოჩენების წყალობით დაიწყო ლეონტი მროველის „რეაბილიტაციის“ პროცესი, თუმც ის მალევე შეწყდა და დღეს კვლავ *ქართულ* თუ არაქართველ ქართველოლოგებს შორის ძალიან ხშირია ლეონტი მროველის ნაშრომების წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ნიჰილისტური შეფასება. განსაკუთრებით აქტიურობს ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობა, იმდენად დაჟინებითა და ემოციით, რომ ზოგჯერ ვფიქრობ, ისინი თავიანთ მეცნიერული კეთილსინდისიერების დემონსტრირებას და საერთოდ სამეცნიერო საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის დასაბუთებასაც კი სწორედ ლეონტი მროველის მიმართ ჰიპერკრიტიციზმის გამოვლენით აპირებენ.

[8] საშუალო სპარსული, რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც ფალაური არის სპარსული ენის საშუალო საფეხური ძველ სპარსულსა და ახალ სპარსულს შორის. როგორც სამწერლობო და სალაპარაკო ენა ის აღმოცენდა პართულ ეპოქაში (ძვ. წ. მესამე საუკუნიდან ახ.წ. მესამე საუკუნემდე), მაგრამ განსაკუთრებით დაწინაურდა ირანში სასანიანთა ზეობის პერიოდში (224–651). ამ დროს ის სტანდარტიზებულიც იქნა. მესამე საუკუნეში საშუალო სპარსული გადაიქცა სასანიანთა ადმინისტრაციის ენად, ასევე ლიტერატურის ენად . ჩვენამდე მოღწეული ფალაური ზოროასტრული რელიგიური ტექსტების, უმეტესობა სწორედ სასანიანთა მმართველობის ხანას განეკუთვნება.

[9] ლეონტი მროველის ცნობით, მცხეთაში განლაგებული მირიანის გვარდია შვიდ ათასს ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო ქართლს გარშემო დისლოცირებულთა რიცხვი ამ შვიდი ათასის ჩათვლით იყო ორმოცი ათასი (მეტრეველი 2008:78). ეს გადაჭარბებული მონაცემებია, მაგრამ ამგვარი რამ საზოგადოდ არის დამახასიათებელი წინამოდერნული ხანის ისტორიოგრაფიისათვის და ამგვარი ცნობების გაგება პირდაპირი აზრით არც ითვლება მართებულად. სპეციალისტებმა კარგად იციან, ეს არის ხერხი ისტორიკოსმა გვითხრას, რომ ჯარების დიდი რაოდენობა იყო განლაგებული. „შვიდიც“ და „ორმოციც“ საკრალურად მიიჩნეოდა ძველ კულტურებში და სისრულეს სავსეობას მიანიშნებდა, ანუ რომ შევაჯამოთ: ჯერ ერთი, რაოდენობრივი მონაცემი არ უნდა იქნეს პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული; მეორე, სიმბოლური რაოდენობრივი მონაცემების მოწოდება რეალურის მაგიერ, არაა მარტო ლეონტი მროველისათვის დამახასიათებელი. ეს არის საზოგადოდ წინამოდერნული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ნიშანი, ისტორიული რეპრეზენტაციის თავისებური ხერხი.

[10] მირვანოზის როლი განსაკუთრებული ჩანს არა მარტო მირიანის ცხოვრებაში, არამედ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაშიც. მირვანოზის უფლება-მოვალეობებში შედიოდა არა მარტო მირიანის აღზრდა, არამედ მთელი ქვეყნის მართვაც: „და იყო მირიამ მაშინ წლისა შჳდისაჲ, და თანა ყვა მაშინ მეფესა დედაჲ მირიანისი, და არა დაუტევა იგი მირიანის თანა, რამეთუ ფრიად უყუარდა დედაჲ იგი მირიანისი, ვითარცა თავი თჳსი, არამედ დაუტევა მამამძუძედ და გამგებელად წარჩინებული ერთი, სახელით მირვანოზ და დაუტევა ორმეოცი ათასი მჴედარი სპარსი რჩეული. და არა დასხნა ქართლისა საზღვარსა სპარსნი იგი ფიცისა მისთჳს, რომელ ჰფუცა ქართველთა, არამედ დასხნა ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს. ხოლო უბრძანა მირვანოზს, რაჲთა სპარსთა მათგან რჩეული შჳდი ათასი ყოვლადვე ქალაქსა შინა იპყრას მცველად ძისა მისისა“ (მეტრეველი 2008: 78). მაგრამ მხოლოდ ეს არა. ჩანს მირვანოზი ზოროასტრიზმის სასულიერო საქმეებსაც განაგებდა, მას გაუმაგრებია ქალაქი ნეკრესი: „ხოლო ამან მირვანოზ, მამამძუძემან მირიანისმან, ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა ნეკრესისანი“ (მეტრეველი 2008: 79). ნეკრესისადმი მირვანოზის საგანგებო ყურადღება მნიშვნელოვანი მესიჯია. ნეკრესი ჩვეულებრივი ქალაქი არ იყო. ის გახლდათ ცეცხლთაყვანისმცემელთა მნიშვნელოვანი საკულტო ცენტრი.

[11] ესენი იყვნენ გორდიანე III (238-244), ფილიპე არაბი (244-249), ვალერიანე I (253-260)

[12] ეს თვალსაზრისი ფართოდ არის გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში (შაიეგანი 2016) და, ჩემი აზრით, საფუძვლიანიც გახლავთ, თუმც ზოგი მკვლევარი, მაგალითად რ. ფრაი ჰორმიზდ–არდაშირს შაბურ პირველის უფროს ძედ თვლიდა (ფრაი 1983: 301), აშკარად მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ უშუალოდ მამის მერე დაიკავა ტახტი.

[13] შაბურის კარგი დამოკიდებულება მანისადმი აისახა იმაშიც, რომ მანიმ მას ერთ–ერთი მისი მთავარი ნაშრომი მიუძღვნა. მკვლევრები ფიქრობენ, რომ სავარაუდოდ, შაბური მანიქეველობას განიხილავდა როგორც ზოროასტრიზმის გარკვეულ ალტერნატივას იმპერიის რელიგიისათვის (ფრაი 1983: 300, 301). ჰორმიზდ-არდაშირმა კი მანის თავისუფალი ქადაგების უფლება მისცა. ამიტომ მანიქეველთა ტექსტებში ის მოიხსენიება უაღრესად დადებითად (შაიეგანი 2012).

[14] ამ აზრს შეიძლება დავეთანხმოთ პირველი სამი სასანიანი შაჰანშაჰის შემთხვევაში, მაგრამ მეოთხეზე ანუ ბაჰრამ პირველზე, ვფიქრობ, იგივეს თქმა არ შეიძლება. მას მკაფიოდ გამოხატული ზოროასტრიანული პოზიცია ეკავა. მის დროს რელიგიური ტოლერანტობა აღარ იყო დამახასიათებელი სასანიანთა მმართველობისათვის. მან ზოროასტრი მობედის კარტირის შთაგონებით მანიქეველთა წინასწარმეტყველი მანი სიკვდილით დასაჯა.

[15] კარტირის შესახებაც არაერთი გამოკვლევის ნახვა შეუძლია მკითხველს, მათ შორის (სკიერვო 2012).

დამოწმებანი

აბულაძე (რედ.) 2020: ძველი *ქართული აგიოგრაფიული ძეგლები*, 1 (1963 წლის გამოცემის რეპრინტი).

გოლდენი 2025: P. B.Golden, Khazaria, *The YIVO Encyclopedia of Jews in Eastern* Europe YIVO Institute for Jewish Research. https://encyclopedia.yivo.org/article/2387 (ნანახია: 10. 07. 2025).

დემირი და ქეჩიში 2017: M. Demir and M. Keçiş. Nisibis at the Border of Romans and Sasanians between the Third and Fifth Centuries AD," *Tarih Araştırmaları Dergisi*, vol. 36, no. 62: 1–29.

დიმიტრიევი 2020: В. А. Дмитриев. «Арий, поклоняющийся Ормазду»: К политической биографии шаханшаха Нарсе. *Вестник древней истории,* 80(2), 434–461. https://doi.org/10.31857/S032103910000212-0 (ნანახია: 10. 07. 2025).

ლუკონინი 1987: В. Г. Луконин. Надпись Нарсе в Пайкули и Бишапурский рельеф, *Древний и раннесредневековый Иран. Очерки истории культуры:*, Москва, Главная редакция восточной литературы, 157–176.

მაქსიმიუკი, თალაეი 2022: K. Maksymiuk and H. Talaee, Consequences of the Battle of Satala (298). *Historia i Świat*, 11, 145–154. https://doi.org/10.34739/his.2022.11.08 (ნანახია: 10. 07. 2025).

მეტრეველი (რედ.) 2008: რ.მეტრეველი. *ქართლის ცხოვრება*, არტანუჯი.

პატარიძე 2008: ლ. პატარიძე. მირიანი და მისი მეფობა: იდეოლოგიური ასპექტი, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები,* ტ. VIII, თბილისი, 2008, გვ. 64–65.

რაპი 2022: S. Rapp, 'Sasanians' of the North: Strategies of Kingship in Early Christian Georgia.* *Abstract presented at the International Scientific Conference of the National Archives of Georgia,* Tbilisi, Georgia. https://archive.gov.ge/storage/files/doc/1_stefan_rapi.pdf (ნანახია: 11. 07. 2025).

სკიერვო 2012: P. O. Skjærvø, Kartir. *Encyclopædia Iranica,*. Retrieved December 30, 2012, from http://www.iranicaonline.org/articles/kartir (ნანახია: 11. 07. 2025).

სპრენგლინგი. 1955: M. Sprengling. *Third Century Iran: Sapor and Kartir,* by Inscriptions and Monuments. Chicago: Oriental Institute, University of Chicago.

ფრაი 1983: R. N. Frye. *The History of Ancient Iran,* Műnchen, Beck.

ქარათაი 2025: O.Karatay. The Appearance of the Khazars in the Caucasus. *Gazi Akademik Bakış Dergisi (GABD),* 18(36), 1-22. https://doi.org/10.19060/gav.1717306 (ნანახია: 11. 07. 2025).

შაჰბაზი 2002: A. Shahbazi. Shapur I: History. *Encyclopædia Iranica* (online edition). Retrieved September 20, 2016, from http://www.iranicaonline.org/articles/shapur-i (ნანახია: 11. 07. 2025).

შაიეგანი 2012: M. R. Shayegan, Hormozd I, *Enciclopadia Iranica,* (online edition). Retrieved September 18, 2025, from https://www.iranicaonline.org/articles/hormozd-i/?utm_source=chatgpt.com ნანახია: 11. 07. 2025).

ჩერეტი 2021: C. G. Cereti. Narseh, Armenia, and the Paikuli Inscription. *Electrum*, 28, 69–87. https://doi.org/10.4467/20800909EL.21.007.13365 (ნანახია: 11. 07. 2025).

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში,* თბილისი, უნივერსალი.

ჩხარტიშვილი 2018: მ.ჩხარტიშვილი. *საქართველო III-V საუკუნეებში: ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია*, თბილისი, ნეკერი.

ჩხარტიშვილი 2024ა: მ.ჩხარტიშვილი. ლეონტი მროველის მონათხრობი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ: ისტორია თუ პოეზია? *საისტორიო მეცნიერების სამსახურში. პროფესორ ოთარ ჯანელიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული,* თბილისი.

ჩხარტიშვილი 2024ბ: M.Chkhartishvili. “Persian King” of Georgian Chronicles and Shahanshah Hormizd I, Hunara: J*ournal of Ancient Iranian Arts and History,* published by Casa Editrice Persiani in Bologna, Italy, is a peer-reviewed, Open Access journal. *Hunara: Journal of Ancient Iranian Arts and History*, published by Casa Editrice Persiani in Bologna, Italy, is a peer-reviewed, Open Access journal. https://doi.org/10.22034/hunara.2024.210739 (ნანახია: 12. 07. 2025).

ჰენინგი 1939: W.Henning. The Great Inscription of Šāpūr I. *Bulletin of the School of Oriental Studies, University of London*, 9(4), Cambridge University Press on behalf of the School of Oriental and African Studies. 823–849. http://www.jstor.org/stable/607969 (ნანახია: 12. 07. 2025).

ჰერმანი 1970: G. Herrmann. The Sculptures of Bahrām II. *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, (2), Cambridge University Press, 165–171. https://www.jstor.org/stable/25203207 (ნანახია: 12. 07. 2025).

A SOURCE-CRITICAL ANALYSIS OF LEONTI MROVELI’S *THE LIVES OF GEORGIAN KINGS*: KING MIRIAN’S CAMPAIGN IN IRAN

Mariam Chkhartishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
mariam.chkhartishvili@tsu.ge

This paper presents a source-critical analysis of a passage in the *Life of the Kings of the Georgians* by Leonti Mroveli, an eleventh-century Georgian historian. The focus is on the episode describing King Mirian’s campaign in Iran and his dispute over succession to the Sasanian throne. According to Leonti, Mirian was a son of the Sasanian shahanshah “Kasre Ardashir” (identified by the author with Hormizd-Ardashir, i.e., Hormizd I, r. 270–271). When Mirian was forty years old, upon his father’s death, he sought to claim the throne but was opposed by his younger brother. The disagreement was resolved by the Iranian council of elders, who awarded the throne to the brother but granted Mirian extensive territories and authority in the Caucasus. Scholarly tradition has often dismissed Leonti’s account as fictional, either rejecting outright the notion of Mirian’s Sasanian descent or attributing the details of the story to invention. This paper challenges such skepticism. It argues that Mirian’s Sasanian identity is historically plausible, given that from the third century onward it was common practice for members of the royal family to govern non-Iranian provinces. The Armenian precedent, where Shapur I’s sons ruled for decades, strongly supports this interpretation.

The analysis also addresses chronological and textual difficulties in Leonti’s narrative, particularly the claim that Mirian was forty at the time of his father’s death. This inconsistency, the paper suggests, may result from confusion between Mirian’s father Hormizd-Ardashir and his uncle Narseh, both of whom were shahanshahs and associated with Armenia. Another explanation may lie in the complexities of Middle Persian writing: terms such as “father” and “uncle” could easily have been misread in cursive script, leading to later confusion. Furthermore, personal names like

“Bartam,” mentioned by Leonti as Mirian’s rival, may derive from misunderstood Persian terms or titles rather than genuine proper names.

The historical background is carefully reconstructed. The reigns of Shapur I, Hormizd I, and Narseh reveal a broader context in which Sasanian princes in the Caucasus could aspire to the shahanshah’s throne. Narseh’s own career, which led him from Armenia to the Iranian throne, provided a clear precedent for Mirian’s attempt. However, by the early fourth century the situation had shifted: Rome’s victory at Satala (298) and the Treaty of Nisibis limited Sasanian influence in Iberia. In this new political setting, Mirian’s expedition to Nisibis should be interpreted less as a genuine bid for the throne and more as a political demonstration, intended to secure recognition of Iberian independence from Iran while aligning with the Roman-Byzantine sphere.

In conclusion, the paper argues that Leonti Mroveli’s account, far from being a fabrication, corresponds closely with historical realities of the third and early fourth centuries. While details cannot be verified from other sources, the narrative reflects plausible political dynamics of the time. Consequently, Leonti’s testimony deserves to be reconsidered as a valuable source for the study of early Christian Georgia and its integration into the wider Sasanian and Roman world.

ისტორიოგრაფია

HISTORIOGRAPHY

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) ისტორიული რეპრეზენტაცია 1980-იანი წლების მეორე ნახევრის საქართველოში[1]

ნიკოლოზ სარაჯიშვილი
უახლესი ისტორიის ცენტრი
nikasarajishvili99@gmail.com

ქართული საისტორიო მეცნიერების დღევანდელ გამოწვევებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უნდა ეჭიროს იმ ტენდენციებისა და სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, რომელიც საბჭოთა პერიოდში, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატის ქვეშ მყოფმა ქართულმა[2] ისტორიოგრაფიამ შექმნა და დაამკვიდრა. დღესდღეობით თანამედროვე ისტორიის დარგში დიდი პოპულარობით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხი სარგებლობს და ამ მიმართულებით ანუ მისი აუცილებელი და სამართლიანი *რეაბილიტაციისკენ*, დიდი ძალისხმევაა მიმართული.[2] მართალია, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იდეოლოგიური გავლენის ქვეშ ისტორიის ყველა ეპოქა აღმოჩნდა (ქარჩავა 2024: 101-119), მაგრამ საქართველოს შემთხვევაში საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა სწორედ საქართველოს უახლესი ისტორიის, კერძოდ კი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების საკითხებით იყო დაინტერესებული და აქტიურად ნერგავდა/ავრცელებდა მისთვის საჭირო დამოკიდებულებებს, შეფასებებს, ნარატივებს. უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი ოფიციოზისგან დამოუკიდებლად მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა საქართველოს სსრ-ში მიმდინარე პროცესებს.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის მასშტაბით არსებულმა პოლიტიკურმა, სოციალურმა თუ კულტურულმა პროცესებმა მრავალი ცვლილება გამოიწვია და ეს ქართულ ისტორიოგრაფიასაც შეეხო. „საბჭოთა კავშირის ნგრევამ სწრაფად გაუხსნა გზა ახალ, მოულოდნელ შესაძლებლობებს დამოუკიდებლობისაკენ, ფუნდამენტური გადაფასებისაკენ, უწინდელი რესპუბლიკების ჯერაც შეუსწავლელი ასპექტების უპრეცედენტო განხილვისაკენ“ (ჰოვანესიანი 2018: 5), თუმცა ისე მოხდა, რომ ისტორიული მეხსიერების *შემდგომი* ჩამოყალიბების პრივილეგია 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ხელში აღმოჩნდა, რაც, ვფიქრობთ, საყურადღებო მოვლენაა. როგორც აღინიშნა, დასახელებული პროცესების გააქტიურებას საბჭოთა კავშირში მიმდინარე ლიბერალიზაციის კურსი განაპირობებდა.[3]

დამოუკიდებლობის შესაძლო აღდგენის პარალელურად დაიწყო საქართველოს ისტორიის (განსაკუთრებით კი უახლესი ისტორიის) წინა პლანზე წამოწევა და პოპულარიზაცია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მასთან დაკავშირებული მომდევნო მოვლენების რეპრეზენტაციას, ვინაიდან, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს დამოუკიდელობა ჰქონდა, თანაც, რესპუბლიკის სახით (სარაჯიშვილი 2019: 94-103); (სარაჯიშვილი 2022: 125-134); (სარაჯიშვილი 2024ა: 282-303); (სარაჯიშვილი 2024ბ).

ერთი, რომ აქტიურად გამოიცემოდა შესაბამის პერიოდთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ლიტერატურა. მაგალითად, დაგეგმილი იყო ქართული ემიგრანტული ლიტერატურის საგამომცემლო პროექტი საერთო სათაურით – „დაბრუნება“ (ქართული ემიგრანტული ლიტერატურის...1990: 6), თუმცა, ამ სერიით მხოლოდ სამი წიგნი გამოიცა (ორი ექვთიმე თა-

ყაიშვილის, ხოლო ერთში გაერთიანებული იყო რევაზ გაბაშვილისა და ვალოდია გოგუაძის მოგონებები);(თაყაიშვილი 1991ა); (თაყაიშვილი 1991ბ); (გაბაშვილი, გოგუაძე 1992). მეორე, რომ იმ დროის პერიოდულ გამოცემებში ხშირად შეხვდებოდით პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული პიროვნებებისა და მოვლენების შესახებ საგაზეთო პუბლიკაციებს.

განსაკუთრებული ყურადღება სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წევრებს, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასა და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას ეთმობოდა. წინამდებარე სტატიაში პირველ ორ მათგანს განვიხილავთ.

ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, კონტექსტის უკეთ აღსაქმელად აუცილებელია იმ ტენდენციებს გავეცნოთ, რომელიც საბჭოთა საქართველოში ოფიციოზის მიერ შეიქმნა და რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც საჭირო იყო დამოუკიდებელი საქართველოს ჩანასახშივე, ე. ი. მეორე რესპუბლიკის „მოსამზადებელ პერიოდში“.[4]

საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყნის ოკუპაცია/ანექსიის პირველი წლებიდანვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდეური ლიკვიდაცია დაისახა მიზნად. ახალი დამპყრობლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო პირველი რესპუბლიკის მესვეურთა ხალხის მტრის როლში გამოყვანა, შემდეგში კი ქართველების ისტორიული მეხსიერებიდან სრულიად წაშლა – დამოუკიდებლობის დღედ 25 თებერვლის დანერგვა (მაცაბერიძე 2018: 373-397).

უმეტესწილად კრიტიკის ობიექტი სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ლიდერები: ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი იყვნენ. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში პოლიტიკურად სტაბილური ვითარების შესაქმნელად სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეური განეიტრალება სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია საზღვარგარეთიდან აპირებდა ბრძოლის გაგრძელებას.

თავდაპირველად ამ იდეური ბრძოლის წარმოებაში დიდ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა სატირული (და არა მხოლოდ სატირული) პრესა და მისი ფლაგმანი ჟურნალი *ტარტაროზი* (სიხარულიძე 2019: 64-78). მას „დახმარებას“ ქართული ისტორიოგრაფია და სასკოლო სახელმძღვანელოები უწევდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში 1924 წელს აჯანყება მოხდა, საბჭოთა ოფიციოზის წინაშე ახალი დავალება დაისახა – ქართველებში უნდა წაშლილიყო 1924 წელი, როგორც ანტიბოლშევიკური, ეროვნული და საყოველთაო გამოსვლის დრო. აჯანყების კონტექსტში წინა პლანზე მენშევიკების საკითხი წამოწიეს, რაც საერთო ჯამში მათდამი ანტიპათიური განწყობის შექმნას ისახავდა მიზნად. ჟურნალი ტარტაროზი სახალისო კარიკატურებით გადმოსცემდა სხვადასხვა მოვლენას, ცხადია, – საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასარგებლო კონტექსტით წარმოდგენილს. მაგალითად, ნოე რამიშვილს ბრალდებოდა მუშებისა და გლეხების ჩაგვრა, ხალხის ფულის მითვისება და სხვა მრავალი მანკიერებანი. ნოე ჟორდანიას კი 30-იან წლებში უკვე მიკერებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მკვლელის სახელი (იმ პერიოდში ასე თუ ისე მიმდინარეობდა ილიას რეაბილიტაცია, რისი დაგვირგვინებაც იყო 1937 წელს გადახდილი იუბილე).

სოციალ-დემოკრატიული პარტია.

პირველ რიგში ზოგადად ქართველი სოციალ-დემოკრატების მიმართ დამოკიდებულებას შევეხოთ. როგორც ზემოთაც გამოჩნდა, მათ მიმართ ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება, „საბჭოთა კავშირში, პერესტროიკამდე, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია მხოლოდ უარყოფითად იყო წარმოდგენილი: ეს გახლდათ მძიმე, ქართველი ხალხისათვის მხოლოდ პრობლემების მომტანი ხანა, რომელიც წარმატებით დაიძლია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გზით“ (ჩიქოვანი, კაკიტელაშვილი 2010: 232). სწორედ ამგვარი ტენდენციების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა ქართულ ისტორიოგრაფიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანადროულ

პერიოდში. მართალია, მაშინდელი პრესის ფურცლებზე შეხვდებოდით გურამ შარაძის, დიმიტრი შველიძის, პაატა სურგულაძის, ოთარ ჯანელიძისა და სხვა ისტორიკოსების პუბლიკაციებს,[5] მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა საქართველოში იმპერიულმა ცენტრმა თავისი გავლენა დაკარგა და მიმდინარე მოვლენებს ვეღარ აკონტროლებდა, ცენზურაც შერბილდა. თითქმის თავისუფლად იბეჭდებოდა წიგნები, სტატიები და ინტერვიუები. მალევე ქართულ რეალობაში ისეთ მოღვაწეთა სახელებმა წამოიწია წინ, რომლებიც პირველ რესპუბლიკასთან იყვნენ დაკავშირებული. მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის (კალანდაძე 1990: 1-2), გიორგი მაზნიაშვილის (მაზნიაშვილი 1990), რევაზ გაბაშვილის, ზურაბ ავალიშვილის (ავალიშვილი 1990) და მრავალი სხვა. რუსთაველის საზოგადოებამ გამოსცა ნოე ჟორდანიას (ჟორდანია 1989); (ჟორდანია 1990ა), გამომცემლობა საქართველომ კი – გიორგი ლასხიშვილის მემუარები (ლასხიშვილი 1992), აგრეთვე გამოიცა ნოე ჟორდანიას რჩეული ნაწერების კრებული (ჟორდანია 1990ბ).

წიგნების შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ხშირად გამოსაცემად მზადდებოდა და იბეჭდებოდა იმ ავტორთა მოგონებები, რომელთაც ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაპირისპირება ჰქონდათ. მსგავსი დამოკიდებულების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იურისტისა და ისტორიკოსის, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩევლის, ზურაბ ავალიშვილის წიგნის *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში* – გამოცემა 1990 წელს. ამ წიგნის შემდეგი მონაკვეთი იმ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა: „როდესაც 1921 წ. თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო მაგიდაზე დააწვინეს და ნაცადმა დასტაქარმა, საბჭოთა ხელისუფლებამ, სასტიკი ოპერაცია ჩაუტარა, ამ ქირურგმა იცოდა, რომ პაციენტი ქლოროფორმით დაბანგა და საოპერაციოდ მოამზადა საქართველოს ს.დ.-ის ასევე გამოცდილმა, თუმც ნაკლებ კადნიერმა ხელმა“ (ავალიშვილი 1990: 11). ეს ამონარიდი თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში აკაკი ბაქრაძემაც მოიშველია (ბაქრაძე 2005: 66), რომელსაც იმხანად მრავალი „მიმდევარი“ ჰყავდა და მისი ლექციების დროს, დარბაზში „ნემსიც არ ჩავარდებოდა“.

რევაზ გაბაშვილის მოგონებებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საქმიანობის აღწერას სხვადასხვა ადგილზე ეთმობა ადგილი და ყველა შემთხვევაში, ქართველი მმართველი პარტია უარყოფითადაა წარმოჩენილი. მოგონებების ავტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ განასხვავებს ბოლშევიკებისგან, ბრალს სდებს მათ ქართული მიწების გასხვისებაში, ქართული ეროვნულობის გარყვნაში და სხვ. (გაბაშვილი, გოგუაძე 1992: 83, 90-91, 94-98, 109, 111, 141-143, 153, 177-180, 205-209, 240-241).

აღსანიშნია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, სსრკ-ის მმართველ კომუნისტურ პარტიასა და თანადროული პერიოდის სოციალისტურ/სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის ტოლობის ნიშანი ისმებოდა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგამომცემლო ორგანოს 1990 წლის ერთ-ერთ ნომერში, იმჟამად სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნების მოვლენების შესახებ წერდნენ:

> გუშინ დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ეს პარტია, ცნობისთვის, არის პარტია, რომლის უგვანო, უნიჭო მმართველობის შედეგადაც 1921 წელს ბოლშევიკები შემოვიდნენ საქართველოში. და როცა სოც.-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს პეტრე გელეიშვილს ჰკითხეს, რა მოხდაო, – არაფერი, ერთმა პარტიამ მეორე შეცვალაო, – უპასუხა (ჭანტურია 1990: 2).

მსგავსი პასაჟები გვხვდებოდა იმ პერიოდში გამოცემულ ლიტერატურაში. ზურაბ ავალიშვილის წიგნში ვკითხულობთ:

> 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატია, რომელიც ს.დ.-ის დიქტატურის, ე. ი. მემარჯვენე ფრთის მარქსიზმის ფორმა იყო, წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მოსამზადებელ პერიოდს, სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსითა და თავისი სულისკვეთებით“ (ავალიშვილი 1990: 11).

ზოგადად, სოციალ-დემოკრატებთან დაკავშირებით გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეები არ ყოფილან:

> მსოფლიო პოლიტიკური ვითარების წყალობით კალთაში ჩავარდნილ დამოუკიდებლობას ჯერ გაოცებული, ხოლო შემდეგ მზრუნველი თვალითაც კი დაუწყეს ცქერა. გადაგვარებული, უერო, უსამშობლო და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებისათვის თავდადებული სოციალ-დემოკრატები, სამარცხვინო მესამე დასელები, რამდენადმე შეიცვალნენ: გული გაუთბათ, გონზე მოვიდნენ, დედა-სამშობლო იცნეს და ადამიანებს დაემსგავსნენ (კახაძე 1989: 1).

აქვე უნდა ითქვას, რომ განსახილველ პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მასთან დაკავშირებული პიროვნებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით ყველაზე დიდი წვლილი გურამ შარაძეს მიუძღვის. საგაზეთო პუბლიკაციებთან ერთად მნიშვნელოვანი გამოცემებია ფრანგული დღიური (შარაძე 1990) და *უცხოეთის ცის ქვეშ* (1991 წელს გამოიცა პირველი წიგნი, ხოლო მეორე და მესამე – 1993 წელს) (შარაძე 1991ა) (შარაძე 1993ა) (შარაძე 1993ბ). მიუხედავად იმ პერიოდის ზოგადი ფონისა, გურამ შარაძის შეფასებები არ გამოირჩეოდა სიხისტით. ის ქართული ემიგრაციის კვლევით იყო დაკავებული.

იმავე პერიოდში მნიშვნელოვან და დადებით მოვლენად უნდა განვიხილოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების შეგროვება და ერთ წიგნად გამოცემა. კრებულში შეტანილი იყო ისეთი მნიშვნელობის დოკუმენტები, როგორიცაა: საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია; აგრეთვე ისეთი დოკუმენტები, რომელიც უკავშირდებოდა სოციალურ, სამხედრო, სახელმწიფო კონტროლის, არჩევნების, სასამართლოსა და ქვეყნისთვის აუცილებელ მნიშვნელოვან საკითხებს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921: 1990).

როგორც აღინიშნა, გარდა წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებში, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი და კითხვადი იყო, ვიდრე ზოგადად წიგნი, იბეჭდებოდა სტატიები და ინტერვიუები. განხილივის საგანი გახდა ისეთი ხალხის აზრი, ვინც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოესწრო. მაგალითად, ტრადიციონალისტთა ბეჭდვითი ორგანოს გაზეთ *ქართველი ერის* 1990 წლის დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ნიკოლოზ გორდელაძესთან. ამ სტატიას უფრო მეტ ფასს ანიჭებდნენ, ვინაიდან ნიკოლოზ გორდელაძეს „ხვდა წილად ბედნიერება“, ეცხოვრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ინტერვიუს შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

> 1918 წელს იგი 15 წლისა იყო. მის თვალწინ ისტორიული მოვლენების, პიროვნებების კალეიდოსკოპმა გაირბინა... დღეს იგი 87 წლისაა. იმედია, რომ ბატონი ნიკოლოზის მოგონებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიულ პორტრეტს კიდევ ერთ ახალ შტრიხს შემატებს.

ნიკოლოზ გორდელაძე არ მალავს თავის სიმპათიებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისადმი. არჩევნების თემის შესახებ კი წერს: „უბედურება ის იყო, რომ ხალხის ნაწილი მენშევიკებს უჭერდა მხარს“ (ქართველი გიმნაზისტი და... 1990: 4).

დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ ეროვნულ მოძრაობაში, რა თქმა უნდა, სწორად იქცეოდნენ, როდესაც ქვეყნის ცხოვრებაში სხვადასხვა სახით შემოჰქონდათ ის პერიოდი, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენდა, თუმცა გზა, რომლი-

თაც ეს კეთდებოდა, არ იყო მართებული. ის, თუ როგორ ხდებოდა წარმოდგენების შექმნა პირველი რესპუბლიკის შესახებ და მისი რაობის გააზრება საკვლევ პერიდოში, ყურადსაღებია და აუცილებლად განსახილველი ამ საკითხის სრულად აღსაქმელად. ამისთვის უპირველესი წყარო გახლდათ მოგონებები. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცხო არაა, რომ მოგონებები არ შეიძლება შეუცდომელ, უტყუარ წყაროდ იქნეს მიჩნეული.

მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღქმული იყო როგორც იმ ძალის მსხვერპლი, რომელსაც იმჟამად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უპირისპირდებოდა, თუმცა 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებს, შემდგომში ერთმანეთთან დაპირისპირებული ზვიად გამსახურდია და გია ჭანტურია, ფაქტობრივად, მსგავს შეფასებას აძლევდნენ: ერთ-ერთ მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას გია ჭანტურიამ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით განაცხადა: „25 თებერვალი, თუ რელიგიურად განვიხილავთ, ეს არის ღვთისგან მოვლენილი სასჯელი, ჩვენი ცოდვების გამო დავისაჯეთ ჩვენ“ (ჭანტურია 1990: 2).

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, 1990 წლის 26 მაისს გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში 1918 წლის დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა:

> და აი დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა. ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლება უფალმა ისე წაგვართვა ვით მოგვივლინა და დაგვატეხა თავს არნახული სასჯელი, რომელიც 70 წელია გვანადგურებს. აი, ამის გამო მივიღეთ ძმანო, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიისა და მსგავსთა მისთა გზა (ზვიად გამსახურდია – 26 მაისი, 1990).

1920 წლის 7 მაისის ე. წ. „მოსკოვის ხელშეკრულება“.

ეროვნული მოძრაობის პერიოდში ე. წ. „მოსკოვის ხელშეკრულება“ ძირითად შემთხვევაში დადებით კონტექსტში განიხილებოდა. მაგალითისთვის ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელობა შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს რიგ მოქმედებებს პირველი რესპუბლიკის დროინდელ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით განიხილავდა. რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელებას ილია ჭავჭავაძის საზოგადოება 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე მიიჩნევდა მიზანშეწონილად. საქართველოს სსრ-ის მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-12 სესიისადმი საზოგადოების მიმართვაში ჩვენთვის საინტერესო ორი (პირველი და მესამე) მუხლია:

> საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1. სცნოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი საბჭოთა რუსეთის მხრიდან და რსფსრ-სა და სსრკ უმაღლესი საბჭოების წინაშე დააყენოს საკითხი ამ ფაქტის ცნობის შესახებ; [...] 3. სცნოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ერთადერთ კანონიერ იურიდიულ დოკუმენტად, რომელზეც უნდა იყოს აგებული ამ ორი რესპუბლიკის ურთიერთობა და მიმართოს სსრკ უმაღლეს საბჭოს ანალოგიური გადაწყვეტილების გამოტანის წინადადებით (მიმართვა 1989: 1).

ამ აზრს იზიარებდნენ სხვა პარტიებიც. მაგალითად, საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტია თავის პროექტში საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ შენიშნავდა:

> 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც თავის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოსთან აგებს საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობაში ძალაშია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები.

მსგავს დამოკიდებულებას ვხვდებით სხვა პარტიების შემთხვევაშიც, მაგალითად, ჯერ კიდევ 1989 წელს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მიიჩნევდა, რომ

> ერთა ლიგის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტიური და იურიდიული აღიარება წარმოადგენდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული სრულფასოვანი ერის დამკვიდრებას საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში (პროგრამა/წესდება 1989: 1).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წესდებაში კი ვკითხულობთ:

> სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იბრძოლებს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისთვის (იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკის 1918-21 წწ. საზღვრებში) (პროგრამა/წესდება 1989: 2).

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის პერიოდში მეტნაკლებად უარყოფითად ხდებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ასოცირებული პიროვნებების წარმოჩენა, პოლიტიკური კუთხით მაინც სწორად ფასდებოდა 1918-1921 წლების საქართველოს მნიშვნელობა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასა და პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობას ყურადღება 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ექცეოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების წინასიტყვაში, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საკითხს რამდენჯერმე შეეხო. მან აღნიშნა: 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება „აღორძინებული ქართული სახელმწიფოს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად იქცა... ხელშეკრულება უდავოდ ხელს უწყობდა ახალგაზრდა სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემის გაზრდას“ (არქანია, სარაჯიშვილი 2024: 21, 23).

აღნიშნული თავისთავად იმ ფაქტშიც აისახა, რომ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგა:

> 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით... 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძელზე (არქანია, სარაჯიშვილი 2024: 47-48).

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ვკითხულობთ:

> 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია (არქანია, სარაჯიშვილი 2024: 14).

აქვე მოკლედ გავეცნოთ იმ ძირითად დებულებებს, რომელთაგანაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგებოდა. ხელშეკრულებიდან გამოსარჩევია პირველი მუხლი, რომლის მიხედვითაც რუსეთმა აღიარა საქართველო დამოუკიდებელ და თვითმყოფად სახელმწიფოდ, რომლის საშინაო საქმეებში, ის არ ჩაერეოდა (ხელშეკრულება 1920). მაგრამ, იყო ერთი პუნქტი, რომელიც უფრო ამძაფრებდა ანტიპათიას მმართველი პარტიის მიმართ. მე-10 მუხლის მიხედვით

> საქართველო ვალდებულებას იღებს სასჯელისა და შემდეგი სასამართლო ან ადმინისტრაციული დევნისგან გაანთავისუფლოს ყველა პირი, რომელიც ბრალდებულ იქნა საქმიანობაში რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ. შენიშვნა: საქართველო ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს პირები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში ზემოთ მითითებული მიზეზის გამო (შარაძე 1991ბ: 60).

ჩვენ მიერ ბოლოს მოყვანილმა მუხლმა ეროვნულ მოძრაობაში დიდი კრიტიკა გამოიწვია.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, როგორც გამოჩნდა, ცალკეული სამართლებრივი კუთხით დოკუმენტს ქართულ რეალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ისტორიის რეპრეზენტაცია, მით უმეტეს, დამოუკიდებელი საქართველოს შემთხვევის (1918-1921), საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. თუმცა გასათვალისწინებელია ის პირობები და მეთოდები, რომელშიც და როგორც ეს პროცესი მიმდინარეობდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, მართალია, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ ფაქტობრივად ლიკვიდირებული პიროვნებები დაუბრუნდნენ ქართველი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებას, თუმცა ამ დაბრუნებას ყოველთვის მართებული ფორმა არ ჰქონდა. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ის განსხვავებები, რომლითაც საკვლევ პერიოდში ეკიდებოდნენ პირველ რესპუბლიკასთან ასოცირებულ პიროვნებებს. როგორც აღინიშნა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, სსრკ-ის მმართველ კომუნისტურ პარტიასა და თანადროული პერიოდის სოციალისტურ/სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის ტოლობის ნიშნები ისმებოდა. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური კუთხით, შედარებით სწორად ფასდებოდა 1918-1921 წლების საქართველოს მნიშვნელობა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასა და პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობას ყურადღება ეთმობოდა როგორც ეროვნულ-განამთავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში, ისე 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც.

შენიშვნები

[1] კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის [FR-24-19560] მხარდაჭერით.

[2] ბოლო წლებში მრავალი მნიშვნელოვანი გამოცემა შეემატა ქართულ სამეცნიერო სივრცეს (ირემაძე, ჭანტურიძე 2017); (შველიძე 2018); (კაუცკი 2018); (ბახტაძე და *სხვები* 2018) (ჯანელიძე 2018) (არქანია და *სხვები* 2019); (ირემაძე, ჭანტურიძე 2019); (კობახიძე 2023); (ნახუცრიშვილი 2024); (ხვედელიანი 2024) და სხვ.

[3] ვგულისხმობთ მიხაილ გორბაჩოვის მიერ წამოწყებულ „გლასნოსტსა“ (საჯაროობა) და „პერესტროიკას“ (გარდაქმნა).

[4] ვემხრობით მოსაზრებას, რომ საქართველოს მეორე რესპუბლიკად უნდა მივიჩნიოთ პერიოდი 1990 წლის 14 ნოემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე (არქანია და *სხვები* 2021: 3-5).

[5] ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთარ ჯანელიძის წიგნი – 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ (ჯანელიძე 1990).

დამოწმებანი

ავალიშვილი 1990: ზ. ავალიშვილი. *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში*, თბილისი, 1990.

არქანია და *სხვები* 2019: 440 *დღე საქართველოს დამოუკიდებლობამდე: ყოველდღიური მატიანე, 27 თებერვალი, 1917 – 26 მაისი, 1918*. ავტორ-შემდგენლები: გ. არქანია, გ. გიოშვილი, ე. ჭირაქაძე, ქ.სიხარულიძე, თ. ბიკაშვილი, ვ.მაჭავარიანი, ე. ჭანიშვილი. უახლესი ისტორიის ცენტრი, თბილისი, *არტანუჯი*, 2019.

არქანია და *სხვები* 2021: გ. არქანია, გ. გიოშვილი, გ.ბუცხრიკიძე. ეროვნული ხელისუფლების 419 დღე. მეორე რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე. ნაწილი I. 1990 წლის ნოემბერი – 1991 წლის იანვარი. უახლესი ისტორიის ცენტრი, თბილისი, *არტანუჯი*.

არქანია, სარაჯიშვილი (რედ.) 2024: ზვიად გამსახურდიას სიტყვა, წარმოთქმული 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე ოკუპაციიდან დამოუკიდებლობამდე (1921-1991), უახლესი ისტორიის ცენტრი, თბილისი, *არტანუჯი,* 17-48.

ბაქრაძე 2005: ა. ბაქრაძე. *თხზულებანი*, ტ. VI, პუბლიცისტიკა. *ნეკერი, ლომისი*, თბილისი, 2005.

ბახტაძე და *სხვები* 2018: *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის?* გამოცემაზე მუშაობდნენ მ. ბახტაძე, ს. ჯონსი, ბ. კობახიძე, ი.ირემაძე, ზ.გაიპარაშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გაბაშვილი, გოგუაძე 1992: რ. გაბაშვილი. ვ. გოგუაძე. *მოგონებები.* ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება, მრავალტომეული, 3, გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბილისი, *გულანი*.

ზვიად გამსახურდია 1990: ზვიად გამსახურდია – 26 მაისი, 1990, ხელმისაწვდომია https://www.youtube.com/watch?v=-dbjnYt5k0s ბოლოს ნანახია 28.04.2025.

თაყაიშვილი 1991ა: ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა *დაბრუნება*, მრავალტომეული, 1, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბილისი, *მეცნიერება*.

თაყაიშვილი 1991ბ: ე.თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. *დაბრუნება,* მრავალტომეული, 2, გ.შარაძის საერთო რედაქციით, თბილისი, *მეცნიერება*.

ირემაძე, ჭანტურიძე 2017: *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში,* ავტორ-შემდგენლები ი. ირემაძე და ს.ჭანტურიძე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2017 საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი – IFES).

ირემაძე, ჭანტურიძე 2019: *ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში*, ავტორ-შემდგენლები ი. ირემაძე და ს. ჭანტურიძე., საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2019 საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი –IFES).

კალანდაძე 1990: ლ. კალანდაძე. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ეროვნული გმირი. გაზ. *ქარიშხალი*, 1990, №1.

კაუცკი 2018: კ.კაუცკი. *საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი.* ტექსტი ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ს.შუბითიძემ. ქართული გამოცემის რედაქტორები ზ. გაიპარაშვილი და ი. ირემაძე. კომენტარები მოამზადა ი.ირემაძემ. თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კახაძე 1989: კ. კახაძე. 1924, გაზ. *ივერია,* №13.

კობახიძე (რედ.) 2023: *ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა 1918.* სტატიების კრებული. ქართული გამოცემის რედაქტორი ბ. კობახიძე. თბილისი, *არტანუჯი*.

ლასხიშვილი 1992: გ. ლასხიშვილი. *მემუარები*. თბილისი: *საქართველო*.

მაზნიაშვილი 1990: გ. მაზნიაშვილი. *მოგონებანი* 1917-1925. ბათუმი.

მაცაბერიძე 2018: მ. მაცაბერიძე. *26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში* (1921-1922), – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის? საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, თბილისი, *თსუ გამომცემლობა*, 373-397.

მგალობლიშვილი 1990: ნ. მგალობლიშვილი. *რა ავირჩიოთ?* გაზ. სარანგი , №6, 6 სექტემბერი,

მიმართვა 1989: ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართვა საქართველოს სსრ მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-12 სესიისადმი. გაზ. *ივერია*, №17, 15 ნოემბერი.

ნაცვლიშვილი 1990: პ. ნაცვლიშვილი. ისტორიიდან – ისტორიაში, გაზ. *ახალგაზრდა ივერიელი*, №124.

ნახუცრიშვილი 2024: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ფორმისა და შინაარსის ძიებაში. სტატიების კრებული. შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი ლ. ნახუცრიშვილი. თბილისი, Ziari Press.

ჟორდანია 1989: ნ. ჟორდანია. *წიგნი ოჯახში საკითხავი, დაწერილი ჩემს მიერ, ჩემი სვილების და შვილიშვილებისათვის, საგულისხმიეროთ და სახელმძღვანელოთ.* თბილისი, მერანი, 1989.

ჟორდანია 1990ა: ნ.ჟორდანია. *ჩემი წარსული.* თბილისი: რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა *სარანგი.*

ჟორდანია 1990ბ: ნ.ჟორდანია. *რჩეული ნაწერები.* შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ. თბილისი, *საქართველო*

სარაჯიშვილი 2019: ნ სარაჯიშვილი. *პირველი რესპუბლიკის აღქმა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალგაზრდა ჰუმანიტართა I კონფერენციის მასალების კრებული,* თბილისი, 94-103.

სარაჯიშვილი 2024ა: ნ. სარაჯიშვილი. 1944 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებულთა რეპატრიაციის საკითხი XX საუკუნის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1989-1990), – *ოკუპაციიდან დამოუკიდებლობამდე (1921-1991)*, უახლესი ისტორიის ცენტრი, თბილისი, *არტანუჯი*, 82-303.

სარაჯიშვილი 2024ბ: ნ. სარაჯიშვილი. ქართული საზოგადოებრივი აზრი ისტორიული მეხსიერების ფორმირების საწყისებთან: 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების რეპრეზენტაცია ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ხელმისაწვდომია https://idfi.ge/ge/georgian_public_opinion_at_the__beginnings_of_the_formation_of_historical_memory (ნანახია 22.04.2025).

სარაჯიშვილი 2022: ნ. სარაჯიშვილი. 1944 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებულთა რეპატრიაციის საკითხი XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1989-1990), *ქართული წყაროთმცოდნეობა,* XXIV, 125-134;

სიხარულიძე 2019: ქ. სიხარულიძე. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია საბჭოთა ქართულ სატირულ პრესაში ჟურნალ „ტარტაროზის" მაგალითზე 1926-1930 წ.წ., *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალგაზრდა ჰუმანიტართა I კონფერენციის მასალების კრებული,* თბილისი, 64-78.

პროგრამა/წესდება 1989: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა-წესდება (ახალი რედაქცია), გაზ. *ქართული ქრონიკა*, 1989, №56, 25-26 ნოემბერი.

ქართველი გიმნაზისტი და... 1990: ქართველი გიმნაზისტი და... საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზ. *ქართველი ერი*, 1990, №1 (3).

ქართული ემიგრანტული ლიტერატურის... 1990: ქართული ემიგრანტული ლიტერატურის საგამომცემლო პროექტი, გაზ. *ახალგაზრდა ივერიელი,* 1990, №125, 13 ნოემბერი.

ქარჩავა 2024: ზ. ქარჩავა. ანტიკური ისტორიის საკითხები საბჭოთა პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში. *ლოგოსი*, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში 10, 101-119;

შარაძე 1990: გ. შარაძე. *ფრანგული დღიური.* თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს საზოგადოება *ცოდნა.*

შარაძე 1991ა: გ. შარაძე. *უცხოეთის ცის ქვეშ.* წიგნი პირველი, თბილისი, *მერანი*, 1991.

შარაძე (შემდ.) 1991ბ: Договор между Грузией и Россией от 7 мая 1920 года, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921, შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი გ. შარაძე. იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკვეთით, თბილისი, 51-63.

შველიძე (რედ.) 2018: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), *ენციკლოპედია-ლექსიკონი.* მთავარი რედაქტორი დ.შველიძე. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შარაძე 1993ა: გ. შარაძე. *უცხოეთის ცის ქვეშ*. წიგნი მეორე, თბილისი, *მერანი*.

შარაძე 1993ბ: გ. შარაძე. *უცხოეთის ცის ქვეშ*. წიგნი მესამე, თბილისი, *მერანი*.

ჩიქოვანი, კაკიტელაშვილი 2010: ნ. ჩიქოვანი, ქ. კაკიტელაშვილი. 1918-1921 წლების რეპრეზენტაციის დინამიკა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში., *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XII, 232-240.

ჭანტურია 1990: გ. ჭანტურია. სიტყვა წარმოთქმული მიტინგზე მთავრობის სახლთან 1990 წლის 25 თებერვალს (სტენოგრამა), გაზ. *ქართული ქრონიკა*, 1990, №3.

ხელშეკრულება 1920: საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება https://civil.ge/ka/archives/350635 (ნანახია: 26.02.2025).

ხვედელიანი 2024: ა. ხვედელიანი. *საგანმანათლებლო პოლიტიკა და ნაციონალური იდენტობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921)*. თბილისი.

ჯანელიძე 1990: ო. ჯანელიძე. 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბილისი: საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება *ცოდნა*.

ჯანელიძე 2018: ო. ჯანელიძე. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები,* თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ჰოვანესიანი 2018: რ. გ. ჰოვანესიანი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: დაუსრულებელი სიმფონია. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის?* საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 5-15.

THE HISTORICAL REPRESENTATION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918–1921) IN LATE 1980s GEORGIA

Nikoloz Sarajishvili
Centre for Contemporary History
nikasarajishvili99@gmail.com

In contemporary Georgian scholarship, considerable attention is devoted to challenging and deconstructing the distorted historical narratives formed during the Soviet era. Within this context, the study of the First Democratic Republic of Georgia (1918-1921) holds a particularly prominent place.

For seventy years under Soviet rule, the short-lived independence of Georgia between 1918 and 1921 was either erased from public memory or portrayed in a negative light. In the second half of the 1980s, as political, economic, and social tensions weakened censorship within the Soviet Union, various publications began to appear more freely in Georgia.

A substantial part of this literature was dedicated to the events and figures associated with the First Republic. Newspapers started to publish articles, archival materials, and memoirs concerning the Democratic Republic of Georgia, which in turn profoundly influenced the collective memory of Georgian society.This study explores the ways in which history was represented in Georgia during the late 1980s and early 1990s, with particular focus on the portrayal and interpretation of two key subjects: the First Democratic Republic of Georgia and the Treaty of May 7, 1920. The research is based primarily on memoirs and contemporary newspaper publications from the period under study.

საარქივო მასალების პუბლიკაცია

PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS

ქსნის ხეობის ოკუპირებული სოფლების ისტორიიდან (კვერიათი – წარსული და დღევანდელობა)

დავით ახლოური
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
datoakhlouri@gmail.com

კვერიათი ქარჩოხის ხეობაში, ქსნის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფელი იყო. ის განლაგებული იყო ახალგორის ჩრდილოეთით, დაახლოებით 27 კილომეტრის დაშორებით. ცნობილია ზურგიანი კოშკით, რომელსაც IX-X საუკუნეებით ათარიღებენ. იგი ფაქტობრივად აკონტროლებდა მთელ ხეობას.

> ზურგიანი კოშკი სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მარჯვე ადგილას დგას, აქედან მოჩანს ხეობისაკენ მომავალი ყველა გზა. ძეგლი დიდი ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები. კოშკის მხოლოდ დასავლეთი კედელი, ჩრდილოეთის ზურგის და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი. დასავლეთის კედელზე იკითხება ხუთი სართულის დონე, აქედან პირველი სართული მთლიანად ამოვსებულია მიწით. ჩანს სართულშუა გადახურვის ხის ძელების კოჭის ბუდეები. კოშკის გარშემო ნასახლარებია (დადიანიძე 2008: 255).

აღნიშულ კოშკთან დაკავშირებით ს. მაკალათიაც წერს, რომ სოფელ ბალაანის პირდაპირ: „ქსნის გაღმა, მაღალ მთაზე, დგას საგუშაგო კოშკი „კვერიათის ციხე“ (ადგილის სახელია). კოშკი თავმორღვეულია და საძირკველიც გამოცლილი აქვს“ (მაკალათია 1968: 108).

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს მეზობელ სოფელ მიდელაანის მოსახლეობა კვერიათის მიდამოებს ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის საძოვრად იყენებდა. ნანახი მაქვს ის გვირაბიც, რომელიც, სავარაუდოდ, კვერიათის სამხრეთით, ძაბუეთის ხევის სიახლოვეს მდებარე ციხესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ციხის ტერიტორიაზე ძველი აკლდამებიცაა, მათ შორის, ზოგი თვითნებურად გახსნილი. როგორც ჩანს, ესენი იყო ჟამიანობის დროინდელი საერთო სამარხები, სადაც სხვადასხვა სქესისა და ასაკის მიცვალებულები დაუკრძალავთ.

გადმოცემის მიხედვით, მუხიშართ-კვერიათის პლატოზე ლომისის ნიში ყოფილა დავანებული, რომლის მოსალოცადაც მოდიოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოშურიდან (სადაც ქსნის ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან გადასახლდნენ, – დ. ა.), კახეთიდან, ჰერეთიდან, განჯიდან და ა. შ.

ქსნური ზეპირსიტყვიერების საგანძურში შემორჩენილია მუხიშართის ჯვარობისადმი მიძღვნილი ლექსის ნაწყვეტი: „განჯიდანა წამოვედი,/ცხენს ვუხშირე ნალობასა,/ნეტავი კიდევ მივუსწრო/მუხიშართის ჯვარობასა“ (ქენქაძე 2008: 10).

კვერიათის ციხის ჩრდილოეთით წიპტაურების ტერიტორიაზე კაპარაანში ასევე მდგარა გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია, რომელიც აუგიათ სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, ყოფილა დარბაზული, გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის, საკურთხეველში დევს ტრაპეზის ქვა. ეკლესია ამ მომენტისათვის დაზიანებულია და კედლები მხოლოდ ორი-სამი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. დასავლეთით ახლავს სწორკუთხა მინაშენი, რომლის კედლების სიმაღლე ერთი მეტრია (დადიანიძე 2008: 256).

ამავე პერიოდს მიეკუთვნება მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომელიც მაღალ მთაზე, სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზეა აგებული. სამშენებლო მასალად სხვადასხვა ზო-

მის ფლეთილ ქვასთან ერთად შირიმიცაა გამოყენებული. აღმოსავლეთით სწორკუთხა ფორმის საკურთხეველია, ქვემოთ ტრაპეზის ქვა დგას, საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, ორივე მხარეს თაროებით, კარი სამხრეთითაა. კედლებს შელესვის კვალი ემჩნევა (დადიანიძე 2008: 254-255).

მაცხოვრის ეკლესია ბოლო დრომდე მოქმედი იყო. აქ ღვთისადმი მიძღვნილი დღესასწაული, ლომისობის შემდეგ, კვირა დღეს აღინიშნებოდა, დეკანოზები შაშო და არჩილ წიპტაურები იყვნენ. წიპტაურები ასევე ლოცულობდნენ ქსნის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ დოჩიანის წმინდა გიორგის სალოცავში, სადაც ექვს მაისსა და ოცდასამ ნოემბერს გიორგობა აღინიშნებოდა.

კვერიათის მოსახლეობის შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა წყაროში, მათ შორის, სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში, რომლის მიხედვით, კვერიათში უცხოვრიათ წიპტაურების წინაპარ წიკლაურებსა და ერთ კომლ პავლეურს. სიგელის ი. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში სოფლის სახელწოდებად შეცდომით კაჯრაეთია მიწერილი, სამართლის ძეგლებში კი გვაქვს კვერიეთი:

ქ. წიკლაური გამიხარდის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. პავლეურთ გოდერძის მამულს აძეს (ტექსტისთვის ადგილია დატოვებული – დ. ა.).
ქ. წიკლაურის მახარებელის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. წიკლაურის ლომიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. წიკლაურის ელოს მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. წიკლაურის ბადილას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
წიკლაურებს მოსდევს კიდევ ერთი კომლი, სადაც არ იკვეთება გვარი:
ქ. პროკოპის მღდლის და ივანეს მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი, თხა ერთი (ჯავახიშვილი 1974: 176); (დოლიძე 1970: 1047-1048).

აღწერიდან ჩანს, რომ როგორც ქსნის ხეობის დანარჩენი მოსახლეობა, კვერიათელებიც ბეგარის სახით იხდიან პურის, ცხვრის ან თხის, ქათმისა და კვერცხის გადასახადს.

ქსნის საერისთავოს 1774 წლის სტატისტიკურ აღწერილობაში წიკლაურის მაგივრად წიპტაურს ვხვდებით:

კვერიათს ქსნის ერისთავის ყმა ამავ მოურავის სახელო
ქ: პოვლეური პაპიას შვილი კომლი ა თავი ა პოვლეური
აქავ წიპტაური გამიხარდის შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და ბერუკა
აქავ წიპტაური ოქროპირის შვილი კომლი ა თავი ბ ელო და ბაცაცა
აქავ წიპტაური ურჯუკას შვილი კომლი ა თავი ა მახარებელი
აქავ წიპტაური ბერის შვილი კომლი ა თავი გ ზურაბა გივი და ივანე
აქავ წიპტაური ბადილას შვილი კომლი ა თავი ა ბერი
აქავ წიპტაური დარჩიას შვილი კომლი ა თავი ა ბერი
აქავ წიპტაური იასეს შვილი კომლი ა თავი ა ლომია
იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი ც, თავი იბ (ჯავახიშვილი 1967: 187-188).

თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ აღწერის ტექსტში, ჯავახიშვილისეული ვერსიისგან განსხვავებით, ერთი კომლია გამორჩენილი: „აქავ წიპტაური ბადილას შვილი კომლი ა თავი ა ბერი“... სულ სოფელში ცხოვრობს 8 კომლი, ერთი – პავლიაშვილების, შვიდი – წიპტაურების. პავლიაშვილი მხოლოდ ერთი მამაკაცია, წიპტაურები – თერთმეტი (თაყაიშვილი 1951: 40); (ჯავახიშვილი 1967: 187-188).

1783 წლის აღწერაში კომლები, ძირითადად, მამიშვილობითაა მითითებული:
ქარჩოხს კვერიეთიდამ ამისივე სახელო
ქ. ბერის შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და გივი
აქავ წიპტაური კომლი ა თავი ბ ელო და ცუცუნა
აქავ ურჯუკას შვილი კომლი ა თავი ა მახარებელი
აქავ დარჩიას შვილი კომლი ა თავი ა ბერი
აქავ იესეს შვილი კომლი ა თავი ა ლომნია (ჯავახიშვილისეულ მესამე აღწერაში – ლომია – დ. ა.).
აქავ წიპტაური კომლი ა თავი ბ ციხელა და ბერი.
იქნა ჯამი მემკვიდრისა კომლი ვ, თავი თ (თაყაიშვილი 1951: 11); (ჯავახიშვილი 1967: 210, 232).

1774 წელთან შედარებით, როგორც კომლების, ისე კომლებში მცხოვრები მამაკაცების რაოდენობა შემცირებულა. თუ დავაკვირდებით, პავლიაშვილების წინაპარი პავლეური აღარც გვარითაა ნახსენები, აღარც მამიშვილობით.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, იოანე ბატონიშვილის 1803 წლის აღწერაში კვერიათი კვერნეთის სახელითაა მოხსენიებული. მისი აღწერის მიხედვით კვერიათში 6 კომლი ცხოვრობდა: 17 მამაკაცი და 10 ქალი (აქტები 1868: 82). ამავე სახელწოდებით იცნობს ამ სოფელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი 1964: 63) თუმცა, იმავე გიულდენშტედტი, ერთგან, სოფლის სახელწოდებად კვერიეთს უთითებს (გიულდენშტედტი 1962: 275). აღნიშნულმა ტოპინიმმა, ნ. ოთინაშვილის მოსაზრებით, დროთა განმავლობაში ფონეტიკური ცვლილება განიცადა ი ხმოვანი დაიკარგა და კვერიათი იქცა კვერათად (ოთინაშვილი 2012: 117).

იოანე ბატონიშვილის აღწერის მსგავსად კვერიათის სახელწოდებას შეცდომით უთითებენ 1804 წლის რუსულ კამერალურ აღწერაშიც – პერიათი. აღწერის მიხედვით, იმ დროისთვის, იქ 7 ოჯახს უცხოვრია, ყველა მათგანი წიპტაურია და ყველა ქართველი:

1) ნინია წიპტაური შვილი, 5 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 1/4 კოდი, ფული – 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 82 1/2 კაპიკი.
2) ელი წიპტაური შვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 1/4 კოდი, ფული – 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 82 1/2 კაპიკი.
3) პეტრე წიპტაური შვილი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 7 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 3/4 კოდი, ფული – 1 მანეთი და 40 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 2 მანეთი და 12 1/2 კაპიკი.
4) ქიტესა წიპტაური შვილი, 3 მამაკაცი, 1 ქალი, მიწა არ ჰქონია და შესაბამისად, არც გადასახადი გადაუხდია.
5) იასე წიპტაური შვილი, 4 მამაკაცი, ქალი არ ყავთ, 2 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივის ზვინი. გადახდილი აქვს ხორბალი 2 ლიტრა, ფული - 40 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 68 1/2 კაპიკი.

6) იასე წიპტაური შვილი, 1 მამაკაცი, 3 დღის სახნავი მიწა, 5 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივის ზვინი. გადახდილი აქვს ხორბალი 1/2 კოდი, ქათამი, ცხვარი და 5 კვერცხი, სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
7) ციხელა წიპტაური შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, ასევე გადაუხდია 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი. სულ 28 მამაკაცი და 12 ქალი, მათ მფლობელობაშია 19 დღის სახნავი მიწა, 32 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 54 თივა, გადახდილი აქვთ 8 მანეთი და 21 კაპიკი (გსიემ 1956: 74-75).

XIX საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით, კვერიათში მამაკაცთა რაოდენობა სამჯერაა გაზრდილი. როგორ ჩანს, ამ დროისთვის, სოფელში ჭარბი მოსახლეობის გამო მათი ნაწილი შედარებით ბარისკენ იწყებს ჩამოსახლებას. იმავე პერიოდის კარელთკარის აღწერაში ჩვენ ვხვდებით წიპტაურების ერთ კომლს – გლახას, რომელსაც იმ დროისთვის ოჯახის წევრები არ ჰყავს და არც სახნავი მიწა აქვს, სახნავად გამოუყენებელი კი – მხოლოდ 5 დღის (გსიემ 1956: 74). კვერიათში მცხოვრებ ერთ-ერთ მეკომლეს ქიტესა წიპტაურს, რომლის ოჯახშიც სამი მამაკაცი და ერთი ქალია, საერთოდ არ ჰქონია საკუთარი მიწა. მიუხედავადა ამისა, წიპტაურები ღვთის მადიდებელი და მოთაყვანე ხალხი იყვნენ და სოფლის საყდრის წინ მდებარე ყევარი ხარით დასამუშავებელ ორ დღიურ მიწას ხატის მამულად თვლიდნენ. მოსავალსაც უფალს სწირავდნენ. საერთოდ, მთაში სალოცავის ახლოს მდებარე მამული ხატს ეკუთვნოდა და თუ ვინმე მიწის დამუშავებას მოისურვებდა, ხატისთვის „ბეგარა“ უნდა გაეღო. წიპტაურების საყდრის მიწის მოსავალი 7-8 ტომარა პურს შეადგენდა. მათ სალოცავისთვის მამულის შეწირვამდე, „დამიზეზების“ თავიდან აცილების მიზნით კურატიც (სამსხვერპლოდ შეწირული უღელდაუდებელი ხარი – დ. ა.) დაუკლავთ და მიწის დამუშავებისთვის შესაწირიც „შეუთქვამთ“ (ითონიშვილი2003: 107-114).

წიპტაურების მამულებზე საუბრისას საგულისხმოა ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევრის – ვ. ქენქაძის მონათხრობი:

ყმაწვილობის პერიოდში ერთ ცრიატ დღეს, ნადირობისას, ქარჩოხში ცნობილმა მონადირემ შალვა წიპტაურმა („სნაიპერი“) და მე თითქმის სირბილით გადავჭერით მის ნასოფლართან ახლოს მდებარე პატარა ახო, უცებ გამაჩერა და მითხრა: „მე დედა არ მახსოვს, აი, ამ მიწამ გამზარდაო“. თვალი მოვავლე პატარა მიწის ნაკვეთს და მისი სიმცირის გამო გამეცინა. დღეს ვგრძნობ, რომ იმ კაცმა მაშინ რაც მითხრა, არც გასაცინი იყო და არც გასაკვირი. ვაკვირდები დღეს და გული მტკივა, თუ როგორ ტყევდებიან და მიიპარებიან ტყისკენ ერთდროს დიდი ტყეების ნაწილები: ახოები, ნატეხები, ნატუსები... ქრებიან და იკარგებიან დევგმირ წინაპართა ოფლისა და ძალღონის სალეწი კალოები (ქენქაძე 2013: 44).

1814 წლის აღწერის მონაცემებით, კვერიათში ყმები და მამულები თავადებს: შალვა, ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავებს ეკუთვნოდათ. სოფელში ცხოვრობდა 5 კომლი, 23 მამაკაცი და 23 ქალი (46 სული), ამუშავებდნენ 39 დღიურ მიწას.

კომლი 1. გლახა წიპტაური - 9 მამაკაცი, 9 ქალი. 20 დღიური მიწა.
კომლი 2. ელო წიპტაური - 4 მამაკაცი, 4 ქალი. 5 დღიური მიწა.
კომლი 3. ქიტესა წიპტაური - 3 მამაკაცი, 2 ქალი. 3 დღიური მიწა.
კომლი 4. ნინია წიპტაური - 3 მამაკაცი, 3 ქალი. 8 დღიური მიწა.
კომლი 5. იესე წიპტაური - 4 მამაკაცი, 5 ქალი. 3 დღიური მიწა. (სეასცა, საქმე 367).

1821 წლის კამერალური აღწერის დროს კვერიათში მცხოვრებთა რაოდენობა ორ კომლამდეა შემცირებული. ამ დროს ქსნის ერისთავთა მფლობელობაში მყოფი ახალგორის

მუნიციპალიტეტის სოფლები ანანურის მაზრაში შედიოდა. კვერიათი თავად ლევან ერისთავის მფლობელობაში იყო. სოფელში ცხოვრობდა 12 მამაკაცი და 10 ქალი (22 სული).

ანანურის მაზრა, ქარჩოხის ხეობა, სოფელი კვერიათი.
თავად ლევან ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:
კომლი 1. ელო ოქროპირის შვილი წიპტაური, მისი მეუღლე.1 შვილი გლახა ელოს შვილი. მისი მეუღლე.
გლახას შვილები: სიხარული და გიორგი.
ელოს ძმიშვილი ოქროპირ ცუცუნას შვილი, მისი მეუღლე.
სულ ოჯახში 8 სულია, 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.
კომლი 2. გლახა ზურაბას შვილი წიპტაური, მისი მეუღლე. შვილი გრიგოლი გლახას შვილი,[2] ქალიშვილი.
გლახას ძმა მახარებელი ზურაბას შვილი, მისი მეუღლე, შვილი ზურაბი, ქალიშვილი.
ბიძაშვილი გლახასი ბერი ივანეს შვილი, მისი მეუღლე. შვილი ნინია. ქალიშვილი.
კიდევ ბიძაშვილი გლახასი გიორგი ივანეს შვილი.
გლახას დედა.
სულ ოჯახში 14 სულია, 7 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის (სეასცა, საქმე 689).

1830-1832 წლებში ჩატარებულ აღწერაში როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის მცხოვრებნი სახელებით არიან მოხსენიებულნი, მითითებულია მათი ასაკიც. კომლების რაოდენობა სამია, 17 მამრობითი და 10 მდედრობითი სქესის (27 სული). ყმები ლევან ერისთავთან ერთად ეკუთვნოდათ მის ძმებსაც რევაზ და დავით ერისთავებს.

ანანურის მაზრა, ქარჩოხის ხეობა, სოფელი კვერიათი.
პროპორჩიკ ლევან ერისთავისა და მისი ძმების რევაზ და დავით ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები:
კომლი 1. გლახა ელოს ძე წიპტაური – 70 წლის, მისი მეუღლე მაია – 30 წლის, მათი შვილები: სიხარული – 17 წლის, გიორგი – 12 წლის, გიგოლა – 8 წლის, ქალიშვილი სალომე – 6 წლის.
გლახას ბიძაშვილი ოქროპირ ცუცუნას ძე – 30 წლის, მისი მეუღლე ნენე – 20 წლის, მათი შვილი ზაქარია – 1 წლის.
სულ 9 სული, 6 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

მოგვიანებით კომლი გადახაზულია.[3]

კომლი 2. გარსევან გლახას ძე წიპტაური – 25 წლის, ქვრივი.
გარსევანის ძმები: გრიგოლი – 23 წლის, უცოლო, გაბიდაური – 13 წლის, მოსე – 8 წლის, მათი და სალომე – 3 წლის.
მახარობელ წიპტაურის ქვრივი ანნა – 40 წლის, მისი შვილი ზურაბი - 15 წლის, გარდაცვლილი, ქალიშვილი ვარვარა – 9 წლის.
სულ 8 სული, 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.
კომლი 3. ბერი ივანეს ძე წიპტაური – 35 წლის, მისი მეუღლე ქალიმზე – 25 წლის, მათი შვილები: ნინია – 15 წლის, გლახა – 10 წლის, გაბრიელი – 4 წლის, მათი ქალიშვილები: თამარი – 7 წლის, ნინო – 5 წლის.
ბერის ძმა გიორგი – 30 წლის, მისი მეუღლე დარეჯანი – 20 წლის, მათი ვაჟი დავითი – 4 წლის.
სულ 10 სული, 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.
მოგვიანებით კომლი გადახაზულია (სეასცა, საქმე 1247).

1843 წლის კამერალური აღწერის დროს კვერიათი ახალგორის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებთან ერთად შედიოდა თბილისის სახელმწიფო პალატის გორის მაზრის ქნის ნაწილში, როგორც წინა 1830-1832 წლების აღწერის მონაცემებიდანც ჩანს, იმ დროს მცხოვრები სამი კომლიდან ორი გადახაზული იყო. ამდენად, 1843 წელს კვერიათში მხოლოდ გარსევან გლახას ძე წიპტაურის ოჯახი იყო დარჩენილი:

თბილისის სახელმწიფო პალატა, გორის მაზრა, ქსნის ნაწილი სოფელი კვერიათი[4]

თავადების: ლევან, რევაზ და დავით ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები:
კომლი 1. გარსევან გლახი (შვილი) წიპტაური – 35 წლის, მისი ძმები: გრიგოლი – 33 წლის, გარდაიცვალა 1853 წელს, გაბიდაური – 23 წლის, მოსე – 15 წლის.
სულ 4 მამაკაცი. ქართველები.
აღწერას ადასტურებს კვერიათის ნაცვალი პავლე პავლეშვილი. რადგან ამან წერა არ იცოდა, ამისი თხოვნით ხელს აწერს გიგოლა ილურიძე (სეასცა, საქმე 2038).

მომდევნო კამერალური აღწერა, სადაც კვერიათზეა საუბარი შედგენილია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, 1860 წლის 14 თებერვალს. აღწერაში სოფლის სახელწოდებად უკვე მითითებულია წიპტაურთკარი იგივე კვერიათი. 1843 წლის მონაცემებთან შედარებით, კომლების რაოდენობა სამამდეა გაზრდილი, გაზრდილია სოფლის მცხოვრებთა რიცხვიც, 19 მამაკაცი და 14 ქალი (სულ: 33 სული). ყველა მათგანი ქართველები იყვნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები. ყმები თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავსა და ლევანის ძეებს: ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავებს ეკუთვნოდნენ:

სოფელ წიპტაურთკარში იგივე კვერიათში თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. გარსევან გრიგოლის ძე წიპტაური – 55 წლის, ამისი შვილები 1. ზაქარა – 16 წლის, 2. გოგია – 10 წლის, 3. მახარებელი – 5 წლის.
ძმები გარსევანისა: 1. გაბიდა – 36 წლის, 2. მოსე – 34 წლის.
შვილები გაბიდასი: 1. გიგოლა – 7 წლის, 2. პეტრე – 4 წლის.
ძმიშვილი გარსევანისა გლახა გიგოლას ძე – 12 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 4.
კომლი – 1. მამაკაცი – 9. ქალი – 4.
დამოწმებულია გიორგი დვანაძის[5] მიერ.

სოფელ წიპტაურთკარში ლევანის ძეების, თავადების ალექსანდრე, მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავების ყმები (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1. სიხა გლახას ძე წიპტაური – 50 წლის, ამისი შვილი ფიდუა – 3 წლის.
სიხას ძმა როსტომი – 20 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 5.
კომლი 2. ნინიკა ბერუას ძე წიპტაური – 51 წლის, ამისი შვილები: 1. სოსიკა – 15 წლის, 2. დათო – 11 წლის, 3. გრიშკა – 4 წლის.
ნინიკას ძმები: 1. გლახა – 35 წლის, 2. გაბრიელ – 20 წლის, 3. გიორგი – 15 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 5.
კომლი – 2. მამრნი – 10. მდედრნი – 10.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი:

ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი თხუთმეტს რიცხვსა შინა თებერვლისასა 1960 წელსა ამას სიას შინა ჩვენებულ არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე, მაშინ ვიყვეთ პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ~ა ალექსანდრე ლევანის ძე ერისთავი (ხელმოწერილია) (სეასცა, საქმე 252).

1873 წლის აღწერის დროს კვერიათი თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მთის ნაწილის სოფლების რიგშია. სოფელი თავისი მამულებითა და ყმებით რევაზ და ნიკოლოზ ერისთავების მფლობელობაში იყო.

კამერალნი სია №359

ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მთის ნაწილის სოფელი წიპტაურთკარი ანუ კვერიათი

თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის მიწაზე მცხოვრები დროებით ვალდებული გლეხები:
კომლი 1. მოსე გლახას ძე წიპტაური – 47 წლის, ძმისწულნი მისნი, გაბიდას ძენი: პეტრე – 17 წლის, საბრალო – 7 წლის.
გარსევანის ძენი: ზაქარია – 29 წლის, მახარე – 18 წლის.
სულ ოჯახში 8 სულია: 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.
თავად ნიკოლოზ ერისთავის მიწაზე მცხოვრები დროებით ვალდებული გლეხები:
კომლი 2. როსტომ გლახას ძე წიპტაური – 33 წლის, იმისი შვილები: ივანე – 4 წლის, გიორგი – 2 წლის.
სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.
კომლი 3. ივანე ნინიკას ძე წიპტაური – 24 წლის, ძმა ივანესი დათიკა – 12 წლის.
სულ ოჯახში 2 სულია, მამრობითი სქესის.
სრულებით დროებით ვალდებულნი გლეხნი 3 კომლი, 10 სული მამრი და 4 მდედრი (14 სული). სულ ქართველნი, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

აღწერას ახლავს მინაწერი:

ყველა ამ სიით ნაჩვენებნი კომლნი და სულნი, რომელნიც იყვნენ თვალად აგვისტოს 10-სა, 1873 წლისა, ნაჩვენებნი არიან სისწორით და გაშვებული არავინ არის. გარნა თუ აღმოჩნდეს, მაშინ უნდა შევარდეთ პასუხის გებაში საფუძველზედ კანონებისა წარმოებისთვის აწინდელის კამერალნის აღწერისა, რომელსაზედაც ხელს ვაწერთ ახალდაბის საზოგადოების მამასახლისი გიგო კარელიძე. აღმორჩეულნი პირნი – სოსია თინიკაშვილი, გიგოლა ბალხამიშვილი და აღდგომელა მიდელაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ამათ მაგიერ ხელს ვაწერ მიხეილ ჟღენტი (სეასცა, საქმე 266).

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, დუშეთის მაზრის ახალდაბის საზოგადოებაში შემავალი წიპტაურთკარის ანუ კვერიათის მოსახლეობა 4 კომლს შეადგენდა. წყაროში საუბარია მამაკაცებზეც და ქალებზეც, მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე, რელიგიურ კუთვნილებაზე. აღწერაში, პირველ კომლში, მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: 1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის“; 3. „წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა“.

დუშეთის მაზრა, ახალდაბის საზოგადოება, სოფელი წიპტაურთკარი ანუ კვერიათი,

კომლი 1. წიპტაური მოსე გლახას ძე – 47 წლის, 60 წლის, 59 წლის,
ამისი შვილები, გაბიდას ძენი: პეტრე – 17 წლის, 30 წლის, 29 წლის,
საბრალო – 7 წლის, 20 წლის, 19 წლის,
პეტრეს მეუღლე მარო – 17 წლის,
მათი ქალიშვილი ნენე – 2 თვის,
პეტრეს დედა საბედა – 69 წლის.
სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.
კომლი 2. წიპტაური ზაქარა გარსევანის ძე – 29 წლის.
სულ ოჯახში 1 სულია მამრობითი სქესის.
კომლი 3. წიპტაური როსტომ გლახას ძე – 33 წლის,
ამისი შვილები: ივანე – 4 წლის, გიორგი – 2 წლის.
სულ ოჯახში 3 სულია, მამრობითი სქესის.
კომლი 4. წიპტაური ივანე ნინიას ძე - 24 წლის,
ამისი ძმა დათიკა – 12 წლის.
სულ ოჯახში 2 სულია, მამრობითი სქესის.

სულ სოფელ წიპტაურთკარში იგივე კვერიათში ცხოვრობდა 4 კომლი, 9 მამრობითი სქესის და 3 მდედრობითი (12 სული). ქართველები. მართლმადიდებელი ქრისტიანები (სეასცა, საქმე 1825).

მეოცე საუკუნის დასაწყისში სოფელი მხოლოდ წიპტაურის სახელით მოიხსენიება, კომლებისა და მოსახლეობის რაოდენობაც შესამჩნევადაა გაზრდილი. სავარაუდოდ, ამ დროისთვის წიპტაურები კვერიათიდან ანუ ზემო წიპტაურიდან ქვემო წიპტაურში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ, რაზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას. სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, წიფთაურში (ასეა წყაროში მითითებული) 14 კომლი ცხოვრობდა, 30 მამაკაცი და 43 ქალი (73 სული) (საქართველოს აღწერის ჯამები 1926: 168).

1939 საკავშირო აღწერის მონაცემებში წიპტაური ცალკე სოფლად არაა აღწერილი, როგორც ჩანს, აქ მცხოვრებნი რომელიმე მეზობელ სოფელს მიათვალეს. 1959 წელს – 33 სულს „წიფთაურში“ 33 სულს უცხოვრია.1870 წელს 31 მცხოვრები იყო, 12 მამაკაცი და 19 ქალი; 1979 წელს – 37, 20 მამაკაცი, 17 ქალი; 1989 წელს – 38, 14 მამაკაცი, 24 ქალი (საქსტატი 2020).

წიპტაურების ძველი ნასახლარები და სასაფლაო კვერიათის ჩრდილოეთით მდებარეობს, საიდანაც შემდგომში შედარებით ქვემოთ, სოფელ კარელთკართან ახლოს ახალ სამოსახლოში დამკვიდრდნენ. პავლიაშვილების წინაპრებს კი, გადმოცემით, მუხიშართის მიდამოებში ჰყოლიათ ცხვარ-ძროხა. რძეს და დოს, სასმელ წყალთან ერთად თიხის მილების მეშვეობით უშვებდნენ ჩრდილოეთით პოროლიანში. ნასოფლარ პაროლიანის ახლოს თიხის მილების არსებობა დადასტურდა 2007 წლის 1 ივლისს ფიჭური კავშირგაბმულობის „მაგთის“ კომპანიის ანძის დასადგმელად ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს, როცა ქარჩოხის თემის მაშინდელმა გამგებელმა გელა ბალაშვილმა, მებულდოზერე თამაზ ლოთიშვილმა და ისტორიკოსმა ვიტალი ქენქაძემ მიწის სიღრმეში ას ოცდაათ სანტიმეტრზე მიაკვლიეს ოცდათვრამეტი სანტიმეტრის სიგრძის კონუსური ფორმის რამდენიმე თიხის მილს (ქენქაძე 2008: 11).

2002 წლის მონაცემებით, ქვემო წიპტაურებში ჯერ კიდევ ცხოვრობდა 38 ადამიანი, 18 მამაკაცი და 20 ქალი (საქსტატი 2002). გარდა ამისა, ორი კომლი წიპტაურებიდან დოჩიანში დასახლდა, ერთი კომლი – ქენქაანში.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ წიპტაურებს კიდევ ერთხელ მოუხდათ სამკვიდროს დატოვება, ოღონდ ამჯერად იძულებით და მამაპისეული კერიდან საკმაოდ შორს – დევნილთა დასახლებებში. დღეს ქვემო წიპტაურებიც ნასოფლარია.

2016 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით წიპტაურები სულ 89 ადამიანია, აქედან ყველაზე მეტი ერთდროს ახალგორის მკვიდრი იყო – 44. 14 რუსთავში ცხოვრობს, 13 – თბილისში, 1– ოზურგეთში, 5 – სოხუმში, 8 – კასპში, 1 – მცხეთაში, 1 – ყაზბეგში, 2 – საზღვარგარეთ (კვაჭანტირაძე 2017: 591). წიპტაურების ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ჩრდილო კავკასიაში გადასახლდა. რაც შეეხება წიპტაურების ძირ გვარს – – წიკლაურს, ამ გვარის მატარებელი – 12 964 ადამიანია საქართველოს მკვიდრი, წიკლაურების გვარშეცვლილი შთამომავლები ქსნის ხეობაშიც ბევრი ცხოვრობდა, თვითონ წიკლაური კი ათი ადამიანია 2016 წელს ახალგორში დაფიქსირებული.

შენიშვნები

1 მდედრობითი სქესის წარმომადგენლების სახელი მითითებული არ არის.

2 შვილში უთითებდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, ქალიშვილს ცალკე წერდნენ.

3 როგორც აღწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, მომდევნო წლებში, ძირითადად, ახალი აღწერის დროს, ხდებოდა ტექსტების გადახედვა, ძველი და ახალი მონაცემების ერთმანეთთან შედარება და კორექტირება, მაგალითად, გადახაზული იყო კომლები, ან ცალკეული პირები, რომლებიც ტექსტების კორექტირების დროს სოფლიდან გადასახლებულები ან გარდაცვლილები იყვნენ.

4 გვერდით მიწერილი აქვს – იგივე წიპტაურთკარი, რაც შემდეგ წაუშლიათ.

5 გიორგი დვანაძე იყო რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის წარმომადგენელი, ქართველი მსახიობი, პოეტი, ქსნის ერისთავებთან დაახლოებული პირი, გიორგი ერისთავის თეატრალური დასის ერთ-ერთი პირველი წევრი. მისი ლექსები იბეჭდებოდა *ცისკარში*, წერდა პიესებს (ახლოური 2025: 26-27).

დამოწმებანი

აქტები 1868: Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис.

ახლოური 2025: დ. ახლოური. *ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობა XIX ხეობის მეორე ნახევარში*, თბილისი.

გიულდენშტედტი 1962: *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში,* გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი.

გიულდენშტედტი 1964: *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II. თბილისი.

გსიემ 1956: გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ, შემოსული 1956 წელს, №7486.

დადიანიძე 2008: *შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა,* ტ. IV, ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

დოლიძე 1970: *ქართული სამართლის ძეგლები* (ქსძ), საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი.

თაყაიშვილი 1951: ე. თაყაიშვილი. *ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა* (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბილისი.

ითონიშვილი 2003: ვ. ითონიშვილი. *ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან*, თბილისი.

კვაჭანტირაძე 2017: კ. კვაჭანტირაძე. *ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები*, თბილისი.

მაკალათია 1968: ს.მაკალათია. *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი*, თბილისი.

ოთინაშვილი 2012: ნ. ოთინაშვილი. *ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან*, *გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული*, №3. გორი.

საქტატი 2002: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები.

საქტატი 2020: მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სეასცა, საქმე 367: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 367.

სეასცა, საქმე 689: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 689.

სეასცა, საქმე 1247: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 1247.

სეასცა, საქმე 2038: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 2038.

სეასცა, საქმე 252: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე № 252.

სეასცა, საქმე 266: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე № 266.

სეასცა, საქმე 1825: საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე № 1825.

საქართველოს აღწერის ჯამები 1926: სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I, სოფლობრივი ჯამები, ტფილისი.

ქენქაძე 2008: ვ. ქენქაძე. *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი*, თბილისი.

ქენქაძე 2010: ვ. ქენქაძე. *ქსნური ხალხური ფაბლიო,* თბილისი.

ქენქაძე 2013: ვ. ქენქაძე. ურთიერთდახმარების ფორმები ქსნის ხეობაში, *„ჩვენი უნივერსიტეტი"*. გორი.

ჯავახიშვილი 1967: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები*, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი.

ჯავახიშვილი 1974: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები* (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბილისი.

FROM THE HISTORY OF THE OCCUPIED KSANI GORGE VILLAGES (KVERIATI – THE PAST AND THE PRESENT)

David Akhlouri
Gori State University
datoakhlouri@gmail.com

This paper examines the village of Kveriati in the Ksani Gorge, historically part of the Karchokhi community. It situates Kveriati within its broader historical and geographical context and explores the religious life of the settlement, with particular emphasis on its sacred architecture—most notably the Church of the Savior and the Church of St. George.

The reconstruction of the village's demographic profile draws on the expenditure records of the Samtavisi episcopal seat from the latter half of the eighteenth century, as well as the 1774 and 1783 statistical descriptions of the Ksani Saeristavo. Together, these sources enable a diachronic analysis of population dynamics, household fiscal obligations, the structure and scale of agrarian activity, and the socio-economic relations that defined interactions between serfs, peasants, and the landowning elite.

The study of nineteenth-century data begins with the Princely Census of 1803 and continues through the Russian cameral censuses conducted between 1804 and 1886. The demographic trends of the twentieth century are reconstructed on the basis of the 1923 enumeration and the union censuses of 1939, 1959, 1970, 1979, and 1989. Special attention is given to the early twenty-first century and to the demographic consequences of the occupation of Akhalgori Municipality. Notably, most of the nineteenth- and twentieth-century cameral and union census materials used in this study are published here for the first time, which significantly enhances the scholarly originality and value of the work.

To offer a more comprehensive picture of the village's past, the analysis also integrates folkloric materials preserved among the inhabitants of the Ksani Gorge alongside written historical sources.

The conclusion addresses the village's present state under occupation, noting that, following the August 2008 war, Kveriati has effectively become a depopulated settlement.

ორი საარქივო დოკუმენტი ქართულ ისტორიოგრაფიაში გეორგიევსკის ტრაქტატის შესწავლის ისტორიის შესახებ[1]

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის მიერ დადებული მფარველობითი ხელშეკრულების – *გეორგიევსკის ტრაქტატის* კვლევა და მისი შეფასება. თავისი აქტუალობიდან გამომდინარე ხშირად მისი ანალიზი სცდება სამეცნიერო სფეროს და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში დისკუსიებს წარმოშობს.

გეორგიევსკის ტრაქტატის შეფასება ისტორიოგრაფიაში უკვე ორ ასწლეულზე მეტი ხანია, რაც მიმდინარეობს. სხვადასხვა პერიოდში მისი გააზრება განსხვავებული აქცენტებით და მიმართულებებით ხდებოდა.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს საბჭოთა ეპოქა, როდესაც ისტორიის კვლევისა და სწავლების პროცესმა მანამდე უპრეცედენტო პოლიტიზება-იდეოლოგიზება განიცადა.

საბჭოთა პერიოდში გეორგიევსკის ტრაქტატის შესწავლა პირობითად რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. ერთ-ერთი მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს 1983 წელი, როდესაც საბჭოთა საქართველოში გრანდიოზული მასშტაბით აღინიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებიდან ორასი წლისთავი. გამოიცა ათობით სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, გადაიღეს მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, ჩატარდა მრავალი აკადემიური და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება.

გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის აღნიშვნის ღონისძიების ფარგლებში საგანგებო ყურადღება მიექცა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, სადაც, წამყვანი პოზიცია ეკავა იმჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. ეს გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან აღნიშნული კვლევითი დაწესებულება საქართველოს მასშტაბით საისტორიო კვლევების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს წარმოადგენდა და მის საქმიანობას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა და ყურადღება ექცეოდა.

წინამდებარე პუბლიკაციაში გთავაზობთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში დაცულ ორ საინტერესო და მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს აღნიშნულ პროცესში ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მონაწილეობას.

საარქივო მასალა სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის, მკითხველს ჩვენ მას უცვლელად ვთავაზობთ. ავტორისეული სტილი შენარჩუნებულია, გასწორდა მხოლოდ პუნქტუაცია, რამდენიმე ადგილას კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილია გამოტოვებული სიტყვები. პუბლიკაციას ერთვის ჩვენი შენიშვნები.

აქვე, ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივის უფროსს, ქალბატონ მანანა მახატელს დოკუმენტებზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებებისათვის.

დოკუმენტი №1

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან
ჩატარებული მუშაობის შესახებ

ინსტიტუტის თანაშრომლებმა პირნათლად შეასრულეს ამ ხაზით დაგეგმილი სამუშაოები:

1. პუბლიკაციები – გამოქვეყნდა 1. გ. პაიჭაძის Георгиевский трактат /ორი ინსტიტუტის - სსრკ მეცნ. აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტების ერთობლივი გამოცემა, რედაქტორები: ისტ.მეცნ. დოქტორები ა. პ. ნოვოსელცევი[3] და რ. კ. კიკნაძე[4]/. 2. ტრაქტატის ტექსტისა და სხვა დოკუმენტების პუბლიკაცია /რუსულ-ქართული, გამომცემელი გ. პაიჭაძე; 3/ ზ. ცქიტიშვილის მონოგრაფია „გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, 4/ ლ. ტუხაშვილის ნაშრომი „რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, 5/ იბეჭდება ც. კალანდაძის[5] მონოგრაფია „ქართველების მონაწილეობა რუსეთის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX ს. პირველ ნახევარში 6/ იბეჭდება და იუბილესათვის გამოიცემა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „მაცნე“ /ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია/[6] საგანგებო საიუბილეო ნომერი (1983 წ. №3), რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია ინსტიტუტის თანამშრომელთა წერილებით, მიძღვნილი ტრაქტატისა და საერთოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებისადმი.

ამის გარდა ინსტიტუტის თანამშრომლებმა რესპუბლიკასა და რესპუბლიკის გარეთ გამოაქვეყნეს მრავალი სტატია ჟურნალ-გაზეთებში.

2. სასესიო მუშაობა, ინსტიტუტში ჩატარდა: 1. საინსტიტუტო სესია, მიძღვნილი ტრაქტატის 200 წლისთავისადმი. მოსმენილი 11 მოხსენება მთლიანად მიეძღვნა ტრაქტატისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემატიკას. 2/ ამავე მოვლენისადმი მიძღვნილი ეთნოგრაფიული რესპუბლიკური სესია და 3/ ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სესია, მიძღვნილი იუბილისადმი.

ამას გარდა, მიმდინარე წლის ივნისში მოსკოვში შედგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების, სსრკ ისტორიის ინსტიტუტის და ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის გაერთიანებული საკავშირო სესია, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი. მოსმენილი 8 მოხსენებიდან ორი ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებისა იყო: გ. პაიჭაძის „გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული წინამძღვრები“ და მ. ნათმელაძის[7] „საბჭოთა საქართველო სსრკ ხალხთა ერთიან ოჯახში“.

ინსტიტუტის დირექტორი გ. მელიქიშვილი გამოვიდა მოხსენებით „გეორგიევსკის ტრაქტატი საბჭოთა საქართველო სსრკ ხალხთა ერთიან ოჯახში“ სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე /თბილისი, 1982 წ. 1 ივლისი/. მანვე გააკეთა მოხსენება „გეორგიევ-

სკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ საქართველოს სსრ ისტორიკოსთა მორიგ, მეხუთე „ბორჯომის შეხვედრაზე“, 1983 წ. ივნისი. ამავე „შეხვედრაზე“, ისევე როგორც წინა წლებში ჩატარებულ ანალოგიურ „შეხვედრებზე“, მეტად სასარგებლო მუშაობა წარმოებდა რესპუბლიკის საისტორიო პროფილის მუშაობის კოორდინაციისა და საერთო სამუშოების დაგეგმვა-შესრულების ხაზით.

3.ინსტიტიტის თანამშრომლები დიდძალ ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ თბილისისა და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების შრომით კოლექტივებში. ამ ლექცია-მოხსენებების ოდენობა რამდენიმე ასეულს უდრის.

ინსიტიტუტის დირექტორი – /აკად. გ. მელიქიშვილის[8]/ „ხელმოწერა“
პარტბიუროს მდივანი – /ვ. ითონიშვილი9/ „ხელმოწერა“

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი,
ფონდი 9, ანაწერი 1, საქმე 2713, ფურც. 2-3,
(მანქანაზე ნაბეჭდი, უთარიღო).

დოკუმენტი №2

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის მიერ 1983 წელს ჩატარებული
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში

საანგარიშო წელს ინსტიტუტში მუშაობდა 132 უფროსი მეცნიერი და ... უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 83 უფროსი და 28 უმცროსი ლაბორანტი; მათ შორის 51 ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, 116 ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 2 ნამდვილი წევრი, 6 წევრ-კორესპონდენტი.

სულ ინსტიტუტში ირიცხებოდა 300 თანამშრომელი.

***

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი რესპუბლიკის მეთაური დაწესებულებაა ისტორიის დარგში იდეოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებათა წრის თვალსაზრისით და ბუნებრივია მისი მუშაობა წარიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების სათანადო გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამომუშავების ნიშნით. ამიტომ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმები სათანადოდ არის გადამუშავებული, დაზუსტებული და კორექტირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის10 ისტორიულ მოხსენებების, ივნისისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა სახელმძღვანელო შუქზე.

1983 წელს საბჭოთა საქართველომ მოძმე ხალხებთან ერთად აღნიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წელი. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ საქმეში, იუბილეს მომზადებასა და მის უშუალო აღნიშვნის საქმეში ისტორიკოსებმა სათანადო როლი ითამაშეს.

გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილეს მიეძღვნა ინსტიტუტის მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც 1-3 ივნისს ჩატარდა წაკითხული ყველა 16-ვე მოხსენება მიეძღვნა ტრაქტატის თემატიკას. უფრო ადრე 23-31 მაისს ჩატარდა ინსტიტუტის ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომლების სესია, ასევე მიძღვნილი მფარველობითი ხელშეკრულების მე-200 წლისთავისადმი – წაკითხული იქნა 29 მოხსენება.

გეორგიევსკის ტრაქტატს მიეძღვნა აგრეთვე ეთნოგრაფთა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც ცხინვალში ჩატარდა და სადაც, ბუნებრივია, წამყვანი როლი ჩვენი ინსტიტუტის ეთნოგრაფებს ეკუთვნოდათ.

ინსტიტუტის დირექტორმა აკად. გ. მელიქიშვილმა გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც საქართველოს მთავრობის სხდომათა დარბაზში ესწრებოდნენ რესპუბლიკის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ესწრებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.[11]

ინსტიტუტის თანამშრომლებმა პროფესორებმა გ. პაიჭაძემ, მ. ნათმელაძემ მონაწილეობა მიიღეს ივნისში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ხალხთა ისტორიის [ინსტიტუტის] მიერ მოწყობილ სამეცნიერო სესიის მუშაობაში. მათმა მოხსენებებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა (1983 წ. 28 ივნისი, მოსკოვი).

გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეოდ მრავალი საგაზეთო, საჟურნალო სტატია დაიბეჭდა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, აღვნიშნავთ ძირითადს.

გ. პაიჭაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი (15 თაბახი) გამოიცა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ხალხთა ისტორიის ინსტიტუტთან ერთად.

მანვე გეორგიევსკის ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტები მოამზადა გამოსაცემად, დაურთო შესავალი წერილი და კომენტარები.

ლ. ტუხაშვილი[12], რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში.

შ. ხანთაძე[13]. გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიოგრაფიიდან, „მაცნე“ №3.

მ. სამსონაძე,[14] საქართველოს საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, №3 მაცნე.

გ. მაისურაძე,[15] ამიერკავკასიის ხალხები და გეორგიევსკის ტრაქტატი, „ცისკარი“, №10.

გეორგიევსკის ტრაქტატის პრობლემატიკას მიეძღვნა და თითქმის მთლიანად ჩვენი ინსტიტუტის [თანამშრომელთა] სტატიებით არის დაკომპლექტებული ჟურნალ „მეცნიერება [და] ტექნიკის“ აგვისტოს №8.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგადი პრობლემატიკის, კონკრეტულად გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობის მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით. წაკითხულ იქნა მოხსენებები თბილისის სხვადასხვა რაიონის სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებზე. საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ინსტიტუტის თანამშრომლები ლექცია-მოხსენებებს კითხულობდნენ შრომით კოლექტივებში. რესპუბლიკის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის დავალებით წაკითხულ იქნა მოხსენებები

რაიონების პარტიის რაიკომების მიერ ორგანიზებულ მშრომელთა აქტივების სხდომებზე, მაგალითად წალკაში, ამბროლაურში, ონში და მრავალ სხვა ადგილას. წაკითხულ იქნა ლექციები თბილისის კალინინის, პირველი მაისის,[16] კიროვის[17] რაიონების მიერ ორგანიზებულ თეორიულ კონფერენციებზე.

[...] გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის აღნიშვნის საქმეში გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისათვის ინსტიტუტი დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და ცენტრალური პროფსაბჭოს სიგელით.

ინსტიტუტის დირექტორი (აკად. გ. მელიქიშვილი)
სწავლული მდივანი (ისტ. მეცნ. კანდ.
ჯ. ოდიშელი[18])

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი,
ფონდი 9, ანაწერი 1, საქმე 2693, ფურც. 1-4,
(ხელნაწერი, უთარიღო).

შენიშვნები

1 ნაშრომი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საისტორიო აზროვნების ტრანსფორმაცია: საბჭოთა საქართველოდან დამოუკიდებელ საქართველომდე (1987-1991)“ (პროექტის ნომერი FR-24-19560) – ფარგლებში. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation“, Transformation of Historical Thinking: From Soviet Georgia to Independent Georgia (1987-1991), (Project Number: FR-24-19560).

2 გიორგი პაიჭაძე (1928-1996) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წლების მანძილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. ავტორია მრავალი საინტერესო ნაშრომისა საქართველოს გვიან შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის პრობლემატურ საკითხების შესახებ.

3 ანატოლი ნოვოსელცევი (1933-1995) – რუსი ისტორიკოსი აღმოსავლეთმცოდნე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი., რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, იყო კავკასიის ქვეყნების, ირანის, ძველი რუსეთის შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი.

4 რევაზ კიკნაძე (1923-1989) – ქართველი ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე. ისტორიის მეცნერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1961–1963 წლებში იყო მახლობელ აღმოსავლეთ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის განყოფილების, ხოლო 1969–1989 წლებში საქართველოს ძვ. და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე. ავტორია მრავალი საისტორიო და წყაროთმცოდნეობითი ნაშრომისა, მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების არაერთი აკადემიური გამოცემა.

5 ცეცილია კალანდაძე (1914-2001) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1969 წლიდან იყო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო საბჭოს სწავლული მდივანი; 1996 წლიდან აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის განყოფილების გამგე. მუშაობდა რუსეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

6 ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო ჟურნალი.

[7] მაყვალა ნათმელაძე (1929-2016) – მაყვალა ნათმელაძე (1929-2016) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სხვადასხვა დროს 1965-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა საქართველოს უახლესი ისტორიის ცალკეულ პრობლემატურ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

[8] გიორგი მელიქიშვილი (1918- 2002) – ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 1965-1999 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი; 1999-2002 წლებში ამავე ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის მთავარი რედაქტორი. მუშაობდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებზე. ავტორია მრავალი ფუნდამენტური მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომისა.

[9] ვალერიან ითონიშვილი (1925-2021) – ქართველი ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, 1981-2006 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. მუშაობდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხებზე.

[10] იური ანდროპოვი (1914-1984) – საბჭოთა პოლიტიკოსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი 1982-1984 წლებში.

[11] ედუარდ შევარდნაძე (1928-2014) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე სხვადასხვა პერიოდში იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს 1972-1985 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1985-1991 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1992-1995 წლებში საქართველოს სახლმწიფო მეთაური, 1995-2003 წლებში საქართველოს პრეზიდენტი.

[12] ლოვარდ ტუხაშვილი (1940-1995) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი და საპრობლემო განყოფილების ხელმძღვანელი. მუშაობდა ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

[13] შოთა ხანთაძე (1920-1988) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წლების მანძილზე მუშაობდა ცალკეულ სამეცნიერო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. მეცნიერული ინტერესების სფერო იყო ქართული ისტორიოგრაფიისა და ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.

[14] მიხეილ სამსონაძე (1932-2019) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელად. სამეცნიერო კვლევების ინტერესების სფერო იყო XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები.

[15] გურამ მაისურაძე (1933-2021) ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა ქართულ-სომხური ურთიერთობების, კავკასიაში ფეოდალური ურთიერთობების თავისებურებებისა და „ქართლის ცხოვრების“ საკითხებზე.

[16] დღევანდელი დიდუბის რაიონი. პირველი მაისის სახელს აღნიშნული რაიონი ატარებდა 1961-1990 წლებში.

[17] დღევანდელი კრწანისის რაიონი.

[18] ჯუმბერ ოდიშელი (1932-1998). ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. მუშაობდა შუა საუკუნეების ისტორიის და წყაროთმცოდნეობის საკითხებზე.

TWO ARCHIVAL DOCUMENTS ON THE HISTORY OF STUDY THE TREATY OF GEORGIEVSK IN GEORGIAN SCHOLARSHIP

Mikheil Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

One of the significant topics in Georgian historical scholarship is the study and evaluation of the 1783 Treaty of Georgievsk between the Kingdom of Kartli-Kakheti and the Russian Empire. Due to its continuing relevance, analyses of the treaty often extend beyond strictly academic circles and provoke discussions among various social groups.

Historiographical assessments of the Treaty of Georgievsk have been ongoing for over two centuries, with interpretations varying across different periods and emphasizing distinct aspects. The Soviet era represents a particularly important phase, during which the study and teaching of history underwent unprecedented politicization and ideological framing.

During the Soviet period, research on the Treaty can be divided into several stages. A key moment was 1983, when Soviet Georgia marked the 200th anniversary of the treaty with large-scale commemorations. This included the publication of numerous scholarly and popular works, the production of documentary and feature films, and the organization of various academic and educational events.

Special attention during the bicentennial celebrations was given to research institutions, notably the Ivane Javakhishvili Institute of History, Archaeology, and Ethnography of the Georgian SSR Academy of Sciences. This institute held a leading role in historical research across Georgia, and its activities were accorded exceptional importance and visibility.

This publication presents two significant documents preserved in the archives of the Georgian National Academy of Sciences, which illuminate the institute's role in these commemorative and scholarly processes. These archival materials are published here for the first time in the academic literature, presented verbatim to the reader. The author's style has been preserved, with only punctuation corrected and missing words restored in square brackets where necessary. The publication is accompanied by our editorial notes.

წყაროთა თარგმანი და წარდგინება

TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES

პეტრე ბუტკოვი 1779–1781 წლებში სამხრეთ კავკასიაში მომხდარი ზოგიერთი მოვლენის შესახებ

დავით მერკვილაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
datomerkvila@yahoo.com

ერეკლე ხუციშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
ektbilisi@yahoo.com

ქართული წყაროთმცოდნეობის წინამდებარე ნომერში წარმოვადგენთ რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრის, პ. ბუტკოვის ნაშრომის – *მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722-1803 წლებში* (ბუტკოვი 1869ა); (ბუტკოვი 1869ბ) ერთი ნაწილის ქართულ თარგმანს. მასში საუბარია 1780 წელს შაქის ხან ჰუსეინის დამხობისა და შემდეგ მისი მოკვლის შესახებ (თავი 88); ერეკლე II-ისა და ყარაბაღის ხან იბრაჰიმის მიერ განჯის სახანოს ერთობლივ დამორჩილებაზე; 1779-1780 წლებში ერეკლე II-ის ლაშქრობებზე ერევნის ხანის კვლავ დამორჩილებასათვის; დერბენდის ხან ფათალისა და მისი მოკავშირეების მიერ ყარაბაღის სახანოში ლაშქრობებზე და ერეკლე მეფის მიერ იბრაჰიმ ხანისათვის სამხედრო დახმარების გაწევის თაობაზე (თავი 89). აქვე მოთხრობილია ნადირ-შაჰის თვითმარქვია შვილთაშვილის, ნესრ-ულა მირზას თბილისში გამოჩენის შესახებ, რამაც ერეკლე II-ს შორსმიმავალი გეგმები შთააგონა და ბოლოს თვითმარქვია მირზას გარდაცვალების სხვადასხვა ვერსიებზე (თავის 90).

ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვილაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ. ტექსტს დართული განმარტებების ერთი ნაწილი ბოლოში მითითებით „(გამომც.)“ პ. ბუტკოვის ნაშრომის პირველი გამომცემლებისაა, მეორე ნაწილი, აღნიშვნით „(მთარგმ.)“ შესრულებულია ჩვენ მიერ. მთარგმნელების მიერაა დასათაურებული ნაშრომის თავებიც მათი შინაარსის გათვალისწინებით.

.

თავი 88
ბრძოლა შაქის ხანის ტიტულისათვის 1780 წელს

შაქის სახანოში 1780 წელს მფლობელი იყო ჰუსეინ-ხანი,[1] ჰაჯი-ჩელები-ხანის[2] შთამომავალი. მან სხვადასხვა ძალადობის გამო ხალხის სიძულვილი დაიმსახურა, თავისი ნათესავის მეცადინეობით ხელისუფლება და მმართველობა დაკარგა და იძულებული გახდა, გადასულიყო ჭარში,[3] მის ადგილზე კი იგივე ნათესავი აირჩიეს. გაძევებული ჰუსეინი იმავე წელს ზოგიერთი თავისი ქვეშევრდომის მიწვევით გამოემგზავრა ჭარიდან ძველი მართვა-გამგეობის დაბრუნების იმედით, მაგრამ შაქი-კაბალში ჩასვლისას იმავე ნათესავმა, ჰაჯი-ხადირმა,[4] რომლისგანაც მანამდე გაძევებული იყო, იგი მოკლა.[5] თუმცა ჰაჯი-ხადირიც თავისი ტირანული მოპყრობის გამო ქვეშევრდომებისადმი, მათივე თხოვნით, მისმა ღვიძლმა ძმამ მოკლა და მისი სიკვდილის შემდეგ ამჟამად [სახანოს] მართავს მისი ძმა.[6]

თავი 89
დაპირისპირება ფათალი-ხანსა და იბრაჰიმ-ხანს შორის, ერეკლე II-ის ლაშქობანი ერევნის ხანის დასამორჩილებლად

1779 წლის დასაწყისში ბაქოს ხანი ჰაჯი-მელიქ-მუჰამედი[7] თავის სიძესთან, დერბენდელ ფათალი ხანთან[8] შეთანხმებით გაემგზავრა შუშელ იბრაჰიმ-ხანთან[9] იბრაჰიმისა და ფათალის შორის უკვე მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე უთანხმოებების შესაწყვეტად და [მათ შორის] მეგობრობის დასამყარებლად. იბრაჰიმ-ხანმა ეს სტუმრობა სხვანაირად აღიქვა და იგი დააპატიმრა, რა მდგომარეობაშიც ის იმყოფებოდა დაახლოებით ორი წელი.[10]

შემდეგ, როდესაც მეფე ერეკლე განაწყენებული იყო განჯელი ზენდი მაჰმად-ხანის[11] ვერაგობით, მან და მისმა მოკავშირე იბრაჰიმ-ხანმა 1780 წლის დასაწყისში ერთობლივად აიღეს განჯა და მაჰმად-ხანი დაატყვევეს, რომელიც დაბრმავების შემდეგ მთელ თავის ოჯახთან ერთად შუშის ხანთან იმყოფებოდა [ტყვეობაში]. ქალაქ განჯაში კი მათ თავიანთი მმართველები დააყენეს[12] და განჯა ამგვარად იმართებოდა 6 წელი, თანაბრად ეკუთვნოდა რა ერთსაც და მეორესაც.[13]

იმავე დროს, 1779 წელს, მეფე ერეკლე დაემუქრა ერევანს, რომელსაც მისი მოხარკეობისგან გათავისუფლება სურდა. ერეკლემ თავის ძე ლევანთან ერთად გაილაშქრა 12-ათასიანი ჯარით, რომელთა შორის 5 ათასამდე ლეკი იყო. მან აიღო ერევნის ფორშტატი,[14] მაგრამ იმერეთის მეფე სოლომონზე ერთგვარი ამხედრების გამო იძულებული გახდა საქმის დაუსრულებლად საქართველოში დაბრუნებულიყო. თუმცა მან მოასწრო ერევნის სამფლობელოდან საქართველოში ხალხის არცთუ მცირე რაოდენობის გადასახლება. ლეკებმა კი ბევრი სომხური სოფელი და 30 ეკლესია გაძარცვეს და ააოხრეს, რითაც ეჩმიაძინს 250 ათას რუბლამდე ზარალი მიაყენეს. დატყვევებულ სომხებს ქართველები და ლეკები გამოსასყიდის სანაცვლოდ ათავისუფლებდნენ.

ერევნის ხანს ასევე უნდოდა ერეკლეს მიერ ერევნისთვის მიყენებული ზარალის გამო ეჩმიაძინზე შურისძიება, მაგრამ, ვინაიდან მთელი ქონება დროულად იყო გადამალული, ხანმა ამ მონასტერზე მიხტომისას 6 ბერი აკუწა.

ამრიგად, შუშის ხან იბრაჰიმთან ტუსაღად მყოფი ორი ხანი თავის ნათესავებსა და მოკავშირეებს მოუწოდებდა [დახმარებისათვის]. ერევნის ხანი კი ყარსისა და ერზერუმის ფაშების მეშვეობით ცდილობდა, რომ შუშის ხანი განერიდებინა ერეკლე მეფის შემწეობისგან, როცა ეს უკანასკნელი იმოქმედებდა ერევნის წინააღმდეგ.

ამრიგად, ყუბელმა ფათალი ხანმა, ტარკის შამხალმა და შემახის ხანებმა თავიანთი ძალები გააერთიანეს შემახასთან, რომლებიც აღწევდა 15 ათასს, შამხლის მიერ მოყვანილი 8 ათასი ლეკის ჩათვლით. 1780 წლის დასაწყისში ისინი გაემართნენ იბრაჰიმ-ხანის წინააღმდეგ.

იბრაჰიმ-ხანი მოგერიებისთვის მოემზადა, ხოლო მეფე ერეკლემ მას დასახმარებლად გაუგზავნა 5 ათასი ქართველი თავისი ძის, ბატონიშვილ გიორგის თანხლებით.

როგორც კი 3 ათასი ლეკით წინ მყოფი შამხალი მდინარე მტკვარზე გადავიდა, მათ ქართველები იქვე შეეგებნენ და დაამარცხეს. შამხალი გაიქცა გადაღმა მდგომ თავის მოკავშირეებთან, გიორგი ბატონიშვილმა კი მათთან მყოფი ლეკების დაყოლიება მოასწრო ღალატზე. მათ ყველაფერი მიატოვეს, სახლში გაიქცნენ და ფათალი ხანის სამფლობელოში ყველაფერს ძარცვავდნენ, რაც კი გზად ხვდებოდათ.

მოკავშირეები მაშინვე შემახაში დაბრუნდნენ. მათ შემდეგ კვლავ შეკრიბეს 11 ათასამდე კაცი, რომელთა შორის კვლავ 5 ათასამდე ლეკი და უცუმის[15] გარკვეული ჯარი იყო, 1780 წლის აგვისტოში მტკვარზე გადასასვლელს მიუახლოვდნენ და ის იყო, მისი გადა-

ლახვა სურდათ, ლეკები და უცუმის ქვეშევრდომები, მოთხოვნილი ჯამაგირი რომ არ მიიღეს, კვლავ გაიქცნენ და ფათალი ხანის სამფლობელოში ხელი მიჰყვეს ძარცვას, რის გამოც ფათალი ხანსა და უცუმს შორის კინაღამ აშკარა ომი დაიწყო.

ამ ვითარებაში 1780 წლის გაზაფხულზე მეფე ერეკლემ ისევ გაილაშქრა ერევანზე ქართველებისა და ლეკების 8-ათასიანი ჯარით. ის დაუბრკოლებლად მიადგა ერევანს, ბევრ ბრძოლაში გაფანტა სპარსელები და ერევნელი ჰუსეინ-ალი-ხანი იქამდე მიიყვანა, რომ მან 1780 წლის 26 ივლისს გარდაცვლილი ეჩმიაძინის პატრიარქის, სიმეონისა და აღვანქის პატრიარქის, იოანესის შუამდგომლობით იმავე წლის მაისის მეორე ნახევარში[16] ადრინდელზე მეტი ხარკის გადახდა იკისრა; ანუ იხდიდა 30 ათასს, ხოლო ამ დროიდან 40 და 50 ათასს რუბლსაც კი. ამ ყველაფერთან ერთად, ჰუსეინ-ალი-ხანი მეფისადმი ძალიან ერთგული და თავდადებული დარჩა სიკვდილამდე; ვინაიდან მაშინ ის ერეკლეს სრულ და სამუდამო ქვეშევრდომობაში მოექცა, რის თაობაზეც მან ოფიციალური წერილობითი ვალდებულება იკისრა.

1781 წლის იანვრის დასაწყისში ფათალი ხანმა და მისმა მოკავშირეებმა ყუბასთან 8 ათასამდე კაცი შეკრიბეს და კვლავ იბრაჰიმ-ხანზე გაილაშქრეს. თუმცა მან წინასწარ შეიტყო რა ამ თავდასხმის შესახებ, ბოლოს და ბოლოს, გაათავისუფლა ბაქოს ხანი ჰაჯი-მელიქი, რომელიც ბაქოშიც დაბრუნდა. მაგრამ ფათალი ხანს ბაქოს ხანის შეურაცხყოფისათვის იბრაჰიმ-ხანზე შურისძიება სწადდა და მარტში სალაშქროდ დაიძრა,[17] რაც მხოლოდ იმით დაასრულა, რომ იბრაჰიმ-ხანის სამფლობელოში მრავალი სოფელი ააოხრა; ვინაიდან მისმა მოკავშირეებმა იგი მიატოვეს, სავარაუდოდ ჯარის სურსათით მომარაგების სირთულის გამო, რადგან მაშინ იმ მხარეში ფუთი ფქვილი 170 და 180 კაპიკად იყიდებოდა.

მომდევნო წლებში ფათალი ხანი ისევ განაგრძობდა თავდასხმებს შუშის ხანის სამფლობელოებზე და მათ, ჩვეულებრივ, ასრულებდა ყარაბაღიდან თავისთან დასასახლებლად სომხების, თათრებისა და იმათი წამოყვანით, ვისაც კი მოიხელთებდა.

თავი 90
თვითმარქვია ნესრ-ულა-მირზა მეფე ერეკლესთან

1780 წლის განმავლობაში საქართველოში ერთი ყურადსაღები მოვლენა მოხდა.

მავანი სპარსელი განჯიდან ტფილისში ორ მსახურთან ერთად ჩავიდა და იქ რამდენიმე თვე გაჭირვებაში იმყოფებოდა, იაფფასიან სასტუმრო-დუქანსა და სხვა ადგილებში. შემდეგ მისმა მსახურმა მეფე ერეკლეს საიდუმლოდ აცნობა, რომ ეს სპარსელი ნადირ-შაჰის შვილთაშვილი იყო.

მეფემ ის საიდუმლოდ დაიბარა და ჰკითხა, თუ იყო ის ნამდვილად ნადირ-შაჰის შვილთაშვილი. ის არ ამხელდა. მეფე განრისხდა და ბრძანა მისი დაპატიმრება. ორი დღის შემდეგ თვითონ მეფემ გამოარკვია, რომ ის ნამდვილად ნადირ-შაჰის შვილთაშვილი იყო და მისი მიღება ყველას დასანახად იწყო, როგორც შაჰების მემკვიდრისა. 15 მარტს მასზე მთელ საქართველოსა და სპარსეთში გამოაცხადა, რომ ჯერ არს, ის სპარსეთის შაჰი იყოს; ამაზე შუშელი იბრაჰიმ-ხანი დაითანხმა და აპირებდა თავისი ყველა ძალების შეყრას, სპარსეთში წასვლასა და ტახტზე მის აყვანას და მთელს თავის სამფლობელოში ბრძანებულებები დაგზავნა ჯარის შესაკრებად.

მეფე მას ყველა პატივს მიაგებდა, როგორც ნამდვილ შაჰს. 20 აპრილს ეს სპარსელი მეფესთან სადილობდა. ნასადილევს მეფემ ის გალერეიდან ქვედა კიბემდე მიაცილა, ბინამდე კი გააცილეს ბატონიშვილებმა – გიორგიმ, ლეონმა და იულონმა.

ამ ნადირის შთამომავლად აღმოჩენილმა, სახელად ნესრ-ულა-მირზამ,[18] შაჰრუხის[19] ძემ თავისი სამყოფელი დატოვა 1775 წელს. [იგი] ჩავიდა ვექილ ქერიმ-ხანთან, მასთან ოთხი წელი გაატარა, ხოლო როცა ქერიმ ხანი მოკვდა, [სპარსეთში] ამტყდარი არეულობა რომ დაინახა, ნესრი ჩამოვიდა განჯაში და გარკვეული დროის შემდეგ რომელიღაც ღარიბ ქალიშვილზე დაქორწინდა. მაგრამ როცა განჯას ერეკლე მეფე და შუშელი იბრაჰიმ-ხანი დაეუფლნენ, მაშინ ცოლი მიატოვა და ტფილისში ჩავიდა. კავკასიის ხაზიდან საქართველოში წარგზავნილმა ოფიცერმა ის 1780 წელს ნახა და ესაუბრა. ის სხვადასხვა თემებზე საუბრობდა, კითხულობდა რუსეთის ვითარების შესახებ და ამბობდა, რომ მისი დიდი პაპის, ნადირის მსგავსად, შეეცდება, რომ რუსეთთან თანხმობა ჰქონდეს. ის (ოფიცერი – დ. მ.) რუსეთის კარისთვის მიწერას აპირებდა, რომ ნამდვილად შაჰ-ნადირის შვილთაშვილია, მაგრამ ერეკლე მეფემ გადააფიქრებინა.

1780 წლის ივლისში მეფემ შეიტყო, რომ ამ სპარსმა თავი ცრუდ გაასაღა ნადირის შვილთაშვილად, რადგან ცნობა მივიდა, რომ ნამდვილი უფლისწული ცოცხალია და შირაზში, სადეყ-ხანთან[20] ცხოვრობს, ხოლო მამამისი, ნადირის შვილიშვილი შაჰ-რუხი, თავის შვილებთან ერთად იმყოფება ხორასნის ოლქში, ქალაქ მეშჰედში.[21] ამიტომ მეფემ ბრძანა, რომ ის საბლით მოეხრჩოთ, გვამი კი მტკვარში გადაეგდოთ. სხვა ცნობების თანახმად, ეს თვითმარქვია დაახლოებით 20 ივლისისათვის თავისით მოკვდა და მაჰმადიანური წესის შესაბამისად დამარხეს. სუვოროვთან მისული მესამე ცნობით, ამ თვითმარქვიამ თვითონ მოიწამლა თავი აგვისტოს დასაწყისში, როდესაც მეფე ერეკლემ ფუფუნებისთვის [მასზე] დახარჯული არცთუ მცირე სახსრების გამო მას თავისი უკმაყოფილება გამოუთქვა.

შენიშვნები

1 მუჰამედ-ჰუსეინ ხანი იყო შაქის დამოუკიდებელი სახანოს დამაარსებლის, ჰაჯი-ჩალაბის შვილიშვილი და ხანის ტიტულს ფლობდა 1759-1780 წლებში (მთარგმ.).

2 ჰაჯი-ჩელები (1703-1755) ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ იყო დამოუკიდებელი შაქის სახანოს პირველი ხანი 1747-1755 წლებში (მთარგმ.).

3 იგულისხმება ჭარ-ბელაქნის მხარე, რომელიც იმ დროს ლეკთა თავისუფალ თემებს ჰქონდათ დაკავებული (მთარგმ.).

4 ჰაჯი-აბდულყადირი იყო ჰაჯი-ჩალაბის უმცროსი ვაჟი და შესაბამისად – ჰუსეინ-ხანის ბიძა. იგი სახანოს განაგებდა 1780-1783 წლებში (მთარგმ.).

5 იმ ხანის რუსულ წყაროებში შაქის სახანო ხანდახან მოიხსენიებოდა როგორც შაქი-კაბალის (Шеки-Кабала) ოლქი, მხარე (მაგ., „Управляющий областью Шеки Кабала Гусейн-хан“... გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრე სუვოროვი ზემოაღნიშნულ სახელწოდებას იყენებს სწორედ და ამბის აღნიშვნისასაც გრიგოლ პოტიომკინისადმი 1780 წლის 10 აგვისტოს ასტრახანიდან გაგზავნილ მოხენებაში: „В подтверждение прежнего известия о Гусейн-хане шекинском, который по изгнании, находясь в местечке Джары и будучи приглашен от некоторых из своих подданных, выехал из оного в надежде вступить по-прежнему в правление, но по прибытии в Шеки Кабала от того ж своего племянника Гаджи-Кадыра (от коего и прежде был изгнан) убит.“ შესაძლოა, სწორედ ეს მოხსენება წარმოადგენს ამ შემთხვევაში ბუტკოვის წყაროს (სუვოროვი 1780) (მთარგმ.).

6 მინაწერი: „მგონი ეს მემედ-ჰუსეინ ხანია (Мемет-Гуссеин-Хан)“ (გამომც.). როგორც ჩანს, იგულისხმება მუჰამედ-ჰასან ხანი, რომელიც ხანის ტიტულს ფლობდა 1783-1795 წლებში და იყო არა აბდულყადირის ძმა, არამედ ჰუსეინ ხანის ძე (მთარგმ.).

7 მელიქ-მუჰამედი ბაქოს ხანი იყო 1772-1784 წლებში (მთარგმ.).

8 აქაც ერთგვარი უზუსტობაა: მალიქ-მუჰამადს ცოლად ჰყავდა ფათალი ხანის და, ხაჯიდა-ბიკე. შესაბამისად ფათალი ხანი ბაქოს ხანისათვის იყო ცოლისძმა და არა სიძე (მთარგმ.).

[9] ყარაბაღის, ანუ შუშის ცნობილი ხანი იბრაჰიმ-ხალილი (ტექსტში – Ибраим-Хан) სახანოს მართავდა 1763-1896 წლებში. აზერბაიჯანელ ხანებს შორის პირველობისათვის ბრძოლაში იგი ყუბა-დერბენდის ხან ფათალის მთავარი მეტოქე იყო (მთარგმ.).

[10] ბრონევსკისთან. 1779 წელს ბაქოს მელიქმა მუჰამედ-ხანმა, უკმაყოფილომ იმით, რომ ლეკებმა ბაქოს მცხოვრები ორი ბიჭი მოიტაცეს და ასტრახანში გაყიდეს, ბაქოში მყოფი ყველა რუსი ვაჭარი დააპატიმრა მათი საქონლითურთ და იქამდე არ გაათავისუფლა, ვიდრე იაკობიმ (ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი 1776-1781 წწ. – მთარგმ.) მას ერთ-ერთი ბიჭი არ გაუგზავნა.

[11] მინაწერი: „ზიადოღლი“ (Зиадогли).

[12] მინაწერი: „მეფე ერეკლესგან თავადი ქაიხოსრო 3-ათასიანი ჯარით“ (გამომც.).
იგულისხმება ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი (დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1792 წ.), სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და პოეტი. განჯის აღების შემდეგ იგი ერეკლე II-მ იგი ამ ქალაქის მოურავად დანიშნა (მთარგმ.).

[13] 1779 წელს შუშელმა იბრაჰიმ-ხანმა სახელგანთმული ჰუსეინ-ხანის მოკვლა ბრძანა, მისი სიკვდილით გახდა ყარადაღის მბრძანებელი და იქ თავისი გუბერნატორი დააყენა.
აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს, ამ დროს ყარადაღის ხანი იყო მუსტაფა (1763-1782, 1786-1791), რომელიც 1782 წელს იბრაჰიმ-ხანმა დაატყვევა (მთარგმ.).

[14] ფორშტადტი (გერმ. Vorstadt) – ქალაქის ან ციხე-სიმაგრის გარეთ არსებული დასახლება (მთარგმ.).

[15] დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, დერბენდის სახანოს ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის გასწვრივ მომიჯნავედ მდებარე ხაიდაყის პოლიტიკური ერთეულის მმართველის ტიტული, მთარგმ.

[16] მინაწერი: „და ახალციხის ფაშის“ (გამომც.).

[17] მინაწერი: „მტკვარზე გადასასვლელიდან შუშამდე პირდაპირ 80 ვერსია“ (გამომც.).

[18] ტექსტში Неср-Улла-Мирза. შაჰრუხის მრავალრიცხოვან ვაჟთაგან ნესრულა (იგივე ნასერ-ულა – 1750-1787) ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამოჩენილი პიროვნება იყო (მთარგმ.).

[19] შაჰის ტახტისათვის ბრძოლაში ჩართული ნადირ-შაჰის შვილიშვილი შაჰრუხი მისმა მეტოქეებმა დააბრმავეს. თუმცა ამის შემდეგ უსინათლო შაჰრუხი ქ. მეშჰედს მართავდა 1795 წლამდე. ავტორი მის სახელს ზოგჯერ ერთად წერს, ზოგჯერ დეფისით (მთარგმ.).

[20] ზენდების დინასტიის წარმომადგენელი სადეყ-ხანი 1779-1781(//1782) წლებში იყო ირანის შაჰი. რეზიდენცია ჰქონდა შირაზში.

[21] მეშჰედი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, ისტორიული მხარის, ხორასნის მთავარი ქალაქი.

დამოწმებანი

ბუტკოვი 1869ა: *Материалы для новой истории Кавказа*, с 1722 по 1893 год : ч. 1, СПб.

ბუტკოვი 1869ბ: *Материалы для новой истории Кавказа*, с 1722 по 1893 год : ч. 2, СПб.

სუვოროვი 1780: Бумаги А. В. Суворова об Армении и Закавказье, рапорты А. В. Суворова князю Г. А. Потемкину. https://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XVIII/1780-1800/Russ_arm_otn_ist/text1.htm (ნანახია: 8.11.2025).

PETER BUTKOV ABOUT SOME EVENTS THAT OCCURRED IN THE SOUTH CAUCASUS IN 1779-1781

Davit Merkviladze
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
datomerkvila@yahoo.com

Erekle Khutsishvili
Independent researcher
ektbilisi@yahoo.com

In the present issue of Georgian Source-Studies, we publish a Georgian translation of selected chapters from P. Butkov's Materials for a New History of the Caucasus, 1722–1803. Butkov, a former officer in the Russian army, describes in these sections the overthrow and subsequent killing of Hussein Khan of Shaki in 1780 (Chapter 88); the joint subjugation of the Ganja Khanate by King Erekle II and Ibrahim Khan of Karabakh; the campaigns of Erekle II in 1779–1780 aimed at reasserting control over the Khan of Erivan; and the campaigns of Fatali Khan of Derbent and his allies against the Karabakh Khanate, as well as the military assistance provided by King Erekle to Ibrahim Khan (Chapter 89). Chapter 90 recounts the appearance in Tbilisi of Nesr-Ulla Mirza, a man claiming to be the great-grandson of Nadir Shah, whose arrival inspired Erekle II to develop far-reaching political plans, and concludes with various accounts of the impostor's death.

The Georgian translation was prepared by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili, who also supplied the chapter titles in accordance with the content.

ჟორჟ ბელის ცნობები თბილისი შესახებ *L'ILLUSTRATION, JOURNAL UNIVERSEL*-ის (1868) ფურცლებზე

ირინე ნაჭყებია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
irnat@hotmail.com

ფრანგმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ჟორჟ ბელმა,[1] 1868 წლის 5 და 12 სექტემბერს ყოველკვირეულ ფრანგულ ჟურნალში – *L'illustration journal universel*, ორი წერილი გამოაქვეყნა, სათაურით *ათი დღე თბილისში (Dix jours a Tiflis)*. პირველი წერილის დასაწყისში ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ის ახალგაზრდა პოლონელი ოფიცრის მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემდა კავკასიისა და შამილის ფანტასტიკური მიწის შესახებ „რომელიც ასე დიდხანს იპყრობდა ევროპის ყურადღებას". ამ ფრაზის შემდეგ ორივე წერილში წარმოდგენილი მასალა მხოლოდ თბილისის ცხოვრებას ეხება. „კავკასიის, შამილის ფანტასტიკური მიწის" ხსენება კი გვაფიქრებინებს, რომ პოლონელი ოფიცერი, სავარაუდოდ, კავკასიაში მიმდინარე ომების მონაწილე უნდა ყოფილიყო, რასაც მკითხველის მეტი ინტერესი უნდა გამოეწვია.

პირველ, 5 სექტემბრით დათარიღებულ წერილში, თბილისი დასახელებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი და საინტერესო, ევროპასთან საკმაოდ ახლოს მდებარე ქალაქი, სადაც, ერთი მხრივ, შესაძლებელი იყო ევროპული ცივილიზაციის ყველა სიკეთის მიღება, მეორე მხრივ, კი აზიის ზოგიერთ უცნაურობას შეხვდებოდი. აღწერილია თბილისში მცხოვრები სომხების სახლი. თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იყო მტკვარზე მცურავი წისქვილი და მტკვრის ნაპირებზე დაბანაკებული აღმოსავლეთიდან მოსული ქარავნები. დასახელებულია მათ მიერ ჩამოტანილი საქონელი. თბილისის რელიგიური დანიშნულების ნაგებობებიდან დახასიათებულია თათრული მეჩეთი, მეტეხის ეკლესია და წმინდა დავითის მონასტერი. მოცემულია ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ (ბელი 1868: 155-157).

მეორე, 12 სექტემბრით დათარიღებულ წერილში, აღნიშნულია თბილისის გარეუბნებში მცხოვრები თათარი2 მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფუნქცია – თბილისის ბაზრების საკვებით მომარაგება, რაც ხელს უშლიდა ფასების ზრდას. საინტერესოა ცნობა თბილისში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული სომეხი ვაჭრის შესახებ, რომელიც ხალისით აკმაყოფილებდა ოფიცრის ცნობისმოყვარეობას თბილისელი ხელოსნების ნიჭისა და უნარის შესახებ (ბელი 1868: 171-172).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ცნობა იმის შესახებ, რომ რეგიონში თბილისი იყო ის ქალაქი, სადაც ძალიან იშვიათი იყო დაპირისპირება და ძალადობა, რაც თითქმის ყოველთვის იჩენდა თავს მსგავსი სიახლოვის პირობებში იმ ერებს შორის, რომლებიც სხვადასხვა რელიგიასა და კულტურას მიეკუთვნებოდნენ.

ფრანგი ჟურნალისტის ჟორჟ ბელის მიერ წარმოდგენილი ცნობები თბილისის შესახებ ის ინფორმაციაა, რომელიც ევროპელი მკითხველისთვის იყო განსაზღვრული. ეს მასალა საკვლევად მეტად საინტერესო წყაროა და სწორედ ამაში მდგომარეობს მოგზაურის ნაწერების მნიშვნელობა. ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კი შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისი მნიშვნელოვან მულტიკულტურულ როლს ასრულებდა, რადგან იქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები თანაარსებობდნენ, რაც ამ ქალაქის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ჟორჟ ბელის წერილებს ერთვის ცნობილი რუსი მხატვრისა და მწერლის, ვასილი ვერეშჩაგინის (1842-1904) ნახატების მიხედვით შექმნილი სამი კოლაჟი. მათზე გამოსახულია თბილისში მცხოვრებთა ტიპები, ხელობის აღმნიშვნელი სამოსი და ჟანრული სცენები. ორი კოლაჟი ერთვის ბელის პირველ, მესამე კი მეორე წერილს. ეს ძვირფასი მასალაა XIX საუკუნის სამოციანი წლების თბილისის სურათის აღსადგენად.

პირველი წერილი
ათი დღე თბილისში

ზაფხული მოგზაურობისა და გადაადგილების სეზონია. როდესაც უფრო შორს წასვლა არ შეგვიძლია, აგარაკით ვკმაყოფილდებით და ხეების ჩრდილით გაგრილებულ ტერასაზე მეგობრებთან ვსაუბრობთ. ასე იყო იმ საღამოსაც, როდესაც ახალგაზრდა პოლონელი ოფიცერი თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გვიყვებოდა კავკასიაზე, შამილის ფანტასტიკური მიწის შესახებ, რომელიც ასე დიდხანს იპყრობდა ევროპის ყურადღებას.

ვისაც თბილისი არ უნახავს, – გვითხრა მან, – ვერასდროს შეიქმნის ზუსტ წარმოდგენას აღმოსავლეთის ამ შუა რეგიონების შესახებ, რომლებიც რუსებს ყოველდღე აძლევენ ცენტრალურ აზიაში უფრო ღრმად შეღწევის საშუალებას, იქიდან კი სპარსეთისა და ჩინეთის შევიწროების მოლოდინში, რომ ისინი ტიბეტსა და ჰიმალაის მთებში ინგლისელებს შეეჯახებიან. თბილისი ის ერთ-ერთი ყველაზე განუმეორებელი და საინტერესო ქალაქია, რომელსაც ცნობისმოყვარე მოგზაური შეხვდება. ის საკმაოდ ახლოს არის ევროპასთან და ამიტომ არც თუ ისე რთულია იქ ჩვენი ცივილიზაციის ყველა სიკეთის მიღება და ამასთან, გვერდს ვერც აზიის ზოგიერთ უცნაურობას აუვლი.

ქალაქზე გაედინება გამჭვირვალე და ცისფერ ტალღებიანი მომხიბლავი მდინარე მტკვარი. მის ნაპირებზე სახლები აზიური დაუდევრობითაა მიმოფანტული. თუმცა ამ სახლებში იმდენივე ადამიანი ცხოვრობს, რამდენიც ჩვენს პარიზულ დიდ შენობებში, ამ სახლებს არ აქვთ ისეთი ყაზარმული იერსახე, რომელსაც დღეს ჩვენი დასავლეთის ქალაქებში ყველგან დაინახავ. ნაგებობები დიდ ფართობებზე ვრცელდება და ხშირად პლანტაციები და ბაღები მიჯნავენ ერთმანეთისგან სხვადასხვა მთავარ შენობებს. ეს განსაკუთრებით სომხების საცხოვრებელ სახლებს ეხება, რომლებიც მიწას მომჭირნეობით არ ეკიდებიან. მრეწველობითა და ვაჭრობით გამდიდრებული სომეხი თავს შერცხვენილად ჩათვლის, თუ არ ისარგებლებს ამ სიმდიდრით და საკუთარ თავსა და თავის ოჯახს სასიამოვნო შინაურ ცხოვრებას არ შეუქმნის. ის ჯერ გალერეებზე ზრუნავს, სადაც ყველგან ჯანსაღი ჰაერი მოძრაობს, შემდეგ კი კაშკაშა ფერის ფარდებზე, ხალიჩებზე, მდიდრულ და ძვირფას ავეჯზე. ამას გარდა, ის რაც მას უყვარს და სჭირდება, წყაროს წყალია, რომელიც ხშირად შორიდან გამოჰყავს, მოჩუხჩუხე შადრევნებში აგროვებს და მას მხოლოდ სიგრილის შესანარჩუნებლად და იმ სიმწვანისა და ყვავილების მოსარწყავად იყენებს, რომლებიც სახლს ტკბილი სურნელით ავსებენ.

ამბობენ და ეს ნათქვამი საკმარისად სარწმუნოა იმის ადვილად დასაჯერებლად, რომ ცხოვრების ეს საშინაო რეჟიმი განპირობებულია თბილისელი ქალების მართლაც გამორჩეული, საყოველთაოდ ცნობილი სილამაზით. ამასთან, ერთი დაკვირვების შესახებაც უნდა ითქვას, რაც უმნიშვნელო არ არის. ეს სილამაზე არც ისე უნივერსალურია, როგორც ეს ჩვეულებრივ მიაჩნიათ. უფრო მეტიც, ის მხოლოდ გარკვეულ რასებში გვხვდება და ისინი უმიზეზოდ არ ითვლებოდნენ პრივილეგირებულებად. ჰაერი, წყალი, სიმწვანე და ყვავილები რომ იყოს სილამაზისა და ტიპური სილამაზის გარკვეული წყარო, ჩვენ ვერ დავინახავდით რადიკალურ განსხვავებებს ერთსა და იმავე გარემოში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რამდენიმე თაობის შემდეგ ეს განსხვავებები კვლავ იძლევა წარმოშობისა და

სისხლის მრავალფეროვნების გარჩევის საშუალებას. ამას კი თბილისზე უკეთესად ვერსად დაადგენთ.

მაგალითად, ქალაქში და მტკვრის ნაპირზე იმ დროს გაისეირნეთ, როდესაც ქარავნები კავკასიის მთების ძირში ჩერდებიან შესასვენებლად. მე არ ვსაუბრობ იმ სხვადასხვა ტიპებზე, რომლებიც ამ მომთაბარე მოგზაურთა ჯგუფებში შეიძლება შეგხვდნენ. ამ საკითხზე არ შევჩერდებით, თორემ სათქმელი არის. ჩვეულებრივ, თავიანთი კარვების გასაშლელად ეს ქარავნები ვრცელ, ბუნებრივ მდელოებს მდინარის ნაპირებზე ირჩევენ. მათი ნაკლებობა მდინარის არც ქვემო და არც ზემო დინებებშია, სადაც მტკვარი სწრაფად ატრიალებს მეტად თვალწარმტაცი წისქვილის მეგრულ დოლაბებს. ეს თბილისში ცნობილი წისქვილია. ის ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაც კი არის. მის ნახვას იქ ჩასულ ყველა უცხოელს ვურჩევთ, ხოლო ვისაც ხატვა ეხერხება, ის არ დააყოვნებს თავისი ალბომების ფურცლებზე მის ასახვას.

თბილისში შემოსული ქარავნები ორმაგ ვაჭრობას, იმპორტს და ექსპორტს, აწარმოებენ. ისინი ზემო აზიიდან,[3] მონღოლეთისა და ჩინეთის იმპერიის საზღვრებიდანაც კი მოდიან. მათ ჩამოაქვთ აბრეშუმის ნაწარმი, პატიოსანი თვლები, ჩაი და სხვა მცენარეები, რომლებიც მხოლოდ ცენტრალური აზიის დიდი უდაბნოების მიღმა გვხვდება. ამ საქონლისა და მათი პირუტყვის ჩამოტანილი ტვირთის სანაცვლოდ, მათ თბილისში დამზადებული ან ქალაქის საწყობებში შენახული საქონელი მიაქვთ, რომელიც მუდამ მეორე ადგილზე იქნება, რადგან კავკასიის დედაქალაქი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე სამრეწველო ქალაქია.

ამის დასტურად, შეხედეთ, როგორ გარბის მძიმე ტვირთის ქვეშ მხრებში მოხრილი ეს მუშა თუ მებარგული. ის, რაც უზარმაზარ შეკვრაშია, ბევრად არის დამოკიდებული იმ სახლსა და უბანზე, თუ საიდან მოდის ეს შავი მუშა. მას ქართველი უხდის ფულს? მაშინ მას მიაქვს თეთრეული, გაწყობილი ფერადი ძაფებით, რომელიც უცნაურ ნახატებს ქმნიან, ან შალის ქსოვილები ტანსაცმლისთვის, ან თითქმის ისეთივე ლამაზი და დახვეწილი ხალიჩები, როგორიც იზმირული და სპარსულია. მაგრამ თუ სომხის სახლიდან მოდის, ფუთაში ყოველთვის იქნება იარაღი, ეგზოტიკური საქონელი და სუნამოები. საქონელი განსხვავებული იქნება, თუ საქონლის გამყიდველი და სანაცვლოდ სხვა საქონლის ამღები ბერძენი ან თათარია. რადგან ყველა ეს ეროვნება, ყველა ეს რასა თბილისში ხვდება ერთმანეთს და იქ გვერდიგვერდ ცხოვრობს.

ამას გარდა, მთელ ამ რეგიონში თბილისი არის ის ქალაქი, სადაც ძალიან იშვიათია ასე გავრცელებული დაპირისპირება და ძალადობა, რაც თითქმის ყოველთვის იჩენს თავს მსგავსი სიახლოვის პირობებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სხვადასხვა რელიგიასა და კულტურას უკავშირდება.

ამიტომ, თბილისის უკეთესად შესაფასებლად, ყველაფერზე უკეთესი მტკვრის ნაპირებზე დაბანაკებული ქარავნის მიერ შექმნილ ქუჩებში გასეირნებაა. იქ აუცილებლად მივლენ ქართველები, კაციც და ქალიც და ჩვენ პირადად შეგვეძლება ამ ულამაზესი ტიპის ცქერით აღფრთოვანება, რომელიც უეჭველად არის ადამიანის ჯიშის ერთ-ერთი უმდიდრესი წარმომადგენელი; – აღმოსავლეთის მკვიდრთა შორის, სომეხი ყველაზე მშვიდი, დინჯი და გაქნილია; ბერძენი მუშა თითქმის არაფრით განსხვავდება მცირე აზიის ქალაქებში შემხვედრი ბერძნებისგან: ის ისეთივე მოუსვენარი, საქმიანი, პატივმოყვარეა თავისი შესაძლებლობების გამო და მუდამ მზადაა თავისი ხელობის უპირატესობით დასაკვეხნად. ცნობისთვის ვიტყვი, რომ ევროპელები ძალიან ღირსეულად არიან წარმოდგენილნი თბილისში და მათ იქ ჩინებული ადგილი გამონახეს ვაჭრობისთვის. მაგრამ ოდნავ მეტი უნდა ვთქვა თათრებზე, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიან. მათ ქალაქშიც შეხვდები და სოფელშიც. ისინი არ არიან ლამაზები და მათ ვერ მიუსადაგებ კავკასიის შვილების რეპუტაციას. მაგრამ როგორც მათი შეხედულე-

ბების, ენის, გრძნობების სიამაყიდან ჩანს, მათ ჯერ კიდევ სჯერათ, რომ თავიანთი დიდი ხანის, ასლან გირეის,4 დროში არიან.

იქნება ეს გლეხი, რომელსაც ქალაქში თავისი პროდუქტი ჩამოაქვს, თუ ქალაქის მცხოვრები, რომელიც მუსლიმებისთვის ძვირფას საქმიანობას ეწევა, თათრებთან მუდამ იმ ხალხის პირისპირ აღმოვჩნდებით, რომელთა ხასიათს ვერანაირი უბედურება ვერ გატეხს, შეცვლის ან გაანადგურებს. ყირიმში, დობრუჯასა5 და კასპიის მთელ სამხრეთ სანაპიროზე ისინი ისეთივენი არიან, როგორიც თბილისში. ისინი გაქრებიან, მაგრამ არ შეიცვლებიან.

მეორე წერილი
ათი დღე თბილისში

ეს თათრები ყველაზე თავისებურნი არიან, რომლის შესწავლა შეიძლება შესთავაზო მომთმენ მოგზაურს. ჩვენ მათ კასპიის ზღვის სანაპიროებიდან აზიის უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრებამდე ვხვდებით და ტერიტორიის ამ უზარმაზარ ფართობზე ვხედავთ, რომ თავის მხრივ ის ცივილიზაციის ყველა საფეხურს გადის. ის იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, ემორჩილება ყველა მეტამორფოზს და ამასობაში, ერთი წამითაც არ იცვლის ფიზიონომიას, ხასიათს, ინდივიდუალობას, რომელიც ეთნოგრაფებს ყოველთვის უშლის ხელს მის გარშემო მყოფ მოსახლეობაში აღრევაში. თბილისის შემოგარენში მცხოვრებ თათრებს, როგორც ჩანს, საველე ცხოვრება ურჩევნიათ. ისინი ამუშავებენ მიწას ან გონივრულად მისდევენ მესაქონლეობას. მათი მოსავალი და ჯოგები დიდი რესურსია ქალაქისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებდა მის მომარაგებას, თუ თათრები მოულოდნელად მიატოვებენ ბანაკს, როგორც მათ ეს ზოგიერთ ოლქში გააკეთეს და იმ მიწების დასაკავებლად წავიდნენ, რომელიც მათ თურქეთმა გამოუყო შამილის დამარცხების შემდეგ.

ამის შესახებ, მაგალითად, ამ პატიოსან მეწარმეს ჰკითხეთ, რომლის საცხობი ქუჩაზე თვალწარმტაცად მხოლოდ იქ გამვლელი მოგზაურის მისაზიდად იხსნება. ის გიპასუხებთ, რომ მისთვის თათრებს მოაქვთ თითქმის მთელი ხორბალი, კარაქი და კვერცხი; რომ მას მხოლოდ მათი იმედი აქვს ბაზარზე სიუხვის უზრუნველსაყოფად და თავისი კონკურენციით ფასების ზრდისთვის ხელის შესაშლელად. მცხობლის ამ ჩამონათვალს მისი მეზობელი მიკიტანი სხვა მრავალ აუცილებელ პროდუქტსაც დაუმატებს. ამ მოკლე მიმოხილვით შეიარაღებული, ბაზარში მისვლისას სწრაფად დარწმუნდებით, რომ გარეუბნებში მცხოვრები თათრები თბილისის სხვადასხვა რასის კეთილი გენიები არიან.

იმისათვის, რომ ამ მომთაბარე თათრების მთელმა ურდომ ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტოს, საკმარისია, რომ მას მოუწიოს ოდნავი რელიგიური შევიწროება ან ამის საშიშროება. არსად შეხვდებით უფრო შერეულ რწმენას, როგორც კავკასიის ამ დიდ ქალაქებში. თათარი ისეთივე მუსლიმია, როგორც ქართველი,[6] მეჩეთის მინარეთი ეკლესიის გვერდით დგას და მუეძინის მონოტონური სიმღერა მორწმუნეებს იმ დროს შეახსენებს ალაჰის მოხმობას, როდესაც სხვები საინტერესო სომხური სააბატოს ზღურბლზე გადადიან. ჩვენი მზერა განსაკუთრებით თათრულმა მეჩეთმა მიიპყრო, რომლის ფასადსაც ავსახავთ. რაც შეეხება თაყვანისცემას, არ არის საჭირო იმის თქმა, რომ მისი სიმარტივე, რომელიც შეინიშნება ყველა ქვეყანაში, სადაც ერთი ღმერთის, ისლამის რელიგია ყვავის, არ შეცვლილა.

აქ, რა თქმა უნდა, ვერ ნახავ კონსტანტინოპოლის, კაიროს ან თუნდაც ალჟირის დიდი მეჩეთების არქიტექტურულ ბრწყინვალებას. ამას არავინ ელის. მაგრამ თავისთავად, ამ თათრულ მეჩეთს თავისი მაღალი, დაკბილული გალერეით საკუთარი ხასიათი აქვს და ის მოგწონს ისეთ ქალაქში, როგორიც თბილისია. თვალს განსაკუთრებით ახარებს მისი დი-

დი, გადახურული ბელვედერი, რომელსაც მუჰამედის მიმდევრების სანუკვარი ნახევარმთვარე ადგას. უეჭველია, რომ მას შევხვდებით ყველგან, სადაც ღმერთს ალაჰის სახელით მოუხმობენ.

სხვა რელიგიის მიმდევართათვის, კარგი იქნებოდა თუ თბილისიდან ისე არ წავლენ, რომ ერთხელ მაინც არ ესტუმრონ მეტეხის ეკლესიასა და წმინდა დავითის მონასტერს. თუ მხოლოდ მათი ექსტერიერის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ შენობებიდან პირველი ერთი შეხედვით ციხესიმაგრეს უფრო ჰგავს, ვიდრე სალოცავ სახლს. საძირკველი მყარია და ციცაბო ხევის შვერილზე დგას. მისი ღიობები ამბრაზურებს ჰგავს და შიგნით უნდა შეხვიდე იმ ყოველივეს სანახავად, რაც ქრისტიანულ ტაძარს ქმნის. რაც შეეხება მონასტერს, თბილისში ცნობილია მისი კიბე, მისი ზარი კი ის ზარია, რომელიც დიდი დღესასწაულების დროს ყველაზე ერთგულთ თავისი მხიარული წკრიალით იზიდავს. კავკასიის ქრისტიანული მოსახლეობისთვის დავითის დღესასწაულზე უფრო ლამაზი და პომპეზური ცერემონიები არ არსებობს. იქ შორიდან მიდიან; ხალხი იკრიბება სათაყვანო სიწმინდეების ირგვლივ და მონასტერი ყოველწლიურად მდიდრდება ხალხის ღვთისმოსავი შემოწირულებებით.

ამ ორი დაწესებულების მონახულება მათთვისაც კი ღირს, ვინც აღმოსავლური ქრისტიანობის ყველა ღირსშესანიშნაობას იცნობს. დასავლურ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილ ადამიანს ხანდახან აოცებს ძველი აღთქმიდან მოხმობილი წმინდანთა ეს სახელები, რომელთა სადიდებლად არის აგებული ეკლესიები და ამიტომ საკითხავია, როგორ შეიძლება დედაქალაქი წმინდა ისააკის,[7] მონასტერი კი წმინდა დავითის ან სხვა ცნობილი და წმინდა პიროვნების დაცვის ქვეშ იყოს, რომელიც დადგენილი წესით არასოდეს შერაცხილა წმინდანად. ეს განცვიფრება სრულიად შეუფერებელი იქნებოდა აღმოსავლეთში, როგორც მართლმადიდებლებს, ასევე ძველი ბერძნული სამყაროს დანარჩენ ქრისტიან მოსახლეობას შორის. აქ მოხდა ძველი და ახალი აღთქმის სრული შერწყმა და ყველაზე პატივსაცემი წმინდანები ყოველთვის არ არიან ისინი, ვინც ახლახან დაიმკვიდრა ადგილი აღმოსავლეთის ოქროს ლეგენდაში. სანამ ბერძნებს, მოსკოველებს, სომხებს თუ სირიელებს ვხვდებით, ჩვენ არ ვიდავებთ ამ მტკიცების ჭეშმარიტების გამო. მე ისინი მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ თბილისის კედლებში მათ ერთმანეთში მეტ-ნაკლებად შერწყმულ და შერეულებს ვხედავთ, თუმცა იმავე ფაქტს ვხვდებით კოპტების[8] მოსახლეობაში ნილოსის ნაპირებსა და აბისინიელებს შორისაც,[9] სადაც დღემდე გვხვდება ადრეული ქრისტიანობის კვალი.

იმ მიმზიდველობის მიუხედავად, რომელიც ამ კვლევებს შეიძლება ჰქონდეს იმისთვის, ვინც ცხოვრებისეულმა სირთულეებმა თუ მოგზაურობამ სამშობლოდან შორს გაიტაცა, უნდა გამოვტყდე, რომ მათ ჩემი ფიქრები მხოლოდ იმ ათი დღის განმავლობაში მოიცვეს, რომელთა გატარებაც თბილისში შევძელი. ყველაზე მეტად კი ადამიანთა იმ რასების ცხოვრების სხვადასხვა სანახაობამ მომხიბლა, რომლებთანაც ურთიერთშეხება მქონდა. აი, რატომ დავდიოდი ყოველდღე მეიდნის ბაზარში და ვსეირნობდი მტკვრის ნაპირზე, სადაც ამჟამად აზიური ქარავანია დაბანაკებული. თავისი ძლიერ დატვირთული აქლემებით ის თბილისის უბრალო ხალხის დიდი ცნობისმოყვარეობისა და ვნებათაღელვის ობიექტი იყო, განსაკუთრებით კი იმათი, ვისაც ადგილობრივი ნაწარმით სავსე თავისი მაღაზიების დაცლის იმედი ჰქონდა.

ჩემს ნაცნობებს შორის იყო ქალაქში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული სომეხი ვაჭარი, რომელიც ხალისით აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. მე კვლავ ვხედავ გრძელი, ჭაღარა წვერით ნახევრად დაფარულ, მისი ლამაზი და კეთილშობილი სახის ანტიკური ქანდაკებების მსგავს ნაკვთებს და თავზე მდიდრულ ასტრახანულ ქუდს. ვაჭრობას ის ყველაზე კეთილშობილ პროფესიად მიიჩნევდა და იმაში, თუ როგორ ახორციელებდა მას, მართლაც იყო რაღაც ამაღლებული და გრანდიოზულიც კი, რაც ზოგჯერ მისი იდეების

მიმდევრად მხდიდა. ის ყოველდღე მაკითხავდა და ჩვენ ერთად მივდიოდით ქარავანთან, რომელიც დიდი და მცირე ბუხარისა[10] და დიდი უდაბნოების მეზობლად მდებარე სპარსეთის ჩრდილოეთი საზღვრებიდან მოსული ვაჭრებისგან შედგებოდა.

ყოველი ვიზიტის წინ ჩვენ რომელიმე ამქრის უსტაბაშთან ვჩერდებით. მათ შორის მართლაც იყო რამდენიმე ძალიან გამორჩეული კაცი. მათი ნიჭი და უნარი დასავლეთის ნებისმიერ დიდ სამრეწველო ცენტრს მოერგებოდა. სხვათა შორის, მახსოვს ერთი სომეხი კაცი, რომელიც შალის ქსოვილის წარმოებას ხელმძღვანელობდა. ის საფუძვლიანად იცნობდა ყველა საფეიქრო მასალას, მათ შესაძლებლობებს, უარყოფით მხარეებს და უპირატესობებს, რის შესახებ კომპეტენტურობით საუბრობდა. მისთვის რომ მოგესმინათ, არასდროს იტყოდით, რომ ის კავკასიის თავმდაბალი ხელოსანი იყო. იმის გათვალისწინებით, რასაც ის ამბობდა, მანჩესტერელი[11] მუშა ათჯერ დააგროვებდა კოლოსალურ ქონებას. სხვა დროს ჩემი ვაჭარი შენობების მომპირკეთებელ დურგალთან ან მეიარაღის სახელოსნოში ჩერდებოდა. დღეს, ბოლო მსოფლიო გამოფენის[12] შემდეგ, უკვე ვიცით, რომ სამეგრელოში საცხოვრებელი სახლის სამშენებლო ხე ზუსტად ისე მუშავდება, როგორც ნიურნბერგის სათამაშოები;[13] ხოლო კავკასიის ცივი იარაღის რეპუტაცია დამასკურს თითქმის არაფრით ჩამოუვარდება. ბოლოს, იმ დღეს, როდესაც ყველა გარიგება დადო მომთაბარეებთან, ჩემმა სომეხმა მათ წვეულება გაუმართა, რომლის მთელი დატვირთვა მოხეტიალე მუსიკოსებს დააწვათ. მე შემეძლებოდა თქვენთვის ამის აღწერა, მაგრამ ახლა *sat prata bibnerunt*.[14]

შენიშვნები

1 ფრანგი ჟურნალისტი ჟოაკიმ უნო (1824-1889), რომელიც პრესაში ჟორჟ ბელის ფსევდონიმით წერდა, 1853-1854 წლებში კრიტიკული ხასიათის ლიტერატურულ წერილებს აქვეყნებდა ჯერ ალექსანდრე დიუმას გაზეთში, *Mousquetaire*-ში, სამოციან წლებში ის ყოველდღიურ გაზეთებში *La France* (1862-1937), *La Presse* (1836-1952) და *La Liberté* (1866-1940) მუშაობდა; სამოცდაათიან წლებში ის *L'Illustration*-ის ერთ-ერთი რედაქტორი, 1883 წლიდან კი რეგიონული ყოველდღიური გაზეთის, *Moniteur du Puy-de-Dome*-ის მთავარი რედაქტორი იყო. ვებ-გვერდი: https://fr.wikipedia.org/wiki/Georges_Bell (ნანახია: 4/10.2024)

2 „თათარი" ძირითადად თურქულენოვან მუსლიმ მოსახლეობას აღნიშნავდა. ტერმინი მიესადაგებოდა არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანელებად ჩაწერილ მოსახლეობას, არამედ ყაზანელ თათრებსა და თურქებსაც. ისინი მოსული იყვნენ ბაქოს, ელისავეტოპოლის, ერევნის გუბერნიებიდან, ნუხადან, ნახიჭევანიდან, ორდუბადიდან, ერევნიდან. ქალაქებიდან გადმოსახლებული „თათრები" თუ ოჯახებით მოდიოდნენ, სოფლის მოსახლეობა ძირითადად მარტოხელანი იყვნენ. უნდა ითქვას, რომ თათრების მიგრაცია თბილისში ინტენსიური არ იყო, თუმცა ის მაინც მუდმივად მიმდინარეობდა" (როლანდ თოფჩიშვილი, თეიმურაზ გვიმრაძე, ეთნოლოგიური თბილისი. თბილისელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა (თოფჩიშვილი, გვიმრაძე 2017:57).

3 ზემო აზიაში (la Haute-Asie) იგულისხმებოდა ტიბეტი, სინძიანი და მონღოლეთი, ასევე შიდა მონღოლეთი, ზოგჯერ ბაიკალის სამხრეთ ნაწილი და ალთაის შორის მდებარე ცენტრალური ციმბირის სამხრეთი ნაწილიც.

4 ავტორი გულისხმობს ყირიმის უკანასკნელი ხანის, შაჰინ გირეის (1745-1787) ვაჟს, სულთან არსლან გირეის – ყუბანის სერასკირს, რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომის მონაწილეს (ასფელდი 1827: 29).

5 დობრუჯა ან დობრუდჯა – ისტორიული ოლქი, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ დობრუჯას რუმინეთში და სამხრეთ დობრუჯას ბულგარეთში. მდებარეობს მდინარე დუნაისა და შავ ზღვას შორის.

6 ავტორი უზუსტობას უშვებს, როგორც ჩანს, მან არ იცოდა, რომ ქართველები მართლმადიდებლები არიან.

7 ავტორი სანქტ-პეტერბურგის წმინდა ისააკის საკათედრო ტაძარს გულისხმობს.

8 კოპტები – ეგვიპტის მკვიდრი, უმსხვილესი ეთნორელიგიური და ქრისტიანული ჯგუფი.

[9] აბისინია – ეთიოპიის ძველი არაოფიციალური სახელწოდება.

[10] დიდი ბუხარა – ისლამის შვიდი წმინდა ქალაქიდან ერთ-ერთი, საუკუნეების განმავლობაში იყო ვაჭრობისა და ისლამის ცენტრი; მუსლიმებმა მას მიანიჭეს წოდება ბუხარო-ო-შარიფ, ანუ „დიდებული ბუხარა" (Ibbotson: ნანახია 23.12.2024)

[11] XIV საუკუნეში ფლამანდიელი ფეიქრების მანჩესტერში გადასახლების შემდეგ, ინგლისის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ეს ქალაქი შალისა და სელის ქსოვილების წარმოება-ვაჭრობის ცენტრი გახდა.

[12] ავტორი გულისხმობს 1867 წლის აპრილ-ნოემბერში პარიზში ჩატარებულ მსოფლიო გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილი იყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ხელოვნების ნიმუშები.

[13] ბავარიის ქალაქ ნიურნბერგში სათამაშოების დამზადების ტრადიცია სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს.

[14] ლათინური გამოთქმა: "Claudite jam rivos, pueri; sat prata biberunt" – „ბიჭებო, დახურეთ სარწყავი არხები, მდელოები საკმარისად მოირწყო". ამ ფრაზის მეორე ნახევარი ("sat prata biberunt") ხშირად მოყვანილია მნიშვნელობით „დასრულების დროა".

დამოწმებანი

ასფელდი 1827: Asfeld, d'L.-T. Haslam-Ghéraï, sultan de Crimée, en:Voyages et souvenirs du duc de Richelieu, président du conseil des ministres, où l'on a mêlé plusieurs fragmens des Mémoires inédits de cet homme célèbre. Deuxième édition. Paris, Pélisier, 29.

ბელი: Bell, Georges. https://fr.wikipedia.org/wiki/Georges_Bell. (ნანახია: 14.08.2020).

ბელი 1868: Bell, Georges. "Dix jours a Tiflis.L'Illustration Journal Universel". 5 septembre.

ბელი 1868: Bell, Georges. "Dix jours a Tiflis.L'Illustration Journal Universel". 12 septembre.

იბეტსენი: Ibbotson, Sophie. Bukhārā-ye Sharīf and the Holy Sites of Uzbekistan https://www.baytalfann.com/post/bukh%C4%81r%C4%81-ye-shar%C4%ABf-and-the-holy-sites-of-uzbekistansophie-ibbotson (ნანახია 23.12.2024).

თოფჩიშვილი, გვიმრაძე 2017: რ. თოფჩიშვილი, თ. გვიმრაძე. ეთნოლოგიური თბილისი: თბილისელთა ტრადიციული ყოფა დაკულტურა, თბილისი, უნივერსალი.

GEORGES BELLS REPORTS ABOUT TBILISI IN THE PAGES OF *L'ILLUSTRATION JOURNAL UNIVERSEL* (1868)

Irine Nachkebia
G. Tsereteli Institute of Oriental Studies
Ilia State University
irnat@hotmail.com

The writings of Europeans who travelled to Georgia for a various purposes in the 19th century contain comprehensive information about the geography, history, cities, population, trade, agriculture and other issues of the country. Travellers observed the socio-religious composition of the Tbilisi population and noted the significant variety of religious architecture in the city

On 5th and 12th September 1868, the weekly French magazine L'Illustration Journal universel published two stories by the French journalist Georges Belle (1824-1889). The stories were entitled "Ten Days in Tbilisi" (Dix jours à Tiflis). The journalist stated in his first letter that his story

was based on the memoirs of a young Polish officer who participated in the Caucasian Wars. Both letters contain information regarding Tbilisi, as well as details pertaining to the religion, customs and occupations of the working people residing there. The journalist mentioned two important sights in Tbilisi. One was a mill that was floating on the Mtkvari River. The other was caravans that were arriving from the east and setting up camp on its banks. Some of the most interesting places to visit in Tbilisi were the religious buildings, such as the Tatar Mosque, Metekhi Church and the Monastery of St David. It is noteworthy that Tbilisi was a city in the region where confrontation and violence, which almost always occurred in such close proximity between people of different religions and cultures, were rare.

It is evident from the available data that in the 19th century, Tbilisi played a significant multicultural role, as people of different nationalities and religions lived together there. This was a significant characteristic of the city.

George Bell's letters are accompanied by three collages based on paintings by the famous Russian artist and writer Vasily Vasilyevich Vereshchagin (1842-1904). These depict a variety of Tbilisi residents, the clothing characteristic of the crafts and genre scenes depicted. It is noteworthy that the first letter consists of two collages, while the second letter contains a third.

ჟორჟ ბელის მიერ *L'illustration Journal Universel*-ში პირველ წერილზე დართული ვასილი ვერეშჩაგინის ნახატების მიხედვით შექმნილი კოლაჟი

ჟორჟ ბელის მიერ *L'illustration Journal Universel*-ში პირველ წერილზე დართული ვასილი ვერეშჩაგინის ნახატების მიხედვით შექმნილი კოლაჟი

ჟორჟ ბელის მიერ *L'illustration Journal Universel*-ში მეორე წერილზე დართული ვასილი ვერეშჩაგინის ნახატების მიხედვით შექმნილი კოლაჟი

წიგნების მიმოხილვა

BOOK REVIEWS

სტუდენტური საისტორიო ძიებანი (III, 2023)

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

ლალი მექერიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
lali.mekerishvili@tsu.ge

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ჟურნალ *სტუდენტური საისტორიო ძიებანის* III ნომერი გამოსცა. ჟურნალის მესამე ნომერი, პირველის და მეორის მსგავსად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების საგრანტო კონკურსის მხარდაჭერით გამოიცა.

ჟურნალის მესამე ნომერზე მუშაობის პერიოდში სარეცენზიოდ შემოვიდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების სამ ათეულამდე სტატია. ფარული რეცენზირების შედეგად შეირჩა თხუთმეტი ნაშრომი, ორი სამეცნიერო თარგმანი და ერთი წყაროს პუბლიკაცია. ნაშრომები ეხება, საქართველოსა და მსოფლიოს ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს.

ჟურნალის აღნიშნულ ნომერში თსუ დოქტორანტი ზაზა ქარჩავა გვთავაზობს სტატიას *საქორწინო ურთიერთობები ხეთური კანონების მიხედვით*, რომელშიც პირველწყაროებზე დაყრდნობით მსჯელობს როგორც საქორწინო ურთიერთობებზე, ასევე მეუღლეების უფლებრივ მდგომარეობაზე.

თსუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი თემურ სიხარულიძე თავის სტატიაში *პირველი სახარება და იესო ქრისტე როგორც აპოკალიპტური წინასწარმეტყველი* საუბრობს ბიბლიაზე და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით საინტერესო შეხედულებებს წარმოადგენს.

აქვეა დაბეჭდილი თსუ დოქტორანტ ლალი მექერიშვილის სტატია *ხატმებრძოლობის დაწყება ბიზანტიის იმპერიაში*, რომელიც შუა საუკუნეების ბიზანტიის ისტორიის ამ ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს შეეხება.

თსუ დოქტორანტი ჯონდი ხუხია სტატიაში *როგორ ჩამოყალიბდა ესპანური ინკვიზიციის მმართველობის სისტემა?* განიხილავს საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს და თავის შეხედულებებსაც გვიზიარებს.

მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს თსუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი ლუკა ნებიერიძე სტატიაში *XV საუკუნის საქართველოს სამეფოს საველე არმიის რაოდენობის საკითხისათვის.* უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა სამხედრო ისტორიის შესწავლით დაინტერესება, ლუკა ნებიერიძის აღნიშნული ნაშრომიც საკითხის ირგვლივ არსებულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგს წარმოადგენს.

მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს ეხება თსუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტ სერგი ადამიას სტატია *მერი სტიუარტი და კირკ ო'ფილდის ინციდენტი.*

ისტორიოგრაფიული შინაარსის საინტერესო სტატიას გვთავაზობს თსუ ისტორიის სა-

ბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გიორგი ბარნაბიშვილი, რომელიც აანალიზებს თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძის ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებულ მოსაზრებებს, ნაშრომში საინტერესოდ არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში გადმოცემული ხედვები საკუთარ ორიგინალურ შეხედულებებთან ერთად.

უახლესი ისტორიის ცენტრის მკვლევრის, მარიამ ხამიცაშვილის, სტატია სემინოლების მეორე ომი: ბრძოლა ტერიტორიისა და თავისუფლებისთვის ეხება ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის, ე.წ. „ინდიელების“, თემატიკის კვლევას, რასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ისტორია არ აქვს, ამიტომ ავტორის მიერ აღნიშული საკითხით დაინტერესება მისასალმებელია.

თსუ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი გიორგი ქელეხსაშვილი სტატიაში *ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის* სათავეებთან განიხილავს ინდოეთის კოლონიური წარსულის დაძლევასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს.

თსუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი ნიკოლოზ ქაჯაია სტატიაში *მეორე იმპერიის კრახი. ადოლფ ტიერი და ლეონ მიშელ გამბეტა* — წინააღმდეგობის ორი გზა საკითხის საინტერესო შესწავლას გვთავაზობს.

თსუ კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის საბა კალანდარიშვილის ნაშრომში *რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის საბრძოლო მოქმედებები ოზურგეთი-ბათუმის მონაკვეთზე* საინტერესოდ არის გაშუქებული XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულის მნიშვნელოვანი მოვლენის დეტალები.

უახლესი ისტორიის ცენტრის მკვლევარი და თსუ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ნიკოლოზ სარაჯიშვილი სტატიაში *ახალი მასალები 1920-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ* განიხილავს მეტად საინტერესო დოკუმენტებს, რომლებიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და მნიშვნელოვნად ამდიდრებს მანამდე არსებულ ცოდნას საკვლევი პერიოდისა და თემატიკის ირგვლივ.

აღმოსავლეთ ევროპის უახლესი ისტორიის საინტერესო გააზრებას გვთავაზობს თსუ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი თამარ სამარგულიანი სტატიაში *„პრაღის გაზაფხული“ – კრიზისი სოციალისტურ ბანაკში.*

საბჭოთა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს — 1978 წლის აპრილის მოვლენებს ეხება თსუ საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი ზურა ჯავახიშვილი სტატიაში *ენობრივი მსაზღვრელის მნიშვნელობა საბჭოთა ეპოქაში ქართული იდენტობისთვის (1978 წლის 14 აპრილის მაგალითზე).*

თსუ სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი მელანო ბერიძე სტატიაში *ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური Track 1.5 დიალოგების შედარებითი ანალიზი,* პოსტ-საბჭოთა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენების საინტერესო ხედვას გვთავაზობს.

წყაროს პუბლიკაციის რუბრიკაში დაბეჭდილია ფილიპე V მაკედონელის მიერ თესალიის ქალაქ ლარისასთვის გაგზავნილი წერილები ძვ.წ. 217-215 წლებში, აღნიშნული მასალის ძველი ბერძნულიდან თარგმანი სამეცნიერო კომენტარებით შეასრულა გიორგი ბარნაბიშვილმა.

რაც შეეხება სამეცნიერო თარგმანის რუბრიკას, ავტორებმა წარმოგვიდგინეს სამეცნიერო ნაშრომების ნაწილების თარგმანები, კონსტანტინე მეგრელიშვილმა გერმანულიდან თარგმნა ვალტერ ლიუდე-ნოირათის *დიონიცის ხელისუფლება: მესამე რაიხის უკანასკნელი დღეები,* ხოლო როინ (ლაშა) რუხიაშვილმა კი გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის გვერდები სოციალიზმის ისტორიიდან ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი შემოგვთავაზა.

მესამე ნომერში სარედაქციო კოლეგიამ ჟურნალით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას ჟურნალის უკვე ტრადიციულ რუბრიკებთან ერთად მკითხველ საზოგადოებას შევთავაზეთ ახალი რუბრიკა – *ჩვენი ლექტორების შესახებ*, სადაც დაიბეჭდა პროფესორ-მასწავლებლების მოგონებები იმ ლექტორების შესახებ, რომლებმაც ჩვენს პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. წინამდებარე ნომერში გთავაზობთ თსუ დოქტორანტ ოთარ გაბუნიას მოგონებას პროფესორ ჯემალ შარაშენიძეზე, თსუ ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბარნოვი პროფესორ ვასილ კაჭარავას იხსენებს, ხოლო თსუ ასოცირებული პროფესორები თეა წითლანაძე და თეა ქარჩავა თავიანთ მასწავლებელს, გურამ კუტალიას იგონებენ.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ჟურნალს უკავშირდება არის ის, რომ იგი ატვირთულია OJS სისტემაში და მისი ნომრების ნახვა ნებისმიერ მსურველს ელექტრონული სახითაც შეუძლია მისამართზე: https://shr.tsu.ge/

STUDENT HISTORICAL RESEARCHES (III, 2023)

Mikheil Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

Lali Mekerishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
lali.mekerishvili@tsu.ge

The Tbilisi State University Publishing House has recently released the third issue of the academic journal *Student Historical Researches*. Like the first and second issues, this publication was made available to the public with the support of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Student Projects Grant Competition.The editorial board has emphasized that the journal's primary objective is to maintain the trajectory already established. In particular, submissions are accepted for consideration only after undergoing a double-blind peer review process. The articles selected for publication cover a wide range of topics from both Georgian and world history, with contributions from undergraduate, master's, and doctoral students.The journal is hosted on the OJS platform, and all issues are freely accessible in electronic format at: https://shr.tsu.ge/

საინტერესო გამოკვლევა შუა საუკუნეების საისტორიო აზროვნების შესახებ

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

2024 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გრიფით გამოიცა მედიევისტიკის მაგისტრის თსუ დოქტორანტ თეა გოგოლიშვილის წიგნი *ჟამთააღმწერლისა და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ანონიმი ისტორიკოსის პროვიდენციალური მსოფლმხედველობა.*

თანამედროვე ეტაპზე სამეცნიერო აზროვნების განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული ადგილობრივი სამეცნიერო მონაპოვრების შენარჩუნებასა და დასავლური პოზიტიური მიღწევების გონივრულ დანერგვაზე.

აღნიშნული თვალსაზრისით გამონაკლისს არც საისტორიო მეცნიერება წარმოადგენს, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პირობებში მხოლოდ ერთი მიმართულებით ვითარდებოდა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საბჭოთა პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში ღირებული არაფერი შექმნილა, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ პოლიტიკურ-იდეოლოგიური დიქტატი თავის გავლენას ახდენდა საისტორიო მეცნიერებაზე და აფეხრებდა მის განვითარებას.

ვითარება იცვლება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ქვეყანა და შესაბამისად, სააზროვნო სისტემაც გათავისუფლდა ერთი კონკრეტული იდეოლოგიის ბატონობისაგან, ეს დაეტყო საისტორიო მეცნიერებასაც, როდესაც დაიწყო ახალი თეორიების შემოსვლა და დანერგვა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, ამიტომ განსაკუთრებით მისასალმებელია მედიევისტიკის მაგისტრის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების დოქტორანტ თეა გოგოლიშვილის მცდელობა შეისწავლოს შუა საუკუნეების საისტორიო აზროვნება განსხვავებული და მეტად ორიგინალური ხედვით.

თეა გოგოლიშვილის ნაშრომი *ჟამთააღმწერლისა და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ანონიმი ისტორიკოსის პროვიდენციალური მსოფლმხედველობა* ორიგინალური გამოკვლევაა, სადაც ავტორი ცდილობს ისტორიის შედარებით მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეისწავლოს შუა საუკუნეების სააზროვნო სისტემის მენტალური სურათების მთელი სპექტრი. მონოგრაფიის ღირსება ის არის, რომ თეა გოგოლიშვილის კვლევა სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს, მასში გაანალიზებული ფაქტების კვლევას ქართულ სამეცნიერო რეალობაში ადგილი არ ჰქონია. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავიდანვე სწორედ საზღვრავს თავის ძირითად მიმართულებებს და აკონკრეტებს კვლევით ფოკუსს, კერძოდ, მისი ამოსავალი წერტილი არის ანონიმი ავტორების, ერთის მხრივ, ჟამთააღმწერელის *ასწლოვანი მატიანე* და ასევე უცნობი ისტორიკოსის *Gesta Francorum et aliorum Hierosolymitanorum.* თეა გოგოლიშვილის ნაშრომის ღირსებაა ისიც, რომ იგი წარმატებით აღწევს თავს ტრადიციულ პოზიტივისტურ, ფაქტებზე ორიენტირებულ მსჯელობას და ცდილობს საკითხი მენტალიტეტის გააზრებამდე მიიყვანოს, რაც უაღრესად მისასალმებელია.

ნაშრომი შესავლის, სამი თავის შესაბამისი პარაგრაფებით, დასკვნისაგან შედგება. ტექსტის ძირითად ნაწილს ერთვის , ინგლისურენოვანი რეზიუმე, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი და გამოყენებული ლიტერატურის სია.

აღნიშნული მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის *XI-XIII საუკუნეებში ომის პროვიდენციალური აღქმა ქართველ და ჯვაროსან ისტორიკოსებთან* ფარგლებში.

დარწმუნებული ვართ. თეა გოგოლიშვილის ავტორობით შესრულებული აღნიშნული გამოკვლევა კუთვნილ ადგილს დაიკავებს ქართულ ისტორიოგრაფიაში და ხელს შეუწყობს წიგნში შესწავლილი საკითხებით კიდევ უფრო მეტად დაინტერესებას.

AN INTERESTING STUDY OF MEDIEVAL HISTORICAL THOUGHT

Mikheil Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

In 2024, under the auspices of the Chair of Medieval History at the Educational and Scientific Institute of World History, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, a book by Tea Gogolishvili, Master of Medieval Studies and PhD candidate at TSU, was published under the title *The Providential Worldview of the Georgian Chronicler and the Anonymous Historian of the First Crusade.*

In the modern era, the advancement of scholarship largely depends on preserving local academic achievements while wisely incorporating positive contributions from Western scholarship. Historical science is no exception. For many decades, it developed in a single direction under the constraints of Marxist-Leninist ideology. While we cannot claim that Georgian historiography of the Soviet period produced nothing of value, it is nevertheless evident that political and ideological dictates influenced the discipline and restricted its development.

The collapse of the Soviet Union brought a new intellectual climate, freeing scholarship from the dominance of a single ideology. This transformation was also reflected in historical studies, where new theories and approaches began to emerge. Yet much remains to be done in this regard. It is therefore especially welcome that Tea Gogolishvili attempted to study medieval historical thought from a fresh and original perspective.

Her monograph, *The Providential Worldview of the Georgian Chronicler and the Anonymous Historian of the First Crusade*, represents a distinctive contribution in which the author explores the full spectrum of mental images within the medieval worldview, employing a comparative historical methodology. The merit of the work lies in its novelty: the issues examined in the study have not previously been addressed within Georgian scholarship. From the outset, the author clearly defines her research directions and establishes a well-focused approach. Her analysis begins with the anonymous authors' so-called *Hundred-Year Chronicle* on the one hand, and the *Gesta Francorum et aliorum Hierosolymitanorum* of the unknown Crusader historian on the other.

The value of Gogolishvili's research lies in its successful departure from a purely positivist, fact-oriented approach. Instead, it seeks to penetrate the mentality underlying the sources—a direction that is both innovative and highly commendable.

The work consists of an introduction, three chapters divided into corresponding subsections, a conclusion, an English-language summary, an index of personal and geographical names, and a bibliography. The monograph was published with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation *grant Provident Perception of War in the 11th–13th Centuries by Georgian and Crusader Historians.*

We are confident that Tea Gogolishvili's research will take its rightful place in Georgian historiography and stimulate further scholarly interest in the issues it addresses. This publication will appeal not only to specialists in medieval studies and historiography but also to a broader readership with an interest in medieval history.

ქრონიკა

CHRONICLE

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2024)

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
sopio.kadagishvili@tsu.ge

2024 წლის 20 დეკემბერს თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ თავისი წლიური მუშაობა შეაჯამა უკვე ტრადიციად ქცეული ერთდღიანი სამეცნიერო კონფერენციით. კონფერენცია ეძღვნებოდა წმინდა ქეთევან დედოფლის წამებიდან 400 წლისთავს. ამ დღესთან დაკავშირებით, კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ფილოლოგიის დოქტორის მაკა ნაჭყებიას წიგნის – *ქეთევან დედოფალი XVII-XVIII სს ქართულ და ევროპულ მწერლობასა და ისტორიულ წყაროებში* – პრეზენტაცია.

კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობას ინსტიტუტის, კონკრეტულად კი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომლები წარმოადგენენ, თუმცა, ყოველ წელს კონფერენციის ორგანიზატორები რამდენიმე მომხსენებელს იწვევენ ინსტიტუტის გარედან. ამჯერად, მოწვეული მომხენებლები იყვნენ მანუჩარ გუნცაძე (კავკასიის უნივერსიტეტი), ირაკლი ფაღავა (გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), ნიკოლოზ ჟღენტი (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ნარი ჩხაბერიძე (დამოუკიდებელი მკვლევარი) და მარიამ ბეჟიტაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

კონფერენციას თავმჯდომარეობდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და

წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას მიმართა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა. მან შეაჯამა განყოფილების წლიური საქმიანობა, ისაუბრა სამომავლო პერსპექტივებზე და კონფერენციის მონაწილეებს ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

პირველი მომხსენებელი კონფერენციის თემატიკიდან გამომდინარე ნარი ჩხაბერიძე გახლდათ. მისი მოხსენება ეხებოდა წმინდა ქეთევან დედოფლის მარტვილობას ქართული და ევროპული წყაროების მიხედვით. ნიკოლოზ ჟღენტმა წარმოადგინა ამაშუკეთის სავანის წმ. გიორგისა და „კოზმანის“ ეკლესიების ძველი ქართული წარწერების შესახებ მოხსენება. *ქართლის ცხოვრების* მიხედვით ძვირფასეულობასა და „პატიოსან თვლებზე“ ისაუბრა ქეთევან ქუთათელაძემ; მეფე სოლომონ პირველის იტინერარის შესახებ ანტონ გიულდენშტედტისა და იაკობ რაინეგსის ნაშრომებში მოხსენება წარმოადგინა ალექსანდრე თვარაძემ. შაჰანშაჰ ჰორმიზდ-არდაშირს და მის ურთიერ-

თობას ქართლის სამეფოსთან ეხებოდა მარიამ ჩხარტიშვილის მოხსენება. მცირე შესვენების შემდეგ, კონფერენცია გაგრძელდა ირაკლი ფაღავას მოხსენებით: *მარაბდის ბრძოლა (1625): ტაქტიკური სამხედრო-ისტორიული ანალიზი*. ენგურის ხეობის დასახლების ისტორიისა და ისტორიულ გეოგრაფიაზე ისაუბრა პაპუნა გაბისონიამ, რის შემდეგაც ვახტანგ გოილაძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება ცურტავის მდებარეობის შესახებ. შუა საუკუნეებში ტომისა და ნათესავის მნიშვნელობაზე ისაუბრა სოფიო ქადაგიშვილმა, რასაც მოჰყვა ზურაბ თარგამაძის მოხსენება *საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე – ისტორიული სინამდვილის გააზრებიდან პოლიტიკური დისკურსის ფორმირებამდე*. ბოლო სამი მოხსენება ეხებოდა ახალ პერიოდს. მარიამ ბეჟიტაშვილმა წარმოაჩინა XXI საუკუნის ინგუშეთში მიმდინარე პროტესტის დინამიკა და გამოწვევები. ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რელიგიურ იდენტობას ეხებოდა ქეთევან მანიას მოხსენება. კონფერენციის ბოლო მომხსენებელმა, მანუჩარ გუნცაძემ კი არქივმცოდნეობის განვითარების ისტო-

რიაზე, პრობლემებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია ერთგვარად კამერული ხასიათისაა, სულ ერთ დღეს გრძელდება, რის გამოც მონაწილეთა რაოდენობა და წარმომადგენლობაც მასში შეზღუდულია, წლების განმავლობაში აღნიშნული ღონისძიება სულ უფრო მეტ მსმენელს და გულშემატკივარს იკრებს. კონფერენციას ესწრებიან და დებატებში აქტიურად არიან ჩართულნი არა მხოლოდ კვლევითი და სასწავლო დაწესებულების თანამშრომლები, მათ შორის, ახალგაზრდა მკვლევრებიც, არამედ სტუდენტებიც. მათი ერთობლიობა ქმნის თაობათა ჯაჭვს, ცოცხალ სოციალურ ურთიერთობებს, რომელიც შეუცვლელია. იმედი გვაქვს, განყოფილების ეს ღონისძიება არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას და მომავალშიც მუშაობის საინტერესო შედეგებს წარმოუდგენს ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას.

ANNUAL CONFERENCE OF THE DEPARTMENT OF MEDIEVAL GEORGIAN HISTORY AND SOURCE-STUDIES (2024)

Sopio Kadagishvili
TSU, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology
sopio.kadagishvili@tsu.ge

On December 20, 2024, the Department of Medieval Georgian History and Source Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology at TSU concluded its annual activities with the traditional scientific conference. This year's conference was dedicated to the 400th anniversary of the martyrdom of Saint Queen Ketevan. Within the framework of the event, Maka Nachkebia presented her book *Queen Ketevan in Georgian and European Literature and in 17th–18th Century Historical Sources.*

As in previous years, most of the participants were research fellows of the institute, although the organizers also invited several speakers from outside. The conference was chaired by Mariam Chkhartishvili, Head of the Department of Medieval Georgian History and Source-Studies. Following the opening remarks, Giorgi Tcheishvili, Director of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, addressed the participants and the audience. He reviewed the department's annual activities and wished the attendees fruitful work.

Over the years, this scientific forum has increasingly attracted and united scholars and listeners from various academic and educational centers. Their collaboration fosters intergenerational continuity and valuable scholarly dialogue. We hope that this tradition will continue to maintain its importance and present significant research outcomes to a broad audience in the years to come.

სანახებნი ქართლისანი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები
გიორგი ჭეიშვილის ახალი წიგნის პრეზენტაცია ევროპის უნივერსიტეტში

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
sopio.kadagishvili@tsu.ge

2025 წლის 22 თებერვალს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ზურაბ ჟვანიას სახელობის საპარლამენტო დარბაზში გაიმართა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის და დირექტორის, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორის ისტორიის დოქტორის გიორგი ჭეიშვილის წიგნის – *სანახებნი ქართლისანი, ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები* (თბილისი, გამომცემლობა AUREUS, 2024, 215 გვ.) – პრეზენტაცია.

წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო სტატიების კრებულს. ეს სტატიები წლების მანძილზე სხვადასხვა აკადემიური მედიის საშუალებით მიეწოდებოდა სამეცნიერო საზოგადოებას.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ცენტრების და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. პრეზენტაცია გახსნა და დამ-

სწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ალექსანდრე ნონეშვილმა. ნაშრომის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელმა მკვლევრებმა : როლანდ თოფჩიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, იულონ გაგოშიძემ, გიორგი გაგოშიძემ, ვახტანგ გოილაძემ, ვალერიან ვაშაკიძემ, ვახტანგ ჯაფარიძემ.კოლეგების მხრიდან ნაშრომის შეფასება იყო უაღრესად დადებითი.

საერთო განწყობის ნათლად წარმოსადგენად ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობ ერთ–ერთი გამომსვლელის, კერძოდ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგის, ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* მთავარი თანარედაქტორის მარიამ ჩხარტიშვილის გამოსვლის ტექსტს შემოკლებით:

ისტორიის დოქტორის, პროფესორის გიორგი ჭეიშვილის ახალი წიგნი სანახებნი ქართლისანი, ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები მკითხველის ყურადღებას იპყრობს უკვე სათაურით: საზღვრის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა „სანახები“, გარდა იმისა, რომ წიგნის შინაარსზე წაუკითხავადაც ზუსტ მოლოდინს გვიქმნის, მიმზიდველია სიძველის გამო. დიახ, ეს წიგნი საზღვრებზეა, როგორც ფიზიკურზე , ასევე წარმოსახვითზე ანუ კულტურულზე. წიგნის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი დავით მუსხელიშვილი, ხოლო რეცენზენტები არიან ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები ალექსანდრე ნონეშვილი და ვალერიან ვაშაკიძე. წიგნი გამოცემულია ევროპის უნივერსიტეტის ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით.

წიგნში თავმოყრილია თითქმის ორი ათეული სტატია, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა სამცნიერო მედიაში (კრებულები, ჟურნალები) და რომელთა გამოქვეყნების ქრონოლოგია მოიცავს პერიოდს მეოცე საუკუნის 80–ანი წლების შუა ხანებიდან ვიდრე ოცდამეერთე საუკუნის 20–იანი წლების დასაწყისამდე. თარიღის მიხედვით ბოლო სტატია *(მესხეთის პოლიტიკური გეოგრაფია ახ.წ. საუკუნეში)*, რომელიც, ჩემი აზრით, პროფესიული თვალსაზრისით, ერთ–ერთი გამორჩეული ნაშრომია გიორგი ჭეიშვილის შემოქმედებაში, მკვლევარს *ქართულ წყაროთმცოდნეობაში* აქვს დაბეჭდილი, რაც, როგორც ჟურნალის მთავარ თანარედაქტორს, განსაკუთრებით მახარებს.

სტატიები შეეხება ანტიკურობის, გვიანი ანტიკურობის, შუა საუკუნეების ეპოქებს, ახალ დროს. ხშირ შემთხვევაში მათ აქვთ არა მარტო მეცნიერული ანუ თეორიული მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკულიც. კვლევის ფოკუსი მრავალფეროვანია: ისტორიულ– წყაროთმცოდნეობითი, ისტორიულ–გეოგრაფიული და კულტურულ–ანთროპოლოგიური, თუმც უმეტესობა მაინც ისტორიულ–გეოგრაფიული გამოკვლევაა. ამით დაიწყო მკვლევარმა და, ვფიქრობ, დღემდეც ეს სფერო მაინც მის ყველაზე ძლიერ მხარედ რჩება. ისტორიული გეოგრაფია ისტორიული მეცნიერებების ძალიან რთული დარგია. ძნელად მოსაპოვებელია წყაროებში ფაქტები, ამასთან მათი ინტერპრეტაციაც ურთულესია, რადგან საზღვრები ცვალებადია ეპოქების და ავტორების მიხედვით: სად და როდის მოღვაწეობდა წყაროს შემქნელი, ამის მიხედვით იცვლება მთელი სურათი. თუ ამას იდეოლოგიის გავლენაც დაემატა, მაშინ რეალურს კი არა სიმბოლურ გეოგრაფიას ვიღებთ და სიმბოლური და რეალური ხდომილებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხდება საჭირო.

წიგნში დაბეჭდილი ყველა სტატია კვლევითია. თითქოსდა ამაზე ყურადრების გამახვილება ზედმეტია, მაგრამ ბოლო დროინდელი სამწუხარო რეალობა ისაა, რომ ზოგჯერ სამეცნიერო პროფილის მქონე პუბლიკაციად წარმოდგენილი ნაშრომი, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ რეფერატია. ამის საპირისპიროდ, გიორგი ჭეიშვილი არ ღალატობს ქართუ-

ლი ჰუმანიტარიის საუკეთესო ტრადიციებს: წიგნში წარმოდგენილი სტატიები თავიდან ბოლომდე კვლევითია.

სტატიების თემატიკაც ძალიან საინტერესოა. მაგალითად, ერთ–ერთი მათგანი შეეხება კასპიის კარებს, რომლის აღრევა როგორც წყაროებში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ხშირია. სხვა ეძღვნება ქვემო ქართლს, რეგიონს, რომელიც საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობასში უამრავ მოვლენას აკუმულირებს. წიგნში მკითხველი ნახავს განსჯას გარეჯთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე. აქვეა მკვლევრის მეცნიერული პასუხებიც ისტორიის ზოგიერთი გამყალბებლის მიმართ.

ყველა სტატია თანაბარია პროფესიული დახელოვნების თვალსაზრისით და ამიტომ შეუნელებელი ინტერესით იკითხება. პირადად ჩემზე რეპრეზენტაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტატიამ მარმაშენის *წარწერები და ანისის პოლიტიკური გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი*. სტატია წარმოადგენს ერთადერთი ცნობის დეტალურ ანალიზს და ამ ერთი წყაროს მეშვეობით მკითხველის თვალწინ გადაშლილია ვრცელი ისტორიული კონტექსტი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სქოლოები. მარტო ამ სქოლიოების წაკითხვით ძალიან ბევრი რამის გაგება შეუძლია მკითხველს. სქოლიოები მრავალფეროვანია, ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი დეტალური და ზუსტი. ამასთან ავტორს არ ღალატობს ზომიერების გრძნობა. დამოწმებული ლიტერატურა ძირითად ტექსტში წარმოდგენილი მსჯელობის უკეთ გაგებას ემსახურება, და იმისათვის არაა გაკეთებული, რომ მრავალფეროვანი და მრავალ ენაზე გამოცემული ნაშრომების დამოწმებით ავტორმა თავი მოიწონოს. სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტებიც შეინიშნება თანამედროვე ქართველოლოგიაში და ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ.

გიორგი ჭეიშვილის ახალი წიგნი კარგი შენაძენია, პირველ რიგში, სპეციალისტებისათვის. საქართველოს ისტორიით დაინტერესებული არასპეციალისტი მკითხველებიც ბევრ საგულისხმო ფაქტს შეიტყობენ ამ პუბლიკაციის მეშვეობით.

THE GEORGIAN MARCHLANDS. STUDIES IN THE HISTORICAL GEOGRAPHY
PRESENTATION OF THE NEW BOOK BY GIORGI TCHEISHVILI AT THE UNIVERSITY OF EUROPE

Sopio Kadagishvili
TSU, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology
sopio.kadagishvili@tsu.ge

This short piece reports on the presentation (22 February 2025) of Giorgi Tcheishvili's new book The Georgian Marchlands. Studies in the Historical Geography (Aureus, 2024). The volume collects nearly twenty research articles published by the author over several decades, from the mid-1980s to the early 2020s, and focuses primarily on historical geography while also engaging source criticism and cultural anthropology. At the presentation—held at the Zurab Zhvania parliamentary hall and organized by the Archaeology Institute of Europe University—scholars from Georgian research centers and universities noted Tcheishvili's rigorous, research-based approach. The review emphasizes the methodological difficulty and importance of historical geography, highlights standout contributions (e.g., studies on the Caspian Gates, the political geography of Meskheti, Marmashen inscriptions, and issues related to Gareji etc), and notes the book's careful documentation, useful scholia, and balanced bibliography. Edited by David Muskhelishvili and reviewed by Alexander Noneshvili and Valerian Vashakidze, the volume is recommended as an important resource for specialists and an informative read for non-specialists interested in Georgian history.

ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* XXVI ნომრის პრეზენტაცია

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
sopio.kadagishvili@tsu.ge

2025 წლის 21 მარტს გაიმართა სამეცნიერო ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* მორიგი, XXVI ნომრის. პრეზენტაცია. ღონისძიება გაიმართა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სადაც თავი მოიყარეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა, გულშემატკივრებმა და ჟურნალის ერთგულმა ავტორებმა და მკითხველებმა.

ღონისძიება გახსნა ჟურნალის მთავარმა თანა-რედაქტორმა მარიამ ჩხარტიშვილმა, რომელმაც ისაუბრა გამოცემის მნიშვნელობაზე, სირთულეებსა და გამომწვევებზე, რომელიც ჟურნალის გამოცემას თან ახლავს. მან მოკლედ დაახასიათა ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* ახალი ნომერი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ჟურნალს ჰყავს 10 წევრისაგან შემდგარი რედკოლეგია, მათ შორის, სამი რედაქტორია: საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი გიული ალასანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი



მკვლევარი მარიამ ჩხარტიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მკვლევარი ზურაბ თარგამაძე. ნომრის მოცულობა A4 ფორმატის 365 გვერდს შეადგენს. მასში გამოქვეყნებულია 34 სტატია. აქედან 20 კვლევითი ხასიათისაა, ხოლო 14 არის წიგნების მიმოხილვა და ინფორმაცია სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიების შესახებ. ამ ნომრის ავტორები წარმოადგენენ სხვადასხვა წამყვან სამეცნიერო და სასწავლო–სამეცნიერო დაწესებულებას: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, საქართველოს უნივერსიტეტს, კავკასიის უნივერსიტეტს, ნეაპოლის სახელმწიფო უნ-

ივერსიტეტს, რუსეთის კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კვლევის ცენტრის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლას, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, ბითლის ერენის უნივერსიტეტს. რამდენიმე ავტორი დამოუკიდებელი მკვლევარია.

ჟურნალს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. იგი გამოირჩევა შინაარსით: კვლევითი სტატიები ეხებიან მრავალ პრობლემას, რადგან ჟურნალის მმართველი გუნდის მიერ წყაროთმცოდნეობა. როგორც სამეცნიერო დარგი, ფართოდ არის გაგებული და არ შემოიფარგლება მხოლოდ წერილობითი წყაროებით. ჟურნალი გამოირჩევა რუბრიკების მრავალფეროვნებით, მიზანი ამ მრავალფეროვნებისა არის საქართველოში ჰუმანიტარიის სფეროში სამეცნიერო ცხოვრების რაც შეიძლება სრულად ასახვა. ამასვე ემსახურება ჟურნალში ჩართული ფოტოებიც, რაც ჟურნალს ფაქტობრივ ქართული მეცნიერების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის მატიანედ ქმნის.

რედაქტორის სიტყვის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას მიმართა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერი ვაშაკიძემ. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტისათვის საამაყოა *ქართული წყაროთმცოდნეობის* წლიდან წლამდე განვითარება, რამდენადაც ის ერთ-ერთია ინსტიტუტის ორ სამეცნიერო ჟურნალს შორის, რომელიც ერიხ პლუსის (ERIH PLUS) ჟურნალების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაშია ინდექსირებული.

თანამედროვე სამეცნიერო პრობლემებზე და ჟურნალის გამოცემის საკითხებზე გაამახვილა ყურადღება *ქართული წყაროთმცოდნეობის* თანა–რედაქტორმა ზურაბ თარგამაძემ. მან აგრეთვე ისაუბრა იმ ორიგინალურ კვლევებზე, რომლებიც წარმოდგენილია გასული წლისს ნომერში – მათ შორისაა წერილობითი წყაროების ახალი თარგმანები, საარქივო მასალების პუბლიკაცია. ჟურნალის სხვა რუბრიკებზე (ქრონიკა, თვალსაზრისი, წიგნების მიმოხილვა).

დამსწრე საზოგადოებას მიმართა სარედაქციო კოლეგიის წევრმა სოფიო ქადაგიშვილმა, რომელმაც მიმოიხილა ჟურნალის სხვადასხვა განყოფილება და მათ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები, სტუმრები, რომლებმაც აუდიტორიას გაუზიარეს ჟურნალთან თანამშრომლობის საკუთარი გამოცდილება. მათ აღნიშნეს, რომ ჟურნალი სამეცნიერო სტატიის დასაბეჭდად საუკეთესო არჩევანია, რადგან სწორედ მას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ქართული წყაროთმცოდნეობის დარგის განვითარებაში.

ამ ნომრის პრეზენტაციაზე გაჟღერდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც სამომავლოდ ჟურნალს უფრო მეტად წაკითხვადს და რეიტინგულს გახდის. ჟურალმა დაიწყო ქროსრეფთან (CrossRef) თანამშრომლობა, რომელიც უზრუნველყოფს ჟურნალის თითოეული სტატიისთვის დოის მინიჭებას. ქროსრეფის დოი (DOI – Digital Object Identifier) არის უნიკალური, მუდმივი იდენტიფიკატორი, რომელიც ენიჭება ციფრულ პუბლიკაციებს, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული მასალის (სტატიის, წიგნის, კვლევის და სხვა) ერთმნიშვნელოვნად ამოცნობას და მის ხელმისაწვდომობას ინტერნეტში.

პრეზენტაციას ახლდა ჟურნალის ახალი ნომრის, ბრენდირებული აქსესუარების დარიგება და მისი ელექტრონული ვერსიის წარდგენა. სარედაქციო კოლეგია დამსწრე აუდიტორიას ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

PRESENTATION OF THE 26TH ISSUE OF THE JOURNAL *GEORGIAN SOURCE-STUDIES*

Sopio Kadagishvili
TSU, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology
sopio.kadagishvili@tsu.ge

On March 21, 2025, the 26th issue of the academic journal *Georgian Source-Studies* was presented at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of History and Ethnology. The event brought together scholars, students, and representatives of academic institutions. Co-editor-in-Chief Prof. Dr. Mariam Chkhartishvili opened the event with an overview of the journal's development, achievements, and ongoing challenges. Dr. Valeri Vashakidze followed with a speech highlighting the journal's academic reputation and its inclusion in the ERIH PLUS database. Co-editor Dr. Zurab Targamadze presented the contents of the new issue, emphasizing notable studies, newly published translations, and significant archival materials. Editorial board member Sopio Kadagishvili discussed the importance of the journal's thematic sections and their contribution to Georgian historiography. A key announcement concerned the journal's recent integration with CrossRef, which will enable each published article to receive a DOI (Digital Object Identifier) — a step that enhances the journal's visibility and accessibility in the international scholarly community. The event concluded with the distribution of the new issue, presentation of branded materials, and introduction of its digital version. Attendees then gathered for an informal reception hosted by the editorial team.

ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენცია 2025 (ნიდერლანდები, 26–29 მარტი)

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
sopio.kadagishvili@tsu.ge

ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენცია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფორუმია სოციალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებების დარგში. აღნიშნული პროფილის პირველი კონფერენცია 1996 წელს ჩატარდა და ამის შემდგომ რეგულარულად ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეს საერთაშორისო ფორუმი თავს უყრის ასეულობით მკვლევარს მთელი მსოფლიოდან.

ტრადიციულად, კონფერენციას ევროპის სხადასხვა წამყვანი უნივერსიტეტი მასპინძლობს. 2025 წელს კონფერენციის ორგანიზატორებმა ლაიდენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები) 52 ქვეყნიდან 1500 მომხსენებელი მიიწვიეს. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა კი ბევრად მეტი იყო.

კონფერენციის სამუშაო ჯგუფი ღონისძების დაწყებამდე დაახლოებით ერთ წლით ადრე იღებს მოხსენებებს, რის საფუძველზეც კომპლექტდება სექციები. ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენცია გამორჩეულია როგორც მოხსენებათა თემატური და მეთოდოლოგიური მრავალფეროვნებით, ისე მაღალი ხარისხის სამეცნიერო დისკუსიის კულტურით. თითოეული სესია სრულდება ხანგრძლივი და ინტენსიური დებატებით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას როგორც მომხსენებლების, ასევე მსმენელების პროფესიული განვითარებისათვის. აკადემიურ სივრცეში აღნიშნული კონფერენ-

ცია გამოირჩევა, არამხოლოდ მასშტაბურობით და ორგანიზების მაღალი დონით, არამედ მოხსენებების პროფესიული სრულყოფილებით და ღონისძიების მიმართ მკვლევართა ცხოველი ინტერესით, რაც დიდ შესაძლებლობას აძლევს ისტორიკოსებს, ანთროპოლოგებს, სოციოლოგებსა და პოლიტიკური მეცნიერებების წარმომადგენელ მკვლევრებს, საერთაშორისო ტრიბუნა გამოიყენონ საკუთარი ნააზრევის პოპულარიზებისათვის.

ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენციის თემატიკა ინტერდისციპლინურია. კონფერენცია მიმართულია ახალი მეთოდოლოგიების წახალისებაზე და კვლევის იმ მიმართულებების გაძლიერებაზე, რომლებიც ეხმიანებიან თანამედროვეობაში არსებულ გლობალურ ტრანსფორმაციებს.

კონფერენციის ფორმატი აგებულია პანელურ სესიებზე, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: შრომის ისტორია და გლობალური კაპიტალიზმის განვითარება; გენდერული იდ-

ენტობები და ფემინისტური ისტორიოგრაფია; მიგრაცია, დიასპორა და კულტურული გადაადგილებები, კლიმატის ცვლილება და ისტორიული გარემო პირობების ანალიზი; განათლების ისტორია და პედაგოგიური პრაქტიკების ევოლუცია; ურბანული განვითარება და სოციალური სივრცეების ტრანსფორმაცია.

კონფერენციის მიზანია არამხოლოდ ისტორიის კვლევის შინაარსობრივი გაფართოება, არამედ კვლევის ეთიკური და სოციალური მნიშვნელობის წინ წამოწე-

ვა. შესაბამისად, 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისტორიის როლს კრიზისების (პოლიტიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური) გააზრებაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს აკადემიური წრის წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენციაში. წელს კონფერენციაში მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თსუ პროგესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მარიამ ჩხარტიშვილი (მოხსენება – *ერის ცნება და წარსულის რეპრეზენტაცია ქართულ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში)* და ისტორიის დოქტორი მანუჩარ გუნცაძე (მოხსენება – *ხალხის დამოკიდებულება საბჭოთა მართველობაზე და ლიდერი, როგორც კერპი, საბჭოთა საქართველოს მაგალითზე*).

კონფერენციის დღეებში, პანელური მუშაობის პარალელურად მოეწყო წიგნების გამოფენა/გაყიდვა, რაც იძლევა უახლესი კვლევების და შრომების გაცნობის შესაძლებლობას. სექციებს შორის მონაკვეთში კონფერენციის ორგანიზატორები მომხსენებლებს ყავა/ჩაით და ტკბილეულით მასპინძლობდნენ. აკადემიურ გარემოში შექმნილი მოსასვენებელი სივრცეები კი ხელშემწყობ გარემოს ქმნიდა იდეების გაცვლისათვის.

ევროპის სოციალური ისტორიის კონფერენცია არ არის მხოლოდ აკადემიური კონფერენცია; ეს არის სივრცე, სადაც ისტორია იხვეწება როგორც ცოცხალი დისკუსიის ფორმა.

EUROPEAN SOCIAL SCIENCE HISTORY CONFERENCE (ESSHC 2025, NETHERLANDS, MARCH 26 - 29)

Sopio Kadagishvili
TSU, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology
sopio.kadagishvili@tsu.ge

The European Social Science History Conference is one of the most significant international forums in the field of social history and the humanities. Since 1996, it has brought together hundreds of scholars from around the world every two years. Hosted by leading European universities, ESSHC 2025 took place at Leiden University in the Netherlands and gathered over 1,500 speakers from 52 countries. The conference stands out for its thematic and methodological diversity, offering a space for in-depth scholarly discussion and interdisciplinary exchange. Sessions typically conclude with extended debates, providing a valuable platform for both presenters and participants to engage critically with each other's work.

ESSHC 2025 promotes new methodologies and research directions that respond to contemporary global transformations. The conference is organised around panel sessions covering a broad range of topics, including labor history, gender and feminist historiography, migration and diaspora, climate and environmental history, education, and urban development. In 2025, particular attention was given to the role of history in understanding modern crises—political, ecological, and economic. In this year there were participants from Georgia Professor Dr. Mariam Chkhartishvili and Dr. Manuchar Guntsadze. Alongside the academic program, the conference featured a book fair and informal networking spaces, reinforcing its role as a vibrant hub for scholarly dialogue and collaboration.

X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა*

ნინო გაბინაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
n.gabinashvili19@gmail.com

2025 წლის 30-31 მაისს ქუთაისში ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა*. კონფერენცია მიეძღვნა ერთი ქართული ოჯახის გამორჩეულ შვილებს – მწერალ პოლიკარპე კაკაბაძეს, მხატვარ დავით კაკაბაძეს და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ სარგის კაკაბაძეს.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და საზღვარგარეთის სხვადასხვა კვლევითი და სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებმა, პროფესორებმა, მეცნიერ-თანამშრომლებმა, დოქტორანტებმა.

კონფერენციაზე მუშაობდა ექვსი სექცია: *გრამატიკის პრობლემები და პერსპექტივები; ლექსიკოლოგიური პრობლემები; ენათა სემანტიკის ფუნქციონალური და კოგნიტური კვლევა; პედაგოგიკის პრობლემები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები; მხატვრული ლიტერატურა კულტურის კონტექსტში; თარგმნის თეორია და პრაქტიკა; ისტორია და თანამედროვეობა.*

მოხსენებები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების საინტერესო საკითხებს მოიცავდა. VI სექციას, რომელიც ისტორიაში თანამედროვე გამოკვლევებს აერთიანებდა ,თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტო-

რიის ინსტიტუტის პროფესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი. წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: ნინო გაბინაშვილი (ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი) – *„ჩვენ“/“სხვა“ დიქოტომიის აღქმა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბე-*



ბის პროცესში („ივერიის“ 1899 წლის ნომრების მიხედვით); მანუჩარ გუნცაძე (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი) – *ცხინვალის კონფლიქტის ეკონომიკური მხარე და ხიზნების საკითხი;* შოთა მათითაშვილი (კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი) – *ქართლის ეკლესიის დოგმატური მრწამსი გვიანანტიკურ ხანაში (337-627)*; დიანა მოსეშვილი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი) – *არაბული ენის როლი ჩრდილოეთ კავკასიის ენებისათვის „ჯამური“დამწერლობებისა და ორიგინალური სამწერლობო ტრადიციის ჩამოყალიბებაში.* სოფიო ქადაგიშვილი (თსუ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი) – *შუა საუკუნეების ქართული იდენტობის ზოგიერთი საკითხისთვის;* ნანა ქადარია (ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი) – *თეოფინე ჟამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ქართველი მთავრის იდენტიფიკაციისათვის*; მარიამ ჩხარტიშვილი (ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი) – *ქართული იდენტობის წრთობა XIX საუკუნეში: ილიას ღვაწლი.* სხდომის ბოლოს წაკითხული მოხსენებების გარშემო გაიმართა საინტერესო დისკუსია.

კონფერენციის სამუშაო ნაწილის დასრულების შემდეგ კონფერენციის მონაწილეები ორგანიზატორების მიწვევით ესტუმრნენ დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეას და დაათვალიერეს იქ წარმოდგენილი ექსპოზიციები.

საინტერესოდ დატვირთული დღე კი მეგობრული ვახშმით დასრულდა.

X INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE
LANGUAGE AND CULTURE

Nino Gabinashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
n.gabinashvili19@gmail.com

On May 30–31, 2025, the 10th International Scientific Conference *Language and Culture* was held in Kutaisi, organized by *the Foundation for the Development of Art and Pedagogical Sciences* in cooperation with Akaki Tsereteli State University.

The conference was dedicated to the Georgian writer and public figure Polikarpe Kakabadze, the renowned painter Davit Kakabadze, and Professor Sargis Kakabadze.The event brought together representatives of numerous research and educational institutions from Georgia and abroad. The conference featured six sections, in which participants presented papers on a wide range of topics in the humanities and social sciences.

The eventful day ended with an informal dinner shared with fellow participants.

აღმოსავლეთ ქრისტიანული და არმენოლოგიური კვლევების საზაფხულო სიმპოზიუმი (2025, 19–20 ივნისი)

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
mariam.chkhartishvili@tsu.ge

2025 წლის და 19 და 20 ივნისს, გერმანიაში, ქალაქ ჰალეში მარტინ ლუთერის სახელობის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში ჩატარდა ორდღიანი საზაფხულო სიმპოზიუმი მიძღვნილი აღმოსავლეთ ქრისტიანობის და არმენოლოგიური კვლევებისადმი, რომელსაც ორგანიზებას უწევდნენ უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლეთ ქრისტიანობისა და ბიზანტინისტიკის დეპარტამენტი და მესროპის არმენოლოგიური კვლევების ცენტრი, რომელიც აღნიშნული დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებს. სიმპოზიუმის თემატიკა ეხებოდა კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ისტორიულ კავშირებს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. დიდი იყო ინტერესი ქართველოლოგიური კვლევების მიმართ, რაც აისახა კიდეც სიმპოზიუმის განაცხადშიც, რომელშიც ნათლად ჩანდა, რომ, ორგანიზატორები მიესალმებოდნენ მოხსენებებს ქართველოლოგიურ პრობლემატიკაზეც.

19 ივნისს კონფერენცია გახსნა და მომხსენებლებს შესავალი სიტყვით მიმართა კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა კორნელია ჰორნმა, რომელმაც უკვე ამ გული-

თადი მისალმებით თავიდანვე არაჩვეულებრივი სამუშაო გარემო შექმნა იდეების გაცვლისა და მონაწილეთა დაახლოებისათვის. სიმპოზიუმის მომხსენებლები ძირითადად იყვნენ სომხეთის სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი დაწესებულებებიდან, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბრაზილიიდან, იტალიიდანად. საქართველოდან. სიმპოზიუმი ჰიბრიდული იყო და ჰყავდა ონლაინ მომხსენებლებიც.

ორდღიანი სიმპოზიუმი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. ის მოიცავდა შვიდ სექციას: *სომხეთის ისტორია და იდენტობა; გენდერის კვლევები და ქალთა ისტორია; სომხური ხელოვნება; შუა საუკუნეების სომხური ხელნაწერი კულტურა; ქრისტიანული ახლო აღმოსავლეთი; შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი კულტურა; ევროპა და სომხეთი.* ყოველი მოხსენების შემდეგ იმართებოდა ხანგრძლივი დებატები.

სიმპოზიუმის მუშაობას მრავალფეროვნება შესძინა ქართველ მკვლევართა მონაწილეობ-

ამ. თსუ პროფესორმა და თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მარიამ ჩხარტიშვილმა წაიკითხა მოხსენება *მოსე ხორენელი ქართველთა გაქრისტიანების შესახებ*. მოხსენებაში გაანალიზებული იყო მეხუთე საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის „სომეხთა ისტორიის“ მეორე წიგნის 86–ე თავი, რომლის წყარო, მომხსენებლის აზრით, არის *მოქცევაჲ ქართლისაჲს* არქეტიპული ვერსია. ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის, სოფიო ქადაგიშვილის მოხსენება მიზნად ისახავდა ქართველებისა და *სხვების* მიმართების შესახებ შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში დაცული ინფორმაციის ანალიზს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა ვენერა კოჭლამაზაშვილმა წარმოადგინა მოხსენება, რომელიც შეეხებოდა საბაწმინდის ტიპიკონის არაბული თარგმანის მნიშვნელობას სირიის მარ-

თლმადიდებელ ბერძენთა ერთობებისათვის. ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტმა ანა ლომაძემ წარმოადგინა მოხსენება *სომხური წყაროების როლი ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციაში არისტოტელეს ნააზრევის განვითარებისათვის*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ონლაინ რეჟიმში ჩაერთო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო პოპიაშვილი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება თემაზე *პროზელიტიზმი ქართულ ჰაგიოგრაფიაში.*

სამეცნიერო ღონისძებაში ქართველების ჩართულობამ სომეხ კოლეგებთან ერთად კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ საკუთარი ისტორიის კვლევა განსაკუთრებით შედეგიანია მეზობელი ერების ისტორიის გათვალისწინებით და რომ მსგავსი ღონიძიებები ძალიან საჭიროა ქართველოლოგიის განვითარებისთვის, არამხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

მესროპის არმენოლოგიური კვლევების ცენტრის, აღმოსავლეთ ქრისტიანული და ბიზანტინისტიკის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმი დასრულდა გერმანიაში სომხეთის საელჩოს მრჩევლის, ლუსინე დავთიანის გამოსვლით, რომელმაც შეაფასა ღონისძიების მუშაობა და ისაუბრა მის მნიშვნელობაზე შესაბამისი მიმართულებით კვლევების ხელშეწყობისათვის. სიმპოზიუმის დახურვისას მონაწილეებს სიტყვით მიმართა მარტინ ლუთერის სახელობის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დოქტორმა კლაუდია ბეკერმა, სხვა საკითხებთან ერთად, მან ხაზი გაუსვა სიმპოზიუმებზე ახალგაზრდა მკვლევრების მონაწილეობას და მომავალში ახალი მიმართულებების შესწავლის შესაძლებლობას. რექტორმა ბეკერმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დიდად აფასებს მესროპის არმენოლოგიური კვლევების ცენტრის მნიშვნელობას როგორც აკადემიური, ასევე კულტურული ასპექტებით.

რაოდენ კარგი იქნებოდა, რომ ანალოგიური ფუნქციის ქართველოლოგიური ცენტრიც იყოს ევროპის რომელიმე დიდი ტრადიციის მქონე უნივერსიტეტში.

საზაფხულო სიმპოზიუმი დასრულდა მეგობრული ვახშმით. კონფერენციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა დასახეს სამომავლო გეგმები. გამოიკვეთა ინტერდისციპლინური და კოლექტიური კვლევების შესაძლებლობები ფა აუცილებლობა.

SUMMER SYMPOSIUM ORIENTAL CHRISTIAN AND ARMENIAN STUDIES (2025, JUNE 19-20)

Mariam Chkhartishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
mariam.chkhartishvili@tsu.ge

The Mesrop Centre for Armenian Studies together with the Institute for Oriental Christianity and Byzantine Studies at MLU organized a Summer Symposium on July 19 and 20, 2025 – titled "Oriental Christian and Armenian Studies". It focused on cultural, religious, social, political and historical connections between Europe and the Middle East. Georgian Armenian interdisciplinary papers were also welcomed.

The scientific forum was opened and speakers were addressed by the symposium organizer, Professor Cornelia Horn, who created an favorable working environment for the exchange of ideas and bringing participants closer together. The speakers of the symposium were mainly from various educational and research institutions of Armenia, as well as from Brazil , Georgia, Italy, and the United States. The symposium also had online speakers. The two-day work was quite busy. The event included seven sections, which were divided into the following topics: Armenian History and Identity; Gender Studies and Women's History; Armenian Art; Armenian Manuscript Culture from the Middle Ages; Christian Middle East; Georgian Manuscript Culture from the Middle Ages; Europe and Armenia. Each paper was followed by a lengthy debates which contributed to the fruitful work of the symposium.

მოსაგონარი

IN MEMORIAM

მეგობრის ხსოვნას:
თამაზ გოგოლაძე – ადამიანი და მეცნიერი

ირაკლი ფაღავა
კავკასიის უნივერსიტეტი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mesefi@gmail.com

თამაზ (თაზო) გოგოლაძე გარდაიცვალა 2025 წლის 27 ივლისს, ნაშუაღამევს, 39 წლის ასაკში; ბორჯომის ხეობაში, მშობლიურ მხარეში, რომელიც გამორჩეულად უყვარდა და სადაც მომავალში დასახლებასაც ფიქრობდა. იქვე, ჩითახევის სასაფლაოზე დაკრძალეს.

თამაზი საქართველოს ისტორიის, კერძოდ, ქართული ეპიგრაფიკისა და დიპლომატიკის დარგში მოღვაწეობდა. მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კავკასიის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ; ამავე სასწავლებელში რამდენიმე სალექციო კურსსაც კითხულობდა.

პროდუქტიულობით გამოირჩეოდა. 2009 წლიდან 2025 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით სამოცამდე ნაშრომის ავტორი ან თანაავტორია. მათი უმეტესობა სამეცნიეროა, მათ შორის არის ისეთი სქელტანიანი წიგნები, როგორიცაა თრიალეთისა და ქვემო ქართლის ლაპიდარული წარწერების კორპუსები. ეს ტომები ამ დარგით დაინტერესებულ პირთა სამაგიდო წიგნებად იქცა უკვე და ასეთად დარჩება კიდევაც.



ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მსჯელობას გვთავაზობს თამაზ გოგოლაძის სტატიებიც. ვცადე მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა შეძლებისდაგვარად სრულად წარმომედგინა – შევადგინე თამაზ გოგოლაძის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. ამ სიაში წარმოდგენილი მრავალი ნაშრომი განსაკუთრებით იმით არის ღირებული, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში სრულიად ახალი, აქამდე უცნობი თუ გამოუქვეყნებელი თუ დაუფასებელი პირველწყარო შემოაქვს.

პროდუქტიულობას თაზოს სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა განაპირობებდა. მთელი დღე იჯდა თავის კაბინეტში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, პალეოგრაფიული პირებით გარშემორტყმული, და თავისთვის უჩუმრად მუშაობდა. შედეგად ბრწყინვალე შრომები იბადებოდა. მისი შრომისუნარიანობა, მით უფრო გასაკვირია, რომ მხედველობა არ უწყობდა ხელს: მაღალი ხარისხის მიოპია, ეგზოფთალმი, წარსულში ბადურის ლაზერული ფოტოკოაგულაცია.

თაზოს ძლიერ მხარეს, კაბინეტური მუშაობის პარალელურად, ველზე გასვლისა და საველე პირობებში მოქმედების უნარი და სიყვარული წარმოადგენდა. წარწერასთან მისაახლოებლად, მაღლა ასაძრომად, ტყე-ღრე კიბის თრევა ადვილი საქმე არ გახლავთ. ამან ძალიან საინტერესო აღმოჩენების გაკეთების შესაძლებლობა მისცა (ინდივიდუალურად თუ თანაავტორებთან ერთად).

ბედნიერი ვარ, რომ ბოლო ექვსიოდე თუ შვიდიოდე წელიწადი თაზოსთან – ურთიერთპატივისცემისა და სამეცნიერო თანამშრომლობის გარდა – ახლო მეგობრობაც მაკავშირებდა. სიყრმის მეგობრები, მოგეხსენებათ, ზოგჯერ იკარგებიან; იკარგებიან თუ არა, გზები მაინც იყრება. უკვე ასაკში შეძენილ მეგობართან კი მიმდინარე ინტერესები გაკავშირებს, მსგავსი მსოფლმხედველობა და ბოლოდროინდელი ერთად გამოვლილი.

თაზოსთანაც ასე იყო: ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალობა ერთმანეთის კონსულტირებაში გადაიზარდა; კონსულტირება – მეგობრობაში; მეგობრობა კი სამეცნიერო თანამშრომლობაში; იმან კი კიდევ უფრო დაგვაახლოვა.

თაზო წავიდა; მაგრამ ჩვენი მეგობრობის მოგონება ბოლომდე გამყვება. ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებდა; ეს წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. თუმცა, მაინც ვეცდები თაზოს პორტრეტის ზოგი შტრიხის წარმოჩენას. ის მანუგეშებს, რომ შესაძლებლობა მეძლევა მხოლოდ მის სამეცნიერო ინტერესებზე კი არ ვიმსჯელო, არამედ, მისი შინაგანი სამყაროც წარმოვადგინო – ყოველ შემთხვევაში, თამაზ გოგოლაძის პიროვნების ის წახნაგები, რომელნიც ჩემთან ურთიერთობაში გამოუვლენია; ცხოვრების რამდენიმე საზიარო ეპიზოდი მინდა მოვიგონო.

რატომ ვაკეთებ ამას? თუ არ დავწერ და არ გამოვაქვეყნებ, ალბათ, დაიკარგება; და არ მინდა, მცირედიც კი დაიკარგოს; ჩემი უდროოდ წასული მეგობარი ამას არ იმსახურებს. უფრო მეტიც, თაზოს პიროვნება, თაზოს ცხოვრების გზა – არა მარტო მისი პირადი ისტორიაა; მეცნიერების, ისტორიოგრაფიის ისტორიაცაა. ისტორიას კი თაზო მთელი თავისი პროფესიული ცხოვრების განმავლობაში პირნათლად და უღალატოდ ემსახურებოდა. მის პირად, ამქვეყნიერ ისტორიას წერტილი დაესვა, მაგრამ მისი ცხოვრების გზა გამოსაკვლევია; წინამდებარე წერილიც საამისოდ ერთგვარ პირველწყაროს წარმოადგენს.

თამაზ გოგოლაძე პირველად 2018 წლის 18 სექტემბერს, დევი ბერძენიშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ, მგონი, – მის მიერვე ორგანიზებულ კონფერენციაზე გავიცანი; ისიც, უფრო შორიდან. თავიდანვე ყურადღება ზრდილობიანობით მიიპყრო - უფროსი თაობის მეცნიერებისადმი განსაკუთრებული მოწიწებით იყო გამსჭვალული.

აქვე გავიხსენებ: მოგვიანებით, კოვიდის პანდემიამ ორივესთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი პიროვნება, გოჩა ჯაფარიძე, იმსხვერპლა. დაწესებული შეზღუდვების გამო ვერცერთმა მოვახერხეთ ბოლო გზაზე გაგვეცილებინა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი. როგორც კი სიტუაცია შეიცვალა, ორნი წავედით საყვარელი უფროსი კოლეგისა

და მასწავლებლის საფლავზე, და იქ მის ხსოვნას პატივი მივაგეთ.

თაზოს განა არ ესმოდა, რომ სამამულო მეცნიერება, როგორც დარგი, რეფორმირებას საჭიროებს; მაგრამ, ბოღმიანი არ იყო და დამსახურებულ ადამიანებს დამსახურებას არ უკარგავდა. საზოგადოდ, თუ ვინმე აწყენინებდა, ცდილობდა დაევიწყებინა, ხოლო სიკეთე მუდამ ახსოვდა.

უკიდურესად პატივცემულ, თბილ და ტრადიციულ ოჯახს წარმოადგენდა, რომელიც აკადემიას არ მიეკუთვნებოდა. ნათესაობა მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა: ახლო ადამიანებს ხშირად ახსენებდა – მშობლებს, დას, განსაკუთრებით ხშირად ბებოს (რას ვიფიქრებდი, რომ პირველად სასაფლაოზე ვნახავდი, შვილიშვილის გარდაცვალებაზე რომ გოდებდა). შეძლებისდაგვარად ზრუნავდა მათზე.

ამასთანავე, ჩვენმა მეგობარმა სხვა, საკუთარი, მეცნიერის გზა აარჩია, რომლისთვის, საწყის წლებში გაჭირვების მიუხედავად, არც არასდროს უღალატია. მეცნიერებაზე შეყვარებული იყო. რამდენჯერ ყოფილა, ღამის პირველ და ორ საათზე ერთმანეთთან გადაგვირეკავს, საქართველოს ისტორიისა თუ ეპიგრაფიკის ამა თუ იმ საკითხზე რომ გვესაუბრა. ან, რამდენჯერ მინახავს, მყიფე და მოყანყალე, სახელდახელოდ აწყობილ კონსტრუქციაზე აბობღებული თაზო ლაპიდარული წარწერის გადაღებისათვის სიცოცხლეს საფრთხეში როგორ იგდებდა.

მეცნიერების გზაზე თაზოს კეთილმოსურნეთა ხელშეწყობაც უსარგებლოა, მაგრამ, როგორც მეცნიერი, თავისი თავი მაინც მეტწილად თვითონვე შექმნა. გზის დამოუკიდებლად გაკაფვა ახალგაზრდასათვის ადვილი სულაც არ იყო; ამ გზაზე სვლამ თაზო გამობრძმედა. ერთი მხრივ, თავისი (არსებითი) მიღწევები ეამაყებოდა და საჭიროდ თვლიდა კიდევაც ისინი გაეზიარებინა-გაესაჯაროვებინა (მათ შორის, ტელევიზიის დახმარებითაც); მეორე მხრივ კი, ჩვეულ ზრდილობას, მორიდებულობასა და ადამიანურობასაც არ კარგავდა.

თუ როგორი ადამიანი იყო თაზო გოგოლაძე, მეტყველებს წინამდებარე გამოცემის ფურცლებზე გამოქვეყნებული ჩვენი ერთობლივი სტატია *თრიალეთის უცნობ ერისთავთ ერისთავზე, ვაჩე ბაღვაშზე.* სამეცნიერო კვლევასა და მისი შედეგების გაფორმებაში თანამშრომელ-თანაავტორთა როლები, ბუნებრივია, სხვადასხვანაირად ნაწილდება ხოლმე. ამ შემთხვევაში კვლევის შედეგები ქაღალდზე ჩემი გადატანილია, მასალა კი – სანახევროდ თაზოს მოწოდებული, და მასთან ერთად გაანალიზებული. დიდი დრო და ძალისხმევა დამჭირდა, დამერწმუნებინა, რომ ნაშრომში მის მიერ შეტანილი წვლილი სავსებით ამართლებდა თანაავტორის სტატუსს.

საზოგადოდ, თაზომ, თავისი, როგორც მეცნიერის (და ადამიანის) ფასი კარგად იცოდა, და თავისი ღირსების დაკნინებას არ ეპუებოდა. შინაგანად ძლიერი, მტკიცე ადამიანი იყო. შესაძლოა, სიყვარულით მოვიგონებთ, ფხუკიანიც.

მისი და ჩემი ურთიერთობის ერთი ეპიზოდი მახსენდება: ცნობილ აკადემიურ დაწესებულებაში სამეცნიერო კონფერენციას დავესწარით. ჩვენმა სესიამ ცოტა ადრე დაასრულა მუშაობა. სასადილო შესვენებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დრო რჩებოდა. ისეთი პირი უჩანდა, სადილი („ლანჩს“ რომ ეძახიან) მდიდრულ-გემრიელი იქნებოდა, მაგრამ მოგვიანებით თუ გაშლიდნენ. კონფერენციის მოშიებულმა მონაწილეებმა ეგ არ შეიმჩნიეს, და მეტწილად მიმოიფანტნენ, ოღონდ, „სტრატეგიულად“ მნიშვნელოვან ლოკაციას დიდად არ დაშორებულან. თაზომ იუკადრისა, ლოდინი თავისთვის დამამცირებლად ჩათვალა და სასადილოდ ახლომდებარე რესტორანში დამპატიჟა მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგიური კვლევების ცენტრში ანუ საქართველოში მოღვაწე აქტიური მეცნიერი ქართველოლოგი, სამწუხაროდ, შემოსავლით განებივრებული, იმხანად მაინც, სულაც არ იყო.

ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან სიამოვნებდა. კაბინეტის მარტოობასა და სიჩუმეში გატარებული სრული სამუშაო დღის შემდეგ, ენატრებოდა კიდევაც. ცოლ-შვილზე შეყვარებული კაცი - თაზოს მეუღლე და ორი შესანიშნავი ბავშვი დარჩა – მეგობრობისა და მეგობრებისთვის დროს ყოველთვის პოულობდა.

სხვანაირად არც შეეძლო. ქართული სუფრის მოტრფიალე გახლდათ (ოღონდ, ღვინოს ლუდს ამჯობინებდა ხოლმე); თუმცა, მთავარი მისთვის მაინც უბრალოდ მეგობრებთან ერთად ყოფნა იყო. გვიან საღამოს სამსახურს რომ დაასრულებდა, ცხვრის ქაბაბის საჭმელადაც გავსულვართ, ნაყინისაც, და ხანაც უბრალოდ ქუჩაში გაგვისეირნია, გვიმუსაიფია. რამდენიმეჯერ ლისის ტბაზე და გადაღმა დავპატიჟე, ველოსიპედით ვიარეთ; გონებრივი შრომის ადამიანს, მეგობრებთან ერთად სუფთა ჰაერზე ფიზიკური დატვირთვა, სიჩქარისა და სივრცის გაპობის შეგრძნება მოსწონდა (ერთხელ ისიც აღნიშნა, სამტრედიაში გატარებულ ახალგაზრდობას მაგონებსო).

როგორი დაუღალავიც სამეცნიერო შრომაში იყო, ისეთივე დაუზარელი - მეგობრის დახმარებაში. თაზოს თხოვნა არ ესაჭიროებოდა, გვერდში ამოდგომას თავად გთავაზობდა. მრავალჯერ მისარგებლია მისი შემწეობით. ჟამთა სიავის მიუხედავად არ იყო ორგული კაცი.

***

ზემოთ წარმოდგენილი მოკლე ტექსტი გადავიკითხე. ცოტა აბდაუბდად ნაწერი მომეჩვენა. მომიტევეთ, თაზოს გარდაცვალებიდან ზუსტად მეათე დღეს აწყობილი სტრიქონებია, დასაფლავებიდან მეექვსე დღეს. ჯერაც გაბრუებული ვარ. რანაირად? თაზო იყო, და აღარ არის. რანაირად?

თამაზ, თაზო გოგოლაძე წავიდა. ქართველოლოგიამ დიდი მეცნიერი დაკარგა; მე – მეგობარი.

IN MEMORY OF A FRIEND: TAMAZ GOGOLADZE – A SCHOLAR AND A PERSON

Irakli Paghava
Caucasus University
G.Tsereteli Institute of Oriental Studies
Ilia State university
mesefi@gmail.com

This article is a personal and scholarly tribute to late Tamaz (Tazo) Gogoladze (1986–2025), a distinguished Georgian historian specializing in epigraphy and diplomatics. Gogoladze, who passed away prematurely at the age of 39, earned his doctorate and worked at the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts and at Caucasus University, where he taught several courses.

Remarkable for his productivity, he authored or co-authored nearly sixty works between 2009 and mid-2025, including major corpora of lapidary inscriptions from Trialeti and Kvemo Kartli, which have become indispensable reference volumes in the field. Many of his studies introduced new and previously unpublished primary sources into scholarly circulation. His dedication and perseverance were especially notable given his health challenges, and his commitment extended beyond the archives to demanding fieldwork, where he made significant discoveries.

Apart for his scholarly achievements, Gogoladze is remembered for his collegiality, generosity, and friendship. The author highlights personal memories that illustrate Gogoladze's character—his diligence, modesty, intellectual independence, and devotion to both his family and his friends.

Tamaz Gogoladze's untimely death is a profound loss to Georgian scholarship, particularly in the study of epigraphy and historical sources, and to those who were fortunate to know him personally.



თამაზ გოგოლაძის სამეცნიერო შრომები

ირაკლი ფაღავა
კავკასიის უნივერსიტეტი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
mesefi@gmail.com

მკითხველს წარმოვუდგენთ ჩვენგან ნაადრევად წასული მეცნიერის – ისტორიის დოქტორის პუბლიკაციების შეძლებისდაგვარად სრულ ჩამონათვალს. ნაშრომთა უმრავლესობა სამეცნიეროა; მხოლოდ რამდენიმეა სამეცნიერო–პოპულარული.

ბიბლიოგრაფიაში შეტანილია როგორც თამაზ გოგოლაძის გამოკვლევები (ზოგჯერ თანაავტორობით დაწერილი), ასევე ის კრებულებიც, რომელთა რედაქტორი თუ სარედაქციო კოლეგიის წევრიც გახლდათ.

ყველა ნაშრომი ინდივიდუალურად გვაქვს აღრიცხული; საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მონაცემები გადავამოწმეთ ბეჭდურ გამოცემებთან შედარების გზით. რამდენიმე შემთხვევაში შევასწორეთ პაგინაციის მონაცემები. ერთ შემთხვევაში არსებითი აცდენა აღმოვაჩინეთ: საპარლამენტო ბიბლიოთეკის კატალოგში მითითებულია, რომ 2018 წლის 20-22 სექტემბერს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ მასალებში (გამოიცა 2019 წელს) დაიბეჭდა თამაზ გოგოლაძის სტატია სახელწოდებით „დღემდე უცნობი სვერელთა ფეოდალური სახლი ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით“. ასევეა კრებულის სარჩევშიც. სინამდვი-

ლეში კი, – კრებულის შიგნით თამაზ გოგოლაძის სულ სხვა სტატიაა გამოქვეყნებული (იხ. ჩვენი სიის #29; შეად. ჩვენი სიის N33-ს).“ კატალოგის შეცდომის შესახებ ეცნობა ბიბლიოთეკის თანამშრომელს.

ინფორმაცია თამაზ გოგოლაძის რომელიმე ჩვენთვის უცნობი ნაშრომის შესახებ მიღებული იქნება დიდი მადლიერებით.

2009

1. ქართლის დედოფლის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის (XVII ს-ის I ნახ.) სიკვდილით დასჯის თარიღისათვის. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX, 111-116.

2011

2. კიდევ ერთხელ ნოდარ ციციშვილის გამოსვლისა და ქართლის ფეოდალთა შეთქმულების შესახებ. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები* X-XI (2010/2011), 108-141.
3. ავთანდილ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახი და 1648-1653 წწ. შეწირულების აქტი აბელ ბარათაშვილის და მისი ძმებისა პირღებულის ღმრთისმშობელისადმი“. *თსუ, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი შრომები*, III, 165-208.
4. ლიკანის ღვთისმშობლის ეკლესიის სამრეკლოს სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული “მეფეთა მეფის ასულის თამარის” იდენტიფიკაციისათვის. *ქართველოლოგია*, იანვარი-თებერვალი, 1, 80-93 (თანაავტორი თამარ სრესელი).
5. იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი). *ქართული დიპლომატია*, 14. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი, 535-569 (თანაავტორი გოჩა საითიძე).
6. მასალები ქაიხოსრო აბაშიშვილ-ავთანდილიშვილის ფეოდალური ოჯახის შესახებ ქართველოლოგია, ნოემბერი-დეკემბერი, 4, 80-101.

2012

7. აბაშ ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური სახლის ისტორიიდან. *ქართველოლოგიური კვლევები: ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები.* ახალგაზრდა მკვლევართა ეროვნული ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, 26-27 აპრილი, 2012, თბილისი, თეზისები. სარედაქციო ჯგუფი: მარიამ ჩხარტიშვილი, მანუჩარ გუნცაძე და სხვ. თბილისი: უნივერსალი, 24-25.
8. *აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში*. დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (სამეცნიერო ხელმძღვანელი გოჩა საითიძე). საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.
9. *აბაშიშვილთა ფეოდალური სახლის ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში*. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო მაცნე (სამეცნიერო ხელმძღვანელი გოჩა საითიძე). საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი). საქართველოს ისტორიის მიმართულება. თბილისი.

2014

10. 1180-1210 წლების უცნობი სააღმშენებლო წარწერა სურამის გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიიდან ქართლის ერისთავების ბეგა I და რატი II სურამელების მოხსენიებით". *საისტორიო კრებული*, 4 (2014): 273-322 (თანაავტორი თემო ჯოჯუა).
11. *ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები* (გზამკვლევი). თბილისი, უნივერსალი.
12. *ქართული ისტორიული დოკუმენტები / Georgian historical documents.* სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი: ირმა ბერიძე, თამაზ გოგოლაძე, ბუბა კუდავა და სხვ.; თარგმანი ლადო მირიანაშვილისა. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
13. მასალები პირღებულის მონასტრისა და მისი წინამძღვრების შესახებ. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XV-XVI (2013/2014), 29-39.
14. *ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული დიპლომატიკა. დიდი ექვთიმე*. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი: არტანუჯი, 279-300.

2016

15. X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან. *ისტორიანი*, 5 (65), 60–67 (თანაავტორი ირაკლი გელაშვილი).
16. ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი და მისი მნიშვნელობა XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის სამეფოს ისტორიისათვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XVII-XVIII (2015/2016), 34-41.
17 „ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი" და მისი მნიშვნელობა XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის სამეფოს ისტორიისათვის. *ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები*, 3, 45-58. (თანაავტორინინო ხარშილაძე).

2017

18. X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან. *მრავალთავი*, 25 (2017): 180-187 (თანაავტორი ირაკლი გელაშვილი).
19. გუდარეხის მონასტრის სამრეკლოს 1278 წლის სააღმშენებლო წარწერის დაზუსტებისათვის. *საისტორიო კრებული*, 6, 148-163 (თანაავტორი ირაკლი გელაშვილი).
20. ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრი წარწერები და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XIV-XV (2016/2017): 253-265 (თანაავტორები ირაკლი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე).
21. მასალები ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილის ფეოდალური ოჯახის ისტორიისათვის. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XIV-XV (2016/2017), 83-120.

2018

22. An Inscription in Asomtavruli Script on the Akhaldaba Church, 12th-13th cc.". *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 12, N2 , 197-202.

2019

23. XVII-XVIII საუკუნეების ქართულ-სპარსული ურთიერთობების ისტორიიდან (ქართული ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით). *საისტორიო კრებული*, 7, 149-163.
24. XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ვაჭრები სეფიანთა ირანში (ისპაჰანის სომხურ ნერსესის, მინასისა და სარქისის ეკლესიებში დაცული ქართული და ქართულ-სომხური საფლავის ქვების წარწერების მიხედვით). *ეკონომიკა და ბიზნესი,* ტომი XI, N4, 205-214.

25. დოკუმენტური წყაროები (სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები) XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების (გიორგი X, ლუარსაბ II, ბაგრატ VII, სვიმონ II, თეიმურაზ I) შესახებ (წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა). I. ავტორები: ქართველიშვილი თეა (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი); ბაინდურაშვილი ხათუნა, გელაშვილი ირაკლი, გოგოლაძე თამაზი, შაორშაძე მაია, ჯოჯუა თემო; რედაქტორი მზია სურგულაძე. თბილისი: ნათლისმცემელი.
26. *თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო*. თბილისი
27. ჩითახევის ეკლესიის („მწვანე მონასტრის“) უცნობი მაცხოვრის ხატის 1684 წლის ასომთავრული წარწერა ლევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, თინათინის მოხსენიებით“. *წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“*, მიძღვნილი წმინდანის დაბადების 120 წლისთავისადმი, თბილისი-ბაკურციხე, 2019 წლის 11-13 სექტემბერი. მოხსენებათა თეზისები, 15-16.
28. XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ვაჭრები სეფიანთა ირანში (ისპაჰანის სომხურ ეკლესიებში დაცული ქართული და ქართულ-სომხური საფლავის ქვების წარწერების მიხედვით, 15-16. 17th-18th Centuries Georgian Merchants in Safavid Iran (According to the Inscription on Georgian and Georgian-Armenian Tombstones Preserved at Armenian Churches in Isfahan“, *საერთაშორისო კონფერენცია „აღმოსავლეთი და დასავლეთი: ლინგვისტური, კულტურული, ისტორიული ურთიერთობები“ / International conference „East and West: Linguistic, Cultural, Historical Interactions“.* კონფერენცია ეძღვნება აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის დაბადების 90-ე წლისთავს. [პროგრამა და თეზისები], 2019 წლის 12-15 დეკემბერი (რედაქტორი: გიორგი სანიკიძე). თბილისი, 50-52.
29. XII-XIII საუკუნეების ახალდაბის ეკლესიის მოდელის ასომთავრული წარწერა ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის მეუღლის, დიოფალთ დიოფალ ვანენისა და მისი ვაჟის მოხსენიებით. *საერთაშორისო კონფერენცია არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები*, 20-22 სექტემბერი, 2018 წელი (სარედაქციო ჯგუფი: თეონა იაშვილი და სხვ.). თბილისი, 41-50.

2020

30. *ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული დიპლომატიკა. დიდი ექვთიმე*. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი: არტანუჯი, 279-300 (მეორე გამოცემა).
31. ჩითახევის ეკლესიის (]მწვანე მონასტერი’) უცნობი ხატის 1684 წლის ასომთავრული წარწერა ლევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, თინათინის მოხსენიებით / The Asomtavruli Inscription Mentioning Prince Levan and His Wife Tinatin on the Unknown Icon of 1684 in Chitakhevi Church (“Green Monastery”)“. *Scientia*, 1, 214-250.
32. 1189-1207 წლების ლიპარიტისუბნის სააღმშენებლო წარწერა ერთიანი საქართველოს მეფეების, თამარისა და მისი მეუღლის, დავითის მოხსენიებით, *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*, IV, 271-283.

2021

33. სჳრელი - ბაღვაშთა ფეოდალური სახლის კიდევ ერთი განშტოება?! (ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით). *ბაღვაში. სამეცნიერო კრებული,* რედაქტორები: ზაზა აბაშიძე, ყარამან ფაღავა. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 130-140.
34. X-XI საუკუნეების დღემდე უცნობი ქვაჯვარას წარწერა კალონაპეტრისძისა და მიქაელ მჭედლის მოხსენიებით ქალაქ ყარსიდან (ისტორიული კარიდან) / An Unknown 10th-11th Century Stone Cross Inscription about Kalonapetrisde and Mikael the Blacksmith from the City of Kars (Historical Kar). *Scientia*, 2, 348-367.

35. დღემდე უცნობი წარწერა ნიქოზში. XV საუკუნის I ნახევრის დანიელ ნიქოზელის სავედრებელი წარწერა ნიქოზის ღმრთაების ეკლესიიდან. *ისტორიანი*, ივლისი-სექტემბერი, 3 (120) , 6-8 (თანაავტორი: ირაკლი გელაშვილი).
36. დოკუმენტური წყაროები (სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები) XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების (როსტომი) შესახებ (წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა). II. ავტორები: თეა ქართველიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი); ხათუნა ბაინდურაშვილი, ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე, მაია შაორშაძე, თემო ჯოჯუა; რედაქტორი მზია სურგულაძე. თბილისი: სამშობლო.
37. მასალები ღოდომისძეთა ფეოდალური სახლის შესახებ. *საისტორიო კრებული*, 8, 282-307.
38. ახალი ეპიგრაფიკული მასალები ქვემო ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII-XVIII საუკუნეები). *ენრიკო გაბიძაშვილი 90*. რედაქტორი ნინო მელიქიშვილი. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 88-115.
39. მასალები სურამის გვერდისუბნის ღმრთეების ეკლესიის ისტორიისათვის. *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, 14, 556-576 (თანაავტორი დარეჯან გველესიანი).
40. ერკეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის დღემდე უცნობი კანკელის ფრაგმენტი ვარდან მეჭურჭლეთუხუცესის მოხსენიებით. *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, 14, 577-579 (თანაავტორი ირაკლი გელაშვილი).

2022

41. ახალი მასალები წმიდა იოვანე მანგლელ (სააკაძის) კულტურულ-სააღმშენებლო საქმიანობის შესახებ / New Materials On The Cultural And Construction Activities of Saint Iovane of Manglisi (Saakadze). *Scientia*, 3 (2022): 502-522. (თანაავტორი დარეჯან გველესიანი).
42. 1679 წლის დღემდე უცნობი სააღმშენებლო წარწერა სოფელ ცხრუკვეთის წმიდა მარინეს ეკლესიიდან და მისი მნიშვნელობა აბაშიძეთა ფეოდალური სახლისათვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXIV, 25-37 (თანაავტორები ირაკლი გელაშვილი, დარეჯან გველესიანი).
43. *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი)*. წარწერების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თამაზ გოგოლაძემ. თბილისი, არტანუჯი.

2023

44. *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი)*. წარწერების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თამაზ გოგოლაძემ, თბილისი, 2023 (მეორე, შევსებული გამოცემა).
45. ახალი მასალები ჩორჩანელთა და ხურციძეთა ფეოდალური სახლების შესახებ (უდეს ეკლესიის ქართული ლაპიდარული წარწერები; იერუსალიმისა და სინას მთის წმინდა ეკატერინეს სახელობის ეკლესიის სააღაპე სინოდიკონები) / New materials about Chorchaneli and Khurtsidze Feudal Families (Georgian Lapidary Inscriptions of Ude Church; Agape Synodikons of Jerusalem and Saint Catherine's Monasteries, *Scientia*, 4, 267-286.
46. ბასილი მემღვიმისა და მისი ძმის, ბეშქენის სააღმშენებლო წარწერა ბჭითების ეკლესიიდან (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). *ქრონოსი*, 4, 23-36.

47. *თრიალეთის წარწერების კორპუსი (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო).* შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა თამაზ გოგოლაძემ. თბილისი: სამშობლო.
48. მასალები ქართლის ფეოდალის, ვახტანგ (ორბელ) ორბელიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის უცნობი ასპექტების შესახებ. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*, X, 470-480.
49. ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები (უდეს ღმრთისმშობლის მიძინებისა და წმიდა ნინოს ეკლესიის წარწერები) / New Epigraphic Monuments of the Feudal House of Chorchaneli (the Inscriptions on the Church of St. Nino. 21-28. *Scientia. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში*, 24-25 ნოემბერი, 2022. პროგრამა და მოხსენებები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი .
50. XVI ს-ის მიწურულისა - 1612 წლების იოვანე ავალიშვილის სააღმშენებლო წარწერა ქვათახევის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან“. 124-125. *Scientia*. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, 24-25 ნოემბერი, 2022. პროგრამა და მოხსენებები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
51. ერთი საინტერესო მინაწერი კლარჯული სვინაქსრის (A-97) აშიებიდან და მისი მნიშვნელობა ფანჩულიძეთა საგვარეულოს შესახებ / “One Interesting Inscription from the Edge of Klarjian Svinaksr (A-97) and its Meaning for the Lineage of the Panchulidze Family“. *Scientia. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში*, 27-28 ნოემბერი, 2023. პროგრამა და მოხსენებები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 140-143. (თანაავტორი დარეჯან გველესიანი).

2024

52. კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის უცნობი წარწერები“. / *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*, XI, 582-610.
53. [1179-1184 წწ.] სააღმშენებლო წარწერა-საბუთი ამირეჯიბ ქავთარ ქაჯიფაისძისა ფიტარეთის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან ერთიანი საქართველოს მეფეების -გიორგი III-სა და თამარის მოხსენიებით. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია*, XI , 571-581.
54. 1064-1073 წწ. ზაქარიას სააღმშენებლო წარწერა გოხნარის წმიდა გიორგის ეკლესიიდან ლიპარიტ IV ერისთავთ ერისთავისა და მისი შვილების – რატ ერისთავთ ერისთავისა და იოვანეს მოხსენიებით (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). *Scientia*. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, 11-13 დეკემბერი, 2024. პროგრამა და მოხსენებები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 157-158.
55. ახალი ეპიგრაფიკული მასალები მაშავერას ხეობიდან. *Scientia. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში*, 11-13 დეკემბერი, 2024. პროგრამა და მოხსენებები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, (თანაავტორი ჯიმშერ ჩხვიმიანი), 159.

56. 1064-1073 წწ. ზაქარიას სააღმშენებლო წარწერა გოხნარის წმიდა გიორგის ეკლესიიდან ლიპარიტ IV ერისთავთ ერისთავისა და მისი შვილების - რატ ერისთავთ ერისთავისა და იოვანეს მოხსენიებით (წარწერის ტექსტის დაზუსტება; ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). *Scientia*, 5.
57. წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის გარკვევის საკითხი ჩითახევის ეკლესიის (მწვანე მონასტერი) ანტეფიქსის წარწერის მიხედვით. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXVI, 41-50.

2025

58. თრიალეთის უცნობი ერისთავთ ერისთავი ვაჩე ბაღვაში (საერისთავოს ტერიტორიაზე შექმნილი ლაპიდარული წარწერების ინტერპრეტაციისთვის). *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXVII (თანაავტორი ირაკლი ფაღავა), 119-138.

უფალთან ყველა ცოცხალია:
ალექსეი ლიდოვის მოსაგონარი

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
mariam.chkhartishvili@tsu.ge

2025 წლის 29 მაისს ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შედეგად 66 წლის ასაკში გარდაიცვალა რუსი ხელოვნებათმცოდნე და ბიზანტინისტი, ხელოვნების ისტორიის დოქტორი, რუსეთის ხელოვნების აკადემიის წევრი ალექსეი მიხეილის ძე ლიდოვი. ალექსეი ლიდოვი მრავალი ათეული ნაშრომის ავტორია, მათ შორის, 30 მონოგრაფიისა და გამოფენის კატალოგის.

ალექსეი ლიდოვმა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ახალი მიმართულება – ჰიეროტოპია – დაამკვიდრა, რომელიც წმინდა სივრცეების შექმნასა და მათ კვლევას უკავშირდება. ეს ცნება და შესაბამისი მეთოდოლოგია მან XXI საუკუნის დასაწყისში შემოიტანა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ინტერდისციპლინურ კვლევით მიმართულებას, რომელმაც სწრაფად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ალექსეი ლიდოვი წმინდა სივრცის არსის გარკვევას პირველი რიგის ამოცანად განიხილავდა, ვინაიდან მას მიიჩნევდა ქრისტიანული კულტურის განვითარების მთავარ ფაქტორად.

მისი მიდგომით, ქრისტიანული გამოცდილება განისაზღვრება მრავალფეროვანი წმინდა სივრცეების შექმნით, სადაც ერთმანეთს ერწყმის ხატების (ანუ ორგანზომილებიანი გამოსახულებების), წმინდანთა ნაწილების, იკონოგრაფიული პროგრამების, ლიტურგიკის, სინათლისა და მუსიკის ეფექტები. აგრეთვე, ალექსეი ლიდოვის მეცნიერული შემოქმედების დამსახურებაა ისეთი ცნებების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა, როგორიცაა *სივრცული (სივრცულ-ლანდშაფტური) ხატი* და *ხატი-პარადიგმა*. ლიდოვი ხატად მიიჩნევდა არა მხოლოდ ბრტყელ ზედაპირზე შესრულებულ გამოსახულებას, არამედ ის ხატად მოიაზრებდა გარემოს, რიტუალს, მუსიკას, მეხსიერებაში შემონახულ სასწაულებს. ამგვარად, ხატი მის კონცეფციაში იყო მორწმუნის ცოცხალი გამოცდილება.

ქრისტიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხატი-პარადიგმა იერუსალიმია. ამიტომაც იქცა იერუსალიმის სივრცითი (სივრცულ-ლანდშაფტური) სახის ანუ ახალი იერუსალიმის შექმნა შუა საუკუნეების ქრისტიანობაში ჰიეროტოპიური შემოქმედების ყველაზე გავრცელებულ გამოვლინებად. ახალი იერუსალიმის პროტოტიპი შეიძლებოდა გაგებულიყო როგორც რეალურად არსებული მიწიერი ქალაქი, ისე – მისტიკური, *წმინდა წერილში* ნახსენები ქალაქი, რომელიც არსებობის ახალ დონეს წარმოადგენს, ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ დამკვიდრებულს. ახალი იერუსალიმის პროექტები მიზნად ისახავდა წმინდა პროტოტიპის – მიწიერი ან ზეციური იერუსალიმის – ასლების შექმნას და მისი მადლის გადატანას ახალ ადგილებში.

ალექსეი ლიდოვის წიგნმა *ჰიეროტოპია, სივრცითი ხატები და გამოსახულების პარადიგმები ბიზანტიურ კულტურაში* ისეთი ფართო აღიარება მოიპოვა, რომ ხელოვნების ისტორიისა და რელიგიური კვლევების ფუნდამენტურ ტექსტად იქცა. მის მიერ ჩამოყალიბებული ჰიეროტოპია დღეს ჰუმანიტარული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს და მომავალ თაობებს მისი ნაყოფიერი იდეები კვლავაც გაუხსნის ახალ გზებს.

მეცნიერის საერთაშორისო ცნობადობას მოწმობს თანამშრომლობისათვის მისი არაერთგზისი მიწვევა სხვადასხვა ავტორიტეტულ სამეცნიერო დაწესებულებაში, მაგალითად, პრინსტონის მოწინავე კვლევათა ინსტიტუტში და ბრიტანეთის აკადემიაში. ალექსეი ლიდოვი ლექციებს კითხულობდა მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტში – ჰარვარდში, პრინსტონში, ოქსფორდში, კემბრიჯში, სორბონაში.

მეცნიერს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო და არაერთი განუხორციელებელი პროექტიც დარჩა. ალექსეი ლიდოვის გარდაცვალება უდიდეს დანაკლისს წარმოადგენს როგორც მეცნიერებისათვის, ასევე მათთვის, ვინც მას პირადად იცნობდა, რადგანაც ალექსეი იყო ღვთისმოსავი, ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი, კომუნიკაბელური პიროვნება.

მე მასთან მრავალწლიანი კოლეგიალური თანამშრომლობა და, გავბედავ და ვიტყვი, მეგობრული ურთიერთობა, მაკავშირებდა. ის გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს გავიცანი ქალაქ ლენინგრადში ერთ-ერთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე. კერძოდ, ეს იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის პალესტინის შემსწავლელი საზოგადოების ლენინგრადის განყოფილების მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია „რელიგიური მოქცევა: ლეგენდა და სინამდვილე“ (1988 წლის 23 – 26 მაისი). მაშინ ორივენი დამწყები მეცნიერები ვიყავით და ამ დონის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება უკვე დიდი წარმატება იყო ჩვენთვის.

ჩემმა მოხსენებამ *(საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორი წმ. ნინოს „ცხოვრების“ ატრიბუცია და დათარიღება)*, მახსოვს, ძალიან დიდი დებატები გამოიწვია. არაერთმა მეცნიერმა მიიღო კამათში მონაწილეობა. ზოგი მხარს უჭერდა წმინდა ნინოს *ცხოვრების* უძველესი ტექსტის ადრეული დათარიღების შესახებ ჩემ თვალსაზრისს, ზოგი კი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მე, ცხადია, ჩემ პოზიციას თანმიმდევრულად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უაღრესად კორექტულად ვიცავდი. სხდომის დამთავრების შემდგომ ჩემთან მოვიდა, მაშინ ჯერ კიდევ ჩემთვის უცნობი, ალექსეი ლიდოვი და მომიწონა მოხსენება. ის კამათში არ ჩარეულა, რადგან ეს თემატიკა არ იყო მისი კომპეტენციის სფერო. თუმცა, მაგრძნობინა, რომ მოხიბლა მასალის მიწოდების ფორმამ და თვალსაზრისის დაცვის ჩემეულმა სტილმა. ეს, მართლაც, ძალიან სასიამოვნო კომპლიმენტი იყო ჩემთვის. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ მასთან კომუნიკაციის სურვილი გამიჩნდა. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა მისი ინიციატივით და გაგრძელდა ალექსეის სიცოცხლის ბოლომდე.

ალექსეი მიწვევდა მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, შევძელი მისი მიწვევის მიღება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი, საშინელი ქაოსის ვითარებაში რუსეთში წასვლის არც საშუალ-



ება იყო და აღარც ამის სურვილი მქონდა. სამაგიეროდ, ალექსეი სტუმრობდა საქართველოს საკმაოდ ხშირად. ჩემ მიერ ორგანიზებულ არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მიუღია მონაწილეობა. ყოველ ჩამოსვლაზე მჩუქნიდა თავის ახალ ნაშრომებს. საზოგადოდ, უაღრესად ნაყოფიერი ავტორი გახლდათ, ოღონდაც პუბლიკაციების დიდი ოდენობა მათ ხარისხზე უარყოფით გავლენას ვერ ახდენდა. ალექსეი ლიდოვს *ქართულ წყაროთმცოდნეობაშიც* აქვს გამოქვეყნებული გამოკვლევა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაურეკავდა თავის მეგობრებს, მოიკითხავდა და შეხვედრაზე შეუთანხმდებოდა. ერთ-ერთი პირველი მათ შორის მე ვიყავი. ყოველი ასეთი შეხვედრა ჩემთვის ძალიან ბევრის მომცემი იყო პროფესიული კუთხით. ბოლო წლებში ჩვენ შეხვედრებს ჩემი დოქტორანტებიც შემოუერთდნენ. მათ იზიდავდათ ალექსეის არაჩვეულებრივი ერუდიცია, მის მიერ ქართული და, ზოგადად, კავკასიური კულტურის ცოდნის სიღრმე. არასოდეს იღლებოდა ტაძრების მოხილვით. საქართველოდან ისე არ წავიდოდა, მცხეთაში რომ არ მოელოცა. ჰქონდა ნატიფი გემოვნება, არ დამავიწყდება ფიროსმანის შემოქმედების მისეული ანალიზი. იყო ძალიან თავისებური, ერთი შეხედვით, თითქოს ქედმაღალი, მაგრამ სინამდვილეში უაღრესად თავმდაბალი ადამიანი. მაგალითად, ჩვენი ხანგრძლივი ნაცნობობის მანძილზე არასოდეს უთქვამს, რომ მამამისი ციური მექანიკის დარგში ფართოდ აღიარებული მეცნიერი იყო და რომ, ამგვარად, ის შთამომავლობით იყო რუსული კულტურული ელიტის წარმომადგენელი.

ბოლო წლებში ალექსეი მძიმედ დაავადდა. მიუხედავად ფიზიკური უძლურებისა, ბედს არ ეპუებოდა, ცხოვრების ჩვეული რიტმით გაგრძელებას ცდილობდა. სიცოცხლე ძალიან, ძალიან უყვარდა. 2021 წელს, უკვე ფაქტობრივ განუკურნებლად დაავადებული, ჩამოვიდა

საქართველოში დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი მიძღვნილ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. კონფერენციის მერე იმდენად ცუდად გახდა, რომ მრავალი თვით საქართველოში დარჩენამ და მკურნალობამ მოუწია. ახალგაზრდები, ჩემი დოქტორანტები, იყვნენ მისი უპირველესი შემწენი ამ მძიმე ვითარებაში და ნამდვილად ის რამდენიმე წელი, რომელიც ამის შემდგომ ალექსეიმ იცოცხლა, დიდწილად მათი დამსახურებაა. ამას თავად ალექსეიც აცნობიერებდა და მათი უზომოდ მადლიერი იყო. ალექსეის ამ დამოკიდებულებას მისი ქვრივიც მარიაც იზიარებს და შემთხვევითი ალბათ სულაც არაა, რომ ალექსეის ორმოცის აღნიშვნა ამ ქალბატონმა საქართველში ჩემი და ჩემი მოწაფეების გარემოცვაში ისურვა.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ალექსეი ლიდოვი მეუღლითურთ კვლავ ესტუმრა საქართველოს. ჩვენ მის საყვარელ ადგილას ანუ მცხეთაში შევხდით და ძალიან თბილი საღამო გავატარეთ ერთად იმ იმედით, რომ მომავალ წელს კიდევ შევხდებოდით. სამწუხაროდ, ეს მომავალი წელი უკანასკნელი აღმოჩნდა ალექსეისათვის და ჩვენ ვეღარ შევხდით

ჩემ მეცნიერულ შემოქმედებაზე ლიდოვისეულმა ჰიეროტოპიულმა კონცეფციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. 2006 წლიდან მოყოლებული ამ კუთხით წმ. ნინოს *ცხოვრების* უძველესი რედაქციის ანალიზს რამდენიმე ნაშრომი მივუძღვენი ქართულ და რუსულ ენებზე. მალე კი საერთაშორისო აკადემიურ მედიაში გამოქვეყნდება აღნიშნული მიმართულებით ჩემ სამეცნიერო ძიებათა სინოპსისი ინგლისურ ენაზე.

ალექსეი ლიდოვის გარდაცვალების დღეს მისი ფეისბუკის გვერდზე დაიდო პოსტი, რომელიც, დიდი ალბათობით, მის მეუღლეს მარიას/მაშას ეკუთვნის. ამ პოსტის წაკითხვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სწორედ მისი საშუალებით შევიტყვე ალექსეის გარდაცვალების შესახებ, რაც დიდი ელდა იყო ჩემთვის. მეორეც, პოსტის ავტორმა სულ რამდენიმე სტრიქონში შეძლო არსობრივ წარმოედგინა ალექსეის პორტრეტი. სწორედ ამ პორტრეტით მინდა დავამთავრო ეს მოსაგონარი (ამ პოსტს ჩემეული თარგმანით გთავაზობთ):

> დღეს გარდაიცვალა ალექსი ლიდოვი. გარდაიცვალა მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ. შეერთო უფალს მისი ამაღლების დღეს. ჯერ კიდევ არ მაქვს ძალა ვილაპარაკო და ვწერო აქ იმაზე, თუ როგორი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო იგი, როგორი კეთილი და ბრძენი, როგორ შეეძლო ტკივილის, ტანჯვისა და წყენების დათმენა. ის სამუდამოდ ჩვენთანაა. ეს იმიტომ, რომ უფალთან ყველა ცოცხალია, ისევე როგორც ცოცხალია ჩვენი სიყვარული ალიოშას მიმართ.

ALL ARE ALIVE WITH THE LORD: *IN MEMORY OF ALEXEI LIDOV*

Mariam Chkhartishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
mariam.chkhartishvili@tsu.ge

Alexei Lidov (1959–2025), a renowned Russian art historian, Byzantinist, and founder of the concept of hierotopy-the study of creating sacred spaces – passed away at the age of 66 after a long illness. He authored numerous works, including thirty monographs, and lectured widely at leading universities worldwide. His ideas, especially the notions of spatial icons and image-paradigms, became fundamental in art history and religious studies. Mariam Chkhartishvili recalls her decades-long professional and personal friendship with Lidov, his visits to Georgia, his influence on her own scholarship, and his deep appreciation for Georgian culture. His death is described as a great loss to scholarship and to all who knew him.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალის პროფილი და სარედაქციო პოლიტიკა

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ტერმინი *წყაროთმცოდნეობა* გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, შესაძლებელია არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომების წარმოდგენაც. ტერმინი *ისტორიოგრაფია* კი გამოიყენება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მნიშვნელობით. შესაბამისად, გულისხმობს როგორც წინამოდერნის, ისე ახალი დროის შესაბამისი ტექსტების კვლევისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს.

რეგიონის ან ეპოქის არჩევანის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: წარმოდგენილი სტატია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევითი სტატიების გარდა ჟურნალში შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თუ ტექსტოლოგიური კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებიც, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებული განსჯანი, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, მილოცვები, ნეკროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები.

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ჟურნალის ელვერსია მუდმივად ხელმისაწვდომია თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ვებ–გვერდზე, ასევე ჟურნალის ვებ-გვერდზე: www.sourcestudies.ge

ჟურნალში სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. 30 მაისამდე წარმოდგენილი სტატია დაიბეჭდება იმავე წელსვე, ამ თარიღის შემდგომ შემოსული – მომდევნო წელს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შესრულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია როგორც ვორდ, ისე პდფ ფორმატში რეზიუმეებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაეგზავნოს რედაქციას შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

source-studies@tsu.ge

რედაქტორების პირად ფოსტაზე გაგზავნილი სტატია არ დარეგისტრირდება. სტატიასთან ერთად ავტორებმა უნდა გადმოაგზავნონ განაცხადის შევსებული ფორმა, რომელშიც შესაბამის ველში მითითებული უნდა იქნეს ის რუბრიკა (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები, საერთაშორისო პრეზენტაცია, თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფია, წყაროთა თარგმანი და წარდგინება, საარქივო მასალების პუბლიკაცია, კომენტარი, თვალსაზრისი, წიგნების მიმოხილვა, ქრონიკა, ინფორმაცია, ინტერვიუ, ხსოვნა და სხვ.), რომელშიც ავტორს სურს საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნება.

ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა ეფუძნება სამეცნიერო ობიექტურობას, მიუკერძოებლობას და აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფას. ყველა სტატია გადის რედაქციულ შეფასებას და რეცენზირებას. რედაქცია იტოვებს უფლებას ავტორებისაგან მოითხოვოს შინაარსობრივი, სტრუქტურული, ენობრივი და სტილისტური ცვლილებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მსჯელობის სიცხადე და წარმოდგენილი ნაშრომის ჟურნალის სტანდარტებთან შესაბამისობა.

გადაწყვეტილება გამოქვეყნების შესახებ მიიღება მხოლოდ სამეცნიერო ღირებულების გათვალისწინებით. ავტორის სტატუსი, ინსტიტუციური კუთვნილება, ეროვნება, სქესი ან პირადი ურთიერთობები სარედაქციო გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს. რედაქციის გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ ექვემდებარება მოლაპარაკებას ავტორის პრეფერენციებზე ინდივიდუალურ სტილთან დაკავშირებით.

ჟურნალი ხელმძღვანელობს აკადემიური კეთილსინდისიერების, ინტელექტუალური პატიოსნების და სამეცნიერო ეთიკის პრინციპებით.

ავტორები ვალდებულნი არიან: წარმოადგინონ ორიგინალური ნაშრომი, რომელიც არ შეიცავს პლაგიატს; მკაფიოდ მიუთითონ ყველა წყარო და დაიცვან აკადემიური ციტირების წესები; არ წარადგინონ ნაშრომი ერთდროულად სხვა ჟურნალში; პატივი სცენ აკადემიურ დისკურსს და თავი შეიკავონ შეურაცხმყოფელი ან დისკრიმინაციული ენის გამოყენებისგან.

რედაქციას უფლება აქვს გამოიყენოს პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტები და, ეთიკური დარღვევის შემთხვევაში, შეწყვიტოს განხილვის პროცესი ან უარი თქვას წარმოდგენილი ნაშრომის გამოქვეყნებაზე.

AI–ს გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დამხმარე საშუალებად, მაგალითად, სტილის, გასაუმჯობესებლად. ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის შექმნისათვის AI–ის გამოყენება უნდა იქნეს გარკვევით მითითებული. რედაქცია იტოვებს უფლებას უარი თქვას გამოქვეყნებაზე თუ AI–ის გამოყენება იყო ნაშრომის შედეგის მისაღებად კრიტიკულად გადამწყვეტი.

სტატიის ენა

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში – რუსულად.

სტატიის სტრუქტურა

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

სტატიის სათაური

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

ავტორის სახელი და გვარი

გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

ავტორის აფილაცია

ინფორმაცია ავტორის აფილაციის შესახებ (ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართიც) უნდა მიეთითოს ავტორის სახელის და გვარის ქვემოთ, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 11.

ძირითადი ტექსტი

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

შენიშვნები (სათაური)

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

შენიშვნები (ტექსტი)

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

დამოწმებანი (სათაური)

გამუქებული, ფონტის ზომა 12,

დამოწმებანი (ტექსტი)

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ფონტი

სილფაენი (Sylfaen) ყველა ენისათვის.

აბზაცი

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ (tab), რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

შემოკლებები

სტატიაში დაშვებულია მხოლოდ შემდეგ სიტყვათა შემოკლებების გამოყენება: იხილეთ – იხ., შედარებისათვის/შეადარეთ – შდრ., მაგალითად – მაგ., ე. ი., სხვ., ა. შ., ახალი წელთაღრიცხვით – ა. წ., ძველი წელთაღრიცხვით – ძვ. წ. სტატიაში კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული თარიღების, ასევე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების მითითებისას, ოღონდ მხოლოდ ფრჩხილებში დასაშვებია შემოკლება შემდეგი ფორმით (სს., წწ.), სხვა შემთხვევაში, ტექსტშიც და შენიშვნებშიც უნდა დაიწეროს სრულად.

სტატიაში სახელების მითითებისას აუცილებელია პირველად ხსენების შემთხვევაში დაიწეროს სრულად, დანარჩენ შემთხვევაში სახელის ინიციალი, მარტო პირველი ასობგერა. მაგალითად ი. ჯავახიშვილი ნაცვლად ივ. ჯავახიშვილისა. სტატიაში კანონიზებული წმინდანების ცხოვრებების სათაურების მითითების შემთხვევაში აუცილებელია, რომ სათაურის წინ აღინიშნოს მათი წმინდანობის სტატუსი შემდეგი სახის შემოკლებით – წმ.

ციტირება

ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალით. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეიწიოს აბზაცის დონეზე ორივე მხრიდან, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაიწეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში [...]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადოდ აღნიშვნასთან ერთად დამოწმებაში უნდა მიეთითოს საწყისი და საბოლოო გვერდები.

სასვენი ნიშნები

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

მოცულობა

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

რეზიუმე

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა თარგმნილ იყოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ

ლიტერატურის მითითების წესი

დამოწმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამოწმებანი დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამოწმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

ლიტერატურის დამოწმების კონკრეტული მაგალითები

ა) დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი 2009: 5).
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი ერთი ავტორის ნაშრომი:
ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**
ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო,* ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: 64)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი
ჩხარტიშვილი და *სხვები 2017:* M. ChkhartiSvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. Dress and Identity: A Georgian Case Study, *Fashion Through History: Costumes, Symbols, Communication,* Volume I, Edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge scholars publishing, Newcastle

ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიდაიმავე წელს გამოცემული ნაშრომები:
ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. *On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili),* Tbilisi, Universal.
ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამოწმება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამოწმება:
ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში,* თბილისი, უნივერსალი.
კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, მთ. რედ. ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.
ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე“ ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერიის 10 ნომრის მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XII, თბილისი, უნივერსალი.
თარგამაძე 2019: ზ. თარგამაძე. *ქართელთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
დამოწმება ტექსტში: (თარგამაძე 2019: 67).

თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმოწმებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.“, ან „კრ“.

როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმოწმებთ რამდენიმე ავტორს, ტექსტში თითოეული დამოწმება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:

დამოწმება ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2009: 5); (თარგამაძე 2018: 205).

დ) უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამოწმების წესი:

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).

სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2014: M.Chkhartishvili.Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century,* Volume I, Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება“ ან ლეონტი მროველი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

ვ) საარქივო მასალის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

ზ) სამეცნიერო თარგმანის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი*: *თეორია, იდეოლოგია, ისტორია,* თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება:

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამოწმებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმოწმებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამარ-

თი, ასევე დამოწმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

ნოსენკო: Е. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности и тому подобных понятиях, ვებ-გვერდი: berkovich-zametki.com http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm (ნანახია: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამოწმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

ზ) ნაშრომის დამოწმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვიმოწმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამოწმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამოწმებისათვის.

GUIDELINES FOR AUTHORS

Coverage and Editorial Policy

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term source is understood in broadest sense of this word; accordingly, journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences, workshops etc.), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

The journal's editorial policy is based on academic integrity, objectivity, and scholarly quality. All manuscripts undergo editorial evaluation and peer review. The editors and the editorial team reserve the right to request substantive, structural, linguistic, and stylistic revisions to ensure clarity, coherence, and compliance with the journal's standards. Publication decisions are made

solely on the basis of the manuscript's academic merit and contribution to scholarly discourse. Editorial decisions are final and are not subject to negotiation based on individual preferences or personal writing style.The author's academic status, institutional affiliation, nationality, gender, or personal relationships shall not influence editorial decisions.

The journal adheres to the principles of academic honesty, intellectual integrity, and research ethics. Authors are required to: submit original work free from plagiarism; clearly cite all sources and follow academic citation standards; not submit the same manuscript simultaneously to another journal; respect scholarly discourse and refrain from offensive or discriminatory language. The journal reserves the right to use plagiarism detection tools and, in cases of ethical violation, to discontinue the review process or reject a manuscript at any stage. AI may be used only as an assistive tool, for example, to improve style, grammar, or syntax. The editorial team reserves the right to reject a manuscript if AI usage is deemed critical to the intellectual content.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology and the journal web-site: www.sourcestudies.ge.

Language

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

The length:

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

Citation Style:

For references and citation authors should use Chicago style: author-date system http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

Number of references and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 40 titles. Notes should be as endnotes with maximum number 25 and placed before the references.